



გამომცემლობა არტანუჯი

ნაშრომი იბეჭდება
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის
ფინანსური მხარდაჭერით

ISBN 978-99940-55-51-7

© თ. პაპუაშვილი, 2008.
© გამომცემლობა არტანუჯი, 2008.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თენგიზ პაპუაშვილი

საინგილოს ისტორიის ნარკვევები

საქართველოს აღდგომისა და გამოსწინათვის
ბრძოლა კაკ-ელისენის გამო

თბილისი

მონოგრაფიაში მოცემულია საინგილოს (კაკ-ელისენის) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მეცნიერული სურათი მისი აღმოცენების დროიდან ვიდრე 1921 წლამდე, როდესაც იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა. წიგნში საინგილოს ისტორია განხილულია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფონზე. პირველწყაროთა ანალიზის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია აღნიშნული მხარის ისტორიული განვითარების თავისებურებანი და ძირითადი ეტაპები. პრობლემები, რომლებიც განხილულია წიგნში გათვალისწინებულია არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ალექსანდრე ბენდიანიშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლიანა დავლიანიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დარეჯან მეგრელაძე**

საინგილო საქციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში

მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესო საინგილოს (კაკ-ელისენის resp. ჭარ-ბელაქანი) ისტორიის შესწავლა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი შესწავლა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. ჭარ-ბელაქანი, მეორე პოლიტიკურ ერთეულ, ელისუს სასულთნოსთან ერთად, შეადგენდა კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. იმ ძნელბედობამ, რომელიც ამ მხარემ XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში განიცადა, მეტად მძიმე შედეგები გამოიღო. ოსმალ-ყიზილბაშ დამპყრობელთა განუწყვეტელი შემოსევების გამო ეს მხარე სავსებით ჩამოქვეითდა და გაუდაბურდა, მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. დაღესტნელმა ლეკებმა, რომლებმაც თავიანთი გამუდმებული რბევა-თარეშით, ეს მხარე თითქმის დაღუპვის კარამდე მიიყვანეს, თანდათანობით იწყეს ჩამოსვლა და ოსმალეთ-ირანის მტკიცე მხარდაჭერით ამოწყვეტილი კახური მოსახლეობის ადგილებს იკავებდნენ. ლეკები „ხერხიანად სარგებლობდნენ ბატონყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობით“¹ და ადგილობრივი კახელი გლეხები თავიანთ ყმებად გაიხადეს. ყოველივე ამის შედეგად, ეს კუთხე (კახეთის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი) სრულად მოწყდა კახეთის საზღვრებს. საქართველოსათვის ეს მეტად მძიმე დანაკლისი იყო. ამიერიდან იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღუდემორღვეული დარჩა. ჭარ-ბელაქნის პოლიტიკური წარმონაქმნი მტკიცე დასაყრდენი გახდა ოსმალეთისა თუ ირანის აგრესიული პოლიტიკისათვის საქართველოს მიმართ; ხოლო ქართლ-კახეთის მარბეველ ლეკთათვის კი ჭარ-ბელაქანი მეტად საიმედო ბაზად გადაიქცა. როგორ მიმდინარეობდა ეს უალრესად მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესი, რანაირი სოციალურ-ეკონომიკური წყობა დამყარდა აქ, მას შემდეგ, რაც ქართველთა ბატონობა მოიშალა, როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ლეკთა მიერ დამორჩილებული მკვიდრი კახელი გლეხები (ინგილოები), რა დამოკიდებულებას იჩენდნენ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი ჭარ-ბელაქნის საკითხისადმი – ყველა ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, თუ რა აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჭარ-ბელაქნის ისტორიის შესწავლას.

¹ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი 1, გვ. 188.

ჭარ-ბელაქნის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ცარიზმმა დაიწყო ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ დაპყრობა. თავის მხრივ, ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხის ჯეროვნად გაშუქება და გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემასთან – რუსეთის მიერ საერთოდ კავკასიის დაპყრობასთან.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთის მეფის მთავრობამ ფართო სამოქმედო პროგრამა დასაბა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ტერიტორიების მიტაცებას თურქეთისაგან, მის განდევნას ევროპის ფარგლებიდან აზიაში, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას. ასეთივე ფართო გეგმებს აწყობდა მეფის მთავრობა ირანის მიმართაც. ამ გეგმაში ცენტრალური ადგილი კასპიის ზღვის ათვისებას და მის რუსულ ტბად გადაქცევის საკითხს ეჭირა, ეს კი, თავის მხრივ, მტკიცე სანინდარი იყო რუსეთის შეჭრისათვის შუა აზიაში. რუსეთის ანექსია ირანში ამავე დროს იყო ერთ-ერთი ეპიზოდი მისი მეტოქეობისა ინგლისთან, ხოლო გარკვეული წლების განმავლობაში კი, საფრანგეთთანაც. როგორც ინგლისი, ისე საფრანგეთი, ვერ ურიგდებოდნენ რუსეთის დიპლომატიის წარმატებებს კავკასიაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ მღელვარებას ინგლისი იჩენდა, რომელსაც დიდი ხანი არ იყო, რაც თავისი მფლობელობა ინდოეთში განემტკიცებინა და ეხლა იმისკენ მიისწრაფოდა, რომ თავისი გავლენა გაეერცვლებინა ყველა იმ რაიონში, რომელიც ინდოეთისაკენ მიმავალ გზებზე ან მისადგომებზე შეიძლება გამომდგარიყო. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში წარმოადგენდა განსაზღვრულ რგოლს იმ ურთიერთდამოკიდებულებაში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა ევროპის სახელმწიფოებთან.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ნათელი იყო, რომ იმ ფართო გეგმის განხორციელებისათვის, რომელსაც ისინი სახავდნენ, აუცილებლად საჭირო იყო რუსეთის გამაგრება ჩრდილო კავკასიაში, მისი გადმოსვლა კავკასიის ქედის გადმოღმა და ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხის მოკიდება. ისინი მშვენივრად ითვალისწინებდნენ კავკასიის საპლაცდარმო როლს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ირანზე გავლენის მოსახდენად. აი, რას წერს კავკასიის ომების ოფიციალური ისტორიკოსი რ. ფადეევი: „*Чрез Кавказский перешеек и его домашний бассейн – Каспийское море, Россия соприкасается непосредственно со всей массой мусульманской Азии. С Кавказского перешейка Россия может достать всюду, куда ей будет угодно; ...для России Кавказский перешеек вместе и мост переброшенный с русского берега в сердце Азиатского материка, и смена, которою заставлена средняя Азия от враждебного влияния, и передовое укрепление, защищающее оба моря: Чёрное и Каспийское. Занятие этого края было первой государственной необходимостью*“².

თვითდაპყრობელური რუსეთის გეგმები უფრო შორსაც მიდიოდა. ი. დებუ, რომელიც ახლოს იდგა იმ დროის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან, რუსეთის ეკონომიკური ამოცანების შესახებ აღმოსავლეთში, წერდა შემდეგს: „*Учреждение Кавказской линии, склонение в Российское подданство части жителей, оную окружающих, и присоединение Грузии к столь пространной и могущественной империи, – имело*

² Р. Фадеев, «шестьдесят лет кавказской войны», Тифлис, 1860, стр. 14-15.

в предмете исполнение великой мысли Государя Петра I, учредить сухопутную и безопасную дорогу, способствующую торговым связям между Россиею и Индиею³.

ჭარ-ბელაქანი, კავკასიის დაპყრობის საკითხის ერთი უბანი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ (1801 წ.), მეფის თვითმპყრობელობა უმაღლესე შეუდგა მეზობელი მხარეების – დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების – დაპყრობას და იქ ფეხის მომაგრებისათვის ნიადაგის მომზადებას. ამ ადგილების შემოერთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის. ამით მას, ჯერ ერთი, შესაძლებლობა ეძლეოდა მიეღო გასასვლელები კასპიისა და შავი ზღვებისაკენ და გარდა ამისა, აქ გამაგრება, ცარიზმს უქმნიდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას, უადვილებდა კავკასიის მთიელებზე იერიშის მიტანას და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის ჭარ-ბელაქანი მეტად მნიშვნელოვან პოზიციას წარმოადგენდა. ჭარ-ბელაქანის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა: კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე, დაღესტნის, საქართველოს და შექის სახანოს გზაჯვარედინზე, თბილის-შემახა-ბაქოს სავაჭრო გზაზე საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მფლობელობას ამიერკავკასიაში. ირანთან ან თურქეთთან ომის შემთხვევაში, სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, რომ რუსთა ბანაკს თავდასხმა განეცადა ზურგიდან, ჭარელებისა და მათი დაღესტნელი მოკავშირეებისაგან, მით უმეტეს, რომ სწორედ ჭარზე გადიოდა ის გზა, რომლითაც დაღესტნელები ამიერკავკასიაზე სალაშქროდ მოდიოდნენ. ჭარის გასასვლელების დაუკავებლად, რუსეთს არ შეეძლო დაღესტნის დაპყრობას შესდგომოდა. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, რა თქმა უნდა, ის ამბავი, რომ პასკევიჩის მიერ შემუშავებული გეგმით, დაღესტნის დაპყრობა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭარიდან უნდა დაეწყოთ. ჭარ-ბელაქანის მნიშვნელობას კარგად აფასებდნენ რუსეთის მოწინააღმდეგეებიც. 1826-1828 წწ. ომის დროს, ირანი ჭარს, რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთ სერიოზულ უბნად სთვლიდა.

ჭარის შემომტკიცებას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ იგი საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა იმ პირთათვის, რომელნიც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას უჭერდნენ მხარს. ასე მაგალითად, ჭარ-ბელაქანში იმყოფებოდა ერთ ხანს, ქართული სამეფო სახლის წევრი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც სპარსეთის მხარდაჭერით აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ.

ღებულობდნენ რა მხედველობაში, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ მომენტებს, რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური მესვეურნი, როდესაც ისინი ჭარ-ბელაქანის როლს აფასებდნენ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკაში და ამავე დროს, წარმოდგენილი ჰქონდათ აგრეთვე ისიც, თუ რა დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჭარ-ბელაქანს, როგორც თურქეთთან ან ირანთან ომის შემთხვევაში, ისე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების წინააღმდეგ მიმართული საომარი მოქმედების დროს – რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, ჭარ-ბელაქანის დაპყრობა ფრიად რეალურ სიკეთედ ესახებოდათ მათ.

საინგილოს (კაკ-ელისენი resp. ჭარ-ბელაქანი) ისტორიის შესწავლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის საერთა-

³ И. Дебу, «О Кавказской линии», СПб, 1829, ст. 26.

შორისო ურთიერთობასთან და ომებთან, რომელთა ერთ-ერთ უბანს საინგილოც წარმოადგენდა. კავკასიის დაპყრობის საკითხმა, ერთგვარად წინ წასწია საინგილოს შესწავლა. ბუნებრივია, რომ რუსეთის მმართველ წრეებში გაჩნდებოდა მოთხოვნები: გასცნობოდნენ იმ ხალხებს, რომელთა დაპყრობაც ხდებოდა. დაიწყო გამოქვეყნება პატარ-პატარა სტატიებისა და გამოკვლევებისა, რომლებიც შეიცავდნენ ცნობებს რუსეთის მიერ ახლად დაპყრობილი ხალხების შესახებ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ამ ნაშრომთა ავტორები უმთავრესად დაინტერესებულნი იყვნენ ამ ხალხთა ენის, რელიგიის, ეთნოგრაფიის და მათი ქვეყნების გეოგრაფიის, ბუნებრივი პირობების, ეკონომიკის შესწავლით. კვლევა-ძიების საგანი და საკითხები შერჩეული იყო პრაქტიკულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისტორიას და ის პირნი, რომელნიც ამ განხრით წერდნენ, სარგებლობდნენ საერთოდ იმდროინდელი რუსული ისტორიოგრაფიული სკოლისათვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიით. ამ ისტორიკოსთა ნაშრომების უმრავლესობას ერთი საერთო დალი აზის – ისინი დაწერილია თვითმპყრობელობის „სოციალურ-პოლიტიკური შეკვეთით“, მასში განზოგადებულია და გაშუქებულია მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც ამართლებდნენ ცარიზმის დამპყრობლურ-კოლონიურ პოლიტიკას კავკასიის ხალხების მიმართ.

ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები ზოგი სპეციალური ხასიათისაა, ზოგი კი ზოგადი. სპეციალურ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია პოლკოვნიკ კოცებუს მიერ 1826 წელს დაწერილი თხზულება: „Статистические сведения о Чарских владениях собранные на месте полковником Коцебу“⁴. ეს ნაშრომი ჩვენს მიერ 1952 წლის თებერვლის თვეში მიკვლეულ იქნა მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში. შესავალში ავტორი ეხება აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა „უბატონო თემების“ წარმოშობას. აქ იგი უშვებს მეტად უხეშ ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომას. იგი წერს: „600 წლის წინათ კახეთის სამეფომ დაჰკარგა თავისი მიწა-წყლის 2/3 – ელისუს სასულთნო და ჭარის სამფლობელოები“⁵. როგორც ვხედავთ, კოცებუს აღმოსავლეთ კახეთში ელისუს სასულთნოსა და ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ წარმოქმნა გადააქვს XIII საუკუნეში (რას ემყარება, არ ჩანს), რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც ამ ორი პოლიტიკური ერთეულის საბოლოო ჩამოყალიბება ხდება XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. შესავლის შემდეგ, კოცებუ უშუალოდ სტატისტიკურ ცნობებზე გადადის. იგი სათითაოდ ახასიათებს „უბატონო თემებს“ (ჭარის, პელაქნის, თალას, მუხახის, ჯინიხის), გვანჯდის თითოეულ ამ თემში შემავალი სოფლების ვრცელ სიებს, რომლებიც შეიცავენ აგრეთვე ცნობებს ამ სოფლებში მოსახლე კომლთა რაოდენობის შესახებ. ნაშრომში შესაფერისი ადგილი აქვს დათმობილი მხარის გეოგრაფიას, მეურნეობის წამყვან დარგებს (მინათმოქმედება, მესაქონლეობა, მებაღეუშემეობა). პოლკოვნიკი კოცებუ სწორად ვერ ხსნის აღმოსავლეთ კახეთში „ლეკთა“ ჩამოსახლების პროცესს. საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი კოცებუს ნაშრომის იმ ადგილიდან, სადაც იგი არკვევს მიზეზებს იმი-

⁴ იხ. Центральный Государственный военно-исторический архив Российской Федерации – Ф. ВУА. д. 18498, лл. 1-11.

⁵ იქვე, л. 1.

სას, თუ რამ გამოიწვია კახეთის მიერ თავისი მინა-წყლის $\frac{2}{3}$ -ზე მეტი ნაწილის დაკარგვა. იგი წერს: „მთავარ ქედს გადაღმა მცხოვრები ხალხები: ჭურმუტები, კესერუხები, კალალები, მიშლიშები, კუსურები და ნახურები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ერთი საერთო სახელწოდებით – „გლუხოდარები“, თავიანთი სიღარიბისა და მიწების სიმწირის გამო მთაში ჩამოდოდნენ კახეთის ნაყოფიერ ველებზე სამუშაოდ. კახელები მათ ყველაზე უფრო მძიმე სამუშაოების შესასრულებლად ქირაობდნენ. შემდგომში, როდესაც ქედს გადაღმა მცხოვრები ეს გლუხოდარები უფრო მომრავლდნენ და მათი გამოკვების საქმეც დიდი სიძნელეების წინაშე დადგა მაშინ კახეთში სამუშაოდ ჩამოსულ გლუხოდარების რიცხვმა ძალზე იმატა და ბოლოს, ისინი იმდენად მრავალნი აღმოჩნდნენ, რომ კახელები მათ, როგორც მუშა ხელს, აღარ საჭიროებდნენ. ამის გამო არაერთი გლუხოდართაგანი ისევ უკან ბრუნდებოდა მთაში, სადაც ისინი იყოფოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად და იმით გაბოროტებულნი, რომ კახეთში სამუშაო ვერ იშოვნეს, თავს ესხმოდნენ კახეთის სოფლებს და ძარცვავდნენ. როდესაც გლუხოდარების ამ ძარცვა-გლეჯამ და სოფლების აოხრებამ უკიდურეს ზომას მიაღწია, ამის შემდეგ კახელებმა გადანყვიტეს სავსებით აეკრძალათ მათთვის კახეთის ზეგნებში ჩამოსვლა. სწორედ ეს გახდა პირველ მიზეზად კახეთის დაცემისა. ამ მთიელმა ტომებმა დამხმარედ თავიანთი დაღესტნელი მეზობლები მოიხმეს და მათთან ერთად, სისტემატური თარეშებით საშინლად აოხრებდნენ კახეთს. იმ რამდენიმე გამარჯვებას, რომელიც კახეთის მეფეებმა გლუხოდარებზე მოიპოვეს, არავითარი შედეგი არ მოჰქონდა, რადგან დამარცხების შემთხვევაში, გლუხოდარებს შესაძლებლობა ჰქონდათ უკან დაეხიათ მიუვალ მთებში. გლუხოდარებმა ბოლოს კახეთის მეფის გაერთიანებულ ძალებზე გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს და მას შემდეგ (600 წელი) ისინი ბატონობდნენ კახეთის $\frac{2}{3}$ -ნაწილზე“⁶. ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოლკოვნიკ კოცებუს, აღმოსავლეთ კახეთში ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემების“ წარმოქმნის ერთადერთ მიზეზად მიაჩნია მთავარ ქედს გადაღმა მცხოვრებ დაღესტნელი „ლეკების“ (გლუხოდარების) განუწყვეტელი შემოსევები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში კახელები მარცხდებიან და ამით ლეკებს შესაძლებლობა ეძლევათ კახეთის $\frac{2}{3}$ ნაწილზე გაბატონებისა. ხოლო ამ მოვლენის გამომწვევ სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს ავტორი სრულიად არ ეხება. ეს ფაქტორები კი იყო შემდეგი: თვით კახეთის სამეფოს შიგნით ფეოდალებსა და ყმებს შორის არსებული გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობა, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება: თურქეთისა და ირანის ბრძოლა ამიერკავკასიაში გასაბატონებლად და მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში კახეთის სამეფოს საგრძნობლად დასუსტება – არცერთ ამ ზემოთჩამოთვლილ საკითხს ავტორი არ აქცევს ყურადღებას.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მ. ა. კოცებუს ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა საინგილოს ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შესწავლისათვის. ნაშრომი იმავდროულად შეიცავს ცნობებს XIX ს-ის დასაწყისის საინგილოს დემოგრაფიული მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ნაშრომში მოცემულია აღნიშნული რეგიონის ტოპონიმთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთ ტოპონიმს დართული აქვს საისტორიო ხასიათის კომენტარები. მ. ა. კოცებუს აღგვიწერს ჭარის

⁶ Коцебу, «Статистические сведения о Чарских владениях», ЦГВИА, Ф. ВУА, дело л. 18498, л. 2.

სამფლობელოთა საზღვრებს, მის ტერიტორიულ მოცულობას და სივრცეს, ნაჩვენები აქვს ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ დამოკიდებულებაში მყოფი საქეშქელო სოფლების ეროვნული შემადგენლობა; კოცებუ თავის ნაშრომში სათანადო ადგილს უთმობს აგრეთვე ხალხის ზნე-ჩვეულებების დახასიათებას, საინტერესო ცნობები მოაქვს „თავისუფალ თემთა“ საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. ამ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც კოცებუ წერს, რომ ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ მმართველობა დამყარებული არისო „არისტოკრატიული დემოკრატიის“ ანუ „вельможно-народное“-ეს პრინციპებზეო: „Правление царев есть аристократическое или вельможно-народное“. კოცებუ გვანდის ცნობებს იმის შესახებაც, თუ მეომართა რა რაოდენობის გამოყვანა შეეძლოთ ყველა „თავისუფალ თემს“ ერთად, როგორია მათი შეიარაღება და სხვ. რადგან ჩვენ ქვემოთ ხშირად მოგვიხდება ამ ნაშრომის მონაცემთა გამოყენება, საჭიროდ ვთვლით გავეცნოთ თვით კოცებუს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

მორიც ავგუსტის-ძე კოცებუ (1789-1861) გერმანელი მწერლის ავგუსტ ფრიდრიხ ფერდინანდ ფონ კოცებუს (1716-1819) შვილი იყო; ჯერ კიდევ კადეტთა კორპუსში ყოფნისას, მან თავის ძმა, ასევე კადეტთან, ო. ე. კოცებუსთან ერთად, 1803-1806 წწ. მონაწილეობა მიიღო დედამინის ირგვლივ მოგზაურობაში. აღნიშნულ მოგზაურობას, რომელიც ფრეგატ „ნადეჟდა“-თი ხდებოდა, ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი ზღვაოსანი, ადმირალი ი. თ. კრუზენშტერნი; შემდგომში იგი მონაწილეობდა სამამულო ომში, 1812 წელს ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს, ტყვეობაში დაჰყო 1814 წლამდე; 1816 წ. სპარსეთში ერმოლოვის საელჩოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1818 წლიდან საქართველოში მსახურობს, 1822 წლიდან იგი კავკასიის სამხედრო კორპუსის ობერკვარტირმეისტერის თანამდებობაზეა. 1826 წ. მონაწილეობს სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საომარ ოპერაციებში. მომდევნო წლებში განაგრძობდა სამხედრო სამსახურს, მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე. მ. ა. კოცებუ ავტორია მთელი რიგი სტატისტიკური აღწერილობებისა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონების შესახებ, რომლებიც მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში ინახება. ამათგან ყურადღებას იქცევს მისი ნაშრომი „Описание вторжения персиан в Грузию в 1826 г.“⁷. საინტერესო აზრებია გამოთქმული საინგილოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ 1830 წელს ტ. ნ. იაიშნიკოვის მიერ გამოქვეყნებულ ნარკვევში, რომლის სრული სახელწოდება ასეთია: „Военно-статистическое описание страны, лежащей между юго-восточным хребтом Кавказа и рекою Алазанью, а преимущественно земли, занимаемой лезгино-джарскими вольными обществами“. ტ. ნ. იაიშნიკოვი სპეციალობით სამხედრო ტოპოგრაფი იყო და 1826 წლიდან კავკასიაში მსახურობდა. იაიშნიკოვის ნაშრომი მ. ა. კოცებუს 1826 წლის აღწერილობის ძლიერ გავლენას განიცდის, თუმცა მასში შეინიშნება ზოგიერთი კითხვასხვაობა, ეს განსაკუთრებით ითქმის მისი ნაშრომის იმ ნაწილის მიმართ, სადაც მოცემულია ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ მფლობელობაში არსებული საქეშქელო სოფლების გეოგრაფიული სახელწოდებები. იაიშნიკოვის ნაშრომი შეიცავს ისეთ პასაჟებსაც, რომელნიც სრულიად არ მოიპოვება მ. ა. კოცებუს აღწერილობაში.

⁷ «Кавказский сборник», 22, 1901, გვ. 1-182, Русский биографический словарь, 1903.

ტ. ნ. იაიშნიკოვს ეკუთვნის აგრეთვე მეორე მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელიც შეეხება საინგილოს შემადგენლობაში შემავალი ელისუს სასულთნოს ისტორიას. მისი სახელწოდებაა „Описание владения Илисуйского султана“. იგი გამოქვეყნდა 1831 წელს. მასში ავტორი ავინერს ელისუს სასულთნოს საზღვრებს, მის ტერიტორიულ მოცულობას, მხარის გეოგრაფიას; საყურადღებოა ცნობები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობას შეეხება. მთავარი ღირსება იაიშნიკოვის ამ ნაშრომისა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი გვანვდის ელისუს სულთნის მფლობელობაში შემავალი 38 სოფლის სრულ სიას, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინგილოს ისტორიული გეოგრაფიისათვის⁸.

XIX ს-ის დასაწყისის საინგილოს მოსახლეობის რაოდენობის გასათვალისწინებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება 1808-1811 წლებში საქართველოს მთავარმართებელ ა. პ. ტორმასოვის (1752-1819) მიერ 1811 წელს დაწერილ მოკლე ცნობარს, რომლის სათაურია: „Ведомость о числе народа в Грузии и в других областях, княжествах и ханствах, в подданстве России состоящих“. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ნაშრომის ის ნაწილია საყურადღებო, რომელშიც დაცულია სტატისტიკური მონაცემები ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სამფლობელოსა და ელისუს სასულთნოში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით 1811 წლისთვის ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ჭარ-ბელაქანში – 16000 კომლი, საერთო რიცხვი მოსახლეობისა 96000 სული, ელისუს სასულთნოში – 4000 კომლი, საერთო რიცხვი მოსახლეობისა 24000 სული⁹.

1866 წელს ა. პოსერბსკის მიერ გამოქვეყნებულ იქნა სტატია „Очерк Закавказского округа“¹⁰. სტატიას წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი შესავალი, რომლის მიხედვითაც შესაძლებლობა გვეძლევა გავეცნოთ ავტორის მსოფლმხედველობას. ავტორს შემუშავებული აქვს ყოვლად მცდარი შეხედულება კავკასიის ხალხების ისტორიაზე საერთოდ, და საქართველოს ისტორიაზე, კერძოდ. პოსერბსკი დუმილით უვლის რა გვერდს იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის ხალხებს დიდი კულტურული მემკვიდრეობა ჰქონდათ, ამ ხალხების ისტორია მას მხოლოდ ომების სახით აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით, ამ ხალხებს სამოქალაქო ცხოვრების ნატამალიც კი არ გააჩნდა. „Вся история Кавказского перешейка может быть выражена в трех словах: война, война и война... «Война была девизом Кавказа»“¹¹. პოსერბსკის შეხედულებით, სამოქალაქო ცხოვრების განვითარებას საქართველოში ადგილი აქვს მხოლოდ ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ. პოსერბსკი აღნიშნავს, რომ რუსების მისია კავკასიაში მხოლოდ და მხოლოდ „კულტურისა და ცივილიზაციის“ დაწერგვაში მდგომარეობდა. სხვა რაიმე ინტერესები კავკასიაში მათ არ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ კავკასიის ხალხებს შესაძლებლობა მისცემოდათ „войти в семью цивилизованных народов Европы“¹².

⁸ «История, география и этнография Дагестана XVIII-XIX вв», Архивные материалы, А. Н. СССР, Дагестанский филиал, издательство «Восточной литературы», Москва, 1958, стр. 300-303; 304-305.

⁹ იქვე, გვ. 237-238.

¹⁰ Кавказский календарь, 1866 г. Литературный отдел.

¹¹ А. Посербский, Очерк Закавказского округа, Кавказский календарь, 1866 г. Литературный отдел, стр. 4.

¹² იქვე, გვ. 4.

„История никогда не порицала – წერს პოსერბსკი – завоеваний. Цивилизованного нациею народов диких и невежественных, если благо последних было прямым результатом этих завоеваний“¹³. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ლოზუნგი „კულტურისა და ცივილიზაციის დანერგვისა „მხოლოდ ნილაბი იყო, რომლის ქვეშაც ცარიზმის ნამდვილი ზრახვები იმალებოდა. ზემოთქმულის შემდეგ, აშკარა ხდება, რომ ა. პოსერბსკის სახით ჩვენ საქმე გვაქვს რუსული დიდმპყრობელური ისტორიოგრაფიული სკოლის ტიპიურ წარმომადგენელთან.

ნაშრომში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ჭარ-ბელაქნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას (მათ შორის საზღვრებს), დახასიათებულია ბუნებრივი საწარმოო რესურსები, მრავლადაა ცნობები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ და სხვ. ჩვენ ყურადღებას განსაკუთრებით ნაშრომის ის ნაწილი იპყრობს, რომელიც მხარის ისტორიას შეეხება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ნაკლებოვანი სწორედ ეს ნაწილია. ავტორი ამახინჯებს საქართველოს ისტორიის ცნობილ ფაქტებს. იგი მეტად მარტივად ხსნის „ლეკთა“ მიერ ჭარ-ბელაქნის დაჭერას და „უბატონო თემების“ ჩამოყალიბების პროცესს, არ ითვალისწინებს, თუ რა რეალურ ისტორიულ საფუძვლებზე ვითარდებოდა იგი. სრულიად უგულვებელყოფილია ამ მოვლენის სოციალური მხარე. მცირეოდენი ადგილი უჭირავს ნაშრომში ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხს. ამ მნიშვნელოვან საკითხს პოსერბსკი შემთხვევითი ამბებით ხსნის. მისი წარმოდგენით, რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ჭარის საბოლოოდ დაპყრობა, როდესაც 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის დროს ჭარ-ბელაქნელებმა მტრული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს რუსეთის მთავრობის მიმართ¹⁴. ხოლო, სინამდვილეში, თუ რა რეალურ მოტივებს მოჰყავდა რუსეთი კავკასიაში, როგორ პირობებში და რა საშუალებებით მოდიოდა ის, რა განსაზღვრავდა რუსეთის პოლიტიკას ჭარ-ბელაქნის მიმართ, ყოველივე ამას პოსერბსკი დუმილით უვლის გვერდს. არასწორ პოზიციებზე დგას ავტორი ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ სოციალურ-ეკონომიკური წყობის დახასიათების დროსაც. იგი არსებით მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომას უშვებს, როდესაც დაასკვნის, რომ დამოკიდებულება გაბატონებულ ლეკებსა და დამორჩილებულ ინგილო-მულალებს შორის ისეთივე იყო, როგორიც რუსეთში – მემამულეებსა და გლეხებს შორის არსებული დამოკიდებულებააო¹⁵. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ სოციალურ-ეკონომიკური წყობის გაიგივება რუსეთის ფეოდალური საზოგადოების ისეთ მაღალ ფორმასთან, როგორიც ბატონყმური ურთიერთობა იყო.

1870 წელს გამოქვეყნდა ა. ფონ-პლოტკოს ნაშრომი: „Природа и люди Закавказского округа“¹⁶. ნაშრომის უმეტესი ნაწილი ეხება ქვეყნის გეოგრაფიას, ბუნებრივ პირობებს, სოფლის მეურნეობას და მის წამყვან დარგებს. საინტერესოდ არის აღწერილი მოსახლეობა, მათი რელიგიური რიტუალები და ზნე-ჩვეულებები – ყველაფერი ეს მან საკუთარი თვალით მოიხილა. გარკვეული ადგილი აქვს

¹³ А. Посербский, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

¹⁴ იქვე, სტრ. 24.

¹⁶ იქვე, გვ. 58.

¹⁶ Сборник сведений о Кавказских горцах, вып. 4, Тифлис, 1870.

დათმობილი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს (ა. ფონ-პლოტტო იყო 1869 წელს ჩამოყალიბებული ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის წევრი). მხარის ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილია ნაშრომის II თავი. ავტორი უშეუბნებლად უხეშ შეცდომებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მოვლენის გადმოცემისას, იგი ერთმანეთში ურევს ცნობილი ისტორიული ფაქტების თარიღებს, ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებას მიაწერს ისეთ რეფორმის ან ღონისძიების გატარებას, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ვერ იძლევა ფონ-პლოტტო მეცნიერულ ახსნას იმ ამბისას, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში ქართველ ფეოდალთა ხელისუფლების დაცემა და აქ, ავარულ-ნახურულ „ლეკთა“ გაბატონება. ამ მოვლენას იგი მეტად ცალმხრივად წარმოგვიდგენს. მის გამომწვევ ერთადერთ მიზეზად ა. ფონ-პლოტტო, ისე, როგორც სხვა ისტორიკოსები რუსული დიდმპყრობელური ისტორიოგრაფიული სკოლისა, თვლის დაღესტნელ ლეკთა ყაჩაღური ბრბოების ერთდროულ მასობრივ შემოჭრას, კერძოდ, ამ ამბავს იგი უკავშირებს შაჰ-აბასის ლაშქრობების ეპოქას¹⁷. ავტორი სრულიად არ ითვალისწინებს ამ პერიოდში ამიერკავკასიაში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, სპარსეთისა და თურქეთის ბრძოლას ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, მათ როლს ჭარ-ბელაქნის პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებაში, არაფერს ამბობს თვით საქართველოს შინაგან მდგომარეობაზე. ა. ფონ-პლოტტოსათვის სრულიად გაუგებარია ამ მოვლენის გამომწვევი სოციალური ფაქტორი. რუსეთის მიერ ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხის ფონ-პლოტტოსეული გაშუქება სრულიად მონყვეტილი ჩანს ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მთლიანი სისტემისაგან და საერთოდ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობისაგან. ჩქმალავს რა თვითმპყრობელობის ჭეშმარიტ მიზნებს, ამ საკითხს იგი ხსნის კეთილშობილური მოტივებით, რომ თითქოს რუსეთმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მხრიდან ადგილი ჰქონდა ჭარელი ლეკების და მათი მოკავშირე დაღესტნელების განუწყვეტელ თავდასხმებს საქართველოზე¹⁸. მაგრამ ეს მართო საბაბი იყო ნამდვილი კოლონიური ზრახვების განხორციელებისათვის. ფონ-პლოტტოს წარმოდგენით, ამ ეპოქაში ჭარ-ბელაქანი სრულიად იზოლირებული გამოიყურება გარეშე სამყაროსგან. თითქოს იგი მხოლოდ ერთ ქვეყანას იცნობდეს და მხოლოდ ერთ ქვეყანასთან აწარმოებდეს საგარეო ურთიერთობას. ეს არის რუსეთი. პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანს სპარსეთი და თურქეთი, რომელნიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ჭარ-ბელაქანს რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ხოლო რაც შეეხება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს (ინგლისი და საფრანგეთი), რომელთაც თავიანთი საკუთარი პრაქტიკული ინტერესები ამოძრავებდათ, მათი წარმომადგენლების საქმიანობას კავკასიაში, ამ ის შესახებ ფონ-პლოტტო თავის ნაშრომში არაფერს გვეუბნება. ავტორის ამოსავალი პოზიციები, რომელნიც დამყარებულია საერთაშორისო გარემოს იგნორირებაზე, არ არის სწორი. რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში მჭიდროდ იყო გადახასკეული რუსეთის პოლიტიკასთან საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დაკავშირე-

¹⁷ А. Фон-Плотто, «Природа и люди Закавказского округа» – сборник сведений о Кавказских горах, вып. 4, стр. 6.

¹⁸ იქვე, გვ. 13.

ბული იყო რუსეთ-საფრანგეთის და ინგლის-რუსეთის ურთიერთობასთან – ვინც ამ საკითხებს გვერდს უვლის, იგი მარტივად სწყვეტს საკითხს, ამახინჯებს იმ ისტორიულ ფონს, რომელზედაც მკვლევარმა კავკასიის დაპყრობის საკითხი უნდა წარმოაჩინოს.

კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებულ მეორე პოლიტიკურ ერთეულ ელისუს სასულთნოს ისტორიისადრე მძღვენილი 1873 წ. ი. პ. ლინევიჩის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი: „нывшее Елисуйское султанство“¹⁹. ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება. პირველ თავში ავტორი ეხება სასულთნოს საზღვრებს, განხილული აქვს, თუ როგორ მოხდა ქართული პროვინციების ლეკებით დასახლება და აქ სასულთნოს წარმოქმნა. მაგრამ ავტორს ნაშრომის ამ ნაწილში განვითარებული აქვს ზოგიერთი ისეთი მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. ასე მაგალითად, იგი წერს, რომ „Лезгины... не встречая со стороны туземцев сильного противодействия, утвердили над ними (ე. ი. ქართველებზე – თ. პ.) свое владычество“²⁰. ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს, სხვათა შორის, კ. ნიკიტინიც, თავის ნაშრომში: „Очерк Елисуискаго ушелья“²¹: „Джарцы и другие горские народы, – წერს იგი, – почти безпрепятственно овладели двумя третями владении Кахетинского царя, т. е. восточною и среднею областями Кахетии, соответствующими теперь Закатальскому округу“²². აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა თავისუფალ თემების გაბატონება, სრულებითაც არ მომხდარა მშვიდობიანი გზით. ლეკთა აქ ჩამოსახლება სასტიკ ხასიათს იღებს და დაუნდობელ სამამულო ბრძოლაში გადადის. კახელი თავადები (ე. ი. მინის მფლობელთა კლასი), კარგად აფასებდნენ რა შექმნილ ისტორიულ ვითარებას, რა თქმა უნდა, თავს არ ზოგავდნენ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც მათ ემუქრებოდათ საფრთხე მინის დაკარგვისა. უცხოელთა ბატონობის დამყარება დიდ სიძნელეებს ხვდებოდა, ხალხი მედგრად იცავდა ქართველობას. XVIII საუკუნის ერთ-ერთი ანონიმური ქრონიკის ავტორის ცნობით, ბრძოლა ერთი მხრივ ჭარის, ბელაქნის, თალას და სხვა „თავისუფალ თემებსა, ხოლო მეორე მხრივ კახელებს შორის, იმდენად ხშირი და სასტიკი იყო, რომ „კახეთში აღარ დარჩნენ თავადები“, ხოლო ჭარში კი ვაჟკაცები“²³. II თავი დათმობილი აქვს სასულთნოში შემავალი სოფლების დანვრილებით აღწერას. სოფლები მას დაყოფილი აქვს სამ ჯგუფად, იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფებიან ისინი სულთნის თუ ბეგების მიმართ. შემდეგ ავტორს მოცემული აქვს თითოეული ამ ჯგუფის სოფლების გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, მეურნეობის სახეები, ეთნიკური შემადგენლობა, სოფლის დასახლების ისტორია და სხვა. დანვრილებითი ცნობებია მოტანილი სოფლებში მცხოვრებ ინგილოების და მულალების რაოდენობის შესახებ, მათზე დაკისრებული მოვალეობების – გადასახადთა რაოდენობისა და სახეების შესახებაც ლინევიჩს სათანადო მასალები აქვს მოყვანილი. მართალია, ლინევიჩის გამოკვლევა შეიცავს ისტორიული მოვლენების მხოლოდ უბრალო აღწერას და არა მათ კრიტიკულ ანალიზს და

¹⁹ Сборник сведений о Кавказских горах, вып. XII, Тифлис, 1873.

²⁰ И. П. Ливевич, დასახ. ნაშრ. გვ. 2.

²¹ Газ. «Кавказ», 1866, № 70.

²² იქვე, გვ. 20.

²³ Хроника войн Джара в XVIII столетии, изд. АЗ. ГНИИ, Баку, 1931, стр. 9.

განზოგადოებას, მაგრამ, სამაგიეროდ იგი საყურადღებოა ფაქტობრივი მასალის მხრივ. ლინევიჩმა შესძლო მდიდარი ფაქტობრივი მასალის შეგროვება. ამ მხრივ მისი მონაპოვარი მნიშვნელოვანია. ამ მასალას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, როგორც პირველწყაროებს, ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესწავლისათვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იყო. ლინევიჩისათვის ბევრი საყურადღებო მოვლენა, არა მარტო გაუგებარი რჩებოდა, არამედ იგი აწარმოებდა მათ ტენდენციურად გაშუქებას. ასე მაგალითად, ლინევიჩს ერთი სიტყვაც კი არა აქვს ნათქვამი ჭარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ სოციალური წყობის ფეოდალიზაციის შესახებ, იგი ცდილობს, რომ „თავისუფალ თემთა“ სოციალურ-ეკონომიკური წყობა რაც შეიძლება პატრიარქალური ელფერით დაგვისურათოს, ვიდრე ის სინამდვილეში იყო. იგი ჩქმალავს, ანდა არასწორად აშუქებს მთელ რიგ ისეთ ფაქტებს, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ ლექთა „თავისუფალი თემები“ უკვე დაშლა-გადაგვარების პროცესში იმყოფებოდნენ, რომ ამ საზოგადოებას უკვე საკმაოდ დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული წინ – არისტოკრატიული ელემენტების გაძლიერების გზით, მდიდარი საგვაროვნო ზედა ფენის გამოყოფის ხაზით, და რომ საერთოდ, „თავისუფალ თემთა“ შიგნით ადგილი ჰქონდა კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებას. III თავში ავტორს მოთხრობილი აქვს ჭარ-ბელაქნის და ელისუს სასულთნოს რუსეთის მფლობელობაში შესვლის ისტორია. ეს ამბავი მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს გადმოცემული. IV თავში ლინევიჩს მოცემული აქვს ელისუს სულთანთა გენეალოგია, დახასიათებული აქვს უკანასკნელი სულთნის – დანიელ-ბეგის პიროვნება, მისი დამოკიდებულება რუსეთის მთავრობასთან. უხვი ფაქტობრივი მასალა აქვს მოტანილი ლინევიჩს სასულთნოს უკანასკნელი დღეების შესახებ.

საინგილოს ისტორიისადმი მიძღვნილი გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული კ. ნიკიტინის ნარკვევები: „Очерк Елисуйского ущелья“ („Кавказ“, 1866, №№ 67, 68, 70) და „Елисени“ („Кавказ“, 1867, №№ 92, 93, 94), რომლებშიც მოცემულია ამ მხარის ვრცელი, მეტად საინტერესო ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა, ბუნებრივი პირობები, ფლორა, ფაუნა, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი და სხვ. ავტორი იძლევა ძველი ნაქალაქარი და ნასახლარი ადგილების (მოსაბრუნე, ჭარი, ფიფინეთი და პატარა ჭარი, ბოეთანი, ბელაქანი, ნოხპატო და მაკაბელი, ტრანა-ყალა, თოლა ანუ მაჭი და სხვ.) მოკლე დახასიათებას, გადმოსცემს ცნობებს „ზაქათალის გრძელი კედლის“ შესახებ, განიხილავს ზოგიერთი სოფლის და ქალაქის უძველეს სახელწოდებათა ეტიმოლოგიის საკითხებს. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ნარკვევების ის ნაწილი იპყრობს, სადაც ავტორი ეხება აღმოსავლეთ კახეთში „ლექთა“ ჩამოსახლების პროცესს. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ნაკლები სწორედ ეს ნაწილია. გარდა იმისა, რომ კ. ნიკიტინი საერთოდ ვერ ხსნის ამ პროცესის გამომწვევ სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზებს, აქ იგი უშვებს ერთობ უხემ ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომებსაც, როდესაც წერს, რომ კახეთის სამეფომ თავისი მიწა-წყლის $\frac{2}{3}$ 1617 წელს დაკარგა შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად. ე. ი. კ. ნიკიტინს აღმოსავლეთ კახეთში ელისუს სასულთნოსა და ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ საბოლოო წარმოქმნა გადააქვს XVII ს-ის დასაწყისში, რაც ძირშივე მცდარია და რეალობას არ შეეფერება. ამ ორი პოლიტიკური ერთეულის კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ფარგლებს გარეთ მოქცევა სავარაუდებელია მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის.

ჭარ-ბელაქნის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ისტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომს – „Заметки о Закавказском округе“²⁴. ეს ნაშრომი დიმიტრი ბაქრაძემ დაწერა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის იმ პერიოდში, როდესაც იგი ზაქათალის ნოდებრივ-სა-ადგილმამულო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებლად მუშაობდა. ეს გარემოება დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომის ღირსებას საგრძნობლად მაღლა სწევს. ავტორის მიზანი, როგორც თვითონაც აღნიშნავს, მდგომარეობს იმაში, რომ გამოარკვიოს, თუ როგორ მოხდა კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ლეკთა „უბატონო თემების“ ჩამოყალიბება და შეისწავლოს, თუ რანაირი სოციალურ-ეკონომიკური წყობა დამყარდა აქ ლეკთა გაბატონების შემდგომ. ნაშრომი სამი თავისაგან შედგება. პირველი თავის დასაწყისში, მხარის მოკლე გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერის შემდეგ, დ. ბაქრაძე, არსებული ქართული წყაროების საფუძველზე, გვაძლევს აღმოსავლეთ კახეთის (შემდგომში ზაქათალის მაზრის) ადრინდელი პერიოდის შესახებ ისტორიულ ექსკურსს. ნაშრომის ეს ნაწილი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ბაქრაძის მიერ აქ მოტანილი ისტორიული ფაქტებით შესანიშნავად მტკიცდება კახეთის სამეფოს მიერ დაკარგული ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონების კუთვნილება. საინტერესოდ აქვს აღწერილი ავტორს ლეკთა „უბატონო თემების“ ჩამოყალიბების პროცესი. ამ ისტორიული პროცესის ახსნისას ბაქრაძე ითვალისწინებს მთელ რიგ ისეთ ფაქტორებს, რომლებსაც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ავტორები ვერ ამჩნევდნენ. მის მიერ მოტანილი მასალა მკვლევარს მრავალმხრივ ინტერესს აღუძრავს და ბევრ საკითხზე დააფიქრებს. ბაქრაძე გახაზავს როგორც ქართული, ისე უცხო წყაროების მეტად საინტერესო მონაცემებს. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს თუნდაც ის გარემოება, რომ მას კარგად აქვს შეფასებული სპარსეთის შაჰებისა და მათი ხელისუფლების წარმომადგენლების – ყარაღაჯში მსხდომი ხანების როლი ჭარ-ბელაქნის პოლიტიკური წარმონაქმნის წარმოშობასა და განმტკიცებაში. ამავე თავში ბაქრაძე იხილავს მხარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. იგი მიუთითებს რა ვახუშტის გეოგრაფიის ნაკლზე იმის შესახებ, რომ მასში საერთოდ ნაკლები ცნობებია საქართველოს განაპირა მხარეების, კერძოდ, გაღმა მხარესა და ელისენზე – მოაქვს ისეთი საბუთები, რომლებშიც მოხსენიებულია ამ მხარის გეოგრაფიული პუნქტები. ბაქრაძის დროს ამ მხარეში შემავალ გეოგრაფიულ პუნქტთა უმრავლესობა მულალურ სახელწოდებებს ატარებდა და ამიტომ იგი ქართული საისტორიო წყაროების მომველიებით ცდილობს მათი ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურა აღადგინოს. II თავში ავტორს მოთხრობილი აქვს ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს რუსეთთან შეერთების ისტორია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ბაქრაძე აშუქებს ამ საკითხს სათანადოდ. მსგავსად რუსული თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული სკოლის ისტორიკოსებისა, ამ საკითხს იგი არ განიხილავს იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე, არ ამხელს ცარიზმის ნამდვილ კოლონიურ მიზნებს. რუსეთის მთავრობის პოლიტიკა ჭარ-ბელაქანში მას მოთხრობილი არა აქვს ისტორიულ განვითარებაში, მისი წარმოდგენით იგი უცვლელი ჩანს. სინამდვილეში კი რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ჭარ-ბელაქნისადმი სხვადასხვა დროს

²⁴ Записки Кавк. Отд. И. Р. Г. О., кн., 14, вып. 1, 1890.

და სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირი იყო. შეცდომა იყო გვეფიქრა, რომ ციციანოვის მიერ ჭარ-ბელაქანში წარმოებული პოლიტიკა ისეთივე იყო, როგორც გუდოვიჩ-ტორმასოვის პოლიტიკა, ანდა შემდგომში ერმოლოვისა და პასკევიჩის პოლიტიკა. მასზე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა კავკასიაში და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში. ამავე თავის მეორე ნაწილი და III თავი მთლიანად, დათმობილი აქვს ჭარ-ბელაქანის და ელისუს სასულთნოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური წყობის დახასიათებას. ამ საკითხის შესახებ ბაქრაძეს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს მეტად ძვირფასი მასალა. ეს მასალა მას ამოღებული აქვს ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ შედგენილი ჟურნალებიდან. ბაქრაძის მიერ მოტანილ ამ მასალებში დაცულია მრავალი საყურადღებო ცნობა, რომელთა საშუალებითაც მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა წარმოდგენა იქონიოს ჭარ-ბელაქანში და ელისუს სასულთნოში არსებული სათემო-სამეურნეო ურთიერთობის შესახებ. საინტერესო საბუთებს იმონმებს ბაქრაძე, როდესაც იგი გაბატონებულ ლეკებსა და დამორჩილებულ ინგილოებსა თუ მულალებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს. ბაქრაძის ნაკლი ჭარ-ბელაქანის სოციალურ-ეკონომიკური წყობის კვლევისას ისაა, რომ იგი ყურადღებას არ ამახვილებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე შესახებ. „თავისუფალ თემთა“ ფეოდალიზაცია, მათ შიგნით კლასობრივი დანაწევრების არსებობა – დიშ. ბაქრაძის თვალთახედვის გარეშე რჩება.

1913 წელს „ძველი საქართველოს“ II ტომში გამოქვეყნდა მოსე ჯანაშვილის ნაშრომი „საინგილო“²⁵. დიშ ბაქრაძის ნაშრომის გაცნობის შემდეგ, ამ ნაშრომის წაკითხვა მკვლევარს ბევრს ახალს არაფერს სძენს. ნაშრომის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ჭარ-ბელაქანის ისტორიის ადრინდელ პერიოდს. ეს განხილვა მას უმთავრესად დამყარებული აქვს ქართული საისტორიო წყაროების ცნობებზე. გარდა ამისა, ჯანაშვილს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს ნაწყვეტი, ე. წ. „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერიდან“ (XVIII ს-ის მეორე ნახევარში შედგენილი), რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ჭარ-ბელაქანისა და ელისუს სასულთნოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ) (1936 წელს იგი მთლიანად გამოსცა პროფ. ლეონ მელიქსედ-ბეგმა).

საინგილოს ისტორიის საკითხები გაშუქებულია აგრეთვე, რამდენიმე ზოგადი ხასიათის ნაშრომში. ამათგან აღვნიშნავთ შემდეგს: „Н. О. Дубровини – „история войны и владычества русских на Кавказе“ (ჭარ-ბელაქანის ისტორიას დათმობილი აქვს 1886 წელს გამოცემული IV ტომის IV, VIII და XXI თავები); В. Потто – „Кавказская война“ (ტ. V, ნაკვეთი 1, 1889, თავი V-VI, გვ. 61-84); Н. А. Волконский – «История грузинской пешей дружины», Тифлис, 1884. С. Есадзе – «Историческая записка об управлении Кавказом», т. I, 1907 г. (თავი XI, გვ. 473-496); პოტტოს რედაქციით გამოსული მრავალტომიანი ნაშრომი „Утверждение русского владычества на Кавказе“, 1901 г. (I ტომი, IV-V თავები, გვ. 65-102 და 12 ტომის X თავი, გვ. 268-282; XII ტომი შედგენილია ე. ი. ივანენკოს მიერ და ეხება სამოქალაქო

²⁵ ძველი საქართველო, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1913.

მმართველობის საკითხებს); ს. ლ. ავალიანი – „Крестьянский вопрос в Закавказье“ (ტომი III, განყოფილება III, გვ. 119-148 და ტომი 4, გვ. 107-130; ს. ავალიანი უმთავრესად იხილავს ქარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხებს) და ვ. ლინდენი – „Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственные мероприятия по определению их сословных прав“ (გამოცემულია 1917 წ. თავი V, გვ. 118-145). აქვე უნდა მოვიხსენიოთ 1872 წელს Н. В. მიერ გამოქვეყნებული სტატია „Население Закатальского округа (по народной переписи 1871 года)“. ამ ნაშრომში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის მონაცემები, რომლებიც შეეხება ზაქათალის ოლქში შემავალი ბელაქნის, ქარის, მუხახის, ალიაბადის, ელისუს და ყარასუსის სანაიბოებში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას. ავტორის მიერ მოტანილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1871 წლის სახალხო აღწერით, ზაქათალის ოლქში მცხოვრებ ქართველთა საერთო რაოდენობა (როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმანი ინგილოებისა) შეადგენდა 10220 სულს. აქედან 3094 ქრისტიანი – მართლმადიდებელი იყო, ხოლო დანარჩენი 7126 კი მუსლიმანი²⁶. ეს ავტორები, რომელთა კალამსაც ეკუთვნის ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შრომები, არიან მეფის ოფიციალური ისტორიკოსები. მათ მიზანს შეადგენდა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის არა ჭეშმარიტი და მეცნიერული გაშუქება, არამედ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამართლება.

ე. ნ. „საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“ ქარ-ბელაქნის ისტორია არ გაშუქებულა ღრმად და ყოველმხრივ. ჯერჯერობით ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა პროფ. ი. პეტრუშევსკისა: „Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия“, გამოცემული 1934 წ. ი. პეტრუშევსკის ღვაწლად უნდა ჩაითვალოს, რომ მან იმხანად გაბატონებული ე. ნ. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით შესძლო კვლევის ობიექტად გაეხადა ქარ-ბელაქნის „თავისუფალ თემთა“ სოციალური წყობის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული საკითხი ი. პეტრუშევსკის ნაშრომში ერთობ ცალმხრივად არის გაშუქებული. ავტორი ჯეროვნად ვერ ითვალისწინებს კახეთის სამეფოში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობათა ზეგავლენას ქარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სოციალურ სტრუქტურაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური გამოკვლევა საინგილოს ისტორიის გაბმულ მეცნიერულ თხრობას რომ შეიცავდეს არ მოგვეპოვება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1947 წელს გამოცემულ ზ. ედილის ნაშრომს „საინგილო“. ამ ნაშრომის ავტორი, მართალია, იცნობს საინგილოს შესახებ არსებულ ზოგიერთ პირველწყაროს, მაგრამ იგი უმთავრესად იმეორებს ლიტერატურაში ცნობილ მოსაზრებებს და დებულებებს).

ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ იმ ნაწილში, რომელშიც მას განხილული აქვს საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი, ეხება ქარ-ბელაქნის resp. კაკ-ელისენის (საინგილოს) ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხს.

²⁶ Сборник сведений о кавказских горцах, вып. VI, Тифлис, 1872, стр. 55-59.

საინგილოს ისტორიის ზოგიერთ საკითხს, კერძოდ აღმოსავლეთ კახეთის მიწაზე ახალი პოლიტიკური ერთეულის „უბატონო“ „ლეკური“ თემების სახელმწიფოს ჭარ-ბელაქნის წარმოქმნას შეეხო ნ. ბერძენიშვილი თავის შრომებში: „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“ და „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“. იგი აღნიშნავს: „საქართველოს დაუძინებელი მტრების – სპარსეთისა და ოსმალეთის ხელისშეწყობით საქართველოსვე სამტროდ შექმნილი ეს პოლიტიკური ერთეული ქართველთა მძიმე მარცხის მაჩვენებელი იყო მტაცებელ-დამპყრობლებთან საუკუნოვან ბრძოლაში. ეს ფაქტი უშუალო კავშირში იმყოფებოდა ოსმალეთის მიერ მესხეთის, ქვემოგურიის და აფხაზეთის მიტაცებასთან, უშუალო კავშირში იმყოფებოდა ის ქართლის მიწაზე ყიზილბაშური სახანო-სასულტნოების შექმნასთან შორაგალში, ლორეში, ბორჩაღუში, ბაიდარში, ყაზახში, შამშადილში“... „გამოხსნა“ – „აღდგომისათვის“ მებრძოლი საქართველო ჭარ-ბელაქნის საკითხის გადანყევტას ამ ბრძოლის წარმატების წინაპირობად სთვლიდა. კახეთის ამ ნაწილის ისევე კახეთთან შეერთება, ჭარ-ბელაქნის სახელმწიფოს მოშლა და აქ „ქართველობის“ აღდგენა ის ერთადერთი რამ იყო, რომელსაც არა მარტო ისტორიული სამართლიანობა, არამედ საქართველოს გადარჩენის ამოცანა კატეგორიულად მოითხოვდა“²⁷. ამ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები ჩვენთვის სახელმძღვანელო დებულებებს წარმოადგენს ზემოაღნიშნული პრობლემის განხილვისას.

საინგილოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში განხილულია მ. დუმბაძის მონოგრაფიაში²⁸, ხოლო XIX საუკუნის პირველი მესამედის საინგილოს ისტორიის საკითხებს ეხება თ. პაპუაშვილის ნაშრომი²⁹.

ცალკე უნდა განვიხილოთ ის ნაშრომები, რომელთა ავტორები თანამედროვე აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები არიან. ამ მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ ის ნაშრომები, რომელნიც მიძღვნილი არიან საინგილოს ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისადმი. კერძოდ, აქ ჩვენ მხედვალობაში გვაქვს თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში (ისტორიული წუქეთი) მდებარე საკულტო არქიტექტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა: სოფელ კახ-ბაშის ბაზილიკა, ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკა და ლექეთის მრგვალი ტაძარი. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექეთის ტაძარი, რომელიც წარმოადგენს ე. წ. გუმბათიან კვადრატს – წრეში მოთავსებული ტეტრაკონქი, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. ყუმისა და ლექეთის ტაძრები ჯერ კიდევ 1892-1893 წწ. შეიძლება ითქვას, აღმოაჩინა და აღწერა ა. ხახანაშვილმა ზაქათალის ოლქში მოგზაურობის დროს³⁰. პ. ბარანოვსკი ყუმის ბაზილიკას VI ს-ით ათარილებს, ხოლო ლექეთის ტეტრაკონქი, მისი აზრით, VII საუკუნეში თავსდება³¹. განსხვავებული შეხედულებისაა დათარიღების საკითხში გ. ჩუბინაშვილი. ამ უკანასკნელის მიხედ-

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა)“, იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 274-275.

²⁸ მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953.

²⁹ თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი. ისტორიული ნარკვევი, თბ., 1972.

³⁰ А. С. Хаханов, Экспедиции на Кавказ в 1892, 1893 гг. МАК., т. VII под редакцией графини Уваровой, 1898, 33-35.

³¹ П. Д. Барановский, Памятники в селениях Кум и Лекит. Архитектура Азербайджана, Эпоха Низами, М., Баку, 1947, стр. 31-33.

ვით, ყუმის ბაზილიკა VIII საუკუნით თარიღდება, ლექეთის გუმბათიანი კვადრატი კი მიეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს³². რაც შეეხება სოფელ კახბაშის ბაზილიკას, სპეციალისტების ვარაუდით, მისი აგების ხანა უნდა განისაზღვროს იმ დროით, რომელსაც მიეკუთვნება ყუმის ბაზილიკა³³. გ. ჩუბინაშვილის მიერ ამ ძეგლების არქიტექტურულ ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დათარიღების საკითხში უფრო დამაჯერებელი და სარწმუნოა. ამ დათარიღებას მხარს უჭერს მატიანის ნიშანდობლივი ჩვენებანი. სწორედ VIII ს-ში, არჩილის მოღვაწეობის ხანაში, ისტორიული ნუქეთის (თანამედროვე საინგილო) ტერიტორიაზე დიდი სააღმშენებლო საქმიანობა წარმოებს. ამიტომ, არ შეეცდებით, თუ ყუმისა და ლექეთის ტაძრების აშენებას დავუკავშირებთ არჩილ მეფის სახელს.

საინგილოს ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აღნიშნული ძეგლების შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კ. ტრევერი, რომელიც ალბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში, ყუმისა და ლექეთის ტაძრებს განიხილავს, როგორც ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებს. გარდა ამისა, იგი იმონებს, და ამავე დროს იზიარებს კიდევაც ნ. ტოკარსკის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ლექეთის ტაძარი აშენებულია ალბანეთის მთავრის ჯევანშერის (638-670 წწ.) მიერ³⁴. ანალოგიური ხასიათის მცდარი შეხედულება გამოთქმული აქვთ აგრეთვე აზერბაიჯანის არქიტექტურის ისტორიის ავტორებსაც. ეს უკანასკნელნი, მიიჩნევენ რა ყუმსა და ლექეთს ალბანური ხელოვნების ნიმუშებად, წერენ: „Северо-западные области Азербайджана, где воздвигнуты эти сооружения (იგულისხმება ყუმი და ლექეთი – თ. პ.), в раннем средневековье были центром Кавказской Албании“³⁵.

ყუმი, ლექეთი და, საერთოდ, შექი-ბელაქნის ზონაში მდებარე სხვა ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები ტიპურ ალბანურ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებად არიან მიჩნეულნი სულ ახლახან გამოცემულ ა. კარახმედოვას მონოგრაფიაშიც³⁶.

უპირველეს ყოვლისა, დავინწყოთ იმის აღნიშვნით, რომ შეეძლო თუ არა ალბანეთის მთავარ ჯევანშერს VIII ს-ში ტაძარი აეგო ლექეთში და წარმოადგენდნენ თუ არა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი რაიონები ადრეულ შუა საუკუნეებში კავკასიის ალბანეთის ცენტრს. მოკლედ რომ ვთქვათ, შედიოდა თუ არა ნუქეთი აღნიშნულ პერიოდში ალბანეთის სამეფოში. ქართულ საისტორიო წყაროებში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვ.) არაერთი პირდაპირი ცნობა თუ ჩვენება მოიპოვება, რომლის მიხედვითაც პერეთი უძველესი დროიდანვე ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა; ცნობილია ისიც, რომ ვახტანგ გორგასლის

³² Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 132.

³³ Л. Г. Ишханов, Неизвестный памятник архитектуры Кавказской Албании (базилика в с. Ках-баш), Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964, в СССР, изд. А. Н. Азерб. ССР. Баку, 1965, стр. 152-153.

³⁴ К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Москва-Ленинград, 1959, стр. 297-306.

³⁵ М. Усейнов, Л. Б. Бретаницкий, А. Саламзаде, История архитектуры Азербайджана, Москва, 1963, стр. 29.

³⁶ А. А. Карахмадова, Христианские памятники Кавказской Албании (Алазанская долина), изд. А. Н. Азерб. ССР, институт истории, сектор археологии этнографии, Баку, 1986, стр. 3-28.

დროიდან (V ს.) ნუქეთის ქვეყანაში ზის საკუთარი მთავარი, რომელიც ჯერ ქართლის მეფეებს, შემდეგ კი ქართლის ერისმთავრებს ემორჩილება. ასეთი ვითარება გრძელდება ვიდრე VIII საუკუნის დასასრულამდე, როდესაც ჩამოყალიბდა ჰერეთის დამოუკიდებელი სამეფო და ნუქეთი გადაიქცა მის ერთ-ერთ საერისთავოდ; ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ VII-VIII სს. სომხური წყაროების (სომხური გეოგრაფია, ლევონდი) მიხედვით, ნუქეთი ქართლში შემავალი ქვეყანაა; დასასრულ, დადგენილია, რომ IV-VIII სს. ჰერეთი, მასში შემავალ ნუქეთთან ერთად, სამეფო დომენს წარმოადგენს, იგი სეფე-სახლის უშუალო საკუთრებაა, რომელზედაც ქართლის მეფის გარდა არაეის მიუწვდება ხელი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ ალბანეთის მთავარ ჯევანშირს VII საუკუნეში შესძლებოდა რაიმე ტაძრის აგება ქართლის მეფეების სამემკვიდრეოში. ეს ისევე გამორიცხული იყო, როგორც, დავუშვათ, ის ამბავი, რომ რომელიმე ქართლის მეფეს ჯევანშირის პირად სამფლობელო გარდამანში დაენყო რაიმე სახის მშენებლობა. ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული ფაქტებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება რაიმე მითითება ჯევანშირის ნუქეთში მოღვაწეობის შესახებ. სანიმუშოდ ავიღოთ თუნდაც მოსე კალანკატუელის ალბანეთის ისტორია, რომელშიც დანვრილებით არის აღწერილი ჯევანშირის პოლიტიკური მოღვაწეობა, ფართოდ არის გაშუქებული მისი სააღმშენებლო საქმიანობა, ციხეების, ეკლესიების აგება. და აი, აქ ჩვენ ვერ ვხვდებით რაიმე მცირე მინიშნებასაც კი ჯევანშირის მიერ ნუქეთში ლექეთის ტაძრის აშენების შესახებ. ამრიგად, როგორც დავინახეთ, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები არავითარ საფუძველს არ იძლევიან იმისათვის, რომ საინგილოს ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლები (ყუმი, ლექეთი) გამოცხადებულ იქნას ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. ისტორიულ მატრიანთა ჩვენებანი ასევე სრულიად გამორიცხავენ ალბანეთის მთავრის, ჯევანშირის, მიერ რაიმე სააღმშენებლო მოღვაწეობას ნუქეთში და აქ მის მიერ ლექეთის ტაძრის აგებას. წერილობითი წყაროების მონაცემებს მხარს უჭერს და ადასტურებს ამ ძეგლების არქიტექტურული ანალიზი, რომელიც მოცემული აქვს გ. ჩუბინაშვილს. ამ თვალსაზრისითაც, ყუმი და ლექეთი, მთლიანად და სავსებით, გვერდში უდგებიან კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს³⁷.

საინგილოს ისტორიის საკითხებისა და მისი მატერიალური კულტურის ძეგლების თვალსაზრისით მკვლევრად გვევლინება პროფ. ე. ა. პახომოვი. მან 1931 წელს გამოაქვეყნა საინგილოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი პირველწყარო, როგორიცაა XVIII ს-ში შედგენილი ანონიმი ავტორის „ჭარის ომების ქრონიკა“, რომელსაც დაურთო მეტად საგულისხმო შენიშვნები. განსაკუთრებით ფასეულია მისი ის შეხედულებანი და მოსაზრებები, რომელნიც ეხებიან აღმოსავლეთ კახეთში ავარიელი და ნახურელი ლეკების ჩამოსახლების პროცესს. იგი ცალკე გამოყოფს და ხაზს უსვამს ჭარის ომების ქრონიკის იმ ცნობებს, რომელნიც ნათელს ჰფენენ ამ პროცესის სოციალურ მხარეს³⁸.

³⁷ Г. П. Чубинашвили, *დასახ. ნაშრომი*, სტ. 63, 130-132, 226-228.

³⁸ «Хроника войн джара в XVIII столетии», Изд. Азербайджанского государственного научно-исследовательского института, историко-этнографическое отделение, Баку, 1931. примечание к ней Е. А. Пахомова, с. 52-53.

1950 წელს გამოქვეყნდა ე. ა. პახომოვის გამოკვლევა „Закатальская длинная стена“. ე. ა. პახომოვმა აღნიშნული კედლის მიდამოებში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ამ ძეგლის სისტემაში შემავალი სხვადასხვა სახის ნაგებობები – კოშკები, საცხოვრებელი, საკულტო დანიშნულების შენობები და სხვ. როგორც ირკვევა, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა ავტორს სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას არ აძლევს. იგი ეყრდნობა საკუთარ ვარაუდს, ინტუიციას და „ზაქათალის გრძელი კედლის“ სისტემას კასპიის ზღვისპირეთში აღმოჩენილი სასანური მშენებლობის ნაშთების ანალოგად თვლის. ამის საფუძველზე იგი ამ „გრძელ კედელსაც“ V-VII სს-ით ათარიღებს. ე. წ. „გრძელი კედლები“ ე. ა. პახომოვს მიაჩნია, როგორც მიჯნა, ზღვარი, მიწათსარგებლობის ორ – მომთაბარე-მესაქონლეობითა და ბინადარ-სამიწათმოქმედო ფორმას შორის³⁹. ე. ა. პახომოვის აზრით, ტერიტორია, რომელზედაც ეს ხუროთმოძღვრული ძეგლი მდებარეობდა საქართველოს ეკუთვნოდა. ქართველები ამ რაიონზე თავის გავლენას მხოლოდ XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისისათვის კარგავენ.

საინგილოს ისტორიულმა წარსულმა თავისებური ასახვა ჰპოვა აზერბაიჯანელი მკვლევრის გ. ა. გეიბულაევის სულ ახლახან გამოსულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში: «Топонимия Азербайджана (историко-этнографическое исследование)». როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, – «В работе на основе древних этнонимов и топонимов исследуется раннесредневековая этническая история населения на территории Советского Азербайджана. Рассматриваются этническая принадлежность племен Албании-Арана, и в связи с этим определены тюркские племена, принимавшие участие в формировании Азербайджанского народа»⁴⁰.

როგორც ვხედავთ, ავტორის მიზანი და ამოცანა ერთობ საპატიოდ და აქტუალურად გამოიყურება. მაგრამ, სამწუხაროდ, კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, ეთნიკურმა ისტორიამ გ. გეიბულაევის წიგნში ვერ ჰპოვა სათანადო და ღირსეული ასახვა. ავტორის მანკიერი სტილი, განზრახვა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან, – აი, ყოველივე ის, რაც იწვევს გაოცებას ამ წიგნში. არასწორმა და მანკიერმა მეთოდმა გამოიწვია ის, რომ გ. გეიბულაევის ნაშრომში ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქებისას დაშვებულია მიუტყეებელი, შეუწყნარებელი და უხეში პრინციპული ხასიათის მქონე შეცდომები. საქმე ეხება არა რომელიმე კონკრეტული ფაქტის არასწორ ინტერპრეტაციას და ანალიზს, საქმე ეხება არა ზოგიერთი მკვლევარისთვის დამახასიათებელ ტენდენციურობას, არამედ ავტორის მიერ ისტორიული ჭეშმარიტების შეგნებულ გაყალბებასა და დამახინჯებას. მიყვებით გ. გეიბულაევის „მსჯელობებს“ თანმიმდევრობით.

მთავარი „ღერძი“ წიგნისა – არის ცდა იმისა, რომ ძირძველი ქართული ისტორიული პროვინცია ჰერეთი, თავისი მოსახლეობით, ენით და კულტურით, წარმოგ-

³⁹ Е. А. Пахомов, «Закатальская длинная стена», Труды Азербайджанского государственного университета им. С. М. Кирова, серия историческая, вып. I, Баку, 1950, стр. 68-90.

⁴⁰ Г. А. Гейбуллаев, «Топонимия Азербайджана (историко-этнографическое исследование)», Академия Наук Азербайджанской ССР, сектор археологии и этнографии, редакторы: Ю. Б. Юсифов и В. Л. Гухасян, Баку-ЭЛМ, 1986, стр. 2.

ვიდგინოს, როგორც უცხო ეროვნული სამყარო. გ. გეიბულაევის შეხედულებით, მთელი ადრემუასაუკუნეების მანძილზე ჰერეთი ალბანურ სახელმწიფოებრიობაში შემავალი ქვეყანაა. ქართული ეროვნულ-კულტურული არეალის განუყოფელი ნაწილი ჰერეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მთელ დანარჩენ საქართველოსთან ერთიანი ცხოვრებით ცოცხლობდა, გ. გეიბულაევის წიგნში გამოცხადებულია, როგორც უცხო ელემენტი, მისგან გამოყოფილი და გამოთიშული⁴¹. რას ემყარება ავტორის ასეთი განცხადება? მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებს, ცარიელ, უაზრო მიმონაგონებს, ერთიმეორის გამომრიცხავ ანტიმეცნიერულ და საკუთარი ფანტაზიით შეთხზულ დებულებებს, მათ გვერდით კი არცერთი ფაქტი! მაგრამ ფაქტების უქონლობა ჩვენს ავტორში არ იწვევს არავითარ შეცბუნებას. მას აქვს შესანიშნავი უნარი სხვა „რამით“ შეცვალოს ისინი. აქ იგი, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს მისი მანკიერი მეთოდისათვის გამოსადეგ ისეთ ყოვლისშემძლე ფორმულირებას, როგორცაა: „На наш взгляд“, „видимо“, „по-видимому“, „следует предполагать“, „можно предполагать“ და სხვ. (ასეთი გამოთქმებით მთელი წიგნია აჭრელებული!). ასეთი გზით კი, როგორც ცნობილია, ყველაფრის „მტკიცება“ შეიძლება.

გ. გეიბულაევს შემუშავებული აქვს აგრეთვე ერთი, სხვა, მეტად ორიგინალური მეთოდი იმისათვის, რომ როგორმე გვერდი აუაროს მისთვის არასასურველ ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს. ესაა საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალა. და აი, სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ცდილობს ავტორი შეისწავლოს ჰერეთის ისტორია და გაარკვიოს ჰერების ეთნოგენეზის რთული საკითხები. მაგრამ აქ მკითხველის გაკვირვებას იწვევს ერთი მეტად უცნაური გარემოება: ველზე სამუშაოდ იგი მიემართება არა იქ, სადაც გეოგრაფიულად ჰერეთი მდებარეობს და სადაც დღეს ჰერები და მათი შთამომავალი ინგილოები ცხოვრობენ (ე. ი. საქართველოში), არამედ მის მარშრუტს სულ სხვა მიმართულებით მიყვება. ესაა დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, სადაც განსახლებულნი არიან ე. წ. „შაჰდაღის ეთნიკური ჯგუფები“: ხინალუგები, კრიზები და ბუდუგები, რომელნიც, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, ლაპარაკობენ დალესტინულ ენათა ოჯახში შემავალ ლეკური ჯგუფების ენებზე. ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფებიდან გეიბულაევის ყურადღებას განსაკუთრებით კრიზები იპყრობენ, რადგანაც, თურმე ნუ იტყვი, მათი ეთნიკური წარმოშობის გარკვევა იძლევა მეტად საყურადღებო და საინტერესო მასალას ადრემუასაუკუნეების ჰერეთის ისტორიის შესასწავლად (sic!). უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ გეიბულაევის შეხედულებებზე ჰერეთის ისტორიული განვითარებისა და აქ მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ, მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი მისი წიგნიდან:

„Кризы делятся на группы: хапутлины, кризы, ергуджи, еликцы и джекцы – соответственно по названию селений Хапут, Крыз, Ергудж, Элик и Джек.

Ключем к разгадке происхождения кризов является то, что Хапутлинцы, то есть, жители с. Хапут имеют самоназвание *her* (в единственном числе). Под этим же наименованием с незначительными фонетическими вариациями они известны и среди

⁴¹ Г. А. Гейбуллаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 82, 91-94.

жителей селений Элик и Джек, говорящих на диалектах крызского языка. Эликцы их называют **һоруд**, а джскцы – **һеруд**. В обоих случаях выделяются варианты самоназвания хапутлинцев – **һор** и **һер**, ибо частица «уд» в крызском языке является суффиксом.

Как отмечено, хапутлинцы и крызы (т. е. жители с. Крыз) в языковом отношении близки и образуют генетическое единство. Поэтому логично предполагать, что этноним **һэр** должен быть и самоназванием крызов. Действительно, топоним крыз является искажением от местного Герез – так называют крызы свое село. Эту мысль подтверждается еще тем, что соседняя Кавказоязычная этническая группа – будуги называют крызов **гер**ед, а хапутлинцы – **һер**ед. Как видно, в обоих случаях выделяются компоненты **һер** и **гер** с суффиксом **ез** (в ойкониме герез“) в крызском, **ед** (в наименовании Геред) – в будгском языках. В конечном счете оба названия – **герез**, и **гер**ед, означают «место һэров». Другим селением, в котором проживает одна из групп крызов, является **Ергудж**, в наименовании которого по нашему мнению, также отражен этноним **һер** в фонетической форме **ер**, с выпадением придыхательного «һ».

Таким образом, в этнопопонимах **Крыз** (от Герез) и **Ергудж** отражены этнонимы **гер** и **һер**, которые можно считать вариантами **һер** и, следовательно, самоназванием этнической группы Крызов в целом.

В связи с этнонимами **һер**, **гер** и **ер**, привлекает внимание этноним **һер** в древнегрузинском и **һеран** (вероятно, от этнонима **һер** и суффикса **ан**) древнесармянских источниках. Как известно, этноним **һер** (древнегруз. **һер** мн. число **һерни**) в древнегрузинских источниках обозначает определенную этническую группу или племя северо-западной части Кавказской Албании.

Как видно, есть основания считать эр-ов предками современных крызов, самоназваниям которых, как отмечено, является **һер**, **гер**, **ер**. Поэтому факт проживания предков крызов в этой зоне в раннем средневековье очевиден. Вероятно часть **һэр-ов** в связи с каким-то неизвестным нам событием, покинула свое исконное местожительство и, перейдя горный перевал, поселились на нынешнем месте – в северо-восточном Азербайджане. Среди Хапутлинцев сохранились предание о том, что их предки пришли на нынешнее место из города **Херна** (**һерна**) из северо-западного Азербайджана во время нашествия арабов... Из сказанного становится очевидным, что эры – предки современных крызов являлись одним из крупных Албанских племен.

Третьей этнической группой „Шахдагской группы“ являются Будугцы. Сохранилось предание, что они также пришли на это место со стороны современной Шеки-Закатальской зоны (Չ. ո. Յըրդուի Յըրդուրո՞ւղձձ – տ. ձ.). В связи с этим, можно лишь предполагать, что они также являются выходцами из той зоны, как Хиналугцы и Крызы.

Таким образом, современные Хиналугцы, Крызцы и Хапутлинцы являются остатками древнеалбанских племен Эров, упоминаемых в древнеармянских и древнегрузинских источниках⁴².

⁴² Г. А. Гейбуллаев, *ԳՆՆՆ. ԲՅՅՅՅՅ*, ՅՅ. 91-94.

ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ ვრცელი ამონაწერი გეიბულაევის წიგნიდან, რათა მკითხველს ნათლად დაენახა, თუ რა სახის მასალა მოიპოვა ავტორმა საველე მუშაობის დროს ჰერეთისა და ჰერების შესახებ. თუ კარგად ჩაუვუკვირდებით ამ მასალას და ამ მასალის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ჰერეთის ისტორიისა და ჰერების ეთნოგენეზის შესახებ, უმაღლეს დავრწმუნდებით, რომ მათ მეცნიერულობისა, სამწუხაროდ, არაფერი სცხია. მაგრამ ეს ცოდვის მხოლოდ ერთი მხარეა; უმძიმესი აქ ისაა, რომ პატივცემული გეიბულაევი, ამ თავისივე შეცდომის საფუძველზე, ვერ ამჩნევს, რომ მისი ასეთი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, მავნეა. მავნეა იმიტომ, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს შეგნებული ცდა ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის ფაქტების უხეში დამახინჯებისა. გეიბულაევის დასკვნებში მკაფიოდ გამოვლინდა ავტორის განზრახვა: მოსწყვიტოს ჰერეთი ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და მისი ისტორიული განვითარება ხელოვნურად დაუკავშიროს თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში განსახლებულ ე. წ. „შაჰდაღის ეთნიკურ ჯგუფებს“: კრიზებს, ხინალუგებს, ბუდუგებს და სხვ. და ეს ყველაფერი „ამტიკოს“ ისე, რომ არ მოიტანოს არცერთი ჭეშმარიტი და უტყუარი ფაქტი ან რეალური მეცნიერული მოსაზრებანი თავისი თეზისის სასარგებლოდ. ისე კი, თუ საამისო სურვილი ექნებოდა და თანაც სულ მცირე ობიექტურობას გამოიჩინდა, მას შეეძლო სულ ადვილად გარკვეულიყო ჰერეთის ისტორიის, მისი ტერიტორიული კუთვნილების და ჰერთა ვინაობის საკითხებში. ავტორიტეტულ და პირველხარისხოვან საისტორიო წყაროთა (ანტიკური, ძველი ქართული, ძველი სომხური, ბიზანტიური, არაბული და სხვ.) ჩვენებებზე დაყრდნობით სრულიადაც არ არის ძნელი ჰერეთის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის აღდგენა.

ზემოთ ჩამოთვლილ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები გვიდასტურებენ: უფრო ადრე თუ არა, უკვე ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ჰერეთი მტიკიცედ არის შემოსული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში. ასევე, მომდევნო III-IV სს-ში ჰერეთი და ჰერები აქტიურ მონაწილეობას ლებულობენ ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა IV ს-ის I ნახევარში, მირიანის მეფობის ხანაში, ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას. საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტთა შორის ერთ-ერთი ძირითადი რაიონი ჰერეთის ქვეყანა ყოფილა. ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ფაქტი თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საკითხთან, შუა საუკუნეებში რელიგიური ნიშანი, ე. ი. ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ინდივიდისა თუ კოლექტივის შესაბამის ეთნიკურ ერთობაში წევრად ყოფნა. ჰერების გაქრისტიანების საკითხის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო მათ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციაზე, არამედ მათ ეთნიკურ თვითშეგნებაზეც, მათ შეგნებაზე იმის შესახებ, თუ რომელ ეთნიკურ წრეში შედიან. და აი, ქრისტიანობის მთავარი დამწერგავი, ქრისტიანული კულტურის უახლოესი ცენტრი, ჰერეთისათვის იყო ქართლი. აქედან მოდიან მისიონერები, აქედან წარმოებს ქრისტიანობის პროპაგანდა და აქედანვე ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. აღებულ პერიოდში (IV ს. I ნახევარი) ჰერეთის გაქრისტიანებაში ქართლის გარდა სხვა რომელიმე ქრისტიანულ-საეკლესიო ცენტრის მონაწილეობა გამორიცხულია.

V საუკუნეში, სახელგანთქმული ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ჰერეთი ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთში ქალაქების, ეკლესიების, საეპისკოპოსო კათედრების (ბოდბე, ხორნაბუჯი და სხვ.) აგება-დაარსება და საერთოდ, მრავალი დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ღონისძიებების გატარება. ჰერეთი ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, აქ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმების შედეგად, ძირითადად და მთლიანად (ნუხის ოლქის ჩათვლით) ქართლის სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილია. ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია, კულტურაც – ქართული და პოლიტიკურადაც ჰერეთი ქართლშია.

კიდევ უფრო ნიშანდობლივია ცნობები VIII ს-ის ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის შესახებ ჰერეთში. ის აშენებს ციხე-ქალაქებს, აწყობს ქვეყანას ადმინისტრაციულად. არჩილსავე მიაწერენ წყაროები ნუხპატელების გაქრისტიანებას.

როცა შემდეგ, საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა (VIII-IX სს.) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი იყო ერთი იმ ქართულ ერთეულთაგანი, რომელიც ამ პროცესში ორგანულად მონაწილეობდა. ამ პერიოდში ჰერეთი ქართულია თავისი ეროვნული შეგნებით, პოლიტიკური მისწრაფებებით და პატრიოტული მრწამსით.

XI ს-ის 20-იან წლებში, კახთა მეფე კვირიკე III დიდის (1009-1037) დროს, დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესიც; ხოლო XII ს-ის I მეოთხედში, დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ხანაში, ჰერეთის ქვეყანა საბოლოოდ მოექცა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებს შიგნით. ჰერეთი ხდება ერთობლივი საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, ყოველივე ამის ცოცხალი და უტყუარი მოწმეა ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დღემდე შემონახული ტიპური ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, ქართული ტომონიმიკა და ბრწყინვალე ნიმუშები ქართული ეპიგრაფიკისა.

რაც შეეხება ეთნონიმ her-er-ის შესახებ გეიბულაევის მიერ მოცემულ ახსნა-განმარტებას, იგი ძირშივე მცდარია. ყოვლად შეუძლებელია ამ ეთნონიმის მნიშვნელობის გარკვევა ე. წ. „შახდალის ეთნიკურ ჯგუფში“ შემავალ დალესტნური ტომების (კრიზების, ხინალუგების, ბუდუგების და სხვ.) ენობრივი მონაცემების მიხედვით. ეთნონიმ her-er-ის ახსნისათვის მთავარი გასაღები ქართულ ენობრივ სამყაროში უნდა ვეძებოთ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულების თანახმად, ეთნონიმ her-er-ს საფუძვლად უდევს უძველესი ქართული სოციალური ტერმინი „ერი“.

გეიბულაევის ნაშრომის II თავის I პარაგრაფი მთლიანად მიძღვნილია საინგილოსა და ამ ქვეყნის მკვიდრ ინგილოების ისტორიის საკითხებისადმი⁴³. აქაც მკვეთრად იჩენს თავს ავტორის მანკიერი მეთოდოლოგია. გადაუჭარბებლად შე-

⁴³ Г. А. Гейбуллаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-82.

ძილება ითქვას, რომ უთაებოლო მსჯელობანი და წინააღმდეგობები ნაშრომის ამ ნაწილში გაუგებარ მასშტაბებს აღწევს. მაგრამ უმჯობესია მოვიტანოთ ავტორისეული ტექსტი, რათა უფრო ცხადი გახდეს, თუ რანაირ „მეცნიერულ“ ცოდნას აწვდის გეიბულაევი მკითხველთა ფართო საზოგადოებას ინგილოების შესახებ. აი, ისიც: „Ингило (от азерб. «иенгелой» – в связи с отсутствием фонемы «й» в Грузинском языке) – название этнической группы, проживающей компактно и смешано с азербайджанцами, аварцами и цахурами в Закатальском, Кахском и Белаканском районах Азербайджана. Представители этой группы (в основном мусульмане, незначительная часть – христиане) говорят на одном из восточных диалектов Грузинского языка.

С XIX в. существует мнение, что Ингилойцы по этнической принадлежности являются грузинами, принявшими в начале XVIII в. исламскую религию, в связи с чем возник этноним ингилой, якобы от азерб. йенги „новый“ и йол „путь“ – т. е. „новообращенный“.

Однако, происхождение этнонима ингилой от предполагаемого „иенги йол“ (букв. „новый путь“), на наш взгляд, ничем не аргументировано, ибо ни грузинский „ингило“, ни азербайджанский „иенгелой“ для этой этнической группы не является самонаименованием. По полевым данным, азербайджанцы ингилойцев называют гелой. Есть основания считать, что этноним йенгелой образовался от азербайджанского йени „новые“ и найменования гелой у азербайджанцев (село Илису Кахского р-на), гелоу – у аварцев, гелаву – у цахур для обозначения ингилойцев. Следовательно, инонмайменования гелой, гелоу, гелаву, видимо, восходит к забытому самоназванию самих ингилойцев.

Таким образом, компонент йени (а не „йенги“ как считают до сих пор), т. е. „новые“, добавлен азербайджанцами к этнониму гелой после принятия его носителями – христианами новой религии – ислама в начале XVII в., в результате чего и возник этноним иенгелой (вернее, йени + гелой) – „новые гелой“.

Компонент гелой можно было бы связать с древним этнонимом гел, носители которого, по сообщению Страбона (I в.), жили „между амазонками и албанцами“... считают, что „гелы жили в горах кавказа“ или „на северном Кавказе“. По видимому, прав К. Алиев, утверждая, что гелы жили в южном Дагестане.

Однако, этническая и языковая принадлежность гелов Албании (предков современных ингилойцев) до сих пор окончательно не выяснена.

В. Дондуа считает, что „Кахи (или часть Кахов) и эры являлись позднейшими ингилойцами, а по В. А. Гукасяну, „по всей вероятности, на основе удинского диалекта этой зоны, в средних веках образовался ингилойский диалект Грузинского языка“. Однако, с их мнениями трудно согласиться, поскольку, ингилойцы имеют свое самостоятельное название, тогда как уд (и) и ჰჳრ (ჳრ) – это самоназвания современных удин и крызцев – хапутлинцев.

Как известно, носители этнонима гел, к которому восходит современный Гилан в северном Иране, античными авторами отмечаются также у юго-западного побережья Каспия... К. В. Тревер и З. И. Ямпольский считают указанных гелов идентичными, с чем следует согласиться. Следует предполагать, что гелы в северо-западной Алба-

ნიი როდსთეიში პო ეთნიკური და ჯიკური პრინაღილუბი ს გელა იუგო-ზაპადიი კასპი და პერვონაჩალი ბილი ირანოჯიკური...

В свете сказанного можно допустить, что гелы – предки ингилоцев были ираноязычным племенем в Албании...

Надо отметить, что названия, объясняющиеся в связи с грузинским языком, отсутствуют в местах расселения ингилоцев. Они живут в селах Енгиан, Тасмали, Загам, Караган, Алибеглу, Котуклу, Мешербаш, Ках-ингилой. Но есть древние топонимы, в которых отражен, по видимому, именно этноним гел. К ним относятся Гелда и Гелаву⁴⁴.

გეიბულაევის წიგნიდან ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ დასკვნაში წარმოდგენილი დებულებები თავიდან ბოლომდე არასწორი, ყალბი, უსაფუძვლო და ტენდენციური. აქვე გვსურს განსაკუთრებით მივუთითოთ გეიბულაევის კვლევის მეთოდისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშანდობლივ თვისებაზე: თავისი დებულებების დასამტკიცებლად მას ვერ მოაქვს ვერავითარი სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთი ან რაიმე უტყუარი მონაცემი საისტორიო წყაროებიდან, რის გამოც მისი დასკვნები შიშველი, დეკლარაციული ხასიათის მქონე განცხადებად რჩება. აქ საქმეს ვერ შველის ვერც საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალა. ასეთ ვითარებაში კი აშკარად ვლინდება გეიბულაევის შეგნებული განზრახვა: ინგილოები, რომელნიც თავისი ეთნიკური წარმოშობით თავანკარა ქართველები არიან, გამოაცხადოს დალესტნის მთებში მცხოვრებ ირანულენოვანი ტომების, გელების, შთამომავლებად და გენეტიკურად დაუკავშიროს ისინი ჩრდილო ირანსა (გილანი) და კასპიის ზღვის სამხრეთ –დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს: ამარდებს, კადუსიებს და ანარიაკებს (!!, გვ. 81). ვფიქრობთ, მკითხველი თავადაც ადვილად მიხვდება, თუ რისთვის სჭირდება გეიბულაევს ასეთი დაუსრულებელი ტყუილზრადო ლაპარაკი საინგილოს ტერიტორიული და ეთნიკური კუთვნილების საკითხზე. სავსებით ცხადი ხდება, რომ აქ ჩვენ, საისტორიო მეცნიერების ისტორიაში, საქმე გვაქვს ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯების უპრეცედენტო შემთხვევასთან – ცდა იმისა, რომ ინგილო-ქართველებს წაართვან სამშობლო, ენა, კულტურა და გამოაცხადონ ისინი სულ სხვა ეროვნულ კულტურული კოლექტივის წევრებად.

ვიდრე დანვრილებით განვიხილავდეთ გეიბულაევის დასკვნებს, მანამდე საჭიროდ ვთვლით მოვახდინოთ მცირე ექსკურსი საინგილოს წარმოქმნის ისტორიიდან. საინგილო არის მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში შედის და მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ XVIII-XIX სს-ის დასაწყისიდან დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. საინგილო შედგებოდა ორი პოლიტიკური ერთეულის – ჭარ-ბელაქნისა (კაკ-ელისენი) და ელისუს (კაკის) სასულთნოებისაგან. მისი ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინციის ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს-ის დასაწყისში ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა. XVI-XVII სს-ში პოლიტიკურმა

⁴⁴ Г. А. Гейбуллаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-82.

ცვლილებებმა კახეთის სამეფოში, ოსმალებისა და სპარსელების გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მის ადგილზე სახლდებოდნენ ნახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა ვითარებაში ეს კუთხე (საინგილო) საერთოდ მოსწყდა კახეთის სამეფოს. XVIII საუკუნის I მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის, ჯინიხის) და ნახურელი (ნახურის, ელისუს, სუვაგლის და ყარადულაქის) ლეკების ე. წ. თავისუფალი (უბატონო) თემები, რომელთაც ოსმალეთ-ირანის მხარდაჭერით კახეთის სამეფოს ძირძველი ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწა-წყალი დაიპყრეს, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა (მერმინდელი ინგილოები) დაიმორჩილეს და დააყმევეს. თითოეული ეს თემი თავის მხრივ იყოფოდა გაბატონებულ ლეკთა თავისუფალ სოფლებად და დამორჩილებული ინგილოებისა და მულალების სოფლებად, რომელნიც იხდიდნენ გადასახადს ამ ე. წ. მფლობელი თემების სასარგებლოდ. ეს სოფლები წყაროებში იწოდებიან საქეშქელო სოფლებად (ქეშქელი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ინგილოები და მულალები ლეკთა სასარგებლოდ იხდიდნენ).

XIX ს-ის დასაწყისის (1826) სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ჭარის თემის საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური (ე. ი. ქართული) იყო შემდეგი: ალიაბადი, თასმალო, ზაგამი, ჰენგიანი, ვერხვიანი, მოსული და ითი-თალა.

თალას თემის საქეშქელო სოფლებიდან ქართული (ინგილოური) იყო ყანდახი და ყაპანახჩი.

ჯინიხის თემის სამი საქეშქელო სოფლიდან ორი ქართული (ინგილოური) იყო: მარსანი და ლალა-ფაშა.

ელისუს (კაკის) სასულთნოში ქართული (ინგილოური) სოფლები იყო შემდეგი: კახი, ალიბეგლო, მეშაბაში, სუსკენტი, ყორალანი, შოთავარი და ბეუკ-ქეთუქლო. ეს სოფლები ბეუკ-ქეთუქლოს გარდა, ელისუს სულთნის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდა.

აი, ასე წარმოიშვა ფეოდალური საქართველოს მიწაზე ახალი პოლიტიკური ერთეული „თავისუფალი“ („უბატონო“) „ლეკური“ თემების სახელმწიფო. მას ჭარბელაქანი ან მარტივად საინგილო ეწოდა ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის – ინგილოების სახელწოდებისაგან. დაპყრობილი ქართული სოფლები გაბატონებულმა ლეკებმა მძიმედ დაბეგრეს. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგრულ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“, განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიაც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი თუ ნახურელი. როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღიარებული, ტერმინი „ინგილო“ წარმომდგარი უნდა იყოს საინგილოს ერთ-ერთი ქართული სოფლის „ჰენგიანის“ სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათანობით ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად მთელი ამ მხარის ქართული მოსახლეობისა. ასე რომ, „ინგილო“ არის არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნება. ტერმინ „ინგილოს“ ეთნონიმად მიჩნევა (როგორც ამას გეიბულაევი აკეთებს) აშკარა შეცდომაა. ე. ი. „ინგილო“ არ გამოხატავს ერის ცნებას, ინგილოები თავისი ეროვნებით არიან ქართველები. ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გათვალისწინე-

ბული მეფის რუსეთის ოფიციალურ მოხელეებსაც კი. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ XIX ს-ში რამდენჯერმე მოახდინა საინგილოს მხარის მოსახლეობის კამერალური აღწერა (1859, 1871, 1886 წწ.) და აი, როდესაც ვეცნობით ამ აღწერების იმ მასალებს, რომელნიც ინგილოური სოფლების მოსახლეობის ეროვნებას შეეხება, ვხედავთ, რომ ყოველი ინგილოური სოფლის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში, საგანგებოდ და გარკვევით არის აღნიშნული: ეროვნება – ქართველი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, ნათელი ხდება, თუ რამდენად მცდარია გეიბულაევის თეორია ინგილოთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. აქ მკითხველის გაკვირვებას უფრო მეტად შემდეგი გარემოება ინვევს: გეიბულაევი, რომელიც სპეციალურად ეთნიკური ისტორიის საკითხებს იკვლევს, ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს ეთნიკურ და სოციალურ ტერმინებს. ასეთმა აღრევამ იგი მძიმე და უხემ შეცდომამდე მიიყვანა: ჩათვალა რა სოციალური ტერმინი „ინგილო“ ეთნონიმად, მასზე დაყრდნობით მცდარი დასკვნა გააკეთა – ინგილოები ეთნიკური წარმოშობით ირანულენოვანი დალესტნური ტომების გელების შთამომავალნი არიანო!!

ნაშრომის 82-ე გვერდზე გეიბულაევი ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე აღნიშნავს, რომ ინგილოთა დასახლების ადგილებში ქართული წარმოშობის სახელწოდებანი არ მოიპოვებო! აქაც, სავსებით აშკარად და შეგნებულად, ავტორს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. საინგილოს ტოპონიმების, ოიკონიმების, ჰიდრონიმების და საერთოდ, პუნქტებისა თუ ადგილის სახელწოდებათა ზერელე გაცნობაც კი სანინაალმდეგოს ამტკიცებს.

ჩვენ არ შევუდგებით საინგილოს ტოპონიმიკური მასალის მთელი სისრულით განხილვას. უამრავი მასალიდან მოვიყვანთ მხოლოდ მცირე ნაწილს. ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებიდან მკვიდრ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი შემდეგი სახელები: შავი მთა, საყარაულოს მთა, წერეთლის მთა, წალკოტის მთა, ჭინჭრის მთა, ფიფინეთის წყალი, ორღელე, მოსაბრუნი, მუხახი, ვერხვიანი, ჭანდარი, ჩინარი, კახი, მოსული, შოთავარი, წინუბანი, ნამარნევი და სხვ. ქართული წარმოშობის ადგილების სახელებია: თაფლი ღელე (ღელეა სოფ. ყუმთან), თიზირ-მთის ძირი (სოფ. კახის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი უბანი), თხილიან ადგილი (სოფ. კახში ერთ-ერთი უბანი), კონცხი ღელე (ჰიდრონიმი; ღელეა, სოფ. თოფახში), კორკორაე (მთა კახთან ახლოს), კურუზალ (კვირაძალი, კვირაცხოვლობის სახელობის საყდარი სოფ. თასმალოში), წაბლიანი (მთა სოფ. ყუმში) და მრავალი სხვა. საერთოდ, ამგვარ ტოპონიმთა რიცხვი ძალზე დიდია. ზემოთ ჩამოთვლილი ქართული სახელწოდებები ერთადერთი დასახელებაა ამ ადგილების აღსანიშნავად და მათ დუბლიკატები აზერბაიჯანულ ენაზე არ გააჩნიათ.

საინგილოს ისტორია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან. ამის უტყუარი ცოცხალი მონმეა თვით ქართული ენის ინგილოური დიალექტი. საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა ქართული ენის ინგილოური მეტყველების შეჯვარდინება ჯერ ხუნძური ენის, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანული ენის საინგილოს მიდამოების მეტყველებასთან. მართალია, ზოგიერთი სოფლის მეტყველება შეიქმნა ამის მსხვერპლი, მაგრამ ინგილოურმა კილომ გაუძლო საუკუნეების ქარტეხილებს და ძირითადად შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა, ძირითადი სიტყვიერი ფონდი და ფონეტიკური

მხარე. ასე რომ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის განვითარების ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული თვით ინგილოების ისტორიასთან.

გეიბულაევის ნაშრომის კიდევ ერთი ნაკლი ისიც არის, რომ იგი თითქმის არ ცნობს (თუ შეგნებულად არ იყენებს?!) საინგილოს ისტორიის შესახებ არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას. ამ ნაშრომების გაცნობა კი ფრიად სასურველი უნდა ყოფილიყო გეიბულაევისათვის: იქნებ რამდენადმე მაინც დააზღვევდა მას უხეში შეცდომების დაშვებისაგან.

ჩვენ განვიხილეთ მთელი რიგი სრულიად უსაფუძვლო დებულებებისა, მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებისა გეიბულაევის წიგნში. ამასთან ერთად დავრწმუნდით აგრეთვე იმაში, თუ როგორი არაობიექტურობით და ტენდენციურობით უდგება ავტორი კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლას და გაშუქებას. ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, კი გამოიწვია ის, რომ გეიბულაევის ნაშრომში ჩვენ გვხვდება პერეთისა და საინგილოს ისტორიული სინამდვილის დამახინჯებისა და გაყალბების მრავალი მაგალითი.

ზედმეტი კომენტარიც კი არ არის საჭირო იმის დასადასტურებლად, თუ რა უარყოფითი და სავეალალო შედეგები შეიძლება გამოიღოს გეიბულაევის ნაშრომმა „აზერბაიჯანის ტოპონიმია“, რომელშიც ზაქათალა-შექის ზონის (ე. ი. პერეთისა და საინგილოს ტერიტორიის – თ. პ.) უძველესი დროიდანვე ალბანეთის, ხოლო შემდგომში კი აზერბაიჯანის შემადგენლობაში ყოფნა „დასაბუთებული“. მაგრამ აღნიშნული ნაშრომის ჩვენს მიერ დანვრილებით განხილვამ სრული სიცხადით დაგვარწმუნა იმაში, რომ გიასადდინ ასკერ ოლი გეიბულაევის მეცნიერული ექსპანსია მოკლებულია ისტორიულ საფუძველს⁴⁵.

ყოველი ახალი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება საინგილოს პოლიტიკური ისტორიის, მისი თავგადასავლის, ისტორიულ-გეოგრაფიული და კულტურული განვითარების საკითხების შესწავლას, ქართველი ისტორიკოსების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. სულ ახლახანს, 1998 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გამომცემლობა „სედა“-ს მიერ ქ. ბაქოში, აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემულ იქნა ბროშურა სახელწოდებით – „კახის ძეგლები“, რომლის ავტორები არიან კახის რაიონის გაზეთ „შელელა“-ს რედაქტორი, ჟურნალისტი ჰ. აზიმოვი და ამავე რაიონის მკვიდრი, განათლებით ეკონომისტი, შ. აჰმედოვი. როგორც თვით ავტორები აღნიშნავენ, „ეს ბროშურა ცეცხლთა სამშობლოს აზერბაიჯანის მომავადობელები კუთხის – კახის რაიონის ისტორიული ძეგლების შესახებაა. წიგნი ეპოქათა ქვის მათიანედ ქცეულ ამ ნაგებობათა სათითაოდ გაცნობის მიზნით შევადგინეთ. ამისათვის კვლავ ვენვიეთ ამ ძეგლებს. შევისწავლეთ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა, გადავხედეთ ამავე თემაზე ჩვენზე ადრე მოღვაწე ავტორთა შრომებს. ვნახეთ, თუ რამდენი ობიექტია ჯერ მარტო კახის რაიონში, რომლებიც უნდა შევითანოთ ისტორიის სახელმძღვანელოებში. ვასწავლოთ სკოლის მოსწავლეებსა და

⁴⁵ გ. ა. გეიბულაევის ნაშრომზე – «Топонимия Азербайджана» – 1987 წელს ჩვენს მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული იქნა რეცენზია, იხ. Тенгиз Папуашвили, Истина прежде всего, «литературная Грузия», 1987, № 11, გვ. 182-194; 1999 წელს იგივე რეცენზია დაიბეჭდა ქართულადაც, იხ. თ. პაპუაშვილი, Г. А. Гейбулаев, Топонимия Азербайджана, საქართველოს ფოლკლორის ხანის ისტორიის საკითხები, VII, გამ. „ცოტნე“, თბ., 1999, გვ. 237-252.

სტუდენტებს. მოვამზადოთ მათ შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე და გავაცნოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას“⁴⁶.

როგორც ვხედავთ, ავტორთა მიზანი და ამოცანა ერთობ საპატიოდ და აქტუალურად გამოიყურება. აქედან გამომდინარე, ჩვენც სწორედ ასეთი განწყობით და ინტერესით ავიღეთ ხელში დასახელებული ავტორების წიგნი, მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნის პირველივე გაცნობამ ჩვენზე მეტად დამამძიმებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ავტორები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული და მზამზარეული „მეცნიერული“ სქემებით, რომლებთანაც ცდილობენ პირველწყაროებისა და თავიანთი ე. წ. „დასკვნების“ შეგუებას. ბროშურის ავტორებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – ყოველგვარი, თვით დაუშვებელი საშუალებებითაც კი – „დაამტკიცონ“, რომ ისტორიული ალბანეთი მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც ამჟამად უკავია აზერბაიჯანის რესპუბლიკას. წიგნაკში ტოლობის ნიშანია დასმული „ალბანეთისა“ და „აზერბაიჯანის“ სახელწოდებებს შორის, აქედან გამომდინარე კი „ალბანელისა“ და „აზერბაიჯანელის“ ცნებებს შორისაც, ხოლო ალბანეთი გამოცხადებულია ისტორიულ აზერბაიჯანად. მაგრამ აქ ჩვენს ავტორებს „აეინყდებათ“ და მხედველობის გარეშე რჩებათ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და მეტად საგულისხმო გარემოება: აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამედროვე სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ძირითადად ყალიბდებოდა XIX-XX საუკუნეების სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად, არ ემთხვევა შუა საუკუნეების ეპოქის ისტორიულ-კულტურული მოვლენების არეალს.

ბროშურის ძირითადი იდეის თანახმად, ისტორიული საქართველოს ძირძველი აღმოსავლური პროვინცია ჰერეთი, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსაც შეადგენდა თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორია და რომელიც ისტორიულ წყაროებში ნუქეთის სახელწოდებით მოიხსენიებოდა, თავისი მოსახლეობით, ენით და კულტურით წარმოდგენილია, როგორც უცხო ეროვნული სამყარო. ავტორთა შეხედულებით, ქართული ეროვნულ-კულტურული კოლექტივის განუყოფელი ნაწილი ჰერეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მთელ დანარჩენ საქართველოსთან ერთიანი ცხოვრებით ცოცხლობდა, პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის წიგნში იგი გამოცხადებულია, როგორც უცხო ელემენტი, მისგან გამოყოფილი და გამოთიშული. საისტორიო წყაროთა მიხედვით, საკუთრივ ჰერეთის ცნება ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნობის მნიშვნელობით მოიცავდა შიგნით კახეთს, გაღმამხარს (მდ. ალაზნის ველი) და ნუქეთის resp. კაკ-ელისენს – დაახლოებით დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი მხარე (ძველი საინგილო). აი, ეს ტერიტორია ცხადდება კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთ ოლქად, მისი მოსახლეობა – ალბანელებად, მათი კულტურა – ალბანურად. აი, თურმე რა! კალმის ერთი მოსმით ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის უძვირფასესი ძეგლები მიჩნეული ხდება ალბანურად, ხოლო რამდენადაც, ავტორთა აზრით, ალბანელები ეს დღევანდელი აზერბაიჯანელები არიან, ამდენად, აზერბაიჯანულადაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ძეგლების უდიდესი ნაწილი შეიქმნა კარგა ხნით ადრე ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკების შემოსევამდე. ბუნებრივია, ასეთი წინასწარაკვიატებული მიდგომისას „ნაშრომმა“ არსებითად დაკარგა თავისი მეცნიერული ღირებულება, ავტორთა „დასკვნების“ უმეტესი ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა დეკლარაციული განცხა-

⁴⁶ პ. აზიმოვი, შ. აჰმედოვი, კახის ძეგლები, 1998, გამ. „სედა“, გვ. 9.

დებები, რომლებიც მოკლებულნი არიან აუცილებელ არგუმენტაციას. პირველივე აზრი, რომელიც გაგვიჩნდა ამ ნაშრომის გაცნობისას, იყო ის, რომ მოგვეხდინა მისი იგნორირება და არ მიგვექცია სერიოზული ყურადღება. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჩვენ ძირშივე მცდარად მივიჩნიეთ. წაყრუების პოლიტიკას ყოველთვის ნეგატიური შედეგები მოსდევს ხოლმე. ავტორები ან ნეტარ უცოდინარობაში იმყოფებიან, ან შეგნებულად ამახინჯებენ ფაქტებს, როდესაც წერენ, რომ დღევანდელი კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, თანამედროვე ინგილოები, ეთნიკურად ალბანელები არიან, კერძოდ კი, ავტორები დაჟინებით ცდილობენ „დაასაბუთონ“, რომ ინგილოები ალბანელთა ერთი ნაწილის, სპარსულენოვანი ტომების გელების შთამომავალნი არიან-ო. აქ კი, უკვე, აშკარად ვლინდება ავტორთა ტენდენციურობა. დავრწმუნდით რა ავტორების მხრიდან მეცნიერული კეთილსინდისიერების სრულ უქონლობაში, მივხვდით, რომ ეს იყო შედეგი არა მეცნიერული ცდომილებისა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით კარგად მოფიქრებული მიმართულება თანამედროვე აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც სამართლიანად უნდა დაიგმოს, რადგანაც იგი დარტყმას აყენებს ამიერკავკასიის ხალხების ინტერნაციონალურ მეგობრობას და შეურაცხყოფს ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებს. ზემოთ მოტანილი გიგანტური ცრუკონცეპციის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე ჰერეთი ალბანეთში შემავალი ქვეყანაა, ხოლო ამ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველური ტომი ჰერები კი ეთნიკურად ალბანელები არიან. აქედან გამომდინარე, კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებიც (ინგილოები) ალბანელები ხდებიან, რადგანაც აღნიშნული ტერიტორია შეადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც ისტორიულ წყაროებში ნუქეთის სახელწოდებით იხსენიება. კომენტარი აქ უკვე ზედმეტია. შ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის სახით, სამწუხაროდ, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ავტორებთან, რომელნიც საჭირო შემთხვევაში დიდი სიმკაცრით გამოვიდოდნენ ნამდვილი ალბანელების წინააღმდეგ, თუკი ისინი დღეს, რაღაც სასწაულით, მოგვევლინებოდნენ მტკვრის ჩრდილოეთ სანაპიროზე. მაგრამ ნამდვილი ალბანელები აღარ არსებობენ და ამ მიმართებით მათ „ბედმა გაუღიმა“, ამიტომ ისინი შეიძლება თამამად გამოვაცხადოთ აზერბაიჯანელების წინაპრებად და გამოვიდეთ მათი „ინტერესების“ დასაცავად. მაგრამ აი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ბელაქნის და ზაქათალის რაიონებში ცხოვრობს ქართული ავტოქტონური მოსახლეობა (რომელთა რიცხვი ქრისტიანი და მუსლიმანი ინგილოებისა ერთად აღებული 30000 სულზე მეტს აღწევს) და სწორედ ისინი სურთ გამოაცხადონ ალბანელებად. ასეთი ყალბი და მოდერნიზებული თეორიები უნდა აღმოიფხვრას, რადგანაც ისინი ფართო მკითხველთა მასას თავგზას უბნევს, უნერგავს მას ყოველნაირ მავნე და უთავბოლო, უაზრო იდეებს.

საკმარისია ეს ბროშურა უბრალოდ გადაფურცლო, ზერელედ გაეცნო მის შინაარსს, წაიკითხო წინ წამძღვარებული ბროშურის რედაქტორთა (არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი ვიდადი მურადოვი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გაფარ ჯაბიევი) ფიქრები აღნიშნულ ნაშრომზე, რომ უმაღლვე ცხადი შეიქნას ამ თითქოსდა უწყინარი გამოცემის არსი და ის მგზნებარე სულისკვეთება, რითაც მისი გამომცემლები არიან გამსჭვალულნი. ნაშრომში განხილული ძეგლების შერჩევის პრინციპი ცხადყოფს, რომ ავტორებს გაცილებით შორს გამიზნული და

მიზანმიმართული ზრახვები ამოძრავებთ, ვიდრე უბრალოდ აზერბაიჯანული არქიტექტურის შესწავლა. წიგნის ერთ-ერთი რედაქტორი, არქიტექტორი ვ. მურადოვი მიიჩნევს რა კახის რაიონს იმთავითვე კავკასიის ალბანეთის გეოგრაფიული და კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში შემავალ მხარედ, აღნიშნავს: „წიგნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ის, რომ გვიჩვენოს იმ უცხოელ მეცნიერთა (იგულისხმებიან ქართველი მეცნიერები – თ. პ.) მისწრაფებების სრული უსაფუძვლობა, რომელთაც თავიანთ ნაციონალურ მიდრეკილებებს ანაცვალეს მეცნიერული უტყუარობა და ისტორიული ჭეშმარიტება. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მიითვისონ კახის რაიონის ტერიტორია და იქ არსებული ძეგლები“⁴⁷. ხოლო მეორე რედაქტორი, ისტორიკოსი გ. ჯაბიევი კი წერს: „არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, თუ როგორ მახინჯდება ჩვენი ნამდვილი საზღვრები იმ სტატიებსა, წიგნებსა თუ რუკებზე, რომლებიც იბეჭდება დაღესტანსა და საქართველოში ცალკეული სეპარატისტული ელემენტების მიერ. დაე, აზერბაიჯანის საზოგადოებრიობამ და კახის მოსახლეობამ იცოდეს, რომ ერთ-ერთი ის ტერიტორიათაგანი, რომელშიც სეპარატისტული ძალები ხელებს ურევენ, სწორედ კახის რაიონის ტერიტორია გახლავთ. რა თქმა უნდა, კახის თითოეული მცხოვრების ვალია იცოდეს, თუ საიდან მოდის და საიდან იღებს სათავეს ასეთი ფანტაზიები და წინ აღუდგეს მას. ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი წიგნის ავტორებმა გადაადგეს აუცილებელი ნაბიჯი მიმართული თავიანთი სამოქალაქო ვალის აღსასრულებლად“⁴⁸.

ეკითხულობთ და გაცვებას ვერ ვმალავთ: თვით წიგნის რედაქტორებს ხომ კარგად მოეხსენებათ ბროშურის ავტორების სპეკულაციური კონცეფციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ალბანია-აზერბაიჯანი მთლიანად მონოეთნიკურ ქვეყანას წარმოადგენდა და, რომ ამით ისინი ფაქტობრივად უგულვებელყოფენ დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონების ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველი ხალხის მრავალათასიანი ტერიტორიული ჯგუფის მრავალსაუკუნოვან ეთნიკურ ისტორიას და კულტურას. და რაოდენ დასანანია, რომ სწორედ ყოველივე ამაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს წიგნის რედაქტორები, რომელნიც ცდილობენ მკითხველს ჩაუნერგონ ალბანია, ისტორიული აზერბაიჯანის ან ალბანურ-აზერბაიჯანული მიწების აუცილებელი დაცვის იდეა ქართველ მეცნიერ-მკვლევართა მხრიდან ხელყოფისაგან. ამ უკანასკნელთ წიგნის რედაქტორები აბსურდულ ბრალდებებს უყენებენ და სეპარატისტულ ელემენტებად მოიხსენიებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კახის რაიონს, სავსებით სამართლიანად, ისტორიული საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად მიიჩნევენ. ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს თანამედროვე აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა ტრადიციულ (ხან აშკარა, ხან კი შეფარულ) ტენდენციასთან, რომლის საბოლოო მიზანს შეადგენს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიული პროვინციის საინგილოს ისტორიის გაყალბება, აქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლების მისაკუთრება. აქედანვე გამომდინარეობს მათ მიერ იმ მეცნიერთა ნაშრომების მტკიცებულად აღქმა, რომელთა აზრითაც, საკუთრივ ალბანური ცივილიზაცია რაღაც პარამეტრებში ჩამორჩებოდა მეზობელ სომხურ და ქართულ ცივილიზაციას.

⁴⁷ ვ. აზიმოვი, შ. აჰმედოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

⁴⁸ იქვე, გვ. 7.

სიძველეთა მეცნიერება არ ოპერირებს ამგვარი მოტივებით, იგი ისტორიის რეკონსტრუქციას ახდენს პირველწყაროების ობიექტური შესწავლის საფუძველზე და ალაღვენს მას ისე, როგორც იყო სინამდვილეში. მეცნიერთა მიერ მოწოდებულმა მეცნიერულმა ცოდნამ უნდა ახსნას თანამედროვე რეალობის მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი, მათ შორის ამა თუ იმ რეგიონში არსებული შერეული ეთნიკურობის სათავეები და ისტორიულობა. ამა თუ იმ ხალხისათვის მნიშვნელოვანია ცოდნა არა მარტო თავისი ისტორიისა, არამედ მეზობელი ეთნოსების ისტორიისაც. ამიტომ ვოლუნტარიზმი სიძველეთა შესწავლაში, თვით ცნება ისტორიზმის ფალსიფიკაცია არა-ჯანსაღი ტენდენციების გამოვლინების შედეგი იქნება და დახასიათდება, როგორც საკუთარი ხალხის მოტყუების მცდელობა. ისტორიული მეცნიერება ფართო მკითხველ საზოგადოებას უნდა აწვდიდეს უტყუარ და ჭეშმარიტ კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებულ მეცნიერულ შრომებს, რომლებშიც მოცემული იქნება ამ ფაქტების პირუთვნელი, სამართლიანი და ობიექტური შეფასება. ასეთი ხასიათის ნაშრომების შექმნა ჩვენი დროის აუცილებელი მოთხოვნილებაა.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ბროშურის ავტორთა შეხედულებებზე წუქეთის (თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორია) ისტორიული განვითარებისა და აქ მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ, მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი მათი წიგნიდან: „ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დასაშვებია, რომ კახის ტერიტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3-7 საუკუნემდე შესული იყო სკვითთა სამეფოს შემადგენლობაში. ამ სახელმწიფოს საზღვრები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სკვითებმა, ქიმერებმა და საქთა ტომებმა, სამხრეთიდან ურმიის ტბიდან ჩრდილოეთით – კავკასიის მთებამდე ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისტორიის ფურცლებზე ქიმერ-სკვით-საქთა სამეფოდ მოხსენიებულ ამ სახელმწიფოს არსებობის დროიდან 2600 წელი გავიდა, მისი დამაარსებელი ტომების კვალს აზერბაიჯანში, შექი-ზაქათალას მხარეში, კერძოდ კი კახის რაიონშიც ვხვდებით...

რაიონის ტერიტორიაზე არსებობს სკვითთა სამეფოს შემადგენლობაში შემავალი ქიმერთა ტომთან დაკავშირებული ნაგებობა, რომელსაც გიმირლი ეწოდება. მკვლევარები აყენებენ იდეას სოფელ ზეიემისა და ზეიემის ხეობის დასახელებებში საქთა ტომის ასახვის თაობაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფლის მოსახლეობა ამ ადგილს ზეიმ-ს კი არა, საგამს ეძახის. კახის რაიონის მეზობელი ზაქათალისა და შექის რაიონების დასახელებების ფორმირებაშიც აშკარად იკვეთება საქ-თა ტომის კვალი...

სკვითთა სამეფოს დაცემის შემდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ალბანეთის სახელმწიფო შეიქმნა... ზოგიერთი მეცნიერული თვალსაზრისის მიხედვით, ალბანელთა ერთი ნაწილი შედგებოდა სპარსულენოვან გელთა ტომისაგან. სავარაუდოა, რომ კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილოები ამ სპარსულენოვანი გელთა ტომების შთამომავალი არიან.

ამ საკითხის გასარკვევად იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ ადრეული შუა საუკუნეების ავტორთა ფავსტოს ბუზანდისა (მე-5 საუკუნე) და გეგონდის (მე-7 საუკუნე) ცნობების მიხედვით, ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, კავკასიის ალბანეთის ერ-ის ან ჰერის მხარეში შედიოდა. შუა საუკუნეების ქართულ მატყანეებში კი მხარის დასახელება ერეთად, ანუ ერთა ქვეყნად არის დაფიქსირებული.

ლი. ერების ეთნიკური წარმომავლობა დღემდე დაუდგენელი რჩება, ამასთან ისტორიკოსებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ისინი ქართულენოვანი ხალხებისაგან სრულიად განსხვავებული წარმოშობისანი არიან. თუმცა ბევრი ქართველი მეცნიერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ტერიტორია, თავდაპირველად ერეთის, შემდეგ კი საინგილოს სახელწოდებით, ისტორიული საქართველოს მინა-წყლის ერთ-ერთი ნაწილი იყო. დასახლება საინგილო, რაც ქართულ ენაზე ინგილოთა ქვეყანას ნიშნავს, ისტორიკოსებისათვის მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. ტოპონიმის მკვლევარი გ. გვიბულაევის მიერ ამ სახელწოდების შესახებ გამოთქმული აზრის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ალბანურ ტომთაგან ერთ-ერთმა გაქრისტიანებულმა გელთა ტომმა ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობის დროს ისლამი მიიღო, მეზობელი თურქულენოვანი მოსახლეობა მათ იენგელოი-ს ანუ ახლიდან სარწმუნოებამიღებულ გელებს უწოდებდა. ამ სახელის ქართულ ენაზე ინგილოდ გამოთქმის მიზეზს, ამ ენის თავისებურებები წარმოადგენს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ინგილოებმა უკვე დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები, თავიანთ თავს ქართველებივით ქართველს კი არა, ინგილოს უწოდებენ.

XI საუკუნიდან მოყოლებული კახის ტერიტორიაზე მრავალი ტომი მოედინებოდა. თავდაპირველად ოღუზ-თურქ-სელჩუკები, შემდეგ კი ამ ადგილებში თურქი ყივჩაღები დასახლდნენ. ამ პერიოდში ეს ტერიტორია მოექცა აზერბაიჯანის ათაბაგთა და შირვანშაჰთა სახელმწიფოების გავლენის სფეროში...

მას შემდეგ, რაც XIII ს-ში კახის ტერიტორია ჰულაქულების სახელმწიფოს შეუერთდა, მის სამხრეთ ტერიტორიებზე თურქ-მონღოლთა ტომების დასახლება დაიწყო. ეს მიწები, შემდეგ პერიოდებში, სეფიანთა სახელმწიფოს შექმნამდე, ქართველი, დაღესტნელი და აზერბაიჯანელი ფეოდალების საბრძოლო მოედნად იქცა...

XVII ს. II ნახევრის დოკუმენტები გვიჩვენებს, რომ კახის სამხრეთით, შექის ვილაიეთის საზღვრების მახლობლად შეიქმნა თანგითის, ჩრდილოეთით კი ბეშფაშას (მეშაბაშის) სამალიქოები (სამთავროები), რომლებიც შექის საბეგთაბეგოს ემორჩილებოდა. 1651 წელს ირანის შაჰის აბას II-ის ბრძანების საფუძველზე, თანგითი გადაეცა მალიქ იუსუფს, ბეშფაშა ანუ მეშაბაში კი - მალიქ გარაჯაიას...

XVII ს. ბოლოს ირანის სახელმწიფოში ხელისუფლების კრიზისის დაწყების პერიოდში, გაძლიერება იწყო ილისუს სასულთნოს პოლიტიკურმა აქტივობამ, რომლის ცენტრი სოფ. ელისუში მდებარეობდა. XVIII ს-დან მოყოლებული, მეზობელი ფეოდალების მიერ ირანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში მონაწილე ადგილი დაიკავა ილისუს სასულთნომ, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მულალ (თურქ)-ად წოდებული ადგილობრივი მოსახლეობა და მათ მიერ დასახმარებლად ჩრდილოეთიდან მოწვეული ნახურელები...

კახის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი ინგილოები მიხვდნენ, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ქართველი ფეოდალების მძიმე უღელისაგან თავის დასაღწევად და აირჩიეს ილისუს სასულთნოს ძალაუფლების ქვეშ შესვლა...

XIX საუკუნეში, 1803 წ. ილისუს სასულთნო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1830 წელს ილისუს გამგებლად დანიშნულმა სულთანმა დანიელმა, რომელსაც უთანხმოება მოუვიდა რუსეთის ხელისუფლებასთან, 1844 წ. სასულთნოს მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა. სოფელ ილისუს ახლოს დამარცხების შემდეგ მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის შეიხ შამილის მხარეზე გადავიდა. რუსებმა გადაწვეს სასულთნოს ცენტრი სოფ. ელი-

სუ. თავად სასულთნოს ტერიტორია მაზრებად დაიყო და ჭარ-ბელაქნის ოლქს დაექვემდებარა. 1860 წლიდან ინგილოთა ერთმა ნაწილმა მართლმადიდებლური ქრისტიანობა მიიღო. ამას, კიდევ ერთხელ ადასტურებს ის, რომ კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების თარიღი სწორედ 1863 წლის შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება. თუმცა, ქართველი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ ეკლესიებიდან ზოგიერთი, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებობს...

ისევე, როგორც მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, XX ს. დასაწყისში კახის ტერიტორიაზეც გამოჩენა იწყეს ბოლშევიკმა პროპაგანდისტებმა. ისინი ცდილობდნენ მეფის ხელისუფლების დამხობასა და საბჭოთა მმართველობის დამყარებას. 1917 წ. მეფის ხელისუფლების გაუქმებამ ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ამგვარად, აღდგენილ იქნა აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც სულ 23 თვე იარსება, ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმის შედეგად 1920 წლის 28 აპრილს გაუქმდა. მე-11 წითელი არმია შევიდა აზერბაიჯანში და უზრუნველყო ადგილებზე საბჭოთა მმართველობის შექმნა. წითელი არმიის მე-18 ცხენოსანთა დივიზიამ 1920 წლის 10 მაისს კახი დაიკავა... ყოველივე ეს არის 1494 კვ. კმ. ფართობის მქონე, ერთი ქალაქისა და 60 სოფლისაგან შემდგარი კახის რაიონის ისტორიის უაღრესად მოკლე მიმოხილვა⁴⁹.

ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ ვრცელი ამონაწერი ჰ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ბროშურიდან, რათა მკითხველს ნათლად დაენახა, თუ რა სახის მასალა მოაქვთ ავტორებს წუქეთის (კახის რაიონი) ისტორიის, ჰერეთისა და ჰერების შესახებ და ამის შესაბამისად საინგილოს ისტორიისა და ინგილოების შესახებაც. თუ კარგად ჩაუყვირდებით ამ მასალას და ამ მასალის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ჰერეთის ისტორიისა და ჰერების ეთნოგენეზის შესახებ, უმაღლეს დავრწმუნდებით, რომ მათ მეცნიერულობისა, სამწუხაროდ, არაფერი სცხია. მაგრამ ეს ცოდვის მხოლოდ ერთი მხარეა; უმძიმესი აქ ისაა, რომ პატივცემული აზიმოვი და აჰმედოვი, ამ თავიანთივე შეცდომების საფუძველზე, ვერ ამჩნევენ, რომ მათი ასეთი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, მავნეა. მავნეა იმიტომ, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს არა მარტო საინგილოს ისტორიული წარსულის გაყალბება, არამედ საერთოდ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ფაქტების უხეში დამახინჯება. აზიმოვისა და აჰმედოვის დასკვნებში მკაფიოდ გამოვლინდა ავტორთა განზრახვა: მოსწყვიტონ ჰერეთი ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. მათი აზრით, ჰერების განსახლების ტერიტორია ანუ ქართული წყაროების ჰერეთი (რომელიც მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ აღმოსავლეთ კახეთს საინგილოთურთ) უძველესი დროიდან შუა საუკუნეების ჩათვლით ძველი ალბანეთის სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა, რომელიც დაახლოებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქართველებთან მათ არაფერი საერთო არ ჰქონიათ. და ყველაფერ ამას „ამტკიცებენ“ ისე, რომ არ მოაქვთ არც ერთი ჭეშმარიტი და უტყუარი ფაქტი ან რეალური მეცნიერული მოსაზრებანი თავიანთი თეზისის სასარგებლოდ.

⁴⁹ ჰ. აზიმოვი, შ. აჰმედოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-22.

ისე კი, თუ საამისო სურვილი ექნებოდათ და თანაც სულ მცირე ობიექტურობას გამოიჩინდნენ, მათ შეეძლოთ სულ ადვილად გარკვეულიყვნენ ჰერეთის ისტორიის, მისი ტერიტორიული კუთვნილების და ჰერეთა ვინაობის საკითხებში. და, აგრეთვე, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე საინგილოს წარმოქმნისა და გაჩენის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის აღდგენაში. შუა საუკუნეების ჰერები რომ ქართული ტომია, რომელიც ისეთივე მონაწილეობას იღებს ქართველი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ქართლები, კახელები, მეგრელები, მესხები და სხვ., ხოლო ჰერეთი რომ (დღევანდელი საინგილოთურთ) ფეოდალური საქართველოს ტერიტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქართლი, კახეთი, სამეგრელო, მესხეთი თუ სხვ. ეს ყველა ქართული თუ უცხოური თანადროული ავტორიტეტული და პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროების (ანტიკური, ძველი ქართული, ძველი სომხური, ბიზანტიური, არაბული და სხვ.) მიხედვით სრულიად უცილობელია. ეს საკითხი აგრეთვე გაშუქებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც პ. აზიმოვი და შ. აჰმედოვი საგანგებოდ უგულვებელყოფენ.

ზემოთ ჩამოთვლილ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები გვიდასტურებენ: უფრო ადრე თუ არა, უკვე ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის დროს (დაახლ. ძვ. წ. IV ს. ბოლო და III ს. დასაწყისი), როდესაც ისტორიული ტრადიციით შეიქმნა ქართული სახელმწიფოებრიობა ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წესწყობილებით, ქართული სარწმუნოებით, ქართული მნიგნობრობით და ქართველი მეფით, ისტორიული ჰერეთი უკვე იბერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ქართლისა და ჰერეთის კულტურული ერთიანობის თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის (1010-1033 წწ.) დაახლ. 1031-1033 წწ. შედგენილი სიგელის (ანდერძი, დაწერილი) მიხედვით – მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას ჰერეთში ჰქონდა მთელი რიგი მამულებისა დასახლებული პუნქტებით, რომლებიც სვეტიცხოველისათვის მელქისედეკს შეუწირავს. როგორც საბუთში ვკითხულობთ, ესენი იყო: „ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდეხი, და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესიაჲ შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარნი იბ და ზიარი სოფელი დიდი ა“. როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია სვეტიცხოველისათვის შეწირული შემდეგი ობიექტები: ლაგოდეხის მონასტერი, კატეხის ეკლესია, კაკის 12 სული ვაჭარი და ერთი დიდი სოფელი ზიარი⁵⁰. იგივე ფაქტი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაშიც“, კერძოდ „მატიანე ქართლისაიში“: „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო... ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეხი და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი“⁵¹. თითქმის იგივეა გამეორებული 1040 წ. ბაგრატ კურაპალატის სიგელის ნაწყვეტში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კაკის ვაჭართა რიცხვი თორმეტიდან შემცირებულია ორამდე: „და კაკს ვაჭარი ბ და ზიარი სოფელი დიდი“⁵². იმდენად, რამდენადაც ეს ნაწყვეტი ზუსტად იმეორებს ზემოთ მოტანილ საბუთთა ცნობებს, უნდა ვფიქროთ, რომ ვაჭართა რიცხვი აქაც უნდა იყოს 12, ნაცვლად ორისა.

⁵⁰ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 26-27.

⁵¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 295.

⁵² თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 125.

ხსენებული წყაროები, რომლებშიც საუბარია კატეხის ეკლესიაზე, კაკის ვაჭრებისა და დიდი სოფლის ზიარის (დღევანდელი სოფელი ზერნა საინგილოში – თ. პ.) შესახებ, თარიღდება 1031-1040 წწ. ყურადღებას იპყრობს მელქისედეკის დანერილის ერთი ნაწყვეტი, საიდანაც ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა ახლად შეწირულ მამულებს, არამედ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ძველად, უფრო ადრე შეწირულ სოფლებს. ტექსტის თანახმად: „ესე ყოველი სოფელი, რომელი მომიგია და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონოდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა“. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ცნობები ერთობ სარწმუნოა, უნდა დავასკვნათ: უკვე XI საუკუნიდან, შესაძლებელია უფრო ადრეც, კაკი უნდა მიეკუთვნოს საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქთა რიგს.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ირკვევა, რომ მცხეთის საკათალიკოსოს (ქართლის ეკლესიას) XI საუკუნეში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჰერეთში, მოძმე ჰერელ მოსახლეობაში უშუალოდ შექმონდა ქრისტიანული მოძღვრება და აქ მტკიცე პოზიციებს იპყრობდა. ამჟამად, რომ მცხეთა ჰერეთის კულტურულ-რელიგიურ გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწვედა. იმ დროს, როდესაც „აფხაზთა და ქართველთა“ მეფეები ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს, მცხეთა ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა.

ჰერეთის ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდნენ (კაკი, კატეხი, ლაგოდეხი, და სხვ.). მათი მრავალრიცხოვანება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგანაც იგი აშკარად მიგვანიშნებს ამ რეგიონში ქრისტიანული მოძღვრების აყვავება-გაფურჩქვნაზე.

მეტად საყურადღებოა იმავე მელქისედეკის დანერილი ცნობა კაკში სვეტიცხოვლის კუთვნილ ვაჭართა რიცხვის შესახებ. მარტო სვეტიცხოველს კაკში, XI საუკუნის დასაწყისში თორმეტი ვაჭარი ჰყოლია. თუ წარმოვიდგინოთ ამ ვაჭართა საქმიანობას არა მარტო ჰერეთის საშინაო ბაზარზე, არამედ მათ ცხოველ ეკონომიკურ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, მაშინ სავსებით ცხადი გახდება, თუ რა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა აღნიშნულ პუნქტს ჰერეთის ისტორიაში.

ისტორიულ წყაროთა მონაბობით, კაკი საინგილოში ითვლებოდა ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ-რელიგიურ ცენტრად. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო იგი თავისი შესანიშნავი ძველი სასულიერო შინაარსის წიგნებითა და საეკლესიო ნივთებით, რომლებიც ხალხში ცნობილი იყო ერთი საერთო სახელწოდებით – „ხუციაანთ ოთხთავი“; მასში იგულისხმებოდა ხუციშვილების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი კაკის ქვედა ნაწილში, სადაც ინახებოდა ეს სიძველენი: წმინდა კიდობანში მოთავსებული იყო „ოთხთავი“, ხატები, ჯვრები და სხვ. საინგილოს ქართული მოსახლეობისათვის ეს ოჯახი ასრულებდა ეკლესიის როლს. უნდა აღინიშნოს, რომ პ. აზიმოვი და შ. ახმედოვი სრულიად აშკარად და დაუფარავად იგნორირებას უკეთებენ და გვერდს უვლიან კაკის ამ სიძველეებს და შეგნებულად უმაღლავენ მკითხველს თვით მათი არსებობის ფაქტს.

კაკის ეს სიძველეები შეისწავლა და დანვრილოებით აღწერა ა. ხახანაშვილმა 1892-1893 წლებში, როდესაც იგი იმყოფებოდა ზაქათალის ოლქში (საინგილო) მონყობილ სპეციალურ სამეცნიერო ექსპედიციაში. აღნიშნულმა ექსპედიციამ მეტად ნაყოფიერი დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა, რის გამოც,

ა. ხახანაშვილის მიერ ამ დროს შესრულებულ გამოკვლევებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ა. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან შეიტყო საზოგადოების დიდმა ნაწილმა იმის შესახებ, რომ საინგილო ეს იგივე საქართველოა, და რომ, აქ არსებული ძველი ტაძრების და აქ მოპოვებული ისტორიული ფასეულობების შესწავლა-განხილვა სრულ საფუძველს იძლევა იმის დასადასტურებლად, რომ ამ რეგიონში ქრისტიანობას მტიცივე პოზიციები ეპყრა. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული წარწერები იმის უტყუარ მონმობას წარმოადგენს, რომ შორეულ წარსულში აქ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სწარმოებდა, წირვასა და ლოცვას საკუთარი და მუდმივი მსმენელი ჰყავდა. ყოველივე ამის დასაბუთების მიზნით, მოვიტანოთ სრული აღწერა კაკის სიძველეებისა, რომელიც დაცულია ა. ხახანაშვილის პუბლიკაციებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სამღვდლო ნივთები დიდის კრძალვით იყო შენახული „ხუციანთ ოჯახში“. აი, რა და რა ნივთები იყო დაცული ხუციშვილების ოჯახში:

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერვე დაბეჭდილი ტფილისში 1709 წ. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდლო სახარება, აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა, უფლის უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლ-მადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა ... ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელისშვილისათა... ჴელითა მესტამბე მიხეილ სტეფანეშვილის უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული რომელიც შეიცავს: ლოცვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. არშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი ამ წიგნის მჩხიბავი ლავერენტი მონაზონი, ჯვარის – მამას აღზრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„ინყების ქორონიკონი ესე: ტოზ(=1689 წ).

„ამავე ქორონიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლს.

„ამავე ქორონიკონსა კახნი ჭარს მოუხდნენ და გატეხეს და მრავალი ზიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს ანდრონიკაშვილი აბელ მოურავი, და ჩოლოყაშვილი ზურაბ სახლთხუცის შვილი და იქმნენ მონამეთა თანაზიარ თვესა მაისსა 15, დღესა კვირიაკესა.

„ამავე ქორონიკონსა დაჯდა ალექსანდრე: ქორონიკონსა ტპზ (1699 წ.) მეფის ერეკლეს ჟამში.

„ქ: ღმერთმა: ბედნიერის: ჴელმწიფის; ჴირი: და: სატკივარი: მისცეს: აბრამ მღვდელს: ქ: ა: ბ: ... ღმერთო მიეც გულის: ყური: ისწავოს და გემსახუროს: ამინ: და კირიელისონ“.

3. კონდაკი, 4. კურთხევანი, 5. კონდაკი, 6. დაუჯდომელი, 7. ფეშხუმი, 8. ბარძიმი მინანქრიანი, 9. ღრუბელი, 10. სამირენეები ჩინური თიხისა, 11. სანაწილე, მსგავსი საათისა, 12. სეფისკერის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედ წარწერით: „იესო ქრისტე ძლევა“, 13. ჯვარი ვერცხლისა დროშაზე გასაკეთებლად, ხუთი თვლით... 14. ბარძიმი ვერცხლისა, ზედ-წარწერით: „ქ: შემომინიარავს: მე: ნაც-

ვალს: ბერუკას: ესე: ბარძიმ-ფეშხუმი: ყოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვის: ჯიმშიტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლათა“ და სხვ.⁵³

ა. ხახანაშვილის მიერ საინგილოს ტერიტორიაზე გამოვლენილ იქმნა აგრეთვე შესანიშნავი ნიმუშები ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა: აი, რას გვამცნობს იგი ამის თაობაზე: „Археологический находки – древне-грузинский надписи хуцური и переходного его периода в мхедрули, монеты и вещи, подкрепляют мнение о присутствии в Закатальском округе грузинского элемента в более широком районе, чем в настоящее время. В двух различных концах Закатальского округа, например, я видел две однохарактерные надгробные надписи, вырезанные на камне алфавитом мхедрули, приблизительно XI до XIII в. Одна из них высечена на камне, сохранившемся на месте древней церкви близ Белокани – Грузинского города при царице Тамаре, ныне заселенном лезгианами, на нем ясно читается: „ქრისტე განუსვენე სულსა ბეროზისასა, ესე ქვაი მისი არს“. „განუსვენე... მარაშვილს ადჯოლმაიაო (?), „ქე მხნე საფლავსა ამას“ // „ქრისტე მომიხსენე საფლავსა ამას“. Другая надпись близ Каки на горе, где сохранилась небольшая древняя церковь и вокруг ее несколько надгробных камней. На одной плите читается: „ესე თავლისაშვილი ქრისტესიამ შესანდოთ შვილთა დავით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენც მოგიხსენოს უფალმან სასუფეველსა შავროდანმზე, სასუფეველსა შეუნდნეს“⁵⁴.

1865 წ. ქ. ზაგემში, ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში (ბახთალო) აღიბადელმა ინგილოებმა მიწის ხვნის დროს გუთანს ამოაყოლეს ზარი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო წარწერა: „ესე ზარი მე კახეთის მეფემ ლეონმა შევსწირე ბახთალოს ღვთისმშობლის ეკლესიას“⁵⁵.

ქართლისა და შერეთის კულტურული ერთიანობის საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მ. ჯანაშვილისა და კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული ე. წ. მაღალაშვილისეულ სახარების 1310 და 1333 წწ. დათარიღებული მინაწერები. მოგვყავს ამ საინტერესო დოკუმენტების ტექსტები.

პირველი ანდერძ-მინაწერი

„ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექ(უ)თიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეპისკოპოზო(ა) და მიერიტგან გარდმოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოელო საყდარნი: კასრი სამებისა(ა), ყუმი ღმრთისმშობლისა(ა), ლექართს წმიდისა მოციქულთასწორისა ნინოესი, ზარს წმიდისა მთავარმონამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა (ჰ)აბოესი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს ღმრთისმშობლისა(ა), ვარდთაშენს ელიაესი, თ... სარანს ყოვლადწმიდის მოციქულის პეტრეისი, კულად საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა და ყოვლისა ვაკისა, ესე იგი არს ძუელისა მოვაკანისა, და ელისენისა(ნი), ვერხვიანით ზეგანით გამო ვიდრე ივრის მდინარის

⁵³ А. С. Хаханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.

⁵⁴ იქვე, გვ. 32.

⁵⁵ Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

ჩასართავამდე ალაზანისა, – და ამან სანატრელმან ექუთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კკრილე დონაურსა გარდაწერიებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისათჳს ეკლესიისა. მეცა გარდაწერიინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მონაფეთა და წარგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შკდთა სასწავლელთა თავს მდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსება(ა), მამათა ცხორება(ა), ქართლისა ცხორება(ა) და ცხორება(ა) ალვანიისა, ესე იგი არს საგანისაჲ, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმან გა(დაილო) იგი. და საკუთრად დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად ინამეს ჩვეულებისამებრ. ოფალო იესო ქრისტე, მეოხ მექმნენ დღესა განკითხვისასა მთავარეფისკოპოსსა კკრილეს. ამინ, ამინ! ქორონიკონსა ფლ, თუესა მაისსა იდ, დასაბამითგანთა ხშიდ ნელთა (=1310)“.

მეორე ანდერძ-მინაწერი

„ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გიორგი გაიმარჯუა აგარიანთა ზედა განძას(?) და შირვანს, მას ჟამსა შინა ჩუენნი სამწყსონი შაქ-ქურმუხისანი ჩინებულად იბრძოდეს ძღვევად მტერთა. და ამისთვის უძღვევლემან გიორგი გკწყალობნა სიგელ(?) და დაგვიმტკიცნა ჩუენ ქიშელ-ქურმუხელს: ზვარი(?)... ყვ...ლსა...განუხს, მამულნი ყაბალასა ძუარი, ვარდთაშენს სავაჭრონი და ვაჭარნი შუიდნი, და შირაქისა საბალახენი და ქართველთა მთასა ზედა საბალახენი და მტკუარსა თევზისა საბაჟენი(?) ახტაშისანი. ღმერთმან წარუმართნეს უძღვევლსა(?) მეფესა გიორგი ბრწყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტესად განძლიერდა ქრისტიენობაჲ მთეულთა შორის და კუალად განმტკიცდა ერთობაჲ საქართველოსა შინა. ამინ, ამინ. აღინერა ესე ქსა კა, თუესა მარტსა ე (=1333 წ.)“⁵⁶.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ექვთიმე (ეფთვიმე, ეფთიმოს) XIV ს-ის I ნახევარში გიორგი ბრწყინვალესთან ერთად ენერგიულად შესდგომია მონღოლთა ბატონობის შედეგად დარღვეული სახელმწიფო წესრიგის აღდგენას, მონაწილეობდა საკანონმდებლო დარბაზის მუშაობაში, იღწვოდა მოსახლეობაში შერყეული ქრისტიანულ-ზნეობრივი ნორმების მოსაწესრიგებლად, ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების მატერიალურ-მორალური მდგომარეობის ამაღლებაზე. მას მიმოუხილავს თავისი ეპარქიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ძირითადად ჰერეთი, თუშეთი, ასევე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ნაწილი). ჩვენთვის საინტერესო ჰერეთის ნაწილში (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონები) პატრიარქ ექვთიმეს, კირილე დონაურის სიტყვით, მიმოუხილავს თავის სამწყსოს ფარგლებში შემავალი შემდეგი ეკლესია-მონასტრები: ქურმუხის წმინდა გიორგი, კასრის სამება, ყუმის ღმრთისმშობლის, ლექართის წმიდისა მოციქულთასწორისა ნინოისი, ზარის (ზერნა) წმიდისა მთავარმონაწმის გიორგისი, ვარდიანის წმიდისა ჰაბოისი, კაკის წმიდისა ბარბარეს ტაძარი, ასევე ეკლესიები: ფიფინეთის, ბელაქნის, მამრუხის, ვერხვიანის და სხვ. ამრიგად, ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ

⁵⁶ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1895, გვ. 205-206; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 314-315.

კაკი-ელისენის (საინგილოს) მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოცხადებულია ქართული ეკლესიის სამწყსოდ, აქვეა ჩამოთვლილი საქართველოს სახელით ცნობილი კულტურულ-ეროვნული გაერთიანების უმნიშვნელოვანესი ცენტრები.

როგორც მალალაშვილისეული სახარების მინაწერებიდან ირკვევა, პატრიარქ ექვთიმეს ამ ვიზიტის დროს საგანგებო ყურადღება მიუქცევია წიგნების ნაკლებობისათვის ამ მხარეში და ქურმუხის მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურისათვის უბრძანებია სახარების გამრავლება და გავრცელება, გადანერის გზით და შემდგომ მათი გადაგზავნა იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც ამას საჭიროებდნენ. პატრიარქის ბრძანების შესასრულებლად კირილეს სახარებათა გადანერა დაუვალეზია კაკის წმ. ბარბარეს ეკლესიის მღვდლის იასე ქიტიაშვილისა და მისი 12 მონაფისათვის. როგორც ჩანს, ეს მღვდელი ცნობილი კალიგრაფი ყოფილა. მას ჰყოლია 12 მონაფე, რომელნიც მისი ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

გადანერილი ცალები სახარებისა კირილეს დაუგზავნია ეკლესია-მონასტერთა და „შვდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი“. ცხადი ხდება, რომ საქართველოს განაპირა მხარეში, ჰერეთში, კირილე დონაურის ეპარქიაში, არსებობდა შვიდი ასეთი სპეციალური სკოლა. ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა ამ „ანდერძ-მინაწერში“ ჩამოთვლა იმ საგნებისა და დისციპლინებისა, რომელთაც ასწავლიდნენ დასახელებულ სკოლებში. აქ პირველ ადგილზე აღნიშნულია „სჯული ჭემმარიტი“ (ე. ი. ღვთისმეტყველება), მეორე რიგში ფილოსოფია, მათ მოსდევს „მამათა ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრება“. აქ უკვე ლაპარაკია ისტორიული დისციპლინების შესახებ. „მამათა ცხოვრება“ გულისხმობს ქართული ეკლესიის ისტორიას, ხოლო „ქართლის ცხოვრება“ კი საქართველოს ისტორიას⁵⁷. ამრიგად, ჩვენს მიერ განხილულ დოკუმენტებში დაცული ცნობების მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთ განაპირა პროვინციაში, ჰერეთში, ფუნქციონირებდა 7 სკოლა, სადაც სწავლა-განათლება სწარმოებდა მეტად ფართო დიაპაზონით. ე. ი. XIV საუკუნის დასაწყისში, მონღოლთა მრავალწლიანი ბატონობის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ქართულმა კულტურამ შეინარჩუნა თავისი ძველი ტრადიციები და განვითარების საკმაოდ მაღალი დონე.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, აზიმოვისა და აჰმედოვის ბროშურის გარკვეული ნაწილი მიძღვნილია საინგილოსა და ამ ქვეყნის მკვიდრ ინგილოების ისტორიის საკითხებისადმი. აქაც მკვეთრად იჩენს თავს ავტორთა მანკიერი მეთოდოლოგია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უთავბოლო მსჯელობანი და წინააღმდეგობები ნაშრომის ამ ნაწილში გაუგებარ მასშტაბებს აღწევენ. აქ წარმოდგენილი დებულებები თავიდან ბოლომდე არასწორი, ყალბი, უსაფუძვლო და ტენდენციური. აქვე გვსურს განსაკუთრებულად ხაზგასმით მივუთითოთ აზიმოვისა და აჰმედოვის კვლევის მეთოდისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშანდობლივ თვისებაზე: თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად მათ ვერ მოაქვეთ ვერავითარი სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთი ან რაიმე უტყუარი მონაცემი საისტორიო წყაროებიდან, რის გამოც, მათი დასკვნები შიშველ, დეკლარაციული ხასიათის მქონე განცხადებებად რჩება. ასეთ ვითარებაში კი აშკარად ვლინდება აზიმოვისა და

⁵⁷ კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 314-322.

აჰმედოვის შეგნებული განზრახვა: კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილოები, რომელნიც თავისი ეთნიკური წარმოშობით თავანკარა ქართველები არიან, გამოაცხადონ ალბანელთა ერთი ნაწილის, სპარსულენოვანი ტომების, გელეზის, შთამომავლებად. ვფიქრობთ, მკითხველი თავადაც ადვილად მიხვდება, თუ რისთვის სჭირდებათ აზიმოვსა და აჰმედოვს ასეთი დაუსრულებელი ტყუილზრადო ლაპარაკი საინგილოს ტერიტორიული და ეთნიკური კუთვნილების საკითხზე. მისთვის სავსებით ცხადი ხდება, რომ აქ ჩვენ, მაღალპრინციპული მეცნიერების ისტორიაში, საქმე გვაქვს ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯების უპრეცედენტო შემთხვევასთან – ცდა იმისა, რომ ინგილო-ქართველებს წაართვან სამშობლო, ენა, კულტურა და გამოაცხადონ ისინი სულ სხვა ეროვნულ-კულტურული კოლექტივის წევრებად. უმათავრესი შეცდომა აქ ის არის, რომ ავტორებისათვის ჰერებისა და ინგილოების ისტორია ორი სრულიად სხვადასხვა ხალხის ისტორიაა და ამდენად, ორივეს ისტორიის გაშუქების ცდა სრულიად მცდარი და მეცნიერულად მიუღებელია. მართლაც, აზიმოვი და აჰმედოვი კახის რაიონის ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას, ინგილოებს ორი ათასზე მეტი ხნის წინ უცხოურ წყაროებში დამონმებულ „გელ“-ების ტომს უკავშირებს, რომელიც დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და, ავტორთა აზრით, სპარსულენოვანი იყო. საამისო ლინგვისტური არგუმენტაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ასეც რომ იყოს, ე. ი. დღევანდელ ინგილოთა ორი ათასი წლის წინანდელი წინაპრები რომ სპარსული მოდემის ტომი ყოფილიყო, ხომ უნდა ისიც გაგვერკვია, თუ მაინც როგორ მოხდა, რომ დღეს ინგილოები ქართულად ლაპარაკობენ. ასეთი მეტამორფოზი ხომ საუკუნეთა განმავლობაში უმჭიდროესი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია! ავტორები ამ კითხვას არ სვამენ და არც თვით ინგილოებს ეკითხებიან, ისინი თავის თავს სპარსელებად თვლიან თუ ქართველებად!

საინგილოს და ამ მხარის მკვიდრთა ინგილოების ისტორიის საკითხები მცდარად არის გაშუქებული 1998 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევში „Азербайджанцы“. დასახლებული ნაშრომის ავტორები ეხებიან რა შექი-ზაქათალის ზონაში დასახლებულ ეთნიკურ ერთობებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინგილოებს. აი, რას წერენ ისინი: „Ингилойцы компактно проживают в некоторых селах Балакенского (უნდა იყოს ბელაქანის – თ. პ.), Загатальского (უნდა იყოს ზაქათალის – თ. პ.) და Гахского (უნდა იყოს – კახის – თ. პ.) районов. Ингилойцы говорят на одном из восточных диалектов грузинского языка и различаются по вероисповеданию. Часть из них исповедуют ислам (в основном ингилойцы Балакенского и Загатальского районов), а часть христианство (ингилойцы Гахского района).

Проблема этногенеза ингилойцев и происхождения этнонима «ингилой» все еще вызывает споры в научном мире... Но существует более аргументированная версия о происхождении ингилойцев. Некоторые ученые полагают, что ингилойцы являются потомками одного из албанских племен – эров. Эры, будучи христианами, как и большинство племен Кавказской Албании, в силу определенных обстоятельств перешли на грузинский язык. Таким образом, на данной территории появилась грузиноязычное население.

Что касается происхождения этнонима «ингилой», то большинство специалистов сходятся во мнении, что он связан с обращением этого народа в ислам. При этом этноним «ингилой» производят или от слов «ени йол» (по-азербайджански «новый путь»), или же от слов «ени гелоий» («новые гелы»)“⁵⁸. როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილულ ნარკვევშიც ერთობ დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ინგილოთა ეთნიკური წარმომავლობის ნამდვილი არსი.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად დაერწმუნდეთ აზიმოვისა და აჰმედოვის დასკვნების სრულ უსაფუძვლობაში, საჭიროდ ვთვლით მოვახდინოთ მცირე ექსკურსი საინგილოს წარმოქმნისა და გაჩენის ისტორიიდან. საინგილო არის მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ახლანდელ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში შედის და მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ XVIII-XIX ს-ის დასაწყისიდან დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. საინგილო შედგებოდა ორი პოლიტიკური ერთეულისაგან – ჭარ-ბელაქნისა (ელისენი) და ელისუს (კაკის) სასულთნოსაგან. მისი ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინციის შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს-ის დასაწყისში ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა.

XV საუკუნის მიწურულს, როდესაც კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, გაუქმდა ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა და მთელი კახეთი წვრილ ტერიტორიულ საგამგებო ერთეულებად, სამოურავოებად, დაიყო, მაჭის საერისთავოც გაუქმდა. მისი სახელი პოლიტიკური ნომენკლატურიდან ამოვარდა და ადგილი დაუთმო წუქეთის, ელისენის და ჭიაურის სამოურავოებს. XVI-XVII საუკუნეებში კახეთის სამეფოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. გართულდა და თანდათან შეიცვალა კახეთის სამეფოსა და დაღესტნის ურთიერთობა. აქამდე საქართველოს გავლენა-მორჩილების ქვეშ მყოფი დაღესტანი თანდათან შეტევაზე გადმოვიდა და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, კაკ-ელისენისა და ჭიაურის სამოურავოებს აოხრების უშუალო საფრთხე შეუქმნა. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ოსმალებისა და სპარსელების გამუდმებული აგრესია, რასაც შედეგად მოჰყვა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მის ადგილზე სახლდებოდნენ ნახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება.

1604 წელს შაჰ-აბასმა კახთა მეფე ალექსანდრეს (1574-1605) ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი კაკი გამოსთხოვეს. შაჰმა იგი უწყალობა ერთ-ერთ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს ვახვახიშვილს და სულთნის პატივშიც აიყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს. კახეთმა ამ დიდმნიშვნელოვანი კუთხის ჩამორთმევით მძიმე დანაკლისი განიცადა. კაკი კახეთის კედელი იყო აღმოსავლეთის მხრიდან და აქ შაჰის მიერ ცალკე მუსლიმანური სასულთნოს შექმნა ერთობ ამცირებდა მის თავდაცვისუნარიანობას. ამიერიდან ნახურელ ლეკებს გზა გაეხსნათ კახეთში ჩამოსასახლებლად. ქართველები ელისუს სასულთნოს თავისად

⁵⁸ Азербайджанцы, историко-этнографический очерк, Баку-Эли, 1998, стр. 59.

თვლიდნენ. ამის გამო წახურის სულთანსა და კახელებს შორის მტრობა იყო. წახურის მფლობელი დახმარებისათვის ხან თურქეთს, ხან ირანს მიმართავდა. ეს უკანასკნელნიც, რა თქმა უნდა, არ აყოვნებდნენ და დახმარებას დროზე აღმოუჩენდნენ ხოლმე, რადგან წახურის სულთნის გაძლიერება მათ საკუთარ ინტერესებშიც შედიოდა. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მეტად საიმედო მოკავშირე იქნებოდა. 1607 წელს ოსმალეთის ხონთქარმა ოსმან II წახურელ ალი-სულთანს ერთგული სამსახურის ჯილდოდ სოფლები: კახი, მეშაბაში, ზერნა, ლეკეთი, ყუმი და ალაგოზი უწყალობა. ელისუს ან კაკის სასულთნო მდინარეებს ყანი-ყობისა და ყაფი-ჩაის შორის მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. ასე რომ, 1605 წლისათვის კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. ყაფი-ჩაი ითვლებოდა.

XVII საუკუნის განმავლობაში წახურელ-ავარელნი თანდათან ჩამოსახლდნენ კაკ-ელისენის მთისძირა სოფლებში, სადაც ქართველი მოსახლეობა განვლილი კატასტროფისა და ბოლომოუღებელი რბევა-ობრების გამო მეტად შეთხელებულიყო. XVIII საუკუნის I მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის, ჯინიხის) და წახურელი (წახურის, ელისუს, სუვაგილის და ყარადულაკის) ლეკების ე. წ. თავისუფალი (უბატონო) თემები, რომელთაც ოსმალეთ-ირანის მხარდაჭერით კახეთის სამეფოს ძირძველი ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწა-წყალი დაიპყრეს, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა (მერმინდელი ინგილოები) დაიმორჩილეს, დააყმევეს და იძულებით გაამაჰმადიანეს. თითოეული ეს თემი თავის მხრივ იყოფოდა გაბატონებულ ლეკთა თავისუფალ სოფლებად და დამორჩილებულ ინგილოებისა და მულალების სოფლებად, რომელნიც იხდიდნენ გადასახადს ამ ე. წ. მფლობელ თემების სასარგებლოდ. ეს სოფლები წყაროებში იწოდებიან საქეშქელო სოფლებად (ქეშქელი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ინგილოები და მულალები ლეკთა სასარგებლოდ იხდიდნენ).

XIX საუკუნის დასაწყისის (1826 წ.) სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ჭარის თემის საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური (ე. ი. ქართული) იყო შემდეგი: ალიაბადი, ჰენგიანი, მოსული, ზაგამი, ყორალანი, ვერხვიანი და შოთავარი.

სოფლები ბელაქანი, ნაბლოვანი და ჩანდრის ხევი შეადგენდნენ ერთ ბელაქნის თემს. იგი სხვა თავისუფალ თემებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას არ გააჩნდა საქეშქელო სოფლები. საქეშქელო სოფლები არ ჰქონდა აგრეთვე კატეხის თემს.

თალას თემის საქეშქელო სოფლებიდან ქართული (ინგილოური) იყო – ყანდახი და ყაპანახჩი.

ჯინიხის თემის სამი საქეშქელო სოფლიდან ორი ქართული (ინგილოური) იყო: მარსანი და ლალა-ფაშა.

მუხახის თემის კუთვნილი საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური არცერთი არ იყო.

ელისუს (კაკის) სასულთნოში ქართული (ინგილოური) სოფლები იყო შემდეგი: კახი, ალიბეგლო, მეშაბაში, სუსკენტი და ბეუკ-ქეთუქლო. ეს სოფლები, ბეუკ-ქეთუქლოს გარდა, ელისუს სულთნის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდა.

აი, ასე წარმოიშვა ფეოდალური საქართველოს მიწაზე ახალი პოლიტიკური ერთეული „თავისუფალი“ („უბატონო“) „ლეკური“ თემების სახელმწიფო. მას ჭარბელაქანი ან მარტივად საინგილო ეწოდა (ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის – ინგილოების სახელწოდებისაგან). დაპყრობილი ქართული სოფლები

გაბატონებულმა ლეკებმა მძიმედ დაბეგრეს. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგრულ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“, განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი თუ ნახურელი. როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, ტერმინი „ინგილო“ წარმომდგარი უნდა იყოს საინგილოს ერთ-ერთი ქართული სოფლის „ჰენგიანის“ სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათანობით ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად მთელი ამ მხარის ქართული მოსახლეობისა. ასე რომ, „ინგილო“ არის არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნება. ტერმინ „ინგილოს“ ეთნონიმად მიჩნევა (როგორც ამას აზიმოვი და აჰმედოვი აკეთებენ) აშკარა შეცდომაა. ე. ი. „ინგილო“ არ გამოხატავს ერის ცნებას, ინგილოები თავისი ეროვნებით არიან ქართველები! ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული თვით მეფის რუსეთის ოფიციალურ მოხელეებსაც კი. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ XIX ს-ში რამდენჯერმე მოახდინა საინგილოს მხარის (ზაქათალის ოლქის) მოსახლეობის კამერალური აღწერა (1859 წ., 1871 წ., 1886 წ.). და აი, როდესაც ვეცნობით ამ აღწერების იმ მასალებს, რომელნიც ინგილოური სოფლების მოსახლეობის ეროვნებას შეეხება, ვხედავთ, რომ ყოველი ინგილოური სოფლის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში, საგანგებოდ და გარკვევით არის აღნიშნული: ეროვნება – ქართველი.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, არ შემიძლია ყურადღება არ გაემახვილო ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზე. ბროშურის ავტორები წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ კახის რაიონის ისტორიული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ არსებული ცნობები უნდა შევიტანოთ ისტორიის სახელმძღვანელოებში, ვასწავლოთ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებსო! ბროშურის დანიშნულება მეტად საპატიოდ გამოიყურება, მაგრამ მთავარი აქ ისაა, თუ რა სახის ცნობებს აწვდიან ავტორები მკითხველებს. და აი, თურმე ნუ იტყვი, კახის რაიონში მცხოვრები თანამედროვე ინგილოების წინაპრები გელები სპარსულენოვან ალბანურ ტომებს მიეკუთვნებოდნენო!

ზედმეტი კომენტარიც კი არ არის საჭირო იმის დასადასტურებლად, თუ რა უარყოფითი და სავალალო შედეგები შეიძლება გამოიღოს ბროშურაში საინგილოს ისტორიის დამახინჯებამ და გაყალბებამ. ხოლო, თავის მხრივ, კახის რაიონის გაზეთ „შელელას“ რედაქტორი, ჟურნალისტი, პატივცემული შ. აზიმოვი და ამავე რაიონის მკვიდრი, განათლებით ეკონომისტი, პატივცემული შ. აჰმედოვი ამ თავიანთივე მძიმე შეცდომის საფუძველზე ვერ ამჩნევენ, თუ რა სახიფათოდ უპირისპირებენ და სთიშავენ ერთმანეთისაგან კახის რაიონის ქართველ და აზერბაიჯანულ ახალგაზრდებს, ვერ გრძნობენ, რომ ამ თავიანთი გამოსვლით ისინი დიდ ზიანს აყენებენ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხებისათვის დამახასიათებელი მეგობრული ურთიერთობების პრინციპებს.

ზემოთ ნათლად დავინახეთ, თუ რამდენად მცდარია აზიმოვისა და აჰმედოვის „თეორია“ „ინგილოთა“ ეთნიკური ვინაობის შესახებ. დავრწმუნდით იმაშიც, რომ ისინი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ეთნიკურ და სოციალურ ტერმინებს. ასეთმა აღრევამ კი ისინი მძიმე და უხეშ შეცდომამდე მიიყვანა. მაგრამ აქ მკითხველის გაკვირვებას უფრო მეტად ის გარემოება იწვევს, რომ ავტორები, ყოველივე ამის შემდეგ, მაინც დაჟინებით აცხადებენ და იმეორებენ: „ინგილოებმა უკვე

დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები, თავიანთ თავს ქართველებივით ქართველს კი არა, ინგილოს უწოდებენ“-ო. და ამას აცხადებენ ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე. ისინი სავსებით ამკარად და შეგნებულად უმაღლავენ მკითხველს იმ უაღრესად ანგარიშგასაწევ გარემოებას, რომ მთელი კახის რაიონი და საერთოდ მთელი საინგილოს მხარე სავსეა ქართული წარმოშობის ტოპონიმებით, ოიკონიმებით, ჰიდრონიმებით და წმინდა ქართული წარმოშობის პუნქტებისა თუ ადგილის სახელწოდებებით.

ჩვენ არ შეუდგებით საინგილოს ტოპონიმიკური მასალების მთელი სისრულით განხილვას. უამრავი მასალიდან მოვიტანთ მხოლოდ მცირე ნაწილს. ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებიდან ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი შემდეგი სახელები: შავი მთა, საყარაულოს მთა, წერეთლის მთა, ნალკოტის მთა, ჭინჭრის მთა, ფიფინეთის წყალი, ორღელე, მოსაბრუნე, მუხახი, ვერხვიანი, ჭანდარი, ჩინარი, კახი, მოსული, შოთავარი, წინუბანი, ნამარნევი, „აზნაური“ (კაკის თავში, ქალაქის განაპირა უბანში შემორჩენილი სახელწოდება), კობალა („კოპალა“), კაკის დასავლეთ მხარეს ჩამომავალი პატარა მდინარის სახელი), ლექართი (კაკის დასავლეთით, მის მახლობლად მდებარე სოფლის სახელი), საკენი (კაკის ტერიტორიაზე არსებული ნასოფლარის სახელწოდება), სოსიკანთ სოფელი და სხვ. ქართული წარმოშობის ადგილის სახელებია: თაფლი ღელე (ღელეა სოფ. ყუმთან), თიზირ – მთის ძირი (სოფ. კახის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი უბანი), თხილიან ადგილი (სოფ. კახში), კაკისთავ, კახისთავ (სოფ. კახში ერთ-ერთი უბანი), კონცხი ღელე (ჰიდრონიმი, ღელეა სოფ. თოფხაში), კორკორა (მთა კახთან ახლოს), კურუზალ (კვირაძალი, კვირაცხოვლობის სახელობის საყდარი სოფ. თასმალში), ნაბლიანი (მთა სოფ. ყუმში) და მრავალი სხვა. საერთოდ, ამგვარ ტოპონიმთა რიცხვი ძალზე დიდია. ზემოთ ჩამოთვლილი ქართული სახელწოდებები ერთადერთი დასახელებაა ამ ადგილების აღსანიშნავად და მათ დუბლიკატები აზერბაიჯანულ ენაზე არ გააჩნიათ.

ქართული წარმომავლობის ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი დამახინჯებულად არის შემორჩენილი. პატნალი-პანტიანი, წილბანი – წინაუბანი, ვედისი-ვეძისი, კელდეკ-კლდე, ორბანი-ორუბანი, ზეკზი-თი – ზედგზისი და სხვ., ნაწილი გადათარგმნილია: შებალუტი – ნაბლიანი, აღმალუ – ვაშლოვანი, გჟულღჟუკ-ვარდიანი, მეშებეში – ტყისთავი, აყჩაი – თეთრი წყალი, სარი-ბაში – ყვითელთავა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ტოპონიმიკის შემსწავლელი ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი სრულიად გამორიცხავს საინგილოს ტერიტორიაზე ქართული წარმოშობის ტოპონიმების არსებობის ფაქტს. ასე მაგალითად, აზერბაიჯანელი მკვლევარი ს. მ. მოლაზადე, რომელიც საგანგებოდ შეისწავლის აზერბაიჯანის ჩრდილოეთის ზონის ტოპონიმიკას, გვაძლევს აღნიშნული ზონის ყველა სახის გეოგრაფიულ სახელწოდებების კლასიფიკაციას და მათ დანვრილებით ლინგვისტურ ანალიზს, სავსებით შეგნებულად არ განიხილავს საინგილოს ტერიტორიაზე (ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონები) მრავალი საუკუნის წინ დაფიქსირებულ ქართველურ სუბსტრატულ ტოპონიმთა არცერთ ისეთ სპეციფიკურ მოდელს, რომელიც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის⁵⁹. საყოველთაოდ ცნობილია,

⁵⁹ С. М. Молла-Заде, Топонимия северных районов Азербайджана, Баку, 1979.

რომ ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარება იყო. ანტიკური ხანის ბერძნული, ლათინური, შუა საუკუნეების ქართული, არაბული, სომხური, ოსმალურ-თურქული და დასავლეთევროპული წერილობითი წყაროებისა და გეოგრაფიული რუკების მიხედვით ამკარა ხდება, რომ ამჟამინდელი საინგილოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XVIII ს-ის დასაწყისამდე, აზერბაიჯანელთა წინაპრები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ და მთელი ეს მიწა-წყალი აღმოსავლურ ქართული ტომებით, კახებით და შერებით, იყო დასახლებული.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ერის, ხალხის, ეთნიკური თავისებურებების ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს ენა წარმოადგენს. ენის დაკარგვა მოასწავებს ეთნიკური თავისებურებების დაკარგვასაც. საბედნიეროდ ამას ვერ ვიტყვიტ ინგილოებზე. საინგილოს ისტორია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, ამის უტყუარი, ცოცხალი მონმეა თვით ქართული ენის ინგილოური დიალექტი. ასე რომ, აზიმოვისა და აჰმედოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ინგილოებმა უკვე დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები“, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თვით ბროშურის ავტორებს, რომელნიც კახის რაიონის მკვიდრნი არიან, კარგად მოეხსენებათ, რომ კახის რაიონში შემავალი ინგილოური სოფლების (კახ-ინგილო ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თასმალო, ზაგამი) მკვიდრი ქართული მოსახლეობა დღემდე შესანიშნავად მეტყველებს ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა ქართული ენის ინგილოური მეტყველების შეჯვარდინება ჯერ ხუნძური ენის, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანული ენის საინგილოს მიდამოების მეტყველებასთან და ზოგიერთი სოფლის მეტყველება შეიქმნა კიდევაც ამის მსხვერპლი, ინგილოურმა კილომ გაუძლო საუკუნეების ქარტეხილებს და ძირითადად შეინარჩუნა გრამატიკული წყობა, თავისი ძირითადი სიტყვიერი ფონდი და ფონეტიკური მხარე. ასე რომ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ინგილოების ისტორიასთან.

განვავრძოთ ისევ საინგილოს ისტორიის თხრობა და განსაკუთრებით ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტებზე, რომელთა შესახებაც საუბარი ბროშურის ავტორებს ხელს არ აძლევს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასწლოვანი სასტიკი და თავგამოდებული ბრძოლის შემდეგ, საქართველო იძულებული შეიქმნა თავისი მიწა-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკებისათვის დაეთმო. ეს იყო ფეოდალური საქართველოს მარცხი. მას მოსწყდა უაღრესად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მხარე. პოლიტიკური თვალსაზრისითაც კახეთის სამეფოს ამ ტერიტორიაზე ლეკთა მფლობელობის დამყარებამ მეტად მძიმე შედეგები გამოიღო. ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მას მოერღვა საუცხოო საფარი და გარეშე მტერს ამ მხრიდან შემოსევა გაუადვილდა. მაგრამ ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველო არასოდეს არ ცნობდა „ლეკ“ მტაცებელთა ამ აქტს. მას არასოდეს აუღია ხელი კახეთის სამეფოს ამ ძველისძველი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებზე. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ლეკთა მიერ უსამართლოდ მიტაცებული კახეთის სამეფოს მიწა-წყლის გამოხსნის საკითხი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მეტად მწვავე და დიდად საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა. კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ფარგლებს გარეშე მოქცე-

ულ ჭარ-ბელაქნის შემოერთებისათვის ქართველების მიერ წარმოებული ბრძოლა სამართლიანი იყო.

განსაკუთრებით აქტიურად დაისვა ჭარ-ბელაქნის საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკაში. ეს საკითხი საქართველოს „აღდგომისა და გამოსხნის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო. თეიმურაზისა და ერეკლესათვის ჭარ-ბელაქნის საკითხის გადანყევების მხოლოდ ერთადერთი წინაპირობა არსებობდა – მისი დაპყრობა, ჭარ-ბელაქნის სახელმწიფოებრიობის მოშლა, აქ „ქართველობის“ აღდგენა და მისი კვლავ კახეთისათვის შემოერთება. ყოველივე ამას ისტორიული სამართლიანობა მოითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ XVIII საუკუნის II ნახევრის განმავლობაში, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწენი ყველა საშუალებით (პირდაპირი ომით, დიპლომატიური გზებით და სხვ.) განუზრელად ცდილობდნენ ამ პირველხარისხიანი საკითხის გადანყევას.

ჭარ-ბელაქნის გამოსხნის რეალურად გადანყევების საკითხი ერეკლე II-ისა და რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით საკითხად იქცა. ერეკლეს რუსეთი და მისი მხედრობა მიაჩნდა ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ ძალად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ლეკთა მიერ მიტაცებული კახეთის მიწა-წყლის გამოსხნა. სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი ერეკლეს მონანილეობა 1768-1774 წწ. რუსეთ-ოსმალეთის I ომში. როდესაც ამ ომის დროს რუსეთის ჯარი, საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა, ერეკლესათვის ჭარ-ბელაქნის შემოერთების საკითხი საესებით რეალური გახდა. რუსეთის ჯარის დახმარებით ერეკლე ჭარ-ბელაქნის დაპყრობას აპირებდა. მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩარევამ და რუსეთის ლაშქრის ორი წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედებამ ერეკლეს ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა. მისი მრავალგზისი თხოვნები უმაღლესი საიმპერატორო კარისადმი, რომ რუსთა ჯარს ნება მისცემოდა ქართველებთან ერთად ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობისა, ფუჭ სიტყვებად რჩებოდა. ის დიდი მიზანი (ჭარ-ბელაქნის შემოერთება), რომლის განხორციელებაც ერეკლეს რუსთა ჯარის დახმარებით ენადა, მიუღწეველი დარჩა. მიუხედავად ამისა, მეფე ერეკლეს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს რწმენა და არ აუღია ხელი ჭარ-ბელაქნის გამოსხნაზე.

ჭარ-ბელაქნის საკითხი გამოხატულებას პოულობს აგრეთვე 1783 წლის რუსეთთან დადებულ მფარველობით ტრაქტატში. ამ ტრაქტატის მეოთხე სეპარატისტულ არტიკულში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ რუსეთის იმპერატორი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ერეკლეს დაებრუნებინა მტერთაგან მიტაცებული ქართლისა და კახეთის სამეფოების ძველთაგანვე კუთვნილი მიწა-წყალი. კახეთის სამეფოს ძველთაგანვე კუთვნილ ადგილებში ჭარ-ბელაქანი იგულისხმებოდა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ტრაქტატის დადების დროს, 1783 წლის ივლისში, ქართლ-კახეთის მეფის რწმუნებულები, იოანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე მოითხოვდნენ ერეკლეს მოხსენიებას ტრაქტატის არტიკულებში შემდეგი ტიტულატურით: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადლისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატში ერეკლეს ასეთი ტიტულატურით მოხსენიება არ იქნა მიღებული, მაინც ჩვენთვის გან-

საკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ ერეკლე იხსენიება, როგორც „მთავარი კაკისა“. ამაში ჩანს ერეკლეს მისწრაფება: ხაზი გაუსვას და გამოააშკარავოს თავისი უფლება კაკზე (კაკი ანუ იგივე ელისუს სასულთნო შეადგენდა ლექთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მინა-წყლის აღმოსავლეთ ნაწილს).

მაგრამ XVIII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ბრძოლა ჭარბელაქნის დამორჩილებისათვის გამარჯვებით ვერ დასრულდა. ჭარბელაქნის საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთი მხრით, საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოების ურთიერთობასთან, ხოლო მეორე მხრივ კი, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობასთან. XVIII ს-ში ფეოდალურ საქართველოს არ აღმოაჩნდა ჭარბელაქნის შემოერთებისათვის საჭირო ძალები. XIX ს-ის საქართველომ ჭარბელაქნის საკითხი მემკვიდრეობის სახით მიიღო გადასაწყვეტად.

XIX ს-ის დასაწყისში ჭარბელაქნის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. იგი ყოველთვის მკვეთრად იჩენდა ხოლმე თავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საერთო ასპექტში. 1801 წლის აპრილში, როდესაც რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სახელმწიფო საბჭოში, საბოლოოდ წყდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი, ქართველმა ელჩებმა გარსევან ჭაჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა მეფის მთავრობას წარუდგინეს ნოტა, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გვერდით გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი ჭარბელაქნის საკითხს. ელჩები ამ თავის მოხსენებაში ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ. ნოტის ავტორები ჭარბელაქნის საკითხს საქართველოს საშინაო საკითხად სთვლიან და საამისო საბუთიც მოაქვთ: ჭარბელაქანი კახეთის მიწაა, მოსახლეობაც კახურია, ოღონდ გამაჰმადიანებული. ავტორები აღნიშნავენ ჭარბელაქნის საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსთვის და მისი რადიკალურად გადაჭრის გზებს სახავენ. კერძოდ, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარბელაქნის დაპყრობა, აქაური, „მამამადის ჰსჯულსა შინა შთაცვივულ“ მოსახლეობის აყრა, მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლება და მათ ნაცვლად ამ ადგილებში ქრისტიანების დასახლება (ე. ი. აქ „ქართველობის“ აღდგენა). ძირითად დასაყრდენ ძალად, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდებოდა ჭარბელაქნის დაპყრობა, ქართველ ელჩებს მიაჩნდათ რუსეთი და მისი მხედრობა, რომლის გვერდითაც ქართველი მეომრებიც თავგანწირვით იბრძოლებდნენ კახეთის მიწა-წყლის გამოსახსნელად. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ჭარბელაქნის გამოსხნის საკითხი საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს XIX საუკუნემდეც სწორედ ასე წარმოედგინათ.

XIX ს-ის დამდეგისათვის, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა და იგი რუსეთმა დაიპყრო, ამიერიდან ჭარბელაქნის საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდა პირველყოვლისა თვით რუსეთის იმპერიის ინტერესები. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ჭარბელაქნის დაპყრობის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ის ავითარებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

რუსეთის ხელისუფლების პირველ ცდას, მიმართულს ჭარბელაქნისა და ელისუს სასულთნოს დაპყრობისაკენ, ადგილი ჰქონდა 1803 წელს, რომელიც დამთავ-

რდა მათი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლით. ამიერიდან (1803 წლიდან), ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემებისა“ და ელისუს სასულთნოს ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება: ისინი შედიან რუსეთის იმპერატორის ვასალურ დამოკიდებულებაში. ეს პერიოდი გრძელდება 1830 წლამდე, როდესაც ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს ვასალური დამოკიდებულებანი განსაზღვრული ხარკით და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნომინალური ვალდებულებების შესრულებით შეიცვალა მათი სრული დაპყრობით, ანექსიითა და ოკუპაციით. 1830 წელს ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ცალკე ჭარ-ბელაქნის ოლქი, მის ბაზაზე კი 1840 წ. – ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო – იმერეთის გუბერნიაში შევიდა; 1842 წ. იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო, 1860 წ. 31 მაისს მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით „ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს“ სცილდება ნახურის უბანი, ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანეთი (ე. წ. მთიანი მაღალი), რომელიც ადმინისტრაციულად უერთდება სამხრეთ დაღესტნის სამურის ოლქს. გარდა ამისა, საინგილო ამიერიდან „ზაქათალის ოლქის“ სახელწოდებით გვევლინება და მისი მმართველობა ზემო დაღესტნის უფროსის კომპეტენციაში შევიდა. ზემო დაღესტნის უფროსი სამოქალაქო საქმეებში უნდა დამორჩილებოდა უშუალოდ მეფისნაცვალს, ხოლო სამხედრო ხაზით – დაღესტნის ოლქის უფროსს. აი, ასე და ამგვარად, გაერთიანდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი ჭარ-ბელაქანი (კაკ-ელისენი) რუსეთის იმპერიის მფლობელობაში.

რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქანის დაპყრობასა და მისი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მოქცევასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხს. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა ჭარ-ბელაქნის ისტორიული წარსული, რომ მთელი მისი ტერიტორია წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ძველისძველ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებს; რუსეთის ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა ის გარემოებაც, რომ ამ მხარეში, სხვა ეროვნების (ლეკების, მულალების) ხალხთან ერთად, ცხოვრობდნენ აგრეთვე თვით ამ მხარის მკვიდრნი, გამუსლიმანებული და ნაწილობრივ ქრისტიანი ქართველები – ინგილოები, რომელნიც ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების მიერ სრულიად უსამართლოდ დაბეგრული იყვნენ მძიმე საქეშქელო გადასახადებით; და რომ საერთოდ, მთელი ეს მხარე ისტორიულად, ეკონომიკურად და კულტურულად საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო, მართებული იქნებოდა, რომ ჭარ-ბელაქანი, მისი დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობას გაეერთიანებინა იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რუსეთის მიერვე დაპყრობილი, ინგილოების სისხლით მოძმე სხვა ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. კერძოდ, იგი უნდა შეერთებოდა თბილისის გუბერნიაში შემავალ სიღნაღის მაზრას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, ცხადია, გარკვეული მოსაზრებით, ყურადღება არ მიაქცია, უგულვებელყო ზემოთ აღნიშნული გარემოებების, რის გამოც, მაშინ ეს ისტორიული უსამართლობა ჭარ-ბელაქანში არ გამოსწორდა. ყოველივე ამის შედეგად, ეს მხარე და ქართველების მოძმე ინგილოები კვლავ ჩამოშორებულნი რჩებოდნენ საქართველოსა და დანარჩენი ქართველებისაგან: მუსლიმანური გარემოცვის წყალობით, მაშინდელ პირობებში ინგილოები სისტემატურ დევნასა და შევიწროვებას განიცდიდნენ ფანატიკური მუსლიმანური მოსახლეობისაგან და კვლავ გრძელდებოდა მათი გამაჰმადიანების პროცესი.

XX ს-ის დასაწყისში, კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის წლებში (1905-1915), რუსი ადმინისტრატორების წინაშე, რომელნიც ზაქათალის ოლქის საგუბერნიო მმართველობისადმი დაქვემდებარებას მოითხოვდნენ, დღის წესრიგში დადგა საკითხი – ზაქათალის ოლქი, რომელიც თბილისის, ელი-სავეტოპოლის გუბერნიებს და დაღესტნის ოლქს ესაზღვრებოდა, გაერკვიათ, თავისი ბუნებრივი, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რომელ მათგანთან, იყო ყველაზე მეტად დაკავშირებული. ამ საკითხის გარკვევა რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს კოლეგიის მრჩეველს სტრატონოვს დაავალა. ამ უკანასკნელმა თავისი შეხედულება მოხსენების სახით კავკასიის მეფისნაცვალს 1909 წლის 2 მარტს წარუდგინა. როდესაც ვეცნობით ამ მოხსენების ძირითად დებულებებს, ნათელი ხდება, თუ რა სწორი ისტორიულ-გეოგრაფიული შეხედულება ჰქონდათ იმდროინდელ ზოგიერთ რუს ადმინისტრატორებს და გეოგრაფოსებს ზაქათალის ოლქის (საინგილოს) შესახებ. უპირველეს ყოვლისა, სტრატონოვი იმ ადმინისტრატორების შეხედულებას აბათილებს, რომელნიც ზაქათალის ოლქის დაღესტნის ოლქისადმი გადაცემას ამართლებდნენ. სტრატონოვი არ ეთანხმებოდა ხსენებულ მოსახრებას შემდეგი გარემოების გამო: ბუნებრივი პირობების მხრივ ზაქათალის ოლქი საცხებით მონყვეტილი იყო დაღესტნისაგან. საცხენოსნო მიმოსვლა ამ მხარეებს შორის უსაფრთხო იყო მხოლოდ წელიწადის 4-5 თვის განმავლობაში, დანარჩენ დროს კი დაღესტნის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქ. თემირხანშურაში მოსახვედრად საჭირო იყო ნუხის, ევლახის, ბაქოს, პეტროვსკის და თვით თბილისისა და ვლადიკავკაზის გავლითაც კი ემგზავრათ. აქედან გამომდინარე, დაღესტნის საოლქო სამმართველო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, რომ რაიმე არსებითი ზედამხედველობა გაუწიოს ზაქათალის ოლქს, ხოლო აქაურ მოსახლეობას კი მოუწევდათ დიდძალი ხარჯის გაღება საქმესთან დაკავშირებული მგზავრობისათვის. ამიტომაც ზაქათალის ოლქის დაქვემდებარება შორეული დაღესტნის ოლქის ადმინისტრაციისადმი გამოიწვევდა უარყოფით შედეგებს.

სტრატონოვის აზრით, ზაქათალის ოლქის დაღესტნის ოლქთან შეერთების მომხრეთა მიერ წამოყენებული არგუმენტაცია ამ მხარეებს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური და ეთნოგრაფიული კავშირების შესახებ გადაჭარბებული და ხელოვნური იყო. სავაჭრო ბრუნვა ამ ორ რეგიონს შორის თითქმის აბსოლუტურად არ არსებობდა, რაც იმავე უგზოობით იყო განპირობებული. მცხოვრებთა ურთიერთობა გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ დაღესტნიდან შემოდგომობით ჩამოსული მწყემსები თავიანთ საქონელს გამოაზამთრებდნენ ზაქათალის ოლქის საძოვრებზე, ხოლო ზაფხულის დადგომისთანავე უკანვე ბრუნდებოდნენ. ნათესაური კავშირი, თუკი არსებობდა, დაღესტნელებსა და ზაქათალელებს შორის, ესეც ძალზე შეზღუდული იყო. ზაქათალის ოლქის მოსახლეობა შედგებოდა სამი ეროვნებისაგან: ქვეყნის აბორიგენები – ქართველები, დამპყრობლები – ლეკები და თათრული წარმოშობის კოლონისტები – მულალები. ყველა ეს ეროვნება გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისაგან ეროვნული ტრადიციებით, ერთმანეთში შერწყმას ერიდებოდნენ, განსაკუთრებით ლეკები, რომელნიც მთელი მოსახლეობის $\frac{1}{3}$ შეადგენდნენ. ოლქის მცხოვრებთა ენა, გარდა საოჯახო ქართულისა და ავარულ-ნახურულისა, აზერბაიჯანული იყო. აგრეთვე დამწერლობაც. საოჯახო ენები თანდათანობით ადგილს უთმობენ აზერბაიჯანულ ენას და არსებობენ მთელი რიგი

ლეკური და ქართული სოფლებისა, რომელთაც მშობლიური ენა დავინყებულნი ჰქონდათ. დალესტინის ოლქის იმ ნაწილში, რომელიც ზაქათალის ოლქს ესაზღვრება, მოსახლეობა პირწმინდად ლეკურია (ნახურები), საუბრობენ ლეკურ (ნახურულ-ავარულ) და აზერბაიჯანულ ენაზე. ქართული არ ესმით, ანდა თუ იციან, ისიც ძალიან ცუდად. ზემოთ მოტანილი ვითარებებიდან გამომდინარე, სტრატონოვი დაასკვნის, რომ ზაქათალის ოლქის დალესტინის ოლქისადმი შეერთებას არავითარი პრაქტიკული საფუძველი არ გააჩნდა.

ასეთივე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა სტრატონოვი იმ მოსაზრების მიმართაც, რომლის მიხედვითაც ზაქათალის ოლქი ელისავეტოპოლის გუბერნიის უნდა შესულიყო. ამ მხარის არც წარსული და არც ამჟამად არსებული რეალობა არაფერს გვეუბნება ასეთი შეერთების სასარგებლოდ. ზაქათალის ოლქი არასოდეს ეკუთვნოდა ელისავეტოპოლის გუბერნიას და მასთან არც ეკონომიკური და არც ბუნებრივი პირობებით იყო დაკავშირებული. თავისი ახლანდელი საზღვრებით ზაქათალის ოლქი ელისავეტოპოლის გუბერნიის დასახლებული რაიონებიდან საზღვრის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე გამოიყოფა უწყლო და უკაცრიელი ველებით. უშუალო კავშირი ზაქათალის ოლქს დამყარებული ჰქონდა ელისავეტოპოლის გუბერნიის მხოლოდ ერთ მაზრასთან – ნუხასთან, რომლის საშუალებითაც იგი თავის ალებ-მიცემობას აწარმოებდა ელისავეტოპოლის გუბერნიასთან. მაგრამ ეს ეკონომიკური კავშირიც უმეტესად ზედაპირულ ხასიათს ატარებდა: ზაქათალის ოლქის ძირითადი ექსპორტი – კაკალი, მიემართებოდა ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის საშუალებით, ბალაჯარისა და ბაქოს გავლით რუსეთის შიდა გუბერნიებში, ასე რომ, ელისავეტოპოლის გუბერნიის ეკონომიკური მნიშვნელობა ზაქათალის ოლქისათვის გამოიხატებოდა მხოლოდ მისი სამიმოსვლო გზებით, როგორც სატრანზიტო საშუალება.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, ამ ორ ერთეულს შორის არ შეიმჩნეოდა ერთობა, ვინაიდან მულალები – თათრები, რომელნიც ამიერკავკასიის თათრული პროვინციებიდან იყვნენ გამოსულნი, შეადგენდნენ ზაქათალის ოლქის მთელი მოსახლეობის $\frac{1}{3}$ -ს, ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილს – ქართველებსა და ლეკებს თავიანთი წარმოშობით არავითარი საერთო არა აქვთ ელისავეტოპოლის გუბერნიის მოსახლეობასთან. ერთადერთი, რაც გუბერნიის მოსახლეობას ზაქათალის ოლქთან აკავშირებდა, ეს იყო ერთი სასაუბრო ენა, მაგრამ ეს გარემოება, სხვა უარყოფითი პირობების გათვალისწინებით, არავითარ შემთხვევაში არ იძლეოდა საკმარის საფუძველს ასეთი სერიოზული ადმინისტრაციული რეფორმის გატარებისათვის.

სტრატონოვის შეხედულებით, მის მიერ ზემოთ მოტანილი არგუმენტების (ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ადმინისტრაციული და სხვ.) გათვალისწინებით, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ზაქათალის ოლქი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შესულიყო. ზაქათალის ოლქი თბილისთან და გუბერნიის უახლოეს რაიონებთან მოხერხებული გზებით იყო დაკავშირებული, რომლის საშუალებითაც მათ შორის გაცხოველებული საქონელბრუნვა წარმოებდა. კახეთის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ ზაქათალის ოლქი კიდევ უფრო დაუახლოვდებოდა თბილისს და ზაქათალის შემოსაღიანი და გასაღიანი საქონლის დიდი ნაწილი თბილისის მხრით წარიმართებოდა. ოლქის მოსახლეობას ისტორიულად, ოდითგანვე და ახლაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა თბილისის გუბერნიის რაიონებთან. ასე რომ, დაასკვნის სტრატონოვი, ზაქათალის

ოლქის თბილისის გუბერნიისადმი გადაცემა რუსეთის ხელისუფლების ადმინისტრაციისათვის არავითარ სიძნელეებს არ შექმნიდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XX ს-ის დასაწყისისათვის რუსი ადმინისტრატორები ზაქათალის ოლქს ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და ნაწილობრივ ადმინისტრაციული თვალსაზრისით თბილისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. სწორედ ამ გარემოებამ უკარნახა რუს მოხელეს, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს კოლეგიის მრჩეველს, სტრატანოვს, რომ ზაქათალის ოლქის თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შესვლის საკითხი დაეყენებინა. მაგრამ საკითხი საკითხად დარჩა და მას პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია. საქართველოს ორგანული ნაწილი, ალაზნის ველის ბუნებრივი გაგრძელება, საინგილო თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში არ შესულა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით, თბილისის გუბერნიის სასაზღვრო ხაზი კვლავ ზაქათალის ოლქით იყო განყვეტილი, ვინაიდან იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო და თბილისის გუბერნიის ფარგლებში არ შემოდიოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (1918-21 წწ.) ზაქათალის ოლქი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. მართალია, აღნიშნულ ხანაში, საინგილოში დროებით ბაქოს მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილები იდგნენ, მაგრამ საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საკითხი მშვიდობიანად, პოლიტიკური გზებით მოგვარდებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებით. როგორც ცნობილია, საქართველოს დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის 14 მარტი) წარადგინა მემორანდუმი, რომლის პოლიტიკურ მოთხოვნებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ზაქათალის ოლქი უნდა შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა უკმაყოფილება გამოთქვეს საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა ბოლშევიკ-პოლიტიკოსებმა, ბუნებრივია, არ აწყენინეს თავიანთ ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ამავე წლის 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ზაქათალის ოლქი სადავო ტერიტორიად ჩაითვალა. ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ჯარების ახალი კონტინგენტი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა. როგორც ვხედავთ, საინგილოს საკითხის ირგვლივ მეტად არასახარბიელო ვითარება შეიქმნა. დამატებითი შეთანხმება ერთობ წამგებიანი იყო საქართველოსთვის, რადგანაც ზაქათალაში ამ დროს მხოლოდ XI არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და საქართველოს აღარ შეეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. გარდა ამისა, თუ კომისია საკითხს განიხილავდა, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, რადგან იგი უთუოდ აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს დაუ-

ჭერდა მხარს და ამით საქმე საქართველოსთვის საზიანოდ გადაწყდებოდა. ასე წარუმატებლად დამთავრდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძოლა ზაქათალის ოლქის შემოერთებისათვის. წარუმატებლად დამთავრდა იგი საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. 1921 წლის ივლისის დამდეგამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მანც იმედოვნებდნენ, რომ ზაქათალის ოლქი საქართველოს გადმოეცემოდა. ამას ისინი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. 1921 წლის 5 ივლისს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ-ების დელეგაციათა კონფერენციაზე, რომელიც სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხს იხილავდა, ქართველმა ბოლშევიკებმა იძულებით აღიარეს „...საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ“, „რაზეც საქართველოს რევკომი გააკეთებს შესაბამის დეკლარაციას“. ეს ფორმულირება კონფერენციის დადგენილების მე-4 პარაგრაფადაა ცნობილი და იგი ამოსავალ დებულებად იქცა შემდგომ ურთიერთობებში. წინასწარ დადგენილება-შეთანხმებას ხელი მონაწიერეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევკომთა თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა. საბოლოოდ ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის სსრ-სადმი მიკუთვნება იურიდიულად გაფორმდა ორ ქვეყანას შორის 1921 წლის 15 ნოემბრის სასაზღვრო საკითხების მომწესრიგებელ შეთანხმებაში. აქ მესამე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ „ზაქათალის ოლქის საკითხში ძალაში რჩება ამიერკავკასიის რესპუბლიკების შიდა საზღვრების მომწესრიგებელი კონფერენციის 1921 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-4 პარაგრაფი. ამ შეთანხმებას ხელი მონაწიერეს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯიემა. აი, ასე დააკანონა საქართველოს რევკომმა საინგილოს ტერიტორიის სრულიად უსამართლოდ მიტაცება და გადაცემა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის. ამ შეთანხმების შედეგად საქართველომ ბოლშევიკების წყალობით თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ზაქათალის ოლქის გადაცემით აზერბაიჯანმა საქართველოს ხარჯზე მიიღო 3993,89 კვ. კმ, რომლის მოსახლეობის რაოდენობა შეიცავდა 92608. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი კაკ-ელისენი (საინგილო) მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკას თითქმის უმტკიცებულოდ დაუთმო. ფაქტობრივად, ეს იყო ისტორიული საქართველოს ძირძველი პროვინციის, ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის – წუქეთის გასაჩუქრება. ქართველმა ბოლშევიკებმა ზემოაღნიშნული ქმედებისას სავსებით უგულვებელყვეს თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები, მათ დაივიწყეს, უპირველეს ყოვლისა, ის ურყევი ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფო საზღვრების დაცვა ყოველგვარ პოლიტიკაზე, იდეოლოგიაზე, პარტიულ აზროვნებაზე და ე. წ. „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პრინციპებზე უფრო მაღლა დგას.

ჰ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ბროშურის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების განხილვას: ლექეთის მრგვალი ტაძარი (გვ. 28-29), ყუმის ღვთისმშობლის ტაძარი (გვ. 30-31), ლექეთის იედი ქილისეს მონასტერი (გვ. 32-34), ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარი (გვ. 52-53). ნაშრომში ავტორებს განხილული აქვთ აგრეთვე კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ადრე შუა საუკუნე-

ნების ქალაქური ტიპის სამოსახლო – ტორპაგალა (გვ. 23-24). აღნიშნული ძეგლები მათ გამოცხადებული აქეთ როგორც აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრების (იგულისხმება კავკასიის ალბანელები – თ. პ.) მიერ შექმნილად და მიიჩნევენ ტიპურ აზერბაიჯანული არქიტექტურის ძეგლებად. ყოველივე ამას ავტორები „ამტკიცებენ“ ძეგლთა არქიტექტურული ანალიზის გარეშე, ნაშრომში ვერ შეხვდებით მეცნიერულ მსჯელობას ძეგლთა დათარიღების საკითხების შესახებ. თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად მათ ვერ მოაქვთ ვერავითარი სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთი ან რაიმე უტყუარი მონაცემი საისტორიო წყაროებიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი საკულტო არქიტექტურის ძეგლები ქართული (საინგილოს) მონუმენტური ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ყუმის ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკაა, ლექეთის მრგვალი ტაძარი წარმოადგენს ე. წ. გუმბათიან კვადრატს – წრეში მოთავსებული ტეტრაკონქი, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით; ქურმუხის ტაძრის გეგმის კომპოზიცია კი სწორკუთხედს წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები 1869-1874 წწ. მოინახულა საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა დ. ბაქრაძემ, როდესაც იგი ზაქათალის ოლქში მომუშავე ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა. საინგილოს ტერიტორიაზე არსებულ ქართულ სიძველეთა შესახებ მან მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი შექმნა – „Заметки о Закавказском округе“, რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა. აღნიშნულ ნაშრომში დ. ბაქრაძემ საინგილოს მატერიალური კულტურის ძეგლები მეცნიერულად შეისწავლა, შეაფასა და წარმოაჩინა როგორც კახეთის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლები⁶⁰. აღნიშნული ტაძრები 1892-1893 წწ. შეიძლება ითქვას, ხელახლა აღმოაჩინა და აღწერა ა. ხახანაშვილმა ზაქათალის ოლქში მოგზაურობის დროს. ამ ძეგლების სამეცნიერო ნომენკლატურაში შემოტანა ა. ხახანაშვილის დიდი დამსახურებაა. მკვლევარი ყუმის, ლექეთის და ქურმუხის ტაძრებს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებად მიიჩნევს და ამასთანავე წერს: „Территория Закавказского округа составляла некогда восточную часть Кахетинского царства. Развалины множества храмов и монастырей служат безмолвными свидетелями с одной стороны богатства и могущества грузинских владетелей, а с другой того разгрома и разорения, которому подверглась Кахетия от турок, персов и лезгин“⁶¹.

რუსული არქიტექტურის სპეციალისტი პ. ბარანოვსკი ყუმის ბაზილიკას VI ს-ით ათარიღებს, ხოლო ლექეთის ტეტრაკონქი, მისი აზრით, VII საუკუნეში თავსდება. ორივე ძეგლი პ. დ. ბარანოვსკის აზრით, აზერბაიჯანის ძველი არქიტექტურის ყველაზე უფრო გამორჩეულ და მნიშვნელოვან ძეგლთა რიგში დგას. იგი წერს: „Простая монументальная архитектура Кумского Храма, свойственная базиликальным постройкам и особенно памятникам северо-восточного Кавказа, в сочетании с парадным и живописным мотивом галерей, четкость и совершенная законченность плана, рациональное использование дающих хороший красочный эффект

⁶⁰ Залиски Кавк. Отд. И. Р. Г. О. გვ. 1-5, 10-13 და შემდ.

⁶¹ А. С. Хаханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, 33-35.

местных материалов, родство с самыми ранними зданиями Кавказа V и VI веков, позволяющее отнести сооружение базилики сел. Кум к VI веку – вот те достоинства, которые выдвигают Кумскую базилику в разряд наиболее ценных памятников древней архитектуры Азербайджана ... Кумский храм в общей цепи развития базиликальных форм представляет собой, пожалуй, один из наиболее развитых и парадных примеров базиликальной архитектуры Востока". „В свете новых открытий в исследуемом районе теперь уже нельзя говорить, что Албания „бедна памятниками архитектуры“, как писал об этом в 1898 году А. Хаханов, но очевидно, что Албания жила еще перед нашествием арабов интенсивной культурной жизнью, создавая свои архитектурные ценности, руины которые теперь открываются перед нами. Открытые за последние годы, уцелевшие от грандиозных исторических потрясений руины, особенно находки в Леките в сопоставлении с находками в Босра, имеют большое значение для истории архитектуры. Храм в Леките, находившийся на крайнем северо-востоке христианской культуры еще до арабских завоеваний, может помочь в разрешении одной из важнейших проблем истории мировой архитектуры – вопроса о формировании и развитии построек с подкупольным квадратом, девших идею Константинопольской Софии. Это выдвигает неизветсные до сих пор памятники архитектуры бывшей Албании сразу на одно из видных мест"⁶². პ. ბარანოვსკის შეხედულებანი ყუმის ბაზილიკასა და ლექეთის ტეტრაკონქზე საკვებით გაიზიარა მ. დიაკონოვმა. მისი აზრითაც, ორივე ეს ძეგლი, კავკასიის ალბანეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს⁶³. განსხვავებული შეხედულებისა დათარიღების საკითხში აკად. გ. ჩუბინაშვილი. ამ უკანასკნელის მიხედვით, ყუმის ბაზილიკა VIII ს-ით თარიღდება, ლექეთის გუმბათიანი კვადრატი კი მიეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს. გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ყუმისა და ლექეთის ტაძრები ადგილზე შეისწავლა, დაწვრილებითი არქიტექტურული ანალიზის შედეგად აღნიშნავს: ეს ორი ძეგლი, რომელნიც მდებარეობენ ძველი კახეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, მისი იმ ნაწილის ფარგლებში, რომელიც საისტორიო წყაროების მიხედვით შერეთის სახელწოდებით მოიხსენიებოდა, სრულიად და მთლიანად გვერდში უდგებიან VIII-IX საუკუნეების ეპოქის კახეთის არქიტექტურულ ძეგლებს⁶⁴. რაც შეეხება ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარს, ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ვარაუდით, მისი აგების ხანა უნდა განისაზღვროს XIII-XIV საუკუნეებით. ქურმუხის ტაძრის გეგმასაც ზუსტი პარალელები ეძებნება კახეთის ტერიტორიაზე⁶⁵.

სრულიად საპირისპირო მოსაზრება წამოაყენა ლექეთის ტეტრაკონქისა და სავანეთოდ კახეთის არქიტექტურის შესახებ აკად. შ. ამირანაშვილმა. იგი აღნიშნავს: „კახეთის არქიტექტურა წარმოადგენს მეტად საყურადღებო მოვლენას ხელოვნ-

⁶² П. В. Барановский, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, 33.

⁶³ М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

⁶⁴ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 130-133, 226-228.

⁶⁵ ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წიგნი III (საინგილო), თბილისი, 1979 წ., გვ. 137-141, 176.

ბის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ მას არსებითი გავლენა ქართული არქიტექტურის ზოგად განვითარებაზე არ მოუხდენია, მხედველობაში თუ მივიღებთ ქართული არქიტექტურის ისტორიის მთავარ მოვლენებს, კახეთის არქიტექტურა წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას; ეს გარემოება აუცილებლად უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ კახეთი ხსენებულ პერიოდში, თითქმის XII საუკუნემდე, წარმოადგენდა საქართველოს რალაც გამოყოფილ ერთეულს, რომელსაც საკუთარი განვითარების ისტორია ჰქონდა; ხოლო შემდეგ, უფრო გვიან, XII საუკუნიდან იგი საქართველოს უფრო მჭიდროდ უკავშირდება და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით... ვინაიდან კახეთი განმარტოვებული იყო ქართული კულტურის განვითარების მთავარ ცენტრებისაგან, ამიტომ შესაძლებელია ამ არქაიზმს უფრო ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს. კახეთის საკულტო ხელოვნება მომავალში შესაძლებელია ახსნილ იქნას იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც ალბათ აღმოჩნდება, როდესაც ძველი ალბანეთის, ებლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის ადრინდელი ხანის ქრისტიანული რელიგიური ხელოვნება შესწავლილი იქნება. კახეთი ძველ ალბანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და როდესაც ალბანეთის რელიგიური არქიტექტურა გამორკვეული იქნება, მაშინ შეიძლება კახეთის არქიტექტურის მასალა სულ სხვანაირად წარმოადგეს ჩვენს წინაშე“⁶⁶.

რაც შეეხება სახელდობრ ლექციის ტაძარს, მის შესახებ შ. ამირანაშვილი წერს შემდეგ: „ძველი ტაძარი სოფ. ლეკითში (აზერბაიჯანის სსრ) წარმოადგენს ე. წ. „ცენტრალური გემის“ ოთხკონქიან ნაგებობას, რომელიც მოთავსებულია წრეში. ტაძრის გარეგნული მოხაზულობა გვაძლევს, როგორც აღვნიშნეთ, წრეს, რომლის დიამეტრი 22 მეტრს უდრის. შენობის ცენტრში მოთავსებულია ოთხი დიდი ბურჯი, რომელთაც უჭირავთ გუმბათის მთელი კონსტრუქცია. ბურჯებს შორის მოთავსებულია სამ-სამი სვეტი ნახევარ წრეში იმნაირად, რომ იქმნება ექსცედრა ოთხივე მხრიდან ბურჯებს შორის, რომელიც ზემოდან გადახურულია კონქით. თითოეული ბურჯის უკან მოთავსებულია დამატებითი სვეტი, რომელიც ამაგრებს სართულის კედლებს. აღმოსავლეთიდან შენობის მრგვალ კედელზე მიშენებულია ცალკე კამერები – სამკვეთლო და სალარო. ტაძარი აგებულია რიყის ქვიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითად საამშენებლო მასალას. საძირკვლის წყობაში, კარების არქიტრავულ გადახურვასა, პორტალების და პილასტრების წყობაში გამოყენებულია კირქვა. სვეტები და ბურჯები აგებულია აგურისგან. ტაძრის ნაგებობა ეკუთვნის ტეტრაკონქის ტიპს, რომლის ქვემო ნაწილი გაფორმებულია ექსცედერის სახით, სადაც გუმბათი ეყრდნობა ოთხ დიდ ბურჯს, ხოლო შენობის შინაგანი კომპოზიცია მოთავსებულია წრეში. ერთი სიტყვით – შერწყმულია ტეტრაკონქი და სამსართულიანი როტონდა, გადახურული გუმბათით. წერილობით წყაროებში არ მოიპოვება აგების თარიღი... ლეკითის ტაძრის გამოცხადება ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლად დაუსაბუთებლად მიმაჩნია. ლეკითის ტაძარს აქვს საერთო კახეთის არქიტექტურის ძეგლებთან მხოლოდ ერთი და იგივე საამშენებლო მასალების გამოყენებაში: რიყის ქვა, აგურის ფართო გამოყენება, როგორც ძირითადი საამშენებლო მასალის, კირქვის ფილების გამოყენება შენობის

⁶⁶ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 135.

საძირკველისა, არქიტექტურული გადახურვის ნყოფაში და სხვ. კახეთის ტერიტორიაზე ანალოგიური ძველი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ ძველი საქართველოს მინა-წყალზე, სახელდობრ ტაოს მხარეში მოიპოვება მსგავსი ძეგლები (იშხანის საკურთხეველი, ბანა), მაგრამ ლეკითი ხსენებული ძეგლებისაგან არსებითად განსხვავდება. ამრიგად ჩვენ გვაქვს უფლება, ეს ძეგლი, რომელიც იმყოფება ძველი იბერიისა და ალბანეთის საზღვარზე, ჩავთვალოთ ალბანეთის ხელოვნების ნაწარმოებად, რომელსაც ქართული და სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, დიდი წარსული ჰქონია და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია⁶⁷.

მიუხედავად იმისა, რომ აკად. შ. ამირანაშვილს უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ამ მნიშვნელოვანი კუთხის ძეგლების შესწავლის დარგში, მოგვცა მათი მხატვრულ-ისტორიული ანალიზი და მათი განხილვა ქართული არქიტექტურის ზოგად ისტორიაში შეიტანა, ვფიქრობთ, რომ გ. ჩუბინაშვილის შეხედულება კახეთის არქიტექტურის განვითარებაზე სავსებით სწორი და მისაღებია.

გ. ჩუბინაშვილის მიერ ყუმისა და ლექეთის ტაძრების არქიტექტურული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დათარიღების საკითხში, უფრო დამაჯერებელი და სარწმუნოა. ამ დათარიღებას მხარს უჭერს მატეიანის ნიშანდობლივი ჩვენებანი. სწორედ VIII ს-ში, ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის ხანაში, საინგილოს ტერიტორიაზე (ისტორიული ნუქეთი, რომელიც სწორედ თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორიაზე ლოკალიზდება) დიდი საამშენებლო საქმიანობა წარმოებს. ამიტომ არ შეეცდებით, თუ ყუმისა და ლექეთის ტაძრების აშენებას არჩილ მეფის სახელს დაუკავშირებთ.

ლექეთის მრგვალი ტაძრიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთის მიმართულებით, სოფ. ლექეთქოთუქლოსთან, მდ. ლექეთის წყლის (ლექეთ-ჩაი) ხეობის ნაპირზე არის რამდენიმე შენობისაგან შემდგარი სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის ბირთვი წარმოქმნილია ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევებისაგან. ბირთვისადმი მიმდებარე ბორცვებზე დარჩენილია სამეურნეო ტერასების, მინაში ამოყვანილი სათავისის, „დარბაზის“, მარნისა (სატრაპეზო?) და მცირე კარიბჭის ნაშთები. მთელი სამონასტრო კომპლექსი გარშემორტყმული ყოფილა გალავნით. საკუთრივ საეკლესიო ნაგებობათაგან ყურადღებას იპყრობს ორი დიდი საყდარი. კომპლექსის დასავლეთ მხარეს მდებარე ერთი მათგანი, როგორც ჩანს, იყო ჯვარგუმბათოვანი, გეგმაში წაგრძელებული შენობა სამი შეერილი ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის გუმბათი ეფუძნებოდა ორ, კვადრატს მიახლოებულ კვეთის ბურჯს და აფსიდის კუთხეებს. ნაგებობის ძირითად სივრცეს დასავლეთიდან ეკვროდა სწორკუთხა ნართექსი. დაახლოებით დგინდება მისი აგების დროც, კერძოდ X-XI სს. მონასტრის მეორე, ზემოთ აღწერილისაგან აღმოსავლეთით მდებარე ეკლესიაც ჩანერილი ჯვრის ტიპისაა. გეგმაში იგი წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლის ფარგლებშიაც ექცევა განვითარებული სამნაწილიანი საკურთხეველი. ეკლესიის გუმბათი ეყრდნობოდა რთული მოხაზულობის ორ ბურჯსა და აფსიდის კუთხეებს. ლექეთის მონასტრის მეორე ეკლესიას ხელოვნებათმცოდნეები განვითარებული ფეოდალიზმის ხანის

⁶⁷ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 130-132, სქოლიო 1.

ბოლო ეტაპით, კერძოდ XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. ლექეთის მონასტერი წარმოადგენს ძეგლს, რომელშიც სრულებით განსაკუთრებული სახით ინასკვება საქართველოს სხვადასხვა პროვინციისათვის დამახასიათებელი მხატვრული ძიებები და სამშენებლო ტრადიციები, ეს ძეგლი არ წარმოადგენს გამოჩინების ჰერეთის ხუროთმოძღვრებაში, საქართველოს სხვა პროვინციების ხუროთმოძღვრებასთან დაახლოების ტენდენცია გამოვლინდა უკვე ადრეფეოდალურ ხანაში. ამის მაგალითებია ბაზილიკა ყუმში (VIII-IX სს.), რომელიც პოულობს პარალელებს ბონისში, ხაშში, წყაროსთავში, ურბნისში, ხოლო უახლოესი ანალოგი ვაზისუბნის ბაზილიკაში ეძებნება, ტეტრაკონქი ლექეთში (VIII-IX სს.), რომელიც ავლენს დიდ მსგავსებას კახურ ძეგლებთან, და იზხანსა და ბანასთან. ჰერეთისა და საქართველოს სხვა პროვინციების კულტურული ერთობა, ესოდენ მკაფიოდ გამოვლენილი ხუროთმოძღვრებაში, მტკიცდება ისტორიულადაც⁶⁸. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მთელს იმ ტერიტორიას, რომელზედაც ლექეთის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, დღემდე „ქილისე მიუღქ“-ს უწოდებს, რაც საეკლესიო სამფლობელოს ნიშნავს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ ლექეთში, უკვე VIII-IX საუკუნეებიდანვე, საეპისკოპოსო კათედრის არსებობა? ადრეფეოდალური ხანის საისტორიო წყაროებში ლექეთი არსად გვაქვს დამოწმებული. არ იცნობს მას არც ვახუშტი. იგი მთელ იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: ბელაქნის-წყლის, გიშის-წყლის, ალაზნისა და კავკასიონის მთავარ ქედს შორის, უწოდებს ელისენს⁶⁹. სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ლექეთიც. უფრო ზუსტად თუ განვსაზღვრავთ ლექეთის ადგილმდებარეობას, მაშინ იგი ნუქეთის ტერიტორიაზე თავსდება, მდ. ყაფი-ჩაის აღმოსავლეთით, მის მარცხენა მხარეს. ამ ამბებთან კავშირში აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1898 წელს ა. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლექეთში უნდა ყოფილიყო ელისენის, ნუქეთის და შაქის საეპისკოპოსო ცენტრი⁷⁰. ა. ხახანაშვილის ეს თავისთავად საგულისხმო მოსაზრება, ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივის შეტანას საჭიროებს. როგორც ცნობილია, ვახუშტის მიხედვით, ელისენი, ნუქეთი და შაქი (შაქი) ექვემდებარებოდა გიშის ეპისკოპოსის იურისდიქციას⁷¹. ამიტომ, თუ ჩვენ დავუშვებთ VIII-IX საუკუნეებიდან ლექეთის დამოუკიდებელი საეპისკოპოსოს არსებობას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის სამწყსოში მხოლოდ ნუქეთი შედიოდა; მომდევნო ხანაში, როგორც ჩანს, ნუქეთის ცალკე ეპარქია გაუქმდა, ხოლო მისი სამწყსო კი გიშელის იურისდიქციას დაუქვემდებარეს. გიშის საეპისკოპოსოს, და საერთოდ ჰერეთის საეპისკოპოსოებს, საქართველოს საეკლესიო იერარქიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ჰერეთი, ნუქეთთან ერთად, ძირითადად და მთლიანად (ნუხის ოლქის ჩათვლით) ქართული სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის (მცხეთის)

⁶⁸ გ. მარჯანიშვილი, ორი ნაკლებად ცნობილი ძეგლი ისტორიული ჰერეთიდან, ძეგლის მეგობარი, 1984, № 67, გვ. 16-20.

⁶⁹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 96.

⁷⁰ А. Хаханов. Материалы по археологии Кавказа, VII, стр. 35.

⁷¹ ვახუშტი, იქვე, გვ. 95-96.

კათალიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია, კულტურაც ქართული და პოლიტიკურადაც ჰერეთი ქართლშია. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ნათელი და ცხადი ხდება სრული უსაფუძვლობა პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის განცხადებისა იმის თაობაზე, რომ ლეჩეთის სამონასტრო კომპლექსი, ანუ როგორც ისინი მას უწოდებენ ლეჩეთის იედი ქილისეს მონასტერი, კახის რაიონის ტერიტორიაზე კავკასიის ალბანეთის-დროინდელი ყველაზე დიდი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია⁷².

ყუმის, ლეჩეთის და ქურმუხის გარდა ნუქეთის ტერიტორიაზე (ანინდელი კახის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალების მიხედვით დასტურდება აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებისა და ძეგლების არსებობაც. ერთ-ერთ ასეთ ძეგლთა რიგს განეკუთვნება ტორპაგგალა, სადაც უკანასკნელ ხანებში (1959, 1961-1963 წწ.) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მონაცემები აშკარად მიგვანიშნებენ აქ ქალაქური ტიპის სამოსახლოს არსებობაზე. ტორპაგგალა მდებარეობს კახის რაიონში, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. წერილობითი წყაროები ტორპაგგალას შესახებ არაფერს გვამცნობენ. სამოსახლო დაფუძნებული ყოფილა ბორცვზე, რომელსაც 4,5 ჰექტარი ფართობი უკავია და წარმოადგენს მეტად საყურადღებო მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს: ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. XIV-XV საუკუნეებამდე. შესაძლებელი ხდება განისაზღვროს მეურნეობის სახეები, რომელთაც წარმოშვეს პირობები უწყვეტი ცხოვრებისათვის. როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, ტორპაგგალას მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა მინათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა სამეთუნეო წარმოება. ამაზე მიგვითითებს ტორპაგგალაში აღმოჩენილი თიხის ნაწარმის გამოსაწვავი სამეთუნეო ქურები. აქვე აღმოჩენილი იქნა აგრეთვე აგურის გამოსაწვავი ქურებიც. როგორც ჩანს, ტორპაგგალა წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს შუა საუკუნეების ჰერეთში. ალაზნის აუზის ტერიტორია, სადაც ტორპაგგალა მდებარეობს, კერამიკული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით მეტად მდიდარია. აქაური თიხა გამოირჩევა თავისი საუკეთესო თვისებებით. ტორპაგგალას სამოსახლოს ადრეფეოდალური ხანის ფენაში გამოვლენილი იქნა აგრეთვე მინის წარმოების სახელოსნოს ნაშთები. არქეოლოგიურ ძეგლთა მთელი კომპლექსის შესწავლის საფუძველზე აშკარად ირკვევა, რომ ტორპაგგალას სახით ჩვენ საქმე გვაქვს კახის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ე. ი. ნუქეთის სამხრეთ-დასავლეთში - თ. პ.) მდებარე ქალაქური ტიპის მსხვილ დასახლებულ პუნქტთან⁷³. თუ ღრმად ჩავუკვირდებით იმ ქრონოლოგიურ პერიოდს, რომელსაც მოიცავს ტორპაგგალაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, მასში ჩვენ აშკარად დავინახავთ, რომ იგი სავსებით ემთხვევა ნუქეთში ვახტანგ გორგასლისა (V ს.) და არჩილ მეფის (VIII ს.) მოღვაწეობის

⁷² პ. აზიმოვი, შ. აჰმედოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

⁷³ P. M. Вандов, Предварительные итоги археологических исследований Топрагкала, Сессия, посвященная итогам археологических работ 1963 г., Тезисы докладов и сообщения, Баку, 1964 г. стр. 19-20. მისივე, Первые итоги археологических работ в Топрагкале. Материальная культура Азербайджана. VI. Баку, 1965, стр. 201-211.

ხანას. სწორედ მათი მმართველობის პერიოდში ნუქეთში ადგილი აქვს დიდ სა-
ალმშენებლო საქმიანობას, რაც გამოიხატებოდა ახალი ქალაქების დაარსებასა და
ძლიერი სტრატეგიული პუნქტების შექმნაში. ტორპაგვალას, როგორც ქალაქური
ტიპის სამოსახლოს წარმოქმნა და შემდგომი განვითარება უკავშირდება ვახტანგ
გორგასლისა და არჩილ მეფის ეპოქას. ყოველივე აქედან გამომდინარე სრული-
ად დაუსაბუთებლად გამოიყურება პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის დებულება იმის
თაობაზე, რომ ტორპაგვალას სახით ჩვენ საქმე გვაქვს ადრე შუა საუკუნეების
კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი მსხვილი ქალაქის ნანგრევებთან⁷⁴.

საინგილოს ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების განხილვი-
სას გვერდს ვერ ავუვლით იმ მცდარ შეხედულებებსაც, რომლებიც სამეცნიერო
ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე სხვა ავტორთა მიერაც აღნიშნული ძეგ-
ლების შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კ. ტრევერი, რომელიც ალ-
ბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში ყუმისა და ლექეთის ტაძრებს
განიხილავს, როგორც ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებს. კ. ვ. ტრევერი სა-
განგებოდ, ერთობ დანერვილებით აღგვიწერს ყუმის ტაძარს. იგი გამოთქვამს მო-
საზრებას, რომ ეს ტაძარი შეიძლება წარმოქმნილიყო იმ წარმართული ტაძრის
ადგილას, სადაც მდებარეობდა სტრაბონისეული (წ. 11, თავი 4, პარაგრაფი 7)
მთვარის ტაძარი. მაგრამ, როგორც ცნობილია, აკად. ს. ჯანაშია გამოთქვამდა
სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას. კერძოდ, მისი შეხედულებით, დასახელებუ-
ლი მთვარის ტაძარი იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდგომში, ქრისტიანულ
ხანაში ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია ააშენეს. შემთხვევითი არ არის, რომ იქ-
ვეა სოფ. ალვანი და რომ თვით ტაძრის ადგილის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა
აგებული: „ალავერდი“ ალვან-გვერდის განვითარებაა⁷⁵. ვფიქრობთ, ავტორს უნდა
გამოემყუდარებინა თავისი დამოკიდებულება მასზე ადრე გამოთქმული მოსაზრებე-
ბის მიმართ. გარდა ამისა, იგი იმონებებს, და ამავე დროს იზიარებს კიდევაც, ნ.
ტოკარსკის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ლექეთის ტაძარი აგებულია ალბა-
ნეთის მთავრის ჯეჯანშირის (638-670 წწ.) მიერ⁷⁶. ანალოგიური ხასიათის მცდარი
შეხედულება გამოთქმული აქვთ აგრეთვე აზერბაიჯანის არქიტექტურის ისტორი-
ის ავტორებს მ. ჰუსეინოვს და ა. სალამზადეს. ეს უკანასკნელნი, მიიჩნევენ რა
ყუმსა და ლექეთს ალბანური ხელოვნების ნიმუშებად, წერენ: „Северо-западные об-
ласти Азербайджана, где воздвигнуты эти сооружения (იგულისხმება ყუმი და ლე-
ქეთი – თ. პ.), в раннем средневековье были центром Кавказской Албании“⁷⁷. ყუმი,
ლექეთი და საერთოდ შექი-ბელაქნის ზონაში მდებარე სხვა ქრისტიანული არქი-
ტექტურის ძეგლები ტიპურ ალბანურ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებად არიან მიჩნე-
ულნი სულ ახლახან გამოცემულ აზერბაიჯანელი ხელოვნებათმცოდნის ა. კარახმე-
დოვას მონოგრაფიაშიც. მისი აზრითაც, მთელი შექი-ბელაქნის ზონა (ე. ი. ძველი

⁷⁴ პ. აზიმოვი, შ. აჰმედოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-24.

⁷⁵ ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. 1, თბ., 1949, გვ. 157.

⁷⁶ К. В. Тревер, დასახ. ნაშრომი, გვ. 297-306.

⁷⁷ М. Усейнов, Л. Б. Бретаницкий, А. Саламзаде, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ქართული ისტორიული პროვინცია ჰერეთი – თ. პ.) ალბანეთის სამეფოს დასავლეთ ნაწილს შეადგენდა და აქაური ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები ე. წ. ალბანური ეპარქიების იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ⁷⁸.

ყუმსა და ლექეთს ალბანური ხელოვნების ნიმუშებად მიიჩნევენ აგრეთვე აზერბაიჯანის ისტორიის ავტორებიც. განიხილავენ რა VI-VII სს. ალბანეთის კულტურას, საკულტო არქიტექტურის ძეგლების მაღალი დონის საჩვენებლად, საილუსტრაციოდ, ისინი ასახელებენ ყუმისა და ლექეთის ტაძრებს⁷⁹.

კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების განხილვისას, აზერბაიჯანელი არქეოლოგი რაშიდ ბახადურ ოლლი გეიუშევი ყუმის სამნავიან ბაზილიკას და ლექეთის მრგვალ ტაძარს მიაკუთვნებს ალბანურ ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურის ძეგლთა რიცხვს⁸⁰.

აზერბაიჯანელი არქიტექტორი დ. ახუნდოვი ლექეთის მრგვალ ტაძარს IV ს-ის დასასრულით და V ს-ის დასაწყისით ათარილებს, ხოლო ყუმის ბაზილიკას აგების ხანად თვლის V ს-ეს. ორივე ამ ტაძარს იგი მიიჩნევს ალბანური ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვან საეპისკოპოსო ცენტრებად⁸¹.

ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებად განიხილავს ყუმსა და ლექეთს ლენინგრადელი მკვლევარი ა. ლ. იაკობსონი. ათარილებს რა ორივე ძეგლს VII საუკუნით, ამავე დროს იგი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ შექმნაზე დიდი გავლენა მოახდინა სომხურმა არქიტექტურამ. იგი წერს: „Создание в Леките албанского храма, подобного звартноцу, убедительно объясняется тем пиеетом, который проявил к Григорию Просветителю албанский правитель Джеваншер (правил в 636-669 гг.), дважды ездивший в Армению (один раз – в Вагаршапат) и, вероятно, присутствовавший при освящении звартноца – мартирия Григория Просветителя, получения части мощей которого албанский правитель (преемник Джеваншера Варз Трдат добивался)“... ა. ლ. იაკობსონის საბოლოო დასკვნა კი ასეთია: „Монументальное раннесредневековое зодчество Кавказской Албании ориентировалось преимущественно на Армению. Об этом позволяют говорить Кумская базилика и храм в Леките... в создании албанской раннесредневековой архитектуры зодчество Армении имело доминирующее значение“⁸².

ყუმის სამნავიან ბაზილიკას და ლექეთის „მრგვალ ტაძარს“ ალბანური არქიტექტურის ძეგლებად თვლის ლ. გ. იშხანოვი⁸³.

ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარე ეს ორი შესანიშნავი ტაძარი: ყუმის დიდი სამნავიანი ბაზილიკა და ლექეთის (ლექართის) ტეტრაკონქი ძველ

⁷⁸ А. А. Карахмедова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 4-28.

⁷⁹ *История Азербайджана в трех томах*, т. 1, Баку, 1958, стр. 102-03.

⁸⁰ Р. Г. Генушев, *Христианство в кавказской Албании*, Баку, «ЭЛМ», 1984, стр. 93-97.

⁸¹ Д. А. Лхундов, *Архитектура древнего и раннесредневекового Азербайджана*, Баку, 1986, стр. 210-212; 222-223.

⁸² А. Л. Якобсон, *Архитектурные связи Кавказской Албании и Армении*, *Историко-филологический журнал*, 1 (76), Ереван, 1977, стр. 77-83.

⁸³ Л. Г. Ишханов, *Новый памятник архитектуры Кавказской Албании*, «Краткие сообщения Института Археологии А. Н. СССР», вып. 113, 1968, стр. 62; მისივე, *К изучению храма в сел. Лекит*, «Советская археология», 1970, № 4, стр. 227. и др.

ალბანურ ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურის ძეგლთა რიგში შეაქვს დ. შარიფოვს⁸⁴.

ტიპურ აზერბაიჯანულ ხელოვნების ძეგლებად წარმოაჩინენ ყუმის ბაზილიკას და ლექეთის „მრგვალ ტაძარს“ აზერბაიჯანული ხელოვნების ისტორიის მკვლევარი ლ. ს. ბრეტანიცი და ბ. ვ. ვეიშარნი. ორივე ძეგლს ისინი V-VI საუკუნეებით ათარიღებენ. ისინი წერენ: „Храм в леките один из наиболее ранних памятников оригинального центрического типа. Его несомненное сходство с храмами в Босре (VI в.), Сергия и Вакха в Константинополе (VI в.), Виталия в Равенне (VI в.), а также мечетью Куббат ас-сахра в Иерусалиме (VII в.) не снимает ни его композиционно-архитектурных особенностей, ни своеобразия конструктивно-строительных приемов, выделяющих памятники раннесредневекового Закавказья в самостоятельную архитектурную группу. Подтверждая высокий уровень архитектурно-строительной культуры Кавказской Албании, кумская базилика и лекитский храм одновременно расширяют представления о распространении базиликальных и центрических храмов“⁸⁵.

თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორ სოფელში: ყუმსა და ლექეთში არსებულ ტაძრებს კავკასიის ალბანეთის არქიტექტურულ ძეგლებად აცხადებს ზ. ი. იამპოლსკი. ორივე მათგანს იგი V-VI საუკუნეებით ათარიღებს⁸⁶.

სულ ახლახანს, 2000 წელს, ქ. მოსკოვში გამოცემულ მართლმადიდებლური ენციკლოპედიის I ტომში შესულ ა. ი. კაზარიანის სტატიაში – „Албания Кавказская“ – ლექეთის მრგვალი ტაძარი და ყუმის სამნავიანი ბაზილიკა გამოცხადებულია როგორც აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრების – კავკასიის ალბანელების მიერ შექმნილად და მიჩნეულია ტიპურ აზერბაიჯანულ ხუროთმოძღვრების ძეგლებად. ყუმის ბაზილიკას ა. ი. კაზარიანი V-VI საუკუნეებით, ხოლო ლექეთის ტეტრაკონქს VII საუკუნით ათარიღებს⁸⁷.

ლექეთის მრგვალ ტაძარს სომეხი მკვლევარი ს. ხ. მნაცაკანიანი VII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს და ამასთანავე იქვე ხაზგასმით ასკენის, რომ იგი წარმოადგენს ადრეშუასაუკუნეების კავკასიის ალბანეთის არქიტექტურულ ძეგლს⁸⁸.

უპირველეს ყოვლისა, დავინყოთ იმის აღნიშვნით, შეეძლოთ თუ არა ალბანეთის სამეფოს მესვეურთ V-VIII საუკუნეებში ტაძრები აეგოთ ყუმსა და ლექეთში და შედიოდა თუ არა შექი-ბელაქნის ზონა (ე. ი. ქართული ჰერეთი – თ. პ.) კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, შედიოდა თუ არა თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორია აღნიშნულ პერიოდში ალბანეთის სამეფოში. ქართულ საისტორიო წყაროებში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვ.) არაერთი პირდაპირი ცნობა თუ ჩვენება მოიპოვება, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ თანამედროვე კახის რაიონი წარმოადგენდა ძველი ქართული ისტორიული პროვინციის, ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავ-

⁸⁴ Д. Шарифов, Город Кум, об. კრებული – Низами, Сборник второй, Баку, 1940, стр. 138-142; აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის ცენტრალური სამმართველოს 1937-1938 წწ. ექსპედიცია.

⁸⁵ Л. С. Бретаницкий, Б. В. Вейшарн, Искусство Азербайджана IV-XVIII веков, Москва, 1976, стр. 26-31.

⁸⁶ З. И. Ямпольский, Албания Кавказская, Большая советская энциклопедия, Том I, третье издание, Москва, 1970, стр. 391.

⁸⁷ Православная энциклопедия, под общей редакции Патриарха Московского и всея Руси Алексея II, т. I, Москва, 2000, стр. 455-464.

⁸⁸ С. Х. Минацакания, Композиция тетраконхов с круговым обходом в зодчестве Византии и народов Закавказья, II международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977, стр. 4-5.

ლეთ თემს და მოიხსენიებოდა ნუქეთის სახელწოდებით. ნუქეთი კი იმთავითვე ქართლის სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ცნობილია ისიც, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროიდან (V ს.) ნუქეთის ქვეყანაში საკუთარი მთავარი ზის, რომელიც ჯერ ქართლის მეფეებს, ხოლო შემდეგ კი ქართლის ერისმთავრებს ემორჩილება. ასეთი ვითარება გრძელდება ვიდრე VIII საუკუნის დასასრულამდე, როდესაც ჩამოყალიბდა შერეთის დამოუკიდებელი სამეფო და ნუქეთი გადაიქცა მის ერთ-ერთ საერისთავოდ. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ VII-VIII სს. სომხური წყაროების (სომხური გეოგრაფია, ლევონდი) მიხედვით, ნუქეთი ქართლში შემავალი ქვეყანაა; დადგენილია ის ფაქტიც, რომ IV-VIII სს-ში შერეთი, მასში შემავალ ნუქეთთან ერთად, სამეფო დომენს წარმოადგენს, იგი სეფე-სახლის უშუალო საკუთრებაა, რომელზედაც ქართლის მეფის გარდა არავის მიუწვდება ხელი. უფრო გვიან, როდესაც შერეთის სამეფო კახეთისას შეუერთდა, ხოლო კახეთის სამეფო კი, თავის მხრივ, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ფარგლებში მოექცა, ნუქეთი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად განიხილებოდა. გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოში ჩატარებული რეფორმების შედეგად (XVI ს.) ნუქეთი სამოურავოდ ჩამოყალიბდა; საბოლოოდ, XVII ს-ში, ნუქეთი მოსწყდა კახეთის სამეფოს და მის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ე. წ. ელისუს სასულთნოს. აი, ასე უნდა განვიხილოთ ნუქეთის (თანამედროვე კახის რაიონის) ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ ალბანეთის რომელიმე მთავარს VII-VIII სს-ში შესძლებოდა რაიმე ტაძრის აგება ქართლის მეფეების სამემკვიდრეოში. ეს ისევე გამორიცხული იყო, როგორც, დაუშვავთ, ის ამა ბეი, რომ რომელიმე ქართლის მეფეს ალბანეთის მთავართა პირად სამფლობელო გარდამანში დაეწყო რაიმე სახის მშენებლობა. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული ფაქტებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება რაიმე მითითება ალბანეთის მთავართა ნუქეთში მოღვაწეობის შესახებ. თავი დავანებოთ ყველა სხვა წყაროს და ავიღოთ მხოლოდ მოსე კალანკატუელის ალბანეთის ისტორია. როგორც ცნობილია, ალბანეთის ისტორიის იმ თავებში, რომლებიც VII-VIII საუკუნეების ამბების თხრობას შეიცავს, მოვლენები გადმოცემულია ზედმინეწითი სიზუსტით. ამ ნაწილში ავტორი დაწვრილებით აღგვიწერს ალბანეთის მთავართა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ფართოდ აშუქებს მათ სააღმშენებლო საქმიანობას, ციხეების, ეკლესიების აგებას. ერთი სიტყვით, იგი მხედველობის გარეშე არ ტოვებს მათი მოღვაწეობის არცერთ სფეროს. მას არ ავიწყდება მათი სააღმშენებლო საქმიანობის არცერთი დეტალი. უფრო მეტიც, ავტორი არა მარტო ასახელებს ალბანთა მთავრების მიერ აგებულ ყველა ტაძარს, არამედ დეტალურად ჩერდება თითოეული მათგანის აღწერაზე. და აი, ასეთ ვითარებაში, მას არც ალბანეთის სამეფოს მესვეურთა მიერ ყუმის, ლექეთის და სხვა ქრისტიანული ტაძრების აშენება დაავიწყდებოდა, რა თქმა უნდა, თუ მას სინამდვილეში ექნებოდა ადგილი. ამიტომაცაა, რომ ჩვენ აქ ვერ ვხვდებით რაიმე მცირე მინიშნებასაც კი, რაიმე ნაკვალევს, ალბანელი ხუროთმოძღვრების მიერ ნუქეთის ტერიტორიაზე ტაძრების მშენებლობის თაობაზე.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისთვის, რომ ნუქეთის არქიტექტურული ძეგლები (ყუმი, ლექეთი, ქურმუხი და სხვ.) გამოცხადებულ იქნას ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. ისტორიულ მატრიანთა ჩვენებანი, ასევე სრულიად გამორიცხავენ ალბანეთის მთავართა რაიმე სააღმშენებლო მოღვაწეობას ნუქეთში და აქ მათ მიერ ყუმის, ლექეთის და სხვა ტაძრების აგებას. წერილობითი წყაროების მონაცემებს მხარს უჭერს და ადასტურებს ამ ძეგლების არქიტექტურული ანალიზი, რომელიც მოცემუ-

ლი აქვს გ. ჩუბინაშვილს. ამ თვალსაზრისითაც, ყუმი და ლექეთი, მთლიანად და სავსებით, გვერდში უდგებიან კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს. ადრეფეოდალურ ხანაში ჰერეთის განაპირა პროვინცია ნუქეთში დიდი კულტურული მშენებლობა გაჩაღდა. ყუმი და ლექეთიც, როგორც აღენიშნეთ, ამავე ხანაში შენდება (გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით). ნუქეთის სამთავრო, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც, ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან. ნუქეთი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერათაგანი იყო. ამას, გარდა ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, ადასტურებს წერილობითი წყაროების ცნობები. ნუქეთის საკულტო არქიტექტურის ძეგლები ნათელ სურათს გვიქმნის VIII საუკუნის ჰერეთში არსებული კულტურული ვითარების გასათვალისწინებლად: ჩვენს წინაშეა დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკისა და ლექეთის ტეტრაკონქის მშენებლებმა შესძლეს შეექმნათ კონსტრუქციული თვალსაზრისით უაღრესად რთული ნაგებობები, რომლებშიც შესანიშნავად არის გამოყენებული იმდროინდელი ეპოქის ხელოვნების საუკეთესო მიღწევები. ეს განსაკუთრებით ითქმის ლექეთის ტაძრის აღმშენებელზე; მან დაამუშავა ისეთი რთული არქიტექტურული თემა ხუროთმოძღვრებაში, როგორც არის ტეტრაკონქი წრეში მოთავსებული, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ასეთი ტიპის ნაგებობის შექმნა არის კოლოსალური შემოქმედებითი აქტი⁸⁹. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული არქიტექტურის ეს ძირითადი თემა – გუმბათიანი ტეტრაკონქი – დამუშავებულია ადგილობრივ ქართულ ხუროთმოძღვრულ სკოლაში, ადგილობრივი ქართული მხატვრული ტრადიციის მიხედვით.

ჩვენ განვიხილეთ მთელი რიგი სრულიად უსაფუძვლო დებულებებისა, მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებისა პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ბროშურაში. ამასთან ერთად, დავრწმუნდით აგრეთვე იმაში, თუ როგორი არაობიექტურობით და ტენდენციურობით უდგებიან ავტორები კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლასა და გაშუქებას. ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, კი გამოიწვია ის, რომ პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ნაშრომში, „კახის ძეგლები“, გვხვდება საინგილოს ისტორიული სინამდვილის დამახინჯებისა და გაყალბების მრავალი მაგალითი.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილულმა ფაქტებმა ერთხელ კიდევ სრული სიცხადით დაგვარწმუნა იმაში, რომ პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის „მეცნიერული“ ექსპანსია და მცდელობა საინგილოს (თანამედროვე კახის რაიონის) ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები გამოაცხადონ თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის და მათი წინაპრების მიერ შექმნილ ძეგლებად, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს.

თუ თავის დროზე არ იქნა მხილებული პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის მსჯელობებისა და დასკვნების ანტიმეცნიერული ხასიათი, ეჭვს გარეშეა, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს საშიში შედეგები. შემდგომში საჭირო გახდება გაათკეცებული ძალისხმევა, რათა გაინმინდოს ისტორიოგრაფია, კერძოდ კი კავკასიათმცოდნეობა, მასზე მიყენებული ზიანისაგან, ვინაიდან ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელების შემთხვევაში, აზერბაიჯანულად ცხადდება ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლები, რო-

⁸⁹ Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

მელნიც იქმნებოდნენ ძირძველ ქართულ ისტორიულ პროვინციაში – ნუქეთის საერისთავოში. შ. აზიმოვი და შ. აჰმედოვი, და აგრეთვე მათი თანამოაზრენი, დათვურ სამსახურს უწევენ თავიანთ ხალხს, რომელიც სრულიადაც არ საჭიროებს არც თავისი ისტორიის ხელოვნურ დაძველებას და არც მეზობელი ხალხების კულტურული ფასეულობების მითვისებას, იმიტომ რომ, კულტურული ფასეულობანი, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში შექმნა აზერბაიჯანელმა ხალხმა, სრულიად უდავო და უცილობელია და ისინი დიდი ხანია შევიდა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში. შ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ნაშრომზე „კახის ძეგლები“ – 2002 წელს ჩვენს მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ იქნა რეცენზია⁹⁰. 2003 წელს იგივე რეცენზიის ვრცელი ვარიანტი დაიბეჭდა რუსულ ენაზეც⁹¹.

⁹⁰ თენგიზ პაპუაშვილი, ნუქეთის სიძველენი, საინგილოს ისტორიის საკითხების დამახინჯებისა და გაყალბების გამო, ანალები, 2002, № 1, გვ. 80-91.

⁹¹ Тенгиз Папуашвили, Цукетские древности, По поводу искажения и фальсификации вопросов истории Саингило, Аналеби, 2003, № 1, стр. 78-101.

საინგილოს ისტორიული გეოგრაფია

ვიდრე უშუალოდ საინგილოს (კაკ-ელისენი) პოლიტიკური ისტორიისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების განხილვას შევეუდგებოდეთ, თავდაპირველად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ მხარის ისტორიულ გეოგრაფიას. გეოგრაფიული ვითარების გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ნათლად და სწორად შევაფასოთ ამ ტერიტორიაზე მომხდარი ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა.

ყოველი მკვლევარი, რომელიც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს იხილავს, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც ამ მხრივ, მეტად ძვირფასი და საინტერესო ცნობებია დაგროვილი. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი, რომელსაც დანვრილებით აქვს აღწერილი ქართლი, იმერეთი და შიდა კახეთი, მეტად ძუნწ ცნობებს გვანავის საქართველოს განაპირა მხარეების, კერძოდ, გაღმა-მხარის და კაკ-ელისენის შესახებ. ვახუშტი ამ მხარის გეოგრაფიულ პუნქტთაგან მხოლოდ რამდენიმეს ასახელებს, ხოლო ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც მოხსენიებულია მისი ნაშრომის წინ წამძღვარებულ სოფლების სიაში, სრულად არ არის შესული თვით გეოგრაფიის ტექსტში.

ვახუშტის გეოგრაფიის შემდეგ, იმ ნაშრომთა რიცხვში, რომელშიც საინგილოს საისტორიო გეოგრაფიისათვის მასალებია დაცული, დასახელებულ უნდა იქნას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორის მიერ შედგენილი „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“¹. ამ ნაშრომში ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ორი თავი იპყრობს: „აღწერა ალის სულტნისა“ და „აღწერა ჭარის ხეობისა, ჯინიხისა, თალისა და ბელაქნისა“.

საყურადღებო ცნობებს შეიცავს საინგილოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ აკად. ი. ა. გიულდენშტედტის ნაშრომი: „საქართველოს და კავკასიის გეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა“². გიულდენშტედტს თავის ნაშრომში საინგილოში შემავალ გეოგრაფიულ პუნქტთაგან დასახელებული აქვს მრავალი ისეთი, რომელსაც ვახუშტი სრულიად არ იხსენიებს.

საინგილოს ისტორიული გეოგრაფიისათვის ჩვენ გამოგვადგება ე. წ. „ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის“ ჟურნალები. ამ ჟურნალების მასალებში, რომელთაც კომისია სოფელ-სოფელ აგროვებდა დაკითხვების სახით, მოიპოვება მრავალი ისეთი ცნობა, რომელიც შეეხება ამა თუ იმ სოფლის წარმოშობას, მისი დასახლების ისტორიას, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას და სხვ.

საინგილოს ისტორიული გეოგრაფიისათვის უხვ მასალას შეიცავს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საინგილოს მკვიდრის, დიმიტრი ჯანაშვილის (1843-1905) ვრცე-

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა“, ტფილისი, 1936.

² I. A. Guldenshtädt, „Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge“, St. Petersburg, 1787.

ლი გამოკვლევა „გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა შერეთისა“. უნდა აღინიშნოს, რომ მას საინგილოს ტერიტორიაზე უნახავი არცერთი ძველი არ დარჩენია, დიდი გატაცებით და სიყვარულით მუშაობდა აქ არსებულ ქართულ ეროვნულ სიძველეთა გამოსაკვლევად. დანერჩებით აღწერა საკულტო არქიტექტურის ძეგლების, ტაძრების, ეკლესიების, სასახლეების და ციხესიმაგრეთა ადგილსამყოფელი. შერეთის ტერიტორიულ მოცულობის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ არ იყო სწორი დ. ჯანაშვილის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ისტორიული შერეთის ფარგლები ძირითადად საინგილოს მინა-წყლით შემოსაზღვრებოდა. დ. ჯანაშვილის აზრით, შერეთს შეადგენენ: ზაქათალის (საინგილო), ნუხისა და ალტაშ-არემის მაზრები. ისტორიული შერეთის საზღვრები ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით მოიცავდა: გარე კახეთის ნაწილს, ქიზიყს, დიდ ნაწილს შიდა კახეთისას, გაღმა-მხარს, საინგილოს და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუხის მაზრა). შერეთშივე, კერძოდ, მის მთიანეთში, არის სავარაუდებელი „ხუნზახი“ და „დიდოეთი“.

დ. ჯანაშვილი ცნობილი იყო აგრეთვე „ინგილოს“ ფსევდონიმითაც. ზემოაღნიშნული გამოკვლევების გამოქვეყნება ცალკეული წერილების სახით „ინგილო“ ჯანაშვილმა დაიწყო 1901 წლის ჟურნალ „მოგზაურის“ IV ნომერში და დაასრულა იმავე ჟურნალის 1903 წლის IV ნომერში.

ჩვენს ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში შეძლებისდაგვარად გამოყენებულია აგრეთვე ის ცნობები, რომლებსაც ძველი ქართული საისტორიო წყაროები იძლევიან.

საინგილო (კაკ-ელისენი) ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი მხარეა, რომელიც წარმოადგენდა ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. დღეს იგი ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში შედის და მოიცავს ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონებს. ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეში დამკვიდრდა და ნიშნავს ინგილოებით დასახლებულ ქვეყანას, ხოლო „ინგილო“ ეწოდა ამ ქვეყნის მკვიდრ უძველეს ქართველ მოსახლეობას.

საინგილო შედგებოდა ორი პოლიტიკური ერთეულისაგან: ჭარ-ბელაქნისა (კაკ-ელისენი) და ელისუს სასულთნოსაგან. მისი საზღვრები, მას შემდეგ, როდესაც იგი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებს გარეშე მოექცა, შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ჩრდილოეთი საზღვარი გასდევდა კავკასიონის მთავარ ქედს. ქედს გადაღმა შემდეგი ხალხები ცხოვრობდნენ: სოფელ ბელაქნის პირდაპირ ჭურმუტები, სოფელ კატეხის პირდაპირ კესერუხები, სოფელ ჭარის პირდაპირ კალალები, სოფელ მუხახის პირდაპირ მიშლიშები, სოფელ ჯინიხის პირდაპირ კუსურები, ხოლო ელისუს სულთნის სამფლობელოს გადაღმა კი ნახურები. ყველა ეს ხალხი ცნობილი იყვნენ ერთი საერთო სახელწოდებით – „გლუხოდარები“³. საფიქრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენებული „გულხადარა“, უთუოდ ამ „გლუხოდარის“ შესატყვისი უნდა იყოს. სეხნია ჩხეიძე თავის ისტორიაში ერთ ადგილას წერს: „ქორონიკონს უიჭ, თიბა-თვის ი, გამოვიდა ლეკის ჯარი გულხადარა, ააოხრეს ზემო ქართლი, საციციანო, აბუსალა, გუჯარეთი“...⁴

³ Колеу, დასახ. ნაშრომი, გვ. 1-2.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, პეტერბურგი, 1854 წ. გვ. 334.

შესაძლებელია, რომ ტერმინ „გლუხოდართ“ აღინიშნებოდა კავკასიონის მთავარი ქედის პირიქითა კალთებზე მცხოვრები ლეკები. ამ ხალხებიდან ქართულ საისტორიო წყაროებისათვის ცნობილია აგრეთვე „ჭურმუჭები“. ვახუშტი თავის ისტორიაში ერთ ადგილას მოგვითხრობს: „იწყეს ლეკთა ჭურმუჭთა ავაზაკობით კირთება გაღმა-მხართა და ელისენტა შინა, შეიკრიბნა არჩილ სპანი, მოიყვანნა ქართველნი, წარავლინა და მიუხდნენ ჭურმუჭს“⁵. დასავლეთით საინგილოს (ელისუს სასულთნოს და ჭარ-ბელაქნის თემებს) ესაზღვრებოდა კახეთის სამეფო, სამხრეთით შირაქის ველი, აღმოსავლეთით შექის (ანუ ნუხის) სახანო. ამ საზღვრებს შიგნით მოქცეული მთელი ეს ტერიტორია, ძველად, ადრინდელ საუკუნეებში, ძველი ქართული ისტორიული პროვინციის, ჰერეთის ფარგლებში შედიოდა. კერძოდ, იგი შეადგენდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. უძველესი დროიდანვე ეს ქვეყანა დასახლებული იყო ქართველური მოდგმის ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი – ჰერები და ჰერეთი უკვე V საუკუნეში არის დამოწმებული.

ავტორიტეტულ და პირველხარისხოვან საისტორიო წყაროთა (ანტიკური, ძველი ქართული, ძველი სომხური, ბიზანტიური, არაბული და სხვ.) ჩვენებებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ჰერეთის ისტორიის, მისი ტერიტორიული კუთვნილების და ჰერთა ვინაობის საკითხების გარკვევა და, აგრეთვე, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე საინგილოს წარმოქმნისა და გაჩენის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის აღდგენა.

აღმოსავლეთ კახეთში საინგილოს წარმოქმნა-გაჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ საკითხთან, როგორც არის საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის საკითხი გვიანფეოდალურ ხანაში.

ძველად, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სიძლიერის დროს, საქართველო-სა და დაღესტანს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. ქართულ ისტორიულ წყაროებში შემონახულია ცნობები ქართველთა და დაღესტნელთა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ასე მაგალითად, იმ გადამწყვეტ ბრძოლებში, რომელსაც დავით აღმაშენებელი აწარმოებდა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, ქართველების მხარეზე გამოდიოდა კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობა, კერძოდ, დაღესტანში მცხოვრები ლეკები. ქართველთა მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელმაც ამ ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვა, თავისი მომხრე ლეკები „აღავსნა კეთილთა და საბოძვართა“⁶.

მომდევნო ხანაშიც წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმომადგენელი აქტიურად აგრძელებდნენ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ კურსს, მიმართულს დაღესტნის მთიელი ტომების, ხუნზების მიმართ. ეს ცნობები აშკარად მოწმობენ, რომ აღნიშნული ტომები კვლავაც ძლიერად განიცდიდნენ ქართველთა პოლიტიკურ გავლენას. ასე მაგალითად, XII საუკუნეში, თამარის დროს, ბასილ ეზოსმოდურს იმ ხალხთა შორის, რომელნიც თამარის წყალობით „იყვნეს თავისუფლებითა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“, დასახლებული ჰყავს „სახლი შარვანშეთი, დარუბანდელთა და ლუნძთა“⁷. ქართველებისა და დაღესტნელი ტომების

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, „ცხოვრება კახეთისა“, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 127.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 345.

⁷ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 147.

ურთიერთობა მარტო წმინდა პოლიტიკური ამბებით არ განისაზღვრებოდა, არამედ იგი სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროშიც ვრცელდებოდა. ქართველთა გავლენის შეჭრა დაღესტანში ხორციელდებოდა ე. წ. „ბელაქნის გზის“ მეშვეობით, რომელიც მდ. ბელაქნის წყლის ხეობას მიჰყვებოდა და უშუალოდ შუა დაღესტანში, ხუნზახში შედიოდა. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „აქეთგან აერცვლებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე“⁸. მიუხედავად მონღოლთა შემოსევებისა და მათი ბატონობისა, ურთიერთობა საქართველოსა და დაღესტნის ტომებს შორის მაინც არ შეწყვეტილა. ამის მჭევრმეტყველური მონაწილეა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის პიმენ სალოსის სამისიონერო საქმიანობა დაღესტანში. უამთააღმწერლის ცნობით, დემეტრე II თავდადებულის მეფობის ხანაში (1271-1289) ეს პიმენ სალოსი „გარესჯით წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“⁹. უფრო მეტიც, ჩვენამდე მოუღწევია ერთ მეტად საინტერესო ცნობას იმის შესახებ რომ XIV საუკუნეში, თვით შუა დაღესტანში, ხუნზახში იჯდა „ლუძელი კათალიკოზი ოქროპირი“¹⁰. ქრისტიანობის გავრცელებას, რა თქმა უნდა, თან სდევდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავლენის ზრდა მთიან დაღესტანში. მაგრამ შემდგომში, ეს პროცესი ქართველების კულტურულ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისა დაღესტანში თანდათან მცირდება.

პირველი დიდი ზიანი ქართველების გავლენას დაღესტანში თემურ-ლენგმა მიაცენა. XIV საუკუნეში მის მიერ წარმოებული რელიგიური პოლიტიკის წყალობით, დაღესტანში ისლამი ვრცელდება. ისლამის გავრცელება დაღესტანში, თუ ერთი მხრივ აქ არსებული ძველი წარმართული რელიგიის ხარჯზე ხდებოდა, მეორე მხრივ, მისი გავრცელება ხდებოდა ქართველების მიერ აქ შემოტანილი ქრისტიანობის შესუსტების ხარჯზე. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შემდგომი ბედ-იღბლისთვის.

XV საუკუნისათვის, კერძოდ მის დასასრულს, დაღესტნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის პირას, შეიქმნა მცირე ფეოდალური სამთავრო საშამხლო (ე. წ. ტარკის საშამხლო, ცენტრი ტარკი). მის ტერიტორიაზე ძირითადად ყუმუხები სახლობდნენ, მაგრამ შემდგომში, თანდათანობით, საშამხლო მტკიცედ იკიდებს ფეხს და ცდილობს დაღესტნის მთიელი ტომების გაერთიანებას. ჩამოყალიბების დღიდან საშამხლო კახეთს უპირისპირდება და მათ შორის დაუსრულებელი მეტოქეობა იწყება¹¹. დაღესტანთან დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს XVI საუკუნიდან. შამხალი, კახეთის მეფე ლევანს (1520-1574) „პირაქეთა დაღესტანს ეცილებოდა. კახეთს ამისი დათმობა ადვილად არ შეეძლო: საკუთარი საზაფხულო საძოვრები აღარ ექნებოდა და თვითონ ქვეყანაც კედელ-მორღვეული რჩებოდა. მთის დაკარგვის შემდეგ მთელი კახეთი, განსაკუთრებით

⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 11.

⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 144.

¹¹ საშამხლოსა და კახეთის სამეფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დანვრილებით იხილეთ ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი I.

კი მისი უმდიდრესი აღმოსავლეთი ნაწილი, კავკასიის მთიელთა და გადამთიელთა მუდმივი თავდასხმების მსხვერპლი გახდებოდა¹². ლევანის დროს ეს ბრძოლა ჯერ ვერ აღწევს მწვერვალს, რადგანაც ოსმალეთი ის-ის იყო წინა-კავკასიაში მხოლოდ შემოდინდა და დაღესტანს ჯერ არ დაკავშირებოდა. მაგრამ, გარდა ამისა, თვით ლევანიც არ იყო მაინცდამაინც მთის მოსახლეობის მიმართ დამთმობი. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ეპიზოდი, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: ლევანის დროს „ქვეყანა აღესილი იყო მშვიდობით: არამედ უკეთუ კავკასთა ლევანს არ მორჩილებდნენ, გარნა ვერცარას ჰყოფდნენ საენოს მისსა. განა თქმულ არს, რამეთუ ჟამსა ლევანისასა მოუხდა ლეკი ვინმე დაღესტინისა გაღმა მხარს და აიყვანა ზროხა ერთი: ჰსცნა ესე ლევან, შემოიკრიბა იღუმალი სპანი გაღმა-მხარსა შინა და წარვიდა ეტიკითა, ვლო დღე და ღამე, მიუხდა და შეიპყრა კაცი იგი დედა-წულითა და ქონებითა, წარმოიყვანა და მოვიდა მესამე დღეს მუნავე და მოსწყვიტნა იგინი, რათა არა კადნიერ იქმნენ სხვანი კვალად კირთებად კახეთისა“¹³. ზემოთ მოტანილი ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად უღმობელი იყო ლევანის პოლიტიკა დაღესტნელი აბრაგების მიმართ. ასეთი პოლიტიკის წყალობით და აგრეთვე იმიერკავკასიაში მოსახლე ჩერქეზული ტომების (რომელთა მთავარიც „რუსეთის პოლიტიკურ ორიენტაციას ადგა და შამხალთან ქიშპში ზურგი მოსკოვის მეფისაგან ჰქონდა გამაგრებული“)¹⁴ დახმარებით ლევანი ახერხებს დაღესტნელების ალაგმვას და პირაქეთა დაღესტანზედაც გვიან ხანამდე ხელს არ იღებს. სრულიად სხვა ვითარება იქმნება მას შემდეგ, რაც კავკასიაში ოსმალეთი ბატონდება. ამიერიდან საშამხლო კახეთისათვის მოუთმენელი მეზობელი ხდება. ოსმალეთი დაუკავშირდა შამხალს (რელიგიური ერთიანობა: ისლამის სუნიტური სექტა). იგი მას მფარველად მოეყვინა. შამხალმაც მისი დახმარებით „შუა დაღესტნის ტომები უფრო დაიმორჩილა და კახეთის მიმართაც სამტრო მოქმედება გააძლიერა“¹⁵. საშამხლო-დაღესტნის საკითხი კახეთისათვის პირველხარისხოვან მნიშვნელობის საკითხად იქცა. ეს საკითხი იყო ძირითადი ღერძი იმ გაცხოველებული დიპლომატიური ურთიერთობისა, რომელსაც ალექსანდრე კახთა მეფე (1574-1605) აწარმოებდა მოსკოვის ხელმწიფესთან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. მაგრამ ალექსანდრე კახთა მეფემ ამ საკითხის გადაწყვეტა რუსთა ხელმწიფის დახმარებით ვერ შეძლო. რუსეთმა საშამხლო ვერ დაიმორჩილა (რადგანაც ამ უკანასკნელმა მოსალოდნელი საფრთხე დროზე შეამჩნია და დახმარებისათვის თავის მფარველს, ოსმალეთს მიმართა, რომელმაც აღარ დააყოვნა და დახმარება დროზე აღმოუჩინა), ხოლო XVI საუკუნის დამლევა და XVII საუკუნის დასაწყისში დაწინაურება-გაძლიერების გზაზე დამდგარმა ერანის შაჰმა ალექსანდრე მეფეც თავისი ვერაგული გეგმის მსხვერპლი გახადა და რუსეთსაც ამიერკავკასიის საქმეებზე კარგა ხნით ააღებინა ხელი. დაღესტანთან დამოკიდებულების საკითხი კვლავ შეუწელებელი სიმწვავეთ იდგა კახეთის წინაშე.

¹² ნ. ბერძენიშვილი, კახეთი XVI საუკუნეში, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1946, გვ. 309.

¹³ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 108.

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 12.

¹⁵ იქვე, გვ. 14.

ქართული საისტორიო წყაროების მოთხრობით, ლევან კახთა მეფის მმართველობის ხანაში ადგილი აქვს ავარიელ და ნახურელ „ლეკთა“ პირველი ახალშენების გაჩენას კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში – ფიფინეთში ანუ ჭარში. სანამ ამ საკითხზე თხრობას გავაგრძელებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევჩერდეთ თვით ავარიელებისა და ნახურელების ისტორიის ზოგიერთ მომენტსა და ასპექტზე.

ავარიელები ქართულ ისტორიულ წყაროებში ხუნძების (ხუნზების) სახელწოდებით მოიხსენიებიან, მათ ქვეყანას კი ლუნძეთი, ხუნზახი ეწოდება. მათი თვითსახელწოდებაა მაარულალი, რაც ნიშნავს მთიელებს. ხუნძები დალესტნის ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხს წარმოადგენენ, რომელნიც ანდიელებთან და დიდოელებთან ერთად ქმნიდნენ ერთ ჯგუფს. მათი სამოსახლო აწინდელი დალესტნის დასავლეთ ნაწილში, მდ. სულაკის აუზში მდებარეობდა. ისტორიული ავარია, როგორც პოლიტიკური ერთეული, VI საუკუნიდან არის ცნობილი ბატ-დადუსა და სერიის სახელწოდებით. XII-XV საუკუნეებში ავარია დალესტნის მსხვილ ფეოდალურ გაერთიანებად, ავარიის სანუცალოდ, ჩამოყალიბდა (მის ცენტრს წარმოადგენდა ხუნძახი: – ხან-ზა-ბახ – ხანების ადგილსამყოფელი). XV საუკუნის II ნახევრიდან ავარიაში ისლამი ვრცელდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ავარიის სახანოს დალესტნის სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით ყველაზე ახლო ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ჯერ კიდევ VIII-XIV საუკუნეებში დალესტანში გავრცელდა ქართული კულტურა, ქართული ანბანის საფუძველზე შეიქმნა ხუნძური ენის პირველი წერილობითი ძეგლი. ლუნძეთში ქრისტიანობას ქადაგებდნენ ქართველი მისიონერები: პიმენ სალოსი, ანტონ ნაოხრებლის ძე (XIII ს.), ღუძელი კათალიკოსი ოქროპირი (XIV ს.) და სხვ. ლუნძეთში არსდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები. XVI-XVII საუკუნეებიდან ურთიერთობა საქართველოსა და ავარიის სახანოს შორის რადიკალურად შეიცვალა; უფრო მეტიც, იგი ერთობ გამწვავდა. ავარიელები სისტემატურად თავს ესხმოდნენ ქართულ მიწა-წყალს, კერძოდ კი კახეთის სამეფოს.

ნახურელები resp. ნახები დალესტნის სამხრეთ ნაწილში მოსახლე თემს ქმნიდნენ. მათი სამოსახლო აწინდელი დალესტნის რუთულის რაიონის დასავლეთ ნაწილში ლოკალიზდება. ნახების ქვეყანა ქართულ საისტორიო წყაროებში „ნახეთის“, „ზახურის“, „ნუქეთის“ სახელწოდებებით მოიხსენიება. ავარიელებისაგან განსხვავებით, ნახებმა ვერ შესძლეს მყარი და მტკიცე პოლიტიკური ერთეულის შექმნა. ჩვენთვის საინტერესო ხანაში (XVI-XVII სს.) ისტორიულ წყაროებში იხსენიება ნახურის ე. წ. სამთავრო და მისი მფლობელი მთავრები.

და აი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლევანის მეფობის ხანაში, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, ფიფინეთში resp. ჭარში ჩნდება ავარიელ და ნახურელ „ლეკთა“ პირველი ახალშენები. ისინი აქ კახთა მეფეების ნებართვით, მათ ყმებად სხდებიან და დაკისრებული აქვთ მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება კახეთის მეფეების სასარგებლოდ, როგორიც იყო, მაგალითად, ყინულის ზიდვა კავკასიის მთებიდან. „ამაწვე ლევან მოიყვანა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდან“¹⁶, წერს ვახუშტი 1549 წლის ამბებზე. გარდა ამისა, ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური

¹⁶ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 108.

პირობებით შევიწროებული დაღესტნელი ლეკები თავისი ნებით მოდიოდნენ კახეთში და რომელიმე ქართველი თავადის მიწა-წყალზე ყმებად სხდებოდნენ. კახელები მათ ყველაზე უფრო მძიმე სამუშაოების შესასრულებლად იყენებდნენ¹⁷. XVI საუკუნეში, აღმოსავლეთ კახეთში მყოფი ავარიელი და ნახურელი მოახალშენები ჯერჯერობით კახთა მეფის მორჩილებაში იმყოფებოდნენ და მათ ხელისუფლებას ცნობდნენ. კახთა მეფეს ემორჩილებოდა და მის ქვეშევრდომობაში ჯერ კიდევ იმყოფებოდა აგრეთვე დაღესტნის სამხრეთ ნაწილში მოსახლე ზოგიერთი თემი. ასეთი იყო, მაგალითად, ყაზიყუმუხსა და კახეთის სამეფოს შორის მდებარე ნახურის (Сафурской) მთავრის მიწა-წყალი:¹⁸ ...Грузинские земли город Цакур, а в нем Адикоркю князь¹⁹. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ირანის შაჰები და თურქეთის სულთნები ყოველნაირად ცდილობდნენ ეს თემები როგორმე თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, რათა შემდგომში ისინი საქართველოს მიმართ თავიანთი აგრესიის დასაყრდენად გაეხადათ. 1562 წელს სპარსეთის შაჰმა თამაზმა მოწყალების თვალთ შეხედა ნახურის მფლობელ ადიკურკულუბეგს. შაჰ-თამაზის მიერ მისდამი ბოძებულ სპეციალურ ფირმანში აღნიშნული იყო: „ეს მფლობელი ჩვენი ერთგული ყმათაგანია. მისდამი ჩვენი მონარქიული მოწყალების გამო, მის მიწებს ნურავინ შეეხება საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, ერიდონ მის ჩივილსა და უკმაყოფილებას, საქართველოს მთავარს, ლევან-ხანს ევალება, რომ თვალყური ადევნოს ამ ჩვენი ბრძანების აღსრულებას“²⁰. თავისი მოწყალება არ მოაკლო ამავე მფლობელს არც თურქეთის სულთანმა ოსმან-ხან II-მ. ჩვენს ხელთაა მის მიერ 1591 წელს გაცემული ფირმანი ნახურის მფლობელ ადიკურკულუ ალი ბეგისადმი. მასში აღნიშნულია, რომ იმ განსაკუთრებული დამსახურებისა, კეთილგანწყობილებისა და ერთგულებისათვის, რომელსაც ნახურის მფლობელი იჩენდა სულთნის ტახტისადმი, მას სამემკვიდრეოდ უმტკიცდებოდა სოფლები კახი და მეშაბაში მთელი მათი შემოსავლებით²¹.

1604 წელს შაჰ-აბასმა „შემდგომად ალებისა ერევნისა მიულო ალექსანდრეს კაკი“²². ამავე ფაქტის შესახებ ერთ სხვა ადგილას, იგივე ვახუშტი მოგვითხრობს „არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო ნუქეთისა... და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, ნუქეთისა და შაკიხისა, არამედ მიუხუნა შაბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა ნუქეთი და აწ უწოდებენ ალის-სულთანად... (იტყვიან, მივიდა ვახახისშვილი წინაშე შაბაზისა ქრისტესა ჩფჰზ, ქარ. სოე, გამოჰმადიანდა და, მოსლვასა ერევანს, მიულო ალექსანდრეს და დასვა სულტნად იგივე აქა)“²³. როგორც ვხედავთ, კახთა მეფე ალექსანდრეს (1574-1605) შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი განაპირა თემი კაკი გამოსთხოვა. შაჰმა იგი უწყალობა

¹⁷ მ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ქარ-ბელაქნის შესახებ, საისტორიო მოამბე, ტ. 4, თბ., 1950, გვ. 505.

¹⁸ Велокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, стр. 591.

¹⁹ იქვე, გვ. 293.

²⁰ შაჰ-თამაზის ფირმანი ნახურის მფლობელ ადიკურკულუ ბეგისადმი 1562 წ. Акты Кавказской археографической комиссии, т. II, дополнение II, док. №1, стр. 1085.

²¹ თურქეთის სულთნის ოსმან-ხან II-ის ფირმანი ადიკურკულუ ალი ბეგისადმი 1591 წ., საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა), ფ. 236, აღნ. 2, საქ. № 88, ფურცელი 8-9.

²² ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 111.

²³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), გვ. 95-96.

ერთ-ერთ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს ვახვახისშვილს და სულთნის პატივშიც აიყვანა, ასე ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს. კახეთმა ამ დიდმნიშვნელოვანი კუთხის ჩამორთმევით მძიმე დანაკლისი განიცადა. კაკი კახეთის კედელი იყო აღმოსავლეთის მხრიდან და აქ შაჰის მიერ ცალკე მუსლიმანური სასულთნოს შექმნა ერთობ ამცირებდა მის თავდაცვისუნარიანობას. ამიერიდან ნახურელ ლეკებს გზა გაეხსნათ კახეთში ჩამოსასახლებლად. ქართველები ელისუს სასულთნოს თავისად თვლიდნენ. ამის გამო ნახურის სულთანსა და კახელებს შორის მტრობა იყო. ნახურის მფლობელი დახმარებისათვის ხან თურქეთს, ხან ირანს მიმართავდა. ეს უკანასკნელნიც, რა თქმა უნდა, არ აყოვნებდნენ და დახმარებას დროზე აღმოუჩინდნენ ხოლმე, რადგან ნახურის სულთნის გაძლიერება მათ საკუთარ ინტერესებშიც შედიოდა. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მეტად საიმედო მოკავშირე იქნებოდა. სწორედ ამ ფაქტის დამადასტურებელი უნდა იყოს 1610 წელს გაცემული შაჰ-აბასის საგანგებო ფირმანი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნახურის სულთანი და მისი ოჯახის წევრები ირანის შაჰის ხაზინიდან ლებულობდნენ საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ დახმარებას (პენსიას) 115 თუმნის ოდენობით, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ნახურის სულთანი – ადიკურკულუ ბეგი იღებდა 40 თუმანს, ხოლო მისი ოჯახის წევრები: ფანახ ალი ბეგი – 30 თუმანს, გვიდარ ბეგი – 15 თუმანს. ფირმანში შაჰ-აბასი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ნახურის ამჟამინდელ მფლობელს, ადიკურკულუ ბეგის შვილს, ალი ბეგ ნახურელს, ასევე დაენიშნოს ზემოაღნიშნული პენსია. იგი ავალებს შაჰის კარის მუსტოფებს (ფინანსისტებს) დაუბრკოლებლივ და დაუყოვნებლივ შეასრულონ მისი ეს ბრძანება²⁴.

ქართველები, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ როგორმე შეეჩერებინათ ავარიელ და ნახურელ ლეკთა გაძლიერება და არ დაეშვათ მათი კახეთში ჩამოსახლება. კახთა მეფის თეიმურაზ I (1606-1660) მეფობის პირველ ხანებში, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს: „უკეთუ მტრობდნენ ლეკნი, გარნა ვერ იკადრებდნენ ცხადად თვინიერ პარვით“²⁵. 1612 წელს თეიმურაზმა დაღესტანში სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი გაგზავნა ლაშქრით: „ესე შევიდა დაღესტანს შინა და დასდგა მთასა ზედა, უწყო რბევა, სრვა და ოხრება, და ვითარ ვერავინ წინააღმდეგდნენ ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან რამეთუ მოშიშარ იქმნებიან უფროსად“²⁶.

XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს კახეთში შედეგად მოჰყვა ქვეყნის სრული აოხრება და მცხოვრებთა მასობრივი განწყევლა. ეს მჭიდროდ დასახლებული მხარე, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, გაუკაცრიელდა და გაპარტახდა. გადარჩენილი მოსახლეობა შაჰმა ათასობით გადაასახლა ირანის შიდა რაიონებში, ხოლო ნანგრევებად ქცეულ ძველ ნაშენ ადგილებში კი თურქმანული მოდგმის ტომები ჩაასახლა. საქართველოს ასეთი გართულებული საგარეო ვითარებით კარგად ისარგებლეს „ლეკებმა“, რომელთაც შაჰ-აბასმა ჯერ კიდევ ლაშქრობის დაწყების წინ მიმართა მონოდებით: „რამეთუ მნებავს მონყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენკერძთა მათათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე-ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭით... ლეკთაცა უყვეს ეგრეთ, ვითარცა აღუთქვეს შაჰაბაზს“²⁷. ამიერიდან დაღესტნელმა ლეკებმა

²⁴ ცხსა, ფონდი 236, აღწ. 2, საქმე № 88, ფურც. 10.

²⁵ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 115.

²⁶ იქვე, გვ. 115.

²⁷ იქვე, გვ. 117.

აღმოსაღვეთ კახეთში აშკარად დაინყეს ჩამოსვლა და ნაოხარ კახურ სოფლებში დასახლება. თარეში და ძარცვა-გლეჯაც უფრო გააძლიერეს. მხნედ გაისარჯა ამ დროს ნახურელი ალი სულთანიც. კახეთის აოხრების საქმეში იგი შაჰ-აბასის „მოსაგრე შეიქმნა“²⁸. ბერი ეგნატაშვილის მოთხრობით: „ოდეს შააბაზ ყენი მონია იავარყოფად კახეთისა და მოაოხრნა სრულიად კახეთი, მაშინ თანამნე ეყო სულთანი იგი ნახეთისა და ქმნა მრავალი ბოროტი მან კახეთსა ზედა“²⁹. შაჰ-აბასმა დიდად შეაფასა ნახურის მფლობელის ასეთი თავდადება. ამ მიმართებით, ყურადღებას იპყრობს შაჰ-აბასის მიერ 1616 წელს გამოგზავნილი ფირმანი ნახურის მფლობელ ალი-სულთანის სახელზე. მასში ირანის შაჰი, გამოხატავს რა თავის მონარქიულ მოწყალებას ნახურის მფლობელისადმი, აღნიშნავს: „ეს-ეს არის სიამოვნებით შევიტყვეთ თქვენი ახალი წარჩინებული საქმიანობის შესახებ, რომლითაც თავი გამოიჩინეთ ჩვენდამი განუელი სამსახურის დროს. ქება თქვენ! თქვენ ღირსეულად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა ერთგულებისა და ამით განაცოცხლეთ ხსოვნა თქვენი წინაპრებისა, რომელნიც ასევე ერთგულნი იყვნენ ჩვენი ტახტისა. განაგრძეთ თქვენი ჩვენდამი სამსახური ასეთივე გულმოდგინებით და ერთგულებით და ყოველმხრივ იმოქმედეთ ისე, რომ იგი სასარგებლო იყოს ჩვენი მთავრობისათვის. ამჟამად თქვენსკენ მოემართება შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი, შეუერთდით მას და მასთან ერთად არ შეწყვიტოთ თქვენი სამსახური ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოდ. დარწმუნებული იყავით ჩვენს თქვენდამი კეთილგანწყობილებაში“³⁰. ყურადღება და ზრუნვა არ მოუკლია ნახეთის ალი-სულთანისათვის არც ოსმალეთის ხონთქარს. 1617 წლით დათარიღებულ თურქეთის სულთან ოსმან II-ის ფირმანში ვკითხულობთ: „გთელით რა ერთ-ერთ ყველაზე უფრო სასარგებლო და თავდადებულ მომხრედ ჩვენი კარისა, ჩვენ თქვენ გიცხადებთ განსაკუთრებულ მონარქიულ მოწყალებას და გიბოძებთ სოფლებს: მეშაბაში, კახი, ზერნა, ლექეთი, ყუმი და ალაგიოზი... ამიერიდან, ეს ჩვენს მიერ თქვენდამი ნაწყალობევი სოფლები ითვლება თქვენ საგვარეულო მამულად და ჩვენ მათ დავიცავთ ყოველგვარი მეძიებლობისა და მისაკუთრებისაგან გარეშე პირთა მიერ, რის დასტურსაც წარმოადგენს ჩვენი ეს წმინდა ფირმანი, რომელიც მოითხოვს მის ზუსტ აღსრულებას“³¹.

კახელებმა თეიმურაზ I-ის ხელმძღვანელობით გადანყვიტეს ალეკეთად ნახეთის ალი-სულთანის მტრული მოქმედებანი კახეთის მიმართ, და ამავე დროს, განიზრახეს მისი მკაცრად დასჯა. ამ მხრივ მათ გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს და მალე მას სიკვდილით ანანებინეს „მოყოლა შააბაზისა“³². ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, თეიმურაზ მეფემ „მოიხსენა ძვირი იგი ნახეთისა სულთანისა! მოუწოდა სპათა ქართლისა და კახეთისათა, განილაშქრა და წარემართა ნახეთსა ზედა. და, ვითარცა მიინია ალონსა შინა, უბრკმა ცხენსა მას, რომელსა მჯდომარე იყო

²⁸ არჩილიანი, ტ. II, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1937, გვ. 82.

²⁹ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 165.

³⁰ ცსსა, ფონდი 236, აღნ. 2, საქმე 88, ფურცელი 11.

³¹ იქვე, ფურც. 12.

³² არჩილიანი, ტ. II, გვ. 82.

ბატონი თეიმურაზი. და იქმნა მომტეხელი ხელისა, და თვით ვერლარა ეძლო და უთავა ზურაბ ერისთავი და გაატანნა სპანი თან“. ქართველები ზურაბ ერისთავის სარდლობით მოულოდნელად თავს დაესხნენ სარუბაშს მდგომ ალი სულთანს და „მოსრნეს პირთა მახვილისათა ყოველივე მუნ მყოფნი, მოაოხრეს და იავარყვეს ყოველივე სანახები და თემნი სულტანისანი და თვით იგიცა სულტანი შეიპყრეს და მოკლეს“³³. ასეთივე შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებდა „ლეკთა“ მიმართ არჩილიც (კახეთში მისი მმართველობის წლებია 1664-1675). როდესაც ჭურმუტის ლეკებმა გალმა მხარსა და ელისენში თარეშებს მოუხშირეს „შეიკრიბნა არჩილ სპანი, მოიყვანნა ქართველნი, წარავლინა და მიუხდნენ ჭურმუტს, შემუსრნეს სიმაგრენი, მოსწყვიტნეს, მოსტყვევნეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი“³⁴. ვახუშტის მოთხრობილი აქვს ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა არჩილის მეფობიდან, საიდანაც გარკვევით ჩანს, თუ როგორ ცდილობდა არჩილი თავისი გავლენა შეენარჩუნებინა ჭარულ ლეკებზე. ერთხელ, როდესაც „უქმნა არჩილ ქორწილი ძმასა თვისსა ლუარსაბს ლილოს ზედა“ და ჭარელებმა აქ ყინული ცხენებით მოუტანეს და არა ზურგით, ამისთვის მან „შეიპყრნა და სტანჯნა იგინი. აღკიდა კვალად ტვირთად და მოაღებინა კვალად მუნიდამცა ტვირთითავე ყინული“³⁵.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XVII საუკუნის 70-იან წლებამდე კახეთის მეფეები (თეიმურაზ I, არჩილი) ჯერ კიდევ ახერხებდნენ ავარიელი და ნახურელი ლეკების რამდენადმე ალაგმვას და მათ მორჩილებაში ყოფნას. ეს უკანასკნელნიც ნომინალურად კვლავ ცნობენ მათ ყმობას. მკვეთრად იცვლება ვითარება მას შემდეგ, რაც კახეთში 1677 წლიდან მმართველებად ყიზილბაში ხანები სხდებიან. ყარაღაჯში მსხდომი ეს ხანები, რომელთა მმართველობამაც 1703 წლამდე გასტანა, „მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მომრავლებას... შაჰის ეს მოხელეები ლეკებში თავის მოკავშირეს ხედავდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკური მოსახლეობის გაძლიერებას, კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში – ჭარში“³⁶.

ვახუშტის მოთხრობით, ბეჟან-ხანმა (1677-1683) „მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუნყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არათუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით: კვალად ალაზუავნა უმეტეს ჭარელნი და ელი ფადარი დასმულნი ხანთაგანვე, რამეთუ თუცა მოჰკლიან კახნი ლეკთა ანუ თათართა შერისხავდა ხანი ანუ მოაკუდინებდა, ანუ მიაცემინის სისხლი მეტყველი: რამეთუ არა ჯერ არს გიაურთაგან მუსლიმანის სიკუდილი და თუცა მოჰკლიან თათართა კახნი არა რაი არის, რამეთუ „ესრეთ ჯერ არს“ და იყო ამით ჭირი დიდი“³⁷. ავარიელი და ნახურელი ლეკები სარგებლობდნენ რა სპარსელი ხანების ასეთი აქტიური მხარდაჭერით და მფარველობით, მრავლად ჩამოსხდნენ კაკ-ელისენის მთის ძირებში და კახელებს აღარ ემორჩილებოდნენ. ყიზილბაში ხანები არავითარ ზომებს არ იღებდნენ ლეკთა ამ მომძლავრების წინააღმდეგ. 1695 წელს კახელებმა თხოვნით მიმართეს ქალ-

³³ ბერი ეგნატაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165; ამ ბრძოლის შესახებ იხილეთ აგრეთვე არჩილიანი, ტ. II, გვ. 82-83.

³⁴ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 127.

³⁵ იქვე.

³⁶ ნ. ბერძენიშვილი, „კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში“, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 369.

³⁷ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

ბალი-ხანს (1695-1703), „რათა ნება მისცენ ჭარელთა ზედა და შემუსრონ იგინი, ვინადგან იგინი უმეტესად მძლავრობდნენ ელისენ გაღმა – მხარსა და იყუნენ მესადგურე ეტიკნი დაღესტნელთა და იყო ამათ მიერ ტყვევნა, ოხრება და კლვანი კაცთა, მზირობით, ავაზაკობით და პარვითა, შემდგომად არჩილ მეფისა, ვიდრე აქამომდე“. მაგრამ ქალბალი-ხანი „არა აუფლებდა ან ყოფად ამისად“ და მიუხედავად იმისა, რომ „მარადის იყოფებოდნენ წარჩინებულნი კახნი მის წინაშე და ევედრებოდნენცა შენვენასა ლეკთა ზედა“, იგი სრულიადაც არ ფიქრობდა რაიმე ღონისძიებებისათვის მიემართა და „იყო უზრუნველი“³⁸.

სპარსელი ხანების ასეთი პოლიტიკის წყარობით, კაკ-ელისენის მთის ძირში ჩამოსახლებული ავარიელი და ნახურელი ლეკები უფრო განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ. ჩქარა მათ ალაზნისპირა დაბლობში მდებარე სოფლებიც დაიპყრეს. აქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა მათ ყმებად გაიხადეს. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთში საბოლოოდ ყალიბდება ავარიელ (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის და ჯინიხის) და ნახურელ (ელისუს, ყარადულაქის, სუვაგილის და ნახურის) ლეკთა „უბატონო თემები“, რომელთაც კახეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს.

ჩვენ ზემოთ არაერთხელ მივუთითეთ, რომ ავარიელი და ნახურელი ლეკების მიერ კახეთის სამეფოს ძირძველი ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწა-წყლის (კაკ-ელისენის) დაპყრობა-დამორჩილების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ირან-ოსმალეთის აქტიური მხარდაჭერა. და აი, ამჯერადაც XVII საუკუნის დასასრულს და XVIII საუკუნის I მეოთხეში, ირან-ოსმალეთის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა ნახეთის (კაკის ანუ ელისუს სასულთანო) მფლობელი. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიტანოთ ზოგიერთი დამადასტურებელი მასალა. 1696 წელს ირანის შაჰი სულთან-ჰუსეინი ნახურის მფლობელ ალი-სულთანს უგზავნის ფირმანს, რომელშიც აღნიშნულია: ირანის შაჰი იჩენს რა მონარქიულ მონყალებას ნახურელი ალი-სულთანისადმი, იგი მას უბოძებს საგანგებო სიგელს, რომლის ძალითაც მას ენიჭება ემირის ტიტული. სიგელთან ერთად შაჰი ალი-სულთანს უგზავნის საპატიო ხიფთანს³⁹. იმავე 1696 წელს ნახურელ ალი-სულთანს ეგზავნება მეორე ფირმანი, რომლის მიხედვითაც, მას უმტკიცდება ნახურის პროვინციის ემრობა. გარდა ამისა, იგი, როგორც ირანის შაჰის ლენური ემირი (მფლობელი), ვალდებულია იზრუნოს თავისი ქვეყნის კეთილმოწყობაზე და უშიშროებაზე, იყოლიოს და კარგად შეინახოს ადგილობრივი ლაშქარი და გაანადგუროს ჭეშმარიტი სარწმუნოების (ე. ი. ისლამის – თ. პ.) მტრები. ხოლო ნახურის პროვინციის ყველა მცხოვრები კი ვალდებულია დაემორჩილოს მას და შეასრულოს ყველა მისი ბრძანება⁴⁰.

ნახეთის მფლობელს არც თურქეთის სულთანი აკლებდა ზრუნვასა და ყურადღებას. ჩვენს ხელთაა თურქეთის სულთან ახმედ-ხანის მიერ 1725 წელს გაცემული ფირმანი ნახურულ მუჰამედ ალი-სულთან ზადეს სახელზე. მასში ეკითხულობთ, რომ ნახურელ მუჰამედ ალი-სულთან ზადემ თავი გამოიჩინა თურქეთის

³⁸ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 130-131.

³⁹ ცსსა, ფონდი 236, აღწ. 2, საქ. 88, ფურც. 22.

⁴⁰ იქვე, ფურც. 23.

მთავრობისადმი განსაკუთრებული მორჩილებითა და ერთგულებით, რის გამოც იგი ღირსია ელოდოს თურქეთის სულთნის მონარქიულ მოწყალებას; იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ უთუოდ აღსრულდება მისი მოლოდინი და უახლოეს მომავალში, როდესაც თურქეთი დაიპყრობს სპარსეთის სამფლობელოებიდან რომელიმე პროვინციას, ერთ-ერთ მათგანს მას უბოძებენ. მანამდე კი თურქეთის სულთანი წახეთის მფლობელის მხოლოდ ემირის ტიტულის პატივში აყვანით შე-
მოიფარგლება⁴¹.

ხონთქარმა დიდხანს აღარ დააყოვნა და იმავე 1725 წელს, სპეციალური ფირმანით, წახურელ მუჰამედ ალი-სულთან ზადეს არეში უბოძა⁴².

როდესაც ვეხებით აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა „უბატონო თემების“ ჩამოყალიბების საკითხს, მასთან ერთად აუცილებლად უნდა გაირკვეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებაც, თუ როგორ ხვდებოდნენ ლეკთა ჩამოსახლებას ფეოდალური კახეთის სხვადასხვა სოციალური ფენები. სოციალურმა მომენტმა ლეკთა ჩამოსახლების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. კახელი თავად-აზნაურობა (ე. ი. ფეოდალები, მინისმფლობელთა ფენა) კარგად აფასებდა რა შექმნილ ისტორიულ ვითარებას, რა თქმა უნდა, თავს არ ზოგავდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც მას ემუქრებოდა საფრთხე მინისა და ყმების დაკარგვისა. ხოლო რაც შეეხება გლეხობას, ისინი ლეკებში თავიანთ მოძმეს ხედავდნენ. ლეკების მხარეზე გადასვლით მათ იმედი ეძლეოდათ, რომ ბატონყმობის მძიმე უღელს თავს დააღწევდნენ და მდგომარეობას გაიუმჯობესებდნენ. „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ“⁴³, და „ლეკებიც“ თავის მხრივ „ხერხიანად“ სარგებლობდნენ ბატონყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობით, „ემოციქულებოდნენ“ გლეხებს, კავშირსა და მშვიდობას აღუთქვამდნენ მათ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ“⁴⁴. პირველ ხანებში, მართლაც, ლეკთა მიერ დაპყრობილი კახელი გლეხების ვალდებულებანი და გადასახადები არ იყო მძიმე, ლეკთა მხარეზე გლეხები მთელი სოფლობით გადადიოდნენ. ასე მაგალითად, ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ შეკრებილი ცნობებით ირკვევა, რომ სოფელი ბაიდარლო ნებაყოფლობით გადასულა წახურელი ლეკების მხარეზე⁴⁵. სოფელ ჩობანქოლის მცხოვრებინიც თავისი ნებით შეუერთდნენ ლეკებს და მათი მფარველობის ქვეშ შევიდნენ⁴⁶. მაგრამ ლეკ დამპყრობლებს არ აღმოაჩნდათ იმის უნარი, რომ კონფლიქტი მათსა და საკუთარი მეზობლებისადმი აჯანყებულ კახელ გლეხს შორის არ მოეხდინათ. „უბატონო თემებმა“ მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კახეთში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, დაიწყეს კახელი გლეხების (მათი ყოფილი მოკავშირეების) ექსპლუატაციის გაძლიერება და მძიმედ დაბეგვრა. ამის შემდეგ კახელი გლეხის დამოკიდებულება ლეკებისადმი მკვეთრად შეიცვალა. ისინი მათ მხარეზე აღარ გადადიოდნენ, მათ ისევ რომელიმე კახელი

⁴¹ ცსსა, ფონდი 236, აღწ. 2, საქ. 88, ფურც. 29.

⁴² იქვე, ფურც. 30-31.

⁴³ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 188.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ ცსსა, ფონდი 236, აღწ. 2, საქ. 21, ფურც. 2.

⁴⁶ იქვე, საქ. 22, ფურც. 188.

თავადის, ჩოლოყაშვილის ყმობა ერჩივნათ, ვიდრე ლეკების. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „კახელი გლეხობა უბატონობისათვის იბრძოდა და არა ძველი მებატონის ახლით შეცვლისათვის“⁴⁷. XVIII საუკუნის დასაწყისში, მართალია, უკვე საესეებით ნათლად იყო გამოძღვლებული, რომ ლეკთა „უბატონო თემებს“ კახელი გლეხისათვის უბატონობა აღარ მოჰქონდათ, მაგრამ XVIII საუკუნის I მეოთხედის დასასრულამდის, დავით იმამ-ყული-ხანისა (1703-1722 წწ.) და კონსტანტინე მამადყულიხანის (1722-1733 წწ.) დროს, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი კახელი გლეხის ლეკისადმი ნინანდელი დამოკიდებულების ზოგიერთი ნიშანი. ასე მაგალითად, ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც საკუთარი მებატონეების უსაზღვრო ექსპლუატაციით წელში განყვეტილი კახელი გლეხები იძულებულნი გამხდარან ლეკებთან მისულიყვნენ და მათი დახმარებით თავიანთი მებატონის მამული აენიოკებინათ. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „ამ ყამთა (დავით იმამყულიხანის დროს – თ. პ.) ინყეს გლეხთა მძღავრებისათვის ლეკთა ლტოლვად და მოსლვად ლეკთა-თანა, რამეთუ იკლიან რაიმე მეპატრონეთა თვისთა-გან და მუნ მოსრულნი ეტიკობენ და დაესხმიან დაბნებთა, არვე-მრონელთა, კაცნი მოსრიან, ტყვენი და საქონელნი წარიყვანიან“⁴⁸. თუ ჩვენ არ გავითვალისწინეთ კახეთში გაჩაღებული ეს კლასობრივი ბრძოლა, ისე ვერ ავხსნით იმ, ერთი შეხედვით უცნაურ მოვლენას, როგორც იყო XVIII საუკუნის I მეოთხედში ლეკთა მიერ თითქმის მთელი კახეთის დაჭერა⁴⁹. აღსანიშნავია, რომ საინგილოს ისტორიის საკითხების კვლევისას ზოგიერთი ისტორიკოსისათვის (ს. ესაძე, დ. ბაქრაძე და სხვ.) ეს მომენტი სრულიად გაუგებარი იყო. ასე მაგალითად, დიმ. ბაქრაძე თავის ნაშრომში: – „Заметки о Закавказском округе“ – წერს, რომ „Кахетинцы, бывшие в наибольшей опасности, стали дичать, в них иссякло чувство любви к родине. Многие из них приставали к лезгинам и служили им в качестве беладов“⁵⁰. რა თქმა უნდა, დიმ. ბაქრაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ კახელების ლეკთა მხარეზე გადასვლა გამოწვეული იყო იმით, რომ „მათში ჩაქრა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა“, მცდარია.

კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოსახლებულმა ლეკებმა თავიანთი საზოგადოებრივი წყობილება მთიდან ბარშიც თან ჩამოიტანეს. ისინი აღმოსავლეთ კახეთშიც ჯამაათებად, თოხუმებად და ოჯახებად ეწყობოდნენ. კახელ გლეხს კაკ-ელისენში ამიერიდან ბატონი გამოეცვალა. კახელი თავადაზნაურობა ლეკის ჯამაათმა შეცვალა. ლეკის ჯამაათი დამორჩილებული და დაპყრობილი კახელი გლეხის მიმართ ე. წ. „ჯგუფური ანუ კოლექტიური სენიორიის“ როლს ასრულებდა. ლეკმა დამპყრობლებმა ადგილობრივი მკვიდრი ქართველი მოსახლეობის იძულებითი გამუსლიმანება დაიწყეს. ეს პროცესი XVII საუკუნის მიწურულიდან მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა; მაგრამ მათ ვერ შეძლეს ქრისტიანული სარწმუნოების სრული აღმოფხვრა. 1826 წელს ავარიელ ლეკთა მიერ შექმნილ ქარ-ბელაქნის – „უბატონო თემების“ სამფლობელოში მყო-

⁴⁷ ნ. ბერძენიშვილი, „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“, გვ. 189.

⁴⁸ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, გვ. 133.

⁴⁹ ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: И. Петрушевский, Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифлис, 1934, стр. 14-15. Хроника войны Джара в XVIII столетии, Баку, 1931 г., Примечания к ней Е. А. Пахомова, стр. 52-53.

⁵⁰ Д. Бакрадзе, Заметки о Закавказском округе, стр. 10.

ფი რუსი მოხელე, პოლკოვნიკი კოცებუ წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული ლეკების მიერ ინგილოებით დასახლებულ სოფლებში დაყენებული მოლები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს ინგილოთა მიერ მამამადიანური რელიგიის წეს-ჩვეულებების შესრულებას, ინგილოების ნახევარზე მეტი მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს. ინგილოური სოფლების მამასახლისები ჩემთან საუბარში ხშირად სრული გულწრფელობით მარწმუნებდნენ, რომ, როგორც კი რუსეთის ჯარები ჩვენს მიწა-წყალზე მუდმივად დამკვიდრდებიან, მაშინვე ყველა ინგილოური სოფლები აშკარად ისევ თავიანთი წინაპრების სარწმუნოებას მიიღებენ, მეჩეთებს დაანგრევენ და მათ ნაცვლად ეკლესიებს ააგებენ“⁵¹.

სრულიად მცდარია ვ. ივანენკოს დებულება ამ საკითხის შესახებ. იგი წერს: „покоренные грузины к началу нашего владычества почти все олезгинились и перешли в ислам, весьма неохотно принимая к себе наших проповедников“⁵².

ლექთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მოწყვეტილ კაკ-ელისენის ტერიტორიაზე ორი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა. ჭარ-ბელაქნის ლექთა „უბატონო თემების“ სამფლობელო და ელისუს სასულთნო. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ასწლოვანი სასტიკი და თავგამოდებული ბრძოლის შემდეგ საქართველო იძულებული შეიქმნა თავისი მიწა-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკებისათვის დაეთმო. ეს იყო ფეოდალური საქართველოს მარცხი. მას მოწყდა უაღრესად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მხარე. პოლიტიკური თვალსაზრისითაც კახეთის სამეფოს ამ ტერიტორიაზე ლექთა მფლობელობის დამყარებამ მეტად მძიმე შედეგები გამოიღო: ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მას მოერღვა საუცხოო საფარი და გარეშე მტერს ამ მხრიდან შემოსევა გაუადვილდა. მაგრამ ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველო არასოდეს ცნობდა „ლექ“ მტაცებელთა ამ აქტს. მას არასოდეს აუღია ხელი კახეთის სამეფოს ამ ძველის-ძველ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებზე. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, ლექთა მიერ უსამართლოდ მიტაცებულ კახეთის სამეფოს მიწა-წყლის გამოხსნის საკითხი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მეტად მწვავე და დიდად საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა. კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ფარგალს გარეშე მოქცეული კაკ-ელისენის შემოერთებისათვის ქართველების მიერ წარმოებული ბრძოლა სამართლიანი იყო. ეს ბრძოლა უაღრესად დაუნდობელ ხასიათს ატარებდა. XVIII საუკუნეში შედგენილი ჭარის ომების ქრონიკის ავტორი აღნიშნავს: ჭარ-ბელაქნელებსა და კახელებს შორის წარმოებული ბრძოლები იმდენად ხშირი და სასტიკი იყო, რომ „კახეთში აღარ დარჩნენ თავადები და ჭარში ვაჟკაცები“⁵³.

აი, ასე წარმოიშვა ფეოდალური საქართველოს მიწაზე ახალი პოლიტიკური ერთეული „თავისუფალი“ („უბატონო“) „ლექური“ თემების სახელმწიფო. მას ჭარ-ბელაქანი ან მარტივად საინგილო ეწოდა (ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის – ინგილოების სახელწოდებისაგან). დაპყრობილი ქართული სოფლები გაბატონებულმა ლეკებმა მძიმედ დაბეგრეს. სწორედ ამ დამორჩილებულ-დაბეგრულ

⁵¹ Коцебу, დასახ. ნაშრომი, л. I-II.

⁵² В. Иваненко, «Гражданское управление Закавказьем», утверждение русского владычества на Кавказе, т. XVII, Тифлис, 1907, стр. 273-274.

⁵³ Хроника войны Джара в XVIII столетии, стр. 9.

ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“, განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიაც, უპირატესად, მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი თუ წახურელი.

ავარიელი „ლეკების“ სამფლობელო (ანუ როგორც კოცებუ უწოდებს – ჭარის სამფლობელო) ექვსი თემისაგან შედგებოდა. ეს თემები იყო: ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის და ჯინიხის. თითოეული ეს თემი თავის მხრივ იყოფოდა გაბატონებულ ლეკთა თავისუფალ სოფლებად, რომელნიც თემის თანასწორუფლებიან წევრებს წარმოადგენდნენ, და დამორჩილებული ინგილოებისა და მულალების სოფლებად, რომელნიც იხდიდნენ გადასახადს ამ ე. წ. მფლობელი თემების სასარგებლოდ. ეს სოფლები წყაროებში იწოდებიან საქეშქელო სოფლებად (ქეშქელი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ინგილოები და მულალები ლეკთა სასარგებლოდ იხდიდნენ – ამის შესახებ ჩვენი ნაშრომის ცალკე თავში გვექნება საუბარი).

XIX საუკუნის დასაწყისის (1826-1830 წწ.) სხვადასხვა სახის წყაროების (უმთავრესად კი კოცებუს და ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალებში დაცული სტატისტიკური ცნობების) მონაცემთა ურთიერთმეჯერების საფუძველზე მივიღებთ შემდეგ სურათს ავარიელი „ლეკების“ სამფლობელოებში შემავალი „თავისუფალი“ („უბატონო“) თემების შემადგენლობის შესახებ.

I. ჭარის თემი

სოფლები: ჭარი, ზაქათალა, გოგამი, სუმაილო, კაფისდარა, კარაგაჯლო, დარდუკაზი შეადგენდნენ ჭარის თემს. ამ 7 (შვიდ) სოფელში, კოცებუს ცნობით, სულ 1260 კომლი მოსახლე იყო. ზოგიერთი სხვა მონაცემის მიხედვით კი კომლთა რაოდენობა 1500-მდე აღწევდა. ჭარის თემს ეკუთვნოდა შემდეგი საქეშქელო სოფლები: **ინგილოური:** ალიაბადი, ჰენგიანი, მოსული, ზაგამი, ყორალანი, ვერხვიანი და შოთავარი; **მულალური:** ჩობანქოლი, ბაიამათლო, კეიმური, კიურდემური, კარაბალდური, კატალპარახი, ფადარი, ყინდირგალო, აღმალო, ბაბალო, ლალალო, გოგლარი, პატარა ლაიჯი და დიდი ლაიჯი. ამ 21 სოფელში კოცებუს სტატისტიკური ცნობების მიხედვით, 1861 კომლი მოსახლე ითვლებოდა. ჭარის თემსავე ეკუთვნოდა ე. წ. ტანაჩის ბინები⁵⁴.

II. ბელაქნის თემი

სოფლები ბელაქანი, ნაბლოვანი (საბლუ-ალი) და ჩანდრისხევი შეადგენდნენ ერთ, ბელაქნის თემს. ამ სოფლებში ითვლებოდა 800 კომლი. ბელაქნის თემი სხვა თავისუფალი თემებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას არ გააჩნდა საქეშქელო სოფლები⁵⁵. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბელაქნის თემი ფლობდა ცალკეულ კომლებს მულალურ სოფლებში და აგრეთვე ცალკეულ საქეშქელო ნაკვეთებს ქეშქელურ სოფლებში.

⁵⁴ Коцебу, Статистические сведения о Чарских владениях, ЦГИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 3-11.

⁵⁵ იქვე.

III. კატეხის თემი

სოფლები: კატეხი, გუდახარი, კაიბულაბა და ტონგურუჩი შეადგენდნენ კატეხის თემს. ამ სოფლებში 300 კომლი მოსახლე ითვლებოდა. არც კატეხის თემს ჰქონდა საქეშქელო სოფლები. ზოგიერთი წყაროს ცნობით, კატეხის თემს ეკუთვნოდა 100-მდე კომლი, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ ჭარის თემის ინგილოურ სოფლებში⁵⁶.

IV. თალას თემი

სოფლები თალა და კარგილუ შეადგენდნენ ერთ, თალას, თემს, რომელშიც ითვლებოდა 800 კომლი. თალას თემს ეკუთვნოდა შემდეგი საქეშქელო სოფლები, ინგილოური: ყანდახი და ყაპანახჩი; მულალური: მულანლო და ფალდარლო. კოცებუ ამ სოფლებში ითვლის დაახლოებით 610 კომლს⁵⁷.

V. მუხახის თემი

სოფლები ქვემო მუხახი, ზემო მუხახი და საფუნჩი წარმოადგენდნენ მუხახის თემს, რომელშიც 800 კომლი მოსახლე იყო. მას ეკუთვნოდა ორი საქეშქელო სოფელი მულალებისა: ბაზარი (30 კომლი) და ჩარდახი (200 კომლი), ამ სოფლებში სულ იყო 230 კომლი მოსახლე⁵⁸.

VI. ჯინიხის თემი

სოფლები გულლუგი, გიუსბარახი, ალიასკარი და ბაშჯენიხი შეადგენდნენ ჯინიხის თემს. მასში ითვლებოდა 800 კომლი. მას ეკუთვნოდა შემდეგი საქეშქელო სოფლები – ინგილოური: მარსანი და ლალაფაშა; მულალური: ჩუდულო. ამ სოფლებში 90 კომლი მოსახლე იყო⁵⁹.

კოცებუ ცალკე გამოჰყოფს სოფელთა ერთ ჯგუფს, რომელნიც არცერთი თემის შემადგენლობაში არ შედიოდნენ და არც საქეშქელო სოფლები გააჩნდათ. ესენი იყვნენ: მანეხი (300 კომლი), ყარაჯალი (50 კომლი), ყაფისდარა (30 კომლი), ჯინჯიბახი (20 კომლი), საფუნჯი (40 კომლი), მამრეხი (140 კომლი) და კუსური (10 კომლი)⁶⁰.

ავარიელ „ლეკთა“ თავისუფალი თემების აღმოსავლეთით, იმავე პირობებში და იმავე დროს, ყალიბდება წახურელ „ლეკთა“ ოთხი თავისუფალი თემი. ეს თემები იყო: 1. წახურის, 2. სუვაგილის, 3. ყარადულაკის და 4. ელისუს. ავარიელ ლეკთა თავისუფალი თემებისაგან განსხვავებით, ამ თემებს არ ჰქონდათ საქეშქელო

⁵⁶ Владения Джарских лезгин-Папорт начальника Джаро-белаканской области командиру отдельного Кавказского корпуса от 31-го января 1832 года. История Грузинской пешей дружины, Тифлис, 1884, приложение к главе первой, стр. 2.

⁵⁷ Коцебу, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-11.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე.

სოფლები. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე რაიმე მნიშვნელოვანი როლი მათ არ შეუსრულებიათ. მათ არ აღმოაჩნდათ იმის უნარი და ძალა, რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. ჩამოყალიბების დღიდან ისინი ჩქარა ექცევიან ელისუს სულთნის ვასალურ დამოკიდებულებაში⁶¹.

საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ ელისუს სასულთნოს და სულთნის დინასტიის წარმოშობაზე. ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ხალხური გადმოცემები სულთნის დინასტიის წარმოშობას შემდეგნაირად ხსნიან. მაგალითისათვის მოვიტანოთ სოფ. კახში 1872 წლის 4 ივლისს ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ ჩანერილი ზეპირი გადმოცემა. „უძველეს დროში, დღევანდელი ელისუს სასულთნოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი ძლიერი სოფელი ნახური და კახი, რომლებიც დასახლებული იყო ქართველებით. ეს უკანასკნელი მაშინ ქრისტიანები იყვნენ. როდის მოხდა ამ სოფლების კახეთისაგან გამოყოფა, რწმუნებულებს ზუსტად არ ახსოვთ, ისე კი, მათი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო დიდი ხნის წინათ, რადგან უკვე ორასი წელია, რაც ეს სოფლები დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. მათ შენახული აქვთ 1700 წელს შედგენილი ერთი საბუთი, რომლიდანაც ირკვევა: ნახურში და კახში მფლობელებად მსხდარან ორი ძმა. ნახურში – გიორგი ხანი, ხოლო კახში კი თორღვა (მის პატივსაცემად თვით სოფელ კახსაც თორღვა ეწოდებოდა). ნახურლები და კახის მცხოვრებნი განიცდიდნენ სისტემატურ თავდასხმებს მეზობელი დაღესტნელი მუსლიმანებისაგან. ერთხელ სოფელ თორღვას (იგივე კახის) მცხოვრებლები საშინლად დაამარცხეს დაღესტნის სოფელ ხნოვის მცხოვრებლებმა, მრავალი დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. ნახურელ გიორგი-ხანისა და მისი მოკავშირე, მუსლიმან ხიცელი (დაღესტანში) ალი-ბეგის დახმარებით თორღვაელები განთავისუფლებულ იქნენ ხნოველთა ტყვეობიდან. სოფელ კახს ისევ თორღვა და მისი შთამომავალნი განაგებდნენ. მაგრამ შემდგომში, ამ ხიცელი ალი-ბეგის მემკვიდრეებმა მუსლიმანური სარწმუნოების გავრცელების მიზნით თვითონ დაიპყრეს ნახური, აქაური მცხოვრებნი ზოგი დახოცეს, ზოგი კი გაამუსლიმანეს. ერთ-ერთმა ხიცელმა მფლობელმა, ალი-ბეგ II-მ თავისი რეზიდენცია ნახურში გადმოიტანა და იგი შეიქმნა ნახურელ და ელისუს სულთანთა დინასტიის ფუძემდებელი“⁶².

მეორე გადმოცემის მიხედვით, ხიცელი ბეგების მიერ ნახურის დაპყრობა მოხდა არა ძალადობის გზით, არამედ ისინი თვით ნახურის მცხოვრებლებმა საკუთარი ნებით აირჩიეს თავიანთ მმართველებად. ეს კი მოხდა შემდეგნაირად: ნახურელ ლეკთა ჯამაათებში შემავალ თითოეულ თოხუმს სურდა, რომ მმართველად მათი წარმომადგენელი ყოფილიყო. ეს გარემოება მათ შორის იწვევდა დაუსრულებელ ქიშპსა და ურთიერთმტრობას. იმ მიზნით, რათა ბოლო მოეღოთ ამ გაუთავებელი შინაგანი განხეთქილებებისა და უთანხმოებისათვის, „Народ стал выбирать правителей странею между непринадлежащими к их среде бегами, прибывшими из несуществующего ныне сел, Хиц (в Дагестане)“⁶³. ნახურში დაცული გადმოცემით, ამ ხიცელმა ბეგებმა ძალზე შეავიწროვეს ნახურის მცხოვრებლები. მოთმი-

⁶¹ შტრ. И. Петрушевский. Джаро-Белаканские вольные общества, стр. 63.

⁶² ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 12, ფურც. 28-29, „ზაქათალის კომისიის ჟურნალი“, № 41, 1872, 4 ივლისი.

⁶³ ცსსა, ფ. 416, აღნ. 3, საქ. 1295, ფურც. 5-10.

ნებიდან გამოსულმა ხალხმა ერთიანად ამოხოცა ბეგები. გადარჩა მხოლოდ ერთი ფეხმძივე ქალი, რომელიც ნახურიდან ელისუში გამოიქცა. აქ მას ეყოლა შვილი, რომელიც, როდესაც ნამოიზარდა, ხალხმა, მათ შორის ნახურელებმაც, თავიანთ მმართველად აირჩიეს, ალი-ბეგ I-ის სახელწოდებით; ამ ალი-ბეგიდან მომდინარეობენ ელისუს სულთნები, რომელთა რეზიდენციამ ამიერიდან ნახურიდან ელისუში გადმოინაცვლა⁶⁴. ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ხალხური გადმოცემები ელისუს სულთნებს თვლიან ნახურში დამკვიდრებულ, დაღესტნიდან ჩამოსულ (რომელიღაც სოფელ ხიციდან) ბეგების შთამომავლებად.

სხვანაირად ხსნის სულთანთა დინასტიის წარმოშობას ვახუშტი ბაგრატიონი. იგი წერს: „იტყვიან, მივიდა ვახახისშვილი წინაშე შაბაზისა ქრისტესსა ჩუპზ, ქარს-ოე (ე. ი. 1587), გამაჰმადიანდა და, მოსვლასა ერევანს, მიულო აღექსანდრეს და დასუა სულტნად იგივე აქა“⁶⁵. როგორც ვხედავთ, ვახუშტის აზრით, ელისუს სულთნები ქართველი თავადის, ვახახისშვილის ჩამომავალნი არიან. პოლკოვნიკ კოცებუს აზრითაც, ელისუს სულთნები წარმოშობით ქართველები არიან, კერძოდ იგი მათ თავად ერისთავის შთამომავლებად თვლის. იგი თავისი ნაშრომის იმ ადგილას, სადაც ელისუს სასულთნოს წარმოშობის საკითხს იხილავს, აღნიშნავს: „первый султан и был грузинский князь“⁶⁶.

ელისუს სასულთნოს ისტორიის მკვლევარნი დ. ბაქრაძე, ს. ესაძე, ი. ლინევიჩი ამ საკითხს ხსნიან ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ზაქათალის წოდებრივ საადგილმამულო კომისიის მიერ შეგროვილ ხალხურ გადმოცემებზე დამყარებით. ე. ი. მათი შეხედულებითაც, ელისუს სულთნები არიან ნახურში დამკვიდრებული დაღესტნიდან (სოფ. ხიციდან) ჩამოსული ბეგების შთამომავალნი⁶⁷.

სულთნის დინასტიის წარმოშობის ასეთ ახსნას ვერ დავეთანხმებით. ჩვენი აზრით, სულთნის ხელისუფლების წარმოშობის ფესვები უნდა ვეძებოთ არა ნახურში მყოფ, დაღესტნიდან ჩამოსული ბეგების წრეში (როგორც ამას ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის წევრები და აგრეთვე დ. ბაქრაძე, ს. ესაძე და ი. ლინევიჩი აკეთებენ, ხალხურ გადმოცემებზე დამყარებით), არამედ ამ ხელისუფლების აღმოცენება კახეთის სამეფოში არსებული ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე უნდა ავხსნათ. კერძოდ, ელისუს სულთანთა ხელისუფლება წარმოადგენდა კახეთის სამეფოში შემავალ წუქეთის მოურავების ხელისუფლების გაგრძელებას. ამ მხრივ, სავსებით სწორია პროფ. ი. პეტრუშევსკის მოსაზრება. იგი წერს: „Власть султанов была продолжением власти моуравов элисенских, иначе говоря она возникла на почве феодальных отношении кахетии, и не вышла из горного Цахура“⁶⁸.

გამოსარკვევი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ დამოკიდებულების რანაირი ფორმა არსებობდა ელისუს სულთნებსა და ნახურელ ლეკთა თავისუფალ თემებს შორის. ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალებიდან ირკვევა,

⁶⁴ И. П. Липевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

⁶⁵ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 96.

⁶⁶ Коцебу, დასახ. ნაშრომი, л. 2.

⁶⁷ Д. Бакрадзе, Заметки о Закатальском округе, стр. 29; С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, стр. 484; И. Липевич, Бывшее Елисейское султанство, стр. 4-5.

⁶⁸ И. Петрушевский, Джаро-Белаканские волыные общества... стр. 64.

რომ ნახურელი ლეკები სასულთნოში პრივილეგირებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ. სულთნისა და ბეგების სასარგებლოდ მათ რაიმე გადასახადი ან ვალდებულება არ ჰქონდათ დაკისრებული. „ზაქათალის კომისიის“ მიერ 1872 წლის 4 ივლისს შედგენილ 41-ე ურუნალში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ლეკური სოფლების მიმართ სულთნები არავითარი ხელისუფლებით არ სარგებლობდნენ⁶⁹. ასეთივე მოსაზრებას გამოსთქვამდნენ ი. ლინევიჩი და ს. ესაძე. ეს უკანასკნელი წერს: „Вольные лезгины... никогда не несли какой-либо повинности ни султану, ни бекам“⁷⁰. იბადება კითხვები: რით იყო გამოწვეული ნახურელ ლეკთა თავისუფალი თემების ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობა სასულთნოში? რატომ იყო საგრძნობლად შეზღუდული სულთნის ხელისუფლება ნახურელ ლეკებზე? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა გვეძლევა ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალების საშუალებით. ამ კომისიის წევრები, ეყრდნობიან რა რწმუნებულთა ჩვენებებს, აღნიშნავენ: ნახურელმა ლეკებმა დაიპყრეს რა ეხლანდელი ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთი ნაწილი (ე. ი. ელისუს სასულთნო), თვითონ მხოლოდ ზეგანზე მდებარე სოფლები დაიკავეს, ხოლო, რაც შეეხება დაბლობში მდებარე მკვიდრი მოსახლეობის სოფლებს, ისინი მათ, მართალია, დაიმორჩილეს, მაგრამ თავიანთ საკუთარ მფლობელობაში არ დაუტოვებიათ (როგორც ეს ავარიელმა ლეკებმა გააკეთეს). მათ ეს სოფლები და აგრეთვე ამ სოფლის მცხოვრებთაგან საქეშქელო გადასახადების აკრეფის უფლებაც სულთნებს დაუთმესო. ამით იყო გამოწვეული, რომ სულთნებმა ისინი ყოველგვარი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან გაანთავისუფლესო⁷¹. მაგრამ მარტო ამ გარემოებებით არ აიხსნება სულთნების მიერ ნახურელ ლეკთა თავისუფალი თემების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება. ამავე კომისიის მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ელისუს სულთნებს ესაჭიროებოდათ ნახურელ ლეკთა თავისუფალი თემების მხარდაჭერა თავიანთი ხელისუფლების განსამტკიცებლად. მათი დახმარებით შესაძლებლობა ეძლეოდათ მორჩილებაში ყოლოდათ ინგილოები და მულალები. მათზე ექსპლუატაციის გაძლიერების შემთხვევაში (საქეშქელო გადასახადების თვითნებური გაზრდა და სხვ.) სულთნებს არ ეშინოდათ მათი მხრივ რაიმე უკმაყოფილების გამომჟღავნებისა, რადგან ყოველთვის ჰქონდათ იმედი ნახურელი ლეკების დახმარებისა⁷². Власть султана над Мугалами и Ингилоцами ничем не ограничивалась. В деспотическом управлении этим народом султаны всегда встречали дружную поддержку со стороны Лезгин⁷³.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რატომ ეკავათ ნახურელ ლეკებს პრივილეგირებული მდგომარეობა სასულთნოში და რატომ იყვნენ ისინი განთავისუფლებულნი სულთნის მიერ ყოველგვარი გადასახადებისა და ვალდებულებისაგან.

როგორც ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალებიდან ირკვევა, სულთნის ხელისუფლება არჩევითი იყო⁷⁴. მისი არჩევა ხდებოდა ჯამაათის

⁶⁹ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 12, ფურც. 32.

⁷⁰ С. Эсадзе, Историческая записка..., т. 1, стр. 488.

⁷¹ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 12, ფურც. 33.

⁷² იქვე.

⁷³ ცსსა, ფ. 416, აღნ. 3, საქ. 1296, ფურც. 5-10.

⁷⁴ იქვე, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 1, ფურც. 131-132.

ყრილობაზე. ადათით შემუშავებული იყო გარკვეული წესი სულთნის არჩევისა. აუცილებლად არჩეული უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი წევრი სულთნის გვარიდან⁷⁶. თავდაპირველად ჯამაათი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სულთნების არჩევაში და საერთოდ, სასულთნოს მმართველობის საქმეებში. ჯამაათს სულთნისადმი მიჩენილი ჰყავდა თავისი რწმუნებულები, ვექილები, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ სულთნის მოქმედებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სულთნის მმართველობა ხალხში რაიმე უკმაყოფილებას იწვევდა, მაშინ ჯამაათს შეეძლო იგი გადაეყენებინა და მის ნაცვლად სხვა რომელიმე წევრი აერჩია იმავე სულთნის გვარეულობიდან. ამრიგად, როგორც ვხედავთ, სულთნის ხელისუფლება, თუ ერთი მხრივ არჩევითი იყო, მეორე მხრივ, თუ კარგად ჩაუტყვირდებოდა, დაინახავთ, რომ იგი მემკვიდრეობითი ხასიათის მატარებელიც იყო. მართალია, სულთნის მემკვიდრეობით არჩევის წესი კანონით არ იყო შემუშავებული, მაგრამ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ სულთნის არჩევა ყოველთვის ერთი ოჯახის, ერთი გვარეულობის ფარგლებში ხდებოდა. ასე მაგალითად, უკანასკნელი სულთნის, დანიელ-ბეგის ახლობელი ნათესავები, ახმედ-ხან-უშაგის გვარეულობის წევრები ამტკიცებდნენ, რომ „Сан правителя (ლაპარაკია სულთანზე – თ. პ.) всегда передавался в их фамилию по прямому наследству от отца к сыну“⁷⁶.

XVIII საუკუნეში ნახურელ ლეკთა თავისუფალი ჯამაათები სულთნის არჩევნებში თითქმის ყოველგვარ უფლებებს კარგავენ. ეს გამოწვეული იყო მათი დასავლეთელი მეზობლის – ქარის თემის გავლენისა და ძლიერების გაზრდით. ამიერიდან სულთნის არჩევნებში გადამწყვეტი ხმა ქარელებს ჰქონდათ. მათი მონაწილეობის გარეშე არცერთი სულთნის არჩევა არ ხდებოდა. სულთანი აუცილებლად ქარელებს უნდა დაემტკიცებინა. ქარის თემის რწმუნებულთა გადმოცემით, ეს არჩევნები ჩვეულებრივ ხდებოდა შემდეგნაირად: სულთნის გარდაცვალების შემდეგ ძვირფასი საჩუქრებით დატვირთულნი მრავალრიცხოვანი პრეტენდენტები სულთნის ოჯახიდან ცხადდებოდნენ ქარში, რათა თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ ქარის თემის გავლენიანი ქვეხები. პრეტენდენტი, რომელსაც ქარელები დაუჭერდნენ მხარს, აუცილებლად სულთანი უნდა გამხდარიყო: ნახურელ ლეკთა თავისუფალი ჯამაათი ქარელთა კანდიდატს უსიტყვოდ ირჩევდა სულთანად. იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ან სხვა პრეტენდენტები წინააღმდეგობას გაუწევდნენ მას არჩევნების დროს, მაშინ ქარელები უკვე იარაღის ძალით ახერხებდნენ თავიანთი კანდიდატის გაყვანას⁷⁷. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელსაც XVIII საუკუნის დასასრულს: სულთანად ამ დროს იყო ხან-ბაბა-ბეგი (ქარელების დაყენებული). ნახურელ ლეკთა ჯამაათმა იგი გადააყენა და მის ნაცვლად სულთანად ახმედ-ხანი აირჩია. ხან-ბაბა-ბეგმა დახმარებისათვის ქარელებს მიმართა. ქარელებმა ელისუმი სამხედრო რაზმი გაგზავნეს, რომელთა დახმარებითაც ხან-ბაბა-ბეგმა დაამარცხა ახმედ-ხანის მომხრენი და სულთანად ისევ თვითონ დაჯდა⁷⁸. ქარელების დახმარებით არჩეული სულთანი როგორც საშინაო, ისე საგარეო

⁷⁶ ცსსა, ფ. 416, აღნ. 3, საქ. 1295, ფურც. 5-10.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 1, ფურც. 31.

⁷⁸ И. Линевиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

პოლიტიკის საკითხებში ჭარელთა დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. სასულთნოს მმართველობის საქმეებს სულთანი დამოუკიდებლად ვერ წარმართავდა: „Султану приказывалось поступать так, как было угодно Джарцам, а о неисполнении их приказания не могло и быть речи“⁷⁹. მართალია, ჭარელები ელისუს სასულთნოდან რაიმე გარკვეულ ხარკს არ იღებდნენ (ეს იქნებოდა უკვე ოფიციალური დადასტურება ელისუს სულთნების ვასალური დამოკიდებულებისა ჭარელებისადმი), მაგრამ მათი გავლენა ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში დიდი იყო. განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობოდა ეს გავლენა სასულთნოს იმ სოფლებზე, რომელნიც ჭარელთა სამფლობელოს ესაზღვრებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, სოფელი აღმალო, რომელიც ელისუს სასულთნოს ბეგების კუთვნილებას შეადგენდა. ამ მიწების მფლობელ ბეგებს იმის უფლებაც კი არ ჰქონდათ, რომ ჭარელების ნებადაურთველად ვინმე დაესახლებინათ ამ ადგილებში. ვერცერთი გლეხი ჭარელების მოსაზღვრე მიწებში დასახლებას ისე ვერ გაბედავდა, თუ იგი წინასწარ ჯერ რომელიმე გავლენიან ჭარელს მფარველად არ გაიხდინდა, რომელიც მას აქ დასახლების ნებას მისცემდა (რა თქმა უნდა, გარკვეული მატერიალური სარგებლობის მიღების შემდეგ). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლო გულდამშვიდებით ეცხოვრა საზღვრისპირა მოსახლე ელისუელ გლეხს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გახდებოდა ჭარელთა განუწყვეტელი თავდასხმების მსხვერპლი⁸⁰.

XIX საუკუნის დასაწყისში, 1803 წლიდან მოყოლებული, როდესაც ჭარ-ბელაქნის „ლეკთა“ თავისუფალი თემების სამფლობელო და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შედიან, სულთნის ხელისუფლება შესამჩნევად იზრდება და მტკიცდება. თავიანთი გავლენის გაძლიერებას სულთნები რუსთა დახმარებით ახერხებდნენ⁸¹. ამ გარემოებაზე მიუთითებენ ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის წევრები: პოლკოვნიკი ზელენი და კაპიტანი პეტანდერი. ისინი კომისიის მე-19 ურნალში აღნიშნავენ, რომ „как султан, так и беки, пользуясь благосклонностью и покровительством русских, шаг за шагом присвоивали себе нечуждые прежде права, не только сословные, но и поземельные“⁸². ელისუს სულთნები ამიერიდან ჭარელების დაუკითხავად მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან და ყოველნაირად ცდილობენ მათი მხარდაჭერა მოიპოვონ (ამ მხრივ განსაკუთრებით სულთანი ახმედ-ხანი გამოირჩეოდა – 1805-1830 წწ.), რომ როგორმე თავი დააღწიონ ჭარის ჯამაათის ძლიერ გავლენას. რუსეთის მთავრობაც თავის მხრივ ხელს უწყობდა სულთნის გავლენის გაძლიერებას, რადგანაც მას შეეძლო სულთანი შემდგომში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა, როგორც იარაღი, დაუმორჩილებელი ავარიელ „ლეკთა“ თავისუფალი თემების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ელისუს სასულთნოში სულთნის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდა შემდეგი სოფლები: კახი, ალიბეგლო, მეშაბაში და ყარამეშა⁸³. უკანასკნელი სულთნის,

⁷⁹ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 91.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, ფურც. 33.

⁸² იქვე, ფურც. 201-208.

⁸³ იქვე, ფურც. 132.

დანიელ-ბეგის დროს, მათ რიცხვს აგრეთვე მიემატა შემდეგი სოფლები: ონჯალო, სუსკენტი, ალმალო, ბაბალო, ყორალანი და შოთავარი⁸⁴.

პრივილეგირებულ სოციალურ ფენას ელისუს სასულთნოში ბეგები შეადგენდნენ. ეს ფენა ერთფეროვანი არ იყო. ბეგთა ეს კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობით, ასევე თავიანთი წარმოშობით. პირველ კატეგორიის ბეგებად იწოდებოდნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც თავიანთი წარმოშობით ნახურის და ელისუს მფლობელთა (სულთნების) გვარეულობას მიეკუთვნებოდნენ. მეორე კატეგორიის ბეგებს მიეკუთვნებოდნენ ის პირნი, რომელნიც ელისუს სასულთნოში მოსულნი იყვნენ სხვადასხვა მხრიდან, სადაც მათი წინაპრები ბეგების უფლებებით სარგებლობდნენ. მესამე კატეგორიაში შედიოდნენ ის პირნი, რომელთაც ბეგის წოდება სულთნისადმი ერთგული სამსახურის წყალობით მოეპოვებინათ (ესენი წინათ უბრალო ლეკები იყვნენ). მეოთხე კატეგორიაში შემავალი ბეგებიც წარმოშობით უბრალო „ლეკები“ იყვნენ, მათ ბეგის წოდება მიიღეს სასულთნოში რუსთა ერთგულების გამოჩენისათვის⁸⁵.

1844 წელს კაპიტან პეჩკოვსკის მიერ შედგენილი სიიდან ირკვევა, რომ პირველი კატეგორიის ბეგებად (ე. ი. ელისუს სულთანთა გვარეულობის შთამომავლებად) სასულთნოში იწოდებოდნენ მხოლოდ 8 გვარის წარმომადგენელი. ეს გვარები იყო შემდეგი: 1. ახმედ-ხან უშალი (ესენი იყვნენ უახლოესი ნათესავები უკანასკნელი ორი სულთნისა: ახმედ-ხანისა და დანიელ-ბეგისა); 2. ხან-ბაბა-ბეგ-უშალი, 3. ალი-სულთან-უშალი, 4. ნაჯაფ-ბეგ-უშალი, 5. მამედ-ბეგ-უშალი, 6. ხუდინატ-ბეგ-უშალი, 7. გაიდარ-ბეგ-უშალი და 8. ყადაშ-ბეგ-უშალი⁸⁶.

ელისუს სასულთნოში ბეგთა მფლობელობაში იმყოფებოდა შემდეგი სოფლები: ფისტუხლო, იბახლო, ქიჩიკ-ქოთუქლო, ბეიუკ-ქოთუქლო, უზუნ-თალა, ყარა-თალა, ყაზმალარი, ბაიდარლო, ამანლო, კაისარლო, ყიფჩალი, ჯალაირი, დეგმადაგელდი, და შიხლარი. ამ სოფლებს სასულთნოს უკიდურესი სამხრეთი ნაწილი ეკავათ⁸⁷. ამ სოფლებიდან ზოგიერთი მთლიანად ერთი ბეგის გვარეულობას ეკუთვნოდა. ასე მაგალითად, ფისტუხლო (40 კომლი) ეკუთვნოდა ბეგს – ხაჯი-ალას⁸⁸. სოფლებს: ამანლოს და კაისარლოს ფლობდა ალი-სულთან-უშალის გვარეულობა⁸⁹. ზოგიერთ სოფელში კი ქეშქელები ჰქონდათ რამდენიმე ბეგს. ასეთი იყო სოფელი იბახლო (27 კომლი), იგი შეადგენდა 15 ბეგის საკუთრებას⁹⁰. სოფელი ყაზმალარი (40 კომლი) ეკუთვნოდა 17 ბეგს⁹¹. სოფელ ყიფჩალში მამულები ჰქონდა 9 ბეგს, სოფელ ჯალაირში კი 7 ბეგს⁹².

ჭარ-ბელაქნის „უბატონო“ ლეკური თემების სამფლობელოს საზღვრები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ჩრდილოეთით ჭარელები ესაზღვრებოდნენ კავკასიონის მთავარ ქედს, რომელიც გასდევდა მთელ კახეთს, ელისუს სულთნის მიწა-წყალს

⁸⁴ И. Линевиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁸⁵ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქ. 1, ფურც. 201-208.

⁸⁶ იქვე, ფ. 416, აღნ. 3, საქ. 1295, ფურც. 5-10.

⁸⁷ И. Линевиц, დასახ. ნაშრ., გვ. 22-26.

⁸⁸ იქვე, გვ. 23.

⁸⁹ იქვე, გვ. 25.

⁹⁰ იქვე, გვ. 24.

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე, გვ. 26.

და ნუხის (შექის) პროვინციას; აღმოსავლეთით მდ. ქაფიჩაის, რომლითაც ისინი გამოიყოფიან ელისუს სასულთნოსაგან; დასავლეთით კახეთს; სამხრეთით მდ. ალაზანსა და ქიზიყს. მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტების მიმოხილვა დასავლეთი საზღვრიდან დავიწყეთ. დასავლეთი საზღვარი გადიოდა მაჭისწყალზე ანუ მაჭის ხეობაზე. ლეკები მას „მაზიმჩაის“ უწოდებენ. ამ მდინარეს „მანის წყლის“ სახელწოდებით იცნობს ვახუშტიც. იგი წერს: „ბელაქნის-წყლის შესართავს ზეთი მოერთვის ალაზანს მანის წყალი, გამოსდის ხუნზახსსა და ამას შორის კავკასს, მოდის ჩრდილო-აღმოსავლეთს შუადად დასავლეთ-სამხრეთს შუა“⁹³. თუმცა დასავლეთ საზღვრად მაჭის-წყალი იყო მიჩნეული, მაგრამ ქარ-ბელაქნელები პრეტენზიას აცხადებდნენ აგრეთვე ამ მდინარის გადაღმა მდებარე მიწებზედაც; ამ პრეტენზიას ისინი ასაბუთებდნენ 1720 წელს, თურქეთის სულთან, ახმედის მიერ გაცემული ფირმანით, რომლის მიხედვითაც ქარ-ბელაქნის ლეკთა „უბატონო თემების“ სამფლობელოს დასავლეთ საზღვრად მიჩნეული იყო მდ. კართუბანი⁹⁴. 1872 წელს ქარის თემის რწმუნებულები აცხადებდნენ, რომ მაჭის წყალს გადაღმა მათ ჰქონდათ საზამთრო სადგომები საქონლისათვის, მაგრამ შემდეგში, ელისუს სულთან დანიელის ლაღატისა და მისი მთებში გაქცევის გამო, როდესაც ამ მხარეში ყაჩაღთა თავდასხმები გახშირდა, მათ ეს ადგილები მიატოვეს⁹⁵. 1866 წელს ქარ-ბელაქანში მუშაობდა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ენარმობინა ზაქათალის ოლქსა და სიღნაღის მაზრას შორის მიწების გამიჯვნა. ამ კომისიამ, რომლის განკარგულებაში მრავალი საარქივო მასალა მოიპოვებოდა, გამოარკვია, რომ მთელი ის მიწები, რომლებიც ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედით, სამხრეთიდან მდ. ალაზნით, აღმოსავლეთიდან მდ. ბელაქნის წყლით, ხოლო დასავლეთიდან მდ. კართუბნით იყო შემოფარგლული, ქარ-ბელაქანში რუსთა ხელისუფლების დამყარებამდე (ე. ი. 1830 წლამდე) დაცარიელებული და მოსახლეობისაგან მიტოვებული იყო. ლეკები ამ მიწებით არ სარგებლობდნენ ორი მიზეზის გამო. პირველი იმიტომ, რომ ეს მიწები მათი სოფლებიდან დიდი მანძილით იყო დაშორებული, მეორე იმიტომ, რომ მათ ისედაც საკმარისი მიწები ჰქონდათ მდ. მაჭის წყალს აღმოსავლეთით. ყოველივე ამის გამო, კომისიამ არასაკმარისად ჩათვალა ის ფაქტები, რომლებიც ქარელებს მოჰყავდათ თავიანთი უფლებების დასამტკიცებლად მდინარეებს ბელაქნის წყალსა და კართუბანს შორის მდებარე მიწებზე, და ქარელთა ამ პრეტენზიას შემდგომი მსვლელობა არ მისცა – საზღვრად ისევ მაჭის-წყალი მიიჩნია⁹⁶. სრულიად უსაფუძვლო იყო ლეკთა მისწრაფება დაემტკიცებინათ თავიანთი უფლებები არა მარტო მიწების ამ ნაწილზე, არამედ საერთოდ მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი მაჭის წყალს აღმოსავლეთით ფლობდნენ. „ძველად ეს ადგილები (საუბარია ქარის, ჯინიხის, თალას და ბელაქნის ხეობებზე) სულ კახეთის სამეფოს ნაწილები“ იყო⁹⁷. აკად. ი. ა. გიულ-

⁹³ ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 98.

⁹⁴ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 13, ფურც. 63.

⁹⁵ იქვე, ფურც. 64.

⁹⁶ იქვე, ფურც. 64-65.

⁹⁷ ლ. მელიქსედ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

დენშტედტის გადმოცემითაც მთელი ქარის პროვინცია (თებელის პროვინციასთან ერთად) წინათ კახეთის მეფეების კუთვნილებას შეადგენდა და აქაური მცხოვრებნი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ (Dieser distrikt (საუბარია ქარის პროვინციაზე – თ. პ.) stand mit Tebel vordem unter den Kachetischen Zaaren und war christlich)⁹⁸. ლეკთა „კახეთის მინაში დასახლება და დაშენება“ მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი აშლილობისა და მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო. მე-19 საუკუნეში, მართალია, რუსეთის ცარიზმმა და 1869 წელს ჩამოყალიბებულმა ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ ცნო ქარ-ბელაქნელ ლეკთა მემამულეობა და ისინი ამ მინა-წყლის კანონიერ მფლობელებად აღიარა (გამოდოდა რა რუსეთის სახელმწიფოს გარკვეული პოლიტიკური ინტერესებიდან), მაგრამ თვით ამ კომისიის მასალებში მრავლად მოიპოვება ისეთი ფაქტები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ, რომ მთელი ეს მინა-წყალი შეადგენდა კახეთის სამეფოს კუთვნილებას. ქარის თემის ზოგიერთი რწმუნებული პირდაპირ უცხადებდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს, რომ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ლეკთა უმრავლესობა თავიანთ წინაპრებად ავარიელ ლეკებს კი არ თვლიან, არამედ ქართველებს, რომ ისინი ქართველებისაგან არიან წარმოშობილნი, იმ ქართველებისაგან, რომელნიც ამ მხარის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ⁹⁹. მკვლევართათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ქართული წარმოშობის სახელები ამოიკითხოს. ასეთებია მაგალითად: ვერხვიანი, მოსული, მუხახი, კატეხი, მანეხი, ნილუბან (შდრ. ვახუშტის „წინ-უბანი“). ბელაქნის მიდამოებში: წერეთლის წყალი, წერეთლის ტახტი და სხვ. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა დაცული, საიდანაც ჩანს, რომ ეს მხარე საქართველოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა და მის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

პირველი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც მაჭის-წყლის აღმოსავლეთით მდებარეობს, ეს არის ბელაქანი. ბელაქანზე გადიოდა გზა, რომლითაც საქართველო დაღესტანს უკავშირდებოდა. „ბელაქნის გზის“ არსებობის შესახებ ცნობა დაცული აქვს ჟამთააღმწერელს. იგი წერს: „ხოლო თათართა... განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა, შევიდეს ღუნძეთს“¹⁰⁰. ე. ი. ბელაქნის გზა უშუალოდ შუა დაღესტანში, ხუნზახში შედიოდა. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე“¹⁰¹. XIII საუკუნის დასასრულს ბელაქანში საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლის-ძე. იგივე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ბრწყინავდა პიმენ სალოსი, რომელი გარეჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმენ, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან – მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინავდა

⁹⁸ J. A. Güldenstädt, დასახ. ნაშრომი, გვ. 489.

⁹⁹ მ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ქარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 508.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 252.

¹⁰¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 11.

დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი ნაობრებლისძე, ნათესავით მესხი¹⁰². ქალაქი ბელაქანი განსაკუთრებით დანიშნურდა XIII-XIV საუკუნეებში. ჟამთააღმწერლის ცნობით, დემეტრე II თავდადებულის (1270-1289) ხანაში, 1278 წლიდან ბელაქანს ფლობდა ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი: „რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყაენმან. და იურვა მეფის დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი“¹⁰³. 1604 წელს დედოფალმა თინათინმა შუამთის მონასტერს ბელაქნის მცხოვრებთაგან შესწირა „ექვსი კომლი ურია და ორი კომლი ქართველი“¹⁰⁴.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ბელაქნის ზევით მდებარე ერთ-ერთი მთის სერის სახელწოდება „წერეთლიანთ ტახტი“. უეჭველია, იგი უნდა მიგვანიშნებდეს ამ მიწა-წყლის წერეთელთადმი კუთვნილებაზე. ვინაიდან ამ ტოპონიმში ტახტიც გვაქვს დადასტურებული, ეს უნდა მიუთითებდეს წერეთლიანთ რეზიდენციაზე, რომელიც, როგორც ჩანს, წარჩინებულთა ფენის წარმომადგენელი ყოფილან გარკვეულ დროს. ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დაცული გადმოცემის მიხედვით, წერეთლების გვარი, როდესაც ამ მხარეში ქრისტიანობამ შესუსტება იწყო, აქედან აყრილა და იმერეთში გადასახლებულა¹⁰⁵. ვახუშტი კაკისა და ელისენის აღწერაში ასახელებს ციხე მაკაბელს, რომელსაც, მისივე, ცნობით თავდაპირველად ნოხპატი ეწოდებოდა. კახეთის, კუხეთის და ჰერეთის რუკაზე ციხე მაკაბელი მას ნაჩვენები აქვს მდ. ბელაქნის წყლის აუზში.

VIII საუკუნის შუა ხანებში კახეთის სამთავროში წარმოიქმნა და დანიშნურდა ახალი ქალაქი – ნუხპატი (ნოპატა, ნოხპატი). მის დაარსებას წერილობითი წყაროები არჩილ მეფის (VIII ს. 30-50-იანი წლები) სახელს უკავშირებენ. ნუხპატის, როგორც ახალი ქალაქის, წარმოქმნა-დანიშნურება მთლიანად უკავშირდება იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში განიცდიდა კახეთის სამთავრო. ეს ის ხანაა, როდესაც საერთოდ საქართველოში და კერძოდ კახეთში, ადგილი აქვს ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განმტკიცებას. აღებულ პერიოდში კახეთის ფეოდალთა კლასმა უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამ დროისათვის აქ უკვე საფუძველი ეყრება მომავალი კახეთის სამეფოს („რანთა და კახთა სამეფო“) სახელმწიფოებრიობას. უკვე ამკარად და ნათლად ჩანს რანთა და კახთა სამეფოს, როგორც დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულის კონტურები. VIII ს-ის 30-50 წლებში კახეთის მთავრის არჩილის ხელისუფლება, საკუთრივ კახეთის გარდა, ვრცელდებოდა კუხეთზე, ჰერეთზე, ნუქეთსა და შაქზეც. გარდა ამისა, არჩილის სამფლობელოს გავლენის ზონაში მოქცეული იყო დაღესტნის ზოგიერთი თემიც – ხუნზახი, რომელიც არჩილის ვასალის აბუხუასროს საერისთავოში შედიოდა. ახალი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას ყოველთვის თან სდევდა ხოლმე რომელიმე პუნქტის დანიშნურება, რომელსაც ამ ქვეყნის მესვეურნი გარკვეული ამოცანის შესრულებას აკისრებდნენ, სწორედ ასეთ ისტორიულ ვითარებაში წარმოიქმნა ციხე-ქალაქი ნუხპატი.

¹⁰² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

¹⁰³ იქვე, გვ. 272.

¹⁰⁴ დ. პურცელაძე, *Грузинские церковные гуджари (грамоти)*, Тифлис, 1881, стр. 86.

¹⁰⁵ დ. ჯანაშვილი, *ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა*, „მოგზაური“, 1901, №6-7, გვ. 562.

ჯუანშერის თხზულებაში ჩართული VIII ს-ის ანონიმური მატრიანის მიხედვით, არჩილი ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივ მშენებლობას აწარმოებს კახეთის სამთავროში. ანონიმი მემატრიანის მოთხრობით, ამ პერიოდში, არჩილს ერთობ აქტიური და ენერგიული საქმიანობა გაუჩალებია: „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი, ალაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა“¹⁰⁶. ვახუშტი საძმორთან დაკავშირებით კიდევ გვანვდის დამატებით ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ არჩილს აქ, ეკლესიის გარდა, ციხეც აუშენებია: „ამან მეფემანვე (არჩილმა – თ. პ.) ალაშენა საძმორის ციხე და ეკლესია“¹⁰⁷. ეს საძმორი, ვახუშტის ჩვენებით, ალაზნის გაღმა მხარეში მდებარეობდა: ალაზნის შენაკად მანის-წყლის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში¹⁰⁸.

არჩილის მოღვაწეობის მომდევნო ეტაპის შესახებაც საინტერესო ფაქტებს გვანვდის იგივე VIII ს-ის ანონიმი ისტორიკოსი, რომელიც, როგორც ჩანს, მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხვედური უნდა იყოს. და აი, მისი გადმოცემით, არჩილი „დაჯდა წუქეთს, და ალაშენა კასრი, და ხევსა ლაკუ-ასტისასა ალაშენა ციხე, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მამინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და ალაშენა ციხე-ქალაქი ერთი წუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო წუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი..., არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლა არჩილ იგინი“¹⁰⁹.

წუქეთი პერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ თემს წარმოადგენდა. ამავე ცნობიდან ცხადი ხდება, რომ წუქეთის მთავრის სამფლობელო მოიცავდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს (ხუნზახს). გეოგრაფიული პუნქტი კასრი ლოკალიზდება თანამედროვე კახის რაიონში. კერძოდ, იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ-დასავლეთით. აქ, მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულო მთაზე, დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს. არჩილის მიერ ლაკუასტის ხევში აშენებული ციხე უნდა იყოს იგივე ციხე ლაკვათისა, რომელსაც გვიან ლაგოეთი resp. ლაგოდები ეწოდა. ვახუშტის აღწერით, ლაკვათის ციხე მდებარეობდა მანის-წყლის ჩრდილოეთით ერთ-ერთ ველზე: „მანის-წყლის ჩრდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრანაყალისა და აწ უქმი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა, მდ მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული“¹¹⁰. ზემომოტანილი ცნობიდანვე ირკვევა, რომ წუქეთში ყოფილა არჩილის ვასალის, ერისთავ აბუხუასროს რეზიდენცია. არჩილის დროინდელ კახეთის სამთავროს ამ

¹⁰⁶ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 243.

¹⁰⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 544.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 543-544.

¹⁰⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243-244.

¹¹⁰ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 543-544.

საერისთავოში, როგორც ვხედავთ, თუშების გარდა მოქცეულნი ყოფილან აგრეთვე ნაწილობრივ იმიერკავკასიის მთიელებიც, კერძოდ, ხუნზები (თანამედროვე ავარიელები). არჩილსავე მიაწერს ეს წყარო ციხე-ქალაქ ნუხპატის აშენებას და აქაური მოსახლეობის – ნუხპატელების გაქრისტიანებას.

ციხე-ქალაქ ნუხპატის ადგილმდებარეობა ზუსტად არ არის მიგნებული. ნუხპატმა იმდროინდელ კახეთის სამთავროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი ნეკრესის როლისა, და ამიტომაც რომ მისი ლოკალიზაციის საკითხი მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს: საკითხს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1849 წელს მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია ჯუნანშერის ქრონიკის ტექსტში მოხსენიებულ ნოპატა-ნუხპატოს და აღნიშნა, რომ ეს ის ქვეყანა უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტის მიხედვით „ნოხპატო“ ეწოდებაო. მან ვახუშტის გეოგრაფიის მონაცემების გამოყენებით კიდევაც განსაზღვრა ნუხპატის ადგილმდებარეობა. მ. ბროსეს აზრით, ნუხპატი მდებარეობს ბელაქნის ზონაში, რომელიც ლეკეთის (Lezgistan) ნაწილს შეადგენსო¹¹¹. 1904 წელს ვახუშტის გეოგრაფიის გამომცემელი მ. ჯანაშვილი ნუხპატს აწინდელ ნუხთან აიგივებდა და მას მდ. გიშისწყალზე ათავსებდა ქალაქ შაქის ადგილზე¹¹². ს. კაკაბაძის შეხედულებით, ნუხპატი ნუხის მხარეში მდებარეობს და ნუხპატი იგივე შაქია. იგი სრული დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ჰერეთის ბაგრატიონთა რეზიდენციას შაქის resp. შაქის ოლქს, ძველად ნუხპატი ეწოდებოდა, რომელიც თანამედროვე ნუხის მხარეში მდებარეობსო¹¹³.

ვ. მინორსკის ნუხპატის ისტორია საგანგებოდ არ უკვლევია, მაგრამ სავსებით გარკვევით ჩანს, რომ მას თავის შრომებში არსად არ წამოუყენებია ნუხპატისა და თანამედროვე ქალაქ ნუხის იდენტიფიკაციის საკითხი. სამაგიეროდ, იგი ერთობ დანვრილებით ეხება ძველი ქალაქის შექმნის ისტორიას და აღნიშნავს, რომ დღეისათვის უკვე გამქრალი უძველესი ქალაქი შექი მდებარეობდა თანამედროვე ქალაქ ნუხას resp. ნუხის ადგილზე (მდ. გიშისწყალზე), დღევანდელი პატარა სოფლის შეკილის მახლობლად. ამიტომაცაა, რომ იგი ყველგან, სადაც კი შექის ისტორიაზე საუბრობს, იქვე სპეციალურად მიუთითებს იმის თაობაზე, რომ შექი მდებარეობდა დღევანდელ ნუხასთან (Nukhi, in Shakki)¹¹⁴.

პ. ინგოროყვას შეხედულებით, ნუხპატი დღევანდელი ქ. ნუხის ადგილზე მდებარეობდა და, რომ ნუხპატის თემი არის იგივე შაქის თემი და მის მიერ შედგენილ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე ნუხპატი შაქის ადგილზეა ლოკალიზებული¹¹⁵.

¹¹¹ M. Brosset, *Historic de la Georgie*, I, S.-Petersburg, 1849, გვ. 201, სქოლიო 1, გვ. 250, სქოლიო 1.

¹¹² ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც. თბ., 1904, გვ. 150, შენ. 274, გვ. 147, შენ. 262.

¹¹³ ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ეფესბისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 280, 290, 295.

¹¹⁴ V. Minorsky, *Sheki*, „Ensyklopaedie der Islam“, Laipzig, 1927, გვ. 372-374; მისივე, *Hudud al-alam, the regions of the world, a Persian geography 372 A. H – 982 A. D.* Translated and explained by V. Minorsky, London, 1937, გვ. 398-400, 500. ol.

¹¹⁵ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 883; იხ. აგრეთვე აქვე დართული რუკა: ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავო (1192/3 წლიდან 1250 წლამდე).

ერთგან იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „არჩილი გადადის კახეთში და თავის გავლენას ავრცელებს მთელ კახეთ-ჰერეთზე, ვიდრე შაქის (ნუხის) თემამდე... ნუხპატოში არჩილ აშენებს ციხე-ქალაქს, ჰერეთის სანაპიროს შემომტკიცების მიზნით, არჩილი ავრცელებს ქრისტიანობას ნუხპატის (ნუხის) თემში“¹¹⁶.

ივ. ჯავახიშვილი, ვახუშტის გეოგრაფიაზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ „ნოჰპატო ეხლანდელს საინგილოში ყოფილა“-ო¹¹⁷. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, ნუხპატ-ნუხის იდენტურობის მომხრე იყო¹¹⁸.

ნუხპატ-ნუხის იდენტურობის თეორიას ავითარებს აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი. ეს უკანასკნელი, როდესაც იხილავს VI ს-ის პირველ ნლებში, დაჩი უჯარმელის დროს, მომხდარ ნუხპატელთა (ნოპატელთა) აჯანყების ამბავს, იქვე აღნიშნავს, რომ ნუხპატელნი იყვნენ აწინდელი ნუხის რაიონის მცხოვრებნიო. ხოლო შემდეგ, როდესაც მკვლევარი გადადის არჩილის ნუქეთში საქმიანობის დახასიათებაზე, ამბობს, რომ არჩილმა აღაშენა ციხე-ქალაქი ნუხი (გულისხმობს ნუხპატს – თ. პ.) ცოტა უფრო ქვემოთ კი, ამკარა ხდება, რომ გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეს ნუხპატი – ნუხი არის იგივე შაქი¹¹⁹. სომეხი მკვლევრის, ს. ერემიანის აზრით, ქართულ წყაროში მოხსენიებული ნუხპატი არის იგივე ქალაქი შაქი, დღევანდელი ნუხა¹²⁰. დ. მუსხელიშვილი ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ნუხი-ნუხპატის იგივეობის საკითხს. ნუხპატზე საუბრისას, იგი იქვე დასძენს ხოლმე: „თუკი ნოპატი და ნუხპატი იგივე დღევანდელი ნუხია, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენო“¹²¹. ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები, რომლებზედაც ნუხპატი, ჩვეულებრივ, ჰერეთის განაპირა, უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნუხა-შაქის მხარეშია მოთავსებული, შაქის ადგილას¹²².

ამრიგად, როგორც ვნახეთ, საკითხით დაინტერესებულ პირთა უმრავლესობა ნუხპატს ნუხა-შაქის მხარეში იგულებს და მას შაქთან აიგივებს. ამ მხრივ გამოწვევის მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი წარმოადგენენ, რომელთაც მოგვცეს საძიებელი ქალაქის ზოგადი ლოკალიზაცია. ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართ ნუხპატის ადგილმდებარეობის საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდიათ და ამიტომ მათ არც უცდიათ თავიანთი დებულების მეცნიერული დასაბუთება. სახელდობრ, მათ არ მოუციათ თვით ტოპონიმ „ნუხპატის“ ლინგვისტური ანალიზი, აღნიშნული ტოპონიმის სემანტიკის დადგენისას არ ჩაუტარებიათ მისი ლექსიკურ-გრამატიკული ანალიზი და დასკვნების გამოტანისას, როგორც ჩანს, უმთავრესად ეყრდნობოდნენ ტოპონიმების (ნუხპატი-ნუხა) ბგერობრივი შემადგენლობის მსგავსებას. ჩვენი აზრით, არ შეიძლება პარალელის გავლება უძველეს ტოპონიმ

¹¹⁶ პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 145.

¹¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1948, გვ. 39.

¹¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1965, გვ. 254.

¹¹⁹ Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 18.

¹²⁰ С. Т. Еремян, Армения по "Ашхарацуиц"-у (Армянской географии VII века). Опыт реконструкции Армянской карты VII века на современной картографической основе. Издательство А. Н. Армянской ССР, Ереван, 1963, გვ. 105 (სომხურ ენაზე).

¹²¹ დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 75-93.

¹²² საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964; იხ. ისტორიული რუკები: საქართველო IX-X სს. საქართველოს სახელმწიფო XIII ს-ის დამდეგს.

„ნუხპატსა“ და ერთობ გვიანდელ ხანაში წარმოქმნილ ტოპონიმ „ნუხა-ნუხს“ შორის. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ტოპონიმი „ნუხა“ პირველად ჩნდება XVIII ს-ში, როდესაც ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა ნადირ-შაჰის შემოსევებს (1730-1740 წწ.). ამ პერიოდში იგი წარმოადგენდა პატარა სოფელს, რომელიც იხსენიება „სულტან-ნუხის“ სახელწოდებით. ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ.) კი იგი ხდება ახლად წარმოქმნილი ნუხის (შექის) სახანოს მთავარი ქალაქი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხის უფრო ნათლად გასარკვევად უნდა მივმართოთ უშუალოდ წყაროთა ჩვენებებს, უპირველეს ყოვლისა VIII საუკუნის ანონიმურ მატიანეს, ხოლო შემდეგ კი ვახუშტის.

ჯუანშერის თხზულებაში ჩართული ანონიმური მატიანის ავტორი ორჯერ ლაპარაკობს ნუხპატსა და ნუხპატელებზე. პირველად ნუხპატელებს იგი იხსენიებს ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის, დაჩის მეფობის აღწერისას. იგი მოგვითხრობს: „ამანვე მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტიე, ხოლო მათ არ ინებეს და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“¹²³. როგორც ვხედავთ, აქ ნუხპატელნი „კახეთის მთეულებად“ არიან წარმოდგენილნი. „კახეთის მთეულეთი“ კი საკმაოდ ფართო ცნებაა და ამიტომ ეს ჩვენება არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას ნუხპატელთა განსახლების ტერიტორიის დასადგენად. მატიანის მეორე ჩვენება მოთავსებულია მისი თხზულების იმ ადგილას, სადაც აღწერილია არჩილის საქმიანობა შერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, ნუქეთში. ამ ცნობაში ჩამოთვლილია არჩილის მიერ დაარსებული თუ აშენებული პუნქტები, მათ შორის ნუხპატიც. ერთხელ კიდევ მოვიტანოთ მატიანის ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილი: არჩილი „დაჯდა ნუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხეესა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე, და პოვნა ნუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა ნუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან ნალებად ნუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა“¹²⁴. მოტანილი ამონაწერიდან, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მემატიანის მიერ ჩამოთვლილი პუნქტები ყველა ნუქეთის ტერიტორიაზე უნდა ვიგულოთ. და თუ ამ ტექსტს ასე გავიგებდით, მაშინ ერთგვარად მივაგნებდით კიდევ იმ რაიონს, სადაც საძიებელი ქალაქი უნდა არსებულებოდა. მაგრამ, სამნუხაროდ, ეს ასე არ არის. მემატიანის გამოთქმა „დაჯდა ნუქეთს“ ისე არ უნდა აღვიქვათ, რომ თითქოს არჩილის საქმიანობა ნუქეთის ტერიტორიულ ფარგლებს არ სცილდებოდა. აქ ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნუქეთში არჩილს რეზიდენცია ჰქონდა (შეიძლება იგი გიშში იჯდა), ხოლო მისი ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ნუქეთის გარდა, წარმოებდა შერეთის სხვა კუთხეებშიაც. ეს რომ ასეა, კარგად მტკიცდება ამავე ცნობაში მოხსენებული ლაკუასტის ციხის მაგალითიდან. ლაკუასტის resp. ლაკუათის (ლაგოდუხი) ციხე ნუქეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა, იგი მდებარეობს მისგან საკმაოდ მოშორებით, მანის-წყლის ჩრდილო-დასავლეთით¹²⁵. ასე რომ, მემატიანის ამ ჩვე-

¹²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 205.

¹²⁴ იქვე, გვ. 243-244.

¹²⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 543-544.

ნების მიხედვითაც, ჩვენ ვერ დავადგენთ ნუხპატის ადგილმდებარეობას. გამოუყენებელი გერჩება ამჟერად ტექსტში დაცული ისეთი ტოპოგრაფიული ხასიათის ჩვენებაც, როგორცაა ნუხპატის მდებარეობა „ორთა წყალთა შუა“. სამწუხაროდ, მემატინანე არ იძლევა ამ „ორი წყლის“ სახელწოდებებს. სამაგიეროდ იმავე ჯუანშერის თხზულებაში შემონახულია ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც ყოველგვარ საფუძველს აცლის იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელნიც აღიარებენ ნუხპატ-შაქის (ნუხის) იგივეობას. ანონიმი ისტორიკოსი გვაუწყებს: „ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად (შაქი – თ. პ.)... და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა¹²⁶. აღნიშნული ცნობა უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოტანილ ჯუანშერის ქრონიკის ტექსტს, სადაც ნუხპატის დაარსებაზეა საუბარი და წარმოადგენს არჩილის კახეთ-ჰერეთში საქმიანობის შემცველი თხრობის ბუნებრივ გაგრძელებას. და აი, ამ ცნობიდან სავსებით აშკარა ხდება, რომ ნუხპატი და შაქი resp. შაკიხი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტებია და, რომ მათი ერთმანეთში გაიგივება არ შეიძლება. ამ ცნობის სინამდვილეში ეჭვს ვერ შევიტანთ. ჯუანშერის წყარო ავთენტური ხასიათისაა. კერძოდ, როგორც ზემოთ არაერთხელ მივუთითეთ, ჯუანშერის ტექსტის იმ ნაწილში, სადაც არჩილის კახეთ-ჰერეთში საქმიანობაა აღწერილი, VIII საუკუნის თანამედროვე წყაროა დაცული. ანონიმი მემატინანე, რომელიც აღწერილი ამბების „თვითმხილველი და თანადამხვდური“ იყო, კარგად ერკვევა არჩილის მრავალმხრივი საქმიანობის ყველა დეტალში. მან კარგად იცის მისი სამოღვაწეო ასპარეზის გეოგრაფიული არე; იგი დანვრილებით გვაუწყებს არჩილის მიერ აგებული ციხეების და ახლად დაარსებული ქალაქების ამბავს. მემატინანე ჩერდება ყველა იმ ღონისძიების აღწერაზე, რომლებიც გაატარა არჩილმა აღნიშნულ მხარეში და მათ შორის გადმოგვცემს იმასაც, თუ როგორ დაემკვიდრნენ, არჩილისავე ბრძანებით, შაქში ტარონიდან მოსული „ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი“... არჩილის მიერ ადარნასე „ბრმის“ ძმისწულებისათვის მიჩენილი ადგილსამყოფელი პუნქტი შაქი და არჩილის მიერვე დაარსებული ახალი ქალაქი ნუხპატი იდენტური გეოგრაფიული ცნებები რომ ყოფილიყო, ამის აღნიშვნა მხედველობიდან არ გამორჩებოდა ისეთ კარგად გათვითცნობიერებულ მემატინანეს, როგორსაც ჩვენი ანონიმი ავტორი წარმოადგენს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ: ის ამბავი, რომ არჩილის თანამედროვე საისტორიო წყარო ნუხპატის პარალელურად სრულიად დამოუკიდებლად შაქსაც ასახელებს, ცხადია, ეს უკვე მათს ერთსა და იგივეობაზე არ მიუთითებს. ამის შემდეგ ისევ შევუდგეთ ნუხპატის ადგილმდებარეობის განსაზღვრას და დაეინყოთ ვახუშტის გეოგრაფიის მონაცემების მოტანა.

ვახუშტის მოცემული აქვს მკაფიო და ნათელი ტოპოგრაფიული აღწერილობა იმ ადგილისა, სადაც აგებული იყო ციხე-ქალაქი ნუხპატი. კაკ-ელისენის აღწერაში ვკითხულობთ: „ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კაკკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატი, აქ აღაშენა მდ მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო, და არს ანცა. ამ წყალს ამ ციხესთან მოერთვის სხვა ხევი, აგრეთვე გამომდინარე და მომდინარე და არს

¹²⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

ადგილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა ჟამთა დაეშენნეს ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ, და აწ. ოხერ არს“¹²⁷. აღნიშნულ ტოპოგრაფიულ ცნობებს თუ ჩავეუკვირდებით, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ: ქალაქი ნუხპატი გაშენებული ყოფილა მდ. ბელაქნის-წყლის აუზში, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთი განშტოების სამხრეთ ფუძეზე. ამგვარადვეა ნაჩვენები მაკაბელის resp. ნოხპატოს გეოგრაფიული მდებარეობა ვახუშტისეულ კახეთის რუკაზედაც: ბელაქნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ბელაქნის-წყლის შუა დინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე; ბელაქნის წყალს, იმ ადგილზე, საცა ციხე-ქალაქია გაშენებული, ერთვის სხვა მდინარე, ისე, რომ ქალაქის ტერიტორია, ჯუანშერის წყაროს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მოქცეულია „ორთა წყალთა შუა“¹²⁸. რა მოსაზრებით აწ რა საბუთებით ხელმძღვანელობდა ვახუშტი ნუხპატის ასეთი ლოკალიზაციისათვის, არ ჩანს. ვახუშტი რომ კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ჯუანშერის ქრონიკის ტექსტს, ეს აშკარად ჩანს მისი საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილიდან. ამ ნაშრომში, დაჩისა და არჩილის მეფობის ისტორიის გადმოცემისას, ვახუშტი ნუხპატელებსაც ეხება. მათ შესახებ მოტანილი ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ჯუანშერის (თუ მისი წყაროს) ჩვენებებს¹²⁹. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ჩვენებების საშუალებით ნუხპატის ადგილმდებარეობის გარკვევა შეუძლებელია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ, რადგანაც ვახუშტიმ თავის გეოგრაფიულ თხზულებაში ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხი საგანგებო კვლევის საგნად აქცია, უეჭველია მას საამისოდ მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი ცნობები გააჩნდა, იგი ჩვენზე უფრო მეტი საბუთებით სარგებლობდა და მართო „ქართლის ცხოვრებიდან“ არ ამოდიოდა. შესაძლებელია, ისიც, რომ ვახუშტისდროინდელ ქართულ საისტორიო წრეებში არსებობდა ზეპირი თუ წერილობითი ტრადიცია, რომელითაც ნუხპატი ბელაქნისწყლის აუზში იყო ლოკალიზებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ვახუშტი ვერ შეძლებდა მოეცა ჩვენთვის ნუხპატის ადგილმდებარეობის ასეთი ნიშანდობლივი და რელიეფური განსაზღვრა. ვახუშტი საგრძნობლად ავსებს და ამდიდრებს ჯუანშერის ქრონიკის ძუნწ ჩვენებებს. ნუხპატის შესახებ ვახუშტის მიერ მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს გეოგრაფიული მასალისა და წმინდა ისტორიული ხასიათის ფაქტების ღრმა ცოდნა. ყოველივე ეს კი იმას გვიკარნახებს, რომ ვახუშტის შეხედულება ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხში ნდობის ღირსად უნდა ჩაითვალოს.

ნუხპატის ადგილმდებარეობის დადგენაში დიდად გვშეუღებოდა აგრეთვე ვახუშტის მიერ დამონშემებული გვიანდელი ხანის ზოგიერთი ისტორიული რეალია. ასეთია მაგალითად, მისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ ნუხპატის ყოფილ ტერიტორიაზე და მის მიდამოებში „აწინდელთა ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ, და აწ ოხერ არს“¹³⁰. ვახუშტის აქ მხედველობაში აქვს XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში მომხდარი ცნობილი ისტორიული მოვლენა, როდესაც

¹²⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 540-541.

¹²⁸ Description géographique de la Georgie, par le Tsarewitch Wakhucht, Publ, par M. Brosset - Petersburg, 1842, იხ. კახეთის რუკა.

¹²⁹ ვახუშტი, აღწერა, გვ. 115, 126.

¹³⁰ იქვე, გვ. 541.

კაკ-ელისენის მთის ძირებში თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ლეკთა „უბატონო თემები“: ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის, რომელთაც აღმოსავლეთ კახეთის საკმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს¹³¹. უფრო გვიან (XVIII ს-ის I მეოთხედი) აღნიშნული „უბატონო თემები“ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად გაფორმდნენ და მთელი ტერიტორიაც ნათლად გამოიკვეთა. XVIII ს-ში შედგენილ ჭარის ომების ქრონიკაში დაცულია თურქეთის სულთნის ახმედის მიერ 1727 წელს გაცემული ფირმანი; ამ ფირმანით, თურქეთის მთავრობა ჭარელებს მათ მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მიწების კანონიერ მფლობელებად აღიარებდა. ამ ფირმანში აღნიშნული იყო, რომ მიწები, მდებარე კავკასიის მთავარ ქედს, მდ. ყაფუ-ჩაისა და კარტუბან-ჩაის (გავაზის წყალი – თ. პ.) შუა, უმტკიცდება ჭარის და თალას ალაღარებს მათს სამუდამო მფლობელობაში¹³²; ე. ი. ჭარელთა სამფლობელოს ქვეშ იგულისხმებოდა ალაზნის გაღმა მხარის ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა გავაზის წყალსა და ყაფუ-ჩაის შორის. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვახუშტის ზემორე მითითებულ ჩვენებიდანაც საკმაოდ გარკვეულობით ცხადი ხდება იმ რაიონის ტერიტორიული ფარგლები, რომელშიც ნუხპატი მდებარეობდა. იგივე ჩვენება მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნუხპატი ნუქეთის ტერიტორიაზე არ არის საძიებელი. ნუქეთი (მერმინდელი ელისუს სასულთნო), როგორც ეს ზემოთ გვაქვს ნაჩვენები, მდებარეობდა მდ. ყაფუჩაის აღმოსავლეთით და ვრცელდებოდა ვიდრე ყანისობამდე. ნუხპატისა და მისი მიდამოების საბოლოო მოოხრებას ვახუშტი უკავშირებს ნადირ-შაჰის ლაშქრობებს. ზემო ხსენებული ჭარის ომების ქრონიკის ავტორის მიხედვით, ეს არის 1735-1741 წლები, როდესაც ნადირ-შაჰმა ჭარელთა შესამუსრავად ყიზილბაშთა დიდი არმია მოაგვლინა. ყიზილბაშებმა საშინლად ააოხრეს ჭარელთა სოფლები და არტილერიის დახმარებით სულ ერთიანად დაანგრიეს აქაური ციხეები¹³³.

ამრიგად, ჩვენი დასკვნა, ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე, შემდეგი იქნება: ნუხპატი არ მდებარეობდა ნუქეთის ტერიტორიაზე: არ არსებობს არავითარი საფუძველი ნუხპატისა და შაქის (ანინდელი ნუხის) ერთმანეთში გაიგივებისათვის, ისინი სრულიად სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტები არიან; მისაღებია ნუხპატის ვახუშტისეული ლოკალიზაცია: მდ. ბელაქნის წყლის აუზში, მის შუა დინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე. არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე, საველე ისტორიულ-გეოგრაფიულ და არქეოლოგიური ძიების გარეშე, ჯერჯერობით სხვანაირი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. გადავიდეთ ციხე-ქალაქ ნუხპატის რეალური პრაქტიკული ფუნქციის განხილვაზე და გავითვალისწინოთ მისი ისტორიული განვითარების გზები.

ახალი ქალაქისათვის გარკვეული პუნქტის შერჩევისას არჩილ მეფისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რა თქმა უნდა, იმ ამოცანას, რომელსაც ის თავის ნაგებობას აკისრებდა. ეს ამოცანა სავსებით მკაფიოდ არის აღნიშნული არჩილის თანამედროვე მემატიანის (რომლის თხზულებაც ექსცერპტის სახით ჩარ-

¹³¹ თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი (ისტორიული ნარკვევი), თბ., 1972, გვ. 15.

¹³² Хроника войн Джара в XVIII столетии. Изд. АЗ ГНИИ, Баку, 1931, стр. 13.

¹³³ იქვე, გვ. 20-36.

თულია ჯუანშერის ქრონიკაში) მიერ. ციხე-ქალაქ ნუხპატის აშენების ისტორიას აღნიშნული მემატიაზე მოკლედ, მაგრამ ძალზე მრავალმნიშვნელოვნად, ასე მოგვითხრობს: არჩილმა „ალაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის – ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“¹³⁴. ვახუშტის გადმოცემით, არჩილს ნუხპატში, ციხესთან ერთად, ეკლესიაც აუშენებია¹³⁵. მეტად მრავლისმეტყველი ფაქტებია. მემატიაწის ზემოთ მოტანილ სიტყვებში ნათლად შეინიშნება, რომ ნუხპატის გაქალაქებისა და დანიშნულების ერთ-ერთი მთავარი მოტივი პოლიტიკური საკითხია, რომელიც, ერთი შეხედვით, რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული: მთიელი ტომების – ნუხპატელების მოქცევა და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გავრცელება. „პოლიტიკური და უეჭველია, აგრეთვე ეკონომიკური ინტერესები აიძულებს ქართლის მმართველ წრეებს იზრუნონ „მხეცისბუნებიან წარმართების“ „ცივილიზაციის“ შესახებ. გაქრისტიანების გზით, ე. ი. სასურველი მიმართულებით ნორმალიზებული ურთიერთობის კალაპოტში ამ ტომების ჩაყენებისათვის... ხალხი, რომლის „სიმძლავრე“ ადრევე შეუმუსრავს მურვან ყრუს, ინათლება „იძულებით“. ყოველივე ამას თან სდევს ციხე-ქალაქების გაძლიერებული მშენებლობა, რაც, ერთი მხრით, უფრო მტკიცე ორგანიზაციას უქმნის ამ იძულებას, მეორე მხრივ კი – ეკონომიკური ინტერესების ხასიათს ამჟღავნებს“¹³⁶. ნუხპატს ამ როლის შესრულებაში ხელს უწყობდა მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა: იგი მთაში მიმავალ გზაზე იდო: ნუხპატზე გადიოდა გზა, რომლითაც საქართველო დაღესტანს უკავშირდებოდა. ეს იყო ე. წ. „ბელაქნის გზა“, რომელიც მდ. ბელაქნისწყლის ხეობას მიჰყვებოდა და უშუალოდ შუა დაღესტანში, ხუნზახში შედიოდა. ამ გზის არსებობის შესახებ ცნობა დაცული აქვს ჟამთააღმწერელს (XIV ს.). იგი წერს: „თათართა განვლეს... კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა, შევიდეს ღუნძეთს“¹³⁷. ხუნზახთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება – იმდროინდელი კახეთის სამთავროს პოლიტიკურ მესვეურთათვის პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენდა. უკვე ვიცით, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში (VIII ს. 30-50-იანი წწ.) ხუნზები (თანამედროვე ავარიელები, ხუნძები) უშუალოდ შემოდიდოდნენ არჩილის ერთ-ერთი ერისთავის (წუქეთის მთავრის), აბუხუასროს, საგამგეოში და არა მარტო ხუნზები, არამედ „ყოველნი წარმართნი მის მთისათა“¹³⁸. აი, რატომ აქცევდა არჩილ მეფე ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ნუხპატს და რატომ შექმნა მან აქ, მდ. ბელაქნისწყალზე, ძლიერი დასაყრდენი სტრატეგიული ცენტრი. განზრახული პოლიტიკის გასატარებლად არჩილი საჭიროდ თვლიდა მოეხდინა ფიზიკური ძალების ისეთი გამაგრება ნუხპატში, რომ მას თავისუფლად შესძლებოდა თავისი ნება-სურვილი ეკარნახა მთიელი ტომებისათვის. ნუხპატის ასეთი პოლიტიკური (და სტრატეგიულიც) მნიშვნელობა შეგნებული იყო მომდევნო ისტორიული ეპოქებშიც. VIII-XI სს-თა განმავლობაში, როდესაც არსებობს ჯერ დამოუკიდებელი

¹³⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

¹³⁵ ვახუშტი აღწერა, გვ. 540.

¹³⁶ ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 249-250.

¹³⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 252.

¹³⁸ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

კახეთისა და ჰერეთის სამთავრო-სამეფოები, ხოლო შემდეგ კი გაერთიანებული „რანთა და კახთა სამეფო“, ხუნზახი ადმინისტრაციულად უშუალოდ საქართველოში შემოდიოდა, კერძოდ კი, ჰერეთის ქვეყანაში და ექვემდებარებოდა მაჭის ერისთავს. ამას მონაშობს ვახუშტი, რომელიც წერს, რომ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას „მაჭის წყლის ქვევით და ალაზნის აღმოსავლეთით შაკიხითურთ და ხუნზახითურთ“¹³⁹.

მომდევნო ხანაშიც, წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმომადგენელი აქტიურად აგრძელებენ არჩილ მეფის მიერ ჯერ კიდევ VIII ს-ში აღებულ პოლიტიკურ კურსს, მიმართულს დაღესტნის მთიელი ტომების ხუნზების მიმართ. ასე მაგალითად, XII ს-ში, თამარის დროს, ბასილი ეზოსმოდღუარს იმ ხალხთა შორის, რომელნიც თამარის წყალობით „იყვნეს თავისუფლებითსა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“, დასახელებულ ჰყავს „სახლი შარვანშეთი, დარუბანდელთა და ლუნძთა“¹⁴⁰. მთავარი არტერია პოლიტიკური გავლენის გავრცელებისათვის ხუნზახში უნდა ყოფილიყო ნუხპატზე გამავალი ბელაქნის გზა. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაკეზე“¹⁴¹.

XIII ს-ში ნუხპატის მახლობლად მდებარე ბელაქნიდან ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას დაღესტანში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე პიმენ სალოსი. უამთა-ალმწერლის ცნობით, დემეტრე II თავდადებულის მეფობის დროს (1270-1289) ეს პიმენ სალოსი „გარესჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტიანსა“¹⁴². უფრო მეტიც, ჩვენამდე მოუღწევია ერთ მეტად საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ XIV ს-ში, თვით შუა დაღესტანში, ხუნძახში, იჯდა - „ღუძელი კათალიკოზი ოქროპირი“¹⁴³. ქრისტიანობის გავრცელებას, რა თქმა უნდა, თან სდევდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავლენის ზრდა მთიან დაღესტანში.

ნუხპატის ასეთი ურთიერთობა მთის ტომებთან მარტო წმინდა პოლიტიკური ურთიერთობით არ განისაზღვრებოდა, არამედ იგი სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროშიც ვრცელდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ნუხპატს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ნუხპატზე გამავალი ზემოაღნიშნული „ბელაქნის გზა“, ამავე დროს, ალბათ, ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო მაგისტრალს წარმოადგენდა, რომელიც ხუნზახისკენ მიემართებოდა.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს თვით ციხე-ქალაქის სახელწოდება „ნუხპატი“. ფრიად საგულისხმოა, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიის ახსნა შესაძლებელი ხდება ხუნძური ენის ნიადაგზე. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ

¹³⁹ ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

¹⁴⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

¹⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 11.

¹⁴² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

¹⁴³ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 244.

სახელწოდებაში შემონახული უნდა იყოს ხუნძური „ნუხ-ბატ“, რაც „შუა გზას“ ნიშნავს¹⁴⁴. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნუხპატი მართლაც ხუნ-ზახისკენ მიმავალი „ბელაქნის გზის“ სწორედ შუაზე იდო, მაშინ უაღრესად ცხადი გახდება, რომ, თავის დროზე, მოცემულ პუნქტს სრული უფლებით შეეძლო ეტარებინა „ნუხპატის“ („შუა გზის“) სახელწოდება. ხოლო, რაც შეეხება თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიის ახსნისას ხუნძური ენის მონაცემების მოშველიებას, ეს გარემოებაც სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. განსახილველ ეპოქაში (VIII საუკუნე) ხუნზახი ხომ არჩილის სამფლობელოს წარმოადგენდა და თვით ხუნზები მოქცეულნი იყვნენ ქართული ეთნიკური სამყაროს ორბიტაში. ნუხპატის მეშვეობით უნდა შეჭრილიყო ხუნზახში ქართული კულტურის ძლიერი ნაკადი. კულტურული კავშირები კი ქრისტიანობის გავრცელების გზით იბმებოდა. აღნიშნული პროცესის ნივთიერი ნაკვალევია სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ფაქტები, რომ ხუნზახის (თანამედროვე ავარიის) ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების და ეპიგრაფიკის საყურადღებო ძეგლები¹⁴⁵. ეს ძეგლები მისდევენ სწორედ ნუხპატზე გამავალ იმ ბელაქნის გზას, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და ამ გზის არსებობის უტყუარ საბუთებსაც წარმოადგენდნენ.

ბელაქნის აღმოსავლეთით მდებარეობს ორი დიდი სოფელი: მანეხი¹⁴⁶ და კატეხი¹⁴⁷. ისინი ერთმანეთისაგან მდ. კატეხისწყალით (კატეხ-ჩაი) არიან განცალკევებული. კატეხში მამულები ჰქონდა სვეტიცხოველს 1040 წ. ბაგრატ კუროპალატის გუჯრის ნაწყვეტში ნათქვამია, რომ მელიქსედეკ კათალიკოსმა მოიგო „ჰერეთს მონასტერი, დიდითა ძალითა, და ლაგოდები, და ჰერეთსავე, კატეხისა ეკლესია, შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარი ათორმეტი. ესე ყოველი სოფლები, რომელი მან მოიგო, და რომელნი სოფელნი ძველად ქონოდეს სვეტიცხოველსა“¹⁴⁸.

სოფელ მანეხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ე. წ. ზაქათალის „გრძელი კედელი“. ამ განთქმული კედლის ნაწყვეტი სოფელ მანეხის ტერიტორიაზე დღემდე არის შემორჩენილი. აღნიშნულ კედელს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში ყურადღება მიაქცია ა. ხახანაშვილმა. იგი აღნიშნავდა, რომ ზაქათალის მხარეში საკულტო დანიშნულების ძეგლთა გარდა, არქეოლოგიური თვალსაზრისით, გარკვეულ ინტერესს იწვევს ცნობილი კედელი, რომელიც გამოცემის თანახმად, კავკასიონის მთავარი ქედის პარალელურად მიემართებოდა მდ. ყანი-ყობიდან დაწყებული ვიდრე სოფელ კატეხამდე.¹⁴⁹ აღნიშნული კედლის ნაშთები 1901 წელს მოინახულა და აღწერა დ. ჯანაშვილმა (ინგილო). იგი წერს:

¹⁴⁴ ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 190, პუნ. 2.

¹⁴⁵ P. Шмерлинг, Церкви в с. Датуха в Дагестане, ჟურნ. „მაცნე“, თბ., 1968, № 2, გვ. 217; ა. ჩიქობავა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV ს-ის დაღესტნიდან, სსრკ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, თბ., 1940; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945.

¹⁴⁶ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 208, იხ. აგრეთვე J. A. Güldenstädt, Reisen... გვ. 489.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ თ. უორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

¹⁴⁹ A. C. Хаканов, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, стр. 37.

„1865 წელს ამ კედლის ნანყვეტი მოჩანდა სოფელ თალას ბოლოსაც, ხოლო მუხახის ბოლოს მთლად იდგა ერთი ვერსის სიგრძეზედ. მაგრამ ისე კარგად არსად შემონახულა ის, როგორც სოფელ მანეხში. მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში შეადგენდა ახლად დასახლებულ ავარელთათვის ციხე-სიმაგრეს ქართველთა წინააღმდეგ და ამისთვის ლეკები მას თვალის ჩინივით უვლიდნენ. ხოლო ახლა ძირიანად ანგრევენ, რადგან აღარ საჭიროებენ. კოშკი, რომელიც იყო ამ კედელში ჩატანებული თალას ბოლოს, ლეკმა სრულიად დააქცია... ადგილობრივი ადმინისტრაციის დაუდევრობის გამო, მუხახის ბოლოსაც ლეკებმა სრულიად დააქციეს კედელი და გააქრეს მისი ნიშანი. ორ საუენახევრამდე ნაშთი კედლისა ახლაც მოჩანს თვით სოფელ გულლეგის (ვარდიანის) დასავლეთ მხარეს, მდინარის პირზე. მე მინახავს მისი კვალი სოფელ კაკშიაც (კახი). 1859 წლამდე მისი ნაშთი მოჩანდა ნუხის მაზრაში, სოფ. კოხმოხის ბოლოსაც. ან ყოველივე აოხრებულია და გატიალებულია... კედელი აუშენებიათ ქართველთა მეფეებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მე-IV-VII საუკუნემდე. ამ კედლის უკან მთის მხარეს, ხეობაში, თავს იფარავდნენ, გარეშე მტერთაგან, ქართველთა ერი, მეფეები და სასულიერო წოდება“¹⁵⁰.

ეს მატერიალური კულტურის ძეგლი შემდგომში სპეციალურად შეისწავლა ე. პახომოვმა. როგორც ე. პახომოვის მონაცემებიდან ჩანს, კედელი იწყებოდა ბელაქანსა და ზაქათალას შუა მდებარე პუნქტიდან და 30 კმ-ის მანძილზე მიემართებოდა შემდეგი მიმართულებით: კატეხი, მანეხი, თალა, მუხახი, გულლეგი¹⁵¹. ძეგლის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე წერილობითი წყაროების (უმთავრესად არაბული: იბნ-ალ-ფაკიჰი, მასუდი) მოშველიებით, ე. პახომოვი ამ თავდაცვითი დანიშნულების მქონე ნაგებობას V-VII საუკუნეებით ათარილებს და მას მიაკუთვნებს სასანელთა ბატონობის ხანას¹⁵².

სოფელ კატეხიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, მთის ძირას, მდინარე თალა-ჩაის მარჯვენა ნაპირას, მდებარეობს სოფელი ჭარი. ვახუშტის გადმოცემით, ჭარი დაერქვა ძველად ფიფინეთის სახელწოდებით ცნობილ ხეობას. იგი წერს: „კვალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი ფიფინეთისა; გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე ჩრდილოდამ სამხრით. ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდან ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლასა შინა“¹⁵³. ჭარიდან მიემართება პირდაპირი გზა დალესტინსაკენ. მეტად დამახასიათებელია, რომ თვით სიტყვა „ჭარი“ ლეკურ ენაზე ნიშნავს კარს (ჭარი-ჩორი, გამოითქმის ჭარად, ჩარად). ხოლო რაც შეეხება ამავე ცნობაში მოხსენებულ ფიფინეთს, მისი სახელწოდება დღეს შერჩენილი აქვს ერთ-ერთ სახნავ-სათეს მიწდორს, რომელსაც ლეკები „ფიფანს“ უწოდებენ და მდებარეობს

¹⁵⁰ დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა, უფრ. „მოგზაური“, 1901, № 8-9, გვ. 747-748.

¹⁵¹ П. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-88.

¹⁵² იქვე, გვ. 88-90.

¹⁵³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 96.

მდ. თალა-ჩაის მარცხენა ნაპირას, სოფელ თალას მახლობლად. ჭართან სულ ახლოს მდებარეობს და თითქმის მასთან არის შეერთებული სოფელი წილბანი. ამ სოფელს, „წილუბანის“ სახით, იხსენიებს ვახუშტიც¹⁵⁴.

ფიფანში (ზაქათალის რაიონი) არსებობს სამი ძველი ეკლესიის ნანგრევები. ერთი, მთავარი, მდებარეობს მთის ძირში და წარმოადგენს რიყის ქვისაგან ნაგებ ჯვარ-გუმბათოვან მავზოლეუმს. მისი ანალოგები ამიერკავკასიის, მცირე აზიის, ხერსონესის და რავენის ძეგლებთან საშუალებას იძლევა ძველი დათარიღდეს VI-VII სს-ებით. მავზოლეუმის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, დგას მეორე, შედარებით კარგად შენახული, პატარა ეკლესია. როგორც ჩანს, თავდაპირველად იგი ერთნავიანი ეკლესია იყო ნახევარწრიული აბსიდით, ტაძრის გეგმის კომპოზიცია კი სწორკუთხედს წარმოადგენს. ეკლესიის აგება ადრე შუა საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება. VII-VIII სს-ებში მისთვის გაღერა მიუშენებიათ. ზემოთ აღწერილი ტაძრებიდან 3 კმ-ის მანძილზე, მალა მთებში, ტყეში მდებარეობს მესამე ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ცნობილია ბუხოვლის სახელწოდებით. ეკლესია ერთნავიანია ნახევარწრიული აბსიდით, მისი გეგმაც სწორკუთხედიანია, ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, ტაძარს ჰქონდა კრამიტის სახურავი. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი მასალის მონაცემების მიხედვით, ძველი შეიძლება დათარიღდეს VII-VIII საუკუნეებით. ფიფანის ანუ ფიფინეთის ეკლესიები მოხსენიებულია 1310 წ. ქურმუხის მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის ანდერძში. მასში ნათქვამია, რომ სააქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ (XIV ს. I ნახევარი) „მოიხილა... საყდარნი მაჭ-ფიფინეთისანი“-ო¹⁵⁵.

სოფელ კაბიზდარას (ზაქათალის რაიონი) ჩრდილოეთით, მალა მთებში, მდინარეების ქილისაჩაისა და მაუროვჩაის შესართავთან მდებარეობს დანგრეული მცირე მოცულობის ეკლესია. იგი დგას მთის სწორ ფერდობზე, უღრან ტყეში, დაღესტნისკენ მიმავალ ბილიკზე. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანია, კედლები რიყის ქვისაგან არის ნაგები, გადახურულია აგურით, აქვს ცოკოლი.

სოფელ მაზიმგარაის (ბელაქნის რაიონი) თავში, გზის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე დგას ერთდარბაზიანი სამლოცველო (ეგვტერი), აქვს კირქვისაგან შემდგარი ცოკოლი. ხელოვნებამცოდნეები მას V-VI სს-ით ათარიღებენ.

მაღალმთიან სოფელ იუხარი-ჩარდახლარში (ზაქათალის რაიონი) ყურადღებას იქცევს კლდოვანი მთის ხანგილდაგის სამხრეთ ფერდობზე მდებარე ძველი. ეს არის ორი არცთუ ღრმა ნიში ნახევარწრიული თალით. თავისი არქიტექტურული მოდელით იგი კლდეში ნაკვეთ ტაძართა ტიპს მიეკუთვნება¹⁵⁶.

ჭარის სამხრეთით, ალაზნის ველზე მდებარეობდა კახეთის სამეფოს ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი – ქალაქი ბაზარი (ზაგემი). 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების სიიდან გაირკვა, რომ „ბაზარს ოცდაშვიდი კომლი კაცი ვაჭარი სომეხნი და ურიანი“ სვეტიცხოვლის კუთვნილებას შეადგენდნენ¹⁵⁷.

¹⁵⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 208.

¹⁵⁵ A. A. Карахмедова, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-24; დ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 943-945.

¹⁵⁶ A. A. Карахмедова, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-28.

¹⁵⁷ თ. უორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ქ. ბაზარი ხშირად იხსენიება სხვა ქართულ დოკუმენტურ წყაროებშიც. 1579 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შენორული სასახლე, საყდარი და 18 კომლი ურია და სომეხი ბაზარში¹⁵⁸. 1616 წელს თეიმურაზ კახთა მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს, ადრე ნაწყალობე მამულებთან ერთად, სიგელით დაუმტკიცა ბაზარში ებრაელები: იუდა და მოშეგულა¹⁵⁹. 1637 წელს თეიმურაზ კახთა მეფემ ხახულის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა შუამთას მოსახლე ვაჭრების ბაჟი, რაც გრემს, ბაზარს, და სხვაგან ივაჭრონო¹⁶⁰. 1662 წელს იმავე თეიმურაზ კახთა მეფემ უბოძა ენისელთ ნაცვალს ხოსროს ბაზრის ნაცვლობა¹⁶¹.

ქ. ბაზარში ვაჭრების მოხსენიება XIV ს-ის მიწურულს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. სხვა წყაროებიდანაც ცნობილია, რომ ქ. ბაზარი (განსაკუთრებით XVI-XVII სს-ში) მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო პუნქტს წარმოადგენდა¹⁶². ვახუშტის ქ. ბაზარი აღნიშნული აქვს ელისენში შემავალი სოფლების სიაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალაქ ზაგემს აიგივებენ ქართული წყაროების ქ. ბაზართან. ქართული წერილობითი წყაროები არ იცნობენ სახელწოდება „ზაგემს“, ისინი ყველგან მის ნაცვლად „ბაზარს“ აღნიშნავენ. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობები კახეთის ბაზრის შესახებ ერთობ მწირია. ვახუშტი ბაგრატიონი მას მხოლოდ ერთხელ ახსენებს კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის მოკვლასთან დაკავშირებით. იგი გადმოგვცემს: ალექსანდრე კახთა მეფემ „მხიარულმან შემოკრიბნა სპანი და მიეგება ბაზარს მოსრულ კონსტანტინეს“¹⁶³. ქ. ბაზარს იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი. როგორც იგი მოგვითხრობს, აქ შეხვდნენ ერთმანეთს ალექსანდრე II კახთ-ბატონი და მისი ძე კონსტანტინე, სპარსეთიდან დაბრუნებული. იგი წერს: ალექსანდრე „მამინ იდგა გრემს, წარმოვიდა და მოეგება ბაზარს ძესა თქსსა და შეიყარნენ მუნა“¹⁶⁴.

შედარებით ხშირად იხსენიებს ქ. ბაზარს არჩილი თავის თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. პოემის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ამბავი საზარელი და სათქმელად საძნელო და სასმენელად საძაგელი, მეორეს კაენისა და ლამეჭის შვიდგზის გამოვრდომილის კონსტანტინესი, რომელმან ესე ვითარი განზრახვა გულს იდგა და მოკლა ღვთისმოყვარე ხელმწიფე – მამა ალექსანდრე და ძმა თვისი გიორგი. უყურეთ მანქანებასა ბელიარისასა!“, იგი წერს:

¹⁵⁸ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, I წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 36.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 36.

¹⁶⁰ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, თბ., 1913, გვ. 23-25.

¹⁶¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, საბუთი № 515.

¹⁶² Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.), Тб., стр. 27.

¹⁶³ ვახუშტი, აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 582.

¹⁶⁴ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 383.

„რა გრემიდამე ნაბძანდა და ჩაეგება ბაზარსა,
გულმხიარული, შვეებული, თან არ იახლებს მოზარსა:
შვილს ვჰპოვებ მე დაკარგულსა უკვდავებისა მაზარსა!
გამოვბრუნდები ალავერდს და წამოვისხამ მაზარსა!“¹⁶⁵

„კონსტანტინეს თან ხლებოდეს შირვანელნი და ყაჯარი,
ბაზარს იდგა, წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი;
აქათ იმას შეეყარა თვისნი ყმანი, კახთა ჯარი,
შებმულ იყვნენ, მო-ცა-ეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი“¹⁶⁶.

პოემის სხვა ადგილას, სადაც არჩილი საუბრობს გაზაფხულის ნადირობისა და შექცევა-მხიარულობის შესახებ, იგი გადმოგვცემს:

„მცირე ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა,
ჩვენის ბაასის ჯობნაზედ ნუ ჰგონებთ მალ დამაშოთა!
სად მამეცალა სალექსოდ, მიბრძანე ბრძენო ფაშოთა!
კიდევ ბევრს რასმე უამბობ, ხელიდამ არსად უშოთა“¹⁶⁷.

კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე სოფელი ზაგემი (ზაგამი) მოთავსებულია ყოფილი ზაქათალის ოლქის (ისტორიული საინგილო) ტერიტორიულ ფარგლების შიგნით, ქალაქ ზაქათალის სამხრეთით, სოფელ თასმალოს მახლობლად, ხოლო პუნქტი ბაზარი განცალკევებით არის აღნიშნული, ალიაბადის ჩრდილოეთით, სოფელ კუმურის მახლობლად. ქ. ზაგემის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ლ. ჭილაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაახლოებით 7 კმ-ზე ალიაბადის დასავლეთით მდებარეობს მსხვილი ნაქალაქარი, რომელიც იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს ისტორიულ ქალაქ ზაგემთან¹⁶⁸.

XVI-XVII სს-ის უცხოენოვანი წყაროები უხვად შეიცავენ ცნობებს კახეთის ქალაქ ზაგემის შესახებ. იბრაჰიმ ფეჩევის, XVII ს-ის თურქი ისტორიკოსის სიტყვებით, კახეთის მეფე ალექსანდრე ყოფილა „საქართველოს მეფეებში სახელგანთქმული და რჩეული“, ამავე დროს „ზაგემ და გრემად წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვანი ემირი“¹⁶⁹.

ანალოგიურ ცნობას გვანდის XVII ს-ის ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში (1560-1634). იგი თავის თხზულებაში „ტარიხ-ე ალამ-არაი-ე აბასი“ წერს: „ლევან ხანი, კახეთის ზაგემისა და გრემის მმართველია“. მისივე გადმოცემით, ქალაქი ზაგემი „სატახტო ადგილი და იმ სამეფო გვარის სამყოფელი არს“¹⁷⁰.

¹⁶⁵ არჩილი, არჩილიანი II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, თბ., 1937, გვ. 29.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 30.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 39.

¹⁶⁸ ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.), თბ., 1980, გვ. 179-181; მისივე, ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, თბ., 1973.

¹⁶⁹ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიაშ, თბ., 1964, გვ. 42.

¹⁷⁰ ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 17, 57.

XVII ს. ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფი ქათიბ ჩელები ზაგემის სახელით მთლიანად კახეთის პროვინციას აღნიშნავდა¹⁷¹. ასევე ზაგემის სახელით მოიხსენიებდა კახეთს ადამ ოლეარი, XVII ს. 30-იან წლებში მოსკოვსა და სპარსეთში პოლმტინის ელჩობის მონაწილე¹⁷².

XVI ს-ის ირანელი ისტორიკოსი შასან რუმლუ თავის ნიგში „ახსან ატ-ტავარიხ“ კახეთის მეფე ლევანს უწოდებს „ზაგემისა და გრემის ჰაქიმს“¹⁷³. თურქი ისტორიკოსი ნაიმა ზაგემის მეფედ მოიხსენიებს კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს¹⁷⁴.

ზაგემთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთი კახთა მეფის ალექსანდრე II-ის მიერ 1591 წელს გაცემული, რომლის მიხედვითაც მეფე ერთ-ერთ ნინოწმინდელ ვაჭარს ათავისუფლებს გადასახადისაგან. ქართულ ტექსტში აღნიშნულია „გრემისა და წალმა-ბაზრის მოურავი და მედამლენი“, სპარსულ ტექსტში კი ქალაქების გრემისა და ზაგემის მმართველები არიან მოხსენიებულნი. წალმა-ბაზრის ნაცვლად სპარსულ ტექსტში ზაგემია აღნიშნული¹⁷⁵. კახეთის მეფეების ალექსანდრესა და თეიმურაზის დროს რუსი დიპლომატებისა და ელჩების მიღება სწორედ ზაგემში არსებულ სამეფო კარზე ხდებოდა. ამ ელჩებისავე აღწერით, ამ ხანაში ზაგემი კახეთის ძლიერ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. თეიმურაზ I-ის მეფობის ხანაში (1589-1663), შაჰ-აბასის ამოხრებელი შემოსევების შემდეგ, აქ მაინც შემორჩენილი იყო ქარვანსარაი: „...девятнадцатого приехали в Загем. Им отвели квартиру в гостинном дворе, обведенном каменной стеной, длиною в 200 сажней“¹⁷⁶.

უკანასკნელი წლების აღმოჩენებით ირკვევა, რომ XVII ს-ის პირველ მესამედში ზაგემში მოქმედებდა ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულება, როგორცაა ზარაფხანა. ამის აშკარა დამამტკიცებელი ფაქტი ის არის, რომ 1969 წელს ზაგემის ნაქალაქარზე, სოფ. ალიაბადიდან (ზაქათალის რ-ნი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა) 7 კმ-ზე აღმოჩენილ იქნა XVII ს-ის დასაწყისის ვერცხლის მონეტების განძი. თიხის ხელადაში მოთავსებული იყო ირანის შაჰის, აბას I-ის სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში (არდებილი, განჯა, დაურაყი, ერევანი, თავრიზი, თეირანი, ორდუ, რამპორმუზი, რეშთი, შუშთერი, ჰუვეიზა) მოჭრილი 195 მონეტა (168 აბაზიანი, 22 ორშაურიანი, 5 შაურიანი); 2 მონეტა თბილისშია მოჭრილი, ხოლო 7 – კახეთის ქ. ზაგემის ზარაფხანაში. განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება 1602 წ., უგვიანესი – 1615 წ. როგორც ფიქრობენ, ზაგემის განძი დაფლულ უნდა იყოს 1616 წ. აბას I-ის მიერ კახეთის აოხრების დროს, ქ. ზაგემის განადგურებისას. განძი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში¹⁷⁷.

¹⁷¹ გ. აღასანია, საქართველო „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის რუკაზე, „მაცნე“, 1971, № 2, გვ. 99.

¹⁷² Подробные описания Гольштинского посольства в Москову и Персию в 1633 и 1639 годах, М., 1870, стр. 854.

¹⁷³ შასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, პენიშენები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1969, გვ. 17, 57.

¹⁷⁴ ნ. შენგელია, ოსმალური წყაროები საქართველოს შესახებ (XV-XIX სს.), თბ., 1974, გვ. 96.

¹⁷⁵ ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. დუნდუამ, თბ., 1984, გვ. 41-43.

¹⁷⁶ Переписка на иностранных языках грузинских Царей с российскими государями с 1659 г. до 1770 г., Издание М. Броссе, СПб., 1861, стр. IX, XV, XXXVI.

¹⁷⁷ Т. С. Кутелия, Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979, стр. 84-87.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ავტორიტეტულ ისტორიკოსთა და თვითმხილველთა ცნობების მიხედვით, ზაგემი, გრემის გვერდით, კახეთის სამეფოს მეორე ცენტრად და მნიშვნელოვან ქალაქად წარმოგვიდგება. მის ეკონომიკურ დანიშნულებას არანაკლებ შეუწყო ხელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზებთან სიახლოვემ. გილან-შემახა-ასტრახანის „აბრეშუმის გზა“, ძველი დროიდანვე კახეთის ფეოდალური მეურნეობისათვის საგარეო ვაჭრობის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ბაზარი-ზაგემი დიდად დაზარალდა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობების დროს (1614-1617 წწ.). ყიზილბაშებს ტყვედ წაუყვანიათ ელისენის პროვინციისა და ზაგემის სანახებიდან ორი-სამი ათასი ოჯახი, რომელნიც შემდეგ ფეროჰაბადში დაუსახლებიათ¹⁷⁸. ამის შემდეგ მან თანდათან დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, იგი დაბა-სოფლად გადაიქცა, საბოლოოდ კი გაუქვაცრიელდა და ნანგრევებად იქცა.

დღეს ამ ქალაქიდან მხოლოდ ეკლესიაა გადარჩენილი, რომელიც ცნობილია ბახთალოს ღვთისმშობლის ეკლესიის სახელწოდებით. ეს არის მთლიანად აგურით ამოყვანილი გუმბათიანი ეკლესია ალაზნის მარცხენა მხარეს, სოფელ ალიაბადიდან 7-8 კმ-ზე. აღნიშნულ ძეგლს, გაკვრით, მაგრამ პირველად, შეეხო პლ. იოსელიანი 1861 წელს დაღესტანში მოგზაურობის ჩანაწერებში. იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღნიშნავს: „Церковь с куполом времени царя Леона“¹⁷⁹. შედარებით ვრცლად განიხილა ეს ძეგლი ალ. ხახანაშვილმა. ზაქათალის ოლქში არსებულ ქრისტიანულ ხელოვნების ძეგლთაგან მის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: „Церковь Бахтало или Фальдарло. Церковь эта единственная в Закатальском округе, которая уцелела с куполом и фресковой живописью. Она лежит право от шоссе-ной дороги, идущей из деревни Алиабад к Закаталам и носит у народа название Перикала. Церковь построена из кирпича, имеет в длину 15 арш., шир. 10 аршин; Барабан купола очень высокий; В алтаре сохранилась стенная живопись с церковно-славянской надписью, присутствие которой дает основание предполагать, что церковь эта могла быть построена русскими художниками и архитекторами, после того как начались частые сношения между Российскими государями и кахетинскими царями, т. е. с конца XV и начала XVI в. при Иоанне IV, Феодоре Иоанновиче и Борисе Годунове“¹⁸⁰. უნდა აღინიშნოს, რომ ფერიყალის ეკლესიის ზაგემის (ბახთალოს) ეკლესიასთან დაკავშირება პირველად ინგილო ჯანაშვილმა სცადა¹⁸¹.

ბახთალოს ეკლესია ზაგემში ხელოვნებათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით აღწერა და გამოიკვლია გ. ჩუბინაშვილმა. როგორც იგი მოგვითხრობს, „ბახთალას ეკლესია ზაგემში წარმოადგენს ამ დროისათვის ჩვეულებრივ, მცირეფართობიან იმპოზანტურობის მიმნიჭებელი მნიშვნელოვანი სიმაღლის შენობას. იგი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი... ეკლესიის მხოლოდ აბსიდი იყო მოხატული. კონქის ქვევით იყო ზოლი შემდგარი რვა მედალიონში დახატული ნახევარფიგურებისაგან. გაურკვეველია, თუ რა ენაზე იყო გაკეთებული გამოსა-

¹⁷⁸ ისკანდერ მუნში, გვ. 109.

¹⁷⁹ П. Иоселиани, Путевыя записки по Дагестану в 1861 г., Тифлиси, 1862, стр. 14.

¹⁸⁰ А. Хаханашвили, Материалы по археологии кавказа, VII, стр. 32-33.

¹⁸¹ დ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1037-1040.

ხულებების წარწერები, ვინაიდან ივანიცკის; ხახანაშვილისა და ედილის ჩვენებანი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს¹⁸². ა. ს. ხახანაშვილისა და ზ. ედილის ცნობით, ფრესკებზე რუსული ანუ საეკლესიო-სლავური გაიჩრეოდა. შესაძლოა, ეს ცნობა სარწმუნოც იყოს, ვინაიდან ამ ხანაში XVI-XVII სს-ში კახეთის მეფეები იწვევდნენ რუსეთიდან მხატვრებს. XVII ს-ის რუსული წყაროებით აღნიშნულ ოსტატებს უმუშავიათ ზაგემშიც. მართალია, ამ ხანის ეკლესიებს ბერძენი მხატვრების ხელიც ატყვია, რასაც ადასტურებს გრემის მხატვრობა, მაგრამ ფილოლოგოსისა და ენათმეცნიერის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ს. ხახანაშვილის ცნობა მეტად არის დამაჯერებელი.

ამ ეკლესიის ფორმები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი მატანის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე (XVI ს.) ადრეა აგებული. ხოლო რუსეთის ელჩობის მონაცემები აზუსტებენ ამ ვარაუდს. ასე, 1589-90 წწ. ზენიგოროდსკის ელჩობა აღნიშნავს, რომ ეკლესია ნაკურთხია უკვე 50 წლის წინ, ე. ი. სწორედ, ლევან მეფის დროს, დაახლოებით 1540 წელს. ამის არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს 1865 წ. ეკლესიის ეზოში ამოთხრილი ზარი წარწერით: „ეს ზარი მე, კახეთის მეფემ ლეონმა შევსწირე ბახთალოს მღვთისმშობლის ეკლესიას“¹⁸³. ზაგემის აოხრების შემდეგ, 1639 წ. რუსების ელჩობის დროს, რუსებს უარი უთქვამთ თეიმურაზის (1589-1663) თხოვნაზე, რომ ზაგემის ეკლესიაში ეწირათ, რადგან ის ნაკურთხი არ არისო. მაშინ კახთა მეფე თხოვს ეკლესიის კურთხევას, რაც რუსებს შეუსრულებიათ და ის უკურთხებიან ქრისტეს აღდგომის სახელზე¹⁸⁴. ზარის წარწერაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეკლესია მღვთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ასეთი ცვლილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ კახეთში მღვთისმშობლის დღეობა აღდგომის მეორე დღეს ხდება, და შეიძლება ამით იყოს გამოწვეული ცნობათა სხვადასხვაობა¹⁸⁵. რაც შეეხება ზარის წარწერაში მოხსენიებულ ადგილის სახელწოდებას ბახთალას, მას ასე ლექები ეძახიან. ბალ-სოფელი (ბალ-თალა), ე. ი. შეხედეთ ამ მშვენიერ ადგილმდებარეობას და კარმიდამოსო¹⁸⁶.

ჭარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ერთი მეორეზე მიყოლებით, მდებარეობდნენ სოფლები: ჩარდახი, მუხახი, მამრეხი და ვარდიანი ანუ გულლუგი. ყველა ამ სოფელს, მამრეხის გამოკლებით, იხსენიებს ვახუშტიც და გიულდენშტედტიც¹⁸⁷. ამ სოფლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარდიანი და ჩარდახი. ქართული საისტორიო წყაროების გადმოცემით, ეს სოფლები განწევებულ ბრძოლების ობიექტებს წარმოადგენდნენ იმ ბრძოლებში, რომელსაც კახელები – დავით იმამყული ხანის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ ჭარელთა წინააღმდეგ¹⁸⁸. და საერთოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დავით იმამყული-ხა-

¹⁸² ტ. ივანიცკი, ივერია, 1895, № 211; ა. ს. ხახანაშვილი, Материалы по археологии кавказа, VII. 1898, გვ. 32-33; ზ. ედილი, საინგილო, 1947, გვ. 151-154.

¹⁸³ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 459-461.

¹⁸⁴ М. А. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640, Тб. 1937, стр. 317.

¹⁸⁵ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

¹⁸⁶ ზ. ედილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

¹⁸⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 208; I. A. Güldenstädt, Reisen... გვ. 489.

¹⁸⁸ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, ქართლის ცხოვრება II, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 132-133.

ნის დროს (1703-1722) აღმოსავლეთ კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ავარიელ ლეკთა „უბატონო თემებმა“ შესძლეს უფრო მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი, ხოლო მათ შორის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სწორედ ჭარის თემი იყო. ვარდიანს, მას შემდეგ, რაც კაკ-ელისენში ლეკთა მფლობელობა მყარდება, სახელი ეცვლება და იგი გულლუგად იწოდება. ვარდიანს გულლუგის სახელწოდებით იხსენიებს, მაგალითად, აკად. ი. ა. გიულდენშტედტი (Guluk)¹⁸⁹. ჩვენს მიერ ზემოთ მოხილული ყველა ეს მთისძირა სოფელი ამჟამად ლეკებითაა დასახლებული. ამ სოფლების მკვიდრი ქართული მოახლეობა, ავარიელი ლეკების აქ ჩამოსახლებისას „გალეკდა“, ეთნიკურად შეერწყა მათ. ეს გარემოება კარგად ახსოვდათ ამ სოფლების ზოგიერთ მცხოვრებთ. XIX საუკუნის 70-იან წლებში ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულ კომისიის წევრებს ჭარის თემის ერთ-ერთი ლეკური სოფლის, გოგამის მცხოვრებმა, მოლა მურთუზ-ალი-ფეხენდი-ტინოვ ოღლიმ განუცხადა, რომ მისი აზრით, ლეკთა უმრავლესობა წარმოშობით მიეკუთვნება იმ ქართველებს, რომელნიც აქ დარჩნენ ლეკთა მიერ ამ ადგილების დაპყრობის მომენტში¹⁹⁰. სოფელ მანჯისის მცხოვრები საფარ-შაბან-ოღლი კომისიას უცხადებდა, რომ იგი წარმოშობით ქართველია და რომ მისი წინაპარი იყო ქართველი, ვინმე ივანე თავად-ოღლი (თავადიშვილი)¹⁹¹. ამავე სოფლის მეორე მცხოვრები ჰასანი აცხადებდა, რომ მისი გვარი მომდინარეობს ჭავჭავაძეებისაგან¹⁹². ხოლო ჰაჯი-ჰაჯიევ რაჯაბ ოღლიმ კომისიას წარუდგინა დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ მისი წინაპრების გვარი ზურაბაშვილი იყო¹⁹³.

ავარიელი ლეკების მიერ XVII საუკუნეში დაპყრობილი და დამორჩილებული მკვიდრი ქართველი-ინგილოებით დასახლებული იყო ალაზნისპირა სოფლების უმრავლესობა: ალიაბადი, ვერხვიანი, მოსული, თასმალო, ზაგამი, ჰენგიანი, ყორალანი, შოთავარი, ყანდახი, ყაპანახჩი, მარსანი, ლალა-ფაშა. ესენი იყვნენ ე. წ. „ენისელის სოფლები“¹⁹⁴. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ, მართალია, XVII საუკუნის მიწურულისათვის კაკ-ელისენში, საქართველოს ამ ძველ განუყოფელ ისტორიულ ნაწილში, ქართველ ხელისუფალთა (ფეოდალთა) ბატონობა ეცემა და აქ ლეკთა მფლობელობა მყარდება, მაგრამ ლეკებმა ვერ შესძლეს ამ მხარეში ერთბაშად ქართველების გავლენის აღმოფხვრა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში და უფრო გვიანაც, ელისენის მხარეში მდებარე ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართველთა გავლენა. ეს ნათლად ჩანს ერთი საბუთიდან, რომელიც ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. საბუთი წარმოადგენს სიგელს, რომელიც გაცემულია 1726 წელს კახთა მეფის, კონსტანტინე I მაჰმადყული-ხანის (1722-1732) მიერ ჭავჭავაძეთა სახელზე. ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ჭავჭავაძეთა გვარს სამკვიდრო მამულები ჰქონდა საინგილოში თვით XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

¹⁸⁹ I. A. Guldenstädt, დასახ. ნაშრომი, გვ. 489.

¹⁹⁰ ცხსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 13, ფურც. 26.

¹⁹¹ იქვე, ფურც. 28.

¹⁹² იქვე, ფურც. 30.

¹⁹³ იქვე.

¹⁹⁴ მ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 489.

1726 წლის სიგელში ჭავჭავაძეთა სამეკიდროდ დასახელებულია საინგილოს სოფლები: ენგიანი, ყანდახი და მოსული. ამას გარდა, ჭავჭავაძეთა გეარს ჰქონია „სახელო“ საინგილოს ენისელში (თანამედროვე ალიაბადი, ზაქათალის რაიონი)¹⁹⁵.

ინგილოურ სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ითი-თალა. ეს სოფელი ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებთან შედარებით, უფრო ახალგაზრდაა. იგი შექმნილია XIX საუკუნეში, სოფელ ალიაბადიდან გამოსული მცხოვრებლები-საგან. ამ უკანასკნელებმა, სახნავი მიწების სიმცირის გამო, 1863 წელს თხოვნით მიმართეს ჭარელ ლეკებს, რათა გამოეყოთ მათთვის თავისუფალი მიწები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ბინადრობის დამყარება. ჭარელებმა დააკმაყოფილეს ალიაბადელი ინგილოების თხოვნა და მიუჩინეს მათ გარკვეული ადგილი დასახლებლად ტანაჩის მიწებიდან (შენიშვნა ტანაჩის შესახებ: ტანაჩის მიწები მდებარეობს მდ. ალაზნის ნაპირას. მათ უკავიათ ჭარ-ბელაქნის ლეკთა „უბატონო თემების“ სამფლობელოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; იწყებოდა ზაქათალა-მულანლოს გზატკეცილიდან და დასავლეთით ვრცელდებოდა სიღნაღის მაზრის საზღვრებამდე. აქ ჰქონდა ბინები თითქმის ყველა ლეკურ სოფელს, რომელიც სოფ. თალას დასავლეთით მდებარეობდა. ტანაჩში ბინების (ანუ როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებდნენ „ობა“)¹⁹⁶ გაჩენა იწყება 1830 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხების გამო, ბარონ როზენის მითითებით (1831 წ. 9 თებერვალი), სოფელ ჭარის, ზაქათალის და გოგამის მცხოვრებლები გადასახლებული იქმნენ მდ. ალაზნის ნაპირებზე¹⁹⁷. 1838 წლიდან, როდესაც ლეკებს ნება დართეს კვლავ თავიანთ თავდაპირველ საცხოვრებელს დაბრუნებოდნენ, ტანაჩში ახალი ბინების გაჩენა თითქმის შეწყდა, რადგანაც აქ გარე მეურნეობის მოწყობა მაინცდამაინც არ იყო სახარბიელო ნიადაგის ტენიანობის და ზაფხულში დიდი სიცხეების გამო. მაგრამ 1830-1838 წლების პერიოდში აქ ლეკთა უმრავლესობამ მოასწრო გაეჩინა ბინები)¹⁹⁸. ასე წარმოიშვა სოფელი ითი-თალა. თავდაპირველად მოსახლეობის რიცხვი დიდი იყო, მაგრამ იგი შემდგომში შემცირდა მინათმოქმედებისათვის ნიადაგის არახელსაყრელობისა და აგრეთვე საკმაოდ მაღალი საქეშქელო გადასახადის გამო. ზოგიერთები ისევ უკან დაუბრუნდნენ ალიაბადში. ითი-თალაში საბოლოოდ 36 კომლილა დარჩა¹⁹⁹.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. „ენისელის სოფლებად“ იწოდებოდნენ არა მარტო ინგილოური სოფლები, არამედ საერთოდ ალაზნის პირას დაბლობში მდებარე სოფლები, რომელთა განსაზღვრული ნაწილი დასახლებული იყო მულალებით... მულალები ამ მხარის მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ. ისინი ამ ტერიტორიაზე ჩნდებიან აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა მფლობელობის დამყარების შემდეგ (ე. ი. XVIII საუკუნის შემდეგ) და მოსულები არიან ამიერკავკასიის სხვადასხვა მუსლიმანური პროვინციებიდან²⁰⁰. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ტერმინი „მულალი“ არ არის ეთნიკური შინაარსის მატარებელი ცნება, ჩვენი აზრით, იგი უფრო სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ტერმინი უნდა იყოს.

¹⁹⁵ ცხსა, ფ. 1450, დავთარი № 11, სიგელი № 12, ფურც. 14-16.

¹⁹⁶ შ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 495.

¹⁹⁷ იქვე, გვ. 508.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 495-496.

¹⁹⁹ იქვე, გვ. 509.

²⁰⁰ იქვე, გვ. 497.

მულალთა სოფლები იყო, მაგალითად, შემდეგი: ჩობანქოლი, კეიმური, ბაზარი, აღმალო, ლალალო, გოგლარი, კატალპარახი, ყინდირგალო, ბაიამათლო, პატარა ლაიჯი, დიდი ლაიჯი, კურდამური, ფალდარლო, მულანლო, ფადარი, ბაბალო, კარაბაღდური და სხვ.²⁰¹ ეს სოფლები ინგილოურ სოფლებთან შედარებით უფრო გვიანდელი წარმოშობისანი არიან. მათი დასახლება, როგორც ეს ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალებიდან ირკვევა, უმთავრესად ლეკთა მოპატიუებით ხდებოდა. აი, რას წერს ჭარის თემის ერთ-ერთი რწმუნებული პოდპოლკოვნიკი მამედ-ალა-იზმაილოვი: „როდესაც ლეკები სოფ. ჭარში დამკვიდრდნენ, ამის შემდეგ მათ დაიწყეს ამიერკავკასიის მუსლიმანური პროვინციებიდან მცხოვრებლების მოპატიუება თავისუფალ მიწებზე დასახლებადად. ყველა ასეთ გვიანდელ გადმოსახლებულებს, ლეკები მულალებს უწოდებდნენ“²⁰². აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მულალთა საკმაოდ დიდი ნაწილი ლეკებს შეერწყა (სარწმუნოებრივი ერთიანობის გამო) და მათ უფლებებშიც გაუთანასწორდა²⁰³.

ე. ნ. „ენისელის სოფლებთან“ დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იოანე ბაგრატიონის მიერ 1794-1799 წლებში შესრულებული ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“, რომელშიც მოცემულია ენისელში შემავალი სოფლების ნუსხა. იგი შემდეგი სახით გამოიყურება: ბელაქანი, მაკაბელი, კატეხი, ბოეთანი, ღანუხი, მანეხი, ვარდიანი, ფიფინეთი ანუ ჭარი, ზაქათალა, პატარა ჭარი, წინუბანი, თალა, ჩარდახი, მუხრახი, კოსორი, ჯინიხი, ბაზარი, მოსაბრუნი, ფადარი²⁰⁴. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აქვე მოვიტანოთ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების „აღწერა სამეფოს საქართველოსა“-ს წინ წამძღვარებული ელისენის სოფლების სია. მასში ვახუშტი ასახელებს შემდეგ გეოგრაფიულ პუნქტებს: ბელაქანი, მაკაბელი, ბოეთანი, ღანუხი, კატეხი, მანეხი, ვარდიანი, ფიფინეთი ან ჭარი, წილუბანი, პატარა ჭარი, თალა, ჩარდახი, მუხრახი, კოსორი, ჯინიხი, ბაზარი²⁰⁵. როგორც ვხედავთ, იოანე ბაგრატიონს ვახუშტისთან შედარებით, ენისელის სოფლების ნუსხაში ჩამატებული აქვს სამი სოფელი: ზაქათალა, ფადარი და მოსაბრუნი.

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ენისელში შემავალ სოფლების ნუსხაში, რომლის სახელწოდებაა „ენისელს რაც მიენერება სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო, არიან ესენი“, ყურადღებას იქცევს ბოეთანი და მოსაბრუნი.

ვახუშტი ბატონიშვილი კაკ-ელისენის აღწერაში ასახელებს ზოგიერთ ისეთ ადგილს, რომელნიც დღეს უკვე აღარ არსებობენ. ასეთ ადგილად უნდა მივიჩნიოთ „ბოეთანი“, კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. იმისათვის, რომ უფრო უკეთ გავერკვიოთ ბოეთნის ადგილმდებარეობაში, საჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ყველა ის მონაცემი, რომელიც მოტანილი აქვს მის შესახებ ვახუშტის კაკისა და ელისენის აღწერისას. თავდაპირველად იგი ახსენებს გიშს (ნუქეთის საერისთავოს), შემდეგ ქურმუხს, რომელიც წარმოადგენდა ალის-სულთნის საჯდომ ადგილს, აქვე იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცა იგი ცალკე

²⁰¹ Коцебу, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

²⁰² შ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 507.

²⁰³ იქვე, გვ. 507.

²⁰⁴ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 72.

²⁰⁵ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 208.

სასულტნოდ შაჰ-აბასის წყალობით, ამის შემდეგ ვახუშტი გვაცნობს ფიფინეთის წყლის ხეობას, რომელსაც შემდგომში ჭარი ეწოდა. ჭარის ზევით (ე. ი. დასავლეთით - თ. პ.) ალაზანი მოედინება „ყურედ და ყურედ, და მომდინარე მომგრგვალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყლითა. ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს. აქ ჭარის პირისპირ და ყარალაჯის ბოლოს, ალაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი... ამას ზევით, ბოეთანს, ერთეის ალაზანს ბელაქნის წყალი“²⁰⁶.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბოეთნის ადგილმდებარეობას ზუსტად განსაზღვრავს: ბელაქნის წყლის ალაზანთან შეერთების ადგილს, მოსაბრუნს ზევით. თუ ვიმსჯელებთ იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც აღნიშნულია ვახუშტის კახეთის რუკაზე, მაშინ მისი ადგილმდებარეობა უნდა შეეფარდებოდეს ჭარ-ბელაქნის ლეკთა „უბატონო თემების“ სამფლობელოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, კერძოდ, იმ მონაკვეთს, სადაც ე. წ. ტანაჩის ბინებია. დასავლეთით იგი აღწევდა ქიზიყის (კამბეჩოვანის) საზღვრამდე.

არჩილ II (1647-1713), რომელიც კახეთში მეფობდა 1664-1675 წწ-ში, თავის ისტორიულ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ბოეთანს იხსენიებს, როგორც მეფეთა საზამთრო რეზიდენციას. იგი წერს:

„ან ზამთარი შემოვისწროთ თოლასა და ბოეთანსა,
შამურსა და ღარნეხშიგა სხვას ვინ ნახავს იმისთანსა?
ყოვლნი რამე სანადირო ასრე ახლავს ინი თანსა.
მაშინ მე რას ვახსენებდი ხანებსა და ან სულთანსა?“²⁰⁷

1579 წლის კახთა მეფის ალექსანდრე II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი ყმისა და მამულის შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს „მონასტერი ხატისკარი ყმა მამულით, ისე, რომ ბუეთანს ზევით და ინაბოტის წყალს ქვევით ვერავინ გადადგომოდა“²⁰⁸. ბოეთანის საზამთრო რეზიდენციაში კახთა მეფეები რუს ელჩებსაც ლებულობდნენ. ასე მაგალითად, 1604-1605 წწ. ბატონიშვილი გიორგი (იური) ალექსანდრეს ძეს რუსი ელჩები ტატიშჩევი და ივანოვი მიუღია. ელჩების მოხსენებაში აღნიშნულია: „А января в 1 день велел царевич послом быть у себя на стану в Боетании“²⁰⁹. ბოეთანშივე განუახლებია ბატონიშვილ იურის ალექსანდრე მეფისა და დავითის მიერ 1603 წელს რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი წერილი: „писано государства нашего двора Боетане от создания миру лета 7113 генваря в 1 день. К сей записи яз Юрьи царевич, руку и печать свою приложил“²¹⁰.

ზემოთ ჩვენ, ბოეთნის ლოკალიზაციის შესახებ საუბრისას მოვიტანეთ ვახუშტის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ფიფინეთის წყლის შესართავს ზევით ალაზანი მოედინება „ყურედ და ყურედ, და მომდინარე მომგრგვალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმულ არს წყლითა, ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს. აქ ჭარის პირისპირ და ყარალაჯის ბოლოს,

²⁰⁶ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 540.


²⁰⁷ არჩილი, არჩილიანი, II, გვ. 44.

²⁰⁸ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, I, გვ. 47.

²⁰⁹ С. А. Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 478.

²¹⁰ იქვე, გვ. 491.

ქარ-ბელკენი



ქარბელაკის რაიონის რუკა

- კარბელაკის რაიონის საზღვარი
- დასახლებული პუნქტები
- მდინარეები
- გზები

შკალა 1:50,000

ალაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი, არამედ ან არს ოკერ²¹¹. და მართლაც, ძნელად წარმოსადგენია იმაზე უფრო თვალწარმტაცი ადგილი, სადაც ვახუშტის მითითებით მდებარეობდა „მოსაბრუნნი“. ალაზანი აქ ფართოდ არის გადაჭიმული თავისი მდოვრე დინებით, იგი გზადაგზა ფერხდება განუწყვეტელი ზიგზაგებით და ამ ადგილზე ქმნის ერთობ მიმზიდველ და ლამაზ ნახევარკუნძულს, რომლის გარეთა მარცხენა სანაპირო გარშემორტყმულია ტანაჩის მაღალი, მწყობრი ტყით. შიდა სანაპირო ზოლი ნახევარკუნძულისა დაფარულია ტირიფებით, რომელთა ტოტები ალაზანში ეშვება. ნახევარკუნძულის შიგნით არ არის შემორჩენილი რაიმე კვალი, რომელიც მიგვანიშნებდა კახეთის მეფეთა ამ რეზიდენციის ადრინდელ დიდებაზე. მაგრამ, მიუხედავად მომხიბვლელი ადგილმდებარეობისა, ზაფხულში, აუტანელი სიცხეების გამო, კახთა მეფეების აქ ცხოვრება ძნელად წარმოსადგენია; ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ „მოსაბრუნნი“ იყო საზამთრო რეზიდენცია.

არჩილი მოსაბრუნს ახსენებს კახეთის მმართველ ყიზილბაშ სელიმ-ხანთან დაკავშირებით:

„სალიმისა თქვეს მოსაბრუნს დგომა, სახლისა აგება,
კვლავ როსტომის ტფილისსა სამუდამოდ სუფრის დაგება;
„გემართებს როსტომის მტერობა, სალიმის მალ გარდაგება“,
„მაგრა სალიმის გაგდება“ – ზოგთა თქვეს – „სჯობდეს ეგება“²¹².

ბერი ეგნატაშვილს მოსაბრუნნი კახეთის მმართველ ყიზილბაშ ხანების საჯდომ ადგილად მიაჩნია. იგი წერს: „სალიმ-ხან, რომელი იჯდა ქუეყანასა კახეთისასა, მოსაბრუნს, და მუნ აშენებდა სახლსა, და რა ნახეს ესე რომე როსტომ მეფეს ველარა უმტრეს, მაშინ მიუჯდენ სალიმ-ხანს, დაესხნეს თავსა. და თვით სალიმ-ხან გარდაუსწრა, ვერ დაიჭირეს და სხუანი, რომელნიც ყმანი მისნი თათარნი მოაჯელნეს, დაჯოცეს და ზოგი დაიჭირეს“²¹³.

ვახუშტის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოსაბრუნნი რამდენიმეჯერ იხსენიება. ერთგან ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო კახეთი იყო ხიზნით და ფეიქარხან აშენებდა მოსაბრუნს და ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა“²¹⁴. მეორეგან იგი წერს: „ხოლო როსტომ დაიპყრა ქართლი, წარმოავლინეს სალიმხან და დასუეს კახეთს, არამედ ვერ მიენდვნენ კახნი თვითთაგან კიდე და იყოფოდა სალიმხან მოსაბრუნს“²¹⁵. ერთ სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით ვახუშტი გადმოგვცემს: „მაშინ იწყეს მტერობა როსტომისა და ვერა რაჲ ავნეს, მერმე კუალად შეუჩინეს მოლაღატენი და ვერცა რაჲ მით ავნეს, რამეთუ აქუნდა ძალი დიდი ყეენისაგან და მორჩილებდნენ ყიზილბაშნი. ამისთვის დაუტევეს როსტომ და მოუჯდნენ სალიმხანს, მპყრობელსა კახეთისასა, მაშენებელსა მოსაბრუნსა შინა სასახლისასა“²¹⁶.

²¹¹ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 540.

²¹² არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, არჩილიანი, ტ. II, გვ. 86.

²¹³ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 419.

²¹⁴ ვახუშტი, აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 590.

²¹⁵ იქვე, გვ. 594.

²¹⁶ იქვე, გვ. 595.

სოფელ ვარდიანის აღმოსავლეთ მხარეს ჩამოუდის მდინარე ქაფი-ჩაი. ეს მდინარე წარმოადგენს საზღვარს, რომელიც ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემებს“ ჰყოფს ელისუს სასულთნოსაგან. ელისუს ან კაკის სასულთნო მდინარეებს ქაფი-ჩაისა და ყანი-ყობს შორის მდებარე ტერიტორიას მოიცავდა.

რადგანაც ჩვენ ხშირად მოგვიხდება ნუქეთის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა, ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰერეთის ამ პროვინციის ადგილმდებარეობის ზუსტ დადგენას. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და დ. მუსხელიშვილი სწორად, მაგრამ ერთობ ზოგადად განსაზღვრავენ ნუქეთის ადგილმდებარეობას. მათი შეხედულებით ნუქეთის ქვეყანა მდებარეობდა დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), იგი წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს²¹⁷. ნუქეთის ლოკალიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებანიც. მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, „ეს ნუქეთი, ვახუშტის აღწერით, თრუსოს ხეობაში ლოკალიზდება“²¹⁸. თავისი დებულების შესამაგრებლად მ. ლორთქიფანიძეს მოაქვს ვახუშტის გეოგრაფიიდან შემდეგი ადგილი („აღწერა“, გვ. 113): „ხოლო ვალაგორისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის ხეობა, რომელი იწოდების ანცა დვალეთად. და აქუს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიიდან ვიდრე ჩერქეზამდე. და მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახა-თრუსოს შორის კავკასთა და მოდის სამხრიდამ ჩრდილოთ. ხოლო კასრის ხეობასა შინა მოერთვიან ამ წყალს, დიგორისა და ამის შორისის კავკასიიდან, ხევი და გარდავლენან მას ზედა გზანი დიგორს“²¹⁹. როგორც ვხედავთ, ვახუშტის აქ მოცემული აქვს ოსეთის ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთის აღწერა და, ჩვენი აზრით, მას კავშირი არ უნდა ჰქონდეს ნუქეთის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც ჩანს, მკვლევარმა ყურადღება მიაქცია აქ მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას – „კასრის ხეობა“. ცნობილია, რომ ქართული წყარო არჩილ მეფეს (VIII ს.) მიაწერს „კასრის“ აშენებას“, მაგრამ ეს კასრი სულ სხვაა, იგი მდებარეობს თანამედროვე კახის რაიონში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) და არაფერი აქვს საერთო (ადგილმდებარეობის თვალსაზრისით) დვალეთის კასრის ხეობასთან. მ. ლორთქიფანიძის მიერ ვახუშტის გეოგრაფიიდან დამონშემულ ციტატაში ხომ პირდაპირ აღნიშნულია, რომ „კასრის ხეობა... იწოდების ანცა დვალეთად“; მაშასადამე, შეუძლებელია დვალეთის ტერიტორიაზე მდებარე კასრის ხეობა გაიგივებულ იქნეს ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში არსებულ კასრთან, ხოლო აქედან გამომდინარე კი, საფუძველს ვერ ვხედავთ ნუქეთის თრუსოს ხეობაში ლოკალიზებისათვის.

ნუქეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო აგრეთვე ს. ერემიანი. მან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სომხური გეოგრაფიის ჩვენამ-

²¹⁷ ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 249; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 67.

²¹⁸ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII-IX სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 17; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 144.

²¹⁹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 17, სქოლიო 3.

დე მოღწეულ ხელნაწერებში ამ პროვინციის სახელწოდება დამახინჯებულია, იქ იგი იხსენიება „ქეთ“-ის ფორმით²²⁰. როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, ამ პროვინციის სახელწოდების სწორი წაკითხვა (წუქეთი) მოცემული აქვს ლევონდს. და აი, ლევონდის ჩვენებაზე დაყრდნობით, სომხური გეოგრაფიის ახალ გამოცემაში მან იბერიის აღწერაში მოხსენიებული პროვინცია „ქეთ“-ის ნაცვლად შეიტანა „წუქეთი“²²¹. ტექსტის ასეთი აღდგენა სავსებით დასაშვებია, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ს. ერემიანს თვით ამ წუქეთის ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხში. მისი აზრით, წუქეთი მდებარეობს მდ. იორის აუზში, ერნოსა და კუხეთს შორის. მისივე შეხედულებით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს გეოგრაფიული პუნქტი კანარეთი, რომელიც „ეპისტოლეთა ნიგნში“ მოხსენიებულია „კასრის“ სახელწოდებით²²². ს. ერემიანის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილობით წყაროებში არ არსებობს არავითარი ისეთი მონაცემი, რომელიც საფუძველს მოგვცემდა წუქეთის მდ. იორის აუზში მოთავსებისათვის. რაც შეეხება კანარეთს, იგი მდებარეობდა სუჯეთის ტერიტორიაზე და არასოდეს შედიოდა წუქეთის ფარგლებში.

პ. ინგოროყვას მიხედვით, კაკი ანუ წუქეთი (ქურმუხი, კასრი) აღმოსავლეთ შერეთში მდებარეობს. რადგანაც პ. ინგოროყვას მოსაზრებით, აღმოსავლეთ შერეთი არის იგივე ძველი წანარეთი, აქედან გამომდინარე, მას წუქეთიც წანარეთის ერთ-ერთ კანტონად მიაჩნია²²³.

წუქეთის ადგილმდებარეობის შესახებ პირველწყაროებში მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული VIII საუკუნის ანონიმი მატრიანე, მოგვითხრობს რა არჩილის მოღვაწეობის შესახებ წუქეთში, წერს: „დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი..., და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“²²⁴. ამ ცნობაში მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტი კასრი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე კახის რაიონში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) მდებარეობს, ერთგვარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ წუქეთი შერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს წარმოადგენდა. ამავე ცნობიდან ცხადი ხდება, რომ წუქეთის მთავრის სამფლობელო მოიცავდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო მდ. სამურის ზემო წელი, ე. წ. ნახურის სამფლობელო.

წუქეთის ადგილმდებარეობის უფრო ზუსტი დადგენისათვის ადრინდელი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში, სამწუხაროდ, სხვა ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია. ამის გამო იძულებული ვართ მივმართოთ გვიანდელი ხანის ცნობებს,

²²⁰ J. Saint-Martin, Geographie attribuée à Moïse de Khoren, Mémoires Historiques et géographiques sur L'Arménie, t. II, Paris, 1819, სომხური ტექსტი, გვ. 358, ფრანგული თარგმანი, გვ. 359.

²²¹ С. Т. Еремян, Армения по «Ашхарауц»-у (Армянской географии VII века), стр. 104 (სომხურ ენაზე).

²²² ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 57, იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

²²³ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 883.

²²⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

უპირველეს ყოვლისა კი, ვახუშტის გეოგრაფიას. უნდა აღინიშნოს, რომ ნუქეთი იმთავითვე ცალკე ქვეყანა იყო. ადრე შუასაუკუნეებში იგი ქართლის სამეფოში შემავალ ერთ-ერთ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა; შემდგომში კი, როდესაც შერეტი დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა (IX-X სს.), ნუქეთი მის ერთ-ერთ საერისთავოდ გადაიქცა, უფრო გვიან, როდესაც შერეთის სამეფო კახეთისას შეუერთდა, ხოლო კახეთის სამეფო კი, თავის მხრივ, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ფარგლებში მოექცა, ნუქეთი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად განიხილებოდა. გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოში ჩატარებული რეფორმების შედეგად (XVI ს.) ნუქეთი სამოურავოდ ჩამოყალიბდა; საბოლოოდ, XVII საუკუნის დასაწყისში, ნუქეთი მოსწყდა კახეთის სამეფოს და მის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ელისუს სასულთნოს. ყოველივე ამის გამო, ნუქეთის საზღვრები საუკუნეთა მანძილზე მეტ-ნაკლებად დაცული იყო და მკაფიოდაც განსაზღვრული. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გვიანდელი ცნობები, ნუქეთის საზღვრებს რომ ეხება, გამოსადეგი უნდა იყოს უფრო ძველი პერიოდისათვისაც და კერძოდ, გამოყენებულ უნდა იქნას ნუქეთის თავდაპირველი საზღვრის დასადგენად.

ვახუშტის ნუქეთის შესახებ ცნობები დაცული აქვს კაკ-ელისენის აღწერაში. აი, ეს ადგილიც: „ხოლო ან კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავივად. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და შერეთს შორის, და მოდის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო ნუქეთისა... არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა ნუქეთი, და ან უწოდებენ ალის-სულთნად. კვალად გიშისწყლის შესართავს ზეით, ამ გიშის-წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის-წყალი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩრდილოდამ სამხრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი სიმაგრე დიდმენი, და ან სახლი ალის-სულთნისა“²²⁵. ვახუშტის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ნუქეთი მდებარეობდა მდ. გიშისწყლის და მდ. ალაზნის ქვემო დინების ჩრდილოეთით, მისი ტერიტორია ძირითადად მოიცავდა მდ. ქურმუხის აუზს.

ვახუშტის გეოგრაფიის შემდეგ იმ გვიანდელი ხანის წყაროთა შორის, რომელშიც ნუქეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის მასალებია დაცული, დასახელებულ უნდა იქნას XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“²²⁶. ამ ნაშრომში ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის თავი, რომელშიც მოცემულია „აღწერა ალის სულტნისა“.

ნუქეთის საზღვრების დასადგენად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVI-XVII სს. რუს ელჩთა ჩანაწერები და XVIII საუკუნეში შედგენილი ე. წ. „ჭარის ომების ქრონიკა“. ნუქეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის გამოგვადგება აგრეთვე 1869-1874 წწ. „ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის“ ჟურნალები²²⁷. ამ ჟურნალების მასალებში, რომელთაც კომისია სოფელ-სოფელ აგროვებდა დაკითხვების სახით, მოიპოვება მრავალი ისეთი ცნობა, რომელიც შეეხება ნუქეთის

²²⁵ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 95-96.

²²⁶ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი.

²²⁷ სცსსა, ფონდი 236, აღწ. 1, საქ. №№ 1, 10, 11, 12, 13, 14; აღწ. 2, საქ. №№ 3, 21, 22, 88.

გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მის საზღვრებს და სხვ. ელისუს სასულთნო ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ნახურის სამფლობელოსაგან და საკუთრივ ელისუს სასულთნოსაგან. ნახურის სამფლობელო შემდგომში (1860 წ.) „მთიანი მაღალის“ სახელწოდებით დაღესტნის ოლქის შემადგენლობაში გადავიდა. მის ფარგლებში შედიოდა ნახური და მის გარშემო მდებარე სოფლები მდინარე სამურის აუზში: მუსლიახი, სიუგუტი, ხიახი, მიხიხი, კურდული და გილმისი. ესენი არიან ე. წ. ნახურის ჯგუფის სოფლები. სოფელთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნებოდა ზერნა და ლექეთი, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, მდ. ქაფჩაის აღმოსავლეთით მდებარეობდნენ²²⁸. ამ სოფლებიდან ყველაზე უძველესი და მნიშვნელოვანი ნახური იყო. იგი წარმოადგენდა სულთანთა თავდაპირველ რეზიდენციას. შემდეგში, როდესაც ნახურელი ლეკები კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე მინა-წყალზეც გაბატონდნენ (XVII საუკუნის დასასრული), სულთნის რეზიდენციამ სოფელ ელისუში გადმოინაცვლა (მდ. ქურმუხის აუზი). აქედანვე წარმოსდგა მათი ტიტული „ელისუს სულთანი“. ნახური მოხსენიებული აქვს ი. ა. გიულდენშტედს. იგი წერს, რომ ნახური (Zachur) ეკუთვნოდა მთავართა საგვარეულოს, კერძოდ, მის დროს (ე. ი. XVIII ს-ის 70-იან წლებში) ნახურს, ფლობდა ვინმე მუჰამედ ბეგი, რომელიც ელისუში (Illesu) იჯდაო²²⁹. ქართულ საისტორიო წყაროებში ნახურის სამფლობელო ცნობილია „ნუქეთის“²³⁰, „ნახეთის“²³¹, „ზახურის“²³² სახელწოდებით. თვით სულთანი, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, იწოდებოდა შემდეგნაირად: „ზახურის მფლობელი“ (Захурский владетель)²³³ „ნახეთის სულთანი“²³⁴, „აღის სულთანი“²³⁵; XVIII საუკუნის ჭარის ომების ქრონიკის ავტორი მას იხსენიებს „უნშია-სულტანის“, „ნახურის უნშიას“ სახელწოდებით²³⁶.

ნახური და საერთოდ მთელი მდინარე სამურის აუზი ახლა წმინდა ლეკურ რაიონს წარმოადგენს, მაგრამ წინათ იგი კახეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდა. მე-16 საუკუნეში ამ ადგილებს ჯერ კიდეთ კახეთის მეფე ფლობდა. 1588-1589 წწ. მოსკოვის ხელმწიფის, თედორე ივანეს-ძის, კარზე მყოფი ქართველი ელჩები: თავადი ყაფლანი, კირილე ბერი და ხურშიტა აცხადებდნენ, რომ ნახურის (Сафурской) მთავარი კახეთის მეფე ალექსანდრეს ქვეშევრდომია. აი, მათი სიტყვები: „ყოზანიჩითგან ყაზიყუმუხსა და სამურამდე (до Сафурской) 4 დღის სავალია..., ხოლო Сафурской კი ალექსანდრე მეფის ქვეშევრდომია. სამურიდან ივერიამდე ორი დღის სავალი მანძილია²³⁷. რუსი ელჩებიც (1596-1599 წწ.), როდესაც ნახურზე ლაპარაკობდნენ, მას განმარტავენ როგორც ქართველთა კუთვნილ მინა-წყალს (Грузинские земли город Цакур)²³⁸. აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარე-

²²⁸ И. Липевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-10.

²²⁹ I. A. Guldensedt, დასახ. ნაშრომი, გვ. 489.

²³⁰ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 36.

²³¹ არჩილიანი, ტ. II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 165.

²³² იქვე, გვ. 82.

²³³ Абас-кули – Ага Бакиханов-Кулси, Гюлистам-Ирам, Баку, 1926, стр. 128.

²³⁴ ბერი ეგნატაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

²³⁵ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 96.

²³⁶ Хроники войн Джара в XVIII столетии.

²³⁷ С. Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

²³⁸ იქვე, გვ. 293.

მოებაზე, რომ ნახური და საერთოდ მთელი ეს მხარე (კაკ-ელისენი) არა მარტო XVI საუკუნის მიწურულისათვის, არამედ XVII საუკუნის ორმოციან წლებშიც ისევ კახეთის მეფეს ემორჩილებოდა. ამ ფაქტს ადასტურებს ის ცნობები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია კახეთში 1640-1643 წლებში თავადი მიშეცკისა და „დიაკი“ კლიუჩარევის ელჩობის დროიდან. აი, რას აღნიშნავენ კახეთიდან შემახიისაკენ მიმავალი რუსი ელჩები: „Ноября в II день стого стану пошли и пришли на рубеже Теймураза Царя земли с шахового землею владения ряского салтана, на реку Каи“²³⁹. სრულიად აშკარაა, მდ. კანის აქეთა მხარე მათ დროსაც თეიმურაზ კახთა მეფის სამფლობელოს შეადგენდა.

საკუთრივ ელისუს სასულთნოს ნახურის სამფლობელოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია ეკავა. ჩრდილოეთით მას საზღვრავდა კავკასიის მთავარი ქედი, დასავლეთით – მდინარე ქაფი-ჩაი, სამხრეთით მდინარეები ალაზანი და ეგრი-ჩაი, აღმოსავლეთით მდინარე კანნიყობი („სისხლიანი ლელე“, „სისხლის ხევი“), რომლის იქით უკვე შექის სახანო იწყებოდა. ელისუს სასულთნოს ასეთი საზღვრები დადასტურებული გვაქვს თვით ელისუელი ახმად სულთნის მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც მან 1807 წლის 21 იანვარს წარუდგინა მთავარმართებელ გენერალ ი. ვ. გუდოვიჩს. მასში ახმად სულთანი წერს: „... всем известно, что границы моего владения к Шаке Капу-Коби, а к Чари кабичай“²⁴⁰.

ელისუს სასულთნოშიც, ისე როგორც ქარ-ბელაქანში, მთისძირა სოფლები ლეკებით იყო დასახლებული. ეს სოფლები იყოფოდნენ: ელისუს, ყარადულაქის და სუვაგილის ჯგუფებად. ელისუსა და ყარადულაქის ჯგუფის სოფლებს სასულთნოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ. მასში შედიოდა შემდეგი სოფლები: სარუბაში, ელისუ, ახჩაი (მდ. ქურმუხის აუზი), კოშკაჩაი, იუხარ-მალახი, უშაგ-მალახი და ამბარ-ჩაი. სასულთნოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა სუვაგილის ჯგუფის სოფლები: ბამ-სუვაგილი, კასი, ყარაკაი, კალალუ, აზ-გულ-ლუ, ჯიმჯიმახი, ქოთუქლო და ყუმი. მართალია, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი სოფლები ლეკებით იყო დასახლებული, მაგრამ ზოგიერთ მათგანში მულალებიც გვხვდებოდნენ. ასეთი სოფლები იყო ამბარ-ჩაი და ყუმი. აქ ეს მულალები ლეკების თანადროულად ჩნდებიან და სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორც თვით ლეკები²⁴¹.

სასულთნოს ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი უმთავრესად ლეკთა მიერ დამორჩილებულ ინგილოთა სოფლებს ეჭირა. ეს სოფლებია: კახი, სუსკენტი, მემბაბაში, ალიბეგლო, ბეუკ-ქეთუქლო, ყორაღანი და შოთავარი.

კახი ანუ, როგორც მას ძველი ქართული საისტრიო წყაროები იხსენიებენ, „კაკი“ ინგილოების უმთავრესი ცენტრი იყო ელისუს სასულთნოში. იგი ძველთაგანვე, ვიდრე XVII საუკუნის დასაწყისამდე კახეთის სამეფოს კუთვნილებას შეადგენდა (იხ. ზემოთ).

ყველაზე უძველესი ცნობა, სადაც კაკი (კახი) მოიხსენიება დათარიღებულია 1020 წ. ესაა „დანერილი“ მეღქისედეკ კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი, რომელ-

²³⁹ М. Полиевктов, Посольство князя Мышецкого и дьяка ключарева в Кахстию 1640-1643 гг. Тифлис, 1928, стр. 161.

²⁴⁰ ცხსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქ. 144, ფურც. 2-3.

²⁴¹ И. Линевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14.

შიც საკათალიკოსო ტაძრის მონასტრები და სოფლებია აღნიშნული – „და მონასტერი და სოფელი, რომელ მე მომიგინა ამის წმიდისა დედაქალაქისათვის: ... და კაკს ვაჭარი იბ(12)“²⁴². ეს ცნობა „მატიანე ქართლისაშიც“ არის ჩართული: „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელიქსედეკ მოიგო... შერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეხი და შერეთისავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი“²⁴³. თითქმის იგივეა აღნიშნული 1040 წ. ბაგრატ კურაპალატის გუჯრის ნაწყვეტშიც, ოღონდ აქ ვაჭართა რაოდენობა ორია (ბ) მითითებული – „და კაკს ვაჭარი ბ და ზიარი სოფელი დიდი“²⁴⁴. როგორც ვხედავთ, აქ იგივეა ნათქვამი, რაც ზემოთ აღნიშნულ წყაროში და ამიტომ, საფიქრებელია, აქაც ვაჭართა რაოდენობა 12 (იბ) უნდა იყოს და არა ორი.

XI-XIII სს-ში, ერთიანი ქართული მონარქიის პირობებში, კაკი მნიშვნელოვან ქალაქს უნდა წარმოადგენდეს. კაკის დაქვეითება-დაცემა უნდა მომხდარიყო XIV ს-ის ბოლო მეოთხედში თემურ-ლენგის შემოსევებთან დაკავშირებით, ხოლო მისი ხელახალი აღდგენა კი უკვე გვიანფეოდალური კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს წარმოქმნის დროს (XV ს-ის შუა ხანები). კაკის ხელმეორე დაცემა იწყება XVII ს-ის დასაწყისიდან, მას შემდეგ, როდესაც კახეთის ტერიტორიას ხელი შეახო შაჰ-აბასმა. 1604 წელს მან კახთა მეფე ალექსანდრეს (1574-1605) შერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი კაკი გამოსთხოვა. ვახუშტის სიტყვებით, „არამედ შემდგომად აღებისა ერევნისა მიულო ალექსანდრეს კაკი და მის წილ მოსცა შუდასი თუმანი ყოველს წელს, კუალად მოსცა ნიჭი და გამოუტევა კახეთს“²⁴⁵. 1640-1643 წწ. რუსების ელჩობის დროს კაკი თემურაზ მეფის სასაზღვრო სოფლად არის მოხსენიებული და იქ მხოლოდ 5 მოსახლეა ყოფილა²⁴⁶. ამ მხარეში სპარსულ-თურქმენული ელემენტის მოძღვარების შემდეგ პუნქტის სახელწოდება „კაკის“ ნაცვლად შემოდის „კახი“, აზერბაიჯანულად კი იგი იქცა Гax (გახ)-ად.

კაკთან დაკავშირებით ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ხალხში არსებულ გადმოცემაზე დიდისა და მცირე აზნაურთა ხეობების შესახებ. ეს ხეობები მდებარეობენ კაკის ტერიტორიაზე, მდინარე ქურმუხის მარცხენა მხარეს. ერთს ეწოდება „დიდი აზნაური“, მეორეს კი „მცირე აზნაური“. ხალხისავე გადმოცემის თანახმად, აქ ოდესღაც მსხდარან თავადნი და აზნაურნი. ტოპონიმი „აზნაური“ დღემდეა შემორჩენილი კაკის თავში, ქალაქის განაპირა ადგილის სახელწოდების აღსანიშნავად. აქ უნებურად გვახსენდება ჯუანშერის წყაროს ცნობა: ხომ არ არის ეს ის ადგილი, სადაც არჩილმა თავისი ტაძრეული მოიყვანა, დასვა აქ და „აზნაურ ყენა“?! დიდი და მცირე აზნაურის ხეობებთანვე მდებარეობს სოფელი „საკანი“, რომელიც კაკის ნაწილს შეადგენს.

კაკის დასავლეთ განაპირას, მდ. კობალას მარჯვენა მხარეს, ე. წ. საყარაულოს მთაზე, მდებარეობს კასრის წმ. სამების საყდარი. იგი მოხსენიებულია ე. წ.

²⁴² თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 33.

²⁴³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 295.

²⁴⁴ თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 185.

²⁴⁵ ვახუშტი, „აღმოჩენა და პურობა ანინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა“, ქართლის ცხოვრება, IV, დასახ. ნაშრომი, გვ. 579.

²⁴⁶ М. Полиевктов, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

მაღალაშვილისეული ოთხთავის 1310 წლით დათარიღებულ მინანერში, რომელიც წარმოადგენს ქურმუხის მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის ანდერძს. მასში აღნიშნულია, რომ XIV ს. I ნახევარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ექვთიმეს, სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად მოუნახულებია კასრის წმ. სამების ტაძარი – „მოიხილა... კასრი სამებისა“-ო.

პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობასთან. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული VIII ს-ის ანონიმური მატეანის მიხედვით, „მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურყენა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი – ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისასა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა ნუქეთს, და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“²⁴⁷...

კასრის სამებისაგან დღეს ფაქტობრივად მხოლოდ ნანგრევების გროვაა დარჩენილი. საყდარი ნაგები ყოფილა შირიმის და რიყის დაკუთხული და ფლეთილი ქვებით. იგი წარმოადგენდა დარბაზულ ეკლესიას გარე კედლების სწორკუთხედში მოქცეულ ნახევარწრიული აფსიდით. შემორჩენილია მეტ-ნაკლებად 1,5 მ-დე სიმაღლის კედლები, ისიც ერთთავად ქვების ყრილში მოქცეული. საყდრის მიახლოებითი ზომებია: 8,1x5,6, კედლის სისქე – 0,8 მ. აგური არსად არ ჩანს გამოყენებული. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში მოჩანს თალი, რომელიც მიწაში ზის. შესაძლოა აქ საძვალე იყო მოწყობილი. ეკლესიის სამხრეთით დაახლოებით 10 მ-ზე ქვით ნაგები და შიგნიდან კარგად გალესილი ცისტერნა ჩანს, რომელიც სანახევროდ ღორღითაა ამოვსებული. სიგანე დაახლოებით 2 მეტრია. შემორჩენილი ცარიელი სიმაღლეც 2მ. იქნება. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 მ-ზე, დამრეცხე შეჭრილი ყოფილა აკლდამის მსგავსი ქვის ვიწრო ნაგებობა. სიგანეა 1, სიმაღლე – 2, 1 მ, სიგრძე – 3, 85. გადახურვა ნახევრადწრიული თალისაგან არის შეკრული. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. ეკლესიის სიახლოვეს ასეთი აკლდამის აშენება რომელიღაც საეკლესიო თუ სხვა წარჩინებული პირის ან წმინდანის დასაკრძალავად შეიძლებოდა მოწყობილიყო. აკლდამა კარგა ხნის გაძარცვულია და იქ აღარაფერია დარჩენილი²⁴⁸. საყდრის ნანგრევი მთლიანად VIII ს-ისა შესაძლებელია იყოს. ზ. ედილის ცნობით ეს ეკლესია 1912 წელს განუახლებია საინგილოში კარგად ცნობილ მღვდელს მიხეილ ყულოშვილს²⁴⁹. „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერაში“ კაკის და საერთოდ მთელი მის გარშემო მდებარე რაიონის შესახებ ნათქვამია, რომ ამ მხარის მფლობელი „ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი იყო“, მაგრამ შემდეგში „დროთა შაჰაბაზ პირველისათა გამაჰმადიანებულა და გამდგარა კახეთის სამეფოსაგან“²⁵⁰. სოფელ კაკში, ინგილოების გარდა მულალებიც ცხოვრობდნენ. ისინი აქ შექის სახანოდან, ყაზახიდან და სხვა მუსლიმანური პროვინციებიდან არიან მოსულნი²⁵¹.

²⁴⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243-244.

²⁴⁸ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

²⁴⁹ ზ. ედილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

²⁵⁰ ლ. მელიქიძე-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

²⁵¹ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 30, „ზაქათალის კომისიის“ უურნალი № 41, შედგენილი 1872 წ. 4 ივლისი.

სოფლები მეშაბაში, ალიბეგლო და ქოთუქლო შექმნილნი არიან სოფ. კაკიდან გამოსული მცხოვრებლებისაგან. ეს სოფლები თავდაპირველად კაკის ახალშენებს წარმოადგენენ. ამ ადგილებში, კაკელებს უძველესი დროიდანვე ბინები ჰქონდათ, რომელნიც შემდგომში ცალკეულ სოფლებად ჩამოყალიბდნენ²⁵². სოფელი სუსკენტი (სოსიკაანი), როგორც „ზაქათალის კომისიის“ მასალებიდან ირკვევა, შექმნილია XVIII საუკუნის II ნახევარში, სულთან ხან-ბაბა-ბეგის დროს, სოფ. კაკიდან და ალიაბადიდან გამოსულ მცხოვრებლებისაგან²⁵³. სოფელი ყორალანი, თუ დავეყრდნობით იგივე „ზაქათალის კომისიის“ მასალებს, დაარსებულია 1808 წელს, ჭარელთა მონვევით, ჭარ-ბელაქანისა და ელისუს სასულთნოში არსებული სხვადასხვა ინგილოური სოფლების მცხოვრებლებთაგან²⁵⁴. რაც შეეხება სოფელ შოთაყარს, მას საფუძველი ჩაეყარა 1814 წელს. იგი დაუარსებიათ ინგილოური სოფლის ვერხვიანის მცხოვრებლებს, რომელნიც აქ ჭარელთა ნებართვით დასახლდნენ²⁵⁵.

კახის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით, კავკასიონის მთავარი ქედის ალაზნის ველისკენ დაშვებული ტოტის კიდეზე, ე. წ. კანგარის-კანგარაკის მთის ტყით დაფარულ კლდოვან თხემზე, აგებულია ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „ქურმუხის წმინდა გიორგის“. იგი აშენებულია კარგად გამომწვარი წითელი აგურისაგან, კირის დულაბზე. კედლებში გამოყენებულია აგრეთვე „ტინისა“ და „სიპი“ ქვებიც. ფრონტონები და გუმბათის ყელი მთლიანად აგურისაა. ძველი ეკლესიისაგან აქ აღარაფერი ჩანს. 1894 წ. მის ნანგრევებზე აუგიათ ახალი ტაძარი. 1968 წელს ჩამოინგრა გუმბათის კონუსისებრი სახურავი, რაც ამახინჯებს ტაძრის სილუეტს. ქურმუხის ტაძრის გეგმის კომპოზიცია სწორკუთხედს წარმოადგენს. იგი არის მთლიანად XIX ს-ის საქართველოსთვის დამახასიათებელი „ჩანერილი ჯურის ტიპის“ ძეგლი, გარე კედლების სწორკუთხედში მოქცეული განვითარებული სამნაწილიანი საკურთხევლით. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან.

ქურმუხის წმ. გიორგის ტაძრის აგების ხანა, ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ვარაუდით, XIII-XIV სს-ებით უნდა განისაზღვროს. მისი ზუსტი პარალელები გავრცელებულია კახეთის ტერიტორიაზე²⁵⁶.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ქურმუხის ტაძარი მრავალჯერ ყოფილა აოხრებული და დანგრეული მტრების მიერ, მაგრამ ხალხს იგი მრავალჯერვე აღუდგენია. ქურმუხის ტაძარი დანგრეული ყოფილა ჯერ კიდევ 1884 წლამდე. ახლანდელი ეკლესია აღდგენილია და დასრულებული 1894 წელს.

ქურმუხისავე ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს, მისი ორი მარცხენა შენაკადის, ოქონისა და მიკირკის ლელებს შორის მოთავსებულ ქედზე მდებარეობს ქურმუხის ციხესიმაგრე. ამ ციხის თაობაზე ვახუშტი წერს შემდეგს: „კვალად გი-

²⁵² ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 32.

²⁵³ იქვე, ფურც. 39-40, „ზაქათალის კომისიის“ ჟურნალი 38, შედგენილი 1872 წ. 10 თებერვალი.

²⁵⁴ იქვე, საქ. 1, ფურც. 80, „ზაქათალის კომისიის“ ჟურნალი 15, 1870 წ. 29 აპრილი.

²⁵⁵ იქვე, ფურც. 74-75.

²⁵⁶ ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, 141, 176.

შის წყლის შესართავს ზეით, ამ გიშის წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის წყალი, გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩრდილოდამ სამჭრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმაგრე დიდმენი, და ან სახლი ალი-სულთნისა²⁵⁷. ეს ციხესიმაგრე აშენებული უნდა იყოს XV ს-ის ბოლოდან შექმნილი ვითარების გამო. იგი გამიზნული იყო ნახურელ ლეკთა თარეშის ასალაგმავად. ციხე-სიმაგრე დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. თავსა და ბოლოში ძირითადი დამცველი კოშკები ჰქონდა დატანებული, დასავლეთისა არ არის შემონახული. აღმოსავლეთის კოშკი დაახლოებით 15-16 მ. შემორჩენილი. აქედან დიდი ნაწილი უკავია ცოკოლს, რომელიც მაღლა ვინროვდება. კოშკში შემორჩენილია სამი სართული. ჩრდილოეთ კედელში დატანებულია ნახევარწრიული ერთი მომცრო ბურჯი, სამხრეთ კედელში კი მსგავსივე ოთხი ბურჯია. როგორც აღვნიშნეთ, ციხესიმაგრე მთიელ ტომთა შემოსევების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩანს აგებული²⁵⁸.

ქურმუხის ხეობის ბარის მოსახლეობის მთასთან მჭიდრო ურთიერთობის არსებობის აშკარა დამადასტურებელია კაკისა და ელისუს შორის შუა გზაზე, მდინარე ქურმუხზე აგებული ხიდი, რომელსაც კაკელები თამარ მეფის ხიდს ეძახიან, თათრები კი ულუ ქორფს (მაღალი ხიდი). ხიდს დღესაც იყენებენ და ის ერთადერთია ხეობაში. იგი ცალმალიანია, თალი აგურითაა ნაგები, დანარჩენი კი რიყის ქვით. სავალი ნაწილის სიგანე ყველაზე ვიწრო 4 მეტრია. ხიდის სიგანე 50 მეტრს უდრის. რამდენად შეიძლება მდ. ქურმუხზე ხიდის აგება დავუკავშიროთ თამარ მეფეს, ეს ერთობ ძნელი დასამტკიცებელია, გარეგანი ფორმის მიხედვით კი ის ძლიერ ნააგავს X-XIII სს. სამხრეთ საქართველოსა და აჭარაში გავრცელებულ ხიდებს²⁵⁹. ვფიქრობთ, სწორედ ამ ხიდზე გადიოდა, ალბათ, „გზა ლეკეთისა“.

აღნიშნული ხიდი ძველ საქართველოში (XII-XIV სს.) ფართოდ გავრცელებული ერთთალიანი ასიმეტრიული კომპოზიციის ფრიად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. თალის მოხაზულობა წრიული რკალის თარგზეა აგებული, რომელიც შეკრულია კვადრატული ფორმის (22x22) თხელი ქართული აგურის წყობით, კირის ხსნარზე. ხიდის ფასადის კედლები, მასიური ქვის მოაჯირები, თალის საყრდენი ქუსლები და განაპირა ბურჯები, რომლებიც კლდეზეა დაბჯენილი, ძირითადად დიდი ზომის რიყის ქვებისგანაა აგებული.

დასასრულ, საყურადღებოა ტერმინ „ინგილოს“ წარმოშობისა და შინაარსის გარკვევა. ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ შეგროვილ მასალებში დაცული ცნობებით, ამ ტერმინით აღინიშნება აღმოსავლეთ კახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოსახლებულმა ლეკებმა დაიპყრეს და გაამუსლიმანეს. მუსლიმანური სარწმუნოების მიღების შემდეგ მათ ეწოდათ „ინგილო“, რაც ნიშნავს „ახლად მოქცეულს“²⁶⁰. დ. ბაქრაძის განმარტებით, სახელწოდება „ინგილო“ წარმოშობილია თურქული სიტყვა „ენგი“-დან (ქართულად ახალს ნიშნავს). აქედან წარმოდგა სიტყვა „ენგილავ“, ქართვე-

²⁵⁷ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 439.

²⁵⁸ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, 190-191.

²⁵⁹ იქვე, გვ. 191-192.

²⁶⁰ გ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 497.

ლების მიერ „ინგილოდ“ გადაკეთებული და ნიშნავს ახლადმოქცეულს²⁶¹. ზუსტად ასევე განმარტავს ამ ტერმინს ი. პეტრუშევსკიც²⁶².

მ. ჯანაშვილს სიტყვა „ინგილოს“ ახსნა, როგორც ახლად მოქცეული, გადარჯულებული – ნაჩქარევად მიაჩნია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ერთ-ერთ აქაურ სოფელსაც ჰქვიან ჰენგიანი“, და გარდა ამისა, მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საინგილოს და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებებს შორის დიდი მსგავსება არსებობს. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: საინგილოს „უმთავრეს მდინარეს და სამეგრელოს უპირველეს მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიანო: ეგრის-წყალი ანუ ეგრი-აგრი (იგივე ენგური – ინგური და ინგირი, მეგრ. გამოთქმა). ყოველივე ამის შემდეგ, მ. ჯანაშვილი აკეთებს მეტად საეჭვო დასკვნას: „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩნია ანუ იმავე ინგირად, ე. ი. ეგრელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (მე-V ს. ქრ. წ.) იხსენიებენ ვით – სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ჰენიოხად“... მისი აზრით, შესაძლებელია, რომ „ხალხების ცნობილი აყრა-დაყრის დროს ეს ჰენიოხები გადმოტყორცნილ ყოფილიყვნენ დღევანდელ საინგილოში და აქ თავისი თავდაპირველი სახელი მიეკუთვნებინოთ“ მთელი რიგი ადგილებისათვის, მათ შორის სოფ. ჰენგიანისათვის და თვითონაც სახელი ჰენიოხი გადასცელოდეთ ჰენგილოდ – ინგილოდ²⁶³. მ. დუმბაძის აზრით „ინგილო“, „ენგილო“ – ენისელის მკვიდრ ქართველთა დიდი ნაწილის გამუსლიმანების მაჩვენებელია; ამის შემდეგ და ამის გამო უნდა გაჩენილიყო „საინგილო“²⁶⁴. ასეთია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ტერმინ „ინგილოს“ შესახებ.

ჩვენი აზრით, ტერმინი „ინგილო“ არ ნიშნავს ახლად მოქცეულს, ახლად მორჯულებულს. იგი წარმომადგარი უნდა იყოს საინგილოს ერთ-ერთი ქართული სოფლის „ჰენგიანის“ – სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათანობით ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად აღმოსავლეთ კახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობისა, რომელიც დაპყრობილი იქნა ლეკთა მიერ. ასე რომ „ინგილო“ არ არის ეთნიკური ცნება, ეთნიკურად ინგილო ქართველია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინი „ინგილო“ უფრო სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის მქონე ცნებაა, ვიდრე გამუსლიმანების მაჩვენებელი.

²⁶¹ Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

²⁶² И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

²⁶³ მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1913 წ., გვ. 88-89.

²⁶⁴ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 557.

საინფორმაციო XVIII საუკუნეში

XVIII საუკუნის დასაწყისში გაიზარდა ავარიელ ლეკთა „უბატონო თემების“ პოლიტიკური წონა მთელს ამიერკავკასიაში. უბატონო თემებს შორის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ჭარის თემი იყო. იგი სარგებლობდა ყველაზე დიდი უპირატესობით ჭარ-ბელაქნის მმართველობაში. ჭარის თემი ამტიკიცებდა არა მარტო ელისუს სულთნებს, რომელთაც თავიანთი სამფლობელო მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული, არამედ ნუხის ხანებიც მისი დასტურით სხდებოდნენ სამმართველოდ¹. ამათგან ელისუს სასულთნო, თავისი წარმოების საშუალებებით და მოსახლეობის რაოდენობით სრულიად არ ჩამოუვარდებოდა ჭარ-ბელაქნის ხუთივე თავისუფალ თემს ერთად აღებულს, მაშ რით იყო გამოწვეული ჭარის ასეთი ძლიერი გავლენა? პოლკოვნიკი კოცებუ ასახელებს შემდეგ მიზეზებს: 1) ჭარელებს ჰქონდათ ყველაზე უფრო მეტი რაოდენობის საქეშქელო სოფლები და, აქედან გამომდინარე, შემოსავალსაც დანარჩენ თემებთან შედარებით მეტს იღებდნენ. 2) სიმდიდრე მათ შესაძლებლობას აძლევდა კავშირი დაემყარებინათ დაღისტანთან და გლუხოდარებთან, რასაც სხვა თემები მოკლებულნი იყვნენ, 3) ჭარის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა – ჭარის ხეობა ბუნებრივად გამაგრებული და მტერთაგან მიუდგომელი ადგილია². მაგრამ მარტო ამ მიზეზებით ვერ ავხსნით ჭარის თემის გაბატონებულ მდგომარეობას მთელს ჭარ-ბელაქანში. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ჭარი იყო მთავარი ორგანიზატორი იმ განუწყვეტელი თავდასხმებისა, რომლებსაც ჭარ-ბელაქნელი ლეკები, თავიანთ დაღესტნელ მეზობლებთან ერთად, საქართველოზე, აზერბაიჯანზე და საერთოდ ამიერკავკასიის სხვა შორეულ რაიონებზე ახდენდნენ. ამ მხრივ გადამითიელმა ლეკებმა ჭარ-ბელაქანი საიმედო დასაყრდენ ბაზად გაიხადეს. გაცილებით უფრო დიდი იყო ჭარის როლი კავკასიაში ტყვეებით ვაჭრობის საქმეში. XIX საუკუნის დასაწყისამდე და მის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში, ჭარი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზარი კავკასიაში, სადაც ტყვეების აღებ-მიცემობა სწარმოებდა. ტყვეების უმრავლესობა ჭარელებს საქართველოდან გაჰყავდათ. კავკასიის შესახებ „უახლესი გეოგრაფიული და ისტორიული ცნობების“ შემდგენი ს. ბრონე-სკი, როდესაც ეხება ტყვეებით ვაჭრობის საკითხს კავკასიაში, წერს: „კავკასიის შიგნით არსებობს ორი მთავარი ბაზარი: ერთია აქსავეის მხარეში, სოფელ ენდერში, რომელსაც რუსები ანდრეევის სოფელს უწოდებენ (ყიზლარიდან 85 ვერსტის დაშორებით), ხოლო მეორე ლეკეთში, ჭარის რესპუბლიკის მთავარ სოფელ ჭარში. ლეკებს ტყვეები ჭარიდან – განაგრძობს ს. ბრონე-სკი – გაყავთ საქართველოზე ტყვეებსა და მთებში ფარული გზებით ახალციხეში და აქედან შავი ზღვის ნავსადგურებში ბათომსა და ფოთში. ამასთანავე, იმ მიზნით, რათა გაიმრავლონ ტყვეები საქართველოს მცხოვრებთა მოტაცების მეოხებით, ისინი იყოფიან პატარ-პა-

¹ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 510.

² Коцебу, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-11.

ტარა რაზმებად: ერთნი ტყვეებს აცილებენ, მეორენი ცდილობენ კიდევ ახალთა მოტაცებას. ისინი ახერხებენ იმავე ზაფხულს ან შუა შემოდგომის დადგომამდე დაბრუნდნენ ისევ ქარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზამთარი მოუსწრებთ ახალციხეში, ისინი შედიან ახალციხის ფაშის სამსახურში, იმ პირობით, რომ მათ ნება მიეცეთ ძარცვა-თარეში მოაწყონ ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში, ამ მხრივ ისინი ფაშასაგან უარს არ ლებულობენ. ამ სახით ლეკებმა განამტკიცეს თავიანთი კავშირი თურქებთან, დაანესეს რეგულარული მიმოსვლა საქართველოზე გავლით დაღესტნისათვის ტყვეების მთავარ სავაჭრო ქარსა და ახალციხეს შორის ისე რომ, საქართველო გადაიქცა უმწეო მსხვერპლად თავისი მძვინვარე მტრებისა³. ზემოთქმულის შემდეგ, ნათელი უნდა იყოს, თუ რამდენად საბედისწერო შედეგები მოჰქონდა კახეთისათვის ქარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ მეზობლობას. XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, კახეთის მეფეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ როგორმე „დააცხრონ ჭირი ესე კახეთისა“⁴, დაიპყრონ ქარ-ბელაქანი და ამით ბოლო მოუღონ ლეკების მიერ სოფლების სისტემატურ ძარცვასა და რბევას.

XVIII საუკუნის დასაწყისში კახელების ბრძოლას ქარ-ბელაქნის წინააღმდეგ დავით იმამყული-ხანი ხელმძღვანელობდა (1703-1722 წწ.). ვახუშტის მოთხრობით, 1706 წელს დავით იმამყული-ხანი კახელთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა შეერთებული ლაშქრით ვარდიანს დადგა. აქედან მან ჯარი შეუსია სოფ. ჩარდახს. კახელებმა პირველად გაიმარჯვეს კიდევ: მათ ააოხრეს და მოსწვეს ქარის სოფლები. მაგრამ, ამის შემდეგ ლაშქრობის ბედი უკუღმა შეტრიალდა: ქარელებმა შეამჩნიეს ერთ ადგილას განმარტოებით მდგომი იმამყული-ხანი, რომელიც მცირერიცხოვანი ამალით (60 კაცი) თავის ჯარს ჩამოშორებოდა. ქარელები მოულოდნელად თავს დაესხნენ მეფის ამალას და თვით მეფესაც ტყვედ შეიპყრობდნენ, უეცრად ამ დროს თუშთა რაზმი რომ არ გამოჩენილიყო, რომელმაც მეფე გამოსტაცა მტრის რაზმებს და ყარაღაჯში მოიყვანა. კახთა ლაშქარი აირია, დაიფანტა და გაქცევით უშველა თავს. უკუქცეულ კახელთა ლაშქარს ლეკები თან გამოედევნენ და მრავალი დახოცეს. ამ დამარცხების შემდეგ, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, ქარელებმა კახეთზე თარეშები უფრო გაახშირეს. ქარელი ლეკების თარეშებმა იმდენად საშიში ხასიათი მიიღო, რომ დავით იმამყული-ხანი იძულებული გახდა თავისი იმდროინდელი რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავში გადმოეთანა⁵. კახელებისა და მათი მეფის დავითის დამარცხების შესახებ „ქარის ომების ქრონიკის“ ავტორიც მოგვითხრობს: „Имам-кули-хан, правитель (вали) Кахетии прибыл с большим войском из Чардаха и напал на мусульман Джара, Талы и других, но с божьей помощью был обращен в бегстве, оставив добычи громадное количество“⁶. ზემოთ მოტანილ ცნობებში, რომელნიც ვახუშტის და „ქარის ომების ქრონიკის“ ავტორს ეკუთვნის, ჩვენს ყურადღებას იპყრობენ სოფლები ვარდიანი და ჩარდახი. აღნიშნული სოფლები ქარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ერთი

³ С. Броневский, «Новейшая географическая и историческая известия о Кавказе», часть первая. Москва, 1823 г., стр. 312-315.

⁴ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 132.

⁵ იქვე, გვ. 132-133.

⁶ Хроника войн Джара в XVIII столетии, стр. 9.

მეორეზე მიყოლებით მდებარეობენ ელისენში. როგორც საისტორიო წყაროთა მონაცემებიდან ჩანს, ეს სოფლები გამწვავებული ბრძოლების ობიექტებს წარმოადგენდნენ იმ ბრძოლებში, რომელსაც კახელები დავით იმამყული-ხანის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ ჭარელთა წინააღმდეგ. და საერთოდ, ერთობ მკაფიო და გამოკვეთილი სურათი იხატება სწორედ ამ პერიოდისათვის (1706 წლის შემდგომი ხანა): დავით იმამყული-ხანის (1703-1722 წწ.) დროს, ავარიელ ლეკთა „უბატონო თემებმა“ შესძლეს უფრო მტიკცედ მოეკიდებინათ ფეხი აღმოსავლეთ კახეთში და დაიპყრეს ელისენი. ვახუშტიც ხომ, ამ მოვლენებთან დაკავშირებით, პირდაპირ მოგვითხრობს: „დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშქრობა და მოაოხრნეს მრავალი დაბნები, ესრეთ რამეთუ დაუტოვა იმამ-ყული-ხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თელავს და მანავს“⁷. ვარდიანს, მას შემდეგ, რაც ელისენში ლეკთა მფლობელობა მყარდება, სახელი ეცვლება და იგი გულლუგად იწოდება. ვარდიანს გულლუგის სახელწოდებით იხსენიებს უკვე აკად. ი. ა. გიულდენშტედტი (Guluk). ზემოხსენებული ორივე ის მთიძირა სოფელი, ვარდიანიც და ჩარდახიც, ამჟამად ლეკებითაა დასახლებული. ამ სოფლების მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ავარიელი ლეკების აქ ჩამოსახლებისას „გაღეკდა“, ეთნიკურად შეერწყა მათ.

ჭარელები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ არა მარტო მათ მახლობლად მდებარე კახეთის სოფლებს, არამედ მათი რაზმები ხშირად თავზარს ცემდნენ ჭარიდან დიდად დაშორებულ ტერიტორიებსაც. 1710 წელს ჭარელებმა ნახურელებთან ერთად შირვანი დალაშქრეს. ბრძოლაში მოკლული იქნა შირვანის მფლობელი ჰასან-ალიხანი. ჭარელებმა შემახია აილეს და საშინლად გაანადგურეს იგი⁸. 1715 წლისათვის ჭარელ ლეკთა თარეშებმა კახეთში უფრო იმატა. მათი ალაგმვის მიზნით, დავით იმამყული-ხანმა დაანინაურა ყიასა ვეზირი: მიცა მას კახეთის ჯარების სარდლობა და მასვე ჩააბარა აგრეთვე ქიზიყის მოურაობაც. ყიასა ვეზირმა თავისი ენერგიული მოქმედებით შესძლო მცირე ხნით ჭარელების რამდენადმე დაწყნარება⁹. მაგრამ ჭარელი ლეკების სრულ ალაგმვაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. ჩქარა ამის შემდეგ ჭარელები ისევ გამოვიდნენ კახეთის სოფლების სარბევად. კახელი თავადები მსწრაფლ გაემართნენ მათ შესახვედრად, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ჭარელთა წინააღმდეგ ამ ბრძოლაში დაიღუპა მერაბ ენისელის მოურავი და 24 სხვა კახელი თავადი¹⁰. ჭარის ომების ქრონიკის ავტორის ცნობით, 1715 წელს ჭარის, ბელაქნის, თალას, მუხახის და სხვ. თავისუფალ თემებს დავით იმამყული-ხანთან ზავი დაუდიათ. ამ ზავის მიხედვით, დავით იმამყული-ხანს ყოველწლიურად ჭარელთა სასარგებლოდ ხარკი უნდა ეხადა ასი თუმნის რაოდენობით¹¹. ქართული წყაროები ამ ხარკის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. ხოლო რაც შეეხება ზავს, ამის შესახებ ქართული წყაროებიც მოგვითხრობენ: ლეკებთან მორიგება მომხდარა იმ პირობით, რომ კახელებს ლეკთა თარეშისათვის წინამძღვრობა უნდა გაენიათ გზის ჩვენებით და თავისუფლად გაეშვათ ისინი ქართლისაკენ¹².

⁷ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, ქართლის ცხოვრება II, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 132-133.

⁸ Абас-Кули-Ага Бакиханов, Кудси, Гюлистам Ирам, Баку, 1826, стр. 102.

⁹ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

¹⁰ ვახუშტი, იქვე.

¹¹ Хроника войны Джара в XVIII столетии, стр. 10.

¹² ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

1719-1722 წლებში ქარელი ლეკების თარეშმა კახეთში სრულიად არაჩვეულებრივი გაქანება მიიღო. ჩვენამდე მოღწეულია კახეთის მეფის, დავით იმამყული ხანის მიერ ჰუსეინ-ყული-ხანისადმი (ვახტანგ VI-სადმი – თ. პ.) გაგზავნილი წერილები, რომლებიც ნათლად გვისურათებენ იმ დროს კახეთში შექმნილ მდგომარეობას. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ლეკთა თარეშებს მეტად საშიში ხასიათი მიუღიათ. მთელი კახეთი „გალეკების“ საფრთხის წინაშე დადგა. შეშფოთებული დავით მეფე ვახტანგს ატყობინებდა, რომ გავაზელთ და გაღმა მხარის სოფლებმა „პირი მისცეს ლეკებს“ და მათ მხარეზე გადასვლა დაიწყეს (თუ რა ინვევდა კახელი გლეხის ლეკების მხარეზე გადასვლას, ამის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომის II თავი — „საინგილოს ისტორიული გეოგრაფია“). მოვიტანოთ ვრცელი ნაწყვეტი თვით წერილიდან. „ამ ქვეყნების ლეკისაგან ძალის წამოტანება და დღე ყოველი ხმაღს ქვეშე ყოფნა მუდამ მოგვიხსენებია და მაშინ გავაზელთ და გაღმა მხარის სოფლებს, რომ ლეკთ ლაპარაკი დაუწყეს და ხელმწიფისაგან ჯარის მოშლისა და მას უკან ჯარის მოუშველებლობისა და უიმედობის ხმა შემოუგდეს და ნამეტანავის ძალის წამოტანებით და ზოგი გლეხის კაცის უჭკუობით, ამათაც პირის მიცემა მოინდომეს, ის ამბავი ხომ მაშინვე ხელმწიფესაც მოვახსენეთ და თქვენც შეგატყობინეთ და მოგახსენეთ. ახლა ხომ იმ სოფლებმა პირი მისცეს, მათს ლაშქარში ერეკებიან და როგორც შექი და კაბალა ლეკთ მიუდგენ და მათს ლაშქარში ერევიან და როგორც იმათთან შირვანს არბევენ, ნახეს რომ იმათ არა გარდახდათრა, ამათაც ისე ქნეს: ლეკნი და ესენი ერთად მუდამ ქვეყანას არბევენ, დღე არ გამოვა, რომ არსად მოუხდენ... ამდენი ომი და ხმაღს ქვეშ ყოფნა, თქვენც მოგეხსენებათ, კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის კაცი დიად შესჯერდა. გლეხმა კაცმა სამუშაოდ ველარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს, ისინი სწვავენ. აქამდის ქარელნი, თალელნი და პირიქით ლეკნი ლაშქრობდნენ..., ახლა რომ აგრილდა გულხადარის ჯარი ჩამოასხეს: გულხადარა და ესენი: ქარელნი და პირაქეთ ლეკნი ერთად დიდი ჯარი შეყარესო – განაგრძობს დავით იმამყული ხანი – ისინი ეხლა გავაზს დგანანო და „გლებ კაცს ამას ემოციქულებიან: ჩვენი პირობა დაიჭირეთო და თქვენ აღარას შეგცოდებთო. და ამ მოხდომაში ამავე სიტყვით ბევრი ელაპარაკნათ, თქვენც მოგეხსენებათ გლებ კაცს მოკლე ჭკვა აქვს, რაც თვალთ არ ნახავს, მის მეტი არა იციან რა და მერმე მეშველი ჯარი ვერსაით ნახეს, მუდმის ბრძოლისაგან შეწუხებულნი დიად უიმედოთ გახდნენ და ეჭვს იქით ვართ, რომ რაც გლები კაცი დარჩომილა, ესენიც პირს მისცემენ და რახან გლები კაცი იმათს პირობას დაიჭერს, ზოგი თავადიც არს, რომ ისინიც მიჰყვებიან და ამაში საქმე უფრო გაძნელდება“¹³. დავით მეფე, როგორც ამ წერილიდან დავინახეთ, კახელი გლეხების ლეკების მხარეზე გადასვლას, „გლები კაცის უჭკუობით“ ხსნიდა, რაც სწორი არ არის. საერთოდ, როგორც აკად ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „მრავალი რამ უშლიდა ხელს კახელი გლეხების ლეკებთან გაერთიანებას. ლეკები უცხო ტომისანი იყვნენ და მაჰმადიანები, კახელები კი ქრისტიანები, ლეკი აბრაგები საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტილ თავს ესხმოდნენ კახეთის სოფლებს, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ გლეხობას და მის სარჩო

¹³ დ. მეგრულაძე, მასალები XVIII ს. ოცნანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის., ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 164-165.

საბადებელს. ამიტომ კახელები, ბუნებრივია, ლეკებს თავიანთ მტრებად სთვლიდნენ... მაგრამ კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლედა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ „უბატონობას ეძებდა“¹⁴.

1721 წელს, როდესაც ლეკებმა თითქმის მთელი შირვანი ხელში ჩაიგდეს, სპარსეთის შაჰმა ვახტანგ VI უბრძანა ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა. ამ ამბით გახარებული დავით იმამყული-ხანიც ქარელთა წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მან ვახტანგს კახელი ეპისკოპოსები და დარბაისელნი გაუგზავნა, რათა მათ ვახტანგთან ერთად ლეკების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების საშუალებები დაესახათ. ვახტანგმა, თავის მხრივ, კახეთზე „მოშველების თადარიგი“ დაიჭირა, მაგრამ სწორედ ამ დროს მას შაჰისაგან რაყაში მოუვიდა: შაჰი ვახტანგს ლეკებზე ლაშქრობის მოშლას უბრძანებდა. კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ვახტანგის უკან გაბრუნებამ ქვეყანას გული გაუტეხა. ლეკებმა კახეთის სოფლებს ლაპარაკი დაუნყესო, ატყობინებდა დავით იმამყული-ხანი ვახტანგს – „ხელმწიფემ ქართველი ბატონი იმაზე გააბრუნა, რომე თქვენზე ხელი აიღო და თვალითაც თქვენი გაბრუნება ნახეს და თქვენც მოგეხსენებათ მრავალჯერ მტრისაგან მოთხრილი და შეწუხებული გლეხი ადვილად მოტყუვდება, ამათ ლეკის პირი დაიჭირეს და ლეკს მიუდგენ. ისინი ქვეყანას მტერობენ და ეს საქმე ხელმწიფის დოვლათის საზიანო და ქვეყნების მოსათხრელი არის“. მთელი კახეთის „გალეკების“ შიშით შეპყრობილი დავითი ვახტანგს წერდა, რომ თუ კახეთს ამ ზაფხულს „მაშველი არ მოუვიდა“, მაშინ „ვინც დარჩომილან და ან ვინც დახიზნულან ესენიც ლეკს პირს მისცემენ და რახან ლეკნი და კახნი ერთს პირს დაიჭირენ, ადრბეჟანს და აქათის სარათებს დიალ ძალს უზამენ და ამათი თამბა ძნელი შეიქმნების. და თუ ადრე ამავე ზაფხულს ამათ ქომაგი მოუშველათ, ვინც უკუმდგარნი არიან, ისინიც ადრე გამობრუნდებიან და ლეკის თამბაც გაადვილდება, თუ არა და ქვეყნები განიავდება“¹⁵. დავით იმამყული-ხანი ხედავდა რა კარზე მომდგარ საფრთხეს, ვახტანგს შველასა და დახმარებას თხოვდა. მაგრამ კახეთის მეფისა და მისი თავადაზნაურობის დასახმარებლად წამოსული მაშველი ჯარი არსად ჩანდა. ამრიგად, თხუთმეტწლიანი სასონარკვეთილი და გმირული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. დავით იმამყული-ხანმა ვერ შესძლო ჭარ-ბელაქანის საკითხის გადაწყვეტა, პირიქით, ავარიელი და ნახურელი ლეკების თავისუფალმა თემებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი სამფლობელოს პოლიტიკური მდგომარეობა და საგრძნობლად გააფართოეს მათ მიერ წინათ დაპყრობილი კახეთის სამეფოს ტერიტორიები. დავით იმამყული-ხანის პოზიცია ჭარ-ბელაქანის საკითხში ნათლად ჩანს მის მიერვე 1722 წელს გაცემულ ე. წ. „ღმერთების გუჯარი“-დან. როგორც ამ შესანიშნავი ძეგლიდან ირკვევა, დავით იმამყული-ხანს მარტყოფის ღვთაებისათვის შეუწირავს: „ენისელთა შინა გოგამნი სოფელი, კვამლი სამოცი, თვისის სამართლიანის რიგით გარიგებული, მუნით აბრეშუმნი მრავალნი, ვითა ენისელთა შინა აძენ, ეგრეთ პურნი, ქერნი და ბრინჯნი, ბაჟნი, ფანჯიქენი და ყოველი გამოსავალი სარუსთველო და საღმრთაებო არის,

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 187-188.

¹⁵ დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

რომელ არც მოურავთა, არცა კარისა ჩვენისა მოხელეთა საქმე არა უცან; ამისად გარდა, ძველნიცა გუჯარნი აქვან¹⁶. დოკუმენტში მოხსენიებული „ენისელთა შინა გოგამნი სოფელი“, როგორც ცნობილია, იყო ქარის თემში შემავალი ერთ-ერთი სოფელი. ზემოხსენებულ გუჯარში მკვლევარის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დავით იმამყული-ხანის ტიტულატურაც: „პატრონი კახეთისა“, „მფლობელი და მპყრობელი რანთა და კახთა“¹⁷. ქარ-ბელაქნის საკითხთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს იმავე დავით იმამყული-ხანის მიერ 1722 წელს დამტკიცებული ერთი საბუთი: „განწესება სარუსთველო დროშისა“. მასში ვკითხულობთ: „ესრეთ შემოეყარნენ ღმრთაებისა და, ვითა ძველთა მეფეთა ებრძანა, ანუ ჩვენ განვაგეთ, იმ რიგად რუსთველთ მორჩილებდენ და სიტყვას გაუგონებდენ და მათსა რჩევასა და სამჯობინარს; და ჩვენის ჯარის რიგს, თავადების რჩევით, რუსთველნი უძლებოდნენ არა სპათა და ჯართა, რომელნი ან დაგვიწერიან.

ესენი არიან თავადნი, აზნაურნი, ეპისკოპოსნი, გლეხნი და წინამძღვარნი: ენისელთ მოურავი, ენისლით, ყმით და სახლის-კაცით“; „...ანე სახასონი ჩვენნი ესე არიან; სახასო ენისელი, ...“¹⁸ ზემოთ მოტანილი ამონაწერები დოკუმენტური წყაროებიდან ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ ესახებოდა დავით იმამყული-ხანის ხელისუფლებას ქარ-ბელაქანის საკითხის გადაწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ კაკ-ელისენი უკვე კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული, აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფაქტის დადასტურება, რომ მასში ჩანს დავითის მისწრაფება ხაზი გაუსვას და გამოააშკაროს თავისი უფლება კაკ-ელისენზე. დავით იმამყული-ხანის გეგმა ასეთი იყო: ნაძალადევად მიტაცებულ ამ ისტორიული ჰერეთის მიწაზე და მის ქართულ მოსახლეობაზე დამპყრობელ ლეკთა ჯამაათების ბატონობის მოშლა და იქ საქართველოს აღდგენა. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, დავით იმამყული-ხანის დროს ეს ისტორიული უსამართლობა ქარ-ბელაქანში არ გასწორდა. საქართველოს აღმოსავლეთით მისი ბუნებრივი ზღუდე კვლავ მორღვეული რჩებოდა. დაღესტნის მშიერ და ნახევრად ველურ ტომებს კაკ-ელისენში მტკიცე ბაზისი შეექმნათ, ქართლ-კახეთის მოსახლეობის დასარბევად და დასატყვევებლად. ავარიელ და ნახურელ ლეკთა „თავისუფალმა თემებმა“, რომელნიც ერთგვარ პატარ-პატარა რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ, კოლექტიური ბატონყმობის უღელი დაადეს აქაურ გადარჩენილ ქართველ ქრისტიან გლეხობას. აი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა სამეფო, როდესაც 1722 წელს კახეთის მეფე დავით იმამყული-ხანი გარდაიცვალა და კახეთის ტახტი მისმა ძმამ, კონსტანტინე მაჰმადყული-ხანმა დაიჭირა (1722-1733 წწ.).

კონსტანტინეს მეფობის დროს ქარელი ლეკების თარეშებმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ქარელებმა მათ მიერ დაპყრობილი კახეთის ტერიტორიის კიდევ უფრო გაფართოება მოინდომეს. ამ მიზნით, მათ მთელი კახეთის ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. ეს მათ დაღესტნელი გლუხოდარების დახმარებით კიდევ მოიყვანეს სისრულეში. ქარის ომების ქრონიკის ავტორი, 1723 წლის ქვეშ აღნიშნავს: „Кахетия

¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 370.

¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 358.

¹⁸ იქვე, გვ. 386, 387.

находилась тогда в зависимости от Джара и Талы, а Алаверд, Телав до Гаваза и Гурджаана под управлением Булкадарцев"¹⁹. კონსტანტინეს კახეთში აღარ ედგომებოდა, იგი დიდებულებიანად ფშავში გაიხიზნა. კახეთში მოლები გაჩნდნენ და მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება დაიწყეს²⁰. ამ ამბავმა კახეთში გლეხთა საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. აჯანყება თელაველებმა დაიწყეს, მათ სასტიკად დაამარცხეს ჭარელთა და დაღესტნელთა გაერთიანებული ლაშქარი, რომელსაც ქალაქის ხელში ჩაგდება ენადა. ჭარელთა ამ დამარცხებამ უფრო გაამხნევა კახელები. თელაველთა მაგალითს კახეთის ბევრმა სხვა კუთხემაც მიბაძა. როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, მათ „მოსრნეს ყოველნი თვისთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კვალად სიმაგრეთა მყოფნი დაადგრნენ მტკიცედ“. ამის შემდეგ, კახელებმა ფშავში გაიხიზნული მეფე თელავს მოიწვიეს. კონსტანტინემ ჭარელებს ზავი შესთავაზა. ჭარელებმა „ვინად-გან იხილეს მათცა მაგრობა კახთა“²¹, თანხმობა განაცხადეს და კახეთი დატოვეს: სამაგიეროდ მაჰმადყული-ხანმა მათ კახეთზე თავისუფალი გზა მისცა „უპატრონო და მდიდარ“ ქართლის სარბევად²². ამის შემდეგ, ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალ თემებს ტერიტორიის გაფართოება კახეთის სამეფოს ხარჯზე აღარ უცდიათ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ავარიელ ლეკთა თემების ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად დამყარებულია ერთი მხრივ, უკვე მათი ხელისუფლების ქვეშ მოქცეულ ალაზნისპირა დაბლობში მდებარე ქართული სოფლების ფეოდალურ ექსპლუატაციასზე, ხოლო მეორე მხრივ, კი იგი ემყარებოდა მათ მიერ ქართლ-კახეთზე და აგრეთვე სხვა რაიონებზე (აზერბაიჯანზე) წარმოებული სისტემატური თავდასხმების დროს ნაშოვნ სამხედრო ნადავლს და მოტაცებულ ტყვეთა სყიდვით მიღებულ შემოსავალს.

ჭარ-ბელაქანი, ელისუს სასულთნოსთან ერთად მთელ XVIII საუკუნის განმავლობაში საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. მათი როლი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ირანი და ოსმალეთი ყოველნაირად ცდილობდნენ მათთან კავშირში ყოფლიყვნენ და ისინი საქართველოს მიმართ თავიანთი აგრესიის დასაყრდენად გაეხადათ. ჭარ-ბელაქნის თავისუფალი თემები ხანდახან ნომინალურად კიდევ ცნობდნენ ხოლმე თურქეთის ან ირანის ხელისუფლებას, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი ბატონობდა ამიერკავკასიაში. უფრო ხშირად ჭარელები მხარს უჭერდნენ ერთმორწმუნე სუნიტურ თურქეთს. 1727 წელს, ისაყ-ფაშას შუამდგომლობით, თურქეთის სულთანმა ახმედ-ხანმა ჭარელებს ფირმანი უწყალობა. ამ ფირმანით, თურქეთის მთავრობა ჭარელებს მათ მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მიწების კანონიერ მფლობელებად აღიარებდა. სულთან ახმედ-ხანის ფირმანში აღნიშნული იყო, რომ იმ დამსახურებისათვის, რომელიც ჭარელებს თურქეთის მთავრობის წინაშე მიუძღვით ისლამის გავრცელებისა და აგრეთვე მთიელი ტომების თურქეთის სამფლობელოებზე თავდასხმების ალაგმვის საქმეში, მიწები, მდებარე კავკასიის

¹⁹ Хроника войн Джари в XVIII столетии, стр. 10.

²⁰ ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 139.

²¹ იქვე.

²² იქვე, გვ. 140.

მთავარ ქედს, მდინარე ყაფუ-ჩაისა და კართუბან-ჩაის შუა, უმტკიცდება ჭარის და თალას ალაღარებს მათს სამუდამო მფლობელობაში²². ამ ფირმანს, როგორც XIX საუკუნის ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი აღნიშნავდა: „лезгины сберегают как святыню и до ныне и показывают ее с особенною гордостью“²⁴.

თურქეთის სულთანს არც ნახურელი ლეკების სამფლობელოს, ელისუს სასულთნოს, ივინყებდა. ამაზე უფრო ადრე, 1724 წელს, იგივე ახმედ-ხანი, ელისუს სულთან მაჰმად-ალი-სულთან ზადეს სპეციალური ფირმანით ატყობინებდა: ვინაიდან თქვენ, ისე როგორც თქვენი წინაპრები, ყოველთვის გამოირჩეოდით ჩვენი მთავრობისადმი ერთგული სამსახურით, ამიტომ ელოდეთ ჩვენს მონარქიულ წყალობას. გქონდეთ იმედი, რომ როგორც კი დავიპყრობთ სპარსეთის სამფლობელოში შემავალ პროვინციებს, მაშინვე გინყალობებთ რომელიმე სამფლობელოს ამ დაპყრობილი ადგილებიდან²⁵. ერთი წლის შემდეგ, 1725 წელს, სულთან ახმედ-ხანმა ელისუს სულთანს, მაჰმად-ალი-ზადეს, თავისი დანაპირი შეუსრულა და მას არემის სამფლობელო უწყალობა²⁶.

როდესაც ვიხილავთ კახეთის სამეფოს ისტორიის საკითხებს კონსტანტინე მაჰმადყული-ხანის მეფობის პერიოდში, ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, რომ მართალია, აღნიშნულ ხანაში ელისენში კახეთის სამეფოს ამ ძველ, განუყოფელ ისტორიულ ნაწილში, ქართველ ხელისუფალთა (ფეოდალთა) ბატონობა ეცემა აქ და ავარიელ ლეკთა მფლობელობა მყარდება, მაგრამ ლეკებმა ვერ შესძლეს ამ მხარეში ერთბაშად ქართველების გავლენის აღმოფხვრა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში და უფრო გვიანაც, ელისენის მხარეში მდებარე ზოგიერთ სოფლებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართველთა გავლენა. ეს ნათლად ჩანს ერთი საბუთიდან, რომელიც ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. საბუთი წარმოადგენს სიგელს, რომელიც გაცემულია 1726 წელს კახთა მეფის, კონსტანტინე მაჰმადყული-ხანის მიერ ჭაფჭავაძეთა სახელზე. ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ჭაფჭავაძეთა გვარს სამკვიდრო მამულები ჰქონდა საინგილოში თვით XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. 1726 წლის სიგელში ჭაფჭავაძეთა სამკვიდროდ დასახელებულია საინგილოს სოფლები: ჰენგიანი, ყანდახი და მოსული. ამას გარდა, ჭაფჭავაძეთა გვარს ჰქონია „სახელო“ საინგილოს ენისელში (თანამედროვე ალიაბადი, ზაქათალის რაიონი)²⁷.

1733 წლიდან თბილისის ისაყ-ფაშა კახეთის გამგებლად ნიშნავს ერეკლე I ნაზარალი-ხანის უმცროს ვაჟს თეიმურაზს (1733-1744 წწ.), კონსტანტინე მაჰმადყული-ხანის ძმას. ქრისტიანი თეიმურაზისათვის კახეთის სამმართველოდ მიცემა პოლიტიკური თვალსაზრისით პროგრესად უნდა ჩაითვალოს: ქვეყანაში სამშვიდობო მდგომარეობა შეიქმნა, თუმცა ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემები“ კვლავინდებურად არ ასვენებდნენ კახეთს. ასეთი ვითარება გრძელდებოდა 1734 წლამდე.

²² Хроника войны Джара, стр. 13; იხ. აგრეთვე, Посербский, «Очерк Закатальского округа», Кавказский календарь, 1866, литературный отдел, стр. 23.

²⁴ Посербский, «Очерк Закатальского округа», стр. 23.

²⁵ ცსსა, ფ. 236, აღწ. 2, საქ. 88, ფურც. 29.

²⁶ ცსსა, იქვე, ფურც. 30-31.

²⁷ ცსსა, ფ. 1450, დათარი 11, სიგელი 12, ფურც. 14-16.

1734 წლიდან, ამიერკავკასიაში პოლიტიკურად გაბატონებული ირანი ყოველნაირად ცდილობს ქარელების დამორჩილებას და მათი თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას. 1734 წლის ზაფხულში, ირანის სარდალმა, თამაზ-ყული ხანმა (შემდგომში ნადირად ნოდებული) კახეთის გამგებელს თეიმურაზს ყიზილბაშთა ჯარი გამოატანა და მას ქარის შემუსვრა დაავალა. ყიზილბაშთა და კახელთა გაერთიანებული ლაშქარი თეიმურაზ მეფის ხელმძღვანელობით ქარში შეიჭრა და მისი მიდამოები დაარბია²⁸. 1735 წლის იანვარში თამაზ-ყული-ხანმა ქარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალი თემების წინააღმდეგ სერასკერი მუჰამედ-ყული ხანი გაგზავნა. ყიზილბაშთა ლაშქარი, რომელსაც თან არტილერიაც ახლდა, სოფელ ალიაბადში მოვიდა. ქარელები მაშინვე მტრის შესახვედრად გამოემართნენ, მაგრამ ბრძოლაში ისინი დამარცხებულ იქმნენ (ქარის ომების ქრონიკის ავტორი, ქარელთა ამ დამარცხებას მათი ლაშქრის მცირერიცხოვნობით ხსნის – 400 კაცისაგან შედგებოდაო). ყიზილბაშებმა ქარელებისაგან მძევლები ითხოვეს (10 კაცის რაოდენობით – ქარის თემიდან 6, თალას თემიდან კი – 4). გარდა ამისა, მათ ქარელებს დამატებით 150 კაცის გამოყვანაც დაავალეს, ვითომდა თამაზ-ყული ხანის მსახურებად, მაგრამ სინამდვილეში ყიზილბაშებმა ისინი თამაზ-ყული-ხანს გაუგზავნეს, როგორც დამხმარე სამხედრო ძალა (თამაზი სწორედ ამ დროს განჯას შემოსდგომოდა). ყიზილბაშებმა ქარელთა სოფლებს: კატეხს, ქარს, თალას და ჩარდახს ცეცხლი წაუკიდეს, დაანგრეს აქაური ციხეები²⁹. 1735 წლის შემოდგომის დასასრულს ნადირ-შაჰი, რომელსაც თავისი მეტოქე ოსმალეთი ამიერკავკასიის ფარგლებიდან თითქმის უკვე გაეძევებინა, პირადად თვითონ დაიძრა ქარ-ბელაქნისაკენ სალაშქროდ. ჯარს მან წინ ქარელთა მძევლები გაუძლოლა. ლაშქრობის მიზანს, როგორც თვით ნადირ-შაჰი აცხადებდა, ქარელების დასჯა შეადგენდა: ქარელებს მისი მძევრები დაეხოცათ; გარდა ამისა, ქარელებს უჩიოდა ნახურის უწმიაც (ელისუს სულთანი), ისინი თავს დასხმიან კახს, გაუნადგურებიათ და დაუნვათ იგი. როგორც კი ყიზილბაშთა ლაშქარი ქარელთა სოფლებს მიუახლოვდა, მცხოვრებლებმა მაშინვე მიატოვეს თავიანთი სახლ-კარი და მთებში გაიხიზნენ. ყიზილბაშებმა ვერ შესძლეს ქარელების დამარცხება, ისინი დაკმაყოფილდნენ რამდენიმე სოფლის აოხრებით და ბოლოს, იძულებული შეიქმნენ უკან დაბრუნებულიყვნენ³⁰. 1738 წლის შემოდგომაზე, როდესაც ნადირი ინდოეთში იმყოფებოდა სალაშქროდ, ქარ-ბელაქნის ლეკთა „უბატონო თემების“ დასასჯელად აზერბაიჯანის სპასალარი, ნადირის ძმა, იბრეიმ-ხანი გამოემართა. იგი უამრავი ჯარით კაკს მოვიდა. აქედან დასახმარებლად მოუწოდა აგრეთვე ქართლ-კახეთის მმართველებს: ხანჯან-ხანს და თეიმურაზს. იბრეიმმა მათ ჯარების გამოყვანა დაავალა. ქართლ-კახეთისა და ყიზილბაშთა ჯარები ქარში შევიდნენ, მაგრამ ქარელებმა მათზე უფრო მრავალრიცხოვან მტრის ძალებს მედაგრი წინააღმდეგობა გაუწიეს და დაამარცხეს კიდევც. ბრძოლაში დაიღუპა თვით იბრეიმ-ხანი. ქარელებმა ხელთ იგდეს მტრის მრავალი ნადავლი. ამ ბრძოლის შემდეგ ქარ-ბელაქნელებ-

²⁸ Абас-Кули-Ага Бакиханов-Кулси, Гюлистам Ирам, стр. 116.

²⁹ Хроника войны Джара, стр. 20-21.

³⁰ იქვე, გვ. 23-24; იხ. აგრეთვე, Гюлистам Ирам, стр. 117.

მა შექიც დაიპყრეს³¹. 1741 წელს, გაზაფხულზე, ნადირ-შაჰი იძულებული შეიქმნა ჭარელთა დასამორჩილებლად საკმაოდ მსხვილი სამხედრო ძალები გამოეყო. 1741 წლის მარტს ნადირმა ჭარ-ბელაქნელების წინააღმდეგ დიდი არმია მოავლინა, რომელსაც სათავეში სერდარი მუჰამედ ალი-ხანი ედგა. ყიზილბაშთა ცდები, რომ როგორმე გაეტეხათ ჭარელთა წინააღმდეგობა, ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. მათ ვერ უშველა ვერც ისეთმა ღონისძიებებმა, როგორც იყო ყიზილბაშთა მიერ ჭარელთა ბაღების, ვენახების და ხეხილის გაკაფვა, მრავალრიცხოვანი ცხვრის ფარების განადგურება³². თავიანთი ოჯახებიანად მიუვალ ხეობებში ჩაკეტილი ჭარელების დამარცხების უნარი ყიზილბაშებს არ აღმოაჩნდათ. ამავე წლის შემოდგომაზე ყიზილბაშთა არმიის დასახმარებლად ჰუსეინ-ხანი მოვიდა ყარაბაღის, შამშადილის და ყაზახის ჯარებით. ჩქარა თვით ნადირ-შაჰიც აქეთკენ გამოემართა. მან თავისთან დაიბარა აგრეთვე სურუხაი ყაზიყუმუხელიც³³. ყიზილბაშებმა ვერ შესძლეს ჭარელებისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება. ერთი წლის უშედეგო ომის შემდეგ, ნადირი იძულებული შეიქნა ჭარელთა საბოლოო დამორჩილებაზე ხელი აეღო. 1742 წლის გაზაფხულზე (მარტში) ნადირ-შაჰი, როგორც ამას ჭარის ომების ქრონიკის ავტორი გადმოგვცემს: „С уцелевшей частью своего войска вступил в Дербенд позором, так как не мог отомстить дагестанцам“³⁴. როგორც კი ნადირმა დაღესტანი დასტოვა, მთებში შეხიზნული ჭარ-ბელაქნელები მაშინვე თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ ისე, რომ შემოდგომისათვის (1742 წ.) ყველა მათგანი უკვე თავიანთ სახლ-კარში იმყოფებოდნენ³⁵.

ჭარ-ბელაქნელები, ელისუს სასულთნოში მოსახლე ნახურებთან ერთად, მონაწილეობდნენ დინასტიურ ბრძოლებშიც თვით ქართლ-კახეთის სამეფოს შიგნით. ასე მაგალითად, 1748 წელს, როდესაც ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა აბდულაბეგ იესეს-ძე, მას ერეკლე-თეიმურაზის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში დახმარებას უწევდნენ ნახურელები, ჭარელები, თალელები და ჯინიხელები³⁶.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც ჭარ-ბელაქანი, მის მოკავშირე სხვა თავისუფალ თემებთან ერთად, წარმოადგენდა ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ წარმონაქმნს მთელს ამიერკავკასიაში. როდესაც აღნიშნული ხანის ამიერკავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოცენდა მრავალი დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი სახანო, რომელთაც მიაღწიეს ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებას. ამ სახანოების მოსახლეობის სიჭრელე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაბალი დონე, ერთიანობის იდეის უქონლობა მყარ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის, რომ მათ შორის გაჩაღებულიყო პირველობისათვის ბრძოლა. ქართლ-კახეთის ხელისუფალთ კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აზერბაიჯანულ

³¹ Хроника войн Джара, стр. 29-30; ამ ლაშქრობის შესახებ იხ. აგრეთვე Гюлистам Ирам, стр. 120; ვახუშტი, „ცხოვრება კახეთისა“ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143; სეხნია ჩხეიძე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342.

³² Хроника войн Джара, стр. 34.

³³ იქვე, გვ. 34.

³⁴ იქვე, გვ. 36.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, გვ. 46.

სახანოებსა და ქართლ-კახეთს შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. ეს უკანასკნელი გარემოება კი აიძულებდა ქართლ-კახეთს უფრო აქტიურად გამოსულიყო, რასაც მოჰყვა აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილზე ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აზერბაიჯანული სახანოების პოზიციაც.

განსაკუთრებით აქტიურად დაისვა ჭარ-ბელაქნის საკითხი თეიმურაზ II და ერეკლე II საგარეო პოლიტიკაში. ეს საკითხი საქართველოს „აღდგომისა და გამოსხნის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო. თეიმურაზისა და ერეკლესათვის ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთადერთი ფორმა იყო მისაღები – ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ელისენის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება. ერეკლეს და თეიმურაზის შეხედულებით, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და აქ ქართველობის აღდგენა ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საქართველოში ლეკთა თავდასხმების აღსაკვეთად. მათი მეფობის ხანაში ბრძოლა ჭარელებსა და კახელებს შორის კვლავ მთელი თავისი სისასტიკით გრძელდებოდა. ერეკლე არაერთხელ მიმართავდა მათ საზავო წინადადებით. იგი ხშირად კიდევაც ახერხებდა მათ შემორიგებას, მაგრამ ეს დაზავება მეტად მცირე ხანს გრძელდებოდა: საკმარისი იყო ჭარელებთან მათი გადამთიელი თანამოძმეები, დაღესტნელები მოსულიყვნენ, რომ მათ მაშინვე ზავის პირობები დაერღვით და დაღესტნელებს წინ ნაძლოოდნენ ქართლ-კახეთის სოფლების დასარბევად³⁷. ასე მაგალითად, 1750 წელს ჭარელებმა თბილისში, ერეკლე-თეიმურაზს თავიანთი ქედხუდები და ელისუს სულთანი, მაჰმად-ხანი გამოუგზავნეს ზავის დასადებად. მეფეებმა შერიგებაზე თანხმობა განაცხადეს და მძევლად თავისთან მაჰმად-ხანი დაიტოვეს. მაგრამ, როგორც კი ჭარელი ქეთხუდები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ, ჭარ-ბელაქნელებმა მაშინვე უკუაგდეს თავიანთი წინადადება: „მისცეს პირი დაღესტანს და შეიქმნა ჯარის მზადება და დააპირეს ნამოსვლა ქართლსა და კახეთზე“. დაღესტნელები მრავალრიცხოვანი ჯარით „მოვიდნენ ჭარში, ჭარელნიც შეეყარნენ, ჯარსაც უსადგურეს, ულუფა მისცეს და გამოვიდნენ ჭარიდამ, ქისიყს ცემა დაუნყვეს³⁸. ჭარელებმა საშინლად ააოხრეს ქიზიყის სოფლები: ჯუგაანი, ტიბაანი და მანხაანი. ჯუგაანში მათ ცეცხლი წაუკიდეს ციხესიმაგრეს, რომელშიაც მცხოვრებლებს თავი შეეფარებინათ³⁹. ახალგაზრდა ერეკლემ, როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, შესძლო ქიზიყზე შემოსეული ჭარელების უკუგდება⁴⁰. 1751 წელს, პაპუნა ორბელიანის მოთხრობით, „რადგან ლეკთა ქართლისა და კახეთის მტრობა არ მოშალეს და ამას სულ ჭარელნი ამტრობდეს, გარდმოიყვანეს ჯარი დაღესტნიდამ, უსადგურნიან, ბელადი მისციან და აოხრებდიან მუდმისად ქართლსა და კახეთს“, ამის გამო, ქართლ-კახეთის მეფეებმა დიდებულებთან ერ-

³⁷ Хроника войн Джара, стр. 49-50.

³⁸ პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინიშვილის გამოცემა, გვ. 429-431.

³⁹ Хроника войн Джара, стр. 50.

⁴⁰ პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 431.

თად მოლაპარაკების შემდეგ, ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემების“ დაპყრობა გადანიჭეს. პაპუნა ორბელიანის მოთხოვნით, „მოინდომეს ქართველთა და კახთა ჩინებულთა კაცთა ჭარზე მისლვა, მეფემან თეიმურაზ და ძე-მან მისმან ერეკლემ დაამტკიცეს რჩევა ესე და შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთის, ყაზახ-ბორჩა-ლუსი სრულიად და გაემართნეს ჭარზე“⁴¹. მეფეებმა დაიბარეს აგრეთვე თავიანთი მოხარკე განჯის ხანი. შაქი-შირვანის ხანი აჯი-ჩალაბიც მოჩვენებით ერთგულე-ბაზე ეფიცებოდა ერეკლე-თეიმურაზს. თებერვალში ქართველი მეფეები თოფყა-რაღაჯში მოვიდნენ. აქედან მათ მენინავე ჯარს უბრძანეს, რომ სოფ. ფადართან ხიდი გაედოთ და ალაზანს გაღმა გასულიყვნენ. როდესაც ქართველთა ლაშქარმა ალაზანი გადალახა, გამოირკვა, რომ ჭარელები სულ ერთიანად აყრილიყვნენ: ნა-ნილი მათგანი ციხესიმაგრეებში გამაგრებულიყო, ნანილი კი აჯი-ჩალაბის სამფ-ლობელოში გახიზნულიყო. აჯი-ჩალაბმა, რომელსაც კარგად შეეფასებინა ის მოსა-ლოდნელი საფრთხე, რომელიც მას ქართველთა მიერ ჭარ-ბელაქნის დაპყრობის შემდეგ მოელოდა, ერეკლე-თეიმურაზს შემოუთვალა: „თუ გამოეცლებითო ჭარელ-თა კარგიაო, თუ არა და მე ჩემის ქვეყნით მაგათთან ამოვსწყდებიო“⁴². აჯი-ჩალა-ბის ასეთი მუქარით აღსავსე მიმართვა ქართველმა მეფეებმა ძალზე იწყინეს და იმავე დღეს აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართნენ. მაგრამ აჯი-ჩალაბ-მა, რომელსაც „ჭარელნი, იმ ძირობის ლეკის ქვეყნები, კაკის სულთანი სულ შე-მოეფიცა და ჯარი შეეყარა“ – ქართველების ჯარი დაამარცხა⁴³. ამ დამარცხებამ ქართველი პოლიტიკოსებისათვის ნათელი გახადა, რომ ჭარ-ბელაქნის საკითხის გადანიჭვით დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ჭარ-ბელაქნელებს ზურგს უმაგრებდნენ არა მარტო დაღესტნელები, არამედ საჭიროებისას მათ მხარეზე იყვნენ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოებიც, რომელთაც ეშინოდათ ქართ-ველების გავლენის გაძლიერებისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ერეკლე მაინც არასოდეს კარგავდა ჭარ-ბელაქნის შემოერთების იმედს. იგი ცდილობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და ლეკთა-გან ჭარ-ბელაქნის გამოხსნის საქმე როგორმე წინ წაენია.

XVIII ს-ის 50-იან წლებში თეიმურაზ II და ერეკლე II ჯერ კიდევ ავრცელებდ-ნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ელისუს სასულთნოზე. ამის თაობაზე გარკ-ვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1755 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ ბოძე-ბული გუჯარი კაკის მკვიდრის ზურაბაშვილისადმი. მოგვყავს ამ გუჯრის სრული ტექსტი: „ქ. წყალობითა. ღვთისათა. ჩვენ. იესიან. დავითიან. სოლომონიან. პან-კრატოვანმა. საქართველოს. მეფემ. პატრონმა. თეიმურაზ. და ძემან. ჩვენმა. კა-ხეთის. მეფემ, პატრონმა. ჰერაკლიმ. და. თანა. მეცხედრემან. ჩვენმა. დადიანის. ასულმან. დედოფალმან, პატრონმა. დარეჯან. და. საყვარელმან. ძემან. ჩვენმა. უფ-ლისწულმან. პატრონმა ვახტანგ. გიორგიმ. ესე. აზატობის. და. სითარხნის წიგნი. გიბოძეთ. საჯილდავოთ. შენ. წმიდის. ნინოს. ყმას. ვეურს. ზურაბაშვილს. იასეს. რევაზის. ომანს. იგდარს. ნასყიდას. შვილთა. და მომავალთა. ყოველთავე სახლი-სა. თქვენისათა. ასე და. ამა. პირსა. ზედან. ყვარელის ციხეს. მუცალი. აჯი. ჩა-

⁴¹ პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 433.

⁴² იქვე, გვ. 433-434.

⁴³ იქვე.

ლაბის. შვილი. სულთანი. და ქარელნი. დიდროენის. ჯარებით. გარს. ეხვივა. ამ ციხეში. იყვნენ. დავით. ვაჩნაძე. მელქისედეგ. ჭავჭავაძე. და. მესპაზ. ხასი. გავაზი. ყვარელი. ენისელი. სადედოფლო. ხასი. ჭიაური. ამათ სჯულის. გულისათვის. ქვეყნისა. და. ჩვენის ერთ. გულობის. გულისათვის. საყათლანეთ. თავი. გადადევს. დადგენ. და. ლომურათ. ოცდა. სამი. დღე. იბრძოლეს. სებაები. ახლოს. მოუტანეს. საქმე. რომ. გაუჭირეს. ჩვენი. მდივნის. შვილი. სოლომონ. და. პაპა. ბებურის. შვილი. ქართლიდამ. იოთამის. შვილი. რევაზ. ჩვენი. ყულუხჩი. ბეჟან. რატის. შვილი. მაჩაბელი, გიორგი. სოლალას. შვილი. ტარიელ ნამგლეღავი. ვახტანგ. და. თავის შვილი. ფარემუზ. ესენი ორასის. კაცით. კახეთისა. და. ქართველის. კაცით. ამათში. ას. სამი. ქიზიყელი. კაცი. იყო. მრავლის. ტყვია. წამლით. ღვთის. ძალით. გავისტუმრეთ. ჯარები. სულ. გარს. ეხვივა. ხმალ. და ხმალ. ციხეში. შევიდნენ. შიგ. მდგომთა. და. ამათ. მრავალი. ლეკი. მოკლეს. ოც. და. მერვეს. დღეს. უკან. გაქცეულნი. და. განითლებულნი. წავიდნენ. შენც. ამათში. იყავ. თავი. სასიკვდილოთ. არ. დაზოგე. ამისათვის. საჯილდაოთ. და. სანუფქოთ. გაგაზატეთ. ასე. რომე. არა. ფერი. საჩვენო. გამოსაღები. ყოველნი, ბეგარა. თეთრი. არა. კოდის. პური. არა. ღვინო. საკლავი. არა. ბატონის. ბოდბლის. გამოსაღები. რაც. რამ. ფერი. არი. არცარა. სამოურავო. გეთხოვებოდესთ. რა. ლაშქარ. ნადირობას. მეტი. ამას. გარდა. გვიბოძებია. შიხას. შვილის. პაპუას. ნაქონი. ბეითალმანი მამული. ყოვლის. ფრით. რისაც. ქონებელი. ყოფილა. ბატონო. ბოდბელო. თქვენცა. ასე. დაუმტკიცეთ. გიბძანებთ. კარისა. ჩვენისა. ვეჭილ, ვეზირნო. თქვენცა. ასე. გაუთავეთ. წყალობა. და ნიშანი. ესე. დაინერა. ნოემბერს. ხელითა. კარისა. ჩვენის. ძის. სოლომონისათა. ქორონიკონს უმგ⁴⁴.

გუჯრის შინაარსის გაცნობის შემდეგ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აღნიშნულ ხანაში კაკი შეადგენდა ერეკლესა და თეიმურაზის საკუთრებას. მათი საკუთრება რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ისინი ვერ მოექცეოდნენ მას ასე თავისუფლად და ვერ მისცემდნენ სასულთნოს საკუთრებიდან კაკელ ზურაბაშვილს პაპუა შიხაშვილის ბეითალმან მამულს, მარტო იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი ამაზე არ დათანხმდებოდა, რადგან თვით ელისუს სულთანი თავის მამულში ნებას არ მისცემდა ქართლ-კახეთის მეფეებს კომლის გააზატებას და მამულის ჩუქებას.

ჭარ-ბელაქნის გამოხსნის რეალურად გადანყვეტის საკითხი ერეკლე II და რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთი არსებით საკითხად იქცა. ერეკლეს რუსეთი და მისი მხედრობა მიაჩნდა ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ ძალად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ლეკთა მიერ მიტაცებული კახეთის მიწა-წყლის გამოხსნა. სწორედ ამ დაკარგული და წართმეული ტერიტორიების დაბრუნება და შემოერთება წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომლითაც ნაკარნახევი იყო ერეკლეს მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის I ომში. როდესაც ამ ომის დროს, რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა, ერეკლესათვის ჭარ-ბელაქნის შემოერთების საკითხი სავსებით რეალური გახდა. რუსეთის ჯარის დახმარებით ერეკლე ჭარ-ბელაქნის დაპყრობას აპირებდა. ჭარ-ბელაქნელები, რომელთაც თურქეთი მფარველობდა, ამ დროისათვის კიდევ უფრო აშლილიყვნენ

⁴⁴ გაზეთი „დროება“, 1868, №20, გვ. 1-2.

და კახეთის სოფლების ძარცვა-რბევაც გაეხშირებინათ. 1770 წლის 9 ოქტომბერს, ერეკლე II ეკატერინე II-ის პირველ მინისტრს, გრაფ პანინს ატყობინებდა: „ჭარელნი ლეკნი... შეჰკრბნენ და გამოვიდნენ ორი ათასი კაცი ოცდაექუსს აგვისტოს ქისიყის სოფლების ბოლოს. ლუთითა და მისის იმპერატორების დიდებულების ბედნიერებითა, ვერა ავნეს რა; და კუალად გამოვიდნენ ოცდა ცხრას აგვისტოს სამი ათას ხუთასი კაცი ლეკნი ჭარელნი და ბელაქნელნი, და თალელნი ამავე ქისიყს, და შემობმოდნენ და დიდი ომი გარდახდომოდათ, და ქისიყის სარდალი კნიაზ ანდრონიკოვი იქ დაჰსწრებოდა. წყალობითა ღვთისათა და ბედნიერებითა მათის იმპერატორების დიდებულებისათა ჰსძლივეს, გააქცივეს და მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს, რიცხვით ას ოთხმოცდაშვიდი... და აგრეთვე ჩუენნი კაცნი ქისიყელნი მიუხდენ ამ ჭარელთა ლეკთა კაკის სოფლებსა, მრავალ სოფლის კაცნი მოკლეს და ოცდაათხუთმეტი სული დაატყუჴვეს, და პირუტყვი სამი ათასზე მეტი მოიყუანეს“. შემდეგ ერეკლე პანინს წერს, რომ ლეკთა ამ აშლილობის მიზეზი ოსმალეთია. „ოსმალთა – განაგრძობს ერეკლე – მრავლის მიცემითა და ქადებითა ხუნძახის ბატონის გარდა და იმის ამყოლის კაცის გარდა, რაც დაღესტნის უფროსნი და ავაზაკნი ქურდნი ლეკნი არიან ჩუენს ქუეყანაში აგვისიეს, და რაც მტერობა შეუძლიათ ცდილობენ, და იმათგანნი გაპარვით ზოგნი ახალციხესაც მივიდნენ და იქიდან ჩუენს ქუეყანას ჰსცემენ“. ყოველივე ამის გამო, ერეკლე უმაღლეს კარს მოახსენებდა: რუსეთმა „დაღესტნელი უფროსები და ქვეყნები“, რომელნიც „მისის იმპერატორობის დიდებულების საფარველს ქუეშე შერიგებით იმყოფებიან“, როგორმე შეაშინოს ძალით, თუ სხვა რაიმე საშუალებით, რომ მათ ლეკები დააკავონ და აღარ გამოუშვან საქართველოზე სარბევად⁴⁵. 1770 წლის 10 ოქტომბრის თარიღით დაწერილ წერილში, ერეკლე გრაფ პანინს კვლავ ატყობინებდა, რომ „ჭარელნი ლეკნი და თალაელნი, და ბელაქნელნი, რომელნიც კახეთის მამულში სახლობენ, ახლა აგვეშალნენ ამ ჩვენს ახალციხეზედ წარსვლისათვის, და ფრიადის წადიერებით არიან ოსმალთ მიდგომილნი რაც შეუძლიათ ყოვლითურთ“. ერეკლე ამ წერილში აღნიშნავდა, რომ მართო ჭარელების დასჯა, ქართველებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ მათ დახმარებას უწევენ ერთმორწმუნე შარვანელები. ერეკლე იმედს გამოსთქვამდა, რომ იგი შეძლებს შარვანელების თავისთან შემორიგებას და მათი ჭარელებისაგან ჩამოშორებას, ოღონდ ხელმწიფე-იმპერატორმა საქართველოში მყოფ რუსთა ჯარს ნება დართოს, რომ მათ ამ ზამთარში, როდესაც დაღესტნელ ლეკებს თოვლი გზებს შეუკრავს და ველარ გადმოვლენ ჭარელების საშველად, ქართველებთან ერთად ილაშქრონ ჭარ-ბელაქანზე. რუსთა ჯარების სურსათით მომარაგებასაც მეფე თვითონ კისრულობდა (ერთი თვის განმავლობაში). მოვიტანოთ თვით ერეკლეს სიტყვები: „მათი გარდახდევინება (ლაპარაკია ჭარელებზე – თ. პ.) ღვთით ზამთარში ადვილი არის ჩვენგან, მაგრამ შარვანელნი უშველიან ხოლმე, რადგანაც ერთსარწმუნოებისა არიან. მე იმ შარვანელებს ასე რიგად ვეცდები, რომ უფრო შემორიგებაზედ განვამტკიცო, და სხვა მეშველი-ზამთარია, ამის მეტი არა ჰყავსთ. დაღესტნის ლეკებს თოვლი შეუკ-

⁴⁵ Письмо царя Ираклия к гр. Н. И. Панину, от 9 октября 1770 года, вб. Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, том II, вып. I, Грузинские тексты, С. 1768 по 1801 года, под редакцией А. А. Цагарели, Санкт-петербург, 1898, стр. 62-63.

რავს გზასა, და, თუ მისის იმპერატორობის დიდებულების ჯარს ამ ზამთრობით ჩვენს ქვეყანაში მოუხდეს დგომა, თუ შეიძლებოდეს ნება ჰქონდესთ აქ მყოფთ რუსეთის ჯართ, თუ ვამჯობინო ერთად ვილაშქროთ ერთ თვეს ამ ჭარელთა და ბელაქნელებზედ;... პროვიანტსაც მე მივცემ უფასოთ ამ ერთი თვისას მათი იმპერატორების დიდებულების ჯარსა, თუ არა და, ნება მეფის დიდებულების ყოვლად მონყალე ხელმწიფისა არს; და რადგანაც რუსეთის დიდებულის ხელმწიფის ჯარი ჩვენთან იქნება, შარვანის ქვეყანას შიში მოეცემათ, რომ იმათ ისინი ველარ უშველიან. მე ესენი ამისათვის მოვახსენე თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალეობას, რომ ოსმალთა და დაღესტნელთა შეერთებისა დიდნი მიზეზნი ესენი არიან და შემენი“⁴⁶. ერეკლე წინასწარ კარგად ითვალისწინებდა ყველა იმ დაბრკოლებას, რომელიც შეიძლებოდა ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობას წინ გადალობებოდა. მას საჭიროდ მიაჩნდა ეს დაბრკოლებანი წინასწარვე აღმოეფხვრა, რომ შემდგომში ლაშქრობის საქმე გაადვილებულიყო. ასეთ დაბრკოლებად ერეკლეს მიაჩნდა ის მოსალოდნელი გაერთიანება, რომელიც შეიძლება ჭარელებსა და ყუბა-ხანს შორის მომხდარიყო. ამის გამო იგი ცდილობდა ყუბა-ხანის შემორიგებას, რომ ამით ჭარელებს მაშველი ძალა მოჰკლებოდათ. აი, რას წერს იგი 1770 წლის 2 დეკემბერს რუსეთში მყოფ თავად ზაალ ორბელიანს: „ჭარელნი და ყუბა, თუმცა არ ერთობენ, მაგრამ არცარასა კი მტერობენ, რითაც გზით და გვარით იყოს და შეიძლებოდეს უნდა პირველს მინისტრს მოხსენდეს შენგან, რომ რომლითაც გვარით იყოს ყუბახანსა და ჩვენს შუა დოსტობის სიმტკიცე მოახდინოს და ჩვენთან განამტკიცონ. ეს საქმე დიად უცხო იქნება და ჭარელთა ამ მიზეზით მაშველი დაუჭირდებათ, და ძალი მოაკლდებათ, და ჩვენ რომ მტერზედ, ლთით, გავილაშქრებთ, ისინი ჩვენის ქვეყნის მტერობაზედ მოსუსტდებიან“⁴⁷. ზემოთ მოტანილი დოკუმენტები, მჭევრმეტყველურად მოგვითხრობენ, თუ რაოდენ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლესათვის ჭარ-ბელაქნის საკითხს. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომში (1768-1774 წწ.) ჩარევამ და რუსეთის ლაშქრის ორი წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედებამ ერეკლეს ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა. მისი მრავალგზისი თხოვნები უმაღლესი საიმპერატორო კარისადმი, რომ რუსთა ჯარს ნება მისცემოდა ქართველებთან ერთად ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობისა, უქმ სიტყვებად რჩებოდა. ის დიდი მიზანი (ჭარ-ბელაქნის შემოერთება), რომლის განხორციელებაც ერეკლეს რუსთა ჯარის დახმარებით ეწადა, მიუღწეველი დარჩა. მიუხედავად ამისა, მეფე ერეკლეს ამის შემდეგაც, ერთი წუთითაც არ დაუკარგავს რწმენა და არ აულია ხელი ჭარ-ბელაქნის გამოსწაზე.

1773 წლის აპრილში, როდესაც ქართლ-კახეთის მეფის ელჩებმა ლეონ ბატონიშვილმა და ანტონ კათალიკოსმა პირველ მინისტრს, გრაფ პანინს წარუდგინეს პირობები, რომლითაც ერეკლეს სურდა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა, მასში მტერთა მიერ ქართლ-კახეთის სამეფოსაგან უსამართლოდ „წართმეული ადგილების“ დაპყრობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მასში ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ ამ „წართმეული ადგილების“ გამოხ-

⁴⁶ Письмо царя Ираклия к гр. Н. И. Панину, от 10 октября 1770 года, сб. Цагарели, Грамоты, том II, вып. I, стр. 66.

⁴⁷ Письмо царя Ираклия к кн. Заалу Орбелиани, от 2 декабря 1770 года, сб. Цагарели, Грамоты, том II, вып. I, стр. 67-68.

სნა და შემოერთება უნდა მომხდარიყო ძალითა მისის დიდებულებისათა (ე. ი. რუსეთის იმპერატორის დახმარებით – თ. პ.). ამ მიზნით, ერეკლე რუსეთის იმპერატორს თხოვდა, რომ მას საქართველოში გამოეგზავნა ჯარი, 4000 კაცის რაოდენობით. ეს ჯარი ერეკლეს ესაჭიროებოდა ერთი მხრივ თურქთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს გამოსახსნელად, ხოლო მეორე მხრივ კი ჭარ-ბელაქნის დასაპყრობად. ამის შესახებ აკად. ი. ბუტკოვის მიერ კავკასიის ახალი ისტორიისათვის შეგროვილ მასალებში პირდაპირ აღნიშნულია, რომ „Царь Ираклий просил четырех тысяч войск на российском содержании, для защиты его от неверных и для немедленного завоевания Ахалцихе и отнятия у заазазанских лезгин Кахетинских мест, которые они занимают“⁴⁸. ქართველი ელჩები უმაღლეს საიმპერატორო კარს მოახსენებდნენ, რომ რუსეთის ხაზინის მიერ საქართველოში მყოფი ჯარის შესანახად განეული ხარჯები, ისევე ანაზღაურებულ იქნებოდა თვით ამ ახლად შემოერთებული ქვეყნებიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში; „როდესაც მისის დიდებულების კორპუსი, საქართველოში მისული, და მეფე ჩვენი ზოგად ბრძოლობით მტერს ჩვენის სამეფოს ნაწილს, რომელიც დღეს წართმეულია, კვალად წაართმევენ, რაც კორპუსზე ხაზინა დაიხარჯება, ამ დაჭერილის ქვეყნიდან რამდენიმე წელიწადს უკან ისევ სახელმწიფოს ხაზინაში უკუიზღვის“. ქართველი პოლიტიკოსები იმ მიზნით, რომ რუსეთი უფრო დაეინტერესებინათ ჭარ-ბელაქნის დაპყრობით, გრაფ პანინს უცხადებდნენ: იმ შემთხვევაში, თუ „კახეთის მამულები“ შემოერთებულ იქნებოდა, მაშინ რუსეთის ხელმწიფის სასარგებლოდ ამ ადგილების მცხოვრებელთაგან დაწესებულ იქნებოდა გარკვეული გადასახადი: ყოველწლიურად თითო კომლ გლეხზე, თოთხმეტი შაური და აგრეთვე ორასი ფუთი აბრეშუმი: „თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს, დაიპყრობს ბედნიერებითა დიდებულებისა მისისათა, იმათგანაც თქმულისაებრ თვითის გლეხის სახლთაგან ათორმეტი შაური სახელმწიფოს მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს, და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი, და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მიერთმის“⁴⁹. ამრიგად, სავსებით ცხადია, რომ ერეკლე რუსეთ-თურქეთის ომში მეტად ფართო პოლიტიკური მიზნებით ებმებოდა, მას სურდა დაებრუნებინა წართმეული აღმოსავლეთ კახეთი ანუ ძველი ისტორიული ჰერეთის პროვინცია კაკ-ელისენი; ეს პროვინცია, რომელიც ძირძველ ქართველთა სამკვიდროს წარმოადგენდა, XVIII საუკუნეში ავარიელ და წახურელ ლეკთა მიერ ქართლ-კახეთის დარბევისა და დაუძლურების ხელშემწყობ ასპარეზად იყო გადაქცეული.

ჭარ-ბელაქნის საკითხი გამოხატულებას პოულობს აგრეთვე 1783 წლის რუსეთთან დადებულ მფარველობით ტრაქტატში. ამ ტრაქტატის მეოთხე სეპარატულ არტიკულში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „დიდებულება იმპერატორობისა მისისა აღჰსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძლებლობაი მეცადინობისა ღონითა საჭურუჭლისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა

⁴⁸ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 г., чатсь II, Санкт-петербург, 1869 г., стр. 119.

⁴⁹ Договор, постановлений между Ея Императорским Величеством имп. Екатериной II и царем Карталинским и Кахетинским Ираклием вторым 24 июля 1783 г., Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 109.

და ძუელადვე სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა – ესენი უკუც დაპშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუძლსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუძლობისათვის და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა⁵⁰. კახეთის სამეფოს მიმართ „ძუელადვე შერაცხილ“ ადგილებში ჭარ-ბელაქანი (კაკ-ელისენი) იგულისხმებოდა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ტრაქტატის დადების დროს, 1783 წლის ივლისში, ქართლ-კახეთის მეფის რწმუნებულები: იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე მოითხოვდნენ ერეკლეს მოხსენიებას ტრაქტატის არტიკულებში შემდეგი ტიტულატურით: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“⁵¹. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატში ერეკლეს მოხსენიება ტიტულის ასეთი ფორმით არ იქნა მიღებული⁵², მაინც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ ერეკლე იხსენიება როგორც „მთავარი კაკისა“. ამაში ჩანს ერეკლეს მისწრაფება: ხაზი გაუსვას და გამოააშკარავოს თავისი უფლება კაკზე (კაკი ანუ იგივე ელისუს სასულთნო შეადგენდა ლეკთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მინა-წყლის აღმოსავლეთ ნაწილს). ტრაქტატის მეორე საიდუმლო პუნქტის თანახმად, იმპერატორი „დაცვისათვის სამფლობელოსა ქართლის და კახეთისა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებლობისა“ – საქართველოში მუდმივ სამყოფად აგზავნიდა ორ ბატალიონ ქვეით ჯარს 4 ზარბაზნით⁵³. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებულ ამ რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლაზე დიდ იმედებს ამყარებდა. უპირველეს ყოვლისა, იგი ფიქრობდა, რომ ახლა მაინც შესაძლებელი გახდებოდა ჭარ-ბელაქნის დაპყრობა. როგორც კი აღნიშნული ორი ბატალიონი რუსთა ჯარი 1783 წლის ნოემბერში საქართველოში შემოვიდა, ერეკლემ მაშინვე თხოვნით მიმართა გენერალ პავლე პოტიომკინს, რომ მოეხდინათ ჭარზე ლაშქრობა⁵⁴. 1783 წელს ლაშქრობის მოწყობა ვერ მოხერხდა. 1784 წელს ერეკლემ კვლავ გაუმეორა თავისი თხოვნა პოტიომკინს და თან დამატებით კიდევ ექვსი პოლკი ჯარის გამოგზავნას თხოვდა გენერალს. როდესაც ამ ჯარის გამოგზავნაზე ერეკლემ უარი მიიღო, მაშინ მან პოტიომკინს თხოვა, რომ ჭარზე ლაშქრობა მოეხდინათ იმ ორი ბატალიონი ჯარით, რომელიც უკვე საქართველოში იმყოფებოდა. თავის მხრივ ერეკლე პირობას იძლეოდა, რომ გამოიყვანდა 4000 კაცს⁵⁵. პოტიომკინი ერეკლეს არწმუნებდა: სასურველია ჭარზე ლაშქრობა მოწყობილ ყოფილიყო მის შემდეგ, როდესაც რუსთა ჯარის რაოდენობა საქართველოში უფრო გაიზრდებოდა, რომ პირველი დარტყმისთანავე ლეკებს ეგრძნოთ რუსეთის იარაღის ძალა⁵⁶. მაგრამ ერეკლე აღარ იცდიდა და დაჟინებით სთხოვდა პოტიომკინს, რომ რუსთა ჯარებს ნება მისცე-

⁵⁰ Представлсния гр. Н. И. Панину царевичем Леоном и катол. Антонисм условия, на каких царь Ираклий желал поступить под покровительство России, Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 91-92.

⁵¹ Договор 1783 года..., Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 100.

⁵² П. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

⁵³ Договор 1783 года..., Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 108-109.

⁵⁴ П. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

⁵⁵ Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, СПб., 1886, стр. 46.

⁵⁶ П. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

მოდა ჭარელებზე ლაშქრობისა. გადანყვეტილ იქნა ლაშქრობის მოწყობა 1784 წლის შემოდგომისათვის. ექსპედიციის ხელმძღვანელობა პოტიომკინმა ჩააბარა გენერალ-მაიორ სამოილოვს. 1784 წლის 4 ოქტომბერს გენ. მაიორი სამოილოვი რუსეთის ჯარებით ქიზიყის სოფელ მაჩხაანში მოვიდა. 7 ოქტომბერს აქვე მას შეუერთდა ერეკლე ქართველთა ჯარით. 14 ოქტომბერს რუსეთისა და ქართველების გაერთიანებულმა ლაშქარმა სოფ. მულანლოსთან მდ. ალაზანი გადალახა და ლეკებს შეეტაკა. ბრძოლაში ჭარელები დამარცხდნენ. მათი მხრით მოკლულ იქნა 200, ტყვედ ჩაფარდა 2. ქართველებმა ბრძოლაში დაკარგეს 20 კაცი. რუსთა ჯარის დანაკლისი 17 კაცს შეადგენდა⁵⁷. მაგრამ ამ ექსპედიციას რაიმე საგრძნობი შედეგები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის არ მოჰყოლია. როგორც პ. ბუტკოვი აღნიშნავს, – „Сей подвиг не принес ощутительной пользы... лезгины, и вообще дагестанцы, о ным действием лишь вздражены“⁵⁸. ჭარ-ბელაქნის საკითხი ამის შემდეგაც კვლავ ერეკლეს ყურადღების ცენტრშია. 1796 წლის გაზაფხულზე, როდესაც სპარსეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით რუსთა ჯარები ამიერკავკასიის ფარგლებში შევიდნენ, ქართველ პოლიტიკოსების წრეებში კვლავ გაცოცხლდა იდეა: რუსთა ჯარების დახმარებით ჭარ-ბელაქნის დაპყრობისა. 1797 წლის 11 ივნისს ერეკლე რუსეთის სამეფო კარზე მყოფ მის ელჩს, გარსევან ჭავჭავაძეს წერდა: „მართალია აქ მყოფს რუსეთის მხედრობას ბრძანება მოუვიდა აქვე მოცდისა, მაგრამ მოქმედების ბრძანება აქვს, თუ არა, – არ ვიცი, ეცადე, რომ აქ მყოფ ჯარს ებრძანოს საფარში ჩვენთან გამოყოლა, რომ ჩვენ ჩვენს საზღვრებში და ჩვენს შინაგანს ყოველთვის მაშფოთებელს ჭარეთზე ვილაშქრებთ, და ესენიც თან გამოგვყვენ“⁵⁹. მაგრამ ერეკლეს ამუამადაც იმედის გაცრუება ელოდა. იმპერატორმა პავლემ სპარსეთში ლაშქრობა მოშალა და რუსეთის ჯარებსაც ბრძანება მოუვიდა ამიერკავკასიის ფარგლებიდან გამოსულიყვნენ. რუსთა ჯარის მოსალოდნელმა წასვლამ ქართლ-კახეთის მთავრობის წარმომადგენელნი ძალზე დაალონა. ისინი თავიანთ ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს წერდნენ, რომ ეშუამდგომლა მას იმპერატორის წინაშე რუსეთის ჯარების საქართველოში დატოვებაზე. 1797 წ. 11 ივნისს გარსევან ჭავჭავაძე იმპერატორ პავლესადმი წარდგენილ მოხსენებაში წერდა, რომ მეფე ერეკლე „და ყოველი ერი მისი ყოველად ქვეშევრდომებრივ ითხოვენ, რათა მისცეთ უმაღლესი ბრძანება ან საქართველოსა შინა მყოფსა რუსეთის მხედრობის დასსა, რომელ დაშთნენ მუნ ვიდრემდის ანინდელნი აღრეულნი გარემოებანი განვლიდნენ, და შემდგომად მისსა, ძალისამებრ სეპარატის არტიკულისა, შესაძლებელ არს დაშთნენ მუნ ოდენ რიცხვნი იგი, ვითარცა ინებებს თქვენი იმპ. დიდებ. მსგავსად დანიშნულისა ტრაქტატისა ყოველად მოწყალებით მუნ დაშთობის ბრძანებას“⁶⁰. საქართველოში დატოვებულ რუსთა ჯარის დახმარებით, ქართველები ფიქრობდნენ, რომ უაღრესად გართულებულ საგარეო ვითარებასაც გამოასწორებდნენ და მათს „შინაგანს ყოველთვის მაშფოთებელ ჭარეთზეც“ ილაშქრებ-

⁵⁷ П. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ Письмо Ираклия кн. Г. Р. Чавчавадзе от 11 июня 1797 года, Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, стр. 136.

⁶⁰ Представлени от кн. Г. Чавчавадзе имп. Павлу, от 11 июня 1797 года, Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 137.

დნენ. აი, რას ატყობინებს გარსევან ჭავჭავაძე იმპერატორის კანცლერს, თავად ა. ბეზბოროდკოს, 1797 წლის 18 სექტემბერს: „უკეთუ ნება იქმნების მოხედვად ყოვლად უმონყალესითა კეთილმყოფობითა მეფეთა ზედა ჩემსა და ერსა ზედა მისსა, ფიცით თქვენდამი ქვეშემვდომსა, მაშინ მე უმდაბლესად მოგახსენებ: ახლა უპირველესი სარგებელი მეფისა ჩემისა და ყოვლისა სამეფოჲსა მისისა მდგომარეობს მას შინა, რომ დავამდაბლოთ ახლონი მტერნი, მეზობელნი მისნი, ჭარს მცხოვრებელნი, რომლისათვისცა საჭირო არის, რომ ებრძანოსთ საქართველოში მყოფს რუსეთის იმპერატორის მხედრობას დაშთნენ დასაფარველად მეფისა ჩემისა და ერისა მისისა, და ამავე ზამთარს ერთად საქართველოს მხედრობასთან ილაშქრონ ჭარელთა ზედა, ვინათგან ჭარელნი იგი გვემორვენ ჩვენ ოცდა ათის ვერსით, სადაც ზამთარი არ არის ცივი და არცა ძალუძს დაბრკოლება ჯარისა საქმესა შინა, და დროსა ზაფხულისასა არა ესრეთ შეიძლების: ამისთვის სჯობს, რომ საზოგადოსა სარგებლობისათვის ვიმოქმედოთ მათზედ ზამთრით“⁶¹. მაგრამ იმპერატორი პავლე ქართველების ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, როგორც ჩანს, სრულიადაც არ ფიქრობდა, 1797 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა საქართველო დატოვეს.

გიორგი XII ხანმოკლე მეფობის ხანაშიც, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების ერთ-ერთი სათხოვარი რუსეთის მთავრობისადმი იყო ის, რომ საქართველოში გამოგზავნილ ყოფილიყო რუსეთის მხედრობა და ქართველ ჯართან ერთად ელაშქრათ ჭარ-ბელაქანზე. 1800 წელს გიორგი XII გარსევან ჭავჭავაძეს ატყობინებდა რა თავის სამეფოს შინაგან მდგომარეობას, სხვათა შორის, წერდა: „თუმცა აქაურის გარემოების უწინარეს ამისა კიდევ მოგწერე შენ, გარნა ჯერ არს გამცნო პირველად სასარგებლონი იგი ჩვენნი, რომლითათვისსა ადრითვე გთქმია, რომ მეზობელნი ჩვენნი ჭარელნი გვანუხებენ ჩვენ მარადის“ და თანაც უმატებდა, რომ „თანაგაცს შენ მარადის გარჯა ხსენებულისა ჯარისათვის, რომ მიეცეს მას ბრძანება, რათა გამოგვეყვეს ჩვენ მუნით, სადითმცა ითხოვს დამჭირნეობა“⁶². მაგრამ ამჯერადაც ჭარზე ლაშქრობა ვერ განხორციელდა.

ამრიგად, XVIII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ბრძოლა ჭარ-ბელაქნის დამორჩილებისათვის გამარჯვებით ვერ დასრულდა. ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთი მხრივ, საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოების ურთიერთობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კი საქართველო-თურქეთის ურთიერთობასთან. XVIII საუკუნეში ფეოდალურ საქართველოს არ აღმოაჩნდა ჭარ-ბელაქნის შემოერთებისათვის საჭირო ძალები. XIX საუკუნემ ჭარ-ბელაქნის საკითხი მემკვიდრეობით მიიღო გადასაწყვეტად.

⁶¹ Сообщение кн. Г. Чавчавадзе кн. А. А. Безбородко, от 18 сентября 1797 года, Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 141-142.

⁶² Письма царя Георгия к кн. Г. Чавчавадзе, 1800 году, Цагарели, т. II, вып. I, стр. 170-171.

საინფორმაციო XIX საუკუნის I ნახევარი

(1801 წლიდან ვიდრე XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისამდე)

XIX საუკუნის დასაწყისში ჭარ-ბელაქნის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. იგი ყოველთვის მკვეთრად იჩენდა თავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საერთო ასპექტში.

1801 წლის აპრილში, როდესაც რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სახელმწიფო საბჭოში, საბოლოოდ წყდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი, ქართველმა ელჩებმა: ელიაზარ ფალავანდიშვილმა და გიორგი ავალიშვილმა საიმპერატორო კარს წარუდგინეს ნოტა, რომელშიც სხვა მრავალმნიშვნელოვან საკითხთა გვერდით გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი ჭარ-ბელაქნის საკითხს. ამ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ „ჭარელნი... შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი, და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, ანცა კახეთისაა, გარნა მათ შეურაცხჴყვეს ჰსჯული ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის ჰსჯულსა, და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა“¹. ელჩები აღნიშნავდნენ, რომ ჭარელნი სრულიადაც არ არიან ისეთნი, რომ ისინი საშიში იყვნენ საქართველოსთვის, რიცხვით ისინი სამ-ოთხი ათასსაც არ აღემატებიან: პირველი დიდი ვნება, რომელიც მათ მოაქვთ კახეთისათვის, არის ის, რომ „კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრობენ პირისპირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვეითნი, მარადის მდგამარეობენ ერთი მეორისაგან ქვეითისაგან ერთის დღის სავალსა, და ადგილსა მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბორცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სვლა“². ელჩები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ჭარი წარმოადგენდა მეტად საიმედო სადგურს დალესტენელ ლეკთათვის. როდესაც ეს უკანასკნელნი საქართველოს მიწებზე თავდასხმებს განიზრახავდნენ, მაშინ ისინი მოვიდოდნენ ჭარში, მოიმარაგებდნენ სურსათ-სანოვაგეს, ჭარელებსაც თავისთან შეიერთებდნენ, წაიყვანდნენ მათგან გზის მცოდნეებს და ამის შემდეგ თავს ესხმოდნენ ქართველთა სოფლებს და ძარცვავდნენ მათ³. გარდა ამისა, ჭარი იყო მთავარი დასაყრდენი პუნქტი იმ ლეკთათვის, რომელნიც საქართველოს ასაოხრებლად ოსმალეთის მხრიდან მოემართებოდნენ – ჭარიდან ლეკები პირდაპირ ახალციხეში მიდიოდნენ: „და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა და აოხრებისათვის ოსმალს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი და მუნითგან სწორედ მივლენ

¹ Нота врученная Министерству Грузинскими послами, Апрель, 1801 г. Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 207.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 207-208.

ახალციხეს“⁴. ჭარი საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა აგრეთვე „ორგულთა ქართველთათვის“: „ესე თვით მცირე სამყოფი ჭარელთა მოქმედებს უმეტეს ამასცა, რომელ შემწყნარებლობს ორგულთა ქართველთა, სამართლით სასიკვდინოდ დასასჯელად და სხვათაცა“⁵. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტებებს ჭარელთა მხრიდან, აუცილებლად მიანდდათ ჭარ-ბელაქნის დაპყრობა, აქაური, „მაჰმადის ჰსჯულსა შინა შთაცვივნულ“ მოსახლეობის აყრა, მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლება და მათ ნაცვლად ამ ადგილებში ქრისტიანების დასახლება (ე. ი. აქ ქართველობის აღდგენა), რომლის მოსურნენი, ელჩების აზრით, ამ ქვეყნის (ე. ი. ჭარ-ბელაქნის – თ. პ.) ნაყოფიერებისა და სიუხვის გამო, საკმაოდ მრავალნი იქნებოდნენ⁶.

ისმის კითხვა: რა ძირითადი დასაყრდენი ძალა მიაჩნდათ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ისეთად, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდებოდა ჭარ-ბელაქნის დაპყრობა? ასეთ ძალად მათ მიაჩნდათ რუსეთი და მისი უძლეველი მხედრობა, რომლის გვერდითაც ქართველი მეომრებიც თავგანწირვით იბრძოდნენ კახეთის მიწა-წყლის გამოსახსნელად. „რწმუნებულ ვჰყოფთ, – აღნიშნავდნენ ქართველი ელჩები – რომელ შეერთებით ერთად უძლეველთა იმისის იმპერატორების მხედრობათა თან ამას (ე. ი. ჭარ-ბელაქნის დაპყრობას – თ. პ.) აღვასრულებთ მსუბუქად“⁷. ამრიგად, როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეების შეხედულებით და რწმენით, ჭარ-ბელაქნის გამოხსნის საკითხი, არსებითად, დიდი რუსეთის მეთაურობით და ქართველთა აქტიური მონაწილეობით უნდა გადაწყვეტილიყო. ეს გასაგებიცაა, რადგან „რუსეთი... იყო ის ერთადერთი პროგრესიული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის სანარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა“⁸. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი (ჭარ-ბელაქნის გამოხსნა) საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს მე-19 საუკუნემდეც სწორედ ასე წარმოედგინათ. ჩვენ თავის ადგილას ვუჩვენეთ, რომ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ლეკების მიერ მიტაცებული კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მიწა-წყლის გამოხსნის საკითხიც. ქართველი ხალხის ამ მიზანდასახულობამ, როგორც ვნახეთ, თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის მფარველობით ტრაქტატში.

XIX საუკუნის დამდეგისათვის, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა, როდესაც ერეკლე მეორისა და მისი დიპლომატიის მიერ რუსეთთან ძიებული მფარველობითი კავშირისა და დახმარების, შინაურ საქმეებში საქართველოსთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნაცვლად მოხდა საქართველოს დაპყრობა-შეერთება. ამიერიდან ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდა პირველ ყოვლისა და უმთავრესად, თვით რუსეთის იმპერიის ინტერესები. აი, რას წერს ამის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი: „კაკ-

⁴ Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 208.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, стр. 208.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“ – ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედ., 1946, გვ. 419.

ენისელი – ეს კახეთის ჩამონაგლეჯი აღმოსავლეთით... იყო ჭრილობა გვიანფეოდალურ საქართველოს სხეულზე, რომლის განკურნება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აღდგომის პირობა ჩანდა. ორასი წლის მანძილზე საქართველო ამ შეუწელებელ ტკივილსა გრძნობდა და ასევე შეუწელებლად მის განკურნებას ცდილობდა. 1801 წელს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ტეხილი მოხდა. გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური არსებობა შეწყდა და რუსეთის მთავრობამ „საქართველოს“ („გრუზიას“) რუსული მმართველობის სახით კოლონიურ „კავკასიის გადაღმა ქვეყანას“ („ზაკავკაზიეს“) საძირკველი ჩაუყარა. რუსული „საქართველოს“ მმართველთა წინაშე კავ-ენისელის საკითხი ძველი, ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით, ბუნებრივია, აღარ იდგა, რამდენადაც რუსეთის მთავრობამ თვით საქართველო მოშალა როგორც პოლიტიკური ერთეული. მაგრამ ლეკური ჭარ-ბელაქნის... საკითხი არც საქართველოს რუსული ხელისუფლებისათვის კარგავდა თავის სიმწვავეს. ამ მხარიდან ლეკები ეხლაც ძველებურადვე დათარეშობდნენ ქართულ სოფლებში... ბრძოლა ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ თავისი გაჩენის დღიდანვე დაიწყო⁹. 1801 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ, ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ის ავითარებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ რუსეთის იმპერიის მიზნები და ინტერესები, რომლებიც მას ჭარ-ბელაქნის მიმართ გააჩნდა და რომლებიც ჭარ-ბელაქნის საკითხს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საკმაოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხად ხდიდა – კავკასიის დაპყრობის საქმეში. ამ საკითხების გარკვევა მით უფრო აუცილებლად მიგვაჩნია, რომ რევოლუციამდელი ისტორიკოსები (ა. პოსერბსკი, ა. ფონ-პლოტო, ი. ლინევიჩი, დ. ბაქრაძე, ნ. დუბროვინი, ვ. პოტო, ი. ივანენკო), იდგნენ რა არასწორ მეთოდოლოგიურ პოზიციებზე, ვერ იძლევიან ჭეშმარიტ, მეცნიერულ ახსნას რუსეთის კოლონიური პოლიტიკისას ჭარ-ბელაქანში. მათთვის გაუგებარია, ან განზრახ ჩქმალავენ, ის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური წანამძღვრები და მიზნები, რომლებიც განაპირობებდნენ რუსეთის მიერ ჭარ-ბელაქნის დაპყრობას. იმ მიზეზებსა და მოტივებს შორის, რომლებიც უკარნახებდნენ მეფის მთავრობას, რომ მოეხდინათ ჭარ-ბელაქნის დაპყრობა, ეს ისტორიკოსები ასახელებდნენ შემდეგს: ა) მეფის მთავრობას თითქოს სურდა ჭარ-ბელაქნის დაპყრობით ბოლო მოღებოდა ლეკთა და მათი მოკავშირე დაღესტნელების განუწყვეტელ თავდასხმებს საქართველოზე¹⁰, ბ) რომ რუსეთის ექსპანსია საქართველოში (მათ შორის ჭარ-ბელაქანშიც) მიზნად ისახავდა „კულტურისა და ცივილიზაციის“ დანერგვას, რუსეთი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ კავკასიის ხალხებს (მათ შორის ჭარ-ბელაქნელებსაც) შესაძლებლობა მისცემოდათ „Войдти в семью цивилизованных народов Европы“¹¹. მაგრამ, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები და მოტივები, მხოლოდ ნიღაბი იყო, რომლის ქვეშაც ცარიზმის ნამდვილი კოლონიური ზრახვები იმალებოდა. წყაროების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვარკვიოთ ცარიზმის ნამდვილი დაპყრობითი მიზნე-

⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 411-412.

¹⁰ А. Фон-Плотто, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

¹¹ А. Посербский, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

ბი ჭარ-ბელაქნის მიმართ. ეს მიზნები ორგვარი ხასიათისა იყო: ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური.

ის ეკონომიკური ნანამძღვრები და მიზნები, რომლებიც აპირობებდნენ რუსეთის მიერ ჭარ-ბელაქნის დაპყრობას, შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული რუს მოხელეს, ოფიცერ ლოფიცკის, მის მიერ 1806 წლის 30 აპრილს პეტერბურგში წარდგენილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში. ეს მოხსენება წარმოადგენს ერთგვარ გეგმას ჭარ-ბელაქნის კოლონიური ექსპლოატაციისა. ეს რუსი ოფიცერი საქართველოში მსახურობდა 4 წელი და აქ ყოფნისას მან დანერა ნაშრომი: „Замечания о Грузии“. ამ შენიშვნებიდან ჩვენთვის საინტერესოა ისინი, რომლებიც ჭარ-ბელაქანს შეეხება. ნაშრომის ამ ნაწილში ლოფიცკის საუბარი აქვს რუსეთის იმპერიისათვის ჭარ-ბელაქნის შეერთების ხელსაყრელობისა და სარგებლობათა შესახებ. მოვიტანოთ მთლიანად ის ადგილი, რომელშიც მოცემულია შენიშვნები ჭარ-ბელაქნის შესახებ. იგი წერს: „უპირველეს ყოვლისა, საჭიროა: ჭარის პროვინციაში მოსახლე ლეკები დავითანხმობთ იმაზე, რომ ისინი თავიანთი ოჯახებიანად აიყარნენ და დასახლდნენ რუსეთის შიდა რაიონებში საცხოვრებლად; იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მზად უნდა ვიყოთ, რომ მათ ეს იარაღის ძალით მოვაყვანინოთ სისრულეში. ჭარის პროვინცია, მას შემდეგ, რაც მასში შესაფერისს ადგილებში აგებული იქნება ციხეები, დასახლებულ იქნას რუსებით“¹². რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ეს მოსაზრება (ამ მხარის რუსებით დასახლება) სრულიად ეწინააღმდეგება ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების შეხედულებებს, რომლებიც მოითხოვდნენ ჭარ-ბელაქანში ქართველობის აღდგენას. მასში აშკარად ჩანს რუსეთის კოლონიური მისწრაფებანი ჭარ-ბელაქნისადმი. ლოფიცკი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავს: „ამ ქვეყნის მინა კარგი კლიმატური პირობების გამო ყოველმხრივ გამოსადეგია სახნავ-სათესად, მესაქონლეობისათვის და მეაბრეშუმეობისათვის. არ ჩამოვთვლი რა იმ მრავალრიცხოვან სხვადასხვა სარგებლობებს, რომელთაც მიიღებენ ამ ქვეყნის ახალი მცხოვრებნი, დავკმაყოფილდები მხოლოდ იმ სარგებლობათა აღნიშვნით, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნებათ: 1) მეაბრეშუმეობის განვითარება, 2) მაუდის ქარხნების საუკეთესო ხარისხის ცხვრის მატყლით მომარაგება, 3) ტყავის ქარხნების კამეჩისა და საერთოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ტყავით მომარაგება, 4) ღვინით და ხილის არყით ვაჭრობა, 5) კვერნისა და სხვა მხეცების ბენვეული, რომლითაც ძალზე მდიდარია ჭარის პროვინციის გარშემო მდებარე ტყეები, 6) მეფუტკრეობის განვითარება, 7) ამ ქვეყნის მცხოვრებთ ზამთრის პერიოდში შეუძლიათ ხელი მიჰყონ ხე-ტყის დამზადებას. აქაური ხე-ტყე თავისუფლად გამოიყენება გემთმშენებლობისათვის“¹³. ლოფიცკის მიერ ჩამოთვლილ სარგებლობათა მიღების გარდა, რუსი პოლიტიკოსები არ ივინყებდნენ არც რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სავაჭრო გზა: თბილისი-შემახია-ბაქო, რომელიც ჭარ-ბელაქანზე გადიოდა. მთავარმართებელი პასკევიჩი, იმპერატორ ნიკოლოზ I 1830 წლის 11 მარტს ატყობინებდა რა

¹² Всеподданейшее прошения К. А. Лофицкого, от 30-го апреля 1806 года. С.-Петербург, см. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Издание архива главного управления наместника Кавказского, под. ред. А. П. Берже, т. III, стр. 7. ამის შემდეგ მითითებული იქნება მოკლედ: А.С.К.А.К.

¹³ იქვე.

იმ დიდ სარგებლობათა შესახებ, რომელთაც მიიღებდა რუსეთის იმპერია ჭარ-ბელაქნის საბოლოო დაპყრობით, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „торговья сношения Тифлиса с Нухинского и Ширванского провинциями совершенно обезопасятся от грабительств хищников“¹⁴. ამრიგად, როგორც ჩანს, რუსი პოლიტიკოსები აწარმოებდნენ ჭარ-ბელაქნის შესწავლას, ეცნობოდნენ მის ბუნებრივ სიმდიდრეებს. უეჭველია, რომ ჭარ-ბელაქნის შეძენის სარგებლიანობის ეს ეკონომიკური დაზვერვები, მცირე როლს არ ასრულებდნენ რუსეთის მიერ ჭარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხის გადანყევებაში. მართალია, ჭარ-ბელაქანს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სანედლეულო ბაზას რუსეთის მრეწველობისათვის (მატყლი, ტყავი, აბრეშუმი, ძვირფასი ბუნეული, ხე-ტყე და სხვა), მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით რუსეთის მრეწველობა ამ პერიოდში (მე-19 საუკუნის დასაწყისში) არ იყო იმდენად ძლიერი, რომ მას შესძლებოდა რამდენადმე მაინც სერიოზული ლონისძიებების გატარება ამ მხარეში მრეწველობის სხვადასხვა დარგის გასავითარებლად და გამოსაცოცხლებლად (თუმცა პროექტები ამ საკითხებზე ხშირად დგებოდა, მაგრამ ამას იქით აღარ მიდიოდნენ). ეს გასაგებიცაა, რადგან, როგორც ცნობილია, ცარიზმის მიერ კავკასიის და, მაშასადამე, ჭარ-ბელაქნისაც, ეკონომიკური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური „დაპყრობა“. ამიერკავკასიას იპყრობდა არა ბურჟუაზიული, არამედ ჯერ კიდევ თავადაზნაურული რუსეთი. ამ პერიოდში რუსეთის პოლიტიკაში ამიერკავკასიისა და კერძოდ, ჭარ-ბელაქნის მიმართ, მთავარი ადგილი ეჭირა სამხედრო-პოლიტიკურ მომენტებს. ამიტომ ჩვენც, ახლა ამ საკითხების გამორკვევას შევუდგებით. ჭარ-ბელაქანს, როგორც შესავალშიც აღვნიშნავდით, თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა ერთგვარ ბარიერს, რომელიც ხელს უშლიდა რუსეთს თავისი გავლენის გავრცელებაში დალესტინისა და ამიერკავკასიის სახანოებისაკენ. ჭარ-ბელაქანზე გადიოდა გზები, რომლებითაც აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებულ რუსეთს, შეეძლო დალესტანს დაკავშირებოდა. ეს გზები იყო შემდეგი: ბელაქნის (ქართ. წყაროების „ბელაქნის გზა“), იგი გადიოდა ტინოვ როსსას გადასასვლელზე. ყაფისდარას – ეს გზა ჭურჭუტიდან მიემართებოდა მესელდეგერისაკენ, აქედან მაალ-როსსას გადასასვლელით გადადიოდა დალესტინის სოფელ კამელიუკში. ჭარის – იგი გადაჰკვეთავდა გუდურ-დაღის მთას. მუხახის – ეს გზა გადიოდა დინდი-დაღის გადასასვლელზე. ელისუს (ელისუს სასულთნოში) – სოფელ ელისუდან მიჰყვებოდა მთელს ელისუს ხეობას და გადადიოდა ლუჩეკის გადასასვლელზე. თითოეული ეს დალესტანთან დამაკავშირებელი გზა, კავკასიის ომების პერიოდში, დაცული იყო სპეციალური სიმაგრეებით ანუ ფორტეებით. ბელაქნის გზას იცავდა ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრე. ყაფისდარას გზას იცავდა მესელდეგერის სიმაგრე. ჭარის ხეობა გამაგრებული იყო ზაქათალის ციხით. მუხახის ხეობა დაცული იყო სუვაგილის ფორტით. ელისუს ხეობას იცავდა ამავე სახელწოდების ციხესიმაგრე. იმისათვის, რომ რუსეთს მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი კავკასიაში, დაემორჩილებინა დალესტანი, მას აუცილებლად უნდა დაეპყრო ჭარ-ბელაქანი და ხელში ჩაეგდო მასზე გამავალი გზები. ჭარ-ბელაქნის დაპყრობა

¹⁴ Всеполданейший рапорт гр. Паскевича, от 11-го марта 1830 года, стр. 963, А.С.К.А.К., т. VII.

და მისი რუსეთის იმპერიის მფლობელობის ქვეშ მოქცევა – რუსეთის ექსპანსიას გზას უხსნიდა დალესტინისაკნ. შემთხვევითი არ იყო, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ პასკევიჩის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დალესტინის დაპყრობა უნდა დაწყებულიყო სწორედ ჭარ-ბელაქნიდან. 1830 წლის 11 მარტს, პასკევიჩი იმპერატორს ატყობინებდა: „Я решился... военными действиями против непокорных горских народов начать совершенным и безусловным покорением Лезгино-Джарских обществ“¹⁵.

რუსეთის მთავრობა მხედველობაში იღებდა აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ეთნიკურ თავისებურებებსაც. ეთნიკური შემადგენლობის მხრივ, ჭარ-ბელაქანში უმრავლესობას შეადგენდა მუსულმანური მოსახლეობა, რომელიც ქრისტიანული სამყაროსადმი ფანატიკური სიძულვილით იყო გამსჭვალული. მთელი მათი სიმპათია და მხარდაჭერა მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოების – თურქეთისა და სპარსეთის მხარეზე იყო, განსაკუთრებით კი თურქეთის. ამ უკანასკნელების მოწოდებებს ჭარ-ბელაქნელები აქტიურად ეხმაურებოდნენ. ეს გარემოება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის სამფლობელოებს კავკასიაში. იმისათვის, რომ რუსეთს უზრუნველყო თავისი სამფლობელოების უშიშროება კავკასიაში, საჭირო იყო ჭარ-ბელაქნის დაპყრობა, რომ ამით რუსეთს იზოლირება მოეხდინა ჭარ-ბელაქნელებისა და მათი მოკავშირე დალესტინელი ტომების, ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს არ შეეძლო თავისი თავი მდგომარეობის ბატონ-პატრონად ჩაეთვალა ამიერკავკასიაში. კარგად ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, პასკევიჩი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში იმპერატორს წერდა: „опасно оставить их (ლაპარაკია ჭარ-ბელაქნის თავისუფალ თემებზე – თ. პ.) в тылу, при военных действиях наших со стороны Тифлиса во внутренность гор. Сколько и при войнах в противоположный конец против турок и Персиян“¹⁶.

რუსეთის ხელისუფლება ითვალისწინებდა აგრეთვე ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს. ცნობილია, რომ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა არარუს ხალხში იწვევდა ღრმა უკმაყოფილებას. ისინი არაერთხელ ამდგარან იარაღით ხელში თავიანთი ეროვნული თავისუფლების დასაცავად. ასეთი გამოსვლები ხშირად იყო ადგილი საქართველოში. ყოველივე აქედან გამომდინარე, უსაფუძვლო არ იყო რუსეთის მთავრობის შიში, გამოწვეული იმით, რომ საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებულ მოსახლეობას მათ მოსაზღვრე ჭარ-ბელაქნელებში (რომელნიც აგრეთვე რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებულნი) თავისი მოკავშირე დაენახა. ასევე ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჭარ-ბელაქნელებს დაკავშირებოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, საქართველოში არსებული რომელიმე ფეოდალური ოპოზიცია ან მისი რომელიმე ცალკეული წევრი (ალექსანდრე ბატონიშვილის საკითხი). ყველა ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მომენტი რუსეთის პოლიტიკის მესვეურებს კავკასიაში ნათლად და გარკვევით აგრძნობინებდა ჭარ-ბელაქნის დაპყრობის აუცილებლობას.

ჭარ-ბელაქნის საკითხზე ზრუნვა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს დღიდან მათი ჯარების საქართველოს ფარგლებში შემოსვლისა. ისინი საჭი-

¹⁵ А.С.К.А.К., т. VII, стр. 959-963.

¹⁶ იქვე.

როდ თვლიდნენ სისტემატურად ედევნებინათ თვალყური ჭარელთა მოქმედებისათვის. 1801 წლის 2 მაისს გენერალ-მაიორი ლაზარევი კნორინგს წერდა, რომ ჭარ-ბელაქნის ზოგიერთი სოფლის მამასახლისები ალექსანდრე ბატონიშვილთან იმყოფებიან და ისინი მასთან ერთად აპირებენ ქიზიყის სოფლებზე თავდასხმას. ლაზარევი პოლკოვნიკ კარიაგინს დაავალა, რომ ჯარის ნაწილებით მას ალაზნის განაპირა მხარეს მდებარე სოფლები დაეკავებინა. და საერთოდ, გენერალი ლაზარევი მკაცრად აფრთხილებდა კარიაგინს იმის შესახებ, რომ „иметь недреманное смотрение всем, за Алазанию пройсходящем“¹⁷. რუსეთის ხელისუფლების ასეთი დაინტერესება ალაზნის გაღმა მოსახლე ჭარ-ბელაქნელებით გამოწვეული იყო იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელიც საქართველოში შეიქმნა მე-19 საუკუნის დასაწყისში. რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებისა და აქ ახალი მმართველობის სისტემის დამყარების შემდეგ ბაგრატიონთა საგვარეულოს მრავალრიცხოვან წევრებს, მსხვილ ფეოდალებს ელოდათ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მმართველობის სფეროდან ჩამოშორება, მთელი რიგი პრივილეგიების დაკარგვა. ეს გარემოება, ცხადია, მათში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა და ამავე დროს, იგი ქმნიდა მეტად ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ეს დაჯგუფება გადაზრდილიყო რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ აშკარა ოპოზიციაში. ეს ოპოზიცია კარგა ხნის განმავლობაში არ კარგავდა იმედს საქართველოში კვლავ მეფობის აღდგენისა. ამ მიზნის მისაღწევად იგი ყოველგვარი საშუალების გამოყენებას ცდილობდა; იგი უერთდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობას, დაიწყებოდა იგი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ; ამა თუ იმ ზომით მონაწილეობდა თითქმის ყველა ანტირუსულ აჯანყებასა და მოძრაობაში. და აი, სხვათა შორის, ამ ოპოზიციის მონაწილენი, რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ამ ბრძოლაში, ჭარ-ბელაქნელების გამოყენებასაც არა ერთხელ ცდილან. 1801 წლის აგვისტოში ამ ოპოზიციის მონაწილე სამეფო გვარეულობის წევრებმა შესძლეს ქიზიყის გავლენიანი პირების თავიანთ მხარეზე გადმობირება და აქ ერთგვარი შეთქმულების მოწყობა. ამ შეთქმულების მიზანი, როგორც ეს გენერალ ლაზარევის მიერ 1801 წლის 23 აგვისტოს თარიღით, კნორინგისადმი გაგზავნილი რაპორტიდან ირკვევა, იყო ის, რომ „отключиться от подданства Государя Императора нашего и сделаться подобно как при царе Грузинском, Джары-Белоканы, кой были подвластны Грузии, а ныне не принадлежат“¹⁸. შეთქმულები ჭარ-ბელაქნელებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. შეთქმულების მონაწილეებმა ჭარ-ბელაქნელებს მიმართეს წერილით, რომელშიც ისინი მათ თხოვდნენ, რომ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შეეკრიბათ ჯარი, მოსულიყვნენ ქიზიყში და შეერთებული ძალებით გაერეკათ აქ მყოფი რუსეთის ჯარები. ქიზიყში იმდენად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა, რომ მაიორ ალექსეევს ეწინააღმდეგებოდა ქიზიყში მყოფი რუსეთის ჯარებს თავს არ დასტყდომოდა „ვარშავის ამბავი“ (ალექსეევს აქ მხედველობაში აქვს 1794 წელს ვარშავაში მდგომი რუსეთის ჯარის გარნიზონის სრული

¹⁷ А.С.К.А.К., т. I, док. № 905, стр. 646-647.

¹⁸ Центральный Государственный военно-исторический архив Российской Федерации, фонд военно-учебного архива, дело 6164, часть IV, л. 58, ამის შემდეგ მითითებული იქნება შემოკლებით: ЦГВИА, ф. ВУА.

განადგურება). მაგრამ ეს მოსალოდნელი საფრთხე თავიდან იქნა აცილებული: შეთქმულების მზადება დროზე იქნა შეტყობილი და მისი მეთაურებიც დაპატიმრებულ იქნენ¹⁹.

დიდ შემფოთებას ინვევდა რუსეთის ხელისუფალთა წრეებში ალექსანდრე ბატონიშვილის საქმიანობაც. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ფეოდალური ოპოზიციის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა, 1802 წლის ოქტომბრის დასაწყისში განჯაში მოსულიყო და აქ იგი საქართველოში მყოფი რუსების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმებს ადგენდა. როგორც გენერალ-ლეიტენანტ კნორინგის 1802 წლის 11 ოქტომბრის უქვეშევრდომილური რაპორტიდან ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილმა განჯიდან თავისი ემისრები დაგზავნა ჭარში, ბელაქანში და დალესტანში. ემისრებს ბატონიშვილმა თან გაატანა წერილები, რომლითაც აქაურ ხალხებს პირდებოდა რა დიდი თანხის გადახდას, მოუნოდებდა მის მხარეზე გადმოსულიყვნენ და შეერთებული ძალებით თავდასხმა მოეხდინათ კახეთზე. ბატონიშვილის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, კახეთზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო ქართლზე თავდასხმის ერთდროულად, რომელსაც ადგილი ექნებოდა იმერეთის სამეფოს, ახალციხის საფაშოს, ერევნისა და ნახიჭევანის სახანოების მხრიდან²⁰. 1802 წლის ნოემბრის თვეში ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ჯარებით უკვე ბელაქანში იმყოფებოდა და როგორც ბელაქანიდან გამოქცეული სიღნაღელი მცხოვრების, სიმონ ალავერდაშვილის მიერ მაიორ ოლხოვსკისადმი მიწოდებული ცნობიდან ჩანდა, მოკლე ხანში იგი აუცილებლად შემოიჭრებოდა კახეთში²¹. ბელაქანშივე, ალექსანდრე ბატონიშვილთან, თავი მოეყარათ აგრეთვე რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო კახეთიდან გამოქცეულ მრავალ თავადსა და აზნაურს²². 1802 წლის ბოლოს კახეთი უკვე ჭარ-ბელაქნის მხრიდან თავდასხმის აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. 1802 წლის 24 დეკემბრის რაპორტით, გენერალ-მაიორი ლაზარევი საქართველოს მთავარმართებელ თავად ციციანოვს ატყობინებდა, რომ ჭარ-ბელაქნელმა მამასახლისებმა ალექსანდრე ბატონიშვილის დავალებით, ყველა სოფლებიდან თავი მოუყარეს დიდძალ ჯარებს (7 ათასამდე) და ემზადებინა ქიზიყში შემოსაჭრელად²³. ზემოთ მოტანილი ამბები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად სერიოზული საფრთხის შექმნა შეეძლო ჭარ-ბელაქანს რუსეთის ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ მან საქართველოში ფეხის მოკიდების პირველი წლებიდანვე, დღის წესრიგში დააყენა ჭარ-ბელაქნის საკითხი და დაიწყო მის გადასაწყვეტად საჭირო ნიადაგის მომზადება.

1803 წლის 4 თებერვალს, ციციანოვი გენერალ-მაიორ გულიაკოვს წერდა: ზუსტად გამოერკვია, თუ როგორი იყო ჭარ-ბელაქნელი მამასახლისებისა და მცხოვრებთა პოლიტიკური განწყობილება რუსეთის მთავრობისადმი. ამ მიზნის მისაღწევად, ციციანოვი გულიაკოვს ურჩევდა მიემართა შემდეგი საშუალებისათვის: სიღნაღში მყოფი რუსი ჯარის ნაწილებში გაეცა ბრძანება მათი სალაშქროდ მომზადების შესახებ; ამავე დროს გაევერცელებინა ხმები, რომ ლაშქრობა ინიშნება ჭარ-ბელაქ-

¹⁹ ЦГВИА, ф. ВУА. д. 6164; л. 55.58.

²⁰ П. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 545.

²¹ А.С.К.А.К. т. I, док. № 340, стр. 289.

²² ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, часть VII, л. 10, Рапорт Гулякова Цицианову от 16-17 февраля.

²³ А.С.К.А.К. т. II, док. № 1381, стр. 689.

ნელების წინააღმდეგ. ასეთი გზით, ციციანოვის აზრით, შესაძლებელი გახდებოდა ჭარელთა განწყობილების გამორკვევა: თუ მათ რუსეთის მთავრობის მიმართ მტრული მიზნები არა აქვთ, მაშინ რუსი ჯარის სალაშქროდ მზადება ჭარელებს იძულებულს გახდიდა დაენყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება. სამშვიდობო მოლაპარაკება, როგორც ციციანოვი გულიაკოვს ავალებდა, უნდა მომხდარიყო მხოლოდ ერთი პირობით – ჭარელები უნდა დათანხმებულიყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილის სასწრაფო გაცემაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გულიაკოვი მათ უნდა დამუქრებოდა, რომ ამისათვის ისინი სასტიკად დაისჯებოდნენ²⁴. 1803 წლის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებას და თვით მთავარმართებელ ციციანოვსაც, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ჭარში სამხედრო ექსპედიციის მოწყობა. ექსპედიციის ხელმძღვანელად ციციანოვის მიერ დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი გულიაკოვი. გულიაკოვი, რომლის განკარგულებაშიც იმყოფებოდა 3 ბატალიონისაგან შემდგარი რუსი ქვეითი ჯარის რაზმი (1482 კაცის რაოდენობით), ორასი კაზაკი და ხუთიათასამდე (4,500 კაცი) ქართველი ქვეითი და ცხენოსანი მეომრებისაგან შემდგარი ლაშქარი²⁵, 1803 წლის მარტის პირველ რიცხვებში ჭარ-ბელაქნისაკენ დაიძრა. აღნიშნულმა ძალებმა გულიაკოვის სარდლობით სოფ. ანაგასთან გადალახეს მდ. ალაზანი და 8 მარტისთვის უკვე მდინარის მეორე მხარეს იმყოფებოდნენ. ვინაიდან ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლები თითქმის სულ დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, ამიტომ გულიაკოვი პირდაპირ ბელაქნისაკენ გაემართა²⁶. ბელაქანში თავმოყრილი იყო ჭარელების მთავარი ძალები. ჭარელების გარდა ბელაქანში თავიანთი ჯარებით იმყოფებოდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები, დალესტენელები, შაქის (ნუხის) ხანი. სულ ბელაქანში მყოფი მონინააღმდეგის ჯარის საერთო რიცხვი, როგორც ამას ტყვედ ჩავარდნილი ლეკები აცხადებდნენ, აღწევდა 10 ათასს²⁷. მიუხედავად იმ ძლიერი წინააღმდეგობისა, რომელსაც ჭარელები უწევდნენ რუს და ქართველთა ჯარის ნაწილებს გულიაკოვმა 9 მარტისათვის მაინც შესძლო ბელაქნის აღება²⁸. ციციანოვმა გადაწყვიტა კარგად ესარგებლა ექსპედიციის პირველივე წარმატებებით. ამიტომ იგი გულიაკოვს ავალებდა, რომ დროის დაუკარგავად, თავისი ჯარებით ჭარის დასაპყრობად წასულიყო. ციციანოვმა გულიაკოვს გაუგზავნა აგრეთვე წინასწარ შემუშავებული ზავის პირობებიც. ეს პირობები იყო შემდეგი: 1) ჭარელებს რუსეთის ხელისუფლებისათვის უნდა გადაეცათ ბატონიშვილები – ალექსანდრე და თეიმურაზი, 2) ჭარ-ბელაქანში უნდა დარჩენილიყო რუსი ჯარის გარნიზონი და 3) უნდა ეხადათ ყოველწლიური ხარკი აბრეშუმით²⁹. ჭარელებმა გულიაკოვის მიერ წაყენებულ ამ პირობების მიღებაზე უარი განაცხადეს. ამიტომ გულიაკოვმა აღარ დააყოვნა საომარი მოქმედების კვლავ განახლება. 27 მარტს, სოფ. კატეხთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ჭარელები დამარცხდნენ, გულიაკოვი, ჭარისკენ დაიძრა, რომელიც მცირე წინააღმდეგობის განევის შემდეგ, 29 მარტს კიდევ დაწებდა რუს-ქართველთა ჯარს. ჭარელთა დამარცხებაში დიდი როლი შეასრულა მათი მოკავშირის,

²⁴ А.С.К.А.К. т. I, док. № 1382, стр. 683.

²⁵ ЦГВИА, ф. ВУА, д.6170, л. 5, Рапорт ген. Л. Цицианова Императору. от 12 марта 1803 года.

²⁶ იქვე, ფურცელი 70, Рапорт ген-м Гулякова князю Цицианову от 16 марта 1803 года.

²⁷ ЦГВИА, ф. ВУА, д.6170, л. 20, Рапорт ген-м Гулякова князю Цицианову от 16 марта 1803 года.

²⁸ იქვე, ფურც. 20-21.

²⁹ იქვე, ფურც. 5, Рапорт Цицианова Императору, от. 12 марта 1803 года.

შაქის (ნუხის) სახანოს მმართველ, მამედ-ჰასან ხანის ლალატმა: მამედ-ჰასან ხანმა, რომელიც თავისი ჯარით და ორი ზარბაზნით ჭარელთა დასახმარებლად იყო მოსული, როდესაც რუსეთის ჯარები ჭარს მიუხლოვდნენ, ჭარელები მიატოვა და თავს გაქცევით უშველა³⁰. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება შევაჩეროთ 1803 წლის ჭარ-ბელაქნის სამხედრო ექსპედიციაში ქართველების მონაწილეობის საკითხზე. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მთელი ეს ექსპედიცია და მის მიერ ჭარელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობით. ქართველი ხალხის მიზანი, რომელსაც ის მიმდინარე ექსპედიციაში ისახავდა თავიდანვე ნათელი და გარკვეული იყო: იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ექსპედიცია შეასრულებდა დიდმნიშვნელოვან როლს ჭარ-ბელაქნის ლეკთაგან გამოსხნის საქმეში. ამით იყო გამოწვეული, რომ ექსპედიციაში მონაწილე ქართველ მეომართა რაზმი ყოველთვის თავგანწირვით იბრძოდა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ი. პეტრუშევსკი არასწორად აფასებს ექსპედიციაში ქართველთა მონაწილეობის საკითხს. იგი წერს, რომ ქართველ მეომართა რაზმზე გავლენა მოახდინა საქართველოში არსებულ, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციის პოლიტიკურმა განწყობილებებმა და ამიტომ რუსი ხელისუფლები მას ვერ ენდობოდნენ და საერთოდ, ამ ლაშქრობაში ქართველები მეტად უხალისოდ მონაწილეობდნენო³¹. მაგრამ ფაქტები ჩვენ სულ საწინააღმდეგოს გვიჩვენებენ. რომ არაფერი ვთქვათ, ექსპედიციაში მონაწილე ქართველი მეომრების რაოდენობაზე (4500 კაცი), რომელიც სამჯერ აღემატებოდა რუსი ჯარისკაცების რიცხვს (1482 კაცი), მოიპოვება მთელი რიგი საბუთები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველობა უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდა ამ ექსპედიციაში და რომ არა ერთმა ქართველმა რიგითმა მეომარმა და ოფიცერმა, რუს ჯარისკაცებთან ერთად, მრავალჯერ ისახელა თავი თავისი გმირობით ჭარელთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში, როგორც ციცინაოვის მიერ იმპერატორის სახელზე გაგზავნილ უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან ირკვევა, ქართველებიდან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა თავადმა ლუარსაბ ორბელიანმა. ციცინაოვის წარდგენით, ლუარსაბ ორბელიანი დაჯილდოებულ იქმნა წმ. გიორგის სახელობის მე-4 ხარისხის სამხედრო ორდენით³². მაგრამ მარტო ლუარსაბ ორბელიანი როდი იყო, რომელმაც მამაცობით გაითქვა სახელი. გენერალ-მაიორი გულიაკოვი 1803 წლის 16 მარტის რაპორტით მთავარმართველ ციცინაოვს დაწვრილებით აუწერს რა 1803 წლის 9 მარტს მომხდარი ბელაქნის სამხედრო ოპერაციის ამბებს, საგანგებოდ ჩერდება იმ მებრძოლთა დამსახურებაზე, რომელთაც გმირობით განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი. ბელაქნის სამხედრო ოპერაციის დროს, როგორც გულიაკოვი წერს ციცინაოვს, გმირობით, მამაცობით და თავგანწირული ბრძოლით ყურადღება მიიპყრო მრავალმა ქართველმა. გულიაკოვი ზოგიერთ მათგანის გვარსა და სახელს კიდევ ასახელებს. ესენია, დურმიშხან, ედიშერ, დიმიტრი და გიორგი ჩოლოყაშვილები, იოსებ ერისთავი, ნინია და დავით ქობულაშვილები, იოსებ ჭავჭავაძე, დავით აბაშიძე, პაპუ ჭავჭავაძე, ომან ჩოლოყაშვილი, სიმონ ანდრონიკაშვილი, ომან ჯანდიერი და სხვები³³.

³⁰ А.С.К.А.К. т. II, док. № 1387, стр. 685-686.

³¹ И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

³² ЦГВИА, ф. ВУА, л.6170, л. 2.

³³ იქვე.

ჭარის ალების შემდეგ არ გასულა მცირე ხანი, რომ ჭარ-ბელაქნის უმთავრესმა თავისუფალ თემებმა: ჭარმა, თალამ, მუხახმა, ჯინიხმა და აგრეთვე ელისუს სასულთნომ, გულიაკოვს თავიანთი რწმუნებულები გამოუგზავნეს, რომელთაც განაცხადეს სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისა იმ პირობით, როგორც ეს რუსეთის ხელისუფლებას სურდა. გულიაკოვმა რწმუნებულები თბილისში ციციანოვს წარუდგინა, სადაც მათ 1803 წლის 17 აპრილს ხელი მოაწერეს ციციანოვის მიერ შემუშავებულ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის „ხელშეკრულების“ პირობებს³⁴. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში ლაპარაკი იყო არა ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალი თემების სამფლობელოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლაზე, არამედ მის შეერთებაზე საქართველოს სამეფოსთან. ასე მაგალითად, მთავარმართებელი ციციანოვი 1803 წლის 18 აპრილის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში იმპერატორს ულოცავს ჭარის პროვინციის შეერთებას საქართველოს სამეფოსთან, რომელიც მას წარსულ საუკუნეში მოსწყდაო³⁵. იმპერატორიც, თავის მხრივ, 1803 წლის 23 მაისს ციციანოვის სახელზე გამოგზავნილ უმაღლეს რესკრიპტში, გამოსთქვამს დიდ კმაყოფილებას საქართველოს სამეფოსათვის მისი კუთვნილი მიწა-წყლის, ჭარ-ბელაქნის დაბრუნების გამო, რუსეთის იარაღის შემწეობით³⁶. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა, რადგან ამ დროისათვის არამც თუ არ მომხდარა ჭარ-ბელაქნის საქართველოსთან შეერთება, არამედ იგი არც რუსეთს დაუპყრია. მოხდა მხოლოდ მისი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა.

1803 წლის 17 აპრილს ჭარელთა მიერ ხელმოწერილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობები დაწერილი იყო არა ორმხრივი ხელშეკრულების ფორმით, რომელსაც ორმხრივი ვალდებულებანი უნდა გაეთვალისწინებინა, არამედ წარმოადგენდა ციციანოვის სახელზე შედგენილ თხოვნას, რომლის პირობებიც მთლიანად რუსეთის ხელისუფლების კარნახით იყო შემუშავებული. იგი შედგებოდა ათი მუხლისაგან. ეს მუხლები იყო შემდეგი:

1) ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალი თემები ამიერიდან საქვეყნოდ და საუკუნოდ შედიოდნენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.

2) ჭარ-ბელაქნელები ვალდებულნი იყვნენ რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ ეხადათ ყოველწლიური ხარკი – 1100 თბილური ლიტრი აბრეშუმში, რომელიც წელიწადში ორ წყებად უნდა წარედგინათ: აგვისტოსა და ნოემბრის თვეებში.

3) რუსეთის ჯარის ნაწილებს ნება ეძლეოდათ განლაგებულიყვნენ ჭარ-ბელაქნის სოფლებში, სადაც ეს მთავარმართებელს მოესურვებოდა.

4) ერთგულების საწინდრად ჭარ-ბელაქნელებს, სოფლებიდან: ბელაქნიდან, კატეხიდან, ჭარიდან, თალადან, მუხახიდან და ჯინიხიდან – რუსეთის ხელისუფლებისათვის უნდა მიეცათ თითო-თითო მძევალი.

5) შედიოდნენ რა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, ჭარ-ბელაქნელები ვალდებულებას იღებდნენ, რომ მათი მხრიდან ადგილი არ ექნებოდა რაიმე მტრულ მოქმედებას რუსეთის წინააღმდეგ. ისინი პირობას დებდნენ, რომ არც ცხადად და არც

³⁴ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6170, л. 29-30, Рапорт Цицианова Императору, от. 18 апреля, 1803 года.

³⁵ იქვე.

³⁶ А.С.К.А.К. т. II, док. № 1390, стр. 688.

ფარულად თავიანთ ფარგლებში არ შემოუშვებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს; ჭარელები ვალდებულებას იღებდნენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ ისინი წინანდებურად თავშესაფარს არ მისცემდნენ და თავიანთ ქვეყანაზე არ გაატარებდნენ საქართველოს დასარბევად დაღესტნიდან ჩამოსულ ლეკებს.

6) რწმუნებულების თხოვნით, მთავარმართებელი ციციანოვი იმპერატორის სახელით საზეიმო დაპირებას იძლეოდა, რომ რუსეთი ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალ თემების შინაურ მართვა-გამგეობაში არ ჩაერეოდა.

7) რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შედიოდა აგრეთვე ჭარელთა მეზობელი და მოკავშირე ელისუელი ალი-სულთანი, იგივე პირობით, როგორც თვით ჭარელები.

8) ვინაიდან 1803 წლის 17 აპრილს, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის „ხელშეკრულების“ დადების დროს, რწმუნებულები სოფლებიდან: ბელაქნიდან, კატეხიდან და მანეხიდან არ გამოცხადდნენ, ამ სოფლების მცხოვრებთა შიშისა და მათი მთებში გახიზვნის გამო, ამიტომ ჭარის თემის რწმუნებულები რუსეთის ხელისუფლებას აღუთქვამდნენ, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარდნენ ამ სოფლების მცხოვრებთა მორჩილებაში მოსაყვანად და მათი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესასვლელად.

9) რწმუნებულების თხოვნით, მთავარმართებელი ჭარ-ბელაქნელ ლეკებს დაპირებას აძლევდა, რომ იგი ალიაბადის ქართულ სოფლებს, რომელნიც გარკვეული დროიდან ლეკთა მფლობელობაში იმყოფებიან, ხელშეუხებლად დატოვებდა, ისინი კვლავ ლეკთა დამოკიდებულებაში იქნებოდნენ. თავის მხრივ კი ჭარელები ვალდებულებას იღებდნენ, რომ ინგილოებს ხელს არ შეუშლიდნენ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებაში.

10) ეს მუხლი ეხებოდა ტყვეთა ურთიერთგაცვლას და აღნიშნული იყო, რომ ამ საკითხზე დადებული იქნებოდა ცალკე ხელშეკრულება³⁷. ზემოთ მოტანილი „ხელშეკრულების“ პუნქტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს მე-9 მუხლი, რომლიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ცარიზმმა ცნო ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების მფლობელობა მათ მიერ კახეთის სამეფოსაგან უსამართლოდ მიტაცებულ მინა-წყალზე და მასზე მოსახლე მკვიდრ ქართველ მოსახლეობაზე – ინგილოებზე.

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლების პირველი ცდა მიმართული ჭარ-ბელაქნის დაპყრობისაკენ, დამთავრდა მისი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლით. ამიერიდან (1803 წლიდან) ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება: ისინი შედიან რუსეთის იმპერატორის ვასალურ დამოკიდებულებაში. ეს პერიოდი გრძელდება 1830 წლამდე, როდესაც თავისუფალ თემთა ვასალური დამოკიდებულებანი განსაზღვრული ხარკით და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნომინალური ვალდებულებების შესრულებით, რომლებსაც ჭარელები ხშირად არღვევდნენ, შეიცვალა მათი სრული დაპყრობითა და რუსეთის იმპერიასთან საბოლოოდ შეერთებით.

მთავარმართებელი ციციანოვი 1803 წლის 18 აპრილის თარიღით გრაფ კოჩუბების სახელზე გაგზავნილ წერილში შემდეგნაირად აფასებს ჭარ-ბელაქნის რუსეთის

³⁷ А.С.К.А.К. т. II, док. № 1387, стр. 686-687, Всеподданнейший рапорт кн. Цицианова 17-го апреля 1803 года.

იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის მნიშვნელობას. იგი წერს: ქარ-ბელაქნის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლას რუსეთის ისედაც ძლიერ და უზარმაზარი იმპერიისათვის მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს; სამაგიეროდ ამ ამბავს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგანაც ლეკთა მთავარ ბუნაგში რუსეთის ხელისუფლებისა და იარაღის დამყარებით შესაძლებელი გახდება საქართველოს საზღვრების გამაგრება. გარდა ამისა, მათზე დაკისრებული ხარკი, მათ ქვეყანაში რუსეთის ჯარის გარნიზონის დატოვება ყოველგვარ პირობას ქმნის იმისათვის, რომ თუ მათი ეხლა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, მსგავსად სხვა მთიელი ხალხებისა არაგულწრფელი იყო, მომავალში მათთვის იგი მაინც გარდუვალი გახდება³⁸. სულ მოკლე ხანში, მართლაც, გამოიჩინა, რომ ქარელთა მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება „არაგულწრფელი“ იყო. ისინი ხშირად არღვევდნენ და არ ასრულებდნენ 1803 წლის 17 აპრილის რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. განსაკუთრებით ეს ხელშეკრულების მე-5 მუხლზე ითქმის, რომლის მიხედვითაც ქარელებს თავიანთ ქვეყანაზე არ უნდა გაეტარებინათ საქართველოს სარბევად დაღესტნიდან ჩამოსული ლეკები. ასე მაგალითად, 1803 წლის 9 ივლისს დაღესტნელ ლეკთა საკმაოდ მოზრდილი რაზმი (ათას კაცამდე) გამოემართა რა დაღესტნიდან – სოფლების ქარის და კატეხის გავლით გადალახა მდ. ალაზანი და თავს დაესხა რუსთა ჯარის ბანაკს და დიდი ზარალი მიაყენა (წაასხა 211 ცხენი). ამრიგად, ვინაიდან ქარელებმა დაარღვიეს ხელშეკრულების მე-5 მუხლი, ამიტომ მთავარმართველმა ციციანოვმა საჭიროდ ჩათვალა ქარელთა გაფრთხილება. ამ მიზნით, მან გენ. მ. გულიაკოვს დაავალა, რომ მას თავისთან დაეხარებინა ქარის და კატეხის მამასახლისები, წაეკითხა მათთვის ხელშეკრულების მე-5 მუხლი და ამავე დროს, მკაცრად გაეფრთხილებინა, რომ მათ მიერ საქვეშევრდომო პირობების დარღვევისათვის პასუხი მოეთხოვებათ და დაისჯებიან მათი მძევლები. გარდა ამისა, ქარელებს უნდა გადაეხადათ დაღესტნელთა მიერ გარეკილი 211 ცხენის საფასური, რადგანაც ისინი მოვალენი იყვნენ რუსეთის ხელისუფლება უკიდურეს შემთხვევაში გაეფრთხილებინათ მაინც დაღესტნელთა ამ მოსალოდნელი შემოსევის შესახებ, თუ წინააღმდეგობის განევა არ შეეძლოთ³⁹.

ქარელები არ ასრულებდნენ არც ხელშეკრულების მე-2 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას, ე. ი. აბრეშუმით ხარკის გადახდას. 1803 წლის 1 აგვისტო (რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული ვადა ხარკის პირველი ნახევრის შეტანისა) ისე გავიდა, რომ ქარელებს არც კი უფიქრიათ ხარკის პირველი წყების წარმოდგენაზე. ხარკის გადაუხდელობის მიზეზად ისინი თავიანთ სიღარიბეს ასახელებდნენ. რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა მათგან ხარკის გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ სასტიკი დასჯით ემუქრებოდა. 1803 წლის 3 ოქტომბერს ციციანოვმა ქარის პროვინციის მცხოვრებლებს მრისხანებით აღსაესე წერილი გაუგზავნა. იგი მათ წერდა: „თქვენ მე ვერ მომატყუებთ; ისე აგლგვით დედამიწის ზურგიდან, რომ ვერცერთმა ველარ იხილოთ თქვენი სოფლები. წამოვალ ცეცხლით და, მიუხედავად იმისა, რომ რუსები შეჩვეულნი არ არიან წვას, გადავწვავ ყველაფერს, რის დაკავებასაც ჯარის საშუალებით ვერ შეეძლებ და სამუდამოდ დავმკვიდრდები

³⁸ А.С.К.А.К. т. II, док. № 1389, стр. 687.

³⁹ ЦГВИА, ф. 26, оп. 152, д. 188, л.л. 108-110, Рапорт Цицианова Императору от 18 июля 1803 года.

თქვენს მიწა-წყალზე, მაშინ დავინახავთ, დაგეხმარებიან თუ არა დალესტნელები ჩემს განდევნაში ან შესძლებენ თუ არა ამის გაკეთებას... გენერალს კი არა, პირადად მე თვითონ წამოვალ და თქვენი ქვეყნის მიწას თქვენივე სისხლით წითლად შევღებავ... ხოლო დალესტნელები კი, რომელნიც თქვენთან დარჩნენ ზამთრის გასატარებლად, ყველა ამ ამბის მოწმენი გახდებიან და თვითონაც სულ ერთიანად ამონყდებიან... დასასრულ გიცხადებთ, რომ თუ დღიდან ამ წერილის თქვენთან გამოგზავნისა, 4 დღის განმავლობაში არ გადაიხდით ხარკს აბრეშუმით ან ფულით, მაშინ მე დავიწყებ თქვენს წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას: პირველად იგი მიმართული იქნება თქვენი მძევლების მიმართ, რომელნიც სასტიკად დაისჯებიან, ხოლო შემდეგ კი თქვენი ჯერიც დადგება და მოემზადეთ თავის დასაცავად! თქვენი დასჯის რწმუნება მე თვით იმპერატორისაგან მაქვს მიღებული, რადგანაც მან უკვე შეიტყო თქვენს მიერ აგვისტოში ხარკის შემოუტანლობის ამბავი⁴⁰. მუქარამ ვერ გასჭრა. ჭარელები ციციანოვის ამ წერილს დუმილით შეხვდნენ და როგორც ციციანოვის მიერ იმპერატორისადმი 1803 წლის 10 დეკემბრის რაპორტიდან ირკვევა – ისინი კვლავ განაგრძობდნენ რუსებისადმი მტრული დამოკიდებულების გამომუშავებას: აგვიანებდნენ ხარკის გადახდას, თავშესაფარს აძლევდნენ საქართველოზე თავდასასხმელად მოსულ დალესტნელ ლეკებს. უფრო მეტიც, ჭარელები ხშირად თვითონვე იწვევდნენ მათ და შეერთებული ძალებით თავს ესხმოდნენ რუსი ჯარის ნაწილებს⁴¹. ასე მოხდა, მაგალითად, 1803 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც ჭარელებმა ყაზიყუმუხის მფლობელ სურუხაი ხანთან და ავარიელი მამასახლისის, ალისკანდთან ერთად, სოფელ მულანლოს პირისპირ გადმოლახეს მდ. ალაზანი და 22 ოქტომბერს ღამით თავს დაესხნენ კახეთში დაბანაკებულ გენერალ-მაიორ გულიაკოვის რაზმს. ბრძოლაში, რომელიც ფეიქაროსთან მოხდა, რუსთა ჯარის რაზმმა შესძლო მოწინააღმდეგის დამარცხება და დიდი ზარალით იგი ალაზანს გაღმა განდევნა⁴². ამ დამარცხებამ ჭარელები და მათი მოკავშირეები: სურუხაი ყაზიყუმუხელი და ავარიელი ალისკანდი ვერ შეაჩერა. ჩქარა მათ კვლავ მრავალრიცხოვან ძალებს მოუყარეს თავი და კახეთი მათი ახალი შემოსევის საფრთხის წინაშე დადგა. 30 დეკემბერს გულიაკოვმა ცნობა მიიღო, რომ დალესტნელ ლეკთა დიდი რაზმი (6 ათასი), სურუხაი ყაზიყუმუხელის ხელმძღვანელობით, გადმოვიდა მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, იმ ადგილიდან 40 ვერსის დაშორებით, სადაც დაბანაკებული იყო რუსთა ჯარის რაზმი გენერალ-მაიორ გულიაკოვის სარდლობით, ლეკური სოფლის, ბაიამათლოს პირისპირ. 31 დეკემბერს, გულიაკოვი, რომელსაც მთავარმართებლისაგან ნაბრძანები ჰქონდა ლეკთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომებისათვის მიემართა, თავისი ჯარებით მოწინააღმდეგის შესახვედრად გაემართა. ბრძოლაში ჭარელები და მათი მოკავშირე ყაზიყუმუხის მფლობელი დამარცხებულ იქმნენ⁴³. ამის შემდეგ, 1804 წლის 9 იანვარს, ღამით გენერალ-მაიორ გულიაკოვი მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს გადავიდა და დილით უკვე სოფ. კატეხამდე მიაღწია. კატეხში გულიაკოვმა იმ განზრახვით, რომ აქაური მცხოვრებლები მორჩილებაში მოეყვანა, 12 იანვრამდე

⁴⁰ А.С.К.А.К. т. II, док. № 1397, стр. 690.

⁴¹ ЦГВИА, ф. 26, оп. 152, д. 221, л.61, Рапорт Цицианова Императору от 10 декабря 1803 года.

⁴² იქვე, ф. ВУА, д. 6164, часть VII, л.л. 243-244, Рапорт Гулякова кн. Цицианову от 30 октября 1803 года.

⁴³ იქვე, ф. 26, оп. 152, д. 223, л.253-254, Рапорт Гулякова Императору от 3 января 1804 года.

დაპყო. 13 იანვარს გულიაკოვი თავისი რაზმით სოფ. ქარისაკენ დაიძრა. გზადაგზა მას ლეკთა დიდი ჯგუფების მოგერიება უხდებოდა. როდესაც რუსეთის ჯარები ქარს მიუახლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ სოფელი მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, ისე რომ გულიაკოვს ქარის აღება უომრად მოუხდა⁴⁴. 15 იანვარს გულიაკოვი მონინალმდეგის აღმოჩენის მიზნით სოფ. ქარის ზემოთ მდებარე, ზაქათალის ვიწრო ხეობას აპყვა, რომელშიც, როგორც გამოირკვა, გამაგრებული იყვნენ ქარელები და მათი მოკავშირენი: სურუხაი ყაზიყუმუხელი და ავარიელი მამასახლისი ალისკანდი: მათი ჯარების რიცხვი 10 ათასამდე აღწევდა⁴⁵. ხეობაში ოთხი ვერსის გავლის შემდეგ რუსთა ჯარის რაზმი უეცრად მონინალმდეგეს წააწყდა, რომელმაც რუსების დანახვაზე მაშინვე ძლიერი ცეცხლი გახსნა და იერიშზე გადმოვიდა. გულიაკოვი, რომელიც თავის რაზმს წინ მიუძღოდა მტრის პირველივე მოიერიშეების მსხვერპლი გახდა: იგი ხმლით იქნა დაჩეხილი. რუსებს მეტად კრიტიკული მდგომარეობა შეექმნათ: ზაქათალის ვიწრო ხეობაში მომწყვდეული რუსთა ჯარის რაზმს მიუვალ და მოხერხებულ ადგილებში ჩასაფრებული მონინალმდეგე თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. მას სხვა გზა არა ჰქონდა: უკან უნდა დაეხია. გულიაკოვის სიკედილის შემდეგ ჯარის სარდლობა გენ. მ. ორბელიანმა ჩაიბარა. ორბელიანმა შეძლო ჯარში წესრიგის დამყარება და დიდი სიძნელების გამოვლით მოახერხა რაზმი ვიწრო ხეობიდან გაშლილ ადგილზე გამოეყვანა⁴⁶. რუსული ოფიციალური წყაროები სდუმან იმ ზარალის შესახებ, რომელიც რუსთა ჯარებმა განიცადეს 1804 წლის ექსპედიციის დროს. ზარალი კი, როგორც სხვა წყაროებიდან ირკვევა, საგრძნობი იყო. დავით ბატონიშვილი, ეხება რა 1804 წლის ქარელთა წინააღმდეგ მიმართულ ექსპედიციის ამბებს, შემდეგს მოგვითხრობს: „ხოლო ამავე წელსა წარგზავნა იანარალი გულაკოვი დასასჯელად ქარელთა. მიიწია რა, ზაქათალას, იძლივა გულაკოვი ქარელთაგან, რომელიც თვით დასჩეხეს ხრმლითა, და მოსწყდნენ უმრავლესი მხედრობანი მისნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ უმეტეს ხუთასისა რუსნი გარდასციევდნენ კლდესა ზაქათალისასა და მოსწყდნენ“⁴⁷. ზაქათალის ხეობაში რუსთა მხედრობის დამარცხებამ ძალზე შეარყია რუსეთის ხელისუფლების გავლენა ქარ-ბელაქანში. მას შეიძლება მეტად არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა (ამ გავლენის სრული აღმოფხვრის მხრივ), რომ ქარ-ბელაქანის „თავისუფალ თემების“ და მათი მოკავშირეთა ბანაკში ლალატსა და განხეთქილებას არ ეჩინა თავი. 17 იანვარს, როდესაც გენ. მ. ორბელიანი რუსთა რაზმის გადარჩენილი ნაწილებით სოფ. მუხახში მოვიდა, აქ მასთან სამშვიდობო მოლაპარაკების სანარმოებლად გამოცხადდნენ თალის, მუხახის, ჯინიხის თემებისა და აგრეთვე თავისუფალი ლეკური სოფლის, ჩარდახის, მამასახლისები⁴⁸. რწმუნებულები მთელი თავიანთი თემების სახელით, ორბელიანს უცხადებდნენ, რომ რაც მოხდა, ეს ყველაფერი ქა-

⁴⁴ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, часть XXVI, л. 4, Рапорт ген. м. Орбелиани кн. Цицианову, от 16 января 1804 года.

⁴⁵ იქვე, л. 12, Рапорт ген. м. Орбелиани кн. Цицианову, от 15 января 1804 года.

⁴⁶ იქვე, л. 5, Рапорт ген. м. Орбелиани кн. Цицианову, от 15 января 1804 года.

⁴⁷ დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1940 წ., გვ. 29-30.

⁴⁸ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, часть XXVI, л. 19, Рапорт ген. м. Орбелиани кн. Цицианову, от 22 января 1804 года.

რელების მიზეზით იყო. ამიერიდან მათი მხრიდან ადგილი აღარ ექნებოდა რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებას და რომ ისინი მზად არიან ხელმეორედ დასდონ ფიცი რუსეთის ერთგულებაზე⁴⁹. ელისუელმა ალი-სულთანმა ორბელიანს წერილი გამოუგზავნა, რომლითაც იგი მას აუწყებდა თავისი თავის რუსეთის მეგობრად გახდომას. ამავე დროს, იგი ორბელიანს აღუთქვამდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა ჭარელების მასთან შერიგებისათვის⁵⁰. რუსებთან დაზავების ხასიათზე დადგა ყაზიყუმუხის მფლობელი სურუხაი ხანიც. მან ორბელიანს თავისი ვაჟი, ჰამიდ-ალა გაუგზავნა, რომელსაც მამისაგან დავალებული ჰქონდა მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და ჭარელებს შორის. ჰამიდ-ალა ორბელიანს არწმუნებდა: ზავი, რომელიც მისი შუამავლობით დაიდებოდა რუსებსა და ჭარელებს შორის, იქნებოდა მტკიცე და ურღვევი⁵¹. სამი თავისუფალი თემისა (მუხახის, თალის და ჯინიხის) და ელისუს სულთნის ღალატის და აგრეთვე მოკავშირის, სურუხაი ყაზიყუმუხელის გადადგომის შემდეგ თვით ჭარელებსაც ისლა დარჩენოდათ, რომ მათაც თანხმობა განეცხადებინათ დაზავებაზე. მიღებული გადაწყვეტილების რუსებისათვის შესატყობინებლად ჭარის თემმა ორბელიანს თავისი რწმუნებული აბიბეიერი გაუგზავნა⁵². 1804 წლის 11 თებერვალს კი ორბელიანთან ზავის დასადებად გამოცხადდნენ ჭარის თემში შემაგალი თითქმის ყველა სოფლის მამასახლისები (23 კაცის რაოდენობით). ზავი დადებულ იქმნა შემდეგი პირობებით: ჭარელებს ზავის დადებიდან 4 დღის განმავლობაში მთლიანად უნდა შეეტანათ წარსული წლის ხარკი (ე. ი. 1803 წლის) და უკან დაებრუნებინათ რუსებისაგან მათ მიერ გარეკილი 211 ცხენი⁵³. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაზავებას სრულებითაც არ შეუწელებია ის დაძაბული დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ჭარ-ბელაქნის თავისუფალ თემებსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. 1804 წლის მარტისათვის ჭარ-ბელაქნელებს, მიუხედავად მთავარმართებლის მრავალგზის გახსენებისა და გაფრთხილებისა, ჯერ კიდევ გადახდილი არ ჰქონდათ 1803 წლის ხარკი. მოთმინებიდან გამოსული ციციანოვი 1804 წლის 31 მარტს ჭარელებს ასეთ წერილს უგზავნის: „მატყუარნო და თავლაფიანნო! მე თქვენ მრავალგზის გირჩევდით, ხოლო თქვენ დაღესტნელებს მოუწოდებდით და ახლა გინდათ, რომ მე თქვენ დაგიჯეროთ, და კიდევ თავხედობთ, მომწეროთ ისეთი რამ, რაც მე არ მეკადრება. თქვენ ნამდვილად ჰფიქრობთ, რომ მე ქართველი ვარ და ბედავთ ასე წერას! მე რუსეთში დავიბადე, იქ გავიზარდე, ჩემში რუსული სულია! დაიცადეთ თქვენ ჩემს მოსელამდე და მაშინ მე თქვენ სახლკარს კი არ დაგინვათ, – თქვენ დაგნვათ, თქვენ ცოლ-შვილს შიგნეულობას გამოვჰლადრავ. თქვენ ფიქრობთ, რომ პურის აკრეფამდე მშვიდობიანად იქნებით, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ ღვთით, რომ თქვენ ვერ მოესწრებით ჭარული პურის ჭამას, სანამ არ გადაიხდით, რასაც მოვითხოვ. აი, თქვენ, მოლაღატეებს ჩემი უკანასკნელი სიტყვა“⁵⁴. ამჯერად ჭარელებმა ციციანოვს თბილისში თავიანთი მამასახ-

⁴⁹ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, часть XXVI, л. 32.

⁵⁰ იქვე, ფურც. 38.

⁵¹ იქვე, ფურც. 32, 38.

⁵² იქვე, ფურც. 38.

⁵³ იქვე, ფურც. 48, Рапорт ген. м. Орбелиани кн. Цицианову, от 14 февраля 1804 года.

⁵⁴ А.С.К.А.К. т. II, док. № 1401, стр. 691, Приказ кн. Цицианова всем джарским обществам, от 31 марта 1804 года.

ლისები გაუგზავნეს ხარკის ნაწილით (ხარკი შეტანილ იქნა არა აბრეშუმით, როგორც დაწესებული იყო, არამედ ფულით. ნაცვლად 2555 ჩერვონეცისა და ერთი მ. 60 კაპ. – შეტანილ იქნა 1550 ჩერვონეცი) და თანაც მოახსენეს, რომ ხარკის დაგვიანებისა და მისი არასრულად გადახდის მიზეზი არის ელისუელი ალი-სულთანი, რომელმაც დროზე არ წარმოადგინა თავისი გადასახდელი. მამასახლისები ფიცით ციციანოვს არწმუნებდნენ, რომ მათ გულში რუსეთისადმი ერთგულების გარდა არაფერია და რომ ხარკის დანარჩენ ნაწილსაც (1,005 ჩერვონეცი და 1 მან. 60 კაპ.) სასწრაფოდ შემოიტანდნენ⁵⁵. მაგრამ ჭარელები არც ახლა მოერიდნენ ფიცით განმტკიცებული ვალდებულებების დარღვევას. ისინი კვლავ აგვიანებდნენ ხარკის გადახდას. მათ, გარდა იმისა, რომ არ დაფარეს 1803 წლის ხარკის დავალიანება, 1804 და 1805 წლებში სრულებით არ გადაიხადეს ხარკი და როგორც ციციანოვი ატყობინებდა გენ. მ. ორბელიანს, ამის შესახებ ისინი არც კი ფიქრობდნენ⁵⁶. ჭარელები არც საქართველოს სოფლებზე თავდასხმებს იშლიდნენ: არბევდნენ მათ, ტყვედ მიჰყავდათ მოსახლეობა⁵⁷. 1806 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჭარ-ბელაქანში ახალი სამხედრო ექსპედიცია მოაწყო. მთავარმართებელ გუდოვიჩის 1806 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით, ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჭარ-ბელაქნელებისაგან ხარკის აღება და მათი მორჩილებაში მოყვანა. აღნიშნული ბრძანების აღსასრულებლად, ორბელიანი 1806 წლის 7 ნოემბერს თავისი ჯარებით ჭარ-ბელაქნისაკენ გაემართა. 8 ნოემბერს იგი სოფ. კატეხში მოვიდა, სადაც შეიტყო, რომ სოფ. კატეხისა და მანუხის მცხოვრები ლეკები, თავიანთი ოჯახებიანად ზაქათალის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი: მათ კატეხის ხეობაში ჯარის გარკვეული რაოდენობა (400 კაცი) დაეტოვებინათ, რომელსაც რუსებისათვის ზაქათალის ციხისკენ მიმავალი გზა უნდა გადაეღობა. მაგრამ მაიორმა ალექსეევმა, ორბელიანის დავალებით, ჩქარა განმინდა კატეხის ხეობა ჭარელებისაგან და გაანთავისუფლა ზაქათალის ციხისკენ მიმავალი გზა. 10 ნოემბერს ორბელიანი სოფ. ჭარისკენ დაიძრა. ჭარიდან 4 ვერსის მოშორებით დაბანაკებულმა ორბელიანმა ზაქათალის ციხეში გამაგრებულ ჭარელებს (მათი რიცხვი, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 7000 იყო). მოთხოვნა გაუგზავნა, რომლითაც იგი მათ ატყობინებდა, რომ ხელი აეღოთ რუსეთის ხელისუფლების მიმართ ყოველგვარი წინააღმდეგობის განწევაზე, გადაეხადათ მათზე დაკისრებული ხარკი და დაემალათ ჯარი. ზაქათალის ციხეში, ჭარელების გარდა, იმყოფებოდა აგრეთვე ავარიის მფლობელი სულთან ახმედ-ხანი თავისი ჯარით (3000 კაცი). გენერალ-მაიორმა ორბელიანმა მას თავადი ლუარსაბ ორბელიანი გაუგზავნა და მოსთხოვა, რომ თუ მას რუსებისადმი რაიმე მტრობა არა აქვს განზრახული, ვიდრე დაისჯებოდეს, თავისი ჯარებით დატოვოს ზაქათალის ციხე. მცირე მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც მან გენერალ-მაიორ ორბელიანთან აწარმოა, 24 ნოემბერს ავარელმა ახმედ-ხანმა ზაქათალის ციხე დატოვა, ხოლო 25-ში კი ჯარებიც დაითხოვა. ისეთი ძლიერი მოკავშირის ჩამოშორებამ, როგორც იყო ავარიის მფლობელი ახმედ-ხან სულთანი, მეტად შეასუსტა ჭარელთა პოზიციები. ამ გარემოებამ ძალზე გაუ-

⁵⁵ А.С.К.А.К. т. II, док. № 1404, стр. 692. Донесение всех Джарских обществ кн. Цицианову, 1804 г.

⁵⁶ იქვე, т. II, док. № 1410, стр. 694.

⁵⁷ იქვე, т. III, док. № 682, стр. 366.

ადვილა გენერალ-მაიორ ორბელიანს ჭარელების მორჩილებაში მოყვანა. იგი თავისი ჯარებით გარს შემოადგა ზაქათალის ციხეში გამაგრებულ ჭარელებს, ამავე დროს, მან ჯარის ერთი ნაწილი, პოდპოლკოვნიკ თავად ერისთავის ხელმძღვანელობით, ციხისათვის წყლის შესაწყვეტად გაგზავნა, ხოლო მეორე ნაწილს, რომელსაც პოდპოლკოვნიკი პეჩერსკი უთავა, დააეალა ჩაეკეტა ყველა გზა, რომლებითაც ციხე მის გარშემო მდებარე სოფლებს უკავშირდებოდა. ასეთი მოქმედებით ორბელიანმა აიძულა ციხეში მყოფი ჭარელები, დამორჩილებულიყვნენ. მათ ორბელიანთან თავიანთი მამასახლისები გამოგზავნეს, რომელთაც აღუთქვეს მას, რომ სულ მოკლე ხანში ისინი აუცილებლად შემოიჭანდნენ ხარკს. გარდა ამისა, ისინი დაპირებას იძლეოდნენ, რომ ამიერიდან აღარ დააგვიანებდნენ ხარკის გადახდას. ერთგულების საწინდრად ჭარელებმა ორბელიანს მძევლები დაუტოვეს თავიანთი წარჩინებულთა გვარებიდან. ამის შემდეგ, 23 ნოემბერს, ორბელიანმა ციხეს ალყა მოხსნა. 24 დეკემბერს ჭარის მახლობლად დაბანაკებულ ორბელიანს ჭარელებმა მათზე დაკისრებული ხარკის ნაწილი კიდევაც მიუტანეს (ელისუს სულთანმა ამჯერადაც არ წარმოადგინა თავისი გადასახდელი). 27 დეკემბერს ორბელიანმა ჭარიდან მუხახში გადაინაცვლა, ხოლო 1807 წლის 2 იანვარს იგი უკვე ალიბადში იმყოფებოდა.

ისე, როგორც ჭარელთა წინააღმდეგ მოწყობილ წინა წლების სამხედრო ექსპედიციებში (1803-1804 წწ.), ახლაც, 1806 წლის ექსპედიციაში, ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ და მათაც თავიანთ მხრებზე გადაჰქონდათ ის სიძნელეები, რომლებსაც ექსპედიცია აწყდებოდა. ისინი ენერგიის დაუზოგავად და დიდის მონდომებით ასრულებდნენ სარდლობის მიერ მათზე დაკისრებულ საბრძოლო დავალებებს. ჩვენ დავკმაყოფილებით მხოლოდ ზოგიერთი მათგანის დამსახურების აღნიშვნით. ასე მაგალითად, თავადები ლუარსაბ ორბელიანი და აბელ ანდრონიკაშვილი გენერალ-მაიორ ორბელიანის მიერ გაგზავნილ იქნენ ავარიელ სულთან ახმედ-ხანთან და დიდი როლი შეასრულეს ამ უკანასკნელთან წარმოებული მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაში. თავად დავით ჩოლოყაშვილს, რომელიც ორბელიანმა ელისუს სასულთნოში გაგზავნა, დიდი შრომა და გარჯა დასჭირდა იმისათვის, რომ სულთანს მისი ქვეშევრდომებისაგან ხარკი აეკრიფა. ფშავ-ხევსურეთის მოურავი, თავადი ივანე ჩოლოყაშვილი, მთელი ექსპედიციის განმავლობაში, თავისი ჯარით ორბელიანთან იმყოფებოდა და გულმოდგინებით ასრულებდა მიცემულ დავალებებს. თავადმა ადამ ბებურიშვილმა თავი გამოიჩინა მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვების დროს. აღსანიშნავია აგრეთვე თავადების შანშე ერისთავის, რევაზ ანდრონიკაშვილის და მრავალ სხვათა დამსახურებანი⁵⁸.

რუსეთის ხელისუფლება ჭარელების დამორჩილებისა და დასუსტებისათვის მიმართავდა არა მარტო სამხედრო ექსპედიციების მოწყობას, არამედ ცდილობდა სხვა საშუალებებიც გამოეყენებინა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა მოქმედებები ინგილო გლეხების ამხედრება ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად დამყარებული იყო იმ შემოსავალზე, რომელსაც ისინი იღებდნენ მათ მიერ დამორჩილებულ და დაბეგრულ მოქმედებულ გლეხების – ინგილოებისაგან

⁵⁸ ცსსა, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი (ОБД), საქმე №1, ფურც. 107-112, Рапорт ген. м. кн. Орбелиана графу Гуловичу, от 2 января 1807 года.

და მულალებისა. რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, როდესაც ჭარელ ალაღარებს მოქეშქელე გლეხები ჩამოერთმეოდათ, მაშინ მათი ეკონომიკური მდგომარეობაც შეირყეოდა და, რაც მთავარია, აღარ ექნებოდათ შესაძლებლობა შეენახათ და სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინათ მათ მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რაიონების სარბევად დალესტნიდან მოწვეული ლეკები. აი, რას წერს ამის შესახებ 1806 წლის 8 დეკემბერს გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი მთავარმართებელ გრაფ. გუდოვიჩს: ჭარელი ლეკები თითქმის მთელ სურსათ-სანოვაგეს იღებენ შემდეგი სოფლებიდან: ალიაბადი, მოსული, ვერხვიანი, თასმალო, ზაგამი, ლალაფაშა, ყანდახი, მარსანი და ჰენგიანი. ამ სოფლებში მცხოვრები გლეხები, რომლებიც ლეკებს ძალმომრეობით მიუთვისებიათ, არიან ამ მხარეში, ლეკთა მფლობელობის დამყარებისას, თავიანთ მამა-პაპეულ მინა-წყალზე დარჩენილი ქართველები. ისინი ჭარელ ლეკებს იმ ზომამდე შეუვიწროებიათ, რომ თითქმის მონობის მდგომარეობაში იმყოფებიან, დაკარგული აქვთ ქრისტიანული სარწმუნოება და გამხდარან მათი საშინელი ძარცვა-გლეჯის, ტირანიის და ძალადობის უმოწყალო მსხვერპლნი. ეხლა, ამ სოფლების მამასახლისებს თქვენთან ვაგზავნი და გთხოვთ, რომ ამ ხალხს მფარველობა გაუწიოთ, რამდენადმე მაინც შეუმსუბუქოთ მდგომარეობა და იხსნათ მონობის იმ მძიმე უღლიდან, რომელიც მათთვის ჭარელ ლეკებს დაუდგამთ... მოგახსენებთ, რომ როდესაც ჭარელებს ინგილო გლეხები ჩამოერთმევათ, მაშინ მათ შესაძლებლობა მოაკლდებათ შეინახონ დალესტნიდან მოწვეული ლეკები, რადგანაც ჭარელებთან მყოფი დალესტნელების სურსათით მომარაგება უმთავრესად ზემოთ ჩამოთვლილი ქართველთა სოფლებიდან აღებული შემოსავლიდან ხდებოდა⁵⁹. ამრიგად, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, რუსეთის ცარიზმი მოქეშქელე ინგილო გლეხების ჭარელი ალაღარების დამოკიდებულებიდან „განმათავისუფლების“ როლში უნდა გამოსულიყო. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ჭარელთა დასასუსტებლად აღიარებული ეს საშუალება ნაკლები ეფექტისა აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ რუსეთის ცარიზმს, დღიდან ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლისა, არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ გაუტარებია მოქეშქელე ინგილო გლეხების განთავისუფლებისათვის. პირიქით, მე-19 საუკუნის დასაწყისში (კერძოდ 1803 წელს) რუსეთის ცარიზმი ჭარ-ბელაქნელ ალაღარებს საგანგებოდ აღუთქვამდა, რომ იგი მათ მფლობელობაში მყოფ ალიაბადის ქართულ სოფლებს ხელშეუხებლად დასტოვებდა.

რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ჭარ-ბელაქნის საკითხებისადმი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირი იყო. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ციციანოვის მიერ ჭარ-ბელაქანში წარმოებული პოლიტიკა ისეთივე იყო, როგორც გუდოვიჩ-ტორმასოვის პოლიტიკა, ანდა შემდგომში ერომოლოვისა და პასკევიჩის პოლიტიკა. ამავე დროს, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ იცვლებოდა არა რუსეთის ხელისუფლების ჭარ-ბელაქნის საკითხისადმი დამოკიდებულების პრინციპი, არამედ, როგორც პროფ. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, – ამ

⁵⁹ ცსსა, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი (ОБД), საქმე №1, ფურც. 103-106, Рапорт ген. м. кн. Орбелиана гр. Гудовичу, от 8 декабря 1806 года.

პოლიტიკის ტაქტიკური ხაზი⁶⁰: ჭარ-ბელაქნის საკითხზე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა კავკასიაში და საერთოდ, მახლობელ აღმოსავლეთში. გარდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა მხარეების შიგნით განვითარებულ წინააღმდეგობებისა, შეთქმულებებისა და აჯანყებებისა, რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქნის დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლას ართულებდა და დაძაბულს ხდიდა აგრეთვე საერთაშორისო მოვლენები. ეს გასაგებიცაა, რადგან ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობაც ხომ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა.

საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მთელი რიგი მუსლიმანური სახანოების რუსეთთან შეერთებამ ბოლო მოუღო იმ მრავალსაუკუნოვან სისხლისმღვრელ მეტოქეობას, რომელიც არსებობდა ირანსა და თურქეთს შორის კავკასიის ტერიტორიების ხელში ჩაგდებისათვის. მაგრამ ამ ბრძოლის შედეგად დამყარებული კავშირი, ერთი მხრივ, კავკასიასა და ირანს შორის, ხოლო მეორე მხრივ, კავკასიასა და თურქეთს შორის, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკური ბატონობის დამყარების შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. ეს გარემოება კი ამ სახელმწიფოებს უადვილებდა იმ ძირგამომთხრელ მოქმედებას, რომელსაც ისინი ამიერკავკასიაში ეწეოდნენ. ირან-თურქეთისა და ამიერკავკასიის მრავალი ფეოდალური მფლობელის მისწრაფებანი დაკარგული უფლებებისა და სამფლობელოთა დაბრუნებისაკენ განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობოდა მე-19 საუკუნის პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში მიმდინარეობს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მტრული აგიტაცია, არის ცდები შექმნან ფეოდალური კოალიციები, ირანი და თურქეთი გადაქცეულია საიმედო თავშესაფრად ყველა იმ ელემენტისათვის, რომელნიც უკმაყოფილონი არიან ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებით. ამავე პერიოდში ხდება შეიარაღებული გამოსვლებიც რუსეთის წინააღმდეგ: ეს არის ომები, დაწყებული ჯერ ირანის მიერ (1804-1813 წწ.), ხოლო შემდეგ კი თურქეთის მიერ (1806-1812 წწ.). ირანი და თურქეთი ყოველნაირად ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ ამიერკავკასიის ფეოდალურ მფლობელებთან, აემხედრებინათ ისინი რუსეთის წინააღმდეგ. მოიპოვება მრავალი წერილი, ფირმანი თუ მოწოდება, რომლებიც ნათლად მოწმობს მათ ასეთ მოქმედებას. ეს არის ირანის ფეთხ-ალი შაჰის (ბაბა-ხანი), მისი მემკვიდრის, აბას მირზას, ანდა თურქეთის სულთანის ის არაღეგალური კორესპონდენციები, რომლებიც იგზავნებოდა რა სპეციალური აგენტების საშუალებით, ხშირად ხვდებოდა რუსეთის ხელისუფალთა ხელში. ასე მაგალითად, 1807 წლის მარტში შირვანელი მუსტაფა-ხანის გუშაგებმა შეიპყრეს ჯაშუში, რომელსაც აღმოაჩნდა აბას-მირზას წერილები. წერილები დაწერილი იყო ჭარელი ლეკების, სურუხაი ყაზიყუმუხელის, თაბასარანის ყადიის, დარუბანდის ყოფილი ხანის, შიხ-ალისა და სხვათა მისამართებით. აბას-მირზა ამ ხალხებს მოუწოდებდა ერთობლივი სამხედრო მოქმედებისაკენ რუსეთის იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ⁶¹. ამაზე უფრო ადრე, 1806 წლის სექტემბერში, ვიდრე თურქეთის მთავრობა ოფიციალურად ომს გამოუცხადებდა რუსეთს, ანატოლიის არმიის მთავარსარდალმა, არ-

⁶⁰ И. Путрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

⁶¹ А.С.К.А.К. т. III, док. № 807, стр. 433, Всеподданейший Рапорт гр. Гудовича от 15 апреля 1807 г.

ზრუმის სერასკერმა, იუსუფ-ფაშამ მონოდებით მიმართა სურუხაი ყაზიყუმუხელს, ყუბის ხანს, შეიხ ალას, თაბასარანის ყადიას, ჭარ-ბელაქნის ყადიას, ავარიელ ახმედ-ხანს, შირვანელ მუსტაფა-ხანს და სამეგრელოს მთავარ დადიანს. იუსუფ-ფაშა მათ გააურების წინააღმდეგ მოუწოდებდა და ვინც მას ამ საქმეში დაეხმარებოდა – დიდ წყალობას ჰპირდებოდა⁶². 1810 წლის იენისის თვეში მთავარმართველმა გენერალმა ტორმასოვმა თავისი კონფიდენტების საშუალებით შეიტყო, რომ სპარსეთის შაჰის კარზე მყოფი, შამშადილელი მცხოვრები, აბდულ-ალა, რამდენიმე ხნის წინად გამოემგზავრა ჭარისაკენ, საიდანაც მას განზრახული ჰქონდა დაღესტანში გადასვლა: მას თან მოჰქონდა ბაბა-ხანის ფირმანი, რომლითაც იგი ჭარელებსა და დაღესტნელებს ამხედრებდა რუსეთის წინააღმდეგ⁶³. ირანი და თურქეთი ხშირად შეერთებული სამხედრო ძალებითაც იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. 1810 წელს კონსტანტინოპოლში ოტომანის პორტასა და ირანის მთავრობას შორის დაიდო ტრაქტატი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი სამხედრო მოქმედება ამიერკავკასიაში გაბატონებული რუსების წინააღმდეგ⁶⁴.

ირანისა და თურქეთის მტრულ საქმიანობას რუსეთის მიმართ, უფრო აქტიურს ხდიდა მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედი საფრანგეთ-ინგლისის დიპლომატია და მათი აგენტურა. ირან-თურქეთის საერთო „დასავლეთელი მეგობრები“, საფრანგეთი და ინგლისი, რომელთაც ამოძრავებდა რა საკუთარი მიზნები – განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა ირანსა და თურქეთში, ყოველმხრივ ცდილობდნენ გაემწვავებინათ რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ურთიერთდამოკიდებულებანი, აფერხებდნენ მათ შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმდინარეობას. გამოდიოდნენ რა „შუამავლის“ როლებში, ისინი ირანსა და თურქეთს ამიერკავკასიის დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებაში, ეხმარებოდნენ ფულადი სუბსიდიებით, ამარაგებდნენ იარაღით, უზაფინდნენ სამხედრო ინსტრუქტორებსა და ინჟინრებს. განსაკუთრებით აქტიურ მომენტებად ირანისა და თურქეთის ამიერკავკასიასთან ურთიერთობაში უნდა ჩაითვალოს 1805-1808 და 1809-1812 წლები. მახლობელ აღმოსავლეთში 1805-1808 წლები ეს არის საფრანგეთის გავლენის უპირატესობის პერიოდი, ხოლო 1809-1812 წლები კი ინგლისის გავლენის უპირატესობის პერიოდი.

1805 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე ირანსა და თურქეთში ჩნდებოდა საფრანგეთის მისიები, გაგზავნილი იმ კოალიციის პასუხად, რომელიც შეიქმნა ამავე წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ ინგლისის, ავსტრიისა და რუსეთის შემადგენლობით. ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ მახლობელ აღმოსავლეთში წარმოებული პოლიტიკა განუყრელ ნაწილს შეადგენდა იმ საერთო პოლიტიკისა, რომელსაც საფრანგეთი ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლისას ავითარებდა. ნაპოლეონს კარგად ესმოდა აღმოსავლეთის და კერძოდ, ირანის მნიშვნელობა საფრანგეთის საქონლისა და პოლიტიკის რეალიზაციისათვის. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო მან მას შემდეგ, რაც მის მიერ ინგლისის წინააღმდეგ ეგვიპტეზე მოწყობილმა ლაშქრობამ სრული კრაზი განიცადა და ხელში ვერ ჩაიგდო ვერც აფრიკით სახმელეთო გზა და ვერც აფრიკის გარშემო საოკეანო გზა ინდოეთისა და ირანისაკენ. აღმოსავლეთზე ფიქ-

⁶² А.С.К.А.К. т. III, стр. 528-529, Воззвание Юсуф Зия паши к Сурухай хану Казикумыкскому, от сентября 1806 г.

⁶³ იქვე, т. III, док. № 810, стр. 544.

⁶⁴ ცხსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 239, ფურც. 145.

რები ნაპოლეონს არასოდეს შორდებოდა. უკანასკნელი სასიკვდილო დარტყმა, რომელიც მას სურდა ბრიტანეთის იმპერიისათვის მიეყენებინა (დარტყმა ინდოეთზე), სწორედ აღმოსავლეთის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. და აი, ნაპოლეონი ზედიზედ უგზავნის ემისრებს ირანის შაჰს ბაბა-ხანს, მის მემკვიდრე აბას-მირზას და მათ ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებს, ამავე დროს ჰპირდება სამხედრო იარაღ-საჭურველით მომარაგებას. საფრანგეთის გაძლიერება და ნაპოლეონის მიერ მის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციის წევრთა – ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის ჯარებზე აუსტერლიცთან (1805 წ. 20 ნოემბერი), იენასთან (1806 წ. 14 ოქტომბერი) და პრეისიშ-ვილაუსთან (1807 წ. 27 იანვარი) მოპოვებული გამარჯვებანი, უფრო უმტკიცებდნენ ირანს საფრანგეთის დახმარების რწმენას. 1807 წლის 4 მაისს ფინკენშტეინში (პრუსია) ირანსა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც ნაპოლეონი პირობას აძლევს ირანს, რომ დაეხმარება არა მარტო 1803-1806 წწ. ციციანოვის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების (ბაქოს, დარუბანდის, განჯის სახანოების და სხვა) უკანვე დაბრუნებისათვის ომში, არამედ იგი ცნობდა რა ირანის კანონიერ უფლებებს საქართველოზე, შაჰს აღუთქვამდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა იმისათვის, რათა რუსეთი აედულებინა მოეხდინა ამ მხარის ევაკუირება. თავის მხრივ, ირანი ვალდებულებას იღებდა, რომ შევიდოდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ კონტინენტურ ბლოკადაში, გასწყვეტავდა ყოველგვარ ურთიერთობას ინგლისთან და გააძევებდა ინგლისელებს თავისი ქვეყნიდან. ცალკე მუხლი ეხებოდა ირანისა და საფრანგეთის საერთო ბრძოლას ინგლისის და რუსეთის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთად გამოვიდოდნენ საფრანგეთისა და ირანის წინააღმდეგ⁶⁵. თანახმად ხელშეკრულებისა, 1807 წლის დეკემბერში ირანში მოვიდა საფრანგეთის სამხედრო მისია (70 კაცის შემადგენლობით) გენერალ გარდანის ხელმძღვანელობით. შაჰის არმიაში ჩატარებულ იქნა სამხედრო რეფორმა, დაიწყო ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხნების მშენებლობა, ციხეების რეკონსტრუქცია და სხვ.⁶⁶ მაგრამ მოკლე ხანში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. 1807 წლის 13 ივნისს ტილზიტში საფრანგეთსა და რუსეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის საიდუმლო პუნქტის მიხედვით რუსეთი უნდა შეერთებოდა ნაპოლეონის მიერ შექმნილ ინგლისის საწინააღმდეგო კონტინენტურ ბლოკადას. თუ ზავის დადებად რუსეთი საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციის წევრი იყო, ახლა, ტილზიტის შემდეგ იგი გამოდის ამ კოალიციიდან და იმდენად უახლოვდება ნაპოლეონ ბონაპარტეს, რომ მისი მოკავშირეც კი ხდება. ე. ი. უპირისპირდება თავის ყოფილ მოკავშირეს – ინგლისს. კონტინენტურ სისტემაში რუსეთის შესვლის შემდეგ, ინგლისმა აღარ დააყოვნა აღმოსავლეთში რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. თავის მხრივ, ტილზიტის ზავს დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ირანის შაჰიც. შაჰი ნაპოლეონს მოღალატედ თვლიდა. მას ამის საფუძველი კიდევაც გააჩნდა: ფინკენშტეინში ნაპოლეონთან დადებული ხელშეკრულებით შაჰს ხომ უმთავრესად საფრანგეთის აქტიური დახმარების მიღება უნდოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში... შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა ინგლისმა: ინგლისის ბურჟუაზიამ ფინკენშტეინისა და ტილზიტის ზავებს გადამწყვეტი

⁶⁵ Новая история стран зарубежного востока, т. I, под редакцией И. М. Рейснера и Б. К. Рубцова изд. Московского Университета, 1952 г., стр. 365-366.

⁶⁶ იქვე, გვ. 366.

ზომების მიღებით უპასუხა და გააქტიურა თავისი აგენტურის მოქმედება ირანში. ჩქარა ინგლისის დიპლომატიამ სრულ წარმატებას მიაღწია. 1809 წლის 12 მარტს თეირანში ირანსა და ინგლისს შორის ხელშეკრულება დაიდო. ირანი ვალდებულებას იღებდა, რომ განყვეტდა კავშირს საფრანგეთთან და გააუქმებდა ფინკენშტეინის ხელშეკრულებას. თავის მხრივ, ინგლისი შაჰს ჰპირდებოდა, რომ დაეხმარებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ფულადი სუბსიდიებით, სამხედრო იარაღის გამოგზავნით და სხვა⁶⁷. ინგლისელები ცდილობდნენ ირანის შაჰი გადაეციათ ინგლისის მარიონეტად მახლობელ აღმოსავლეთში. მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ შაჰი იყო უმძლავრესი სუზერენი კავკასიის ხანებისა, რომელთა სამფლობელოები იმყოფებოდა მდ. არაქსის ჩრდილოეთით, აზერბაიჯანში და დაღესტანში. ამრიგად, ფეტხ-ალი შაჰთან კავშირი ინგლისელებს შესაძლებლობას აძლევდა გაჭრილიყუნენ ამიერკავკასიისაკენ: ხელში ჩაეგდოთ იქაური ბაზრები, სატრანზიტო-საეაჭრო გზები, რომელნიც სპარსეთის ყურიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიემართებოდა (თავრიზი-თბილისი-ფოთი). ინგლისელი აგენტები ყოველნაირად აქეზებდნენ შაჰს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ამწვავებდნენ ირან-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებას. ინგლისის ელჩმა ირანში, სერ ჰორ უზელიმ აბას-მირზას გადააფიქრებინა ჯარების დათხოვნა და უარი ათქმევინა რუსეთთან საზავო ხელშეკრულებისათვის მიღებულ პირობებზე⁶⁸. ასეთი გზებით ბრიტანელ დიპლომატებს სურდათ მოექციათ აღმოსავლეთი ამიერკავკასია ინგლისის კოლონიური ექსპანსიის სფეროში. მაგრამ ირანის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის დამთავრდა ირანის სრული დამარცხებით. 1813 წლის გიულისტანის ტრაქტატით, რომლითაც დამთავრდა ირან-რუსეთის ომი, ირანმა რუსეთს ოფიციალურად დაუთმო რუსეთის მიერ აქამდე დაპყრობილი მთელი ტერიტორიები, სახელდობრ, სახანოები: ყარაბაღისა, განჯისა, შაქისა, შირვანისა, დერბენტისა, ყუბისა და თალიშისა: გარდა ამისა, მთელი დაღესტანი და საქართველო⁶⁹. გიულისტანის ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ექცეოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, უზრუნველყოფდა რუსეთის ფლოტის ბატონობას კასპიის ზღვაზე და რუს ვაჭრებს უქმნიდა მეტად ხელსაყრელ მდგომარეობას ირანში. ირანი ვერ შერიგებოდა გიულისტანის ხელშეკრულებას. იგი ეწინააღმდეგებოდა აგრეთვე ირანის ზურგს უკან მდგომ ინგლისის ინტერესებსაც, რომელიც „Опасаясь, чтобы Россия не получила преобладающего значения в стране, столь близкой к Индии, всеми силами старалась противодействовать успехам русской политики и принимала тайное участие во всех дипломатических сношениях Персии“⁷⁰. და ამიტომ, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო, რომ გიულისტანის ტრაქტატს ინგლისელებმა უპასუხეს ინგლის-ირანის 1814 წლის ახალი ხელშეკრულებით, რომლის მიზანს შეადგენდა შაჰის ამხედრება რუსეთთან ახალი კონფლიქტის მოსახდენად. ამ ხელშეკრულებით

⁶⁷ М. С. Иванов, Очерк истории Ирана – Академия Наук СССР, Институт Востоковедения, Москва, 1952 г., стр. 132-133.

⁶⁸ Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. VI, стр. 159-164, СПб., 1888 г.

⁶⁹ Полное собрание законов Российской империи, т. XXXII, № 25466, стр. 641-645, об. აგრეთვე, Новая история стран зарубежного востока, т. I, стр. 367-368.

⁷⁰ Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, часть I, стр. 35.

ბის პირდაპირი შედეგი კი ის იყო, რომ ირანის მთავრობამ 1815 წელს მოითხოვა გიულისტანის ტრაქტატის გადასინჯვა და ჰქონდა რა ინგლისის სამხედრო და ფინანსური დახმარების იმედი, დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის მზადება⁷¹. ზემოხსენებული საერთაშორისო სიტუაციის პირობებში, როდესაც რუსეთის ხელისუფალთა ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ფრონტებზე და კავკასიაში მყოფი რუსეთის სამხედრო ძალები მთლიანად ამ ფრონტებზე არიან მობილიზებულნი, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიას, რომელმაც წინა წლების სამხედრო ექსპედიციების გამოცდილებიდან კარგად იცოდა, რომ ჭარ-ბელაქნის დასაპყრობად საჭირო იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, შესაძლებლობა არ ჰქონდა თავისი პოლიტიკა ჭარ-ბელაქნის მიმართ გაეაქტივებინა. ამ პერიოდში ხელისუფლების დამოკიდებულება ჭარ-ბელაქნისადმი მკვეთრად იცვლება: იგი აღარ ატარებს ისეთ შემტევ ხასიათს, როგორც მას ციციანოვის მთავარმართებლობის დროს ჰქონდა. რუსეთის ცარიზმი იძულებულია უპასუხოდ დასტოვოს ჭარელების მიერ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ჩადენილი მთელი რიგი მტრული მოქმედებანი, ანდა დაკმაყოფილდეს ამის შესახებ „თავისუფალი თემების“ მხოლოდ გაფრთხილებით. ასეთი დამოკიდებულება ჭარ-ბელაქნელებისადმი გრძელდება 30-იან წლებამდე, ე. ი. რუსეთის მიერ ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ომების მეორე პერიოდის დასასრულამდე, როდესაც ირანმა და თურქეთმა კავკასიის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ყოველგვარი იმედები დაკარგეს. ამ პერიოდის განმავლობაში ჭარელების მიერ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ჩადენილ მტრულ მოქმედებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მონაწილეობა 1812 წლის კახეთის აჯანყებაში და ირან-რუსეთის II ომში (1826-1828 წწ.).

აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდელ ისტორიკოსთა უმრავლესობა არ ამახვილებს ყურადღებას ჭარ-ბელაქნელების 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის საკითხზე. მხედველობის გარეშე რჩება ეს მომენტი პროფ. ი. პეტრუშევსკისაც. არსებობს საბუთები, რომლებიც ნათლად მიგვიჩივებენ იმ აქტიური თანაგრძნობისა და დახმარების შესახებ, რომელსაც ჭარ-ბელაქნელები უწევდნენ კახელ აჯანყებულებს. ჭარელებმა ორჯერ გაუგზავნეს წერილი ისეთ ძლიერ და გავლენიან მფლობელს, როგორც შარვანელი მუსტაფა ხანი იყო. ჭარელები მუსტაფა ხანს მოუწოდებდნენ: შეერთებოდა კახელ აჯანყებულებს, ამავე დროს, ატყობინებდნენ, რომ ჭარში უკვე მზად არიან გამოსასვლელად. ჭარელებმა მონოდებით მიმართეს აგრეთვე შაქის სახანოს ფეოდალებს. ამ უკანასკნელებს სურდათ კვლავ აღედგინათ თავის უფლებებში რუსეთის მიერ ჩამოგდებული სელიმ ხანი⁷². კახელ აჯანყებულთა რიგებში რუსეთის ხელისუფლების ჯარების წინააღმდეგ მრავალი ჭარელი იბრძოდა⁷³.

ირან-რუსეთის II ომის (1826-1828 წწ.) დროს აშკარად გამოვლინდა ჭარ-ბელაქნის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. ირანიც და რუსეთიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი იმით, თუ ვისკენ იქნებოდა მიმართული ომის მსვლელობის პროცესში ჭარის პოლიტიკური ორიენტაცია. რუსეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ

⁷¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 135-137.

⁷² ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, л. 183, Ралорт П. С. Котляревского маркизу Паулуччи, от 28 февраля 1812 года.

⁷³ А.С.К.А.К. т. V, док. № 191, стр. 129, Объявление маркиза Паулуччи Джарскому обществу, от 2 февраля 1812 г.

ამ ომის დროს მის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო ირანელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მთავარი ფრონტის მხრიდან (ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან), არამედ სერიოზული საფრთხე მოელოდათ ზურგიდანაც (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან), ჭარ-ბელაქნელთა მხრიდან. უშუალო საფრთხის წინაშე, ამ შემთხვევაში, კახეთისა და ქიზიყის პროვინციები დგებოდნენ, რადგანაც, როგორც პოლკოვნიკი კოცებუ აღნიშნავდა, რუსთა ჯარის ის ნაწილი, რომელიც ამ პროვინციებს იცავდა, აქედან განვეული იქნებოდა წინა ხაზზე, რის გამოც ჭარელეები და მათი მოკავშირე გლუხოდორები არ დააყოვნებდნენ ამ ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას და ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა ვნება მიეყენებინათ კახეთისა და ქიზიყისათვის⁷⁴. ყოველივე ამის გამო, გასაგები ხდება ის გარემოება, თუ რატომ გაურბოდა რუსეთის ხელისუფლება ამ პერიოდში ჭარ-ბელაქნელებთან რაიმე კონფლიქტს. იგი ცდილობდა ჭარელეებთან მშვიდობიანი ურთიერთ-დამოკიდებულება ჰქონოდა, როგორმე შეეკავებინა ისინი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მტრული გამოსვლებისაგან, რადგანაც ამ პერიოდში, მას შესაძლებლობა არ ჰქონდა გამოეყო საჭირო სამხედრო ძალები ჭარის დასაპყრობად. ირანის მთავრობა კი პირიქით, თვლიდა რა ჭარ-ბელაქანს რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთ სერიოზულ უბნად, ყოველგვარ ზომებს მიმართავდა იმისათვის, რომ ჭარელები თავის მხარეზე გადაებირებინა და აეძულებინა ისინი რუსების წინააღმდეგ სამოქმედოდ. აბას-მირზამ ჭარ-ბელაქანში სურუხაი კაზიკუმუხელი მოავლინა ჭარელების რუსების წინააღმდეგ ასამხედრებლად. ჭარ-ბელაქანში სამოქმედოდ გამოგზავნილ იქნა აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილი (300 კაცის თანხლებით)⁷⁵. ირანის მთავრობა რუსების წინააღმდეგ ბრძოლისას დიდ იმედებს ამყარებდა აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანური პროვინციების მხარდაჭერაზე. ამ პროვინციების მფლობელთა ირან-რუსეთის ომის დროს, განსაკუთრებით კი ამ ომის პირველ ხანებში, როდესაც ირანელებს ბრძოლის ფრონტებზე წარმატებები ჰქონდათ, მეტად მიმზიდველი პერსპექტივები გადაეშალათ თვალწინ: მათი აზრით, დამდგარი იყო მეტად მარჯვე და ხელსაყრელი მომენტი დაკარგული პოლიტიკური უფლებებისა და სამფლობელოების უკან დაბრუნებისათვის. აბას-მირზამ, შაქისა და შარვანის პროვინციების მფლობელი ხანები (ეს სახანოები ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ უკვე გაუქმებულნი იყვნენ: შაქის სახანო გაუქმდა 1819 წელს, შირვანისა კი 1820 წელს) ხელახლა აღადგინა თავიანთ უფლებებში, რათა ისინი უფრო ადვილად გამოეყენებინა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. შაქის ხანს აბას-მირზამ უბრძანა, რომ თავისი ჯარებით ჭარელებს შეერთებოდა და ერთად მოეხდინათ თავდასხმა რუსებზე კახეთის მხრიდან⁷⁶. შარვანელი მუსტაფა ხანიც მთელი თავისი ჯარებით აბას-მირზას განკარგულებაში იმყოფებოდა⁷⁷.

ყურადღების გარეშე არ სტოვებდა ჭარს ირანის ზურგს უკან მდგომი ინგლისიც, რომელსაც კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ირან-რუსეთის ომის დროს რუსი ჯარების ზურგში მომხდარ ჭარელების აჯანყებას რუსეთის ხელისუფ-

⁷⁴ ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 3-11, Коцебу, Статистические сведения о Чарских владениях.

⁷⁵ А.С.К.А.К. т. VI, часть II, док. № 682, стр. 376, рапорт ген. м. Ховсена ген. л. Велямилову, от 13 сентября, 1826 года.

⁷⁶ იქვე, გვ. т. II, док. № 675, стр. 372, часть II.

⁷⁷ იქვე, გვ. т. VI, часть II, док. № 693, стр. 383.

ლების წინააღმდეგ. ასეთ განზრახვებზე აშკარად მიგვიითიებს ინგლისელი პოლკოვნიკის მონტიისის მისია, რომელმაც ჭარში დაჰყო 1826 წლის დასაწისში. პოლკოვნიკ მონტიისის გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა ჭარის თემში შემავალ ჩემჩელის თოხუმის ქევხა ჰაჯი-მაჰმუდთან. ქევხა ჰაჯი-მაჰმუდი, შემდგომში ირან-რუსეთის ომის მიმდინარეობისას, დიდ აგიტაციას ეწეოდა ჭარ-ბელაქანში აბას-მირზას სასარგებლოდ. იგი აქაურ მცხოვრებლებს მოუწოდებდა დახმარება გაენიათ ირანელებსათვის რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში⁷⁸. ირანის მთავრობისა და ინგლისის დიპლომატიის ასეთ საქმიანობას ამოად არ ჩაუვლია. 1826 წლის ივლისში, ირან-რუსეთის ომის დაწყებისთანავე, ჭარელებმა აშკარად იწყეს მზადება რუსების წინააღმდეგ გამოსასვლელად. ივლისის ბოლო რიცხვებში ჭარ-ბელაქანში გაჩნდა სურუხაი ყაზიყუმუხელი, რომელიც ჭარელებს რუსების წინააღმდეგ ამხედრებდა. ჭარელებმა სოფ. მულანლოსთან ჯამათის სხდომა მოიწვიეს და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ სასწრაფოდ დაენწყით აჯანყება რუსების წინააღმდეგ. მათ აბას-მირზას თხოვნა გაუგზავნეს: დაუყოვნებლივ დაენყო საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ; ისინი ამავე დროს მას აუწყებდნენ, რომ ჭარელები უკვე შეიარაღებულნი არიანო. დეკლარაცია გაგზავნილ იქნა აგრეთვე შაქის ხან სელიმის შვილთან: ჭარელები მას მოუწოდებდნენ, რომ თავისი ჯარებით იგი ჭარში გამოცხადებულიყო⁷⁹.

ჭარელთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სამტრო მოქმედებებს, ირან-რუსეთის ომის პერიოდში, ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა აგრეთვე კავკასიაში მყოფი რუს ხელისუფალთა პასიურობა ჭარ-ბელაქანელების მიმართ. რუსეთის ხელისუფლების და პირადად თვით მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვის ასეთი პასიურობა ამ პერიოდში გამოწვეული იყო მათ განკარგულებაში მყოფი სამხედრო ძალების სიმცირით. შეუძლებელი იყო რაიმე სერიოზული ზომის მიღება ჭარელთა მიმართ. ამიტომ ერმოლოვი კახეთში მყოფი რუსთა ჯარის რაზმის ხელმძღვანელ გენერალ-ლეიტენანტ თავად ერისთავისაგან მოითხოვდა, რომ მორიდებოდა ყოველგვარ შეიარაღებულ შეტაკებას ჭარელებთან და დაკმაყოფილებულიყო ე. წ. „შინაური ზომების და საშუალებების“ ხმარებით⁸⁰. თავის მხრივ, მთავარმართებელმა გენერალმა ერმოლოვმა ომის დაწყებისას ჭარ-ბელაქანის „თავისუფალ თემებს“ ასეთი შინაარსის პროკლამაცია გაუგზავნა: „შევიტყვე, რომ სპარსეთის მთავრობამ თქვენთან სურუხაი ყაზიყუმუხელი გამოგზავნა თქვენი რუსების წინააღმდეგ ასამხედრებლად. მე გაფრთხილებთ თქვენ, თქვენივე საკუთარი კეთილდღეობისათვის, რომ არ შეგაცდინოთ სპარსეთის მთავრობის აგენტმა, მოღალატე სურუხაი ხანმა. სპარსეთის ჯარების დამარცხებისას იგი პირველი მიგატოვებთ თქვენ და გაქცევით უშველის თავს. გაიხსენეთ წარსულ დროთა გამოცდილება, იგი თქვენ ნათლად დაგიმტკიცებთ, რომ ყოველ თქვენს ამბოხებას რუსების წინააღმდეგ, ყოველთვის დამლუპველი შედეგები მოჰქონდა თქვენთვის...“⁸¹. ერმოლოვის პროკლამაციას აბას-მირზამ მოწოდების

⁷⁸ Война на восточном Кавказе с 1824 по 1834 г. в связи с мюридизмом см. Кавказский сборник, т. XI, стр. 18.

⁷⁹ იქვე, გვ. 2.

⁸⁰ იქვე, გვ. 20.

⁸¹ А.С.К.А.К. т. VII, часть I, док. № 1181, стр. 792, Прокламация ген. Ермолова Джарским и Белаганским Лезгинским обществам.

გამოგზავნით უპასუხა: ქარელებს იგი ავალებდა ყოველნაირად ცდილიყვნენ გაენადგურებინათ კახეთში მყოფი რუსთა ჯარები. დალესტენლებსაც მოუწოდებდა, რომ მათ ქარელებთან ერთად ემოქმედათ. ყოველივე ამისთვის აბას-მირზამ სურუხაი ყაზიყუმუხელს დამატებით კვლავ მნიშვნელოვანი ფულადი სუბსიდია გამოუგზავნა. 10 აგვისტოს ქარელები თავს დაესხნენ ყარაღაჯში მდგომ რუსთა ჯარის ბანაკს და ერთიანად გადასწვეს იგი⁸². 1826 წლის 1 სექტემბრისათვის ქარ-ბელაქანში მეტად არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა: აჯანყება, რომელიც აქამდე მხოლოდ ქარის თემში ვრცელდებოდა, ახლა თალის, ჯინიხის და მუხახის თემებსაც მოედო⁸³. ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილმაც 5 სექტემბერს მდ. მტკვარი გადალახა და დაუბრკოლებლივ სოფელ ალმალოში მივიდა. მაგრამ ქარ-ბელაქანში მას მდგომარეობა შეცვლილი დახვდა. მდგომარეობის ცვლილება გამოწვეული იყო რუსების მიერ ირანელებზე მოპოვებული გამარჯვებით (1826 წ. 3 სექტ. შამქორთან) და სურუხაი ყაზიყუმუხელის მოულოდნელი სიკვდილით. სურუხაი ყაზიყუმუხელი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქარელების საიმედო მოკავშირეს წარმოადგენდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისმა სიკვდილმა ქარელებს ძლიერი თავზარი დასცა, რადგანაც სურუხაი ხანის სახით ქარელებს გამოეცალათ დალესტინის ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური მფლობელი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა დალესტინელი ლეკების დარაზმვასა და მათი ქარელების დასახმარებლად მოყვანის საქმეში. ამის გამო აჯანყებულთა რიგებში ადგილი ჰქონდა მღელვარებას. გარდა ამისა, აბას-მირზას ჯარებზე რუსების მიერ შამქორთან მოპოვებულმა გამარჯვებამ, რამდენადმე შეარყია ქარელების მტკიცე რწმენა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებისა⁸⁴. ქარელები მაინც განაგრძობდნენ აჯანყებას. ეხლა მათ დალესტინელი ლეკების იმედი ჰქონდათ. სექტემბერში სოფ. ტანაჩში 2000 კაცამდე ცხენოსან ჯარს მოეყარა თავი. როდესაც ამის შესახებ თავადმა ერისთავმა ერმოლოვს შეატყობინა, უკანასკნელი კვლავ პასიურობდა ქარელთა მიმართ და არ ჩანდა, რომ მას განზრახული ჰქონდა ქარელთა წინააღმდეგ რაიმე ექსპედიციის მოწყობა. იგი თითქოს „გაკვირვებული“ იყო და ერისთავს წერდა: „არ მჯერა, რომ ქარელები კვლავ ფიქრობდნენ თავიანთი სულელური განზრახვის სისრულეში მოყვანაზე: თავს დაესხნენ რუსეთის ჯარს, და რომ თითქოს ისინი ამისთვის დალესტინელ ლეკებს აგროვებდნენ“⁸⁵. მაგრამ, რა თქმა უნდა, ერმოლოვის მიერ ასე თავის დაჭერა გამოწვეული იყო არა იმით, რომ მას მართლა არ სჯეროდა ქარელების მიერ თავდახმის მოწყობის შესაძლებლობა, არამედ გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფლებას არ შეეძლო ქარელთა დასაწყნარებლად სპეციალური ექსპედიციის მოწყობა, რადგან იგი უარყოფითად იმოქმედებდა რუსთა ჯარის მდგომარეობაზე ირანელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ფრონტზე. ამიტომ ერმოლოვის ქარელებისადმი დამოკიდებულების პოლიტიკის ტაქტიკური ხაზიც ისეთი იყო, რომ როგორმე თავი დაეღწია ქარ-ბელაქანში სამხედრო ექსპედიციის მოწყობისათვის, მაგრამ ქარელები, როგორც თავადი ერისთავი იტყობინებოდა, არ აპირებდნენ აჯანყების შეწყვეტას. მათ, აბას-მირზას ჩაგო-

⁸² Война на восточном Кавказе-Кавказский сборник, т. XI, стр. 23.

⁸³ იქვე, გვ. 24.

⁸⁴ იქვე, გვ. 25.

⁸⁵ იქვე, გვ. 28.

ნებით, მრავალრიცხოვანი დალესტენელი ლეკებისათვის მოეყარათ თავი. მთავარმართებელი ერმოლოვი ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა ნება დაერთო გენ. ლეიტ. ერისთავისათვის, რომ იგი მის განკარგულებაში მყოფი რუსთა ჯარის რაზმით ჭარბელაქანში შესულიყო⁸⁶. 1826 წლის 29 ნოემბერს გენ. ლეიტ. ერისთავმა რუსთა ჯარის რაზმით გადალახა მდ. ალაზანი და სოფ. გოგამში დაბანაკდა. ჭარელები, რომელნიც კვლავ განაგრძობდნენ აჯანყებას, მათთან მყოფ დალესტენელ ლეკებთან ერთად (რიცხვით 5-6 ათასამდე) გამაგრებული იყვნენ ზაქათალის ციხეში. ერისთავს ერმოლოვისაგან დავალებული ჰქონდა, რომ ჭარელთა მორჩილებაში მოყვანის დროს მორიდებოდა იარაღის ხმარებას, რადგან იგი ზაქათალის ციხის მიუვალი ადგილმდებარეობის გამო გამოიწვევდა დიდ დანაკარგს რუსთა ჯარში. ჭარელთა დასაწყნარებლად მას სხვა საშუალება უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, უნდა გადაეჭრა ყველა ის გზა, რომლებითაც ჭარელები საქეშქელო სოფლებს უკავშირდებოდნენ, საიდანაც ისინი სურსათ-სანოვაგეს იღებდნენ. ასეთი ღონისძიება ჭარელებს ხელს აალებინებდა აჯანყებაზე⁸⁷. 1826 წლის 12 დეკემბერს ჭარ-ბელაქანში მოვიდა პირადად თვით მთავარმართებელი ერმოლოვი, რომელმაც მასთან გამოცხადებულ ჭარბელაქნის „თავისუფალი თემების“ ქვევებთან მოლაპარაკებისას შესძლო მიეღწია საზავო ხელშეკრულებისათვის. ზავი დადებულ იქნა შემდეგი პირობებით: „თავისუფალ თემებს“ უკანვე გაესტუმრებინათ მათთან მყოფი დალესტენელი ლეკები, რუსეთის ხელისუფლებისათვის უნდა დაეტოვებინათ მძევლები (წარჩინებულთა გვარებიდან), აენაზღაურებინათ მათ მიერ კახეთის მცხოვრებლებისათვის მიყენებული ზარალი და გაეთავისუფლებინათ ტყვეები. გარდა ამისა ჭარელებს თავიანთი ხარჯით უნდა შეენახათ რუსეთის ჯარის საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვი⁸⁸. 1826 წლის 28 დეკემბერს ერმოლოვი იმპერატორ ნიკოლოზ I აუწყებდა: ჭარ-ბელაქნელებმა უკვე გააბრუნეს უკან მათთან მყოფი დალესტენელი ლეკები, რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნებს ისინი მორჩილებით ასრულებენ⁸⁹. ისმის კითხვა: როგორ შესძლო კავკასიაში მყოფმა რუსეთის ხელისუფლებამ ჭარში 1826 წელს მომხდარი აჯანყების ჩახშობა და არც ისეთი პირობებით, როგორც მას სურდა. ე. ი. ჭარელებთან ძლიერი სამხედრო შეტაკების მოუხდენლად? აქ აუცილებლად დიდი როლი ითამაშა რუსეთის ჯარების წარმატებებმა ირან-რუსეთის ომის პერიოდში. ჭარელები თავიანთი აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში დიდ იმედებს ამყარებდნენ იმ გართულებებზე, რომელნიც, მათი ვარაუდით, რუსებს უნდა შექმნოდათ ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელთა დროსაც რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლობა არ ექნებოდა ჭარელთა დასასჯელად სპეციალური ზომების მიღებისა. ეს ასე იყო კიდევაც ირან-რუსეთის ომის I პერიოდში, როდესაც რუსეთის ჯარებს წარმატება არ ჰქონდათ. ამ პერიოდში აშკარად იგრძნობოდა ჭარელთა გააქტიურება. მათზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ის მონოდებანი, რომელთაც მათ შაჰი და მისი მემკ-

⁸⁶ А.С.К.А.К. т. VI, часть I, док. № 1184, стр. 793, Всеподданейший рапорт ген. Ермолова, от. 19-го ноября 1826 года.

⁸⁷ იქვე, დოკ. № 1185, стр. 794, Всеподданейший рапорт ген. Ермолова, от. 9 декабря 1826 года.

⁸⁸ იქვე, დოკ. № 1186, стр. 794-795, Всеподданейший рапорт Ермолова, от. 16-го декабря 1826 года.

⁸⁹ იქვე, დოკ. № 1187, стр. 795, Всеподданейший рапорт Ермолова, от. 28-го декабря 1826 года.

ვიდრე უგზავნიდნენ. მაგრამ შემდგომში, როდესაც მდგომარეობა ომის ფრონტზე რუსთა ჯარების სასარგებლოდ შეიცვალა, ჭარებების ამ იმედებსაც ფრთები შეეკვეცა. ამიტომ იყო, რომ 1826 წლის ნოემბრის ბოლოს, როდესაც მათი სამფლობელოს ფარგლებში რუსთა ჯარის რაზმი შევიდა გენ. ლეიტ. ერისთავის სარდლობით, მათ ხელი აიღეს რუსების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებზე და თანხმობა განაცხადეს საზავო ხელშეკრულების დადებაზე.

მე-19 საკუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ჭარ-ბელაქნის საკითხისადმი კვლავ შეიცვალა. ამჯერადაც, რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქანში წარმოებული პოლიტიკის ცვლილება გამოწვეული იყო რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობით კავკასიაში, და საერთოდ, მახლობელ აღმოსავლეთში. 1826-1829 წწ. ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ომების წარმატებით დამთავრებამ ერთობ განამტკიცა რუსეთის იმპერიის პოზიციები ამიერკავკასიაში. დაკარგული ტერიტორიებისათვის მებრძოლი ირანი და თურქეთი რუსეთთან დადებული თურქმანჩაისა და ადრიანოპოლის საზავო ტრაქტატებით იძულებული შეიქმნენ კვლავ ახალ დამთობაზე წასულიყვნენ რუსეთის მიმართ. ამ ომების შედეგად ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოებს მიემატა მთელი რიგი პროვინციებისა, კერძოდ, 1828 წ. 10 თებერვალს ირანთან დადებულ თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ირანის შაჰმა რუსეთის იმპერიის სრული საკუთრებად ცნო ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები⁹⁰. დიდ წარმატებას მიაღწია რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომშიც. 1828 წ. რუსის ჯარმა დაიპყრო ახალციხე, არზრუმი და სხვა. თითქმის მთელი ახალციხის ყოფილი საფაშო შემოუერთდა საქართველოს, ამავე წელს დაპყრობილ და შემოერთებულ იქნა ახალქალაქის და ხერთვისის სიმაგრეები და რაიონები; განდევნილ იქმნენ თურქები ფოთის სიმაგრიდან, ხოლო 1828 წ. 2 სექტემბრის ადრიანოპოლის ტრაქტატით პორტამ რუსეთს *de jure* დაუთმო რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილი ადგილები, სხვათა შორის, ანაპა, ფოთი, ახალციხე, აწყური, ახალქალაქი⁹¹. ასეთი საერთაშორისო ამბების შემდეგ, როდესაც ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიასთან შეერთება ძირითადად დამთავრებული იყო, როდესაც ქვეყნის სტრატეგიული და პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცე შეიქმნა და მეზობელ ქვეყნებთან საზღვრების უშიშროება ასე თუ ისე უზრუნველყოფილი იყო, ცარიზმს უკვე თავისუფლად შეეძლო ფართო და გაბედული გეგმები შეედგინა ჭარ-ბელაქანში სამოქმედოდ, დაეპყრო იგი და საბოლოოდ შეერთებინა რუსეთის იმპერიისათვის. ამ დროიდან რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა კავკასიის მთიელების, დაღესტნელების დაპყრობა, რომელთა ტერიტორიაც, როგორც სოლი, ისე იყო ჩარჭობილი უკვე დაპყრობილ ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიის ათვისებულ რაიონებს შორის. დაღესტნის დაპყრობას კი, როგორც ჩვენ თავის ადგილას აღვნიშნავდით, რუსეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ჭარ-ბელაქანიდან უნდა შესდგომოდნენ. ამრიგად, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და მისი რუსეთის იმპერიასთან საბოლოოდ შესაერთებლად 1830 წლის დასაწყისში მოწყობილი სამხედრო ექსპედიცია გამომდი-

⁹⁰ Международная политика новейшего времени в договорах, нотках и декларациях, АИ СССР, Москва, 1925, част. I, стр. 140.

⁹¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Турция и Россия... см. Сочинения т. IX, стр. 406.

ნარეობდა არა მარტო რუსეთის მთავრობის იმ სურვილიდან, რომ ჭარ-ბელაქნის დაპყრობით მას კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი სტრატეგიული მდგომარეობა ამიერკავკასიაში, არამედ იგი, როგორც პროფ. ი. პეტრუშევსკიც აღნიშნავს, ამავე დროს იყო ნაწილი იმ გეგმისა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას შემუშავებული ჰქონდა დალესტინის დასაპყრობად⁹².

ჭარში სამხედრო ექსპედიციის მოწყობა გადამწყვეტილ იქნა 1830 წლის თებერვლისთვის. ამ დროს, როგორც პასკევიჩი ფიქრობდა, კავკასიის მთები დაფარული იქნებოდა თოვლით, რაც დალესტინელ ლეკებს გზებს შეუკრავდა და იძულებულს გახდიდა მათ ხელი აეღოთ ჭარელთა დახმარებაზე. ამ ექსპედიციას უნდა მოეხდინა ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სამფლობელოს დაპყრობა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთება, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა მათ რუსეთის იმპერიისადმი ვასალურ დამოკიდებულებას, რომელიც თითქმის ნომინალურ ხასიათს ატარებდა და რომელსაც არაერთი დაბრკოლება შეექმნა რუსეთის მფლობელობისათვის ამიერკავკასიაში ამ 30 წლის განმავლობაში. ექსპედიციაში მონაწილე ჯარის ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ 17 თებერვლისთვის თავი მოეყარათ წმ. სტეფანეს სახელობის მონასტერთან (ქიზიყში, სოფ. ტიბანთან). 20 თებერვალს აღნიშნულ ადგილას თვით პასკევიჩიც მივიდა. ექსპედიციის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით პირველი დარტყმა მიმართული უნდა ყოფილიყო ჭარის თემის მიმართ. ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო, რადგანაც ყველაზე ძლიერი, მდიდარი, გავლენიანი და პოლიტიკური წონის მქონე ჭარის თემის დამორჩილების შემდეგ დანარჩენი თემების დამოუკიდებელი არსებობის ბედიც საბოლოოდ გადამწყვეტოდა. რუსთა ჯარის შესაკრები პუნქტიდან, სტეფანწმინდიდან ჭარელი ლეკების უმთავრესი საბუდარის სოფ. ჭარისკენ მიემართებოდა სამი გზა. პირველი გზის მარშრუტი ასეთი იყო: მდ. ალაზანზე არსებული ფონი ურდო და სოფლები – ბელაქანი და კატეხი. მეორე გზა გადიოდა კოზლუს ფონზე (ალაზანზე), ტანაჩის ხუტორებზე და სოფ. გოგამზე. მესამე გზა, რომელიც ყველაზე უშორესი იყო, მიემართებოდა შემდეგნაირად: მულანლო, ფადარი, ყანდახი, ალიაბადი, ბაზარი და თალა. პასკევიჩმა ჯარების მოძრაობისათვის ეს უკანასკნელი გზა აირჩია. ამ გზას, როგორც თვით პასკევიჩი აღნიშნავდა, ის უპირატესობა ჰქონდა, რომ რუსთა ჯარის ამ გზაზე მოძრაობით ჭარის თემი სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა თავისი ინგილოური საქმეშქელო სოფლებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ მის მთავარ საარსებო წყაროს⁹³. ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც იმედოვნებდა ინგილოების მხარდაჭერაზე, განზრახული ჰქონდა ჭარელი ალალარები საქმეშქელო სოფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე დაეყენებინა. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება ჭარელთა დასუსტების ამ საშუალებას, ეს ნათლად ჩანს პოლკოვნიკ კოცებუს მიერ 1826 წ. დაწერილი ნაშრომიდან: „Статистические сведения о Чарских владениях“.

პოლკოვნიკი კოცებუ ჩამოთვლის რა იმ საშუალებებს, რომელნიც შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყვნენ ჭარელთა დასასუსტებლად, სხვათა შორის, წერს: სოფლები, რომელნიც ხარკს უხდიან ჭარელებს, მდებარეობენ ალაზნის დაბლობში. მათი

⁹² Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 105-106.

⁹³ А.С.К.А.К. т. VII, стр. 959-963, Всеподданнейший рапорт гр. Паскевича, от 11-го марта 1830 года.

დაპყრობა ყოველთვის ადვილად შეიძლება, რადგანაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფარულად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს და ყოველთვის იჩენდა რუსებისადმი მიდრეკილებას. თუ გარემოება ხელს არ შეგვიწყობს, რომ გამოვაცხადოთ ამ სოფლების მცხოვრებნი რუსეთის ქვეშევრდომებად, მაშინ სხვა გზას უნდა მივმართოთ: გადავცეთ ეს სოფლები თალის, მუხახის და ჯინიხის თემებს, რომელნიც ჭარის თემთან შედარებით უფრო რუსეთის მომხრენი არიან, იმ პირობით, რომ ისინი შემდეგში, ამ ჯილდოს სანაცვლოდ, გარკვეულ სამსახურს გაუნევენ რუსეთის ხელისუფლებას. გარდა ამისა, ელისუს სასულთნოს კუთვნილ მინა-წყალზე მდებარე სოფლები ალმალო და ყორალანი, რომელნიც ჭარელებს ძალადობით აქვთ მითვისებული, უნდა ჩამოერთვათ მათ... საქმეჯელო სოფლების ჩამორთმევა გამოიწვევს ჭარელების შემოსავლის შემცირებას, რაც მათ საშუალებას მოუსპობს იშოვნონ მოკავშირენი დალესტანში. ამ საშუალებათა გარდა, – განაგრძობს კოცებუ, არსებობს სხვებიც, რომელთაც აგრეთვე ჭარელთა დასუსტებისაკენ მივყევართ. ასეთია, მაგალითად: უთანხმოების ჩამოგდება „თავისუფალ თემთა“ შორის; რუსეთის მომხრე რომელიმე თემის ხელისუფლების გაძლიერება სხვის ხარჯზე. ამის გაკეთება ელისუს სულთნის დახმარებით ადვილად შეიძლება ჯინიხის თემში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი სასულთნოს ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობს, ხოლო მეორე იმიტომ, რომ მასში მხოლოდ ერთი გვარია, რომლიდანაც ირჩევენ მამასახლისებს; ეს გარემოება კი გვიადვილებს მასზე გავლენის მოხდენას⁹⁴.

ჭარელებმა შეიტყვეს თუ არა, რომ რუსებს განზრახული აქვთ მათ წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციის მოწყობა, მაშინვე ჯამაათის სხდომა მოიწვიეს და გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ პირიქითა ლეკთა ტომებისათვის: ჭურმუტების, თებელის, ტაშლინების, ანწუხების და კაპურინებისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელებმა ჭარელებს უარი შემოუთვალეს, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალეს თოვლით დაფარული კავკასიონის მთების გადმოლახვა, რაც დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული⁹⁵. გარდა ამისა, როგორც მაიორ ყორლანოვის მიერ კავკასიის მთიელებში წარმოებული დაზვერვების შედეგად გამოიკვა, ჭარელებს დახმარებისათვის მიუმაართიათ აგრეთვე მიურიდების იმამ ყაზი მოლასათვის. აღსანიშნავია, რომ ყაზი-მოლა ამხანებში უკვე დიდი ხანია აპირებდა ავარიის სახანოს წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ იგი ჯერ ვერ ბედავდა მის დაწყებას, რადგან არ თვლიდა თავის თავს სათანადოდ მომზადებულად. მაგრამ, როდესაც ხმები გავრცელდა რუსების ჭარელთა წინააღმდეგ ექსპედიციის მზადების შესახებ და 1830 წლის იანვარში რუსის ჯარებმა საამისოდ უკვე სიღნაღისკენ დაიწყეს მოძრაობა, მაშინ ჭარელი მამასახლისები სასწრაფოდ გაემართნენ ყაზი-მოლასთან და თხოვეს მას დაერქვარებინა ავარიაზე ლაშქრობა, რომ ამით ჩამოეშორებინა რუსთა ჯარები და თვით პასკევიჩიც ჭარში ლაშქრობისაგან. ყაზი-მოლამ შეასრულა მათი თხოვნა და ავარიაზე ლაშქრობა დააჩქარა. მაგრამ მან ხუნზახის ალებისას სასტიკი დამარცხება განიცადა⁹⁶.

⁹⁴ ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, л.л. 3-11.

⁹⁵ А.С.К.А.К. т. VII, стр. 959-963.

⁹⁶ Донесение майора Корганова гр. Пасквичу, от 20-го апреля 1830 года, Кавказский сборник, стр. 181-182.

უმოკავშირებოდ დარჩენილი ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალ თემებს“, ყველას ერთად, შეეძლო გამოეყვანა სულ 10 ათასამდე შეიარაღებული კაცი. მაგრამ მათ შორის წარმოშობილი უთანხმოების შედეგად, მოხდა მათი დაყოფა: ბელაქნის, მუხახის და ჯინიხის თემები ცალკე გამოეყვნენ⁹⁷; ჭარელები, რომელნიც თავიანთი განახევრებული სამხედრო ძალების ანაბარა დარჩნენ, იზოლირებულნი აღმოჩნდნენ არა მარტო მათი მოკავშირე დაღესტნელი ლეკებისაგან, არამედ დანარჩენი „თავისუფალი თემებისაგანაც“. ამ გარემოებამ შემდგომში დიდი გავლენა მოახდინა მათ მიერ ჯამაათის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე – რუსებისადმი დამორჩილების შესახებ.

ჯარის ნაწილების სურსათით მომარაგების შემდეგ პასკევიჩმა მთელი თავისი რაზმით 24 თებერვალს მდ. ალაზანი გადალახა და დაბანაკდა სოფ. მულანლოში. 25 თებერვალს აქ მასთან გამოცხადდნენ ჭარ-ბელაქნის ლეკთა ყველა „თავისუფალი თემებიდან“ მამასახლისები, რომელთაც პასკევიჩმა მიმართა ვრცელი პროკლამაციით. პროკლამაციაში დანვრილებით განხილული იყო „თავისუფალი თემებისა“ და რუსეთის ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება 1803 წლიდან 1830 წლამდე განვილი პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში – აღნიშნული იყო პროკლამაციაში, ჭარელები არ წყვეტდნენ თავიანთ მტრულ საქმიანობას რუსეთის მთავრობის მიმართ. ცხადად თუ ფარულად ისინი არღვევდნენ 1803 წლის 17 აპრილის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს, წესიერად არ იხდიდნენ ხარკს, თავშესაფარს აღევიდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, მის მომხრეებს და რუსეთის იმპერიის სხვა მტრებს, ატარებდნენ მათ თავიანთ მიწა-წყალზე, დაღესტნელ ლეკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ კახეთზე წარმოებულ თავდასხმებში, ავიწროვებდნენ მათ მიერ დამორჩილებულ და დაბეგრულ ქართველ გლეხებს (ინგილოებს), ხელს უშლიდნენ მათ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებაში და სხვა... მაგრამ ახლა დადგადრო, მუქარის ტონით აუწყებდა პასკევიჩი ჭარელებს, რომ ბოლო მოეღოს ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტმოქმედებას. ჭარ-ბელაქნელების ერთადერთი ხსნა ამჟამად მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მათ უსიტყვოდ მორჩილება განაცხადონ და შევიდნენ რუსეთის იმპერიის საერთო შემადგენლობაში⁹⁸. ამ პროკლამაციის დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ მას ერთგვარი იდეური გამართლება მიეცა რუსების ჭარ-ბელაქანში შეჭრისათვის. ამ პროკლამაციაში, ისე როგორც სხვა არაერთ ოფიციალურ დოკუმენტსა და წყაროში დასახელებული მიზეზები და მოტივები, რომელნიც ვითომდა უკარნახებდა მეფის მთავრობას მოეხდინა ჭარ-ბელაქნის დაპყრობა, მხოლოდ საფარველი იყო, რომლის იქითაც ჩვენ ცარიზმის ნამდვილი ზრახვები უნდა ვეძიოთ. კერძოდ, ასეთ საფარველს წარმოადგენდა ცარიზმის „ზრუნვა“ კახეთის კეთილდღეობაზე (რათა მოესპო ჭარელებისა და მათი მოკავშირე დაღესტნელი ლეკების განუწყვეტელი თავდასხმები ამ მხარეზე და მისი „მფარველობა“ მაჰმადიანი ჭარ-ბელაქნელი ალაღარების მიერ შევიწროებული ქრისტიან-ქართველი გლეხებისა (ინგილოების). აქ ჩვენ გვაქვს მარჯვე დადასტურება იმ დებულებისა, რომ ცარიზმი კავკასიის ხალხთა ფაქტობრივად ანექსიას ყოველთვის

⁹⁷ А.С.К.А.К. т. VII, стр. 959-963.

⁹⁸ ცხსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2241, ფურც. 9-20, Прокламация Чарскому и Белаканскому обществам, от Гр. Паскевича, 25 февраля, 1830 г.

ასალებდა, როგორც აღმოსავლეთში თავისი ცივილიზატორული მისიის აუცილებელ ატრიბუტს, როგორც მფარველობით პოლიტიკას ირან-თურქეთისაგან შევიწროვებულ ქრისტიანული ხალხის მიმართ⁹⁹.

პასკევიჩის პროკლამაციაში ჩვენ მუქარის გარდა სხვა მოტივებიც გვხვდება. მასში ხაზგასმული იყო, რომ იმ პირთ, რომელნიც ნებაყოფლობით და ყოველგვარი წინააღმდეგობის განევის გარეშე განაცხადებდნენ მორჩილებას, რუსეთის მთავრობა შეუნარჩუნებდა ყველა წინანდელ უფლებებსა და პრივილეგიებს, ხელუხლებლად დატოვებდა მათ ქონებას¹⁰⁰. აშკარაა, რომ პროკლამაციის ეს ადგილი მიმართული იყო „თავისუფალ თემთა“ შიგნით არსებული ფეოდალური ზედაფენის, ალაღარების მიმართ, ე. ი. იმათ მიმართ, რომელნიც სარგებლობდნენ ინგილო და მულალი გლეხებისაგან საქემქელო გადასახადების აკრეფის უფლებით. ეს იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დამახასიათებელი თვისება. ცარიზმი ყოველმხრით ცდილობდა, რომ თავისი ახალი ხელისუფლებისათვის ჭარ-ბელაქანში სოციალური დასაყრდენი შეექმნა. ასეთ დასაყრდენად შეიძლებოდა გამომდგარიყო ჭარ-ბელაქნის მოსახლეობის ის მაღალი ფენა, რომელსაც რუსული მმართველობის შემოღებამდე აქ პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ეჭირა, ხოლო ახლა, რუსული მმართველობის შემოღებისას, ამ ძალაუფლებას უნდა გამოსთხოვებოდა. და აი, რუსეთის მთავრობას, იმ ვარაუდით, რომ ჭარელი ალაღარები თავის მომხრეებად გაეხადა, მათ პირდებოდა მოქემქელე ინგილო და მულალი გლეხების კვლავინდებურად მათ დამოკიდებულებაში დატოვებას და ქონების ხელშეუხებლობას, ე. ი. უნარჩუნებდა მათ ყველა წინანდელ კლასობრივ უფლებებსა და პრივილეგიებს.

პასკევიჩმა ამ პროკლამაციის თითო-თითო ეგზემპლარი, თათრულ ენაზე თარგმნილი, თან გაატანა „თავისუფალ თემთა“ მამასახლისებს, რათა ისინი განხილულ ყოფილიყო ჯამაათის სხდომებზე და მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. ამავე დღეს პასკევიჩი მთელი თავისი რაზმით ჭარელების ინგილოურ საქემქელო სოფლის, ალიაბადისაკენ დაიძრა. 26 თებერვლისათვის პასკევიჩი სოფ. თალას მახლობლად მდებარე ერთ მინდორზე დაბანაკდა. აქ მასთან გამოცხადდნენ „თავისუფალი თემების“ მამასახლისები ჭარის თემის გამოკლებით, რომელთაც თან მოიტანეს თავიანთი თემების გადაწყვეტილებანი რუსეთის მთავრობისადმი დამორჩილების შესახებ¹⁰¹. რაც შეეხება ჭარის თემს, მასში კვლავ გრძელდებოდა ჯამაათის სხდომა (რომელიც გაიხსნა რუსთა ჯარების სტეფანწმინდაში თავმოყრის დღეს და დღე და ღამე მუშაობდა). როგორც ჯამაათის სხდომაზე გამოვლინდა, ჭარის თემის შიგნით ადგილი ჰქონდა მწვავე უთანხმოებას. ჯამაათის მონაწილენი ორ ბანაკად დაიყვნენ: ერთი ნაწილი ჯამაათისა თანახმა იყო დამორჩილებოდა რუსეთის ხელისუფლებას, ხოლო მეორე ნაწილი კი უარს აცხადებდა დამორჩილებაზე და მზად იყო ებრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. აქ, როგორც პროფ. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, თავი იჩინა ჭარის თემის შიგნით არსებულმა კლასობრივმა დაყოფამ¹⁰². ეს ნათლად ჩანს თვით პასკევიჩის 1830 წლის 11 მარტის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან. მასში აღნიშნულია,

⁹⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, стр. 401.

¹⁰⁰ ცხსა, ფ. 2, აღნ. 1, საქ. 2241, ფურც. 9-20.

¹⁰¹ А.С.К.А.К. т. VII, стр. 959-963.

¹⁰² И. Петрушевский, даსახ. ნაშრომი, გვ. 108.

რომ ჯამაათის ის ნაწილი, რომელიც უარს აცხადებდა დამორჩილებაზე, შედგებოდა „Из людей менше достаточных“. ამ კლასობრივ მომენტს უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს ნ. ვოლკონსკი, რომელიც წერს, რომ „буйная молодежь и бедняки во что бы ни стало требовали защищаться до последней капли крови“¹⁰³. დამორჩილების მომხრენი კი უმთავრესად ფეოდალური ზედაფენიდან იყვნენ გამოსულნი. ესენი იყვნენ მამასახლისები, საქეშქელო მინებისა და მოქეშქელე ინგილო და მულალი გლეხების მფლობელები, რომელთაც ამოძრავებდათ შიში თავიანთი ქონების, კლასობრივი უფლებებისა და პრივილეგიების დაკარგვისა. ამ უკანასკნელთა შენარჩუნება, როგორც მათ რუსეთის ხელისუფლება ჰპირდებოდა, შესაძლებელი იყო ყოველგვარი წინააღმდეგობის განევის გარეშე დამორჩილებით. ჭარელი მამასახლისები მათ გარშემო შექმნილი პირობების შეფასებისას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ აგრეთვე მათ მეტად სავალალო სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობასაც, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჭარის თემი იზოლირებულ იყო არა მარტო თავისი მოკავშირე დალესტნელ ლეკებისაგან, არამედ ბელაქნის, კატეხის, თალის, მუხახის და ჯინიხის თემებისაგანაც. ყოველივე ეს მათ უკარნახებდა უკან დაეხიათ და რაკი ამჯერად არსაიდან შეველა არ მოჩანდა, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ გამოსთხოვებოდნენ თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ფეოდალური ზედაფენის სახელით ჯამაათის სხდომაზე გამოვიდა ჭარის თემში შემავალი ჩემჩელის თოხუმის ქეცხა, ჰაჯი მაჰმუდი, რომელმაც თავისი შთამაგონებელი და დამაჯერებლობით აღსავსე სიტყვით საბოლოოდ ბოლო მოუღო მათ მერყეობას და ჯამაათმაც 27 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ. 28 თებერვალს რუსეთის ჯარებმა გენ. მაიორ თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკის ხელმძღვანელობით დაიკავეს ჭარი და ზაქათალა. 1 მარტს ჭარის ხეობის და ზაქათალის მიდამოები პირადად თვით პასკევიჩმა დაათვალიერა და აირჩია ადგილი ციხის ასაგებად, რომელშიც რუსთა ჯარის გარნიზონი უნდა ჩამდგარიყო. რუსეთის იმპერიის მიერ ამ ახლად დაპყრობილი ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სამფლობელოდან შექმნილ იქნა „ჭარ-ბელაქნის ოლქი“, რომელშიც შემოღებულ იქნა რუსული მმართველობის სისტემა¹⁰⁴. 4 მარტს ახლად შექმნილ ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსად დანიშნულ იქნა გენ. მაიორი თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი და გამოქვეყნებულ იქნა ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველობის წესები. ამ წესების თანახმად, ჭარ-ბელაქნის ოლქის სათავეში დაყენებული იყო ოლქის უფროსი. ოლქის უფროსის თავმჯდომარეობით იქმნებოდა საოლქო სამმართველო. საოლქო სამმართველო შედგებოდა 8 წევრისაგან. აქედან ორი წევრი რუსი მოხელე უნდა ყოფილიყო, რომელთაც უშუალოდ თვით მთავარმართველი ნიშნავდა. დანარჩენი ექვსი კი – ადგილობრივი მოსახლეობიდან, უმთავრესად მამასახლისების წრიდან. მათი შერჩევა ხდებოდა „თავისუფალ თემთა“ მიერ, ხოლო ამტკიცებდა მთავარმართველი. საოლქო სამმართველოს წევრები რუს მოხელეთაგან, რომელნიც „სოვეტნიკის“ (მრჩეველები) წოდებას ატარებდნენ, მმართველობაში სარგებლობდნენ გადამწყვეტი ხმის უფლებით, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან არჩეულ წევრებს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ეძლეოდათ. როგორც მმართველობის წესებში იყო აღნიშნული, რუსეთის ხელისუფლება ჭარ-ბელაქნის თემებს მის წინანდელ საფუძველზე და-

¹⁰³ Война на восточном Кавказе, кавказский сборник, т. XI, стр. 179.

¹⁰⁴ А.С.К.А.К. т. VII, стр. 959-963, Всеподлапейший рапорт Паскевича от 11 марта 1830 года.

ლაში უტოვებდა ნაციონალურ მედიატორულ ანუ მომრიგებელ სასამართლოს, ე. წ. „შარო“-ს. ამ სასამართლოს უფლება ჰქონდა გაერჩია სამოქალაქო საქმეები ადგილობრივი ადათისა და შარიათის მიხედვით. აქვე მხედველობაში მიღებული იყო ის გარემოება, რომ უფრო მნიშვნელოვანი სამოქალაქო საქმეები, თუ ამას მოისურვებდა მოწივართა რომელიმე მხარე, მომრიგებელ სასამართლოდან შეიძლებოდა გადასულიყო საოლქო სამმართველოში, სადაც მას განიხილავდნენ რუსული კანონმდებლობის მიხედვით. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, მისი გარჩევის უფლება მხოლოდ საოლქო სამმართველოს ჰქონდა – რუსული კანონების საფუძველზე. საოლქო სამმართველოს განკარგულების სისრულეში მოსაყვანად, მასთან ინიშნებოდა ორი ოფიცერი, უმთავრესად ისეთნი, რომელთაც კარგად იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა. ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველობის წესები, გარდა მმართველობის ცენტრალური დანესებულებებისა, ითვალისწინებდა აგრეთვე ადგილობრივი დანესებულებების მოწყობის საკითხებსაც. კერძოდ, მის შესახებ იქ აღნიშნული იყო, რომ მთელი ჭარ-ბელაქნის ოლქი დაყოფილ უნდა ყოფილიყო ე. წ. მაღალეზად, რომელთა სათავეშიც ჩაყენებულ იქნებოდა მაღალის უფროსები. მაღალთა უფროსების მოვალეობას შეადგენდა სისრულეში მოყვანათ და ადგილებზე განეხორციელებინათ სამმართველოს განკარგულებანი და ბრძანებანი. მაღალების უფროსებთან, მათ მიერ საოლქო სამმართველოს ბრძანებების ზუსტად შესრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, ინიშნებოდნენ ბოქაულები – სამხედრო ოფიცერთაგან ან ქართველი თავადებიდან, რომლებმაც იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა¹⁰⁵. მთელი ჭარ-ბელაქნის ოლქი სულ დაყოფილ იქნა სამ მაღალად. პირველ მაღალში შედიოდა: ჭარის, კატეხის და ბელაქნის თემები. მეორე მაღალში: თალის, მუხახის და ჯინიხის თემები, ხოლო მესამე მაღალი მოიცავდა ელისუს სულთნის სამფლობელოს¹⁰⁶.

ჭარ-ბელაქანში რუსული მმართველობის სისტემის შემოღებასთან ერთად, რუსეთის ხელისუფლება აქ დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ისეთივე კოლონიური პოლიტიკის გატარებას, როგორსაც იგი მის სხვა დაპყრობილ ადგილებში ატარებდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ამ პოლიტიკისათვის სოციალური ბაზის შექმნა. ამ მხრივ, მისი ყურადღება უმთავრესად მიმართული იყო ადგილობრივი აჯალღარების მიმართ. თვითმპყრობელობა ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა იმისათვის, რათა ისინი მალე გაეერთგულებინა და გაეხადა თავისი კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენად და მის აქტიურ გამტარებლად. უკვე 1830 წლის 4 მარტს, მთავარმართებელი პასკევიჩი გენ. მაიორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის წერდა, რომ ადგილობრივი გავლენიანი, სასარგებლო ხალხის თვითმპყრობელობის მხარეზე გადმობირებისათვის, მათი „მოფერებისათვის“ („для приласкания полезных людей“), მის განკარგულებაში იგზავნებოდა გარკვეული რაოდენობის თანხა¹⁰⁷. ბეკოვიჩ-ჩერკასკიც, ასრულებდა რა მთავარმართებლის ამ დირექტივას, მზრუნველობას არ აკლებდა ადგილობრივ მამასახლისებს, ქევებებს, მათ შვილებს და გავლენიან სასულიერო პი-

¹⁰⁵ А.С.К.А.К. т. VII, док. 380, стр. 444-445, Правила для управления Джарскою и Бслаканскою областью.

¹⁰⁶ ცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2241, ფურც. 160-161, Рапорт ген. адъют. Стрскалова гр. Паскевичу, от 20 октября 1830 г.

¹⁰⁷ А.С.К.А.К. т. VII, док. 380, стр. 443-444, Предписание гр. Паскевича кн. Бековичу-Черкасскому, от 4 марта, 1830 года.

რებს. ასე მაგალითად, მას საჭიროდ მიაჩნდა ზოგიერთი მამასახლისის და ქვეხების შვილებისათვის (25 კაცის რაოდენობით) თვითური ჯამაგირის დანიშვნა და მათი მუდმივად ოლქის უფროსთან ყოფნა. ხოლო რაც შეეხება თვით მამასახლისებს, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ ხალხში და სასულიერო პირებს, მათ შესახებ ბეკოვიჩ-ჩერკასკი წერდა: „дабы прислать их к себе показывая им некоторое внимание свое, не излишне было бы делать им частные угощения“¹⁰⁸. ცარიზმის ასეთ ღონისძიებებს უქმად არ ჩაუვლია. სულ მოკლე ხანში მრავალმა ქვეხამ და მამასახლისმა გამოიჩინა თავი რუსეთის მთავრობისადმი ერთგულ სამსახურში. აი, რას ატყობინებს 1830 წლის 29 მაისს ბეკოვიჩ-ჩერკასკი ჭარ-ბელაქნის ოლქის ახალ უფროსს, გენ. მაიორ სერგეევს: ჭარის, კატეხის და ბელაქნის მაღალში, რუსეთის მთავრობისადმი თავიანთი ერთგული სამსახურით განსაკუთრებით გამოირჩევიან მამასახლისები: შაჯი-მაჰმუდი და მამედ-ველი-ჩანკა-ოლლი (ჭარის თემში შემავალ ჩაფარ ალის თოხუმიდან). თალის, ჯინიხის და მუხახის მაღალში რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ყველა დავალებებს განსაკუთრებული მონდობით ასრულებენ შემდეგი მამასახლისები: სოფელ ჯინიხიდან – მამედ-ჰასან-ალა, სოფელ თალადან – რამაზან-ჩობან-ოლლი და სოფელ მუხახიდან – იუსუფი. ბეკოვიჩ-ჩერკასკი სერგეევს წერდა, რომ შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის აგენტებადაც გამოყენება. საჭირო შემთხვევაში შეიძლება მათი გაგზავნა კავკასიონის პირიქითა კალთებზე მცხოვრებ ხალხებში – იქ დაზვერვების სანარმოებლად და ცნობების შესაგროვებლად. ასე მაგალითად, ანკრატლის თემში, რომელიც ხშირად ახდენს კახეთზე თავდასხმებს, ცნობების შესაგროვებლად მიზანშეწონილია გაგზავნილ იქნენ მამასახლისები შაჯი მაჰმუდი ან მამედ ველი-ჩანკა-ოლლი. ამას წინათ, – ატყობინებდა ბეკოვიჩ-ჩერკასკი სერგეევს, – ანკრატლში სპეციალური დავალებით, რათა დაეყოლიებინა იქაური მცხოვრებნი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლაზე, გაგზავნილ იქნა ბელაქნის თემის ქვეხა მამედ-მურთუზ-ალი-ოლლი. ამ მხრივ მან გარკვეულ წარმატებას კიდევაც მიაღწია: თაშლინებისა და თებელის ტომებმა სურვილი განაცხადეს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე¹⁰⁹. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჭარ-ბელაქნელი ალაღარები ხდებიან რუსეთის ცარიზმის დასაყრდენი მეზობელი თემების და ტომების დაპყრობის, ე. ი. კავკასიაში ცარიზმის შემდგომი ექსპანსიისა და განმტკიცების საქმეში.

იმისათვის, რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ დაპყრობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევხვით ავარელი და ნახურელი ლეკების მიერ აღმოსავლეთ კახეთში შექმნილი მეორე პოლიტიკურ ერთეულის, ელისუს სულთნის რუსეთის იმპერიასთან შეერთების ისტორიას.

როგორც ცნობილია, 1803 წელს ელისუს სასულთნო ჭარ-ბელაქნის სხვა „თავისუფალ თემებთან“ ერთად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შედის. ისე, როგორც ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემები“, ელისუს სასულთნოც შინაურ მართვა-

¹⁰⁸ ცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2241, ფურც. 52.

¹⁰⁹ იქვე, საქ. 2158, ფურც. 10-11, Отношения кн. Бековича-Черкаского, гсш- м. Сергееву, от 29 мая 1830 г.

გამგეობაში ჯერ-ჯერობით დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა¹¹⁰. ელისუს სასულთნოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ სულთნის ხელისუფლება, როგორც ეს ჩანს, შესამჩნევად იზრდება. თავიანთი გავლენის გაძლიერებას სულთნები რუსთა დახმარებით ახერხებდნენ. ელისუს სულთნები ამიერიდან ჭარელების დაუკითხავად მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან და ყოველნაირად ცდილობენ მათი მხარდაჭერა მოიპოვონ (ამ მხრივ განსაკუთრებით სულთანი ახმედ-ხანი გამოირჩეოდა – 1805-1830 წწ.), რომ როგორმე თავი დააღწიონ ჭარის ჯამაათის ძლიერ გავლენას. რუსეთის მთავრობაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სულთნის გავლენის გაძლიერებას, რადგანაც მას შეეძლო სულთანი შემდგომში საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა, როგორც იარაღი დაუმორჩილებელი ავარიელ ლეკთა თემების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1807 წელს სულთანი ახმედ-ხანი მთავარმართებელ გუდოვიჩს პირადად ეახლა თბილისში – რუსეთის ხელისუფლებისადმი თავისი ერთგულების გამოსაცხადებლად. ერთგულების საწინდრად ახმედ-ხანმა თბილისში რუსეთის ხელისუფლებას მძევლად თავისი უფროსი ვაჟი დაუტოვა. გუდოვიჩმა იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა ახმედ-ხანისათვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭების და პენსიის დანიშვნის შესახებ¹¹¹. სულთნის მიზანი აშკარა იყო – განთავისუფლებულიყო ჭარელთა ძლიერი გავლენისაგან – რასაც კიდევაც მიაღწია. ამიერიდან, ვიდრე 1844 წლამდე, ელისუს სულთანი ყოველთვის რუსეთის მთავრობის მომხრეთა რიგებში იმყოფებოდა. 1826-1828 წწ. ირან-რუსეთის ომის პერიოდში, როდესაც ჭარ-ბელაქნელებმა აშკარად გამოამჟღავნეს რუსეთის ხელისუფლებისადმი თავიანთი სამტრო განწყობილება, ელისუს სულთანი თავისი ჯარებით რუსების მხარეზე იყო და მათ ეხმარებოდა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთივე ერთგულებას ინარჩუნებდა სულთანი 1830 წელსაც, როდესაც ჭარ-ბელაქანში ადგილი ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მრისხანე აჯანყებას. 1830 წელს, როდესაც რუსეთმა საბოლოოდ ბოლო მოუღო ჭარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემების“ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, დაიპყრო ისინი და მათი სამფლობელოდან ცალკე „ჭარ-ბელაქნის ოლქი“ შექმნა, მაშინ ელისუს სასულთნო, მართალია, შევიდა ამ ოლქის შემადგენლობაში და იგიც უნდა დამორჩილებოდა აქაურ დროებით მმართველობას, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მხედველობაში მიიღო ელისუს სულთნის ერთგული სამსახური და შინაური მართვა-გამგეობა სასულთნოში კვლავ წინანდელ საფუძველზე დატოვა სულთნის სრულ განკარგულებაში¹¹². 1831 წელს ელისუს სულთნის, ახმედ-ხანისა და მისი შვილის, მუსა-ალას გარდაცვალების შემდეგ სასულთნოს მმართველად, ყველა წინანდელი უფლებების შენარჩუნებით, დამტკიცებულ იქნა დანიელ-ბეგი. ის დიდი ადმინისტრაციული რეფორმები, რომელიც ამიერკავკასიის მხარეში 1840 წელს ჩატარდა, ჭარ-ბელაქნის ოლქსაც შეეხო. ჭარ-ბელაქნის ოლქი, ბელაქნის მაზრის სახელწოდებით, საქართველო-იმერეთის გუბერნიას მიეკუთვნა. ბელაქნის მაზრა, თავის მხრივ, სამ უბნად იყოფოდა: ბელაქნის, ენისელის და ელისუს. ელისუს უბანი შედგებოდა ყო-

¹¹⁰ Полная справка о всех вообще претензиях Елисейского султана и о высочайших разрешениях, последовавших по представлению Закавказского комитета по ссму предмету, см. ЦГВИА, ф. ВУА, д. 6544, л. 22.

¹¹¹ С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 486.

¹¹² ЦГВИА, ф. ВУА, д. 6544, л. 22.

ფილი ელისუს სასულთნოს მინა-წყლისგან. მის მმართველად, მართალია, ისევ სულთანი რჩებოდა, მაგრამ იგი თავისი უფლებებით უბრალო უბნის მსაჯულს უთანასწორდებოდა და უნდა დაქვემდებარებოდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს¹¹³. ამ გარემოებამ ელისუს სულთან დანიელ-ბეგის აშკარა პროტესტი და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მან რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა: გაეთავისუფლებინათ იგი უბნის მსაჯულის როლის შემსრულებლობისაგან და დაებრუნებინათ მისთვის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებითაც იგი 1840 წლამდე სარგებლობდა ელისუს სასულთნოს მმართველობაში. მთავარმართველმა, გენერალმა გოლოვინმა მხედველობაში მიიღო რა დანიელ სულთნის ერთგული სამსახური რუსეთის იმპერატორის ტახტისადმი და აგრეთვე ის დიდი გავლენა, რომელიც დანიელ-ბეგს დალესტინის მცხოვრებლებზე ჰქონდა, საჭიროდ ჩათვალა დაეკმაყოფილებინა დანიელ-სულთნის თხოვნა და აღედგინა იგი მის წინანდელ უფლებებში, ამ გადაწყვეტილებამ შემდგომში იმპერატორის უმაღლესი დამტკიცებაც მიიღო¹¹⁴. მაგრამ სულ მოკლე ხანში ბელაქნის მაზრის მმართველობაში კვლავ ცვლილებები მოხდა, რომელიც ელისუს სასულთნოსაც შეეხო. 1842 წელს სამხედრო მინისტრმა გრაფ. ა. ნ. ჩერნიშევმა, მის მიერ ამიერკავკასიის მხარის რევიზიის დროს, საჭიროდ ჩათვალა: ვინაიდან ბელაქნის მაზრის მცხოვრებნი თავიანთი კულტურული დონის მიხედვით ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებულნი სამოქალაქო წესებისა და მმართველობისათვის, ამიტომ, მისი აზრით, ბელაქნის მაზრა უნდა გადაკეთებულიყო ცალკე ოლქად და მმართველობის სათავეში ჩაყენებინათ სამხედრო შტაბ-ოფიცერთაგანი. 1842 წლის მარტის თვეში, მთავარმართველის წარდგენით და იმპერატორის ბრძანების თანახმად, ბელაქნის მაზრა სრულად გამოეყო საქართველო-იმერეთის გუბერნიას. მმართველობის სათავეში ჩაყენებულ იქნა სამხედრო გენერალი – ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის უფროსის სახელწოდებით. ელისუს სულთანიც თავისუფლდებოდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის დამოკიდებულებისაგან, მაგრამ სულთნის უფლებები კვლავ იზღუდებოდა. ახლა იგი უნდა დამორჩილებოდა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის უფროსს, სახელდობრ გენ. მაიორ შვარცს¹¹⁵. გენერალ-მაიორ შვარცსა და დანიელ სულთანს შორის თავიდანვე უთანხმოება ჩამოვარდა. შვარცი ენერგიულად შეუდგა სულთნის ხელისუფლების შეკვეცას. დანიელ-ბეგი კი, რომელიც თავის თავს ელისუს სასულთნოს მემკვიდრეობით მფლობელად თვლიდა, სრულებითაც არ აცხადებდა შვარცისადმი დამორჩილების სურვილს. 1842 წლის 23 მარტს დანიელ-ბეგმა თხოვნით მიმართ იმპერატორ ნიკოლოზ I. დანიელ-სულთანი მთელი რიგი ფაქტების ჩამოთვლითა და სათანადო დოკუმენტების მოშველიებით იმპერატორს თვალწინ უშლიდა მისი წინაპრების და პირადად თავის საკუთარ დამსახურებებს რუსეთის მთავრობის წინაშე და დასასრულ, იმპერატორისაგან მოითხოვდა, ებოძებინა მისთვის სიგელი ელისუს სასულთნოს მის მფლობელობაში დამტკიცების შესახებ და მიენიჭებინა მისთვის ისეთივე

¹¹³ И. Липевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

¹¹⁴ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6544, л.л. 22-23.

¹¹⁵ Колониальная политика Российского царизма в Азербайджане, изд. АН СССР, часть II, 1937 г. Москва-Ленинград, стр. 264, О реорганизации управления Джаро-Белаканского военного округа и Илисуйского султанства 1844 г.

უფლებები, როგორც სამეგრელოს მთავარ დადიანს ჰქონდა¹¹⁶. ამ უკანასკნელი გარემოებით დანიელ სულთანი იმპერატორს აგრძნობინებდა, რომ მას სურდა ელისუს სასულთნოს მმართველობაში შეენარჩუნებინა ისეთივე ავტონომიური უფლებანი, როგორც გარკვეულ დრომდე სამეგრელოს მთავარი დადიანი სარგებლობდა (ე. ი. შინაურ მართვა-გამგეობაში ცარიზმის ხელისუფლება არ უნდა ჩარეულიყო). მაგრამ, დანიელ-ბეგის ეს სურვილები უკვე აღარ შეესაბამებოდა რუსეთის მთავრობის ინტერესებს. ცარიზმს დიდი ხანია კურსი ჰქონდა აღებული ამიერკავკასიის ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებში ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებაზე. ამიტომ იყო, რომ იმპერატორმა არ დააკმაყოფილა დანიელ-ბეგის მოთხოვნები. მას მხოლოდ თავადობის ღირსების მიკუთვნებას დაჰპირდნენ¹¹⁷, ე. ი. მას მარტო კლასობრივ უფლებებს უნარჩუნებდნენ. თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე იმპერატორისაგან უარის მიღებას დანიელ-ბეგმა 1844 წლის ივნისში რუსეთის მთავრობისადმი ღალატით უპასუხა. იგი მიურიდების მხარეზე გადავიდა და სასულთნოს მოსახლეობაც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრა. რუსეთის ხელისუფლებამ ელისუში სამხედრო რაზმი გაგზავნა. გენ. მაიორ შვარცმა თავისი ენერგიული და სწრაფი მოქმედებით 1844 წლის 14 ივნისს დაამარცხა დანიელ-ბეგი, რომელიც სარუბაშის ხეობით ჯერ ნახურში გაიხიზნა, ხოლო შემდეგ კი თავი შამილთან შეაფარა. ამის შემდეგ ცარიზმმა იმავე 1844 წელს ელისუს სასულთნო გაუქმებულად გამოაცხადა. ელისუს სასულთნოს მიწა-წყალი ჯერ ელისუს ოკრუგის, ხოლო შემდეგ ელისუს უბნის სახელწოდებით ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შევიდა¹¹⁸.

¹¹⁶ Колониальная политика Российского царизма в Азербайджане, часть I, изд. АН СССР, 1936 г. м. л. стр. 72-73, Прошение Даниель-бека из Илису Николаю I, 23 марта 1842 г.

¹¹⁷ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6544, л. 24.

¹¹⁸ И. Линевиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 42, 52-54.

საინგილო XIX საუკუნის II ნახევარი

1. ქართველი გლეხის (ინგილოს) მდგომარეობა ჭარ-ბელაქანში (საინგილოში)

ჭარ-ბელაქანში ლეკთა ე. ნ. მფლობელი თემები დამორჩილებული და დაპყრობილი კახელი გლეხის, ინგილოს მიმართ თადაპირველად „ჯგუფური ანუ კოლექტიური სენიორიის“ როლს ასრულებდნენ. კახელი ფეოდალების ადგილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ლეკთა ჯამაათებმა დაიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ ავარელ ლეკთა თავისუფალი ჯამაათების შიგნით, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო თემური ნყობილების გადმონაშთები (თოხუმი, გვარი, ოჯახი), ისინი აშკარა ფეოდალური უფლებებით სარგებლობდნენ ინგილოების მიმართ¹. დაპყრობილ ლეკებს არც უცდიათ და არც გააჩნდათ საიმისო უნარი, რომ აღმოსავლეთ კახეთში მათი მფლობელობის დამყარებამდე არსებული ფეოდალური ურთიერთობანი მოესპოთ. პირიქით, ჩამოყალიბების დღიდან ლეკთა თავისუფალი თემები თვითონვე განიცდიან გადაგვარებას და კახეთის სამეფოში არსებული ფეოდალური ურთიერთობის გავლენას. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე აშკარად ჩანს მათი ფეოდალიზაციის პროცესი. ფეოდალიზაციის პროცესი შედარებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ელისუს სასულთნოში, ვიდრე ჭარ-ბელაქანის თავისუფალ თემებში. ეს გამონვეული იყო იმ გარემოებით, რომ კახელი ფეოდალების ხელისუფლების დაცემის შემდეგ მათი ფეოდალური უფლებები მიითვისეს არა ნახურელ ლეკთა თავისუფალმა თემებმა, არამედ ელისუს სულთნებმა და ბეგებმა, რომელნიც ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი ჯამაათურ და თოხუმურ გადმონაშთებთან, ყოველ შემთხვევაში ისე არა, როგორც ეს ჭარ-ბელაქანის თავისუფალ თემებში, სადაც კახელი ფეოდალების ადგილი ავარელ ლეკთა ჯამაათებმა დაიჭირეს². XIX საუკუნის დასაწყისისათვის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავება „ჯგუფური სენიორიის“ შიგნით იმდენად შორს წავიდა, რომ ხდება ფეოდალური ზედაფენის გამოყოფა, რომელმაც მიითვისა სენიორული უფლებები ინგილოებზე. როგორც პროფ. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს „к началу XIX в. „коллективная сеньерия превратилась в юридическую фикцию“³. საქეშქელო გადასახადებსაც ინგილოები თადაპირველად მთელი თავისუფალი თემის სასარგებლოდ იხდიდნენ. შემდგომში, როდესაც ხდება თემის სოციალური დანაწევრება, საქეშქელო გადასახადების აკრეფის უფლება გახდა ლეკთა ცალკეული გვარების, ოჯახებისა და ცალკეული პირების კერძო საკუთრება. ლეკებს შეეძლოთ მისი გასხვისება, გაყიდვა. ასე მაგალითად, სოფელ ბელაქანში მცხოვრებმა ლეკებმა თითქმის

¹ თემური ნყობილების ამ გადმონაშთების შესახებ იხ. И. Петрушевский, «Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия», 1934 г. Тифлис, стр. 29, 31-34 და სხვებიც.

² შდრ. И. Петрушевский, იქვე, გვ. 76.

³ იქვე, გვ. 42.

უმრავლესობამ გაყიდა საქეშქელო შემოსავლის ალების უფლება⁴. XIX საუკუნეში დარჩენილი იყო მხოლოდ ლეკთა ერთადერთი თემი, რომელშიაც საქეშქელო სოფლებიდან აღებული შემოსავალი ეკუთვნოდა არა რომელიმე კერძო ან ცალკეულ პირს, არამედ მთელ თემს. ეს იყო ჯინიხის ლეკთა თავისუფალი თემი. ამ თემში შემავალმა ლეკებმა, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, „не могли, или не сочли нужным разделить принадлежавшие им земли между отдельными личностями, а предпочли владеть и пользоваться ими сообща“⁵.

სანამ უშუალოდ ინგილოთა მდგომარეობის გაშუქებაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ ლეკთა თავისუფალი თემების შიგნით მომხდარი სოციალური დიფერენციაციის შედეგად გამოყოფილ ფეოდალურ ზედაფენასა და ამ ზედაფენაში ყოფილი კახელი ფეოდალების არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქნის ისტორიის მკვლევარნი: დ. ბაქრაძე, ს. ესაძე, ვ. ივანენკო, ი. ლინევიჩი, ს. ავალიანი, უარყოფდნენ ლეკთა თავისუფალი თემების შიგნით სოციალური დიფერენციაციას და მასში ფეოდალური ზედაფენის გამოყოფას. ამ ისტორიკოსების წარმოდგენით, ლეკთა თავისუფალი თემების სოციალური ურთიერთობანი თითქოს ერთ ნერტილზე იყო გაყინული. ისინი ვერ ამჩნევდნენ იმ ცვლილებებს, რომელიც თავისუფალ თემთა შიგნით ხდებოდა მათი აღმოსავლეთ კახეთში ჩამოსახლების დღიდან. ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალ თემებს ისინი გვიხატავენ, როგორც ერთ მთლიან სოციალურ ერთეულს, რომლის წევრებიც ერთმანეთში თანასწორი იყვნენ და დემოკრატიული უფლებებით სარგებლობდნენ. ასე მაგალითად, ვ. ივანენკო წერს, რომ „правлящая власть и права гражданства принадлежали только лезгинам, которые не дробясь ни на какие сословия, были все равны между собою“⁶. ასეთივე შეხედულებისაა ს. ავალიანი, იგი აღნიშნავს, რომ ჭარ-ბელაქანში „Верховная власть принадлежала всему лезгинскому народу“⁷. სრულიად უგულვებელყოფენ ეს ისტორიკოსები აგრეთვე, ჯერ ლეკთა „ჯგუფური სენიორიის“⁸, ხოლო შემდგომში მისგან გამოყოფილ ფეოდალური ზედაფენის შემადგენლობაში ყოფილი კახელი ფეოდალების არსებობის ფაქტს. მათი აზრით, ჭარ-ბელაქანში გაბატონებულ და პრივილეგირებულ ჯგუფს მხოლოდ ლეკები შეადგენდნენ და მხოლოდ ისინი სარგებლობდნენ დამორჩილებული კახელი გლეხების – ინგილოებისაგან გადასახადების აკრეფის უფლებით. ისინი აღარ იკვლევდნენ, თუ რა იგულისხმებოდა ტერმინ „გაბატონებულ ლეკის“ ქვეშ. პროფ. ი. პეტრუშევსკის სწორად აქვს გაგებული ჭარ-ბელაქნის ლეკთა თავისუფალი თემების სოციალური სტრუქტურა: შემჩნეული აქვს მათში მომხდარი კლასობრივი დიფერენციაცია, აღნიშნავს ფეოდალური ზედაფენის გამოყოფის ფაქტს⁹. მაგრამ არც პეტრუშევსკი ითვალისწინებს ამ ფეოდალური ზედაფენის შემადგენლობაში ქართველი ფეოდალების არსებობას. მისი შეხედულებით, ფეოდალურ ზედაფენაში მხოლოდ ავარიელი ლეკები შედიოდნენ⁹. ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალები

⁴ Центральный государственный архив Дагестанской АР, Ф. 90, оп. I, сл. хр. 63, лл. 24-25.

⁵ ცსა, ფ. 5, აღნ. 1, საქმე 8254, ფურც. 12.

⁶ В. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, см. Утверждение русского владычества на Кавказе. т. XII, Тифлис, 1901, стр. 269.

⁷ С. Авалиани, «Крестьянский вопрос в закавказье», т. III, Одесса, 1914, стр. 119.

⁸ И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-43.

⁹ იქვე, გვ. 58.

ბის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ლეკი ალაღარის როლში ხშირად ყოფილი კახელი თავადი გამოდის. ჩვენ თავის ადგილას აღვნიშნეთ, რომ კაკ-ელისენის მთისძირა სოფლების მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ავარიელი ლეკების აქ ჩამოსახლებისას გალუკდა, ეთნიკურად შეერწყა მათ. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ როდესაც „ზაქათალის კომისია“ ჭარ-ბელაქანში მუსლიმანური მაღალი წოდების უფლებებს არკვევდა, პრეტენდენტთა შორის მრავალნი აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც თავიანთ თავს კახელი თავადების შთამომავლებად სთვლიდნენ. ამის საილუსტრაციოდ ბელაქნის თემში მცხოვრები გალაჯოვები გამოგვადგებიან. „ზაქათალის კომისიის“ მიერ 1873 წლის 5 თებერვალს შედგენილ 58-ე უურნალში აღნიშნულია, რომ იმ პრეტენდენტთა შორის, რომელნიც იბრძვიან წოდებრივი და საადგილმამულო უფლებების დასამტკიცებლად, ერთ-ერთი პირველთაგანნი არიან გალაჯოვების გვარის წარმომადგენელი. ამ გვარის ერთ-ერთი წევრი, ალექსანდრე გალაჯოვი, კომისიის წევრებს უცხადებდა, რომ მათი წინაპრები იყვნენ კახელი თავადები – ვაჩნაძეები. კერძოდ, იგი ეკუთვნის თურქაიხოსრო ვაჩნაძის შვილის, ადამ ვაჩნაძის შთამომავლობას. ამის დამამტკიცებელი საბუთი მან წარუდგინა 1862 წელს ე. წ. „ბეგთა კომისიას“. ეს საბუთი წარმოადგენდა კახეთში მცხოვრებ თავად ვაჩნაძეების მოწმობას იმის შესახებ, რომ ბელაქნელი გალაჯოვები სინამდვილეში ვაჩნაძეების შთამომავალნი არიან, და რომ კერძოდ, ალექსანდრე გალაჯოვი არის ადამ ვაჩნაძის შთამომავლობის მე-5 თაობის წარმომადგენელი¹⁰. ალექსანდრე გალაჯოვი, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ბელაქნის თემიდან, აცხადებდა, რომ სოფ. ბელაქანი არსებობს უხსოვარი დროიდან და წარმოადგენს მათი გვარის კუთვნილებას კახთა მეფის, ლევანის დროიდან, რომელმაც ბელაქანი მთელი თავისი მიწებით ვაჩნაძეებს უწყალობა სამემკვიდრეოდ. ქრისტიანობამ ბელაქანში შესუსტება იწყო იმ განუწყვეტელი ბრძოლების გამო, რომელსაც საქართველო აწარმოებდა მუსლიმანურ სახელმწიფოებთან¹¹. ხოლო შემდგომში, როდესაც ლეკებმა დაიპყრეს კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი, ბელაქანში მცხოვრებმა ქრისტიანებმა აქაურობა დატოვეს და გაიხიზნენ იმ ადგილებში, რომლებიც მუსლიმანებს არ ჰქონდათ დაკავებული. აქ დარჩნენ მხოლოდ შეძლებული ხალხი, რომელთაც იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ქონება, უღალატეს მამაპაპურ სარწმუნოებას და მიიღეს მუსლიმანობა. ასეთ რენეგატთა რიცხვში, აღნიშნავს ალექსანდრე გალაჯოვი, – იყო ჩემი წინაპარი ადამ ვაჩნაძეც¹². ამის შემდეგ ვაჩნაძეები შევიდნენ ავარიელი ლეკების თოხუმების შემადგენლობაშიც. კერძოდ, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ვაჩნაძეები (შემდგომში გალაჯოვებად წოდებულნი) ეკუთვნოდნენ ბელაქნის თემის, თებელის თოხუმს¹³. ნადირ-შაჰის ჭარ-ბელაქანში ლაშქრობის დროს, – განაგრძობს ალექსანდრე გალაჯოვი, თავად ადამ ვაჩნაძის გლეხებმა მიატოვეს თავიანთი კარ-მიდამო და კახეთის დასავლეთ ნაწილში გაიქცნენ. როდესაც ჭარ-ბელაქანში კვლავ მშვიდობიანობა დამყარდა, მაშინ თავადმა ვაჩნაძემ მოიწვია ყაზახისა და ბორჩალოს თათრული დისტანციებიდან მულალები, ხოლო ენისელის ინგილოური სოფლებიდან კი ინგილოები და მიუჩინა მათ

¹⁰ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 253-254.

¹¹ იქვე, ფურც. 264.

¹² იქვე, ფურც. 265.

¹³ იქვე, ფურც. 255.

გარკვეული ადგილი დასასახლებლად. თითოეულ კომლს მან მიუზომა აგრეთვე მიწის ნაკვეთი სახნავად; ეს გადმოსახლებული მულალები და ინგილოები ინოდებოდნენ რა-იათებად და ვალდებულნი იყვნენ ვაჩნაძეების სასარგებლოდ ეხადათ გადასახადები¹⁴. ბელაქნის თემის რწმუნებულები დაკითხვისას აღნიშნავდნენ, რომ ჭარ-ბელაქანში რუსთა ხელისუფლების დამყარებამდე (ე. ი. 1830 წლამდე) გალაჯოვები ფლობდნენ მრავალრიცხოვან გლეხებს და ხალხშიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ. მათ პა-ტივს ცემდნენ არა მარტო ბელაქანში, არამედ მეზობელ სოფლებშიც¹⁵. სოფელ თა-ლას მცხოვრები, რამაზან-ალა-იურგულ-ალა-ოღლი, რომელიც კომისიის მიერ სპეცი-ალურად იყო გამოძახებული, როგორც ბელაქნის უბნის ყოფილი მსაჯული, კარგად ახსოვდა რა ბელაქნის თემის ალაღარების და მულალების ურთიერთდამოკიდებულე-ბა, აღნიშნავდა: ბელაქანი სინამდვილეში გალაჯოვების სამფლობელოს წარმოადგენ-და, მათ ჰყავდათ მრავალი რაიათები, რომელნიც მათ სასარგებლოდ გადასახადებს იხდიდნენ¹⁶. გალაჯოვები გამოირჩეოდნენ შესანიშნავი ჭკუით და გონებით, რის გა-მოც მამასახლისად ხალხი ყოველთვის მათი გვარის წევრებს ირჩევდა¹⁷. ჩვენს მიერ ზემოთ ვრცლად მოთხრობილი ბელაქნის თემში მცხოვრები ვაჩნაძე-გალაჯოვების გვარის ისტორიის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭარ-ბელაქნელ ალაღა-რებში, ავარელი ლეკების გვერდით, გვხვდება აგრეთვე ყოფილი კახელი თავადები, რომელნიც ისეთივე ფეოდალური უფლებებით სარგებლობდნენ ინგილოების მი-მართ, როგორც თვით ლეკები. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყ-ნის მართვა-გამგეობაში (ირჩევდნენ მამასახლისებად და სხვა). ამის მსგავსი ფაქტი სხვაც შეგვიძლია მოვიყვანოთ. სოფელ მანეხში მცხოვრები საფარ-შაბან-ოღლი, რო-გორც 1862 წლის კომისიის მასალებიდან ჩანს, წარმოშობით ქართველი თავადი იყო. მისი წინაპარი იყო ვინმე ივანე თავად-ოღლი. მათი გვარი ხალხში ცნობილი იყო „თავად-უშალის“ ანუ როგორც მას კომისია განმარტავს, თავადიშვილების (де-тей Тавада) სახელწოდებით¹⁸. თავად-უშალის გვარეულობა „подобно прочим агаларам страны был вольным и свободным... и вместе с Джарскими, Белоканскими, Мацехскими и Катехскими агаларами, участвовал в народном управлении и решении, относящихся до народа дел“¹⁹. ამავე სოფლის მცხოვრები, ჰაჯი-ჰაჯიევ-რაჯაბ ოღლის წინაპრები ქართველი ზურაბაშვილები იყვნენ. ზურაბაშვილები მანეხში ცნობილნი იყვნენ რო-გორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივსაცემი ხალხი, „они, как владетели пользо-вались богатством, казною, добротой и крестьянами“²⁰.

გადავიდეთ გაბატონებულ ლეკებსა და დამორჩილებულ ინგილოებს შორის არ-სებული ურთიერთობის დახასიათებაზე. რუსული ოფიციალური წყაროები დამოკი-დებულების იმ ფორმას, რომელიც აღმოსავლეთ კახეთში ქართველთა ბატონობის მოშლისა და აქ ლეკთა მფლობელობის დამყარების შემდეგ არსებობდა ლეკებსა და ყოფილ კახელ გლეხს – ინგილოებს შორის იხსენიებენ ე. წ. „ქეშქელის“ სახელწო-

¹⁴ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 265-266.

¹⁵ იქვე, ფურც. 256.

¹⁶ იქვე, ფურც. 260.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე, საქმე 13, ფურც. 28-29.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, ფურც. 30.

დებით. ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მე-46 ჟურნალში აღნიშნულია, რომ ლეკებმა დაიპყრეს რა აღმოსავლეთი კახეთი და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა – ინგილოები დახარკეს, მათ ინგილოების მიერ დაკავებულ მიწებს საქეშქელო მიწები უწოდეს, ხოლო ხარკს, რომელსაც ინგილოები ლეკების სასარგებლოდ იხდიდნენ, ასევე საქეშქელო გადასახადი უწოდეს²¹. ტერმინ „ქეშქელის“ ზუსტი განმარტება მეტად ძნელი. იგი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ქერს, ქერის მინდორს, ქერის ყანას, შემდგომში იგი სარწყავი მიწის ნაკვეთსაც იწოდება. პროფ. ი. პეტრუშევსკის გადმოცემით, თვით ჭარ-ბელაქანში ქეშქელი ეწოდებოდა სარწყავ არხს, აქედან გამომდინარე, იგი ერქვა აგრეთვე სარწყავ მიწებსაც²². ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისია ქეშქელის ინსტიტუტს ასე განმარტავს: სიტყვა „ქეშქელი“ ნიშნავს შემოსავალს, რომელსაც ლეკი „აღა“ იღებდა ინგილო გლეხისაგან. თვით მოქეშქელე გლეხისათვის კი „ქეშქელი“ წარმოადგენდა განსაზღვრულ წილს სათემო მიწებში²³. ლეკი ალაღარების უფლებები საქეშქელო მიწაზე, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1. ლეკებს არ შეეძლოთ მოეხნათ ინგილოს სარგებლობაში არსებული საქეშქელო მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც ისინი გარკვეულ შემოსავალს იღებდნენ, 2. ლეკს არ შეეძლო მოქეშქელე გლეხის და მისი კანონიერი მემკვიდრეების საქეშქელო მიწის ნაკვეთიდან აყრა. მას უფლება ჰქონდა მხოლოდ საქეშქელო გადასახადის აღებისა, 3. მოქეშქელე ინგილო გლეხის სიკვდილის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მას არ ჰყავდა კანონიერი მემკვიდრეები, საქეშქელო მიწის ნაკვეთი გადადიოდა არა ლეკის განკარგულებაში, არამედ სასოფლო თემის ხელში, რომელიც თავისუფლად დარჩენილ ნაკვეთს გადასცემდა მსურველს ამავე სოფლიდან, იმ პირობით, რომ იგი აუცილებლად გადაიხდიდა საქეშქელო გადასახადს (ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იურიდიულად მთელი მიწების მემკვიდრედ ითვლებოდა ავარელ ლეკთა თავისუფალი თემი). ჭარელი რწმუნებულების სიტყვით, უპატრონოდ დარჩენილ საქეშქელო მიწის ნაკვეთის სხვა პირზე გადაცემისას, საჭირო იყო ლეკი ალასაგან თანხმობის აღება. იმ შემთხვევაში, თუ მსურველი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ თავისუფალი საქეშქელო მიწის ნაკვეთი რჩებოდა სასოფლო თემის სარგებლობაში. მისი დამუშავება ხდებოდა რიგრიგობით, თითოეული კომლის მიერ და საქეშქელო გადასახადებსაც ესენი იხდიდნენ ლეკის სასარგებლოდ²⁴. საერთოდ, „ზაქათალის კომისიის“ დასკვნით ლეკების უფლება ინგილოებით დასახლებულ საქეშქელო მიწებზე მდგომარეობდა ამ მიწებიდან მხოლოდ გადასახადების აღებაში²⁵. საქეშქელო მიწა ინგილო გლეხის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა²⁶. ლეკი ალაღარები ინგილო გლეხის შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ ისინი მისგან მხოლოდ საქეშქელო გადასახადებს და ვალდებულებების შესრულებას მოითხოვდნენ²⁷. საქეშქელო მიწა გადადიოდა მემკვიდრეობით: მამი-

²¹ მ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქანის შესახებ, გვ. 536.

²² И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

²³ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 537.

²⁴ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 11, ფურც. 236-246. „ზაქათალის კომისიის“ ჟურნალი, № 57, 1873 წ. 27 იანვარი.

²⁵ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 538.

²⁶ Центральный Государственный архив Дагестанской АР, ф. 90, оп. 1, ед. хр. 63, лл. 24-25.

²⁷ იქვე.

დან შეიღებ, პირდაპირი მემკვიდრეები თუ არ იყვნენ, მაშინ იგი შორეულ ნათესავებს რჩებოდათ. ინგილო გლექს შეეძლო თავისი საქმეშელო მინის ნაკვეთის გასხვისება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას შეეძლო გაეყიდა საქმეშელო მინის სარგებლობის უფლება იმ პირობით, რომ მსყიდველი წესიერად გადაუხდიდა ლეკ ალას გადასახადებს. ასეთ შემთხვევაში, ინგილო გლექს ლეკისაგან ნებართვა უნდა აეღო²⁸. საქმეშელო მინის ნაკვეთის გაყიდვისას საჭირო იყო გარკვეული წესის დაცვა. უპირველეს ყოვლისა, ეს წესი მდგომარეობდა იმაში, რომ გამყიდველი ვალდებული იყო გამოეცხადებინა, იყო თუ არა მსურველი საქმეშელო მინის ნაკვეთის ყიდვისა მის თანასოფლელებში, რომელთაც უპირატესობა ენიჭებოდათ სხვა, გარედან მოსულ მყიდველთან შედარებით. საქმეშელო მინის ნაკვეთი, რომელიც დაბეგრული იყო საადგილმამულო გადასახადებით, შეიძლება გაყიდულიყო მყიდველებზე საქმეშელო გადასახადების ვალდებულების გადასვლით ან არგადასვლით. მაგრამ, როგორც რწმუნებულები აღნიშნავდნენ, საადგილმამულო გადასახადებით დაბეგრული საქმეშელო მინის ნაკვეთის გაყიდვა ისე რომ, მსყიდველზე არ გადასულიყო საქმეშელო გადასახადების ვალდებულება, ძალზე იშვიათი იყო. ასეთი რამე შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმეშელე გლექსი ყიდიდა მის განკარგულებაში მყოფ საქმეშელო მინის ნაკვეთს არა მთლიანად, არამედ ნაწილს და თვითონვე იტოვებდა წინანდელი საქმეშელო გადასახადების ვალდებულებასაც²⁹. ლეკები, თუმცა იურიდიულად არ ცნობდნენ ინგილო გლექსის ამ უფლებას, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე იყო³⁰. მოქმეშელე ინგილო გლექსს შეეძლო გამოეყიდა თავისი საქმეშელო მინის ნაკვეთი. გამოსყიდულ საქმეშელო მინის ნაკვეთზე ლეკს უკვე ხელი აღარ მიუწვდებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინგილო გლექსი, ქმეშელის გამოსყიდვის მეტად მძიმე პირობების გამო (ქმეშელის სიძვირე), იშვიათად თუ სარგებლობდა ამ უფლებით. ასე მაგალითად, ჯინიხის თემში შემავალი ინგილოური სოფლის ლალა-ფაშას რწმუნებულები აღნიშნავდნენ, რომ მათ სოფელში ქმეშელის გამოსყიდვის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო და ისიც, გამოსყიდულ იქნა მხოლოდ ნახევარი (1/2) ქმეშელი³¹. თუმცა, საქმეშელო მინის ნაკვეთები, როგორც თვით მოქმეშელე გლექსები აღნიშნავდნენ, მათ სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა. მაგრამ მოქმეშელე გლექსების განკარგულება საქმეშელო მინის ნაკვეთების მიმართ, პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად შეზღუდული იყო ჭარ-ბელაქანში ჯერ კიდევ არსებული სათემო მინის მფლობელობის წესით. ეს შეზღუდვა უმთავრესად სახნავ მიწებს ეხებოდა. შეზღუდვა მდგომარეობდა იმაში, რომ საქმეშელო მინის ნაკვეთი არ იმყოფებოდა ერთი და იმავე მოქმეშელე გლექსის მუდმივ სარგებლობაში. ძველი თემებიდან შემორჩენილი იყო მიწების ხელახალი გადანაწილება ყოველწლიურად. ალიაბადის ანუ ენისელის ჯგუფის ინგილოურ სოფლებში ასეთ გადანაწილებას აწარმოებდა ჭარის ჯამათი: იგი ახდენდა მიწების ხელახალ გაყოფას ყოველწლიურად ქმეშელებად და ურიგებდა მოქმეშელე გლექსებს. ჯამათივე ადგენდა, თუ ამა და ამ წელს, სახელდობრ, რომელი მიწები უნდა მოხსულიყო, რომელზე ბრინჯი დაეთესათ, რომელი

²⁸ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

²⁹ იქვე, საქმე 12, ფურც. 64.

³⁰ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 538.

³¹ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

დაეტოვებინათ დასასვენებლად, სათიბად და სხვ.³² დამახასიათებელია, რომ საქეშქელო მინების ასეთი ყოველწლიურად ხელახალი გადანაწილება ეხებოდა გამოსყიდულ ქეშქელსაც. გამოსყიდული საქეშქელო ნაკვეთის მფლობელი გლეხი, ანუ როგორც მას წყაროები უწოდებენ, უზღვენი დანარჩენ მოქეშქელე გლეხებთან ერთად მონაწილეობას იღებდა მინების ყოველწლიურ გადანაწილებაში³³.

აღსანიშნავია, რომ სათემო მინისმფლობელობის წესი და ამ წესისათვის დამახასიათებელი მინების პერიოდული გადანაწილება საქართველოშიც არსებობდა. თემური მინათმფლობელობა საქართველოში, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, საუკუნეების მანძილზე განაგრძობდა არსებობას. სათემო მინათმფლობელობის ზოგი გადმონაშთი საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ კახეთში, არა თუ XIX საუკუნის, არამედ თვით 1917 წ. ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებამდე და მის შემდეგ. კოლექტივიზაციის გატარებამდეც კი აქა-იქ არსებობდა. ჭარ-ბელაქანში არსებული ე. წ. საქეშქელო დამოკიდებულების (რომელიც დამყარებული იყო ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე და რომელშიც, როგორც ვნახეთ, შემორჩენილი იყო თემური მინათმფლობელობის წესი) ანალოგიებს პროფ. ი. პეტრუშევსკი ეძებს ერთი მხრივ, დას. ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ კი წინა და შუა აზიის ქვეყნებში³⁴. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია, რომ საქეშქელო დამოკიდებულების ფესვები თვით ფეოდალურ კახეთში ვეძებოთ.

ინგილო გლეხის საქეშქელო მინის ნაკვეთი შეიცავდა საკარმიდამო და სახნავ-სათეს მინებს. საკარმიდამო მინა შედგებოდა: გლეხის საცხოვრებელი სახლის, ეზოსა და სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის ნაგებობებისაგან. მასში შედიოდა აგრეთვე ბაღები – თუთის ხის, ვენახის, ხილის და ე. წ. კურუხი, რომელიც უმთავრესად სათიბ ადგილად იყო განკუთვნილი³⁵. საარქივო მასალებში საქეშქელო მინის ნაკვეთი ასეა განმარტებული: „Кешкел – место, занятое одним или несколькими семействами под домом, садом и другими хозяйственными заведениями, а также под пашнями“³⁶. საქეშქელო მინის ნაკვეთში შემავალი საკარმიდამო მინის სივრცე შეადგენდა 4-დან 6 თალარამდე, ხოლო სახნავი მინის ფართობი კი 6-დან 12 თალარამდე აღწევდა (თალარი ამ შემთხვევაში მინის საზომი ერთეულია: მინის ფართობი, რომელიც 1 თალარი მოსავალს იძლევა (თალარი = 7 1/2 ფუთს) – საშუალო რიცხვი 9 თალარი იყო³⁷. მაგალითისათვის აღებულია ინგილოური სოფელი კახი (ელისუს სასულთნოში). ზოგიერთი მცირემინიანი ინგილო გლეხის საკარმიდამო მინა 1/2 თალარი იყო³⁸. თუ სახნავი მინებით სარგებლობა ერთგვარად ადათით იყო შეზღუდული, სამაგიეროდ საკარმიდამო მინა მოქეშქელე გლეხის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა. ინგილო გლეხს შეეძლო მისი გაყიდვა – ლეკი აღასაგან ყოველგვარი ნებართვის აღების გარეშე³⁹. შემჩნეულია, რომ ინგილო გლეხის განკარგულებაში მყოფი საქეშქელო მინის ნაკ-

³² ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 40.

³³ იქვე, ფურც. 88-91.

³⁴ И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

³⁵ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

³⁶ იქვე, ფ. 240, აღწ. 1, საქმე 572, ფურც. 203-210.

³⁷ იქვე, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 37.

³⁸ იქვე, ფურც. 62.

³⁹ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 548.

ვეთის საშუალო სიდიდე საგრძნობლად ნაკლები იყო მულაღის ქეშქელზე⁴⁰. თავდაპირველად ქეშქელთა რაოდენობა შეესაბამებოდა ამა თუ იმ სოფელში მოსახლე ინგილო გლეხთა კომლექსს, ე. ი. თითოეული კომლი ფლობდა ერთ მთლიან ქეშქელს. მაგრამ შემდგომში, მოსახლეობის ზრდა, ქეშქელების ყიდვა-გაყიდვა, მისი გადასვლა მემკვიდრეების ხელში, მთლიანი კომლების დაყოფა და სხვა, იწვევდა ქეშქელების არათანაბარ განაწილებას როგორც თვით ქეშქელმფლობელ ლეკებს შორის, ასევე მოქეშქელე გლეხებს შორისაც. ზოგიერთი ლეკი ფლობდა რამდენიმე ქეშქელს, ზოგიერთი კი ქეშქელის ნაწილს. ზოგიერთი გლეხის სარგებლობაში იმყოფებოდა ერთი მთლიანი ქეშქელი, ზოგჯერ ორიც კი, ამავე დროს, ზოგიერთი გლეხი მხოლოდ ქეშქელის $\frac{1}{4}$ ნაწილს ამუშავებდა⁴¹. ხდებოდა მთლიანი საქეშქელო ნაკვეთების დაქუცმაცება და დანაწილება ახალ გლეხურ კომლექსს შორის. XIX საუკუნეში, როგორც „ზაქათალის კომისიამ“ გამოარკვია, იშვიათი იყო ისეთი კომლი, რომელიც ერთ მთლიან ქეშქელს ჰფლობდა. უმრავლეს შემთხვევაში ერთი ქეშქელით სარგებლობდა 8 და უფრო მეტი კომლიც⁴². ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ჭარის თემში შემავალი ინგილოური სოფელი ითი-თალა. ეს სოფელი შეიქმნა გვიან, XIX საუკუნეში (1863 წ.) და ამიტომ მასში ქეშქელთა რაოდენობა კომლთა რაოდენობას ემთხვეოდა⁴³. სოფელ ითი-თალას მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ქეშქელთა თავდაპირველ განაწილებაზე კომლექსს შორის. ინგილოები იმ მეურნეობის გარდა, რომელსაც ისინი სოფელში თავიანთ საქეშქელო მიწის ნაკვეთზე მისდევდნენ, ეწეოდნენ აგრეთვე გარე მეურნეობასაც ხუტორებზე, ანუ ბინებში. სახუტორო მეურნეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო ელისუს სასულთნოს ინგილოურ სოფლებში. სულთანი და ბეგები მხარს უჭერდნენ ინგილოების მიერ ბინების გაჩენას, რადგან მიწები, რომლებიც ტყით იყო დაფარული და არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, ამიერიდან შემოსავლის წყაროდ ხდებოდა. ახლად გაჩენილ ბინაზე თავდაპირველად ყველა მსურველს იღებდნენ, მაგრამ შემდგომში თანდათანობით ხდებოდა დაჯგუფებები ისე რომ, ერთ მთლიან ქეშქელზე მოსახლე გლეხებს, უმეტეს შემთხვევაში, ნათესავებს, თავიანთი გარე მეურნეობა ჰქონდათ ერთად, ერთ ბინაზე და აქ სხვა მსურველს დასახლებისა და მიწის გაჩენის ნებას არ აძლევდნენ. ბინებში ინგილოებს, გარდა საყანე ადგილებისა, ჰქონდათ აგრეთვე კარ-მიდამოც, რომელშიც ზამთრის პერიოდში მთელი ოჯახით ცხოვრობდნენ. საკარმიდამო მიწებისათვის ინგილო სულთანს ან ბეგებს არავითარ გადასახადს არ უხდიდა, საყანე ადგილების სარგებლობისათვის კი იგი იხდიდა მოსავლის $\frac{1}{10}$ ნაწილს⁴⁴.

გლეხის სრულ კერძო საკუთრებას შეადგენდა ე. წ. ახულარები (ქართულად ახო). იგი ეწოდებოდა იმ ადგილს, რომელიც წინათ გაუვალე ტყით იყო დაფარული, მაგრამ შემდეგში იგი გლეხმა გაასუფთავა და სახნავ-სათესად აქცია. ახოს გაჩენა გლეხს შეეძლო მხოლოდ თავისი სოფლის საზღვრებში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ახო“ ნიშნავს „გაკაფულ საყანურს“. თუმცა, ახულარები საქეშქელო

⁴⁰ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 37.

⁴¹ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 491.

⁴² ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 36.

⁴³ მ. დუმბაძე, იქვე, გვ. 537.

⁴⁴ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 76-77.

მინის ნაკვეთში არ შედიოდა, მაგრამ, რადგანაც ახუს უმთავრესად ერთ ქეშქელზე მოსახლე გლეხები იჩენდნენ, ამიტომ ახუშიც შემოღებული იყო მიწების ქეშქელებად დანაწილება, ე. ი. ახუში თითოეულ მოქეშქელე გლეხს ჰქონდა თავისი გარკვეული წილი⁴⁵. ახო, როგორც საადგილმამულო საკუთრების ობიექტი, იმთავითვე სათემო, სასოფლო მიწების გარეშე მოქცეული, კერძო განკარგულებაში მყოფი, ცალკეული მინის ნაკვეთები იყო. ახო ათვისებული და მითვისებული იყო არა სოფლის, თემის, არამედ ცალკე ინდივიდების მიერ. რადგანაც ახო გლეხის ინდივიდუალურ კერძო საკუთრებას შეადგენდა, ამიტომ იგი თავისუფალი განკარგულების და, მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის საგნად იყო გადაქცეული⁴⁶. კერძო საკუთრების უფლება ახოზე შენარჩუნებული იყო იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი მფლობელი მას უკვე აღარ ამუშავებდა. ახოს პატრონის დაუკითხავად მისი დამუშავება სხვას არ შეეძლო⁴⁷.

მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული პოლკოვნიკ კოცებუს ნაშრომი „Статистические сведения о Чарских владениях“ შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობებს ჭარ-ბელაქნის მოქეშქელე გლეხების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. მართალია, ის ცნობები, რომლებიც კოცებუს თავის ნაშრომში აქვს მოტანილი, ისე, როგორც ყველა იმდროინდელი სტატისტიკური ცნობები, მოითხოვენ მეტად მკაცრ კრიტიკულ და ფრთხილ მიდგომას, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ამ საკითხის შესახებ სხვა მასალები არ მოგვეპოვება, ამიტომ მათი აქ მოტანა ინტერესს მოკლებული არ არის (კოცებუს ნაშრომში მოტანილი ციფრები ერთგვარად მაინც ნდობის ღირსია, რადგან კოცებუ – მათემატიკოსი და ტოპოგრაფიული დარგის მცოდნე იყო და ამრიგად, ასეთი საშუაოსთვისაც მომზადებული).

შედლებულ კომლს ჰყავს მსხვილფეხა საქონელი – 30, ცხენი – 8, ცხვარი – 1000; საშუალო შეძლების კომლს ჰყავს მსხვილფეხა საქონელი – 15, ცხენი – 2, ცხვარი – 300; ღარიბ კომლს – მსხვილფეხა საქონელი – 3, ცხენი – 1.

შედლებული კომლი ყოველწლიურად თესს 13 თალარ ხორბალს და მოსავალს იღებს 100 თალარს. საშუალო შეძლების კომლი თესს 6 თალარს და მოსავალს იღებს 40 თალარს. ღარიბი თესს 3 თალარს და იღებს მოსავალს 25 თალარის რაოდენობით. შეძლებული კომლი წელიწადში ხარჯავს 20 თალარ ხორბალს, საშუალო შეძლებისა და ღარიბი – 10 თალარს.

შედლებულ კომლს ყოველწლიურად მოჰყავს 80 თალარი ქერი, საშუალო შეძლების კომლს – 40 თალარი; ღარიბს – 20 თალარი.

შედლებულ კომლს ყოველწლიურად მოჰყავს 40 თალარი ფეტვი, ღარიბს – 10 თალარი (ფეტვის დამუშავება უმთავრესად ხდებოდა საქეშქელო სოფლის მცხოვრებთა მიერ დაქირავებული გლუხოდარების მიერ. გლუხოდარების დაქირავება მომდინარეობს იმ დროიდან, როდესაც ჭარ-ბელაქანი ჯერ კიდევ კახეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდა).

შედლებული კომლი ყოველწლიურად ამუშავებს 4 ბათმან აბრეშუმს, ღარიბი – 1/2 ბათმანს⁴⁸.

⁴⁵ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 12, ფურც. 54.

⁴⁶ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 494.

⁴⁷ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 12, ფურც. 54.

⁴⁸ ЦГВИА, ф. ВУА. д. 18498, лл. 3-11.

შეძლებულ კომლს ჰყავს 100 ქათამი; ღარიბს – 5-დან 20-მდე.

შეძლებულ კომლს მოჰყავს ყოველწლიურად 4 საპალნე ღვინო, ღარიბს – 1/2 საპალნე.

მოსახლეობა შინაური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ქსოვს ხალიჩებს, წინდებს, ტომრებს და სხვა. ზედმეტ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს ისინი ჰყიდიან. ნაღდ ფულზე იშვიათად ჰყიდიან, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი თავიანთ საქონელს ცვლიან, ერთი მხრით, თუშებთან და დაღესტნელებთან – ცხვარზე, მატყულზე, ტყავზე, თოფის ნამალზე და იარაღზე, ხოლო მეორე მხრივ კი, თელავის მაზრის მცხოვრებლებთან: მარილზე, რკინაზე და სხვა⁴⁹. კოცებუს ნაშრომის ეს ადგილი მეტად საყურადღებო ცნობის შემცველია. აქედან აშკარა ხდება: XIX საუკუნეში ჭარ-ბელაქანსა და კახეთს შორის არსებული უმჭიდროესი ეკონომიკური კავშირი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება ამ მხარეთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჭარ-ბელაქანი საქართველოსაგან პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, არასოდეს დარღვეულა.

მე-18 საუკუნეშიც, როგორც ჭარის ომების ქრონიკის ავტორი მოგვითხრობს: „Джарцы и Талийцы, часто ездили в Гаваз, Кариль, Хизих и др. селения, чтобы покупать там пшеницу, кукурузу и соль“⁵⁰, ჭარელების ასეთი ძლიერი ეკონომიკური დამოკიდებულება კახელებთან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ნადირ-შაჰსაც, რომელმაც, როდესაც მათ წინააღმდეგ ბრძოლაში (1741-1742 წწ.) იარაღის ძალით ვერაფერს გახდა, მოინდომა ჭარელების შიმშილით გატეხა, ამიტომ მან ჭარელების მეზობელ მხარეებს, მათ შორის კახელებს, აუკრძალა მათთვის პურის მიყიდვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგილო გლეხის სარგებლობაში მყოფი საქეშქელო მიწის ნაკვეთი დაბეგრული იყო გარკვეული საადგილმამულო გადასახადებით. ეს იყო საქეშქელო გადასახადი, რომელსაც ინგილო გლეხი ლეკი ალაღარების სასარგებლოდ იხდიდა ყოველწლიურად. საქეშქელო გადასახადი წარმოადგენდა ჩვეულებრივ ფეოდალურ-პროდუქტულ რენტას და, საფიქრებელია, რომ იგი ჭარ-ბელაქანში კახეთის სამეფოში არსებული ფეოდალური ურთიერთობის გავლენით განვითარდა. საქეშქელო გადასახადი ინგილოებს შეჰქონდათ მარცვლეული პურეული კულტურებით: ხორბლით და ქერით (ორივე თანაბარი რაოდენობით). ხანდახან შესაძლებელი იყო გადასახადის ნაწილი ინგილოებს ბრინჯით ან ფეტვით შეეტანათ⁵¹. ეს ხდებოდა მოქეშქელე გლეხების და ალაღარების შეთანხმებით. ზოგიერთ საქეშქელო სოფელში გლეხები გადასახადებს ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურით იხდიდნენ: პურით, ქერით, ბრინჯით და ფეტვით⁵². იყო შემთხვევები, როდესაც საქეშქელო გადასახადებში შედიოდა აგრეთვე გარკვეული რაოდენობის აბრეშუმი და ყურძენი⁵³.

ელისუს სასულთნოში, მოქეშქელე გლეხების, ანუ როგორც მათ ოფიციალური წყაროები უწოდებენ, რაიათების⁵⁴ საქეშქელო გადასახადები ძირითადად ისეთივე იყო,

⁴⁹ ЦВИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 3-11.

⁵⁰ Хроника войн Джара, стр. 36.

⁵¹ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 542.

⁵² Центральный Государственный архив Дагестанской АР. ф. 90, оп. I, л. 63, лл. 24-25.

⁵³ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 38.

⁵⁴ იქვე, საქმე 1, ფურც. 201-208.

როგორც ქარ-ბელაქანში, მაგრამ აქ ჩვენ ვხვდებით ზოგიერთ განსხვავებული სახის გადასახადსაც. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გადასახადი „მალჯაათი“. ასეთი გადასახადით დაბეგრული იყო ე. წ. „მალჯაათური“ მიწები. მალჯაათურად იწოდებოდა ისეთი მიწები, რომლებსაც გლეხები მათ სარგებლობაში მყოფი საქემქელო მიწის ნაკვეთის სიმცირის გამო, ქირაობდნენ ბეგებისაგან და ამუშავებდნენ. ასეთი მიწებიდან აღებული მოსავლის 1/7 ან 1/10 ნაწილი გლეხებს მიწის პატრონის სასარგებლოდ უნდა ეხადათ. ამ გადასახადს „მალჯაათი“ ერქვა⁵⁵. არსებობდა აგრეთვე სპეციალური გადასახადი „დარგალუგი“. ეს გადასახადი, რომელიც განსაზღვრული რაოდენობის პურს შეიცავდა, განკუთვნილი იყო სულთნის ან ბეგის მამულების დარუგასათვის, ანუ მოურავისათვის და ყოველი კომლი ვალდებული იყო გადაეხადა იგი⁵⁶. ეს გადასახადი ჩვენ საქართველოში, კერძოდ, კახეთის სამეფოში არსებულ სამოურავო გადასახადს მოგვგაგონებს. ელისუს სასულთნოს ზოგიერთ სოფელში გადასახადი შენერილი ქონდათ აგრეთვე გლეხის მიუღქს, ანუ საკარმიდამო მიწას. ასეთ გადასახადს ბაღჩაბაში ეწოდებოდა⁵⁷.

საერთო მოუსავლიანობის დროს, საქემქელო გადასახადების ნაცვლად აღალარებს რაიათის მოძრავი ქონება მიჰქონდათ. იმ თანხას, რომლითაც მოძრავ ქონებას შეაფასებდნენ, უნდა დაეფარა საქემქელო გადასახადი (შეფასება ხდებოდა იმ დროს არსებული პურის ფასების მიხედვით)⁵⁸.

ქარის თემის საქემქელო სოფლებიდან იგნილოური იყო შემდეგი: ალიაბადი, თასმალო, ზაგამი, ჰენგიანი, ვერხვიანი, მოსული და ითი-თალა. 1826 წელს პოლკოვნიკ კოცებუს მიერ შედგენილი სტატისტიკური ცნობებით, ამ სოფლებში მოსახლე კომლთა რაოდენობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ალიაბადში – 360 კომლი, თასმალოში – 60, ზაგამში – 60, ჰენგიანში – 30, ვერხვიანში – 160, მოსულში – 200⁵⁹. ცოტა განსხვავებულ სურათს გვაძლევს 1831 წლის ცნობები. მათ მიხედვით ალიაბადში იყო 350 კომლი, თასმალოში – 60, ზაგამში – 40, ჰენგიანში – 35, ვერხვიანში – 100, მოსულში – 108⁶⁰. სოფელ – ითი-თალაში, როგორც ეს 1872 წლის ნოემბერში შედგენილ 45-ე ჟურნალიდან ირკვევა, ითვლებოდა 36 კომლი⁶¹. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ სოფლებში მოსახლეობის შესახებ უფრო დანვრილებითი ცნობები მოგვეპოვება. 1859, 1871 და 1886 წლების აღწერილობით იგნილოთა რიცხვი თოთოეულ ამ სოფელში შემდეგი სახით წარმოგვიდგება⁶².

⁵⁵ ცხსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 1-13.

⁵⁶ Центральный Государственный архив Дагестанской АР, ф. 90, оп. I, д. 63, лл. 24-25.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 542.

⁵⁹ ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 1-11.

⁶⁰ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 504.

⁶¹ Владения Джарских лезгин в 1831 г. см. История Грузинской пеший дружины – прилож. к главе первой № 1, стр. 2, Тифлис, 1884 г.

⁶² იგნილოთა სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები ამოღებული გვაქვს: 1859 და 1871 წლების აღწერების: „Сборник сведений о Кавказских горцах“, вып. VI, Тифлис, 1872 г. – Население Закавказского округа по народной переписи 1871 г. отд. III, стр. 55-57; 1886 წლის აღწ. – „Свод. статистических данных о населении Закавказского края“, Тифлис, 1893 г., отд. VIII, Закавказский округ.

სოფლის სახელწოდება	კომლთა რა- 1859 წ. კამერა- ლური აღწ.	1871 წლის აღწერით		1886 წლის აღწერით		ეროვნება და რელიგია
		კომლი	სული	კომლი	სული	
ალიაბადი	617	688	3805	790	4351	ქართველი მაჰმად.
თასმალო	85	92	460	85	553	"---
ზაგამი	86	94	605	107	794	"---
პენგიანი	57	74	377	94	415	1859 და 1871 წლების აღწერებით, სტატისტიკოსებს აქაური მცხოვრებნი სულ თათრებად ჩაუწერიათ. 1886 წ. აღწერით კი ისინი სულ ინგილოებად (ქართვ. მაჰმად.) იხსენიებიან.
ვერხვიანი	185	231	1558	280	1945	ამ აღწერებით, ამ სოფლებში სულ თათრებია, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა, რადგან „ზაქათალის კომისიის“ მიერ 1872 წლის 20 ნოემბერს შედგენილ 46-ე ყურნალში, ეს სოფელი მოხსენიებულია, როგორც ინგილოური, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ ⁶³ .
მოსული	193	239	1167	262	1259	აქ სტატისტიკოსებს კვლავ არეული აქეთ ამ სოფელში მცხოვრებთა ეროვნება – 1859 და 1871 წლების აღწერებით ამ სოფელში თათრები ცხოვრობდნენ, ხოლო 1886 წ. აღწერით კი ინგილოები – ქართველი მაჰმადიანები.
ითი-თალა	-	36	153	68	362	ქართველი მაჰმადიანები

საქეშქელო გადასახადები თითოეულ ამ სოფელში სხვადასხვა იყო. თავდაპირველად, ამ სოფლებში ლეკთა მფლობელობის დამყარების პირველ ხანებში, საქეშქელო გადასახადები არ იყო დიდი. თვით ინგილოური სოფლების რწმუნებულთა განცხადებით, იმ დროს, საქეშქელო გადასახადი 5 ჩანახი იყო, მაგრამ შემდგომში იგი თანდათან გაიზარდა: ასე მაგალითად, სოფელ ალიაბადში საქეშქელო გადასახადი ხანდახან 13 თალარსაც კი აღწევდა⁶⁴. თალარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზომანონის ერთეულია. სხვადასხვა ადგილას იგი სხვადასხვა მოცულობისაა. ჭარ-ბელაქანში იგი უდრიდა 30 ჩანახს, ანუ 7 ფუტსა და 12 ფუნტს⁶⁵. ასევე იყო ჩანახიც. მისი

⁶³ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 538-540.

⁶⁴ იქვე, გვ. 533.

⁶⁵ ცსსა, ფ. 240, აღწ. 1, საქმე 572, ფურც. 212-213.

მოცულობა მერყეობდა 4-8 კილოგრამამდე. ზომა-წონის ერთეულთა ასეთი ცვალებადობა დამახასიათებელია ფეოდალური ურთიერთობისათვის.

ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის 1872 წლის 20 ნოემბერს შედგენილ 46-ე ყურნალში დაცულია ვრცელი უწყისი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიით ზემოთ ჩამოთვლილ ჭარის თემის ინგილოური სოფლებიდან ლეკთა შემოსავლის შესახებ. სოფელ ალიაბადში, რომელშიაც ამ დროისათვის უკვე 689 კომლი ითვლებოდა, ჭარის თემს ჰქონდა 68 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით, თითოეული ქეშქელისაგან შეადგენდა 4 თალარს, ქერით – 4 თალარს. ამ ქეშქელებიდან „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ ხორბლით უდრიდა 272 თალარს, ქერით 272 თალარს. შემოსავალი მანეთებში (თალარი ხორბალი = 4 მანეთს, თალარი ქერი = 2 მან.) შეადგენდა 1632 მან.

სოფელ ზაგამში (88 კომლი) იყო 22 $\frac{1}{2}$ ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 2 $\frac{1}{2}$ თალარი, ქერით – 2 $\frac{1}{2}$ თალარი. „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ უდრიდა: ხორბლით – 56 $\frac{1}{4}$ თალ., ქერით – 56 $\frac{1}{4}$ თალ., შემოსავალი მანეთებში – 337 მან. 50 კაპ.

სოფელ თასმალოში (86 კომლი) – იყო 27 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 2 $\frac{1}{2}$ თალ., ქერით – 2 $\frac{1}{2}$ თალ., „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ – 67 $\frac{1}{2}$ თალარი ხორბლით, 67 $\frac{1}{2}$ თალარი ქერით. შემოსავალი მანეთებში = 465 მანეთს.

სოფელ ვერხვიანში (230 კომლი) – იყო 16 $\frac{1}{2}$ ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 4 თალ., ქერით – 4 თალ., „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ ხორბლით – 266 თალ., ქერით – 266 თალ., შემოსავალი მანეთებში = 1596 მან.

სოფელ მოსულში (236 კომლი) – იყო 47 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 4 თალ., ქერით – 4 თალ., „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ ხორბლით – 188 თალ., ქერით – 188 თალ., შემოსავალი მანეთებში = 1128 მანეთს.

სოფელ ჰენგიანში (66 კომლი) – იყო 42 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 1 $\frac{1}{2}$ თალ., ქერით – 1 $\frac{1}{2}$ თალ., „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ ხორბლით – 63 თალარი, ქერით – 63 თალარი. შემოსავალი მანეთებში = 378 მანეთი. ჰენგიანში ქეშქელები ჰქონდათ აგრეთვე მუხახის თემის ლეკებს – რაოდენობით 10. საქეშქელო გადასახადები იგივე იყო⁶⁶.

სოფელ ითი-თალაში (36 კომლი) – იყო 38 $\frac{1}{2}$ ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 2 $\frac{1}{2}$ თალ., ქერით – 2 $\frac{1}{2}$ თალარი⁶⁷.

ზოგიერთ სოფელში, რწუნებულთა სიტყვით, გლეხები თავიანთ ალაღარებს უხდიდნენ იმაზე უფრო მეტს, რაც ამ უწყისშია ნაჩვენები. ასე მაგალითად, ალიაბადში. აქ რამდენიმე გლეხის საქეშქელო გადასახადი შეადგენდა არა 8 თალარს (როგორც უწყისშია აღნიშნული), არამედ 10 თალარს⁶⁸.

გარდა ძირითადი საქეშქელო გადასახადებისა, ამ სოფლებში მცხოვრები ინგილოები ვალდებული იყვნენ აგრეთვე ზოგიერთი სხვა, დამატებითი გადასახადებიც ეხადათ. ასე მაგალითად, პირველ ხანებში, თითქმის ყველა ამ საქეშქელო სოფელში

⁶⁶ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 13, ფურც. 82-84.

⁶⁷ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 519.

⁶⁸ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 13, ფურც. 87.

არსებობდა გადასახადი შინნაქსოვი ტილოს მატერიით⁶⁹. მოქეშქელე გლეხი, როდესაც ქალს გაათხოვებდა, მას თავისი ალასათვის 7-დან 20 მანეთამდე ფული უნდა მიერთმია⁷⁰. ასეთი სახის გადასახადი საქართველოშიც არსებობდა „საჩქემოს“ სახელწოდებით. ამ გადასახადის ჭარ-ბელაქანში არსებობის ფაქტი აუცილებლად კახეთის სამეფოს ფეოდალური ურთიერთობის გავლენით უნდა ავსხნათ. რწუმებულთა განცხადებით, ჭარის თემის ლეკები გადასახადების ასაკრეფად თვითონ მოდიოდნენ ინგილოებთან. მოქეშქელე გლეხებს საქეშქელო შემოსავალი ბინაზე მხოლოდ ზოგიერთ გავლენიან ალაღარებთან მიჰქონდათ⁷¹.

თალას თემის საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური იყო ყანადახი და ყაპანახჩი. პოლკოვნიკ კოცებუს ცნობით, ყანდახში 140 კომლი მოსახლე იყო, ხოლო ყაპანახჩში 30 კომლი⁷². XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგილოთა რიცხვი ამ სოფლებში 1859 და 1871 წლების აღწერებით შემდეგია⁷³:

სოფლის სახელწოდება	კომლით რა-ბა 1859 წლ., კამერალური აღწ.	1871 წლ. აღწერით		ეროვნება და რელიგია
		კომლი	სული	
ყანდახი	97	127	599	ქართველი მაჰმადიანი
ყაპანახჩი	37	57	247	ქართველი მაჰმადიანი

ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ 1872 წლის 30 ნოემბერს შედგენილ 48-ე შურნალში მოცემული მასალების მიხედვით ყანდახში და ყაპანახჩში საქეშქელო გადასახადები შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

სოფელ ყანდახში (127 კომლი) თალას თემს ჰქონდა 31 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 1 1/4 თალ., ქერით – 1 1/4 თალ., ბრინჯით – 1 1/4 თალ., ფეტვით – 1 1/4 თალ. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქეშქელო გადასახადის ნაწილის ბრინჯით და ფეტვით შეტანა ყოველთვის არ ხდებოდა, არამედ ხანდისხან, ეს დამოკიდებული იყო ალაღარების და მოქეშქელე გლეხების ურთიერთშეთანხმებაზე. „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ უდრიდა: ხორბლით – 38 3/4 თალ., ქერით – 38 3/4 თალ., ბრინჯით – 38 3/4 თალ., ფეტვით – 38 3/4 თალ. შემოსავალი მანეთებში (თალარი ხორბალი – 4 მან., თალ. ქერი – 2 მან., თალარი ბრინჯი – 2 მან., თალ. ფეტვი – 2 მან.) უდრიდა 386 მან.

ყაპანახჩში (37 კომლი) სულ იყო 30 ქეშქელი. აქედან 25 ქეშქელზე საქეშქელო გადასახადი ხორბლით – 2 1/2 თალ., ქერით 2 1/2 თალ. „საერთოდ გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ“ ხორბლით – 60 თალ. ქერით – 60 თალ. შემოსავალი მანეთებში – 360 მან.⁷⁴

⁶⁹ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 538.

⁷⁰ იქვე, გვ. 538.

⁷¹ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 89-90.

⁷² ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 1-11.

⁷³ Сборник сведений о Кавказских горах, вып. VI, отд. III, стр. 56.

⁷⁴ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 176-177.

დანარჩენ 5 ქემქელზე საქემქელო გადასახადი 7 თალარი იყო თითოეულზე (3¹/₂ თალ. ხორბლით, 3¹/₂ თალ. ქერით)⁷⁵.

რწმუნებულები აღნიშნავენ, რომ ალაღარები ყოველთვის არ კმაყოფილდებოდნენ განსაზღვრული საქემქელო გადასახადებით. მათ შეეძლოთ თვითნებურად, დამატებით კიდევ სხვა გადასახადი მოეთხოვათ გლეხებისათვის: „помещики не всегда ограничивались сбором определенной повинности, а на правах сильного брали произвольную дань“⁷⁶.

როდესაც ალაღარებს თავიანთის საქემქელო სოფელში მოუხდებოდათ ყოფნა, მაშინ გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავისი ხარჯით შეენახათ ისინი⁷⁷.

მოქემქელე გლეხი, როდესაც ცოლს შეირთავდა, მას ალასათვის 3 ხარი უნდა მოიყვანა. გლეხი თუ ქალს გაათხოვებდა, მაშინ ალასათვის მას 2 ხარი უნდა მიერთმია⁷⁸.

ჯინიხის თემს სულ სამი საქემქელო სოფელი ჰქონდა. აქედან ორი ინგილოური იყო: მარსანი და ლალაფაშა. პოლკოვნიკ კოცებუს სტატისტიკური ცნობების მიხედვით (1826 წ.), მარსანში 20 კომლი მოსახლე ითვლებოდა, ლალაფაშაში კი 30 კომლი⁷⁹. სოფელი მარსანი, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, დაარსებულ იქნა 1826 წელს, ჯინიხის თემის მოწვევით, ალიაბადიდან გამოსული ინგილოების მიერ. საქემქელო გადასახადების გადახდა ჯინიხელი ლეკების სასარგებლოდ მათ დაიწყეს მხოლოდ 7 წლის შემდეგ (ე. ი. 1833 წლიდან)⁸⁰. აღსანიშნავია, რომ გლეხებისათვის შეღავათების მიცემის ასეთი წესი საქართველოშიც არსებობდა. როდესაც მეფე, დედოფალი ან თავადი ახალ სოფელს გააშენებდა და იქ გლეხებს დაასახლებდა, იგი ვალდებული იყო ამ ახლად დასახლებული გლეხებისათვის მიეცა აზატობა რამდენიმე წლით (არანაკლებ ექვსისა), ე. ი. გაენთავისუფლებია ისინი გადასახადებისა და ბეგარისაგან. ინგილოთა რიცხვი მარსანში და ლალაფაშაში 1859, 1871 და 1886 წლების აღწერების მიხედვით ასეთია⁸¹:

სოფლის სახელწოდება	კომლთა რა-ბა 1859 წ. კაპემქელოური აღწერით	1871 წლის აღწერით		1886 წლის აღწერით		ეროვნება და რელიგია
		კომლი	სული	კომლი	სული	
მარსანი	47	60	287	63	316	ქართველი მაჰმადიანი
ლალაფაშა	31	32	175	35	185	ქართველი მაჰმადიანი

⁷⁵ ცხსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 185.

⁷⁶ იქვე, ფურც. 176.

⁷⁷ იქვე, ფურც. 176.

⁷⁸ იქვე, ფურც. 175.

⁷⁹ ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, лл. 1-11.

⁸⁰ ცხსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

⁸¹ Сборник сведений о Кавказских горах, вып. VI., стр. 56.

1873 წლის 27 იანვარს შედგენილ ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის 57-ე უფრნალის მასალებიდან ჩანს, რომ მარსანში (60 კომლი) ჯინიხელ ლეკებს ჰქონდათ 24 ქეშქელი. საქეშქელო გადასახადი ხორბლით უდრიდა – 1 თალარს, ქერით – 1/2 თალარს, ფეტვით – 1/2 თალარს. რწმუნებულთა სიტყვით, მარსანში 10 კაცს თავისი ქეშქელი გამოსყიდული ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განაგრძობდნენ ჯინიხელი ლეკების სასარგებლოდ საქეშქელო გადასახადების გადახდას. განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ საქეშქელო გადასახადების საერთო რაოდენობა 1 თალარით შემცირდა⁸².

სოფელ ლალაფაშაში (32 კომლი: აქედან 27 ინგილოური, 3 მულალური და 2 ლეკური) 33 ქეშქელის სარგებლობისათვის ინგილოები გადასახადს უხდიან სოფლების: გულლუგის, ალიასკარის, გიუსბარახის და ბაშ-ჯენიხის ლეკებს. საქეშქელო გადასახადი ხორბლით = 1 თალარს, ქერით – 1 თალარს, ფეტვით – 1 თალარს⁸³.

ელისუს სასულთნოში ინგილოური სოფლები იყო შემდეგი: კახი, ალიბეგლო, მეშაბაში, სუსკენტი, ყორალანი, შოთავარი და ბეუკ-ქეთუქლო. ეს სოფლები ბეუკ-ქეთუქლოს გარდა ელისუს სულთნის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდა. ინგილოთა რიცხვი ელისუს სასულთნოში 1859, 1871 და 1886 წლების აღწერების მიხედვით ასეთი სახის წარმოგვიდგება⁸⁴.

სოფლის სახელწოდება	კომლი რ-ბა 1859 წ. კამერალური აღწერით	1871 წ. აღწერით		1886 წ. აღწერით		ეროვნება და რელიგია
		კომლი	სული	კომლი	სული	
კახი	160	249	1954	308	2150	ქართვ. ქრისტ.
ალიბეგლო	83	104	636	120	865	„-“
მეშაბაში	16	22	113	23	130	„-“
სუსკენტი	20	26	110	7	34	ქართვ. მაჰმად.
ყორალანი	69	115	626	125	756	1871 წ. 268 ქართ. ქრისტ., 358 ქართვ. მაჰმად. 1886 წ. 322 ქართ. ქრისტიანია, 434 ქართვ. მაჰმად.
შოთავარი	35	56	305	-	-	ინგილო არ ჩანს
ბეუკ-ქეთუქლო	28	30	155	38	227	ქართველი ქრისტიანი

სოფელ კახში ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ 1872 წლის 4 ივლისს შედგენილი 41-ე უფრნალის მასალების მიხედვით 250 ინგილოური კომლის

⁸² ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

⁸³ იქვე.

⁸⁴ См. Сборник сведений о кавказских горцах, вып. VI, отд. III, стр. 57, свод. статистических данных о населении Закавказск. края, отд. VIII, Закав. округ.

სარგებლობაში იმყოფებოდა 88 ქეშქელი⁸⁵. საქეშქელო გადასახადი პურით შეადგენდა 3 თალარს (1½ თალარი ხორბალი, 1½ თალარი ქერი), აბრეშუმით – 3 სტილს, ყურძნით – 1 საპალნეს⁸⁶. აღსანიშნავია, რომ ინგილოების საქეშქელო გადასახადი 3-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე სოფელ კახში მცხოვრები მულალებისა⁸⁷. 140 მულაური კომლი სარგებლობდა 58 ქეშქელით⁸⁸. მულალების საქეშქელო გადასახადი პურით უდრიდა 1 თალარს (1½ თალარი ხორბალი, 1/2 თალარი ქერი), აბრეშუმით – 1 სტილს⁸⁹. რწმუნებულთა სიტყვით, სულთანს შეეძლო დანესებულ საქეშქელო გადასახადების გარდა, კიდევ ზედმეტი რაიმე მოეთხოვა. სულთანის ამ ბრძანებას ვერავინ აღუდგებოდა წინ⁹⁰. ინგილოთა სარგებლობაში მყოფი 88 ქეშქელიდან, 12 იყო ისეთი, რომელთა საქეშქელო გადასახადი მულალების საქეშქელო გადასახადების თანაბარი იყო. სამაგიეროდ, ამ ე. წ. „მააფ-ქეშქელებით“ („მააფი“ ამ შემთხვევაში „ზაქათალის კომისიის“ მიერ აღბათ პირობითად არის ნახმარი, რადგან „მააფები“ ეწოდებოდა ისეთ პირებს, რომელნიც სრული საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდნენ) მოსარგებლე ინგილო გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ხარჯით შეენახათ სულთანი და მთელი მისი ამალა, როდესაც მათ კახში მოუხდებოდათ გაჩერება⁹¹. ძირითადი საქეშქელო გადასახადის გარდა, კახის ინგილოებს თითოეულ ქეშქელიდან სულთნისათვის უნდა მიეტანათ ელისუში ერთი საპალნე ბზე და გადაეხადათ 5 ჩანახი პური. ეს გადასახადი განკუთვნილი იყო სულთნის დალაქისათვის და ქორთა მიმწოდებლისათვის (поставщик ярценюв)⁹².

სოფელი ალიბეგლო დაარსებულია XIX საუკუნის დასაწყისში, სულთან ახმედ-ხანის მოწვევით – კახიდან, თასმალოდან და სხვა ადგილებიდან გამოსული ინგილოების მიერ. აქ დასახლდა ინგილოთა 25 კომლი. რწმუნებულთა სიტყვით, ინგილოთა ამ 25 კომლს ახმედ-ხანმა თავისი საკუთარი მიწები მიუზომა დასასახლებლად. მან ეს მიწები 25 ქეშქელად დაყო და თითოეული მათგანი დაბეგრა გადასახადით: ერთი თალარი ხორბალი, 1 თალარი ბრინჯი და 1 თალარი ფეტვი. სხვა რაიმე ვალდებულებანი და გადასახადები სულთან დანიელ-ბეგამდე (1830-1844 წწ.) ამ სოფლის ინგილოებს არ ეკისრებოდათ. სულთანმა დანიელ-ბეგმა ალიბეგლოს მოქეშქელე ინგილო გლეხები ახალი საქეშქელო გადასახადებით დაბეგრა: თითოეული ქეშქელისაგან 1½ სტილი აბრეშუმით და 1/2 საპალნე ყურძნით. გარდა ამისა, ისინი ვალდებულნი იყვნენ სულთნის სასარგებლოდ გადაეხადათ დარგალუგი – კომლზე 3 ჩანახი პური. სულთან დანიელ-ბეგის მმართველობის უკანასკნელ წლებში, მაიორ პეჩკოვსკის მიერ 1844 წელს შედგენილი უწყისით, სოფ. ალიბეგლოში 46 ქეშქელია. საქეშქელო გადასახადი ხორბლით, ქერით და ბრინჯით ოც-ოცი ჩანახი, აბრეშუმში 1½ სტილი, ყურძნით 1/2 საპალნე, დარგალუგი 3 ჩანახი⁹³.

⁸⁵ ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 36.

⁸⁶ იქვე, ფურც. 38.

⁸⁷ იქვე, ფურც. 37.

⁸⁸ იქვე, ფურც. 36.

⁸⁹ იქვე, ფურც. 38.

⁹⁰ იქვე, ფურც. 38.

⁹¹ იქვე, ფურც. 39.

⁹² იქვე, ფურც. 38.

⁹³ იქვე, საქმე 10, ფურც. 1-10.

სოფელ მეშაბაშში XIX საუკუნის დასაწყისისათვის 21 კომლი მოსახლე იყო. სულთანმა მეშაბაშის ინგილოების სარგებლობაში არსებულ ქეშქელებზე შეწერილი გადასახადები ბეგებს დაურიგა. საქეშქელო გადასახადი თითოეულ ქეშქელიდან უდრიდა: ხორბლით 1 თალარი, ქერით 1 თალარი, ბრინჯით 1 თალარი, ფეტვით 1 თალარი, აბრეშუმით 1½ სტილით. ბეგის ოჯახში ქორწილის შემთხვევაში მეშაბაშელებს მისთვის თითო ცხვარი უნდა მიერთმიათ. რწმუნებულთა სიტყვით, ბეგები ინგილოთა საქეშქელო შემოსავლებით მხოლოდ დროებით სარგებლობდნენ, ჯამაგირის სახით. სულთნის მიმართ ინგილოთა ვალდებულებანი იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ დიდი დღესასწაულების დროს მისთვის გარკვეული სახის ძღვენი უნდა მიეტანათ. ამ ძღვენიში შედიოდა: არაყი, ძმარი, კაკალი და სხვა⁹⁴.

სოფელ სუსკენტის ინგილოებს ელისუს უკანასკნელ სულთან, დანიელ-ბეგამდე არავითარი გადასახადები და ვალდებულებანი არ ეკისრებოდათ. მათ საქეშქელო მიწები ნაყიდი ჰქონდათ ამირჯანლოელი ლეკებისაგან 120 თუმნად იმ მოსაზრებით, რომ ეს მიწები მათ სრულ განკარგულებაში ყოფილიყო. ამის თაობაზე შედგენილ იქნა კიდევ ნასყიდობის საბუთი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1786 წელს ამირჯანლოელებმა მიჰყიდეს საკუთარი მიწები სუსკენტელებს 120 თუმნად. ამიერიდან ამ მიწებზე მოსახლენი ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც თვით ამირჯანლოელი ლეკები. ნასყიდი მიწების ფართობი 100 თალარს შეადგენდა. მოსახლე კომლთა რიცხვი 40 იყო. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ის პირობები, რომელშიაც მოხდა სოფელ სუსკენტის წარმოქმნა, გამორიცხავდა ამ სოფელში მოსახლე ინგილოების რაიმე დამოკიდებულებას როგორც ამირჯანლოელი ლეკებისაგან, ასევე თვით სულთანისაგანაც. მაგრამ ელისუს უკანასკნელ სულთანმა დანიელ-ბეგმა დაბეგრა ისინი გარკვეული ხარკით: 1½ სტილი აბრეშუმში თითოეული კომლიდან. ამიერიდან სუსკენტელი ინგილოები სულთნის უშუალო დამოკიდებულებაში მოექცნენ⁹⁵.

სოფლები ყორალანი და შოთავარი, ელისუს სულთნის მფლობელობაში მხოლოდ უკანასკნელი სულთნის, დანიელ-ბეგის დროს გადავიდა. მანამდე ეს სოფლები, რომელთაც თავიანთი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით ჭარ-ბელაქნის საზღვართან ახლოს მდებარე მიწები ეკავათ, ჭარელების სრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და საქეშქელო შემოსავალსაც ისინი იღებდნენ. 1843 წელს, პოლკოვნიკ კოკუმას მიერ შეგროვილი ცნობების მიხედვით, ჭარელები ამ სოფლებიდან 1830 წლამდე, შემოსავლის შემდეგ რაოდენობას იღებდნენ: ყორალანი – 60 ქეშქელიდან 120 თალარი ხორბალი, 60 თალარი ქერი. შოთავარი – 19½ ქეშქელიდან 39 თალარი ხორბალი, 19½ თალარი ქერი⁹⁶. ელისუს სასულთნოს შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ სოფლების – ყორალანის (60 კომლი) და შოთავარის (27 კომლი) მოქეშქელე ინგილო გლეხები სულთანს თითოეული ქეშქელიდან უხდიდნენ 3 თალარ პურს (2 თალ. ხორბალი, 1 თალარი ქერი)⁹⁷.

სოფელ ბეუკ-ქეთუქლოს მოქეშქელე ინგილო გლეხები ელისუს ბეგების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ქეთუქლოელების საქეშქელო გადასახადი ხორბლით

⁹⁴ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 11, ფურც. 1-13.

⁹⁵ იქვე, ფურც. 39-50.

⁹⁶ იქვე, საქმე 1, ფურც. 54-60.

⁹⁷ იქვე, ფურც. 54-60.

უდრიდა 1 თალარს, ქერით – 1 თალარი, ფეტვით – 1 თალარი, აბრეშუმით – 1 სტილი⁹⁸; რწმუნებულთა სიტყვით, ბეგები ძალზე ავიწროვებდნენ ინგილოებს. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით ჩიოდნენ ბეგების იმ უფლების შესახებ, რომლითაც ისინი ქვრივებისა და გაუთხოვარი ქალების მიმართ სარგებლობდნენ. ბეგებს შეეძლოთ მათი თავიანთი სურვილის მიხედვით გათხოვება⁹⁹.

ჩვენ ვრცლად განვიხილეთ ჭარ-ბელაქანში და ელისუს სასულთნოში არსებული ინგილოური სოფლების გლეხთა საქმეებელი გადასახადები. ამ განხილვაში მოტანილი ცნობები თავისთავად მეტყველებს, თუ როგორ მძიმედ იყვნენ დაბეგრნილი მოქმედებელი ინგილო გლეხები ლეკი ალაღარების მიერ. ყოველივე ამის შემდეგ საფუძველს მოკლებულია „მთიელ ხალხთა სამმართველოს“ უფროსის, გენერალ-მაიორ ფრანკინის მტკიცება იმის შესახებ, რომ „вся повинность кешкельников заключается в ничтожном оброке, уплачиваемом кашкелевладельцу зерном“¹⁰⁰. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ სხვადასხვა სოფელში საქმეებელი გადასახადების რაოდენობა სხვადასხვა იყო. თუ რით ხელმძღვანელობდნენ ლეკები, როდესაც ასე არათანაბრად ბეგრავდნენ საქმეებელი სოფლებს, ამის შესახებ რაიმეს გადაჭრით თქმა არ შეგვიძლია. მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, ამ მიმართულებით ერთი მეტად საინტერესო მოვლენა შეიმჩნევა. მხედველობაში გვაქვს საქმეებელი სოფლების ლეკი ალაღარების საცხოვრებელი ადგილიდან გეოგრაფიულად მეტ-ნაკლები მანძილით დაშორება. გეოგრაფიულად დიდი მანძილით დაშორებული საქმეებელი სოფლების მიმართ ალაღარებს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალო ზემოქმედება მოეხდინათ გლეხებზე, რომ ეს უკანასკნელნი აქედგებინათ უფრო მეტი რაოდენობის გადასახადები შეეტანათ. ყოველ შემთხვევაში, ნათლად ირკვევა, რომ ლეკებთან ახლოს მდებარე საქმეებელი სოფლები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრნილი, ვიდრე შორეული სოფლები¹⁰¹. მაგალითისათვის ავიღოთ სოფლები ალიაბადი და ზაგამი. ალიაბადი, რომელიც ზაგამთან შედარებით, ჭარის თემის ალაღარების საცხოვრებელ ადგილთან უფრო ახლოს მდებარეობდა, საქმეებელი გადასახადი, როგორც ვნახეთ, 8 თალარი იყო¹⁰². ზოგჯერ იგი 13 თალარამდეც კი აღწევდა¹⁰³. ზაგამში, როგორც ჭარის თემის შორეულ საქმეებელი სოფელში, გადასახადის რაოდენობა საგრძნობლად ნაკლები იყო: 5 თალარი¹⁰⁴.

ჭარ-ბელაქანში და ელისუს სასულთნოში გლეხობა ერთიან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდა. მასში ადგილი ჰქონდა დიფერენციაციას, რის შედეგადაც ამ ნოდებაში ჩვენ გვხვდება სხვადასხვა ფენა, რომელნიც ერთმანეთისაგან მრავალმხრივ განსხვავდებოდა. ერთი მხრით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მათი მიწით სარგებლობის წესი; ხოლო მეორე მხრით, კი იმის მიხედვით, თუ ვის დამოკიდებულებასა და მფლობელობაში იყვნენ – ავარიელი

⁹⁸ ცსსა, ფ. 240, აღნ. 1, საქმე 572, ფურც. 203-210.

⁹⁹ И. Линевиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

¹⁰⁰ ცსსა, ფ. 5, აღნ. 1, საქმე 8254, ფურც. 21.

¹⁰¹ Центр. Гос. архив Дагестанской АР, ф. 90, оп. 1. ед.хр. 63, лл. 24-25.

¹⁰² ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 13, ფურც. 82-84.

¹⁰³ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 540.

¹⁰⁴ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 13, ფურც. 82-84.

ლეკი ალაღარების, სულთნის თუ ბეგის. ალაღარებთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების ნიადაგზე ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში, ჩვეულებრივი მოქმედებულ გლეხების გვერდით წარმოიშვნენ გლეხთა ისეთი კატეგორიები, როგორიც იყვნენ მათეები და რეჩბარები.

მაათეები. სიტყვა მუ'ათი ანუ მა'ათი (არაბულ-სპარსული წარმოშობის ტერმინი) ნიშნავს განთავისუფლებულს, ე. ი. ასეთ პირად იწოდებოდა ის, რომელიც განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან, სარგებლობდა საგადასახადო იმუნიტეტით. მაათეები ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში შეესატყვისებთან გლეხთა ისეთ კატეგორიას, როგორიც იყო თარხანი და აზატი. ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში მაათობის უფლებით სარგებლობდნენ საქმქელო სოფლების მამასახლისები, მოლეები და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ. დროებითი მაათობის უფლებით სარგებლობდნენ ყვავილის ამცრელნი, ობოლთა ოჯახები და სხვა¹⁰⁵. ასე მაგალითად, სოფელ შოთავარში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 19 ქმქელი იყო, აქედან ერთი ქმქელი იმყოფებოდა სოფლის მამასახლისის განკარგულებაში, რომელიც მაათობის უფლებით სარგებლობდა¹⁰⁶. მაათობის უფლებით სარგებლობდა აგრეთვე ამავე სოფლის მცხოვრები ჰასან-ალი-ყალიმ-ოღლი, როგორც ამ სოფლის დაარსების ინიციატორი¹⁰⁷. სოფელ ყორალანში მამასახლისის, მოლის და ობოლთა ოჯახების გარდა, კიდევ იყო ერთი მაათ-ქმქელი. ამ ქმქელით მოსარგებლე კომლს (ეინმე კუზი-ქევხას შთამომავლობა) ჰქონდა სულთან ახმედ-ხანის, ჭარელი ლეკებისა და სულთან დანიელ-ბეგისაგან მიცემული დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდებოდა მათი მაათობა. ასე მაგალითად, 1814 წელს ჭარელი ლეკების მიერ ისმაილ-კუზი-ქევხა ოღლის სახელზე გაცემული საბუთიდან ირკვევა, რომ ისმაილს სოფელ ყორალანში წყალი გამოუყვანია (საკუთარი ხარჯით), რისთვისაც ჭარელებმა იგი გაანთავისუფლეს $\frac{1}{2}$ ქმქელის საადგილმამულო გადასახადისაგან, მუდმივად და სამემკვიდრეოდ. 1840 წელს დანიელ-სულთანმა მამედ-ქევხა-ისმაილ-ქევხა-ოღლის საბუთი მისცა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რადგანაც მამედ-ქევხას წინაპრები იყვნენ სოფელ ყორალანის დამაარსებელნი, ამიტომ იგი სამუდამოდ და სამემკვიდრეოდ თავისუფლდებოდა საქმქელო გადასახადებისაგან¹⁰⁸.

რეჩბარები. ტერმინი „რანდჟბარი“ (სპარს. წარმ.) ანუ, როგორც XIX საუკუნის რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში იხსენიება – „რეჩბარი“, ცნობილი იყო ორმაგი მნიშვნელობით: ა) იგი ეწოდებოდა ისეთ გლეხს, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარ სარგებლობაში არსებული საქმქელო მიწის ნაკვეთი და იძულებული იყო ემუშავა ალას ან ბეგის მეურნეობაში (შდრ – ქართული „ხიზანი“, „ბოგანო“); ბ) იგი ნიშნავდა დავალიანებულ გლეხს, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა ვალის გადახდისა და იძულებული იყო მის სარგებლობაში არსებული მიწა მოვალესათვის გადაეცა. ამიერიდან იგი თავის ყოფილ მიწაზე, როგორც წყაროები აღნიშნავენ, რეჩბარის უფლებით იჯდა, ე. ი. იხდიდა მოსავლის $\frac{1}{2}$ ნაწილს¹⁰⁹. ჭარ-ბელაქანსა და ელისუს

¹⁰⁵ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 1, ფურც. 83-87.

¹⁰⁶ იქვე, ფურც. 75.

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ იქვე, ფურც. 83-84.

¹⁰⁹ იქვე, საქმე 12, ფურც. 65.

სასულთნოში რეჩბარი ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გვხვდება. ინგილოურ საქეშქელო სოფლებში, როგორც წყაროებიდან ირკვევა, თითქმის არ იყო ისეთი გლეხი, რომელსაც მის სარგებლობაში არსებული მთელი საქეშქელო მიწის ნაკვეთი მოვალესათვის გადაეცა, ასეთები უმთავრესად მულალების წრიდან იყვნენ¹¹⁰. სამაგიეროდ, ინგილოურ სოფლებში ბევრნი იყვნენ ისეთნი, რომელთაც ვალის გადაუხდელობის გამო მოვალისათვის მხოლოდ საკარმიდამო მიწა გადაუტიათ რეჩბარობის უფლებით. სოფელ მეშაბაში, ერთმა ოჯახმა, რომელსაც არ ჰქონდა ვალის გასტუმრების საშუალება, მოვალეს თავის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გადასცა, თვითონ კი ამ მიწაზე რეჩბარად დარჩა¹¹¹. სოფელ სუსკენტში საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე რეჩბარად ცხოვრობდა სამი კომლი¹¹². 1803 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდნენ, რუსეთის მთავრობამ ლეკებს ყოველწლიური ხარკი დააკისრა: 1100 თბილური ლიტრი აბრეშუმი. პირველ ხანებში ლეკებს ეს ხარკი აბრეშუმით შეჰქონდათ, მაგრამ შემდეგში დადგინდა ამ ხარკის აბრეშუმის ნაცვლად, ფულით გადახდა – 13.200 მანეთის რაოდენობით, ვერცხლით¹¹³. როგორც წყაროები მოგვითხრობს, ეს ხარკი შემდეგნაირად იყო განაწილებული: $\frac{1}{3}$ იხდიდა ელისუს სასულთნო (4.400 მანეთის რაოდ. ვერცხლით), დანარჩენ 8.800 მანეთს იხდიდნენ: $\frac{1}{3}$ ჭარის, ბელაქნის, კატეხის, მანეხის, გოგამის, დართუკაზის და სუმაილოს ლეკები; $\frac{1}{3}$ თალის, მუხახის, ჩარდახის, გულღუგის და ჯინიხის ლეკები¹¹⁴. ლეკებმა ამ ხარკის მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა თავიანთ მოქეშქელე გლეხებს დაავალეს, კომლზე 1 მანეთი და 50 კაპ. ისე, რომ, 1803 წლიდან მოქეშქელე გლეხები ვალდებული იყვნენ, საქეშქელო გადასახადების გარდა, ეს ფულადი გადასახადიც ეხადათ. 1830 წლის შემდეგ, როდესაც ჭარ-ბელაქანში რუსეთის ხელისუფლება დამყარდა, ეს გადასახადი ხარკის სახეს აღარ ატარებდა, იგი გადაიქცა ჩვეულებრივ სახელმწიფო გადასახადათ¹¹⁵.

განსახილველი დაგვრჩა ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში ბეგარის არსებობის საკითხი, ე. ი. ვალდებული იყვნენ თუ არა მოქეშქელე გლეხები თავიანთი ალაღარებისათვის მუშაობითაც გაეწიათ სამსახური. საკითხის ასე დასმა გამონეუულია იმით, რომ, როგორც ცნობილია, არც ავარელ ლეკთა ალაღარებს და არც ელისუს სულთანს და ბეგებს, არ გააჩნდათ საკუთარი მსხვილი მეურნეობა, რომელშიც საჭირო გახდებოდა მოქეშქელე გლეხების მუშაობა. ამის გამო ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში ბეგარა მეტად სუსტად იყო განვითარებული. შედარებით უფრო განვითარებული სახით ბეგარა გვხვდება ბელაქნელი ალაღარების, ყოფილი კახელი თავადების, ვაჩნაძე-გალაჯოვების მეურნეობაში. ეს გარემოება აუცილებლად უნდა ავხსნათ კახეთის სამეფოს ფეოდალური ურთიერთობის გავლენით. გალაჯოვების რაიათები ვალდებული იყვნენ თავიანთი ალაღარებისათვის შემდეგი სახის სამუშაოები შეესრულებინათ: ეზიდათ შუშა, საიდანაც მათ ალა უბრძანებდათ, გაეთიბათ თივა, მოეხნათ ყანა და დაეთესათ, მოემკოთ კიდეც და მთელი მოსავალი ალას კალოზე მიეტანათ; ამის შემდეგ რაიათები

¹¹⁰ ცსსა, ფ. 5, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 65.

¹¹¹ იქვე, საქმე 11, ფურც. 1-13.

¹¹² იქვე, ფურც. 39-50.

¹¹³ იქვე, ფ. 5, აღწ. 1, საქმე 8254, ფურც. 14-15.

¹¹⁴ იქვე, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 14, ფურც. 182-184.

¹¹⁵ იქვე.

ვალდებულნი იყვნენ რიგ-რიგობით გაეღენათ პური. გარდა ამისა, გლეხებს, თავიანთი ალაღარებისა და მათი ოჯახების საზაფხულო სადგომებში გამგზავრებისას და იქიდან დაბრუნებისას, მათთვის გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებანი (ურემი, ცხენი) უნდა მიეცათ¹¹⁶. ზემოთ ჩამოთვლილი საშუაოების სახეები: ყანაში მუშაობა, თიბვა, ხვნა, მკა, ლენვა, შემის ზიდვა, არსებობდა საქართველოშიც, კერძოდ, კახეთის სამეფოში. ჭარის თემის რწმუნებულები აცხადებდნენ რომ, როდესაც მოქეშქელე გლეხები თავიანთ ალაღარებს გადასახადებს მიუტანდნენ ხოლმე, მაშინ ეს უკანასკნელი მათ სტოვებდნენ ორი ან სამი დღით: შემის საზიდად, სათიბად და სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად¹¹⁷.

თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში მოქეშქელე ინგილო გლეხების მდგომარეობის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქეშქელე გლეხებს ალაღარების სასარგებლოდ დაკისრებული პქონდათ ტიპური ფეოდალური ხასიათის გადასახადები და ვალდებულებანი. ისინი იმყოფებოდნენ ალაღარების უშუალო დამოკიდებულებაში. რევოლუციამდელი ეპოქის ისტორიკოსები (ლინევიჩი, ესაძე, ბაქრაძე, ივანენკო, ავალიანი და სხვები) უარყოფდნენ მოქეშქელე გლეხების ალაღარებისაგან დამოკიდებულებას. მათ ისინი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც პირადათ თავისუფალი. მათი ასეთი შეხედულება დამყარებული იყო საკითხის ფორმალურ-იურიდიულ შესწავლაზე. შარიათი, როგორც ცნობილია, ოფიციალურად არ ცნობდა მუსლიმანისაგან პირად დამოკიდებულებას. მაგრამ ფაქტობრივად, როგორც აღვნიშნეთ, მოქეშქელე გლეხები ალაღარების უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და მინაზეც მიმაგრებულნი ჩანან. ამ მხრივ, მაგალითისათვის ავიღოთ, ადათით აღიარებული უფლება გლეხის მიერ თავისი ქეშქელის გამოსყიდვის შესახებ. როგორც თავის ადგილას ხაზი გავუსვით, მოქეშქელე გლეხი იშვიათად სარგებლობდა ამ უფლებით (გამოსასყიდი პირობების სიმძიმის გამო – მიწის სიძვირე). სოფელ ლალაფაშას რწმუნებულები აცხადებდნენ, რომ მათ სოფელში, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ქეშქელის გამოსყიდვის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ადგილი და ისიც გამოსყიდულ იქმნა 1/2 ქეშქელი¹¹⁸. საერთოდ, გამოსყიდულ ქეშქელთა რიცხვი მეტად მცირე იყო. ავიღოთ მაგალითისათვის ჭარის თემის საქეშქელო ინგილოური და მულალური სოფლები: ალიაბადი, ბიუჯ-ლანჩი, კარაბანდური, ზაგამი, თასმალო, ქიჩიკ-ლანჩი, ვერხვიანი, კიურ-დამური, მოსული, ჰენგიანი, ლიალილო, ბაი-ახმედლო, ყინდირგალო, კატალპარახი, კუმური და ჩობანქოლი. ამ სოფლებში ქეშქელთა საერთო რაოდენობა უდრიდა 641 1/4, გამოსყიდული კი იყო მხოლოდ 25 ქეშქელი¹¹⁹. მოქეშქელე გლეხის მიერ ქეშქელის გამოსყიდვა მთლიანად აღას ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული: „лезгин волен согласиться и не согласиться“¹²⁰. იყო შემთხვევები, როდესაც ალაღარები არ ცნობდნენ გლეხის მიერ ქეშქელის გამოსყიდვის ფაქტს¹²¹. ხდებოდა ასეც: ქეშქელი გლეხის მიერ გამოსყიდული

¹¹⁶ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 11, ფურც. 455.

¹¹⁷ შ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქანის შესახებ, გვ. 491, 519, 538.

¹¹⁸ ცსსა, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

¹¹⁹ იქვე, საქმე 13, ფურც. 88.

¹²⁰ იქვე, ფურც. 186.

¹²¹ იქვე, ფურც. 88.

იყო, მაგრამ იგი მაინც მთლიანად არ თავისუფლდებოდა თავისი ყოფილი აღას დამოკიდებულებისაგან და კვლავინდებურად განაგრძობდა მისი სასარგებლოდ საქმეშელო გადასახადების გადახდას (ასეთი შემთხვევა მოხდა, მაგალითად, სოფ. მარსანში)¹²². მოქმედებელი ინგილო გლეხი პირადად ლეკ ალაღარზე იყო დამოკიდებული. ლეკ ალაღარს პირდაპირი ძალაუფლება ჰქონდა უშუალო მწარმოებელზე – ინგილო გლეხზე. არ ერეოდა რა უშუალოდ წარმოების პროცესში, ლეკი ალაღარი მოქმედებელი ინგილო გლეხებისაგან ტიპურ ფეოდალურ გადასახადებს იღებდა. უშუალო მწარმოებლის უფლებრივად მემამულისაგან დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს¹²³.

2. რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქანში ინგილოთა მიმართ გატარებული ღონისძიებანი

რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქანის ლეკთა თავისუფალი თემების "სამფლობელოს დაპყრობასა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხს. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა ჭარ-ბელაქანის ისტორიული წარსული, რომ „თავისუფალ თემთა“ სამფლობელოს ტერიტორია წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ძველისძველ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებს; რუსეთის ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა ის გარემოებაც, რომ ამ მხარეში, სხვა ეროვნების (ლეკების, მულალების) ხალხთან ერთად, ცხოვრობდნენ აგრეთვე თვით ამ მხარის მკვიდრნი, გამუსლიმანებული და ნაწილობრივ ქრისტიანი ქართველები – ინგილოები, რომელნიც ჭარ-ბელაქანელი ლეკი ალაღარების მიერ სრულიად უსამართლოდ დაბეგრინი იყვნენ მძიმე საქმეშელო გადასახადებით; და რომ საერთოდ, მთელი ეს მხარე ეკონომიკურად, კულტურულად და ისტორიულად საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო, მართებული იქნებოდა, რომ ჭარ-ბელაქანის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სამფლობელო, მისი დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობას გაეერთიანებინა იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რუსეთის მიერვე დაპყრობილი, ინგილოების სისხლით მოძმე სხვა ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. კერძოდ, იგი უნდა შეერთებოდა „საქართველოს გუბერნიაში“ შემავალ სიღნაღის მაზრას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, ცხადია გარკვეული მოსაზრებით, ყურადღება არ მიექცია, უგულვებელყო, ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებს და ჭარ-ბელაქანის ლეკთა „თავისუფალი თემების“ სამფლობელოდან ცალკე ჭარ-ბელაქანის ოლქი შექმნა. მართალია, 1840 წლის დებულებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჭარ-ბელაქანის ოლქი, ბელაქანის მაზრის სახელწოდებით, საქართველო-იმერეთის გუბერნიას მიაკუთვნეს, მაგრამ ამ მდგომარეობამ მხოლოდ ორ წელს გასტანა. 1842 წელს ბელაქანის

¹²² ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 233-246.

¹²³ ჭარ-ბელაქანის სოციალური ურთიერთობის ისტორიის შესახებ იხილეთ აგრეთვე: თ. პაპუაშვილი – აღმოსავლეთ კახეთის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან – თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1959.

მაზრა ცალკე ოლქად იქნა გამოყოფილი, ხოლო შემდეგ (1844 წ.) სამხედრო ოლქად გადაკეთდა. საბოლოოდ კი, 1860 წელს ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, ზაქათალის ოკრუგის სახელწოდებით, დაღესტნის ოლქს მიაკუთვნეს. ყოველივე ამის გამო, ეს მხარე და ქართველების მოძმე ინგილოები კვლავ ჩამოშორებულები რჩებოდნენ საქართველოსა და დანარჩენი ქართველებისაგან: მუსლიმანური გარემოცვის წყალობით, მაშინდელ პირობებში, ინგილოები სისტემატურ დევნას და შევიწროვებას განიცდიდნენ ფანატიკური მუსლიმანური მოსახლეობისაგან და კვლავ გრძელდებოდა მათი გამაჰმადიანების პროცესი.

რუსი ოფიციალური ისტორიკოსი ნ. ა. ვოლკონსკი აღნიშნავს, რომ რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ დაპყრობით ბოლო ედება საქართველოს ამ ძველისძველი კუთხის სამსაუკუნოვან ლეთარგიას, ხდება მისი აღდგომა¹²⁴. ნ. ა. ვოლკონსკისავე შეხედულებით რადიკალურ ცვლილებებსა აქვს ადგილი ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ მოქემქელე ინგილო გლეხთა ცხოვრებაში. მისი სიტყვით, დიდი ხნის განმავლობაში დაბეჩავებულ და დამორჩილებულ მდგომარეობაში მყოფი ინგილოები იღვიძებენ, ისინი თავისუფლდებიან ლეკთა მონობის მძიმე უღლისგან¹²⁵. ისტორიკოსი ს. ლ. ავალიანიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჭარ-ბელაქანში რუსეთის მფლობელობის დამყარების დღიდან, ძირფესვიანად იცვლება მოქემქელე ინგილო გლეხებსა და ლეკ ალაღარებს შორის არსებული წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობანი. მისი აზრით, ამიერიდან მოქემქელე ინგილო გლეხთა ცხოვრებაში მთელი „გადატრიალება“ ხდება¹²⁶.

ისმის კითხვა: ჰქონდა თუ არა სინამდვილეში ძირფესვიან ცვლილებებს ინგილოთა ცხოვრებაში და საერთოდ, რა ღონისძიებები გაატარა თვითმპყრობელობამ ჭარ-ბელაქანში (მისი დაპყრობის შემდეგ) მოქემქელე ინგილო გლეხთა მიმართ.

რუსეთის ცარიზმის მიერ პირველი ღონისძიების გატარების ცდას ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების დამოკიდებულებაში მყოფი მოქემქელე ინგილო გლეხების ვითომდა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1830 წლის ივნისში, როდესაც გამოქვეყნებულ იქმნა მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ შემუშავებული და იმპერატორ ნიკოლოზ I მიერ დამტკიცებული ჭარ-ბელაქნის ოლქის დროებითი მმართველობის წესები. აღნიშნული მმართველობის წესების მე-7 პუნქტი მთლიანად შეეხებოდა ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ მოქემქელე ინგილო გლეხებს. მასში აღნიშნული იყო შემდეგი: ჭარის პროვინცია დღევანდელი თავისი მდგომარეობის მიხედვით განიყოფება ხალხთა ორ კლასად. გაბატონებულ მფლობელებად, რომელნიც უმთავრესად ლეკებისაგან შედგებიან და მათ მიერ დამორჩილებულ ქართველებად, რომელთათვისაც ლეკებს სხვადასხვა შევიწროების გზით, მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღებინებიათ. მთავრობის მიზანია: მოიპოვოს ამ უკანასკნელი კლასის მხარდაჭერა, მათდამი ყოველმხრივი ხელისშეწყობისა და მათთვის სხვადასხვა სარგებლობათა მინიჭების გზით, რომ ამით შესუსტებულ იქნეს მთავრობისადმი მტრულად განწყობილ ლეკთა მფლობელობა. ამ პოლიტიკური მოსაზრების გამო რუსეთის მთავრობა საჭიროდ თვლიდა სასწრაფოდ შესწავლილ და

¹²⁴ Н. А. Волконский, Война на восточном Кавказе, см. Кавказский сборник, т. XII, стр. 205.

¹²⁵ Н. А. Волконский, История Грузинской пешей дружины, 1884 г., Тифлис, стр. 12-13.

¹²⁶ С. А. Авалиани, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

გმორკვეულ უნდა ყოფილიყო ქარის პროვინციაში მცხოვრებ ლეკ ალაღარებსა და ალიაბადის ქართულ სოფლებს (ინგილოებს) შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებანი, იმ მიზნით, რომ ლეკთა მფლობელობაში მყოფი ქართული სოფლების მცხოვრებლებს ლეკი ალაღარების სასარგებლოდ ეხადათ ზუსტად განსაზღვრული გადასახადები და, რომ ლეკ მფლობელთა მხრივ გადასახადების აკრეფისას ადგილი არ ჰქონოდა ძალმომრეობას და თვითნებობას. ამიერიდან ინგილოებს საქეშქელო გადასახადები უნდა ჩაებარებინათ არა უშუალოდ თავიანთი ალაღარებისათვის, არამედ მათ იგი სოფლის უფროსებისათვის უნდა მიეტანათ, ხოლო ეს უკანასკნელნი ამ საქეშქელო გადასახადებს გაანაწილებდნენ ლეკ მფლობელთა შორის სათანადო ქვითრის გაცემით. მოქეშქელე ინგილო გლეხთა მიერ გადასახადის დროზე შემოუტანლობის შემთხვევაში, ლეკ მფლობელს უფლება არ ჰქონდა პირადათ ინგილო გლეხის მიმართ რაიმე ზომები მიეღო, ამის შესახებ მას უნდა ეცნობებინა საოლქო მმართველობისათვის, რომელიც, საჭირო შემთხვევაში, კიდევაც სათანადო ღონისძიებებს იხმარდა იმისათვის, რათა ინგილო გლეხს საქეშქელო გადასახადი დროზე შეეტანა. ალიაბადის ქართული სოფლების მცხოვრებლებს შემდეგი უფლებები ეძლეოდათ: 1) პირადი თავისუფლება, თუ რომელიმე მოისურვებდა სხვაგან გადასახლებას, მას შეეძლო თან წაეღო თავისი მოძრავი ქონება, ხოლო რაც შეეხება სახლს და საქეშქელო მიწას, იგი ლეკი ალაღარის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო, ანდა იგი გადავიდოდა სოფლის განკარგულებაში, თუ ეს უკანასკნელი თავის თავზე აიღებდა იმ საქეშქელო გადასახადების გადახდას, რომელსაც სხვაგან გადასახლებული მცხოვრებლები იხდიდნენ. 2) მოქეშქელე ინგილო გლეხს უფლება ეძლეოდა თავის ალაღარისაგან გამოესყიდა სახლი, ბაღი და საქეშქელო მიწა – საქეშქელო შემოსავლის ათწლიანი ღირებულების გადახდით. 3) ამიერიდან მოქეშქელე ინგილო თავისუფლდებოდა ლეკი ალაღარის ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან¹²⁷. დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნეს რუსეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებული ჭარ-ბელაქნის ოლქის დროებითი მმართველობის წესების მე-7 პუნქტის გაცნობის შემდეგ, არის ის, რომ რუსეთის ცარიზმი სრულიად ხელუხლებლად და უცვლელად ტოვებდა ჭარ-ბელაქანში მანამდე არსებულ ინგილო გლეხების საქეშქელო ვალდებულებებს ჭარელი ალაღარების მიმართ. ხოლო იმდენად, რამდენადაც ინგილოთა საქეშქელო ვალდებულებანი ჭარელი ალაღარების მიმართ ისევ უცვლელი რჩებოდა, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თვითმპყრობელობის დაპირებანი მოქეშქელე ინგილო გლეხებისათვის „პირადი თავისუფლების“ მინიჭებისა და მათზე მთელი რიგი „სარგებლობათა გავრცელების“ შესახებ, მთლიანად ფარისევლობა უნდა ყოფილიყო. არავითარი რეალური შედეგები არ მოჰქონდა ინგილოებისათვის არც იმ უფლების მინიჭებას, რომლის მიხედვითაც მათ შეეძლოთ თავიანთი საქეშქელო მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა (ეს უფლება, როგორც ვიცით, ინგილოს წინათაც ჰქონდა: ჭარ-ბელაქანში რუსეთის მფლობელობის დამყარებამდე). მოქეშქელე გლეხი იშვიათად სარგებლობდა ამ უფლებით: ეს გამოწვეული იყო გამოსასყიდი პირობების სიმძიმით – მიწის სიძვირე. გარდა ამისა, მოქეშქელე გლეხის მიერ ქეშქელის გამოსყიდვა მთლიანად ალაღარების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული: ლეკ მფლობელს შეეძლო მოქეშქელე გლეხისათვის გამოსყიდვაზე უარი ეთქვა.

¹²⁷ შ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 512-513. „ზაქათალის კომისიის“ ურნალი № 45, 1872 წ. 20 ნომბერი.

1830 წლის ივლის-ოქტომბრის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1830 წლის 25 დეკემბერს გრაფმა პასკევიჩმა გამოაქვეყნა პროკლამაცია ჭარ-ბელაქნის ოლქის მცხოვრებლებისადმი. პროკლამაციაში ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც აპირებდა რუსეთის ხელისუფლება აჯანყებაში მონაწილე ლეკთა დასჯის მიზნით. ჩვენს ყურადღებას ამ პროკლამაციიდან განსაკუთრებით ის ადგილი იპყრობს, რომელიც მოქეშქელე ინგილო გლეხებსაც შეეხებოდა. მასში, სხვათა შორის, აღნიშნული იყო: ყველა ლეკს, რომელსაც რაიმე ძალაუფლება გააჩნია მოქეშქელე ინგილო გლეხებზე, ამიერიდან ეს უფლება ერთმეოდა. მოქეშქელე ინგილო გლეხებს ყველა ის გადასახადი, რომელსაც ისინი აქამდე ლეკებს უხდიდნენ, ამიერიდან სახელმწიფოსთვის უნდა ჩაებარებინათ. აჯანყებაში მონაწილე ლეკებს ერთმეოდათ ყოველგვარი უფლება: აეკრიფათ საქეშქელო გადასახადები მათი ყოფილი ინგილო გლეხებისაგან, ეს უკანასკნელნი ამიერიდან სახელმწიფოს უწყებაში უნდა გადასაუღიყვნენ და ამის გამო გადასახადებიც სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ. იმ ლეკებს, რომელთაც აჯანყების დროს რუსეთის მთავრობისადმი ერთგულება შეინარჩუნეს, რუსეთის ხელისუფლება ჰპირდებოდათ, რომ საქეშქელო გადასახადების ნაცვლად მათ პენსიებს დაუნიშნავდა. მაგრამ, ვინაიდან რუსეთის მთავრობა პენსიათა რაოდენობის განსაზღვრისას დიდ სიძნელეებს წააწყდა, ამიტომ გადანყეტილ იქნა, რომ რუსეთის ხელისუფლების ერთგული ლეკებისათვის ისევ მიეცათ უფლება საადგილმამულო გადასახადების აკრეფისა. განსხვავება წინანდელთან შედარებით ის იყო, რომ ეს გადასახადები ლეკებს უნდა მიეღოთ არა უშუალოდ მათი ყოფილი მოქეშქელე გლეხებისაგან (მათზე, როგორც სახელმწიფოს უწყებაში მყოფთ, ლეკებს აღარავითარი უფლება არ ჰქონდათ), არამედ სოფლის მამასახლისებისაგან, რომელნიც აკრეფდნენ რა გადასახადებს მოქეშქელე გლეხებისაგან, ვალდებულნი იყვნენ იგი რუსეთის მთავრობის მომხრე ლეკი ალაღარებისათვის დაერიგებინათ¹²⁸. თუ კარგად ჩაუვკვირდებით პასკევიჩის მიერ 1830 წლის 25 დეკემბერს, ჭარ-ბელაქნის მცხოვრებლებისადმი გამოაქვეყნებულ პროკლამაციის ამ ადგილს, დავინახავთ, რომ არც ამ პროკლამაციას მოჰქონდა რაიმე ხელშესახები სარგებლობა მოქეშქელე ინგილო გლეხებისათვის. მოქეშქელე ინგილო გლეხის მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თუ აქამდე ინგილო გლეხებს საქეშქელო გადასახადები ლეკ ალაღარებთან მიჰქონდათ, ახლა იგი სახელმწიფოსთვის უნდა ჩაებარებინათ. თუ რამდენად არადაამაკმაყოფილებელი იყო რუსეთის ცარიზმის მიერ მოქეშქელე ინგილო გლეხების მიმართ გატარებული ეს ღონისძიება, ვითომდა ინგილოთა მძიმე ხვედრის „შემსუბუქების“ მიზნით, ამას ნათლად გრძნობდნენ თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ერთ-ერთი რუსი მოხელე, კონსტანტინე როდოფინიკინის წერილი გაგზავნილი გრაფ ა. ი. ჩერნიშევის სახელზე. კონსტანტინე როდოფინიკინი გრაფ ჩერნიშევის წერს: „გლეხები, რომელნიც ენისელად ინოდებიან (იგულისხმებიან ინგილოები – თ. პ.), შეუძლებელია რომ კმაყოფილნი იყვნენ ზემოაღნიშნული ღონისძიებით, რადგან მათი მდგომარეობა ოდნავადაც არ შემსუბუქებულა. გამოიცვალნენ მხოლოდ პირები: ლეკი მემამულის ნაცვლად მოქეშქელე გლეხის წინ მტკიცე ფეხებით დადგა სახელმწიფო, რომელიც მისგან ისეთსავე გადასახადებს

¹²⁸ მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 514-515.

იღებს... რაიმე უბედურობის შემთხვევაში, მოქეშქელე გლეხს შეეძლო მისულიყო ლეკ მფლობელთან და ეთხოვა მისთვის საქეშქელო გადასახადების შემცირება, რა-ზედაც ლეკი მფლობელი თანხმდებოდა ხოლმე კიდევ. ახლა, როდესაც საქეშქელო გადასახადების აკრეფას სახელმწიფო მოხელეები დაიწყებენ, ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთ თავს ნებას არ მისცემენ მოქეშქელე გლეხებისადმი რაიმე დათმობაზე წა-ვიდნენ. მათი მხრიდან ისიც კი საკმარისი იქნება, რომ თავი შეიკავონ ზედმეტი გადასახადების აკრეფისაგან¹²⁹. მართალია, პასკევიჩის პროკლამაციაში ოფიციალუ-რად აღიარებული იყო, რომ თითქოს ლეკი ალაღარების დამოკიდებულებიდან თავისუფლდებოდა ყველა მოქეშქელე გლეხი, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ღონისძიება ეხებოდა იმ მცირერიცხოვან ლეკ ალაღარებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში. როგორც თავის ადგილას გვაქვს აღნიშნული, 1830 წლის ივლის-ოქტომ-ბერში აჯანყებაში ძირითადად თავისუფალი აეარები მონაწილეობდნენ, რომელნიც, მართალია, ჭარ-ბელაქანში პრივილეგირებულ ჯგუფს შეადგენდნენ, მაგრამ მათ თავიანთ დამოკიდებულებაში არ ჰყავდათ მოქეშქელე ინგილო ან მულალი გლეხები. ალაღარების უმრავლესობა, და საერთოდ ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენელ-ნი (რომელთა დამოკიდებულებაშიც იმყოფებოდნენ მოქეშქელე გლეხები), აჯანყე-ბაში მონაწილეობას არ იღებდნენ. მათ თავიანთი კლასობრივი პრივილეგიებისა და უფლებების შენარჩუნების მიზნით რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულება შეი-ნარჩუნეს. ასეთებს კი, როგორც პროკლამაციაში იყო აღნიშნული, მეფის მთავრობა საქეშქელო გადასახადების ნაცვლად ჯერ პენსიების დანიშვნას დაჰპირდა, ხოლო შემდგომში, როდესაც პენსიათა რაოდენობის განსაზღვრისას სიძნელეებს წააწყდა, ისევ დაუბრუნა საქეშქელო გადასახადების აკრეფის უფლება. ამრიგად, მოქეშქე-ლე ინგილო გლეხებისადმი რუსეთის ცარიზმის საჯარო დაპირება მათი საქეშქელო ვალდებულებებისაგან განთავისუფლების შესახებ, მორიგი ფარისევლობა აღმოჩნ-და. ეს გარემოება უფრო აშკარა გახადა 1838 წელს რუსეთის ცარიზმის მიერ ჭარ-ბელაქანში გატარებულმა ახალმა ღონისძიებამ. 1838 წელს რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ინგილოთა სოფლებში მცხოვრები მოქეშქელე გლეხებისა-გან საქეშქელო გადასახადების აკრეფის უფლება ყველა ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალა-ღარისათვის (ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ე. ი. აჯანყებაში მონაწილე ლეკ ალაღარებსაც) დაებრუნებინა. ამ დროიდან მოყოლებული ლეკი ალაღარები საქეშ-ქელო გადასახადებს უშუალოდ თვით მოქეშქელე გლეხისაგან იღებდნენ (და არა სოფლის მამასახლისის მეშვეობით, როგორც ეს 1830 წელს პასკევიჩის მიერ იყო ნაბძანები). ამ ღონისძიების გატარებას მეფის მთავრობა იმით ასაბუთებდა, რომ საქეშქელო გადასახადების აკრეფის უფლებას მოკლებული ლეკები დაიწყებდნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ სამტრო მოქმედებებს¹³⁰. ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსეთის ცარიზმმა ჭარ-ბელაქნელ ლეკ ალაღარებს, ყველას უკლებლივ ისევ დაუბრუნა საქეშქელო უფლებები. ეს სავსებით შეესაბამებოდა იმ კლასობრივ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთის ცარიზმი ატარებდა დაპყრობილ ადგილებში – რუ-სეთის ხელისუფლებისათვის სოციალური დასაყრდენის შექმნის მიზნით. ჭარ-ბელაქ-ნელი ლეკი ალაღარებისათვის საქეშქელო უფლებების უცვლელად დატოვება იყო

¹²⁹ ЦГВИА, ф. ВУА, д. 6243, лл. 92-97, О мерах обуздания неприязненных нам лезгинских владельческих семейств и о облегчении участи другого сословия Джарской области преданных нам Ениселинцев, 1832 г. октябрь.

¹³⁰ ვ. ლუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 517.

ის ერთადერთი პირობა, ურომლისოდაც ისინი ცარიზმს მხარს არ დაუჭერდნენ. თვითმპყრობელობის დაპირებანი: მოქმედი ინგილო გლეხების ლეკი ალაღარების დამოკიდებულებიდან განთავისუფლების და მათზე მთელი რიგი „სარგებლობათა გავრცელების“ შესახებ, დავიწყებას მიეცა.

შედარებით არსებითი ხასიათის ღონისძიებანი იქნა გატარებული ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქში მცხოვრებ ინგილო გლეხების მიმართ 1856-1859 წლებში, როდესაც ჭარ-ბელაქანში გაიხსნა და მუშაობა დაიწყო დროებითა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშაებინა მოსაზრებები იმ ინგილოების მუსლიმანთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელთაც ახლად მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომისიის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი შეეხო მხოლოდ ინგილოთა გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმათ, რომელნიც ცხოვრობდნენ ყოფილ ელისუს ტერიტორიაზე.

ჯერ კიდევ 1826 წელს ჭარ-ბელაქანში მყოფი რუსი მოხელე პოლკოვნიკი კოცებუ წერდა, რომ მიუხედავად იმ სასტიკი შევიწროვებისა, რომელსაც ინგილოები ლეკთაგან განიცდიდნენ, ისინი მაინც ფარულად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ¹³¹. მაგრამ ფანატიკური მუსლიმანური მოსახლეობის გარემოცვაში მყოფ ინგილოებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ ოფიციალურად ელიარებიანთ ქრისტიანული სარწმუნოება. დიდად არ გაუმჯობესებულა ამ მხრივ მდგომარეობა ჭარ-ბელაქანში რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშიც. რუსეთის ცარიზმის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად, ჭარ-ბელაქანი და მასში მცხოვრები ინგილოები ისევ ჩამოშორებულნი რჩებოდნენ საქართველოსა და დანარჩენი ქართველებისაგან. კვლავ მუსლიმანური მოსახლეობის გარემოცვაში დარჩენილ ინგილოების მიერ აშკარად და ოფიციალურად ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებას დიდი სიძნელეები ხვდებოდა. გარდა ამისა, თვით რუსეთის მთავრობა, გარკვეული ხანის განმავლობაში, XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე, სანამ იგი დაღესტნელი ტომების და საერთოდ კავკასიის საბოლოო დაპყრობისთვის იბრძოდა, ერიდებოდა ჭარ-ბელაქანში ქრისტიანობის გავრცელებისათვის რაიმე პრაქტიკული ღონისძიების გატარებას, იმ მიზნით, რომ ამით მას არ გამოეწვია ჭარ-ბელაქანში მცხოვრები მუსლიმანური მოსახლეობის უკმაყოფილება. იგი ქრისტიანობის პროპაგანდას ამ მხარეში ჯერ-ჯერობით ნაადრევად თვლიდა. ქრისტიან ინგილოთა რიცხვის ზრდა შესამჩნევი ხდება მხოლოდ 1850 წლიდან. ამ წელს სოფ. კახიდან თბილისში გამოცხადდა 8 ინგილო, რომელთაც სურვილი განაცხადეს ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისა. მათი თხოვნა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დააკმაყოფილა და სიონის ტაძარში კიდევაც მოინათლნენ. ამის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში – ყოფილ ელისუს სასულთნოში¹³². 1856 წელს შეკრებილი ცნობების მიხედვით, ელისუს საბოქაულოში (ყოფილი ელისუს სასულთნო) მცხოვრებ ქრისტიან და მუსლიმან ინგილოთა რიცხვი 371 კომლს შეადგენდა. ამათგან ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს 1850 წელს – 8 სულმა, 1851 წელს – 1116 სულმა, 1852 წელს – 55, 1853 წელს – 218, 1854 წელს – 134, 1855 წელს – 122, სულ – 1653 სულმა¹³³. იმისათვის, რომ უფრო წინ ნასულიყო ელისუს სასულთ-

¹³¹ ЦГВИА, ф. ВУА. д. 18498, лл. 3-11.

¹³² მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 497.

¹³³ ცსსა, ფ. 240, აღნ. 1, საქმე 572, ფურც. 20-26.

ნოში ქრისტიანობის გავრცელების საქმე, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა: ის ინგილოები, რომელნიც ახლად მიიღებდნენ ქრისტიანობას, გაენთავისუფლებინათ ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან. ამ მიზნით, მეფისნაცვალ, გენ. ადიუტ. მურავიოვის ბრძანებით, 1856 წლის 13 ივლისს ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური დროებითი კომისია; რომელსაც დაევალა შეემუშაებინა ღონისძიება, თუ რა გზითა და რა საშუალებით უნდა მომხდარიყო ინგილოების განთავისუფლება ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან. კომისიის ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდა შეგნებული ერთი გარემოება: ინგილოების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას რეალური ხასიათი რომ მიეღო, ამისათვის საჭირო იყო იმ მიწების ბევრთა მფლობელობიდან გამოსყიდვა, რომლებზედაც ინგილოები ცხოვრობდნენ და რომელთა სარგებლობისათვის ინგილოები ბევრს საქმუქელო გადასახადებს უზდიდნენ. ამიტომ კომისიაც შეუდგა საამისოდ საშუალებების გამონახვას. როგორც ცნობილია, 1844 წელს, ელისუს სულთნის, დანიელ-ბეგის და მისი მომხრე ზოგიერთი ბეგის რუსეთის მთავრობისადმი ლაღატიცა და მათი შამილის მხარეზე გადასვლის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სასულთნო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, გააუქმა და იგი ელისუს უზნის სახელწოდებით ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს შეუერთა. რუსეთის ხელისუფლებამ მოახდინა დანიელ-ბეგისა და მისი მომხრე ბეგების მამულების კონფისკაცია და იგი სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. და აი, მეფისნაცვალმა, გენ. ადიუტ. მურავიოვმა, ელისუს სასულთნოში მცხოვრებ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეულ ინგილოების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან გასანთავისუფლებლად ყველაზე საუკეთესო საშუალებად ჩათვალა შემდეგი ღონისძიება: მოეხდინათ მიწების ურთიერთგაცვლა. ბეგებისათვის ინგილოებით დასახლებული მიწების სანაცვლოდ, მთავრობას უნდა მიეცა იმავე რაოდენობის მიწები, ელისუს სასულთნოში არსებულ მიწების იმ ფონდიდან, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ელისუს სულთნის, დანიელ-ბეგის გაქცევის შემდეგ. კომისიამ სავსებით მისაღებად ჩათვალა გენ. ადიუტ. მურავიოვის მოსაზრება და მის შესაბამისად 1858 წლის დეკემბრის თვეში კიდევაც მიიღო გადაწყვეტილება: ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეულ ინგილოებს ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ¹³⁴. ელისუს საბოქაულოში ინგილოური სოფელი სულ 7 იყო: კახი, მემბაბაში, ქოთუქლო, ალიბეგლო, ყორალანი, სუსკენტი და შოთავარი. ამათგან სუსკენტსა და შოთავარში მცხოვრებ ინგილოებს არ განუცხადებიათ სურვილი ქრისტიანობის მიღებისა, ამიტომ კომისიას ისინი მხედველობაში არ მიუღია (სუსკენტელებს თავიანთი საკუთარი მიწები ჰქონდათ (ნასყიდი), საქმუქელო გადასახადებს ისინი არავის უზდიდნენ). სოფელ ალიბეგლოდან ინგილოებს მართალია, მიღებული ჰქონდათ ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ ისინი საქმუქელო გადასახადებს სახელმწიფოს უზდიდნენ, რადგანაც მათ სახელმწიფო მიწები ეჭირათ. ასე რომ, ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან მთავრობას უნდა გაენთავისუფლებინა ოთხი ინგილოური სოფელი: კახი, მემბაბაში, ქოთუქლო და ყორალანი. ამ სოფლებში მცხოვრებ ინგილოებს 1856 წლისთვის უკვე საბოლოოდ ჰქონდათ მიღებული ქრისტიანობა¹³⁵. ამ სოფლებში, როგორც ვიცით, საქმუქელო მიწები ჰქონდათ ელისუელ ბეგებს და ჭარელ ალაღარებს. რუსეთის მთავრობამ ამ საქმუქელო მიწების

¹³⁴ ცხსა, ფ. 236, აღწ. 11, საქმე 3, ფურც. 1-3.

¹³⁵ იქვე, ფურც. 5-6

სანაცვლოდ ელისუელ ბეგებს და ჭარელ აღალარებს სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მიწების ფონდიდან გამოუყო იმავე რაოდენობის და იმავე შემოსავლის მომცემი საქმეჯელო მიწების ნაკვეთები. ამიერიდან კახის, მეშაბაშის, ქოთუქლოს და ყორალანის ინგილოები თავისუფლდებოდნენ ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან. ბეგთა მფლობელობიდან გამოსყიდული საქმეჯელო მიწის ნაკვეთები გადადიოდა მათ უფასო სარგებლობაში: ე. ი. ისინი თავისუფლდებოდნენ საქმეჯელო გადასახადების გადახდისაგან. ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულ იქნენ აგრეთვე სოფელ ალიბეგლოს ინგილოები, რომელთა საქმეჯელო მიწების მთავრობას არ გამოსყიდია, რადგან ეს მიწები უკვე სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფებოდა. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეული ინგილოები ნ წლით თავისუფლდებოდნენ საეროთა გადასახადების გადახდისაგან და ენიჭებოდათ მთელი რიგი შეღავათები სახელმწიფო გადასახადების გადახდაში¹³⁶. დროებითი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ელისუს სასულთნოში მცხოვრებ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეულ ინგილოების მუსულმანთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლების შესახებ – 1859 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ იქნა იმპერატორის მიერ¹³⁷. ინგილოების მუსლიმანთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლებამ და ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ზაქათალის ოლქში მცხოვრებ მუსლიმანურ წრეებში. ამის აშკარა დადასტურებას წარმოადგენდა 1863 წლის გაზაფხულზე ზაქათალაში მომხდარი აჯანყება. ამ აჯანყების გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზაქათალის ოლქში მცხოვრები მუსულმანური მოსახლეობის პროტესტი ინგილოთა შორის ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ მღელვარება ზაქათალის ოლქში დაიწყო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მთავრობის გადაწყვეტილება, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეულ ინგილოების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ¹³⁸. ამ ამბავმა განსაკუთრებით ჭარელი აღალარები შეაშფოთა (საამისო საბაბი მათ ჰქონდათ – ინგილოური საქმეჯელო სოფლების უმრავლესობა ჭარის თემს ეკუთვნოდა). ჭარის თემის აღალარები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ინგილოთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის. ჭარელი მოლეები მოსახლეობაში რელიგიურ ფანატიზმს აღვივებდნენ, ნერგავდნენ ქრისტიანობისადმი სიძულვილს. 1863 წელს ადგილი ჰქონდა ქრისტიანი ინგილოების ძალად, ისევე მაჰმადიანურ სარწმუნოებაში დაბრუნებას, ასე მაგალითად, სოფელ ყორალანში (რომლის ინგილოებმაც 1856 წელს ქრისტიანობა მიიღეს) ისევე მაჰმადიანობას დაუბრუნდა 59 კომლი ინგილო: ისინი კვლავ დაბეგრდნენ იქნენ საქმეჯელო გადასახადებით ჭარელი აღალარების სასარგებლოდ¹³⁹. მუსლიმანებს განზრახული ჰქონდათ რაც შეიძლება უფრო ფართოდ გაეგრცელებინათ ზაქათალის ოლქში მღელვარება, რომ ამით, მათი აზრით, მთავრობა იძულებული გამხდარიყო ხელი აეღო ინგილოთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაზე და მათი ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისგან განთავისუფლებაზე. მეჩეთების წინ თავმოყრილ ხალხში ისინი ხმებს ავრცელებდნენ, რომ ქრისტიანობის გავრცელებას ადგილი აქვს არა მარტო

¹³⁶ ცსსა, ფ. 236, აღნ. 11, საქმე 3, ფურც. 47-49.

¹³⁷ იქვე, ფურც. 82-83.

¹³⁸ იქვე, ფ. 416, აღნ. 3, საქმე 1270, ფურც. 1-9.

¹³⁹ იქვე, ფ. 236, აღნ. 1, საქმე 1, ფურც. 82.

ინგილოთა შორის, არამედ თვით ლეკებშიც; რომ თითქოს მეფის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ლეკებისათვის მიწების ჩამორთმევა და მისი ინგილოებისათვის გადაცემა. მლელვარება ჭარის გარდა ბელაქანს და ყოვანჩოლსაც მოედო. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს საფრთხე შეექმნათ ზაქათალის ციხისათვის. 1863 წლის 5 და 6 ივნისს აჯანყებულებმა, რომელთაც ჰაჯი მურთუზი ხელმძღვანელობდათ, იერიში მიიტანეს ზაქათალის ციხეზე. მაგრამ ციხის გარნიზონმა შესძლო იერიშის მოგერიება. რუსეთის ხელისუფლებამ ზაქათალაში აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა მაშველი სამხედრო ძალები, რომელთაც შესძლეს აჯანყებულების გაფანტვა. მთავრობა აჯანყების მონაწილეებს სასტიკი რეპრესიებით გაუსწორდა¹⁴⁰.

რუსეთის მთავრობის მიერ ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქში 1856-1859 წლებში გატარებული ღონისძიება მოქექქელე ინგილო გლეხების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ, შეეხო მხოლოდ ინგილოთა მცირე ნაწილს, კერძოდ იმათ, რომელნიც ცხოვრობდნენ ყოფილი ელისუს სასულთნოს ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში: კახი, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო და ყორალანი. რაც შეეხებოდა ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ ინგილოთა უმრავლესობას (ე. წ. „ენისელის ანუ ალიაბადის ქართულ სოფლებში რომ ცხოვრობდნენ: ალიაბადი, თასმალო, ზაგამი, ჰენგიანი, ვერხვიანი, მოსული და სოფლები: ყანდახი, ყაპანახჩი, მარსანი, ლალაფაშა, ითი-თალა) ისინი კვლავ ლეკი აღალარების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და დაბეგრილნი იყვნენ მძიმე საქექქელე გადასახადებით. 1861 წელს, როდესაც რუსეთში გამოქვეყნებულ იქნა იმპერატორის მანიფესტი გლეხთა ბატონყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლების შესახებ, როდესაც 1864 წელს საქართველოშიც გატარდა საგლეხო რეფორმა, მაშინ ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ მკვიდრმა ქართველ-ინგილო გლეხებმა კავკასიის მეფისნაცვალის მოვალეობის ამსრულებელს, გენ. ადიუტ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს მიმართეს შემდეგი შინაარსის თხოვნით: თუ მემკვიდრე ყმები თავისუფლდებიან თავიანთი მემამულეების დამოკიდებულებიდან, იმ მემამულეებისაგან, რომელთა უფლებები ყმა-გლეხებზე მტკიცდება მთელი რიგი ფაქტებითა და საბუთებით, მაშინ რატომ ჩვენ, მოქექქელე ინგილო-გლეხები არ უნდა განვთავისუფლდეთ ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან? ლეკებმა ჩვენი მიწა-წყალი და ჩვენი წინაპრები მხოლოდ იარაღის ძალით დაიმორჩილეს, მათ თავიანთი უფლებების დასამტკიცებლად არავითარი ფაქტიური საბუთი არ მოეპოვებათ. ამის გამო, განაგრძობდნენ ინგილოები, ლეკებს უფლება არა აქვთ მუდმივად ფლობდნენ ჩვენს მიწებს და გვაიძულონ მათ სასარგებლოდ ვიხადოთ გადასახადები. დასასრულ მოქექქელე ინგილო გლეხები ორბელიანს თხოვდნენ, რომ მთავრობას მიეღო შესაფერისი ღონისძიებანი ინგილოების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისათვის¹⁴¹. ინგილოების თხოვნა სრულიად სამართლიანი იყო.

1869 წლიდან ზაქათალის ოლქში, რუსეთის მთავრობის დავალებით, მუშაობა დაიწყო ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ. კომისიას დავალებული ჰქონდა ზუსტად შეესწავლა გაბატონებულ ლეკებსა და დამორჩილებულ მოქექქელე ინგილო თუ მულალ გლეხებს შორის არსებული ნოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობანი, გარკვევით დაედგინა და წესრიგში მოეყვანა ინგილო და მულალი

¹⁴⁰ ცხსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 1270, ფურც. 1-9.

¹⁴¹ იქვე, საქმე 1295, ფურც. 16-17.

გლეხების საქმეზელო ვალდებულებანი ჭარელი ალაღარების მიმართ. კომისიას, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა, არ შეუმუშავებია რაიმე პრაქტიკული ღონისძიება მოქმედელე ინგილო გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მუშაობაში აშკარად გამოვლინდა მეფის მთავრობის კლასობრივი პოლიტიკა, რომელსაც ის დაპყრობილ ქვეყნებში ატარებდა ადგილობრივი გაბატონებული ფენის წარმომადგენლებისადმი: ხელუხლებლად დაეტოვებინა მათი საადგილმამულო უფლებები. „ზაქათალის კომისიის“ წევრებმა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ, თუ რა უსამართლოდ ფლობდნენ ჭარელი ალაღარები კახეთის სამეფოს ყოფილ მიწა-წყალზე მცხოვრებ მოქმედელე ინგილო გლეხებს, მაინც იცნეს ჭარელი ალაღარების მემამულეობა. ის მიწები, რომელნიც იმყოფებოდნენ მოქმედელე ინგილო და მულალი გლეხების სარგებლობაში, მეფის მთავრობამ ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების სრულ საკუთრებად აღიარა¹⁴². მეფის მთავრობის სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების დალი აზის იმ განსაზღვრას, რომელიც კომისიამ მისცა მოქმედელე გლეხებსა და ალაღარებს შორის არსებულ ურთიერთობას. კომისიის განმარტებით, ქმედელი ინგილო და მულალი გლეხისათვის წარმომადგენდა მუდმივ იჯარას უაღრესად ხელსაყრელ და ზუსტად განსაზღვრულ პირობებში¹⁴³. რა თქმა უნდა, მოქმედელე გლეხების იჯარადრებად ჩათვლა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ მოქმედელე გლეხები ფაქტობრივად მიმაგრებულნი იყვნენ საქმეზელო მიწებზე და დაბეგრილნი იყვნენ მძიმე საქმეზელო გადასახადებით. მეფის მთავრობას მოქმედელე გლეხებსა და ალაღარებს შორის არსებული ურთიერთობის ასეთი „შეფერადება“ ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ როგორმე თავი აერიდებინა მოქმედელე გლეხების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისათვის. ზაქათალის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ, რომელიც მეფის მთავრობის კარნახით მუშაობდა, მოქმედელე ინგილო გლეხები კვლავ ჭარელი ალაღარების მფლობელობაში დატოვა. მოქმედელე ინგილო გლეხების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებიდან განთავისუფლება საბოლოოდ შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-20 საუკუნეში – 1913 წელს.

თუ შევაჯამებთ ყველა იმას, რაც ზემოთ ითქვა ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ მოქმედელე ინგილო გლეხების მიმართ მეფის მთავრობის მიერ 1830, 1838, 1869-1874 წლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ, შეგვიძლია ზოგადად დავასკვნათ, რომ ჭარ-ბელაქნის დაპყრობისას რუსეთის ცარიზმმა (გამოდიოდა რა რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან) ოფიციალურად ცნო ჭარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების მემამულეობა და ისინი მათ მიერ უსამართლოდ მიტაცებული კახეთის სამეფოს ყოფილი მიწა-წყლის და ამ მიწა-წყალზე მცხოვრებ მკვიდრი ქართველი-ინგილო გლეხების კანონიერ მფლობელებად აღიარა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე, მეფის მთავრობა ჭარ-ბელაქანში თავისი კოლონიური პოლიტიკისათვის სოციალური ბაზის შექმნის მიზნით, განუხრელად ცდილობდა მიეღო განსაკუთრებული ღონისძიებები იმისათვის, რომ განემტკიცებინა და დაეცვა ჭარ-ბელაქნელი ალაღარების კლასობრივი უფლებები.

¹⁴² ცსსა, ფ. 5, აღნ. 1, საქმე 8254, ფურც. 17.

¹⁴³ იქვე, ფურც. 22.

საინგილო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

XIX ს-ის დასასრულს თბილისის გუბერნიის საზღვრების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, თბილისის გუბერნია ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა. ჩრდილოეთით თბილისის გუბერნია კავკასიონის მთავარი და გვერდითი ქედებით იყო შემოსაზღვრული, რომლებიც მას თერგის ოლქისაგან მიჯნავდა; შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედი თავისი სამხრეთ-აღმოსავლეთის განშტოებით გუბერნიის აღმოსავლეთ საზღვარს შეადგენდა და მას დაღესტნის ოლქისაგან გამოყოფდა. ეს ბუნებრივი სასაზღვრო ხაზი სამხრეთის მიმართულებით ზაქათალის ოლქით იყო განწყვეტილი, ვინაიდან იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო და თბილისის გუბერნიაში არ შემოდოდა. ე. ი. საქართველოს ორგანული ნაწილი, ალაზნის ველის ბუნებრივი გაგრძელება, საინგილო თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში არ იყო შესული. ამ გარემოებამ კი აღმოსავლეთის საზღვრის ამ მონაკვეთზე ბუნებრივი სასაზღვრო ხაზის დარღვევა გამოიწვია და საზღვარმა არა კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალზე, არამედ ალაზნისა და მის შენაკად მაჭისწყალზე გაიარა. მიუხედავად ამისა, XIX ს-ის დასასრულის რუსი გეოგრაფოსები და ადმინისტრატორები ზაქათალის ოლქს ეკონომიკური, გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც თბილისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. ასე მაგალითად, ვ. ნ. ფილიპოვი განიხილავს რა თბილისის გუბერნიის ფარგლებს და მასში შემავალ მაზრებს, მას ზაქათალის ოლქი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, თბილისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. იგი წერს: „Восточную часть Тифлисской губернии занимает бассейн Алазани и Иори, заключающийся между главным Кавказским хребтом и довольно значительным по высоте водораздельным врижем, отделяющим в верхних течениях систему Иори от системы Алазани.

Это пространство называется Кахетией и, как сказано, составляло некогда особое от Карталинии царство, несмотря на общность происхождения жителей Кахетии и Карталинии.

В настоящее время северная меньшая часть этого пространства, заключающаяся в углу между Дагестанской областью и Тиопетским уездом, составляет уезд 8) Телавский, а остальная большая часть Кахетии с Ширакской степью исключительно, составляет 9) уезд Сигнахский.

К югу – востоку от Кахетии, между главным Кавказским хребтом и большей частью нижняго течения р. Алазани, находится округ Закатальский; в географическом отношении он составляет часть Кахетии и, до отторжения его от Кахетии Горцами-Лазгинами, был в действительности частью Кахетии даже этнографическом отношении. Лезгини переселились в разное время из Дагестана в нынешний Закатальский округ, покорив аборигенов этой страны – Грузин, которые получили название ингилойцев и исповедуют теперь магометанство.

В настоящее время округ управляется окружным начальником, который подчинен Главноначальствующему (по части военно-народного управления Кавказского края).

По пространству Закатальский округ не велик, занимая всего 72,233 кв. мили или 3509,4 квад. верст... Закатальский округ, как уже указано, принадлежит в географическом отношении к Кахетии, занимая пространство между Нижним течением Алазани и Главным хребтом¹. ვ. ნ. ფილიპოვის ზემოთ მოტანილი შეხედულების გაცნობის შემდეგ ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა წამოიჭრება: როგორ იყო გადაწყვეტილი ზაქათალის ოლქის საკითხი XIX ს-ის დასასრულისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ? ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ მცირე ისტორიული ექსკურსი.

XIX ს-ის დამდეგისთვის, მას შემდეგ რაც ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა და იგი რუსეთმა დაიპყრო, ამიერიდან ქარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდა, პირველყოვლისა, თვით რუსეთის იმპერიის ინტერესები. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქარ-ბელაქნის დაპყრობის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ის ავითარებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

რუსეთის ხელისუფლების პირველ ცდას, მიმართულს ქარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს დაპყრობისაკენ, ადგილი ჰქონდა 1803 წელს, რომელიც დამთავრდა მათი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლით. ამიერიდან (1803 წ. 17 აპრილს ხელშეკრულება) ქარ-ბელაქნის ლეკთა „თავისუფალი თემებისა“ და ელისუს სასულთნოს ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება: ისინი შედიან რუსეთის იმპერატორის ვასალურ დამოკიდებულებაში. რუსეთის ხელისუფლების მიერ ქარ-ბელაქნის „თავისუფალ თემებთან“ დადებული 1803 წლის 17 აპრილის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მთავრობის ინტერესებს გამოხატავდა და მის სტრატეგიულ გეგმას შეადგენდა. ამისაგან განსხვავებით, ქართული ხელისუფლება, თუკი ქარ-ბელაქანს გასტეხდა, მასთან ასეთ სახელშეკრულებო პირობას არ დასდებდა, არამედ საქმეს ოსმალთა ზონტყრებისა და ირანის შაჰების მზაკვრული პოლიტიკის ამ წყეული ნაყოფის ლიკვიდაციით დაიწყებდა. ეს იქნებოდა ნაძალადევად მიტაცებულ ამ ქართულ მიწაზე და მის ქართულ მოსახლეობაზე დამპყრობელ ლეკთა ჯამაათების ბატონობის მოშლა და იქ საქართველოს აღდგენა. ასეთი იყო ერეკლეს გეგმა. მაგრამ 1803 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ეს ისტორიული უსამართლობა ქარ-ბელაქანში არ გაასწორა².

1830 წელს ქარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს ვასალური დამოკიდებულებანი განსაზღვრული ხარკით და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნომინალური ვალდებულებების შესრულებით შეიცვალა მათი სრული დაპყრობით, ანექსიით და ოკუპაციით. 1830 წელს ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ცალკე ქარ-ბელაქნის ოლქი. 1840 წელს ამიერკავკასიის მხარეში ჩატარებული დიდი ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად, ქარ-ბელაქნის ოლქი, ბელაქნის მაზრის სახელწოდებით, საქართველო-იმერეთის გუბერნიას მიეკუთვნა. ბელაქნის მაზრა, თავის მხრივ, სამ უბნად იყოფოდა: ბელაქნის, ენისელის და ელისუს. ელისუს უბა-

¹ Филипов В. Н., Топографический обзор Тифлисской губернии и Закатальского округа. Сост. Филипов, изд. 2-е, под ред. Аверьянова. Тиф. отд. глш. штаба Кавк. воен. окр., Тифлис, 1897, стр. 6-7, 13-14.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 278.

ნი შედგებოდა ყოფილი ელისუს სასულთნოს მიწა-წყლისაგან. 1842 წლის მარტის თვეში, მთავარმართებლის წარდგენით და იმპერატორის ბრძანების თანახმად, ბელაქნის მაზრა სრულად გამოეყო საქართველო-იმერეთის გუბერნიას და ისევე ცალკე ოლქად გამოცხადდა, ხოლო 1844 წლიდან იგი ქარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი გახდა. 1860 წლის 31 მაისს მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით „ქარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს“ სცილდება ნახურის უბანი, ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანეთი (ე. წ. მთიანი მაღალი), რომელიც ადმინისტრაციულად უერთდება სამხრეთ დაღესტნის სამურის ოლქს. გარდა ამისა, საინგილო ამიერიდან „ზაქათალის ოლქის“ სახელწოდებით გვევლინება და მისი მმართველობა ზემო დაღესტნის უფროსის კომპეტენციაში შევიდა. ზემო დაღესტნის უფროსი სამოქალაქო საქმეებში უნდა დამორჩილებოდა უშუალოდ მეფისნაცვალს, ხოლო სამხედრო ხაზით – დაღესტნის ოლქის უფროსს. აი, ასე და ამგვარად გაერთიანდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი ქარ-ბელაქანი (კაკ-ელისენი) რუსეთის იმპერიის მფლობელობაში.

რუსეთის ცარიზმის მიერ ქარ-ბელაქნის დაპყრობასა და მისი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მოქცევასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხს. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა ქარ-ბელაქნის ისტორიული წარსული, რომ მთელი მისი ტერიტორია წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ძველისძველ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებს; რუსეთის ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა ის გარემოებაც, რომ ამ მხარეში, სხვა ეროვნების (ლეკების, მულალების) ხალხთან ერთად, ცხოვრობდნენ აგრეთვე თვით ამ მხარის მკვიდრნი, გამუსლიმანებული და ნაწილობრივ ქრისტიანი ქართველები – ინგილოები, რომელნიც ქარ-ბელაქნელი ლეკი ალაღარების მიერ სრულიად უსამართლოდ იყვნენ დაბეგრილნი მძიმე საქმეებზე გადასახადებით; და რომ საერთოდ, მთელი ეს მხარე ისტორიულად, ეკონომიკურად და კულტურულად საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო, მართებული იქნებოდა, რომ ქარ-ბელაქანი, მისი დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობას გაეერთიანებინა იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რუსეთის მიერვე დაპყრობილი, ინგილოების სისხლით მოძმე სხვა ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. კერძოდ, იგი უნდა შეერთებოდა თბილისის გუბერნიაში შემავალ სიღნაღის მაზრას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, ცხადია, გარკვეული მოსაზრებით, ყურადღება არ მიაქცია, უგულებელჰყო ზემოთ აღნიშნული გარემოებანი, რის გამოც მაშინ ეს ისტორიული უსამართლობა ქარ-ბელაქანში არ გასწორდა. ყოველივე ამის შედეგად, ეს მხარე და ქართველების მოძმე ინგილოები კვლავ ჩამოშორებულნი რჩებოდნენ საქართველოს და დანარჩენი ქართველებსაგან: მუსლიმანური გარემოცვის წყალობით, მაშინდელი პირობებში ინგილოები სისტემატურ დევნას და შევიწროებას განიცდიდნენ ფანატიკური მუსლიმანური მოსახლეობისაგან და კვლავ გრძელდებოდა მათი გამაჰმადიანების პროცესი.

1863 წელს ქარ-ბელაქანში მომხდარმა ამბოხებამ, რომელმაც, რუსეთის მთავრობის აზრით, მოსახლეობის არაკეთილსაიმედოობა გამოამჟღავნა, დაარწმუნა კავკასიის ადგილობრივი რუსული ხელისუფლება, რომ ზაქათალის ოლქის დაქვემდებარება ისეთი შორეული ადმინისტრაციული ორგანოებისადმი, როგორიც ზემო დაღესტანი იყო, განსაკუთრებით სამხედრო მმართველობის მხრივ, ყოვლად მოუხერხებელი და ნაკლებად ეფექტური იყო. ნათელი გახდა ისიც, რომ აუცილებელი იყო ადგილობრივ მმართველთა ხელისუფლების გაძლიერებაც. ყოველივე ამის გამო, კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1864 წლის 25 აპრილის დებულების საფუძველზე ზაქათალის ოლქის

უფროსის უფლება-მოვალეობანი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, გაიზარდა ადმინისტრაციის შემადგენლობა, ხოლო თვით ოლქი კი ალაზნის მარცხენა ნაპირის ჯარების სარდალს დაექვემდებარა, რომელიც სამოქალაქო გუბერნატორისა და დივიზიის უფროსის უფლებებით სარგებლობდა. ამ თანამდებობის გაუქმების შემდეგ კი ზაქათალის ოლქი დაექვემდებარა მთის ხალხების სამმართველოს უფროსს.

1874 წლის 29 იანვარს დამტკიცდა ზაქათალის ოლქის მმართველობის ახალი დებულება. ამ დებულების თანახმად, ოლქის უფროსის უფლება-მოვალეობანი საგრძნობლად შეიზღუდა – ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ იგი მაზრის უფროსის დონემდე იქნა დაყვანილი, გამონაკლისს მხოლოდ მღელვარებანი და აჯანყებები წარმოადგენდა, როცა მას შეეძლო იარაღის ძალით ემოქმედა, მიუხედავად იმისა, რომ ჯარები მას უშუალოდ აღარ ექვემდებარებოდნენ, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევებში ისინი ვალდებული იყვნენ მისი ბრძანება შეესრულებინათ. გუბერნატორის უფლებები ოლქის მიმართ კავკასიის მთის ხალხების სამმართველოს უფროსს ჰქონდა მინიჭებული, შემდგომში – სამხედრო-სახალხო სამმართველოს უფროსს, ხოლო 1883 წლიდან, როდესაც მოხდა სამხედრო-სახალხო მმართველობის გარდაქმნებს, ზაქათალის ოლქი უშუალოდ კავკასიის მეფისნაცვალს დაექვემდებარა.

XIX ს-ი დასასრულს და XX ს-ის დასაწყისში, როდესაც მთელს კავკასიაში ფართოდ ინერგებოდა სამოქალაქო მმართველობის ფორმები, იმდროინდელი რუსი ადმინისტრატორების აზრით, ზაქათალის ოლქში არსებული სამხედრო-სახალხო მმართველობა და საერთოდ მმართველობის მთელი ორგანიზაცია არ შეესაბამებოდა არსებულ რეალურ ვითარებას, იგი არაადამაკმაყოფილებელი და უვარგისი იყო. ზაქათალის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად დაარსება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრე შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციასთან იყო დაკავშირებული, როდესაც მიუზრდიული მოძრაობა რუსულ მმართველობას მთელ ამ მხარეში დიდ საფრთხეს უქმნიდა, ხოლო ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობა (განასაკუთრებით ავარიელები და ნახურები) ხშირად ჯანყდებოდნენ რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ზემოთ ხსენებულ პერიოდში ზაქათალის ოლქი წარმოადგენდა რუსეთის ჯარების თითქმის მუდმივი სამხედრო მოქმედებების თეატრს, მიმართულს დაღესტნის დასამორჩილებლად. ასეთ პირობებში კი აუცილებელი ხდებოდა შემქნილიყო ადგილობრივი მტკიცე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომლის ხელისუფლებასაც მოსახლეობა ზედამხედველობის ქვეშ ეყოლებოდა. მაგრამ, დროთა ვითარებაში, როდესაც კავკასიაში შინაგანი წესრიგი და მშვიდობიანობა დამყარდა, როგორც ეს 1874 წლის დებულებიდან ჩანს, ზაქათალის ოლქის ადმინისტრაციის უფლებამოსილებანი შემცირდა, თვით ოლქი კი კავკასიის მთავარ მმართველობას დაუქვემდებარდა. მმართველობის სხვადასხვა სფეროში ზაქათალის ოლქი თბილისის გუბერნიის საგუბერნიო დანესებულებებს ემორჩილებოდა. ასეთ ვითარებაში მმართველობის გაორება-გაყოფა სრულიად განსხვავებულ მმართველობის ორგანოებს (თბილისის გუბერნია და კავკასიის მთავარმმართველობა) შორის მეტად არასასურველი ჩანდა და არც პრაქტიკული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. კავკასიის მთავარი სამმართველოს კანცელარიას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ზაქათალის ოლქის მართვა-გამგეობა, არ გააჩნდა ისეთი საშუალებები, რომელთა ძალითაც შესაძლებელი გახდებოდა ოლქის უმეშვეო მმართველობა და ზედამხედველობა. ასეთი საშუალებები საგუბერნიო ხელისუფლების განკარგულებაში იმყოფებოდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუს ადმინისტრატორებს

აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ, რომ ზაქათალის ოლქი რომელიმე გუბერნიას მიერთებოდა.

და აი, XX ს-ის დასაწყისში, კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის წლებში (1905-1915), რუსი ადმინისტრატორების წინაშე, რომელნიც ზაქათალის ოლქის საგუბერნიო მმართველობისადმი დაქვემდებარებას მოითხოვდნენ, დღის წესრიგში დადგა საკითხი – ზაქათალის ოლქი, რომელიც ესაზღვრება დაღესტნის ოლქს და აგრეთვე ორ გუბერნიას, თბილისისას და ელისავეტოპოლისას, გაერკვია, თუ რომელ მათგანთან იყო ეს ოლქი, თავისი ბუნებრივი, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაკავშირებული. ამ საკითხის გარკვევა რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს კოლეგიის მრჩეველს სტრატონოვს დაავალა. ამ უკანასკნელმა თავისი შეხედულება, მოხსენების სახით, კავკასიის მეფისნაცვალს 1909 წლის 2 მარტს წარუდგინა. როდესაც ვეცნობით ამ მოხსენების ძირითად დებულებებს, ნათელი ხდება, თუ რა სწორი ისტორიულ-გეოგრაფიული შეხედულება ჰქონდა იმდროინდელ ზოგიერთ რუს ადმინისტრატორს და გეოგრაფოსს ზაქათალის ოლქის (საინგილოს) შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, სტრატონოვი იმ ადმინისტრატორების შეხედულებებს აბათილებს, რომელნიც ზაქათალის ოლქის დაღესტნის ოლქისადმი გადაცემას ამართლებდნენ. როგორც სტრატონოვი აღნიშნავს, ზაქათალის ოლქი დაღესტნის ზოგადი ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, ცოტა უფრო ადრე, რამოდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე 1864 წლის 25 აპრილის დებულების გამოცემამდე უკვე იმყოფებოდა. სახელდობრ, როდესაც გენერალ-ადიუტანტ შერემეტიევის დროს კავკასიაში სამხედრო-სახალხო მმართველობის რეორგანიზაციის საკითხს იხილავდნენ, კვლავ წამოიჭრა აღნიშნული ოლქის დაღესტნისადმი მიკუთვნება. თანაც ამ მიერთების აუცილებლობა მოტივირებული იყო შემდეგი მოსაზრებებით: მიზეზი, რამაც დაღესტნის ოლქიდან ზაქათალის ოლქის ჩამოშორება და მისი ალაზნის მარცხენა ნაპირის ჯარებისადმი დაქვემდებარება განაპირობა აღარ არსებობდა, და თუ ზაქათალაში კვლავ მოხდებოდა ამბოხება, მაშინ არ დაელოდებოდნენ დაღესტნის ოლქის უფროსის განკარგულებას და ჯარები უახლოესი ადგილებიდან იქნებოდნენ გაგზავნილნი; ტერიტორიულობის თვალსაზრისითაც, ეს შეერთება არავითარ განსაკუთრებულ დაბრკოლებებს არ შეხვდებოდა; და ბოლოს, ამ ორი მხარის მოსახლეობას შორის არსებობდა ნათესაური და ეკონომიკური კავშირები და აგრეთვე მუდმივი ურთიერთობა. სტრატონოვი არ ეთანხმება ზემო ხსენებულ მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანი არასაკმარისია, ხოლო ნაწილი კი საერთოდ არ შეესაბამება სინამდვილეს. ზაქათალის ოლქის მიერთება დაღესტანთან მეტად სერიოზული ღონისძიებაა და მისი გამართლება ისეთი წმინდა უარყოფითი პირობით, როგორიცაა სამხედრო ხასიათის დაბრკოლებების არარსებობა, სრულიად უაზროა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად საჭიროა უფრო დადებითი მოტივების მოხმობა, ასეთები კი, სტრატონოვის აზრით, არ არსებობს.

როგორც სტრატონოვი თავის მოხსენებაში მიუთითებს, ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით, ზაქათალის ოლქი სავსებით მონყვეტილია დაღესტნისაგან. პირდაპირი და უშუალო საურმე გზა მათ შორის არ არსებობს. საცხენოსნო მიმოსვლა ამ მხარეებს შორის უსაფრთხო იყო მხოლოდ წელიწადის 4-5 თვის განმავლობაში, დანარჩენ დროს კი დაღესტნის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში მოსახვედრად

საჭირო იყო ნუხის, ევლახის, ბაქოს, პეტროვსკის და თვით თბილისისა და ვლადიკავკაზის გავლითაც კი ემგზავრათ, ყოველივე აქედან გამომდინარე, დალესტინის საოლქო მმართველობის ხელმძღვანელობა მოკლებული იქნება შესაძლებლობას, რომ რაიმე არსებითი ზედამხედველობა გაუწიოს ზაქათალის ოლქს, ხოლო ამ უკანასკნელის მცხოვრებთ კი მოუწევთ დიდძალი ხარჯის გაღება საქმესთან დაკავშირებული მგზავრობისათვის. ამიტომაც – დაასკვნის სტრატონოვი – ზაქათალის ოლქის დაქვემდებარება ერთობ შორეული დალესტინის ადმინისტრაციისადმი მიგვიყვანს მხოლოდ უარყოფით შედეგებამდე.

სტრატონოვის შეხედულებით, ზაქათალის ოლქის დალესტანთან მიერთების მომხრეთა მიერ წამოყენებული არგუმენტაცია ამ მხარეებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირებისა და მუდმივი ურთიერთობის შესახებ ერთობ გადაჭარბებულია და ხელოვნურად გამოიყურება. სავაჭრო ბრუნვა ამ ორ რაიონს შორის თითქმის არ არსებობს, რაც სამიმოსვლო გზების არარსებობით და განსხვავებული კლიმატური პირობებით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება ამ ორი მხარის მცხოვრებთა მუდმივ ურთიერთობას, სტრატონოვის აზრით, იგი გამოიხატებოდა იმაში, რომ ყოველწლიურად, შემოდგომაზე და ზამთარში, დალესტინის მთებიდან ჩამოდოდნენ მეცხვარეები თავიანთი საქონლის გამოსაზამთრებლად ზაქათალის დაბლობზე არსებულ საძოვრებზე და ზაფხულის დადგომისთანავე უკანვე ბრუნდებოდნენ დალესტინის ოლქში.

რაც შეეხება ნათესაურ ურთიერთობებს დალესტინელებს და ზაქათალელებს შორის, სტრატონოვის აზრით, ისიც ძალზე შეზღუდული იყო და მათ განვითარებას სრულიადაც არ უწყობდა ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა. ზაქათალის ოლქის მოსახლეობა შედგებოდა სამი ეროვნებისაგან: ქვეყნის აბორიგენები – ქართველები, დამპყრობლები – ლეკები და თათრული წარმოშობის კოლონისტები – მულალები. ყველა ეს ეროვნება გათიშულნი არიან ერთმანეთისაგან ეროვნული ტრადიციებით და ერთმანეთში შერწყმას ერიდებიან, განსაკუთრებით ლეკები, რომელნიც მთელი მოსახლეობის 1/3 შეადგენდნენ. ოლქის მცხოვრებთა ენა, გარდა საოჯახო ქართულისა და ლეკურისა (აქაურულ-ზახურული – თ. პ.) აზერბაიჯანულია; დამწერლობაც აგრეთვე ამ ენაზეა. საოჯახო ენები თანდათანობით ადგილს უთმობენ საერთო ენას (ე. ი. აზერბაიჯანულს – თ. პ.). არსებობენ მთელი რიგი ლეკური და ქართული სოფლები, რომელთაც დავინყებულნი აქვთ მშობლიური ენები. დალესტინის ოლქის იმ რაიონებში, რომელნიც ზაქათალის ოლქს ესაზღვრებიან, მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, პირნმინდად ლეკურია, საუბრობენ ლეკურ კილოკავზე და აზერბაიჯანული ენა ან სულ არ იციან, ანდა თუ იციან, ძალიან ცუდად. ზემოთ მოტანილი ვითარებებიდან გამომდინარე, სტრატონოვი საბოლოოდ დაასკვნის, რომ ზაქათალის ოლქის შეერთებას დალესტინის ოლქთან არ გააჩნია არავითარი პრაქტიკული საფუძვლები.

როდესაც ვეცნობით კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს კოლეგიის მრჩეველის სტრატონოვის მოხსენების ძირითად დებულებებს, ნათელი ხდება, თუ რა სწორი ისტორიულ-გეოგრაფიული შეხედულება ჰქონდათ იმდროინდელ ზოგიერთ რუს ადმინისტრატორებს და გეოგრაფოსებს ზაქათალის ოლქის (საინგილოს) შესახებ. სტრატონოვის მიერ მოტანილი არგუმენტები (ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ადმინისტრაციული და სხვ.), რომელნიც უარყოფენ ზაქათალის ოლქის დალესტანთან მიერთებას,

სწორია და დამაჯერებელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ის არგუმენტები, რომელნიც ეთნოგრაფიული თვალსაზრისის პოზიციებიდან გამომდინარეობენ. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ დაღესტნის მოსახლეობის შემადგენლობას. როგორც ცნობილია, მოსახლეობის შემადგენლობის მხრივ, დაღესტანი იყოფოდა ორ ნაწილად: დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეები. დასავლეთი ნაწილი მოიცავდა შემდეგ ოკრუგებს: ანდიის, ავარიის, გუნიბის და ყაზი-ყუმუხის, რომელთა მოსახლეობა სულ ერთიანად ლეკური იყო. აღმოსავლეთ ნაწილში შედიოდა დანარჩენი ხუთი ოკრუგი: თემირ-ხან-შურის, დარგინის, ყაიტალ-ტაბასარანის, კიურინის და სამურის. აქაური მოსახლეობა შერეული იყო და შედგებოდა: ლეკებისაგან, კუმუკებისაგან, აზერბაიჯანელებისაგან (თათრები), თათებისაგან, ჩეჩნებისაგან და სხვ. ცხადი ხდება, რომ ჩამოთვლილი ხალხების არც წარსული და არც იმჟამად (XX ს-ის დასაწყისი) არსებული რეალობა არაფერს გვეუბნება ზაქათალის ოლქის დაღესტანთან შეერთების სასარგებლოდ.

ასეთსავე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა სტრატონოვი ზაქათალის ოლქის ელისავეტოპოლის გუბერნიის შემადგენლობაში შესაძლებელ შესვლასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ამ მხარის არც წარსული და არც იმჟამად არსებული რეალობა ასეთი შეერთების სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა. ზაქათალის ოლქი არასოდეს იყო გაერთიანებული ელისავეტოპოლის გუბერნიასთან და მასთან არავითარი ეკონომიკური და ბუნებრივი პირობებით არ იყო დაკავშირებული. ზაქათალის ოლქს, თავის ახლანდელ საზღვრებში, ელისავეტოპოლის გუბერნიის დასახლებული რაიონებისაგან, საზღვროს: ლიდ მოხაკვეთზე, უწყლო და უკაცრიელი ველები მიჯნავდა.

უმუალო კავშირი ზაქათალის ოლქს დამყარებული ჰქონდა გუბერნიის მხოლოდ ერთ მახრასთან – ნუხასთან, რომლის საშუალებითაც იგი მთელ თავის ალებ-მიცემობას აწარმოებდა ელისავეტოპოლის გუბერნიასთან. მაგრამ ეს ეკონომიკური კავშირიც უმეტესად ზედაპირულ ხასიათს ატარებდა: ზაქათალის ოლქის ძირითადი ექსპორტი – თხილი და კაკალი, მიემართებოდა ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის საშუალებით, ბალაჯარისა და ბაქოს გავლით რუსეთის შიდა გუბერნიებში, ასე რომ, ელისავეტოპოლის გუბერნიის ეკონომიკური მნიშვნელობა ზაქათალის ოლქისათვის გამოიხატებოდა მხოლოდ მისი საძიმოსელო გზებით, როგორც სატრანზიტო საშუალება.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც ამ ორ ერთეულს შორის არ შეიმჩნეოდა ერთობა, ვინაიდან მულალები – თათრები, რომელნიც ამიერკავკასიის თათრული პროვინციებიდან იყვნენ გამოსულები, შეადგენდნენ ზაქათალის ოლქის მთელი მოსახლეობის 1/3-ს, ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილს – ქართველებსა და ლეკებს თავიანთი წარმოშობით არავითარი საერთო არა აქვთ ელისავეტოპოლის გუბერნიის მოსახლეობასთან. ერთადერთი, რაც გუბერნიის მოსახლეობას ზაქათალის ოლქთან აკავშირებდა, ეს იყო ერთი სასაუბრო ენა, მაგრამ ეს გარემოება, სხვა უარყოფითი პირობების გათვალისწინებით, არავითარ შემთხვევაში არ იძლეოდა საკმარის საფუძველს ასეთი სერიოზული ადმინისტრაციული რეფორმის გატარებისათვის. სტრატონოვის მიერ მოხმობილი ფაქტები ზაქათალის ოლქის ელისავეტოპოლის გუბერნიის შემადგენლობაში შესვლის საწინააღმდეგოდ, ერთობ დამაჯერებელი და ანგარიშგასაწივეი ჩანდა. ეს გარემოება უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ თვით ელისავეტოპოლის გუბერნიის შექმნის ისტორიას და მისი მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას.

როგორც ცნობილია, ელისავეტოპოლის გუბერნია შეიქმნა 1868 წელს ყოფილი სახანოების: განჯის, ყარაბაღის და შექის და აგრეთვე სამუხისა და შამშადილის სამულალოების ბაზაზე. იგი იყოფოდა რვა მაზრად: ელისავეტოპოლის, არემის, ნუხის, ყაზახის, ჯევანშირის, ჯებრაილის, ზანგეზურის და შუშის. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1886 წლის მონაცემებით ასე გამოიყურებოდა: მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა ორი ეროვნება: აზერბაიჯანელი თათრები (55,96%) და სომხები (35,43%), შემდეგ მოდიან ქურთები, რუსები, უდინები, თათები და სხვ. ამრიგად, ელისავეტოპოლის გუბერნიის შექმნის ისტორიისა და მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება, რომ ხსენებული ხალხების არც წარსული და არც ამჟამად (XX ს-ის დასაწყისი) დაფიქსირებული რელაური ვითარება სრულიად არაფერს ლაპარაკობს ზაქათალის ოლქის ელისავეტოპოლის გუბერნიაში შესვლის სასარგებლოდ.

სტრატონოვის შეხედულებით, მის მიერ ზემოთ მოტანილი არგუმენტების (ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ადმინისტრაციული და სხვ.) გათვალისწინებით, ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში ზაქათალის ოლქის მიმართ იმყოფებოდა თბილისის გუბერნია, ვიდრე ელისავეტოპოლის გუბერნია და დაღესტნის ოლქი. ზაქათალის ოლქი თბილისთან და გუბერნიის უახლოეს რაიონებთან მოხერხებული გზებით იყო დაკავშირებული, რომელთა საშუალებითაც მათ შორის გაცხოველებული საქონელბრუნვა წარმოებდა. კახეთის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ ზაქათალის ოლქი კიდევ უფრო დაუახლოვდებოდა თბილისს და ზაქათალის შემოსაღანი და გასაღანი საქონლის დიდი ნაწილი თბილისის მხრით წარმართებოდა. ოლქის მოსახლეობას ისტორიულად ოდითგანვე და ახლაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა თბილისის გუბერნიის მეზობელ რაიონებთან და მის ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან, ასე რომ, დაასკვნის სრატონოვი, ზაქათალის ოლქის თბილისის გუბერნიაში შესვლა არ გამოიწვევს არავითარ გადატრიალებას და არ შექმნის რაიმე უხერხულობას არსებული წესების მიმართ.

უკვე ახლაც, განაგრძობს სტრატონოვი, საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელნიც თავს იჩენენ ოლქში, განიხილება თბილისში და მის საგუბერნიო დაწესებულებებში. ოლქის ადმინისტრაციას და მის მოსახლეობას მუდმივი ურთიერთობა აქვს დამყარებული კავკასიის მხარის მთავარი უფროსის მმართველობასთან. ზაქათალის ოლქი სასამართლო წარმოების მხრივაც, იმთავითვე, მას შემდეგ, რაც მასში მოქმედება დაიწყეს სასამართლო დაწესებულებებმა იმპერატორ ალექსანდრე II-ის წესდების მიხედვით, შედის თბილისის სამხარეო სასამართლოში, ფინანსიური მმართველობის და აგრეთვე სახალხო განათლების თვალსაზრისითაც ოლქი ექვემდებარება თბილისის სახაზინო პალატას და სახალხო სასწავლებლების თბილისის დირექციას. ოლქის საგზაო-ტექნიკური ნაწილის გამგეობაც ასევე თავმოყრილია თბილისის საგუბერნიო მმართველობის სააღმშენებლო განყოფილებაში. ამგვარი დაქვემდებარების მრავალწლიან გამოცდილებას მმართველობის მთელი რიგი დარგებისა თბილისის გუბერნიის მიმართ, რაიმე არასასურველი შედეგი არ გამოუღია. თუმცა, სტრატონოვი არ გამორიცხავს ზოგიერთი დაბრკოლების არსებობასაც, რომელნიც ერთგვარად ხელს უშლიან თბილისის გუბერნიასთან ზაქათალის ოლქის გაერთიანებას. ასეთად მას მიაჩნია ამ ორ ერთეულში მოქმედ ადმინისტრაციულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება: თბილისის გუბერნიაში მოქმედებს საერთო საგუბერნიო დაწესებულებები, ხოლო ზაქათალის ოლქში კი არსებობს სამხედრო-სახალხო

მმართველობა მეტ-ნაკლებად წმინდა სახით. მაგრამ ეს განსხვავება, თუ მას ღრმად ჩავწვდებით, კარგავს არსებითი დაბრკოლების მნიშვნელობას ზაქათალის ოლქში დასახული გარდაქმნების ჩატარებისათვის. სამხედრო-სახალხო სისტემის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ცნობილია, ზაქათალის ოლქში არსებობენ სახალხო სასამართლოები, რომელნიც მოქმედებენ ადათობრივი სამართლის საფუძველზე. მაგრამ ამჟამად, ზაქათალის ოლქის მოსახლეობა საკმარისად მზად არის იმისათვის, რომ დაემორჩილო საერთო სასამართლო დადგენილებების იურისდიქციას, რომელიც შემუშავებულია თვით იმპერატორ ალექსანდრე II-ის წესდების საფუძველზე. ზაქათალის ოლქში ამჟამად სინყნარე და სიმშვიდე სუფევს, იგი აღარ წარმოადგენს ამიერკავკასიის ნახევრად ველურ კუთხეს, რომელიც მოითხოვდეს რაღაც განსაკუთრებულ საკანონმდებლო წესების შემოღებას. ოლქის მოსახლეობამ მნიშვნელოვანწილად უკვე მიაღწია სამოქალაქო განვითარების გარკვეულ ეტაპს, რაც საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ისინი გათანაბრებულ იქნენ ამიერკავკასიის იმ რაიონებთან, სადაც უკვე დიდი ხანია შემოღებულია სამოქალაქო მმართველობა. ასე რომ, დაასკვნის საბოლოოდ სტრატეგოი, ზაქათალის ოლქის თბილისის გუბერნიასთან გაერთიანება და მის შემადგენლობაში შესვლა დაგვირგვინება იქნება დიდი ხნის წინათ დაწყებული იმ პროცესისა, რომელიც ნაკარნახევი იყო პრაქტიკული გარემოებებით. მით უმეტეს, რომ ამჟამად დღის წესრიგში დგას ასეთი გაერთიანებისა და შერწყმის ანალოგიური პრეცედენტი სოხუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის მაგალითზე³.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისისათვის რუსი გეოგრაფოსები და ადმინისტრატორები ზაქათალის ოლქს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც თბილისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ.

სწორედ ზემოთ მოტანილმა გარემოებებმა უკარნახა რუს მოხელეს, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს კოლეგიის მრჩეველს, სტრატეგოსს, რომ ზაქათალის ოლქის თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შესვლის საკითხი დაეყენებინა. მაგრამ საკითხი საკითხად დარჩა და მას პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია. საქართველოს ორგანული ნაწილი, ალაზნის ველის ბუნებრივი გაგრძელება საინგილო თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში არ შესულა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით, თბილისის გუბერნიის სასაზღვრო ხაზი კვლავ ზაქათალის ოლქით იყო განყვეტილი, ვინაიდან იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო და თბილისის გუბერნიის ფარგლებში არ შემოდიოდა.

1912-1913 წლებში ზაქათალის ოლქში გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი მოქმედელ ინგილო გლეხების ლექთა საადგილმამულო დამოკიდებულებისგან განთავისუფლების მიზნით.

1912 წლის 26 აპრილს გამოქვეყნდა ე. წ. „განმარტებითი ბარათი“ ჭარ-ბელაქანში და ელისუს სასულთნოში მოქმედელ გლეხებსა და ქეშქელისმფლობელთა და ბეგთა შორის არსებული საადგილმამულო დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ. მასში დანერვილებით იყო ახსნილი ჭარ-ბელაქანის ლექთა თავისუფალი თემების მფლობელობაში

³ სცსსა, ფ. 13, აღწ. 3, საქ. 789, ფურც. 18-25.

მყოფი 31 საქემქელო სოფლის მცხოვრებთა და ელისუს სასულთნოში ბეგთა მფლობელობაში არსებული 16 საქემქელო სოფლის მცხოვრებთა (რაიათების) საქემქელო ვალდებულებანი. განმარტებული იყო „ქემქელის“ არსი. მასში დასკვნის სახით კი აღნიშნული იყო, რომ, ვინაიდან რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ქვეყანაში ბატონყმობა უკვე დიდი ხანია გაუქმებულია, საქემქელო დამოკიდებულების არსებობა ზაქათალის ოლქში ყოველად დაუშვებელია, იგი ერთგვარ ანაქრონიზმს წარმოადგენს. „განმარტებით ბარათში“ მოცემული იყო აგრეთვე რიცხობრივი მაჩვენებლები ზაქათალის ოლქში ქემქელის მფლობელთა და ქემქელის გადამხდელთა რაოდენობისა. 1908 წლის მონაცემების მიხედვით, ეს რიცხობრივი მაჩვენებლები ასე გამოიყურება: ქემქელის მფლობელები – 800 კაცი, ქემქელის გადამხდელები – 3. 500 კაცი⁴. ზემოთ ხსენებული „განმარტებითი ბარათის“ საფუძველზე შემუშავებული იქნა კანონპროექტი „ზაქათალის ოლქში მოქემქელე გლეხებსა და ქემქელისმფლობელთა და ბეგთა შორის არსებული საადგილმამულო დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წლის 7 ივლისს. ძირითადი დებულებები ამ კანონისა მდგომარეობს შემდგომში:

1. ზაქათალის ოლქში ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებაში მყოფი ყველა კატეგორიის მოქემქელე გლეხი 1913 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და ვალდებულებისაგან, რომელსაც ისინი იხდიდნენ ქემქელისმფლობელთა და ბეგების სასარგებლოდ.

2. ქემქელისმფლობელები და ბეგები ცალკეულ საქემქელო სოფლებში გაუქმებული გადასახადებისა და ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან იღებდნენ ფულად გასამრჯელოს 284968 მან. და 60 კაპიკის რაოდენობით.

3. აღნიშნული ფულადი გასამრჯელოს თანხა გადანაწილებულ იქნა ცალკეულ საქემქელო სოფელზე, რომელთაც ოცი წლის განმავლობაში ყოველწლიური თანაბარი შენატანების სახით სახელმწიფო ხაზინაში უნდა დაეფარათ დასახელებული თანხა. დაფარვის დაწყების ვადად გამოცხადებული იქნა 1913 წლის 1 იანვარი.

კანონს თან ახლდა ზაქათალის ოლქში შემავალი 47 საქემქელო სოფლის მიერ ქემქელისმფლობელებისა და ბეგებისათვის გაუქმებული გადასახადების სანაცვლოდ გასაცემი ფულადი გასამრჯელო თანხის რაოდენობის განრიგი.

სოფლის სახელწოდება	სახელმწიფო ხაზინიდან ქემქელისმფლობელებისა და ბეგებისათვის გასაცემი ფულადი გასამრჯელო თანხის რაოდენობა. მანეთი კაპიკი
1. ითითალა	12.001-55
2. ალიაბადი	44.078-87
3. ბეიუკ-ლაიჯი	948-25
4. ვერხვიანი	30.004-56
5. ჰენგიანი	6.120
6. ზაგამი	12. 834-25
7. ყანდახი	8.710-12
8. ყაპანახჩი	6.987-75
9. კარაბალდური	4.012-50

⁴ Выписка из объяснительной записки (изложение дело) «О прекращении зависимых отношений поселян к бскам и кешкелевладельцам в Дагестанской области и Закатальском округе», 16 апреля 1912 г., № 8501, об., Центральный Государственный архив Дагестанской АР, ф. 90, оп. 1, сд. хр. 63, лл. 24-25.

10. ქიჩიკ-ლაიჯი	7.722-75
11. კუმური	3.370-50
12. კურდამიური	3.360
13. ყინდირგალო	2.303-50
14. ლიალიალო	7.759-96
15. ლალა-ფაშა	3.420
16. მარსანი	1.978-52
17. მოსული	22.186-34
18. მულანლო	8.380-10
19. ფადარი	135
20. თასმალო	5.765-75
21. ფაღდარლო	3.972-15
22. ჩობანქოლი	3.430
23. ჩუდულო	2.460
24. კახ-ინგილო და კახ-მულალი	3.003-50
25. ბაბალო	1.592-33
26. შოთავარი	4.051-91
27. ყორალანი (მუსლიმანური და ინგილოური)	4.458-25
28. ამირჯანლო	1.500
29. დეგმადეგელდი (ყოფილი საქეშქელო)	1.350
30. დეგმადეგელდი (ყოფილი რაიათული)	1.995-12
31. ჯალაირი	1.350
32. ფისტუხლო	1.185
33. ალმალო	18.681-10
34. კაზმალიარი	4.130-50
35. კაისარლო	3.303-33
36. ონჯალო	4.259
37. ბაზარ-თალა	715-50
38. ბახთალა	3.333-86
39. ალი-სულთან ქეთუქლო	1.994-83
40. ყარა-თალა	1.905
41. ყიფჩალი	9.018-10
42. შიხლარი	5.720-10
43. ამანლო	1.808
44. იბახლო	3.900
45. უზუნ-თალა	2.376
46. სუსკენტი	675
47. ბაიდარლო	5.724-75
	სულ 284.968-60 ⁵

1913 წლის 7 ივლისის კანონთან ერთად გამოქვეყნდა წესები ზაქათალის ოლქში გლეხებსა (ინგილო, მულალი) და ქეშქელის მფლობელთა და ბეგებს შორის არსებული საადგილმამულო დამოკიდებულების სავალდებულო შეწყვეტის შესახებ. მასში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ 1913 წლის 1 იანვრიდან ყველა კატეგორიის გლეხი ნატურალური და ფულადი გადასახადის სანაცვლოდ ქეშქელისმფლობელთა და ბეგების სასარგებლოდ გადაიხდის გამოსასყიდ ფულად გადასახადს და ამიერიდან ისინი თავი-

⁵ Высочайше утвержденный 7 июля 1913 г. Закон о прекращении зависимых отношении поселян Дагестанской области и Закатальского округа к бекам и кешкслевладельцам, Центральный Государственный Архив Дагестанской АР, ф-72, оп. 1, дело № 11, лл. 4-7.

სუფლდებიან მათი საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან. ამ წესებს ხელს აწერდა კავკასიის მეფისნაცვალს, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი⁶.

ზაქათალის ოლქში 1912-1913 წწ. რეფორმების ჩატარება და სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ მართვაზე მეთვალყურეობა ეკისრებოდა 1913 წ. 1 სექტემბერს ახლად შემოღებულ თანამდებობის პირს – მომრიგებელ შუამავალს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1913 წ. 7 ივლისის კანონი იურიდიული თვალსაზრისით მთლიანად ვერ იყო გამართული და დახვეწილი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მოქმედებულ გლეხების ლეკთა საადგილმამულო დამოკიდებულებისგან განთავისუფლება იწყებოდა 1913 წლის 1 იანვრიდან, ხოლო თვით კანონი კი გამოიცა მხოლოდ ამავე წლის ივლისის თვეში. ამის გამო ქმშქელისმფლობელებს და ბეგებს წინადადება მიეცათ ნებაყოფლობით აენაზლაურებიანთ გლეხებისათვის არასწორად მიღებული შემოსავალი. უმაღლეს ინსტანციას ამ რეფორმებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად წარმოადგენდა თბილისის გუბერნიაში არსებული საგლეხო საქმეთა სპეციალური დანესებულება.

⁶ Правила об обязательном прекращении зависимых отношении поселян к бекам и кешкелевладельцам Дагестанской области и Закатальского округа. Центральный Государственный Архив Дагестанской АР, ф. 90, оп. 1, ед. хр. 63, лл. 48-51.

საინფორმაციო 1917-1921 წწ.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებით არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა. ოზაკომის თავმჯდომარედ დანიშნა კადეტი ვ. ხარლამოვი, ოზაკომის ქართველი წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, რომელიც იმხანად უკვე ავადმყოფობდა და მალე გარდაიცვალა; კიტა აბაშიძის ნაცვლად ოზაკომის წევრი გახდა სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. ოზაკომი თბილისში პრაქტიკულად მოღვაწეობას შეუდგა 1917 წლის 18 მარტს.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ თბილისში ფუნქციონირებდა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები: თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო (თავმჯდომარე ნოე ყორდანი), ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე ნოე ყორდანი) და რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭო (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი).

თბილისში 1917 წლის აპრილის დამდეგიდან ფუნქციონირებას იწყებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). როგორც ჩანს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იდგა.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი დროებითი მთავრობა. საქართველოს სამივე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ: სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა – არ ცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ბოლშევიკური რეჟიმი ასევე არ სცნეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ ცნო არც რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ და არც კავკასიის არმიის სარდლობამ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – ოზაკომმა. ამავე დროს ცხადი იყო ყველასათვის, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას ამიერკავკასიაზეც. ასეთ პირობებში, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ამიერკავკასიაში ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით გადაიდგა. 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სა-

განგებო თათბირი, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიაში დროებითი მთავრობის შექმნის საკითხი. თათბირმა უარი თქვა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობაზე და მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის შესახებ. ოთხი დღის შემდეგ, 15 ნოემბერს გაფორმდა სამხარეო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი, ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. ეს იყო პირველი შემთხვევა ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში, როცა მათ ამიერკავკასიის საზღვრებში შექმნეს სრული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების მქონე, საკუთარი, რუსეთის დიქტატისაგან დამოუკიდებელი მთავრობა. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რუსეთის ყოფილი კოლონიური გუბერნიების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გაფორმების გზაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელმაც კიდევ უფრო დააჩქარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიული განმტკიცებისა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გაფორმების პროცესი, იყო ეროვნული ყრილობა, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიმართა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში. ყრილობამ უკანასკნელ სხდომაზე, 23 ნოემბერს, აირჩია ეროვნული საბჭო, რომელსაც ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობდა. საბჭოს დაეკისრა საქართველოს ეროვნული საქმეების ხელმძღვანელობა. საქართველოს ეროვნული საბჭოს და სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიური საბჭოების მუშაობის კოორდინირებას ახორციელებდა ამიერკავკასიის კომისარიატის პარალელური ორგანო – ამიერკავკასიის ერთაშორისი ურთიერთობის საბჭო.

მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაფორმებისათვის ბრძოლის გზაზე გადაიდგა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატების კრებაზე, რომელიც 1918 წლის 22 იანვარს გაიმართა. კრებამ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის სეიმის შექმნისა და მისთვის ადგილობრივი ძალაუფლების გადაცემის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე, 10 თებერვალს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც სეიმის თავმჯდომარედ აირჩია ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. სეიმის ამ კრებამ გადაწყვიტა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო სეიმის გაფართოებულმა სხდომამ 9 აპრილს. დღის წესრიგის ამ მთავარ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“¹. 13 აპრილის სხდომაზე სეიმმა დაამტკიცა ამიერკავკასიის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელსაც ა. ჩხენკელი თავმჯდომარეობდა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მალე მოინონა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ამრიერკავკასიის სამხარეო ცენტრმა. ასე შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა თავისი საკუთა-

¹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси, 1990, стр. 221.

რი, რუსეთის დიქტატისაგან დამოუკიდებელი მთავრობით. ხელისუფლების ასეთი ორგანოს შექმნა პირველი იყო ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში.

მაგრამ, ამიერკავკასიის სეიმს, ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მის მთავრობას არ ენერათ დიდი ხნით არსებობა. საქმე ის იყო, რომ ამ პერიოდის საქართველოში შექმნილმა უკიდურესობამდე გამწვავებულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ მალე დააყენეს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ხელმძღვანელი სამხარეო ორგანოების გაუქმების საკითხი. მართლაც, ამიერკავკასიის სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. ამასთან ერთად, სეიმმა მოიხსნა უფლებამოსილება: სეიმის დაშლის დღესვე გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება, რომელმაც ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ამ აქტის ძირითადი დებულების მიხედვით, ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელი ხდებოდა და საქართველო სრულუფლებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა კი დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის ახალ ისტორიაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (1918-1921) მხოლოდ არასრული სამი წელი იარსება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რესტიტუციის ფაქტს მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აი, ასეთი იყო 1917-1921 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სახე, რომლის ფონზედაც განიხილებოდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა აზროვნებაში ზაქათალის ოლქის (საინგილოს) საკითხი.

ზაქათალის ოლქის ტერიტორიული კუთვნილებისა და ამ საკითხისადმი ქართველ პოლიტიკოსთა პოზიციასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველი კრება (1917 წლის 1 აპრილი). აღნიშნული კრების მსჯელობის ძირითად საგანს საქართველოს ტერიტორიის საკითხი წარმოადგენდა. ამ კრებაზე საქართველოს ტერიტორიის შესახებ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ძირითადად შეთანხმდნენ – ზოგადად განისაზღვრა საქართველოს საზღვრები, თუმცა მისი ყველა ნაწილი ჩამოთვლილი და განსაზღვრული არ ყოფილა. საქართველოს ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო: უდავო და სადავო ტერიტორია. უდავოდ მიჩნეული იქნა ის ტერიტორია, „სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს, ქართველთა რეალური მოსახლეობაა“. რაც შეეხება სადავო ტერიტორიას, კრების მასალების მიხედვით, მასში ის პერიფერიები და განაპირა რაიონები იგულისხმებოდა, სადაც ქართველობა მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა და უმრავლესობის (არაქართველების) სურვილი, თუ საით მოისურვებდნენ წასვლას, გაურკვეველი იყო. კრებამ აზრი გამოთქვა საქართველოს სადავო ტერიტორიის საკითხის გადაჭრის თაობაზე: „ამნაირად, სადავო ტერიტორიის ბედი საბოლოოდ გადაჭრილი არაა. ამ ტერიტორიის საზღვრებში საქმე უნდა გადაწყდეს ადგილობრივი ხალხის შეკითხვით და რეფერენდუმით“². როგორც ვხედავთ, კრების მონაწილენი ტერიტორიის საკითხს

² ცხსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 2-3.

წყვეტდნენ არა ისტორიულ კუთვნილებაზე დაფუძნებით, არამედ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით. ამკარად ჩანდა, რომ დასმული პრობლემისადმი ასეთი პრინციპით მიდგომა, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილის ქართველი ერისადმი კუთვნილებას კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა. აქედან გამომდინარე, ამ ფორმის პრაქტიკაში დანერგვას და მასზე დაყრდნობით ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტას, ნებისმიერი პარტია და პოლიტიკური მოღვაწე, ადვილად შეიძლებოდა ეროვნული დანაშაულის ქმედებამდე მიეყვანა. აუცილებლობა სულ სხვა მოდუსის გამოძებნასა და პრაქტიკულ სინამდვილესთან შესაბამისობაში მის მისადაგებას მოითხოვდა. მაგრამ, რა პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას? ვფიქრობთ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს ე. წ. სადავო ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა-არშესვლის საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის გზა აირჩია. გარდა ამისა, შეცდომა იყო თვით საქართველოს ტერიტორიის ორ ნაწილად – უდავო და სადავო ტერიტორიად გაყოფა. საქართველოს – ანუ ქვეყანას, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, საზღვრების დადგენისას – ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველ კრებას ისტორიული პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – საქართველოს საზღვრებად მიეჩნია ის საზღვრები, რომლებიც არსებობდა სამეფო-სამთავროებად დაშლამდე – XV ს-ის მეორე ნახევრამდე. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის დაცვას თავისი სირთულეები ჰქონდა, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ასამოქმედებელი იყო. არსებობდა საქართველოს საზღვრების დადგენის მეორე პრინციპიც – საფუძვლად რუსული ადმინისტრაციული დაყოფის მიღება; საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩათვლილიყო ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა თბილისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული ზაქათალის ოკრუგის, ქუთაისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგის და ბათუმის ოლქის სახით, აგრეთვე ყარსისა და არტაანის ოლქების სახით. ორსავე შემთხვევაში საქართველო არცერთი სხვა ხალხის ინტერესებს არ შელახავდა – ქართველ ერს პრეტენზია მხოლოდ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ექნებოდა. ამის სანინააღმდეგოდ, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ საქართველოს ტერიტორია, როგორც ითქვა, უდავო და სადავო ნაწილებად დაჰყო, რითაც არაქართველ მოსახლეობას ფაქტობრივად, სეპარატიზმისაკენ უბიძგებდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. როდესაც ვეცნობით საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებისა და კანდიდატების სიას, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეროვნული საბჭოს წევრთა შორის ჩვენ ვხედავთ ზაქათალის ოლქის (საინგილოს) წარმომადგენელს (1 კაცი) – ივანიცკი – ინგილო რაფიელ ალექსანდრეს ძე (1886-1966)³. იგი წარმოშობით საინგილოს სოფელ კახიდან იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწე თელავის სასულიერო სასწავლებ-

³ ცსსა, ფ. 1836, აღნ. 1, საქ. 124, ფურც. 5-7.

ლისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იურისტად და ყოველთვის მხურვალედ იცავდა თავისი მშობლიური კუთხის (საინგილოს) მოსახლეობის ინტერესებს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 9 მაისის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ტერიტორიული გადამიჯვნის საკითხი. ამ საკითხის შესახებ ეროვნულმა საბჭომ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის მოხსენება. როგორც მან აღნიშნა, შეიქმნა კომისია სამი წევრის – შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის, განათლების მინისტრის, უსუბეკოვის და სასურსათო მინისტრის, სააკიანის შემადგენლობით. ნ. რამიშვილმა, როგორც თავმჯდომარემ, მოიწვია სამ-სამი პირი თითოეული ეროვნული საბჭოებიდან. საქართველოს ეროვნული საბჭოს მხრიდან კომისიაში იყვნენ: ალ. მდივანი, დ. ონიაშვილი და პ. ინგოროყვა. სომხებისაგან მოწვეული იქნა მარტო ერთი პარტიის წარმომადგენელი – დაშნაკელი, რაც შეეხებოდა მაჰმადიანებს, მათ ჰყავდათ ერთი მუსავათელი, ერთი სოც. დემოკრატი და ორი სოციალისტური ბლოკისა. კომისიამ გამოთქვა საერთო აზრი და სურვილი, რომ საჭიროა ყველას ჰქონდეს ერთი მჭიდროდ შემოფარგლული ტერიტორიული ერთეული. რამდენად შესაძლებელი იყო ამის ცხოვრებაში განხორციელება, ამას დაანახევებდა ის მცირე კომისია, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს მხრიდან კომისიაში იყო ალ. მდივანი, თათრებისგან შეიხულ-ისლამოვი (ს. დ.) და სომხებისგან გ. ხატისოვი. ამ მცირე კომისიას ევალეობდა შეემუშავებინა და წარედგინა დიდ კომისიაში თავისი პროექტები, ხოლო ეროვნულ საბჭოსთან უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა თავის პროექტს და საბჭოს წარმომადგენელნი კი იქ, კომისიაში, ერთხმად დაიცავდნენ მას. ამის შემდეგ ნ. რამიშვილი აღნიშნავდა: „კომისია, ჩემი თავმჯდომარეობით რომ არის, უკამათოდ აღიარებს მას, რომ ბაქოს გუბერნია არის აზერბაიჯანი, ქუთაისისა – საქართველო. დანარჩენი გუბერნიები კამათს და დავას იწვევენ. განსაკუთრებით გასამიჯვნია სომეხ-თათართა ტერიტორია, გამოირკვა, რომ რამდენიმეს ორივენი დასთმობდნენ. სომხის ტერიტორიის შექმნისათვის კამათს არ იწვევს გუმბრის მაზრა მთლად, ყაზახის ერთი ნაწილი, აგრეთვე ეჩმიაძინისა და ერევნის მაზრების ნაწილები, დანარჩენი კი დავას იწვევენ...“, მიხეილ მაჩაბელის შეკითხვას – „დედაქალაქებად რა ქალაქებია აღიარებული და დავას ხომ არ იწვევს. მაგალითად ტფილისს ხომ არ გვედავებინა?“, ნ. რამიშვილმა უპასუხა (ს. დ.): „ტფილისის შესახებ დავა არ არის. არც ბაქოა საკამათოდ. ერევანი კი იწვევს დავას“. ამის შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა. „კერძოდ კი ვითარება ისეთია, რომ ზაქათალის ოლქს მთლად თათრები თხოულობენ, იქ საზღვრების შესწორებაც კი არ შეიძლება“. როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს ამავე სხდომაზე აღინიშნა, ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ტერიტორიული გამიჯვნის კომისიაში გარდა ნ. რამიშვილისა (თავმჯდომარე), ალ. მდივნისა და პ. ინგოროყვასი, კიდევ შედიოდნენ შემდეგი პირნი: ხოშტარია (დ. მეგრელი), ე. თაყაიშვილი, ი. აბხაზი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა. მეტად საყურადღებო იყო აგრეთვე სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტის გ. რცხილაძის გამოსვლა. მათ თქვა: „ჩვენი ფრაქციის სახელით უნდა განვაცხადო, რომ ეთნოგრაფიული პრინციპი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით წინად ტერიტორიის გამიჯვნის დროს, დღეს სახელმძღვანელო არ არის. მაშინ სხვა დრო და სხვა პირობები იყო. დღეს კი, როცა დროც და პირობებიც ჩვენი ცხოვრებისა არსებითად

შეიცვალა, ჩვენ და ჩვენთან ერთად ალ. მდივანი დაეცავეთ არა ეთნოგრაფიულს საქართველოს, არამედ პოლიტიკურს, გეოგრაფიულს და ეკონომიკურს საქართველოს“⁴.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ტერიტორიული გამიჯვნის საკითხების შემსწავლელ კომისიაში (თავმჯდომარე ნ. რამიშვილი), საქართველოს ეროვნული საბჭოს მხრიდან შედიოდა პ. ინგოროყვა. სწორედ ამ პერიოდში (1918 წლის თებერვალ-ივლისი) და ამ კომისიის საგანგებო დავალებით უნდა იყოს პ. ინგოროყვას მიერ შესრულებული შემდეგი ნაშრომები: 1. „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“, – მოხსენება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 7 თებერვალს (იხ. უფრნალი „პრომეთე“, 1918, №2, გვ. 72-83); 2. „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“, კონსტანტინეპოლი, 4-6 ივლისი, 1918 წ. დამზადებულია კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის, სამახსოვრო ცნობად.

ზემოთ დასახელებულ შრომებში პ. ინგოროყვა, უპირველეს ყოვლისა, შემოხაზავს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს მაშინდელი ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით, რომელიც ასეთი სახით წარმოგვიდგება: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე, სოხუმისა, ზაქათალის, არტანის და ოლთისის ოლქები და ამათ გარდა ოთხი ჩამონაჭერი მიწერილი არაქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებზე: გაგრის უბანი, ქვემო-ყარაიას ველები, ბამბაკი და აბოცი. პ. ინგოროყვას შეხედულებით, „ეს ტერიტორია არის საქართველო, ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია, და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით. აქ არ არის მითვლილი არცერთი ნაჭერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა რაიმე გზით ყოფილიყვეს შემოერთებული... აქ შემოფარგლულია მარტოოდენ ქართული ქვეყნები“. იქვე, ცოტა ქვემოთ, პ. ინგოროყვა დასძენს: „დღეს საქართველოს ტერიტორიული ავანგარდები, წარევ-მოსახლეობიანი ოლქები, სადაოდ არის აღიარებული ზოგი პოლიტიკური წრეების მიერ. ეროვნული მაქსიმალისტები მომიჯნავე ერებისა მოითხოვენ ბოლო დროს შექმნილი ეთნოგრაფიული ურთიერთობის მიხედვით შეცვლას ისტორიული საზღვრებისას, თუმცა, ეს უკანასკნელი საზღვრები – როგორც ვნახეთ – თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებს გასდევს“⁵. პ. ინგოროყვა გამოსთქვამს აგრეთვე მეტად საყურადღებო მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა პრინციპები უნდა დასდებოდეს საფუძვლად საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას. იგი წერს: „რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომლითაც ამართლებენ თავის პრეტენზიებს ეროვნული მაქსიმალისტები, საზოგადოდ დღეს მეტად პოპულარულია ჩვენში. ბევრი მზად არის კიდევ, მარტოოდენ ამ საზომით მიუდგეს „კავკასიის“ გამიჯვნის კითხვას. მართლაც, ეს პრინციპიც უსაცილოდ მისაღებია სახელმძღვანელოდ, მაგრამ სხვა ფაქტორების გვერდით. ამასთან, რეალური მოსახლეობის პრინციპს თან უნდა ახლდეს ისტორიული კრიტერიუმი. ნამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა სამართლიანი იქნება მხოლოდ იქ, სადაც ეს სამართლიანობა დარღვეუ-

⁴ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 11 მაისი, № 228, გვ. 2.

⁵ პ. ინგოროყვა, კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო, უფრნ. „პრომეთე“, 1918, № 2, გვ. 80-81.

ლი არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს. მაგრამ თუ დღეინდელი მოსახლეობის მიხედვით გადავწყვეტთ ისეთ მხარეთა ბედს, რომელიც კოლონიზაციისა და ძალმომრეობის გზით არის გადარჯულებული, ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებულ იქნას სამართლიანობის სახელით. გაზომვა აქ „რეალური“ მოსახლეობის მეტრით, ეს ბოლოს და ბოლოს „რეალური“ უსამართლობა იქნება და ძალმომრეობის დაკანონება. და მოკლედ რომ მოვჭრად, რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მარტო დღეინდელი მოსახლეობა, არამედ მოსახლეობა მრთელი ისტორიის მანძილზე. უნდა ვითვალისწინებდეთ არა მარტოდენ დღეის დღეს, არამედ წარსულსაც და მომავალს პერსპექტივას, ერის სამერმისო საჭიროებას... და ჩამორთმევა ქართველი ერისათვის ძირეული ქვეყნებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ მისი პოლიტიკურად უფლება-ახდილობის ხანაში გაძლიერდა უცხო ელემენტები, ქვეყნებისა, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე და სამერმისო რეალური საჭიროებით, ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვა და ქართველი ერის უფლებათა აბუჩად აგდება“⁶.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი პ. ინგოროყვას მსჯელობანი ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ტერიტორიული გამიჯვნის საკითხების ირგვლივ და იმ პრინციპების შესახებ, რომელნიც საფუძვლად უნდა დასდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას, წარმოადგენდნენ სახელმძღვანელო დებულებებს საქართველოს ისტორიის სწორედ იმ პერიოდისათვის (1918 წელი), როდესაც მიმდინარეობდა მწვავე დისკუსია საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს (სომხეთი, აზერბაიჯანი) შორის ე. წ. სადავო ტერიტორიების (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ზაქათალის ოლქიც იგულისხმებოდა – თ. პ.) თაობაზე.

ზაქათალის ოლქის, როგორც სადავო ტერიტორიის პრეციზული განხილვა პ. ინგოროყვას მოცემული აქვს ამავე პერიოდში (1918 წ.) გამოქვეყნებულ მეორე ნაშრომში: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“. ამ ნაშრომში ზაქათალის ოლქი (საინგილო) პ. ინგოროყვას შეტანილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებს შიგნით. იგი მას მიაჩნდა ქართული სახელმწიფოს ორგანულ-განუყოფელ ნაწილად ანუ, მისი სიტყვები რომ ვიხმაროთ, ზაქათალის ოლქი იყო საქართველოს ერთ-ერთი ბუნებრივი, გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური რაიონი. სახელდობრ, ზაქათალის ოლქი პ. ინგოროყვას მოთავსებული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს სანაპირო ქვეყნების რიცხვში, რომელშიც შედიოდნენ: ქვემო ყარაიის ველი, ბამბაკი, ყაზახ-შამშადილი და ზაქათალა. მისი აზრით, ეს ქვეყნები ტფილისის პროვინციის განუყოფელ პინტერლანდს წარმოადგენდნენ⁷.

ნაშრომში პ. ინგოროყვას მოტანილი აქვს მეტად საინტერესო და ძვირფასი ცნობები აღნიშნული ხანის ზაქათალის ოლქის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ, რომელიც მას ამოღებული აქვს უკანასკნელი ოფიციალური სტატისტიკის (1916 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის) მონაცემებიდან. ამ ცნობებზე დაყრდნობით, პ. ინგოროყვას წარმოდგენილი აქვს ზაქათალის ოლქის მოსახ-

⁶ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

⁷ პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტინეპოლი, 4-6 ივლისი, 1918, გვ. 5.

ლეობის ეთნიკური შემადგენლობის შემდეგი სურათი: ზაქათალის ოლქის სივრცე – ვიდრე იმ ხაზამდე, სადაც გასდევს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (მდ. ყაშყაჩაის მიჯნამდე) – ოთხკუთხი კილომეტრებით გამოანგარიშებული შეადგენს 3.564-ს. მოსახლეობა 1909 წლისათვის ითვლება – ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებით – 69.825 სული მკვიდრი მცხოვრები. მოსახლეობს აქ ოთხი ხალხი: ქარელები (=ლეკის ცალკე ტომია, ენით შორეული ნათესაობა აქვთ ავარელებთან) – 29.785 სული = 42,6%; ნახურელები (ესენიც ლეკის ტომთა ჯგუფს ეკუთვნიან, ცალკე ენა აქვთ) – 11.485 სული = 16, 5%; მულალები (ტომით მონგოლები არიან; მონგოლური დავიწყებული აქვთ, ლაპარაკობენ თურქულს) – 11.121 სული = 15,9%; და ქართველები – რომლებიც ქარელების შემდეგ ყველაზე დიდ ერთეულს შეადგენენ ზაქათალის ოლქში: ქართველობა ითვლება აქ 17.434 სული = 25%, მათ შორის ქრისტიანი ქართველი 4.263 სული, მუსულმანი ქართველი – 13.171 სული.

ქრისტიანი ქართველების სოფლებია: კაკი, მეშაბაში, დიდი ალათემური, პატარა ალათემური, ბაზარ-თალა, ბახთალა, საკანი, ყარამეშა, ქემ-გუთანი, ხარაბ-თალა, ალიბეგლო, ქოთუქლო და ყორალანი (ამ უკანასკნელში ნახევარი მოსახლეობისა ქრისტიანი ქართველებია; დანარჩენებში მარტო ქრისტიანი ქართველები მოსახლეობენ).

მუსულმანი ქართველების სოფლებია: ალიაბათი (ანუ ელისენი), სოსკანი, მარსანი, ლალაფაშა, ჩუდულო, ძაგამი, თასმალო (რამდენიმე კომლი ქრისტიანი ქართველებიც ურევია), შოთავარი, ბაბალო, ვერხვიანი, ენგიანი, მოსული, ფადარი, ყანდახი, ყაფანახჩი, ითი-თალა.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ქართველებს წმინდად შეუნახავთ ქართული დედაენა.

პ. ინგოროყვა განსაკუთრებით ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზაქათალის ოლქის ამ ოთხ პატარა ეროვნულ ჯგუფს შორის ადგილობრივი მკვიდრი ელემენტი ქართველები არიან. ხოლო სხვები ბოლო დროს არიან ჩამოსახლებული ამ ძირძველ ქართულ პროვინციაში. ასე, – ქარელ-ნახურელები გადმოიყვანა დელესტნიდან სპარსეთის მმართველობამ მეჩვიდმეტე საუკუნეში (როცა აღმოსავლეთი საქართველო ერთ ხანად დაიჭირეს შაჰ-აბასის ურდოებმა) და დაასახლა ადგილობრივი მკვიდრი ქართველობის პარტახზე, რომლებიც აჰყარეს აქედან, რიცხვით 100.000-ზე მეტი და გადაიყვანეს სპარსეთში. ჩასახლება არაქართული ელემენტისა ზაქათალაში მოხდენილ იქნა სტრატეგიული მიზნით, და მართლაც, ზაქათალის ოლქი, შემოჭრილი საქართველოს ველების შუაგულში (ალაზნის ველის შუა ნელში) ნამდვილი შემოსავალი კარებია ტფილისის პროვინციისა⁸.

1918 წელს ზაქათალის ოლქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საგანგებო მსჯელობა გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივლისის სხდომაზე (თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე). აღნიშნული საკითხის დასმა გამონვეული იყო ეროვნულ საბჭოში ზაქათალის ოლქის წარმომადგენლის რ. ივანიცკის მიერ შეტანილი შეკითხვის გამო, რომელიც თავის ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით აღწერდა მთავრობის უძღურებას ზაქათალის ოლქის ტერიტორიული კუთვნილების საკითხის მოგვარებაში და ლეკებისაგან ინგილოების შევიწროებასაც. სხდომაზე გა-

⁸ პ. ინგოროყვა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 7.

მოსული დ. ონიაშვილი აღნიშნავდა რა საინგილოს ცუდ მდგომარეობაში ყოფნას, ამბობდა, რომ საჭიროა ამ მხარეს მთავრობამ შესაფერისი ყურადღება მიაქციოს, აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ზომები ზაქათალის ოლქის გასანმენდად. სხდომაზე სიტყვით გამოსულმა დ. ჩიქოვანმა თქვა, რომ ზაქათალის ოლქში 85 ათასი მცხოვრებთაგან 25 ათასი ინგილოა. ზაქათალის ოლქში, მისი ინფორმაციით, მრავალი ორიენტაციაა. მან წინადადება შეიტანა, რომ საბჭომ აირჩიოს კომისია იქ გასამგზავრებლად და საქმის გამოსარკვევად. სოციალისტ-ფედერალისტმა ს. მდივანმა გარკვეული შესწორებები შეიტანა დ. ჩიქოვანის მიერ მოტანილ ციფრებში ზაქათალის ოლქის მოსახლეობის რიცხოზომიერი რაოდენობის შესახებ. მან სხდომას მოახსენა, რომ ზაქათალის ოლქში 60 ათასი მცხოვრებია, აქედან 30 ათასი ინგილოა. ოსმალს ორიენტაცია დამყარებულია რელიგიურ ფანატიზმზე. საუკუნეების განმავლობაში ზაქათალის ოლქი შეკავშირებული იყო საქართველოსთან და ამას ოსმალეთი ვერ გადალახავს. ზაქათალის ოლქის საქმეების გამოსწორება შეიძლება იმ გზით, რა გზაც ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელმა გვიჩვენა. დაყოვნება შეუძლებელია. ზაქათალის ოლქის საკითხი დაკავშირებულია სხვა ჩვენი კუთხეების საკითხებთან. რ. ივანიცკიმ მოიწონა ს. დემოკრატიული ფრაქციის აზრი ამ ოლქის შესახებ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უმრავლესობა დღეს ოლქში ლეკობაა, რომელიც მთიელებს ეკედლება, მაგრამ მალე გაიგებენ, რომ უჩვენოდ მათ არ შეუძლიათ ყოფნა, საჭიროა იქ ჯარის გაგზავნა.

ზაქათალის ოლქის საკითხის გარშემო გამართული კამათი საბოლოოდ შეაჯამა ნ. რამიშვილმა. მან ეროვნული საბჭოს წევრებს აუწყა, რომ მთავრობა აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ზაქათალის ოლქის საკითხის მოგვარებას. მისი აზრით, ეს საკითხი მარტო შინაური საკითხი არ არის. ზაქათალის ოლქის საკითხი საგარეო საკითხია, აქ შესაძლებელია უფრო დიდ მტერთან გვექონდეს საქმე. საინგილო გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ზაქათალა სტრატეგიული თვალსაზრისითაც საყურადღებოა. მთავრობა ყოველივე ღონეს იღონებს, რომ დაცულ იქნას საქართველოს ტერიტორია. ზაქათალის ოლქის დიდი ნაწილი ადერბეიჯანისაკენ მიიღტვის. საჭიროა მივანიჭოთ ფართო თვითმმართველობა. საჭიროა საქმის ანონ-დანონვა. საინგილოს ვთვლით საქართველოს ტერიტორიის ნაწილად (ტაში). ნ. რამიშვილის განცხადებით, ზაქათალის ოლქის საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს სტამბოლის კონფერენცია. ეროვნულმა საბჭომ მიიღო ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია და დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით?.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივლისის სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტმა ს. მდივანმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ზაქათალის ოლქში არსებულ ოსმალურ ორიენტაციას. ასეთ განცხადებას რეალური საფუძველი გააჩნდა. სწორედ აღნიშნულ ხანაში (1918 წლის ივლისში) ოსმალები ზაქათალის ოლქშიც შეიჭრნენ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შორის აგიტაციას ეწეოდნენ ქართველების (ინგილოების) წინააღმდეგ. 1918 წლის 18 ივლისს საქართველოს მთავრობა ნოტას უგზავნის გერმანიის მთავრობის დიპლომატი-

⁹ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 18 ივლისი, № 149; გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 17 ივლისი, № 283.

ურ წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკაში გენერალ ფონ-კრესს. ნოტაში ნათქვამი იყო: «Закатальский округ исторически и географически имеет неразрывную связь с Грузией; Часть его населена грузинским племенем – ингилойцами. В этот округ, по имеющимся сведениям, проникли турецкие эмиссары и ведут сильную агитацию, возбуждая против мирного Христианского населения местных татар и горцев-мусульман, которые производят набеги на местных жителей – ингилойцев.

Доводя об изложенном до сведения Вашего Превосходительства, прошу употребить все Ваше влияние на представителей Турции для отозвания из Закатальского округа турецких эмиссаров, чтобы прекратить нарушающую нормальную жизнь агитацию». ნოტას ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრი გვარჯალაძე¹⁰. ზაქათალის ოლქში თურქული ორიენტაციის არსებობა ამაზე უფრო ადრეც, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობის პერიოდში, საკმაოდ მძლავრად შეინიშნებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობას 1918 წლის მარტში წარუდგინა ზაქათალის ოლქში მივლინებულმა ამიერკავკასიის კომისარიატის საგანგებო დავალებათა მოხელემ მ. ჭავჭავაძემ. მოხსენებით ბარათში კარგად არის ნაჩვენები ზაქათალის ოლქის მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილების სურათი. მ. ჭავჭავაძე ამიერკავკასიის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს, უპირველეს ყოვლისა, იმას ატყობინებდა, რომ ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა, ქრისტიან-ინგილოების მცირე ნაწილის გამოკლებით, მუსლიმანური რელიგიის (სუნიტური სექტა) მიმდევრები არიან. ოლქის მოსახლეობის უმრავლესობის პოლიტიკური განწყობილება თურქეთის ორიენტაციისაკენ არის მიმართული.

თურქული ორიენტაციის აშკარა, ღია ფორმით გამოვლინება განსაკუთრებით ძლიერად გამოიხატა 1918 წლის 1 მარტიდან, როდესაც ზაქათალის ოლქში მოაღწია ხმებმა თურქეთის არმიის ძლევამოსილი შეტევების შესახებ. ოლქის ადგილობრივი ხელისუფლება, ეროვნული საბჭო, მილიცია, რომელთაც საგანგებო ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ, დაუფარავად გამოხატავდნენ თავიანთ განწყობილებას თურქეთის სასარგებლოდ. ადგილობრივი ეროვნული საბჭოს წევრები უნდობლობას უცხადებდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და გამომწვევად ექცეოდნენ მის წარმომადგენელს. 1918 წლის 2 მარტს ქ. ზაქათალაში მუსლიმანებმა დიდი მანიფესტაციები მოაწყვეს თურქების მიერ ერზერუმის აღების გამო. აშკარად ჩანდა, რომ ზაქათალის ოლქში აგიტაცია თურქული ორიენტაციის სასარგებლოდ დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო და, რომ მისი პროპაგანდა მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მუსლიმანებთან საერთო კონტაქტში. მოსახლეობის განწყობილებაზე გარკვეული გავლენა ჰქონდა ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთის მთიელთა კავშირს, რომელსაც ოლქის მოსახლეობის ნაწილი შეუერთდა. საერთოდ კი, როგორც ზემონახსენებ მოხსენებით ბარათშია აღნიშნული, ასეთი განწყობილების განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ოლქში არ არსებობდა ამიერკავკასიის კომისარიატის მტკიცე ხელისუფლება. აი, ასეთი პოლიტიკური სიტუაცია იყო ზაქათალის ოლქში 1918 წლის მარტში. ამიერკავკასიის კომისარიატის საგანგებო დავალებათა მოხელე მ. ჭავჭავაძე, ითვალისწინებდა რა ზაქათალის ოლქში შექმნილს პოლიტიკურ მდგომარეობას,

¹⁰ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тбилиси, 1919, стр. 377.

ამიერკავკასიის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენებდა, რომ არ გაემწევებინათ ურთიერთობა ზაქათალის ოლქთან, რადგანაც თურქეთთან ომის შემთხვევაში ოლქის მოსახლეობა თურქების შემოტევების დროს მხარს არ დაუჭერდა სამხარეო ხელისუფლებას; ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მომხდარიყო პირიქით და მათ გამოეყვინებინათ მტრული განწყობილება ოლქის ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ და აგრეთვე მეზობელი სიღნაღის მაზრის მოსახლეობის მიმართაც¹¹.

1918 წლის მაისის ბოლოს, როგორც ცნობილია, დაირღვა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, დაიშალა იგი ორიენტაციის სხვადასხვაობის ნიადაგზე და საერთო კავკასიური პოლიტიკის უქონლობის გამო. მის ადგილზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ზაქათალის ოლქი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა და იგი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში არ შემოდიოდა. ზაქათალის ოლქის ტერიტორიული საკითხის მოგვარებაზე ზრუნვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ თავისი არსებობის პირველივე ხანებიდან დაიწყო. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს საკითხი განხილულ იქნა 1918 წლის 16 ივლისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც საგანგებოდ აღინიშნა: მიუხედავად დაფიქსირებული ვითარებისა, რომ ზაქათალის ოლქის მოსახლეობის დიდი ნაწილი აზერბაიჯანისაკენ მიილტვის, მთავრობა საინგილოს სთვლის საქართველოს ტერიტორიის ნაწილად და იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნას მისი ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. მართალია, აღნიშნულ ხანაში, საინგილოში დროებით ბაქოს მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილები იდგნენ, მაგრამ საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საკითხი მშვიდობიანად, პოლიტიკური გზებით მოგვარდებოდა. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ გადანყვიტა ეს საკითხი გადაეტანა საერთაშორისო ასპარეზზე. აქ, საქართველოს მთავრობას მხედველობაში ჰქონდა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავდა საქართველო-აზერბაიჯანს შორის უშუალო მოლაპარაკებასაც სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებზე. 1918 წლის 17 ივნისს ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობის სახელით, აზერბაიჯანის მთავრობას სწერდა, რომ საინგილო და ბორჩალო მუდამყამს საქართველოს ეკუთვნოდა და ეს სადავო არასდროს არ ყოფილა, თუმცა იქ შერეული მოსახლეობა ყოველთვის იყო¹².

სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენის მომენტიდან ამიერკავკასიის ქვეყნებმა უმაღლესე გაიხსენეს პარტიათაშორისო შეთანხმება ერობის შემოღების საკითხში რეალური მოსახლეობის პრინციპის გატარების შესახებ. ე. ი. სახელმწიფოებრივი საზღვრები უნდა გატარებულყო ეთნოგრაფიის თუ მოსახლეობის მიხედვით, უფრო მეტიც: რელიგიის მიხედვითაც, მუსლიმანობის საფუძველზე. და, აი, აზერბაიჯანელებმა პარიზის საზავო კონფერენციისათვის გაამზადეს თავისანთი მოთხოვნილებანი, რომელთა მიხედვით, აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო: საინგილო (ზაქათალას ოლქი), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი¹³. მაშასადამე, უძველეს ქართულ ტერიტორიებს შორის, აზერბაიჯანი

¹¹ ЦГИА, Грузин. ф. 1836, оп. 1, д. 19, лл. 93-99; лл. 134-135.

¹² ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 14-15.

¹³ იქვე, გვ. 13.

მოითხოვდა ზაქათალის ოლქსაც. როგორც ვხედავთ, ეს მოთხოვნებიანი უკვე ემყარებოდა რელიგიურ პრინციპს, ვინაიდან ცნობილია, რომ ეთნოგრაფიულად არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ მხარეს არავითარი საერთო არა აქვს ე. წ. აზერბაიჯანულ ეთნოსთან.

საქართველოს მთავრობა მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას ზაქათალის ოლქის ტერიტორიული კუთვნილების საკითხზე და ამ მიმართებით ხელს არ იღებდა თავის მიზანდასახულობაზე. 1919 წლის 14 მარტს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარადგინა საკმაოდ ვრცელი, განსაკუთრებული მემორანდუმი, რომლითაც მიმართა ყველა სახელმწიფოს და ერს. ზუსტი სახელწოდება ამ მემორანდუმისა ასეთი იყო: „მოხსენებითი ბარათი, წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მიერ, პარიზის საზავო კონფერენციაზე“. მასში საფუძვლიანად ჩამოყალიბებული იყო შემდეგი საკითხები: I. „საქართველოს ისტორიული წარსული“; II. „საქართველო რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ“; III. „საქართველო და მსოფლიო ომი“; IV. „ამიერკავკასიის რესპუბლიკა და საქართველო“; V. „საქართველოს რესპუბლიკა“; VI. „საქართველოს მოთხოვნები“; და ბოლოს, „დამატება 1919 წლის 14 მარტს საზავო კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებითი ბარათისადმი“ – „საქართველოს საზღვრები“; ა) ამ საზღვრების აღწერა და ბ) ახსნა-განმარტებები. მემორანდუმის პირველ პარაგრაფებში ლაპარაკია ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, მის ოქროს ხანაზე, შემდგომი საუკუნეების ძნელბედობაზე, აქვე აღნიშნულია, რომ აზიელი დამპყრობლებისგან შევიწროვებულმა საქართველომ დახმარება სთხოვა ჩრდილოეთის მეზობელს. 1783 წელს საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, მაგრამ რუსეთის ცარიზმმა დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულება. შემდეგ მასში მოთხრობილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია. მემორანდუმის ბოლო, VI პარაგრაფში კი მოცემული იყო საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნებიანი და სახელწიფო საზღვრები. მემორანდუმის ავტორების განცხადებით, ახალი საქართველოს საზღვრებში უნდა შესულიყო: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის ოლქები, ყარსის ოლქის ოლთისისა და არტაანის ოკრუგები, შავი ზღვის ოლქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის რამდენიმე ნაწილი. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა საამისო რუკა თავისი ახსნა-განმარტებებით. მემორანდუმის ამავე პარაგრაფში აღნიშნული იყო, რომ ამ ტერიტორიების მოსახლეობის 75%-ს ქართველები შეადგენდნენ როგორც ეთნიკური, ასევე ისტორიული თვალსაზრისით¹⁴. ამრიგად, საქართველოს მთავრობა სხვა ძირძველი ქართული ტერიტორიების გარდა მოითხოვდა ზაქათალის ოლქის საქართველოს საზღვრებში მოქცევას. ეს ბრძოლა მაშინ, რა თქმა უნდა, იყო მხოლოდ დიპლომატიური, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

1919 წლის მარტსა და 1920 წლის აპრილში ჩატარდა საქართველო-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები, დაისახა პრობლემების გადაჭრის გარკვეული გზები, მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრების საკითხს განი-

¹⁴ Доклад, представленный делегацией Грузии Парижской мирной конференции 14 марта 1919 г. (политические требования, границы). в. документებისა და მასალების კრებული - Оккупация и фактическая аннексия Грузии, Тб., 1990, стр. 62.

ხილავდნენ, საბჭოთა რუსეთის აგრესიის შედეგად 1920 წლის 27 აპრილს ბაქოში XI არმიის ჯარები შევიდნენ და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. და აი, ასეთ ვითარებაში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი უკვე მტკიცე რადიკალურ პოზიციაზე დადგა. ქართველმა პოლიტიკოსებმა სწორად შეაფასეს შექმნილი პოლიტიკური ვითარება. ამის ერთ-ერთი დადასტურება იყო გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული სტატია – „საიდან მოგველის საფრთხე?“ სტატიის ავტორი აღნიშნავდა: „როგორც მოსალოდნელი იყო, აზერბაიჯანის მთავრობამ ნაიჩოქა საბჭოთა რუსეთის წინაშე: ბაქო დღეს კომუნისტების ხელთ არის და ადვილი შესაძლებელია, რომ მათივე გამგებლობა ახლო მომავალში მთელს აზერბაიჯანში დამკვიდრდეს. ბოლშევიკურ რუსეთს სამხრეთისაკენ გზას უკაფავდნენ თვითგამორკვეულ მცირე ერთა მტრები, ხოლო მათ რიგში ოსმალეთს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. საქართველო საფრთხის მოლოდინში უნდა იყოს... უპირველესი საზრუნავი საქართველოს მთავრობისა უნდა იყოს საქართველოს საზღვრების დაცვა. აზერბაიჯანის მხრით მტერი შემოგვიტევეს არა მარტო რკინიგზის მიმართულებით: მტრის მთავარ ბაზად უცილოდ შეიქნება ის მხარე სამშობლოსა, რომელიც დღესაც აზერბაიჯანის გამგებლობაშია. საქართველოს სამხედრო ბედს ზაქათალის ოლქი გადასწყვეტს. ეს კუთხე ჩვენმა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიჭირონ, თუკი მართლა დაგვისახავს მიზნად ჩვენი რესპუბლიკის დაცვა. ზაქათალის ოლქში გამაგრებული მტერი საგონებელში ჩააგდებს არა მხოლოდ ქიზიყ-კახეთს – თვით ტფილისის ალაყაფიც ღია იქნება მისთვის. გარდა იმისა, რომ საინგილოში მტერი სულ ადვილად შემოვა ნუხის მხრიდან, დღეს – ზაფხულის პირს – ბოლშევიკური ურდოები ჩრდილოეთიდანაც ემუქრებიან ამ მხარეს... ჩვენი მთავრობა არ ინებებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ბედი, ჩვენი ხალხის თავისუფლების საკითხი ზაქათალის ოლქში გადაწყდეს. სათნოება ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გამოვამჟღავნეთ. ეხლა დადგა უამი, რომ ვიზრუნოთ ჩვენს თავზედაც. ზაქათალის ოლქში სასიკვდილო ლახვარს უმზადებენ საქართველოს სახელმწიფოს: ჩვენ დროზე მიღებული ზომებით, ალბათ, ავიცდნენთ კარზე მომდგარ საფრთხეს. აზერბაიჯანმა საზიზღრად გვიმუხთლა“¹⁵. იგივე გაზეთი ერთ-ერთ მომდევნო ნომერში წერდა: „უნდა გადაწყდეს ჩვენი ტერიტორიული დავა. საქართველოს უნდა მიეკუთვნოს ის ნამდვილად უდავო, მაგრამ ჩვენს მტერთაგან სადავოდ გადაქცეული ტერიტორია, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა მუდამ და უნდა ეკუთვნოდეს ეხლაც. ეს არის ზაქათალის ოლქი. იგი აზერბაიჯანს დროებით ეჭირა და მისი საკითხი არბიტრაჟით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ რადგან აზერბაიჯანმა იარაღით მოინდომა ამ დავის გადაჭრა, რასაკვირველია ეხლა აღარავითარ არბიტრაჟზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, ჩვენი ტერიტორია ისე უნდა დამრგვალდეს, რომ აზერბაიჯანისთანა მუხანათური თავდასხმა ადვილ საქმედ აღარავის მოეჩვენოს... ამიტომ არის საჭირო ჩვენი საზღვრების ერთხელ და სამუდამოდ გამორკვევა. ეს საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ თვით აზერბაიჯანისათვის“¹⁶.

ის მოსალოდნელი საფრთხე, რომლის შესახებაც გაზეთი იუწყებოდა, მალე რეალურ სინამდვილედ იქცა. ჩვენს ხელთ არის XI არმიის სარდალ ლევანდოვსკის ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც დათარიღებულია 1920 წ. 2 მაისით. მასში ვკითხულობთ:

¹⁵ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., 29 აპრილი, № 813.

¹⁶ იქვე, 22 მაისი, № 831.

„ცხენოსანი კორპუსის ამოცანას შეადგენს აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოსთან საზღვრების დაცვა. ამ მიზნით ვერძანებ: 3 მაისს, განთიადისას, ცხენოსანი კორპუსის მთავარი ძალები გამოვიდნენ შემახა-ახსუს რაიონიდან და გაემართნენ შემდეგი მარშრუტით – შემახა-ნუხა-ზაქათალა. ნანილებმა თავი მოიყაროს ზაქათალის რაიონში არაუგვიანეს 10 მაისისთვის. ყველა სასაზღვრო გზებზე და გადასასვლელებზე დაყენებული იქნას სადარაჯო რაზმები ტყვიამფრქვევებით. ტამანის დივიზიის კავკასიის ბრიგადამ არაუგვიანეს 15 მაისისთვის თავი მოიყაროს ზაქათალის რაიონში, მისი მოძრაობის მარშრუტი ასეთი იქნება: შემახა-ახსუ-ნუხა-ზაქათალა... ცხენოსანი კორპუსის ზაქათალაში შესვლისას, მის განკარგულებაში გადმოვა აგრეთვე ზაქათალაში მყოფი აზერბაიჯანის არმიის მეორე ზაქათალის პოლკის ბატალიონი“¹⁷.

სწორედ ამ პერიოდში (1920 წ. მაისი) მოსკოვში უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომელსაც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გაერკვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრების საკითხიც. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1920 წ. 7 მაისს. ზაქათალის ოლქის საკითხთან დაკავშირებით, ამ დოკუმენტიდან ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი მე-IV-ე მუხლი, რომელიც ასე იკითხება: „რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნანილებად, გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნანილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებული ხელშეკრულების პირველი და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები“¹⁸. როგორც ვხედავთ, ამ ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა უკმაყოფილება გამოთქვეს საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა ბოლშევიკ-პოლიტიკოსებმა, ბუნებრივია, არ აწყენინეს თავიანთ ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი კი ის იყო, რომ იმავე წლის 12 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დამატებითი შეთანხმება დაიდო, რომლის საფუძველზე ზაქათალის ოლქი სადავო ტერიტორიად ჩაითვალა. დამატებითი მუხლები საქართველოს და რუსეთის შეთანხმებისა, რომლებიც ზაქათალის ოლქის საკითხს შეეხება, ასე გამოიყურება: მოვიტანოთ იგი მთლიანად: „ქვემოთ ხელის მოწერით, წარმომადგენელმა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკისა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ, ლევ მიხეილის ძე კარახანმა და წარმომადგენელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ, მიიღეს რა მხედველობაში ის, რომ რუსეთის მთავრობამ უკვე წინასწარ მიიღო თანხმობა აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობისა, შეთანხმდნენ შემდგომში:

მუხლი I. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებსა და ზაქათალის ოლქში სადაო საკითხების გადანყვეტა მიენდობა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობათა თანასწორ წარმო-

¹⁷ Иностранционная помощь XI Армии в борьбе за победу советской власти в Азербайджане. Документы и материалы (1920-1921 гг.). Баку, 1989, стр. 42.

¹⁸ Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года, сб. Крებული – Оккупация и фактическая аннексия Грузии, Тб., 1990, стр. 76.

მადგენელთაგან, რომლის თავმჯდომარედ იქნება რ.ს.ფ.ს. რესპ. წარმომადგენელი, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებმა ამ კომისიის დადგენილებანი თავისთვის სავალდებულოდ უნდა ჩათვალონ.

მუხლი II. საქართველო და აზერბაიჯანი, ვიდრე კომისია პირველ მუხლში აღძრული საკითხების შესახებ თავის დადგენილებას არ გამოიტანს, ზაქათალის ოლქში არ შეიყვანენ ახალ ჯარებს იმათ გარდა, რომელნიც ამ დამატებითი შეთანხმების ხელის მოწერის დროს უკვე იქ არიან.

მუხლი III. ეს დამატებითი შეთანხმება უნდა ჩაითვალოს იმ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად, რომელიც დაიდო საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის მაისის 7 მოსკოვში და ხსენებულ ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის ხელის მოწერის მომენტიდან და მისთვის საჭირო არ არის რატიფიკაცია. დასტურად ამისა ქვემოთ ხელის მოწერებმა საკუთრად მოაწერეს ხელი და საკუთარი ბეჭდები დაასვეს. ხელშეკრულება დადებულია მოსკოვში ორ ეგზემპლარად, ათას ცხრაას ოცი წლის მაისის 12.

გრ. ურატაძე
ლ. კარახანი¹⁹.

როდესაც ვეცნობით საქართველოსა და რუსეთის შეთანხმების დამატებით მუხლებს, რომელნიც მთლიანად ზაქათალის ოლქის საკითხისადმი არის მიძღვნილი, აშკარად ჩანს, რომ მეტად არასახარბიელო ვითარება შეიქმნა საინგილოს საკითხის ირგვლივ. დამატებითი შეთანხმება ერთობ წამგებიანი იყო საქართველოსათვის, რადგანაც ზაქათალაში ამ დროს მხოლოდ XI არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და საქართველოს აღარ შეეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. გარდა ამისა, თუ კომისია საკითხს განიხილავდა, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, რადგან იგი უთუოდ აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით საქმე საქართველოსთვის საზიანოდ გადაწყდებოდა. ეჭვს არ იწვევდა ის გარემოებაც, რომ დამატებითი შეთანხმების მუხლები გამოიწვევდნენ დიდ დავას აღმოსავლეთის საზღვარზე. საქართველოს მთავრობას აღმოსავლეთი საზღვრის განსამტკიცებლად საკმაოდ დიდი შრომისა და ენერჯის დახარჯვა მოუხდებოდა. საინტერესოა ზოგიერთი ის კომენტარი, რომელიც იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოჩნდა საქართველოსა და რუსეთის შეთანხმების დამატებითი მუხლების შესახებ. გაზეთი „სახალხო საქმე“ 1920 წლის 8 ივნისს სტატიის „ხელშეკრულება რუსეთთან“, წერდა: „ფრიად უცნაურია ზაქათალის და სხვა სადაო საკითხების გადაწყვეტის ის მეთოდი, რომელიც ხელშეკრულების დამატებით მუხლებშია აღნიშნული. აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა საკითხი უნდა გადაწყვიტონ რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ჯერ ერთი, რა შუაშია რუსეთი იქ, სადაც ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ლაპარაკობს? მეორე – ხომ ყოველთვის რუსეთი გადაწყვეტს ფაქტობრივად ყველა საკითხს, რადგან საქართველოსა და აზერბაიჯანს ჰყავთ თანასწორი რიცხვი წარმომადგენლებისა. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ამისთანა პირობებს სდებენ და და თან დასძენენ, ხელშეკრულება ურატაძისადაც იყოს მიღებული. რას ნიშნავს ეს? რის-

¹⁹ Дополнительное соглашение к мирному договору между Грузией и Россией от 7 мая 1920 года, сб. крებული – Оккупация и фактическая аннексия Грузии, Тб., 1990, стр. 85-86.

თვის არსებობს დამფუძნებელი კრება, ხალხის წარმომადგენლობა, თუ კი ისეთს დიდ საკითხს, როგორც არის რუსეთთან ხელშეკრულება, დამფუძნებელი კრების ზურგს უკან, მისდა დაუკითხავად გადასწყვეტენ? ჩვენ არ ვიცით, რა დავარქვათ ასეთ გარემოებას. საქართველო სრულიად ისეთ მდგომარეობაში არ ყოფილა, რომ ყველაფერზე, რასაც წარუდგენდნენ – ხელი მოენერნა. ვიმეორებთ, ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით არა მარტო რუსეთთან, არამედ ყველა მეზობელთან კეთილგანწყობილება დაგვემყარებინა, მაგრამ არასოდეს არ გვიფიქრნია, რომ ამის გულისთვის ჩვენი არსებითი ინტერესები შეგვეკვალახნა. ხსენებულ ხელშეკრულებაში არის ადგილები, რომელნიც ჩვენ ძლიერ გვაფიქრებენ”²⁰.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულება და ამავე წლის 12 მაისს გაფორმებული დამატებითი მუხლები რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მხრიდანაც განსაკუთრებული და შეუწელებელი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1920 წლის 8 ივნისს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ვ. ჩიჩერინს დაავალა აღმოსავლეთში მომუშავე კომუნისტებისთვის შეედგინა ინსტრუქცია, რომელიც ორიენტაციას მისცემდა მათ მუშაობაში. გ. ვ. ჩიჩერინმა შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1920 წლის 7 ივლისის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა. ამ ინსტრუქციის ძირთად დებულებებში გარკვეულწილად აისახა ზაქათალის ოლქის საკითხიც. ინსტრუქციის „ა“ პუნქტში აღნიშნული იყო: „1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება განუხრელად უნდა სრულდებოდეს და ხორციელდებოდეს დეტალურად. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ურთიერთობაში საქართველოსთან განუხრელად უნდა უწევდეს ანგარიშს ამ ხელშეკრულების დადგენილებებს. გამონაკლისია ზაქათალის ოლქი. იგი საქართველოში კი არ უნდა შევიდეს, არამედ მიჩნეულ იქნეს სადავო ადგილად. მისი კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვიტოს შერეულმა კომისიამ რუსეთის სფსრ მიერ დანიშნულ წარმომადგენელთან ერთად“. ინსტრუქციის სხვა დებულებებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ზ“ და „თ“ პუნქტები, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ჯარები უნდა დასჯერდნენ იმას, რომ დაიკავონ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ადგილები... ამ რაიონების დაკავების დროს ყოველწილად უნდა განემარტოს ფართო მასებს, რომ რუსეთის ჯარები ამას აკეთებენ შინა ომისა და ერთა შორის ხოცვა-ჯლეტის თავიდან ასაცილებლად, რომ ეს დროებითი ღონისძიებაა, სანამ არ გადაწყდება საკითხი დაკავებული ტერიტორიების კუთვნილების შესახებ, რომ ამ ტერიტორიულ კონფლიქტებს გადაწყვეტს შერეული კომისია რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამასთან შერეული კომისია იხელმძღვანელებს მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობით და ნებით. ამის შემდეგ, მომდევნო „ი“ პუნქტში კი აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ჯარებმა „ზაქათალის ოლქი არ დაიკავონ. მისი კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვიტოს აზერბაიჯან-საქართველოს შერეულმა კომისიამ რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით”²¹. როგორც

²⁰ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., 8 ივნისი, № 844.

²¹ გ. ჩიჩერინის ამ ინსტრუქციის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ა. ირემამძეს თავის შრომებში, იხ. ა. ირემამძე, სერგო ორჯონიკიძე – რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, უფრნ. „მნათობი“, № 11, 1966 წ. გვ. 152-153; მისივე, ბრძოლას ლენინი წარმართავდა, თბ., 1968, გვ. 257-259.

ვხედავთ, ისე როგორც თვით 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, ასევე ზემოთ განხილული გ. ჩიჩერინის ინსტრუქციის მიხედვითაც, ზაქათალის ოლქის საკითხის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. უსამართლობა, რომელიც საინგილოს საქართველოს გარეთ ყოფნაში მდგომარეობდა, კვლავ გამოუსწორებელი დარჩა და მისი გადაწყვეტა საარბიტრო კომისიას მიანდეს. წინააღმდეგ საქართველოს უდავო უფლებებისა, წინააღმდეგ ყოველგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და სტრატეგიული მოსაზრებებისა, წინააღმდეგ თვით ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა სურვილისა და მისწრაფებისა, ზაქათალის ოლქის საკითხი კვლავ ღიად იყო დატოვებული და სადავო ტერიტორიად იყო მიჩნეული.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1920 წლის მაისის დასაწყისში, XI ნითელი არმიის ნაწილებმა დაიწყეს მოძრაობა შემახა-ნუხა-ზაქათალის მიმართულებით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ 10 მაისისათვის თავი მოეყარათ ზაქათალის რაიონში, სადაც მათ შეუერთდებოდა აზერბაიჯანის არმიის სათანადო დაჯგუფებებიც. ამ ამბებს კარგად ეხმაურება ქართული წყაროების ცნობებიც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქართველოს გენერალური შტაბის ცნობა, რომელიც იუნყებოდა, რომ 1920 წ. 1 მაისს აზერბაიჯანის ჯარებმა თავისი უძლიერესი ძალებით გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და შემოიჭრნენ მის ტერიტორიაზე. ისინი გამოჩნდნენ ფოილოსა და ნითელ ხიდთან. მათ შეაეინროვეს ქართული მოსაზღვრე პოსტი ნითელ ხიდთან. იგივე გენერალური შტაბი გადმოსცემდა სამხედრო ცნობას იმის თაობაზე, რომ 9 მაისს დაბა ლაგოდეხის აღმოსავლეთით მყოფ რაიონში ქართულ მოსაზღვრე რაზმს თავს დაესხა შეიარაღებული ლეკები. სროლის დროს მოკლულ იქნა საყარაულოს უფროსი ლეიტენანტი ყიფიანი. ქართველმა მესაზღვრეებმა ლეკები დიდი ზარალით უკუ-აგდეს. მიღებულ იქნა ზომები ამ ბანდების საბოლოო ლიკვიდაციისათვის²². აღნიშნული ინციდენტები აშკარად მონიშნებდნენ, რომ 1920 წ. მაისის პირველი რიცხვებიდან აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ფაქტიურად საომარი მოქმედებანი მიმდინარეობდა. ეს იყო ომი, რომელიც აზერბაიჯანმა საქართველოს წინააღმდეგ გააჩაღა. საბჭოთა აზერბაიჯანის ზურგს უკან კი, რა თქმა უნდა, კომუნისტური საბჭოთა რუსეთი იდგა. ეს ომი საქართველოს სამხედრო ძალების დიდი უპირატესობებით და საბრძოლო გამარჯვებებით მიმდინარეობდა. ქართველთა ჯარმა საომარი მოქმედებანი თვით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ასე მაგალითად, ზაქათალის მიმართულებით 19 მაისს მონინააღმდეგის პოსტი, რომელიც დიდ აქტივობას იჩენდა, იძულებული შეიქნა უკან დაეხია და მოხსნილიყო. მათი მხრიდან მოკლულ იქნა 4, დაიჭრა რამდენიმე კაცი, დანარჩენნი კი გაიქცნენ. ქართველთა მხრიდან დაიჭრა ერთი მოხალისე. ასეთი წარუმატებლობის შემდეგ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა იტყობინებოდა, 22 მაისს აზერბაიჯანის პარლამენტარებმა მოითხოვეს აქსტაფის გზატკეცილზე ქართველ პარლამენტარებთან შეხვედრა. ამ შეხვედრაზე აზერბაიჯანის პარლამენტარებმა წამოაყენეს დროებითი ზავის პირობით ქართველთა ჯარის ნითელი ხიდის იქით გადასვლა. ამ პირობის აღსრულება ნიშნავდა ქართველთა სამხედრო ძალების უკან დახევას და მონინააღმდეგე ჯარის ხელში მნიშვნელოვანი ტაქტიკური პოზიციის დაუფლებას.

²² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 11 მაისი, № 103.

ამიტომ ეს მოთხოვნა კატეგორიულად უარყოფილ იქნა²³. 26 მაისს ქართველმა და აზერბაიჯანელმა პარლამენტარებმა მაინც შესძლეს დაედოთ ზავი აზერბაიჯანის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე ერთი კვირის ვადით. ამ ერთი კვირის განმავლობაში ორივე რესპუბლიკის დელეგაციათა შორის ინარმოებდა მოლაპარაკება ზავის შესაკერვლად²⁴.

საქართველოს საზავო დელეგაციის შემადგენლობა ასეთი იყო: დელეგაციის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე. დელეგაციის წევრები: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ მდივანი, გენერალი ანდრონიკაშვილი, აზერბაიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია. მდივნები: დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია²⁵. ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობები აზერბაიჯანის იმ მისიის შემადგენლობის შესახებ, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან. დელეგაციის შემადგენლობაში აზერბაიჯანის მხრიდან შედიოდნენ: სულთანოვი, მეჯიდ ეფენდიევი, რომელიც აღჭურვილი იყო უფლებით აზერბაიჯანის მთავრობის მიერ ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე და დელეგაციის წევრები: პლეშაკოვი, გ. ლომინაძე და მრჩეველები: პროფესორი ტიმოფეევი და საადი²⁶. საზავო მოლაპარაკება საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლებს შორის უნდა გამართულიყო სასაზღვრო ქალაქ აქსტაფაში.

როგორც თბილისის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელი იუნჯეზოდა, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ორივე დელეგაციის შეხვედრა უნდა მომხდარიყო აქსტაფაში 31 მაისს. ქართული დელეგაცია 30 მაისს გავიდა თბილისიდან და საღამოს 6 საათზე უკვე იყვნენ ფოილოს ხიდთან. რადგან აზერბაიჯანის დელეგაცია დანიშნულ დროზე ვერ მოვიდა აქსტაფაში განჯაში მომხდარი ამბოხების გამო, საქართველოს დელეგაციამ აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის სულთანოვისაგან მიიღო ცნობა, რომ აქსტაფაში მოსვლა მას შეუძლია მხოლოდ 3 ივნისს და ამიტომ სთხოვა დროებითი ზავი კიდევ გაგრძელებულიყო 5 დღით, რაც უკვე შესრულდა კიდევ 31 მაისს საქართველოს დელეგაცია თბილისში დაბრუნდა და 2 ივნისს კი ისევ უკან, აქსტაფისაკენ გაემართა. ფოილოს ხიდის მიახლოებისას დელეგაცია მდ. მტკვარზე გადავიდა, სადაც მეორე მხარეზე უცდიდა დელეგაციას აზერბაიჯანის მატარებელი, რომლითაც დელეგაცია აქსტაფაში 3 ივნისს დილის 9 საათზე მივიდა. აქ დელეგაციას შეხვდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები აზერბაიჯანში გ. კ. ალშიბაიას მეთაურობით და აზერბაიჯანის საზავო დელეგაცია თავისი თავმჯდომარით. დილის 11 საათზე გაიხსნა საზავო მოლაპარაკებების პირველი სხდომა, მოხდა მანდატების გაცელა-გამოცელა და აღიარეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენობა და დამოუკიდებლობა. შემდეგ მიიღეს დღის წესრიგი; განსახილველი საკითხები ასეთი სახით იყო წარმოდგენილი: 1. პოლიტიკური; 2. ტერიტორიული, 3. სამხედრო და 4. ეკონომიკური. პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა გრ. ლორთქიფანიძე, დანარჩენებზე კი რიგ-რიგობით. ზემოთ აღნიშნული საკითხები განიხილეს 3,4 და 5 ივნისს. შემდეგ უთანხმოების გამო მოლაპარაკება დროებით შეწყდა. 6 ივნისს აზერბაიჯა-

²³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 23 მაისი, № 113.

²⁴ იქვე, 28 მაისი, № 116.

²⁵ იქვე, 8 ივნისი, № 125.

²⁶ იქვე, 9 ივნისი, № 126.

ნის დელეგაციამ განაცხადა, რომ უნდა მოელაპარაკოს თავის მთავრობას და მოითხოვა დროებითი ზავის გაგრძელება კიდევ ერთი კვირით, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 4 დღით გაგრძელდა, ე. ი. 9 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 8 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს დელეგაცია ისევ გაემგზავრა აქსტაფაში და 9 ივნისს დილის 8 საათზე მას შეხვდა აზერბაიჯანის დელეგაცია, რომლის მეთაურად იყო უკვე მეორე თავმჯდომარე, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუტ ჰუსეინოვი. საზავო დელეგაციამ აღძრა მატერიალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა. განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია ტერიტორიულმა და სასაზღვრო საკითხებმა, რის გამოც მოლაპარაკების დრომ კიდევ ერთხელ გადაინია 11 ივნისის საღამოს 5 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში საბოლოო მიზანს ტერიტორიულ და სასაზღვრო საკითხებში დელეგაციებმა მინც ვერ მიაღწიეს. დროებითი ზავის ვადა აზერბაიჯანის დელეგაციის თხოვნით გადადებულ იქნა 12 ივნისის საღამოს 5 საათამდე. 11 ივნისს 5 საათზე საქართველოს დელეგაციამ აქსტაფა დატოვა, გადმოვიდა ფოილოს ხიდზე და ღამე გაათენა ვაგონებში საქართველოს ტერიტორიაზე. მუშაობა გადაიტანეს საქართველოს ტერიტორიაზე ფოილოს ხიდთან. 12 ივნისს დიდი ხნის კამათის შემდეგ, საბოლოოდ, ყველა საკითხში მიღწეულ იქნა შეთანხმება. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1920 წ. 12 ივნისს, საღამოს 10 საათზე²⁷. საზავო ხელშეკრულება უნდა დაედსტურებინა საქართველოს დამფუძნებელ კრებას 2 კვირის განმავლობაში. ამ მიზნით, ხელშეკრულების ტექსტი უმაღლესე გადაეცა განსახილველად დამფუძნებელ კრებას²⁸.

ეს უკანასკნელი გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ ხელშეკრულების მე-18-ე მუხლში საგანგებოდ იყო აღნიშნული: „ხელშეკრულება ესე ძალაში შედის იმ დროიდან, რა დროსაც ხელი მოწერილი იქნება და დაექვემდებარება რატიფიკაციას; რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ტფილისში ორის კვირის განმავლობაში დღიდან ამ ზავის ხელშეკრულების ხელის-მოწერისა“. საზავო ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ გურგენის ძე მდივანი, გენერალი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, აზერბაიჯანის სსრ სარეოლუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუტ-ჰუსეინოვი²⁹.

1920 წ. 12 ივნისის აქსტაფის საზავო ხელშეკრულებაში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვანტერესებს, თუ როგორ არის მასში წარმოდგენილი ზაქათალის ოლქის საკითხი. VI მუხლი მთლიანად ზაქათალის ოლქისადმია მიძღვნილი. მასში ვკითხულობთ: „საკითხი ზაქათალის ოლქის შესახებ უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრო კომისიას; ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით. ვიდრე ეს საქმე არ გადაწყდება საარბიტრო კომისიაში, არცერთ მორიგებაში მონა-

²⁷ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 16 ივნისი, № 132.

²⁸ იქვე, 15 ივნისი, № 131.

²⁹ იქვე, 29 ივნისი, № 862.

ნილე მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტისა 1920 წ. მაისის 12 თარიღით“. ამ მუხლს ახლავს ორი შენიშვნა. შენიშვნა 1: „ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგენ დელეგაციები ადერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა, როცა შეუდგენენ მოსკოვის 1920 წლის მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლისა და მის დამატებით 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით შეკრულ შეთანხმების პირველი მუხლის განმარტებას; აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ სადაო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა“. შენიშვნა 2: „ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, რათა ოლქში ახალი ჯარის შეყვანა არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკონტროლო კომისია; კომისიაში ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხრიდან“³⁰. როგორც ვხედავთ, აქსტაფის ხელშეკრულების მიხედვითაც, ზაქათალის (საინგილოს) საკითხი კვლავ ღიად, გადაუჭრელად რჩებოდა. მისი VI მუხლი ფაქტიურად იმეორებდა და ძირითადად ემყარებოდა მოსკოვის 1920 წ. 12 მაისის დამატებითი შეთანხმების დებულებებს.

1920 წ. 25 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე დაიწყო აქსტაფის ხელშეკრულების ტექსტის განხილვა და რატიფიკაცია. სხდომაზე საგარეო კომისიის სახელით ამ საკითხის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა აკაკი ჩხენკელი. ჩვენ შევხვებით მისი სიტყვის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ზაქათალის, საინგილოს საკითხს მოიცავდა. იგი აღნიშნავდა: „თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზაქათალის ოლქი საინგილო, შეადგენდა და შეადგენს საქართველოს განუყრელ ნაწილს როგორც ისტორიულად, ისე ეკონომიკურად. მას არსებობა არ შეუძლიან საქართველოს გარეთ. სწორედ ეს ზაქათალა იყო სადავოდ დარჩენილი. რუსეთთან ხელშეკრულების ძალით მოსკოვის მთავრობამ იცნო ჩვენი სრული უფლება ამ ოლქზე და იგი შემოდის საქართველოს ტერიტორიაში, შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, იყო დადებული დამატებითი ხელშეკრულება რუსეთთან და ეხებოდა არა ზაქათალის ოლქს მთლიანად, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ადგილს ოლქისას, რომლის შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო დავა. როგორც ჩვენ მოგვახსენეს კომისიაში ჩვენმა დელეგატებმა, ზაქათალის შესახებ დავა ყოფილა ასეთი: აზერბაიჯანის დელეგატები ამტკიცებენ თურმე, რომ რუსეთთან 12 მაისის დადებულ დამატებით ხელშეკრულების ძალით სადავოდ გამხდარა თითქოს მთელი ზაქათალის ოლქი. 12 მაისის დამატებით ხელშეკრულებაში (მუხლი პირველი) არის ნათქვამი, რომ დავა იმ ადგილებზე (Местности), რომელიც მდებარეობს საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვარზე და ზაქათალის ოლქში, გადაეცემა შერეულს კომისიას, შემდგარს საქართველოს და ადერბეიჯანის რიცხვით თანასწორ წარმომადგენელთაგან; ამ კომისიას თავმჯდომარეობს მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელი. აი, სწორედ დელეგაცია ადერბეიჯანისა მოითხოვდა, რომ თანახმად ამ დამატებითი ხელშეკრულებისა, ეს საკითხი ღიად დაგვეტოვებინა და გადაგვეცა გადასაჭრელად შერეულ კომისიისათვის, ჩვენი დელეგაცია ამაში დაეთანხმა და ეს ჩანს ამ ხელშეკრულებიდან. იქ არის ნათქვამი, რომ დავა ეხებოდა ორ საკითხს: ერთი არის ფორმალური – განმარტება ძირითად და დამატებით ხელშეკრულებისა რუსეთთან, და მეორე არსებითი. მე მივაქცევ

³⁰ გაზ. „ერთობა“, 1920, 27 ივნისი, № 143.

თქვენს ყურადღებას პირველ საკითხს: დელეგაციები ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულებათა განმარტების საკითხში, ვის შეუძლიან განმარტოს ისინი? რასაკვირველია, იმათ, ვინც დადვა, ე. ი. მოსკოვისა და საქართველოს მთავრობებს. ეს წინასწარი საკითხი არის ჩვენთვის უაღრესი საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსკოვის მთავრობა არ გადაუხვევს მის მიერ 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მე-4-ე მუხლი ზაქათალის ოლქს კატეგორიულად მიაკუთვნებს საქართველოს. რაც შეეხება დამატებით ხელშეკრულებას, ეს შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს, პუნქტებს საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვარზე“. დასასრულ ა. ჩხენკელმა დამფუძნებელ კრებას მოახსენა, რომ ადერბაიჯანიდან რუსის ბოლშევიკებმა ზაქათალაში შეიყვანეს ჯარის ნაწილები, რაიც აღკრძალული იყო 12 ივნისის დადებულ ხელშეკრულებით. ა. ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს მთავრობა რაც შეიძლება ჩქარა მოუღებს ბოლოს ამ უნესობას³¹. სიტყვის ბოლო ნაწილში ა. ჩხენკელი კვლავ დაუბრუნდა ზაქათალის საკითხს და თქვა: „რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება მთლად დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით იმით, რაც მე ზაქათალის ოლქის შესახებ მოგახსენეთ, რომლის საზღვრების საკითხი ღიათ რჩება. მაგრამ ნუ ვივინყებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ვერიდებით სისხლის დაქცევას, იქ, სადაც ცოტაოდენი იმედი მაინც არის, რომ უსისხლოდ მოგვარდება სწორედ ზაქათალის საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ. ამისთვის საჭიროა მთავრობის ენერგიული ნაბიჯები“³².

დამფუძნებელ კრებაზე გამოსული ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი ალ. ასათიანი კი აღნიშნავდა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ომში ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა, მან სასტიკად დაამარცხა მტერი, შედეგი კი სულ არ შეეფერებოდა ამ ომს. არცერთი დასახული მიზანი არ განხორციელდა ამ ომში. „ჩვენი საზღვრები ვერ უზრუნველყავით, ვერ აღვადგინეთ ის ისტორიული საზღვრები, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში იყო შექმნილი. ვნახეთ ზარალი, სამაგიეროდ ვერაფერი მივიღეთ. ზაქათალის საკითხი გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია. იგი ეკავა ადერბეიჯანს და არავის არ ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ტერიტორიას მალე დავიბრუნებდით. ის გზა, რომლითაც სურთ გადასწყვიტონ ზაქათალის ბედი უიმედოა. ადერბაიჯანი რუსეთის ნაწილია. ომი შეწყდა, მაგრამ მტკიცე ზავი მაინც არ გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ის, რომ ისეთი დიდი ჯარები, როგორც ამჟამად იმყოფება ადერბაიჯანში, იქ არ დარჩენილიყო“.

სოციალისტ-ფედერალისტმა ს. ფირცხალავამ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ როგორც მოსკოვის, ისე აქსტაფის ხელშეკრულება რუსეთის ორიენტაციის მაჩვენებელია და ეს დიდად საზიანოა ჩვენთვის... წარმოდგენილი ხელშეკრულების დიდი ნაკლია მე-6-ე მუხლი (ზაქათალის ოლქის საკითხს რომ ეხება – თ. პ.), რომელიც ემყარება მოსკოვის ხელშეკრულებას, ის კი ჯერ არ განუხილავს დამფუძნებელ კრებას, ეს კი ნიშნავს დამფუძნებელი კრების უფლებათა შეზღუდვას“³³.

დამფუძნებელი კრების წევრმა რ. ვეშაპელმა თავის სიტყვაში ძირითადი აქცენტი აქსტაფის ხელშეკრულების VI მუხლზე გადაიტანა. იგი ამბობდა: „საინგილო ამ ზავ-

³¹ გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 27 ივნისი, № 143.

³² იქვე, 29 ივნისი, № 144.

³³ იქვე.

მა ვერ მოგვცა, მისი დაკავება არ იყო ძნელი! მარტო ქიზიყის და კახეთის მოხალისეებს შეეძლოთ საინგილოს დაკავება. VI მუხლი ჩვენთვის მიუღებელია. დაყრდნობა რუსეთის ზავზე, რომლის რატიფიკაცია არ მომხდარა შეუძლებელია. შეუძლებელია არბიტრაჟით გადაწყვეტა ამ სადაო საკითხისა, რადგან არბიტრი იქნება რუსეთი და იგი ხომ დაინტერესებული მხარე არის. რუსეთთან დადებული ხელშეკრულება არ არის საიმედო... ზავის შემდეგ მათ ჯარები შეიყვანეს იმ ადგილებში, სადაც ხელშეკრულების ძალით არ უნდა შეეყვანათ³⁴. ყურადღებას იპყრობს დამფუძნებელი კრების წევრის ბ. თივზაიას გამოსვლა. აი, ერთი პატარა ნაწყვეტი მისი სიტყვიდან: „აქ ბრძანებენ, ზაქათალა ჩვენი განუყოფელი ნაწილიაო. ეს მართალია – მაგრამ ზაქათალის მუსლიმანი დეპუტატები ადერბეიჯანის პარლამენტში ისხდნენ. ხოლო ყველა ადერბეიჯანის პოლიტიკური პარტიები მუსავატთან ერთად იძახდნენ: ზაქათალა ადერბეიჯანის უდავო ნაწილიაო. ამ ნაირად, უნინ ეს ორი შეხედულება ერთი ერთმანეთს ეჯახებოდა. ამ ზავის დროს ერთი მოხდა, თვით ადერბეიჯანმა აღიარა სადაოთ ზაქათალის ოლქი“³⁵.

ორატორთა გამოსვლების შემდეგ დამფუძნებელ კრებაზე საპასუხო სიტყვით გამოვიდა აკ. ჩხენკელი. მან შესძლო ზაქათალის ოლქის საკითხის ირგვლივ შექმნილი რთული ვითარების ერთგვარი შემსუბუქება და განაცხადა: „რაც შეეხება ზაქათალის ოლქს, ის მოგეხსენებათ ტფილისის გუბერნიაში არ შემოდიოდა, რასაკვირველია, ეს იყო უსამართლო მოვლენა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ამისათვის ანგარიში უნდა გაგვეწია. დღეს კი იურიდიულად ოლქი შეიქნა საქართველოს ტერიტორიად და თუ დავა იქნება, ის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება“³⁶. საზოგადო მსჯელობის შემდეგ აკ. ჩხენკელმა ნაიკითხა ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მიღებულ და რატიფიცირებულ იქნა.

1920 წლის 12 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აქსტაფაში დადებული საზავო ხელშეკრულება უმაღლეს გახდა ქართველ პოლიტიკოსთა შესწავლის, განხილვისა და მსჯელობის საგანი. იმდროინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში გამოჩნდა მრავალი წერილი თუ სტატია, რომლებშიც მოცემული იყო აღნიშნული ხელშეკრულების შეფასება და ნაჩვენები იყო, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს და ქართველი ერის სრულიად სამართლიან მოთხოვნები. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ გაზეთ „სახალხო საქმე“-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ზავი აზერბაიჯანთან“. მისი ავტორი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავდა, რომ საქართველოს ფაქტობრივად საქმე ჰქონდა არა აზერბაიჯანთან, არამედ საბჭოთა რუსეთთან. მისი სიტყვით, აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულება „თავისი გარეგანი სახით ძლიერ მოგვაგონებს მოსკოვის ზავს, ბ-ნმა უროტაძემ რომ დასდო. რუსეთი ჩრდილოეთის მხრით მოგვირიგდა მაისის 7 თარიღით, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთით მოგვიარა... იგი ხელმეორედ შეგვეკრა ზავით – ამჟამად აღმოსავლეთით უკვე 12 ივნისის თარიღით. ჩვენ რომ რუსეთთან გვექონდა საქმე და არა აზერბაიჯანთან, ჩანს თუნდ იმით, რომ ჩვენს ფრონტზე რუსის ჯარი იბრძოდა და მოლაპარაკების დროსაც გაბატონებული მდგომარეობა

³⁴ გაზ. „ერთობა“, 1920, 29 ივნისი, № 144.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, 1 ივლისი.

ჰქონდათ აზერბაიჯანის დელეგაციის შემადგენლობაში მათ წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ხელის მოწერა, ალბათ აზერბაიჯანლების თვალის ასაბმელად მინდობილი ჰქონდა მაჰმადიან ჰუსეინოვს. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულება არსებითად არის რუსეთთან ხელშეკრულება... ბრძოლის ველზე ჩვენმა მხედრობამ გაიმარჯვა, ამ გამარჯვების შემდეგ უნდა ვცდილიყავით ჩვენი ტერიტორიის საბოლოო ჩამოქმნისა და გამთლიანებისათვის. აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე პუნქტი გვქონდა, რომელიც დროებით, საკითხის საბოლოო გამორკვევამდე აზერბაიჯანს ეჭირა. ჩვენ ამ უკანასკნელის ნდობა გვქონდა, რადგან იგი ჩვენთან სამხედრო კავშირში იყო. მას შემდეგ, რაც მან მუხანათურად გვილაღატა და ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა, ჩვენ სრული უფლება გვქონდა ამის წინააღმდეგ ზომები მიგვეღო და ჩვენი ქვეყანა აღმოსავლეთის მხრით სტრატეგიულად უზრუნველგვეყო. სამწუხაროდ ხელშეკრულების ძალით ერთი დიდი საკითხი, სახელდობრ ზაქათალისა, კიდევ ღიად დარჩა. ზაქათალის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ დამატებითი ხელშეკრულების ძალით, რომელიც რუსეთთან დაიდო ე. ი. არბიტრაჟით, თავმჯდომარეთ იმ კომისიისა, საკითხი რომ უნდა განიხილოს – რუსეთის წარმომადგენელი უნდა იყოს. აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა უარყვეს რეფერენდუმის მოხდენა ზაქათალაში. რეფერენდუმი უარყვეს იმათ, ვინც წარა-მარა სოციალიზმზე და ხალხის ნება-სურვილზე გაჰყვირიან... ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, ზაქათალის საკითხი რაც შეიძლება მალე გადაწყდეს და აგრეთვე იმისათვის, რომ რუსეთის წარმომადგენელი იყოს საკმარისად მიუდგომელი... ზაქათალის ოლქის საკითხი უნდა გადაწყდეს და უნდა გადაწყდეს ჩვენს სასარგებლოდ რაც შეიძლება მალე. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ იქაური მცხოვრებნიც მოუთმენლად მიელიან თავიანთი ბედის გამორკვევას³⁷.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აქსტაფაში 1920 წ. 3-12 ივნისს წარმოებული საზავო მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მთავარი საკითხი შეეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ზაქათალის ოლქის ტერიტორიის კუთვნილების საკითხი. და აი, სწორედ ივნისის ზემოთ აღნიშნულ დღეებში თვით ზაქათალაში ადგილი ჰქონდა მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს. გაზეთი „სახალხო საქმე“ 1920 წ. 11-12 ივნისის ნომრებში იუწყებოდა: „დეპუტათა სააგენტო ფრიად მნიშვნელოვან ამბავს გადმოგვცემს: ივნისის 9-ში ზაქათალაში მომხდარა გადატრიალება. ბოლშევიკების კომისრები დაპატიმრებულია, შეადგინეს ადგილობრივი მთავრობა. მცხოვრებლებმა საქართველოს მთავრობას მიმართეს, რომ მან ზაქათალა დაიკავოს“³⁸. გაზეთი „ერთობა“ უფრო დანვრილებით ინფორმაციას გვანუდის ზაქათალის მხარეში მომხდარი გადატრიალების შესახებ. მასში მოთხრობილია, რომ ჯერ კიდევ 7 მაისს ლაგოდებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოვიდა ზაქათალის მხარის მცხოვრებთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდა 10 ლეკი და 1 თათარი (ერთი მათგანი იყო ქ. ზაქათალის გარნიზონის უფროსი). დელეგაციამ განაცხადა, რომ ზაქათალის მხარის მცხოვრებლებს გადაწყვეტილი აქვთ არ შემოუშვან ბოლშევიკების ჯარები, რომლებიც უკვე კახში შემოვიდნენ და გვთხოვდნენ შეიარაღებული ძალებით დახმარებასო. საქართველოს ძალაუფლების

³⁷ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 19 ივნისი, № 854.

³⁸ იქვე, 11 ივნისი, № 847; იქვე, 12 ივნისი, № 848.

წარმომადგენლებმა მათ მიუგეს, რომ აზერბაიჯანის ბოლშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგების გამორკვევამდე ეს ვერ მოხერხდებოდა. ამის შემდეგ, 9 ივნისს დილის 6 საათზე ერთსა და იმავე დროს მოხდა გადატრიალება ზაქათალში, კობახჩოში, ბელაქანში და სხვ. ადგილებში. დატუსაღებულ იქნა ყველა ბოლშევიკი კომისარი, რომლებიც თათარ-ლექებისაგან შედგებოდნენ. გადატრიალების მოხდენისთანავე აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს ყველას, ვინც ოსმალეთის მომხრე იყო და მართვა-გამგეობა სავსებით ხელში ჩაიგდეს საქართველოს ორიენტაციის მომხრეებმა. 10 ივნისს ზაქათალის მხარის წარმომადგენლები მეორედ მივიდნენ ლაგოდებში და ითხოვეს ქართული შეიარაღებული ძალების შეყვანა საინგილოში. ლაგოდებში მყოფ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ამ ჯერად ასეთი პასუხი გასცეს ზაქათალელთა დელეგაციას: ზაქათალის ოლქზე არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. ხოლო თუ ოლქის მცხოვრებნი აშკარად განაცხადებენ რომ ოლქი საქართველოს ეკუთვნის, მაშინ თანახმად მოსკოვთან დადებული ხელშეკრულებისა, ქართველებს შეუძლიათ ბოლშევიკების ჯარი არ გაატარონ ზაქათალის ტერიტორიაზე. ასეთი პასუხის შემდეგ ბელაქანში მოწვეული იქნა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ზაქათალის მხარის 1500-მდე წარმომადგენელი. ყრილობაზე განაცხადეს: აზერბაიჯანმა გაგვიყიდა და ჩვენ ასეთ მთავრობას არ ვცნობთო, ზაქათალის ოლქის მიწა-წყალი მიგვაჩნია საქართველოს განუყოფელ ნაწილადო.

ამასობაში, XI არმიის 38-ე ცხენოსანთა დივიზია 6 ზარბაზნიდან უშენდა სოფ. გულლუგს, რომელიც ზაქათალიდან სულ 15 ვერსის მანძილზე იყო დაშორებული. ზარბაზნიდან სროლა 10 ივნისის დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე განუწყვეტილად გრძელდებოდა. აჯანყებულმა ზაქათალის მცხოვრებლებმა მოხსნეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდგომი შეიარაღებული ძალები და ვისაც კი იარაღის ხმარების უნარი ჰქონდა ქ. ზაქათალის დასაცავად გაეშურნენ. საქართველოს წარმომადგენლებს მიმართავენ ზაქათალის მცხოვრები ლეკები, ქალი და კაცი, რომელნიც სთხოვდნენ, რომ ქართველთა ჯარი იმ დღესვე შესულიყო ქალაქში. ისინი სავსებით აშკარად აცხადებდნენ, რომ ზაქათალის მცხოვრებთა ერთადერთი იმედი არის საქართველოს მთავრობაო. გაზეთი „ერთობა“ ზემოთ მოთხრობილ ინფორმაციაში ზაქათალის მხარეში მომხდარი გადატრიალების შესახებ, გვანდის აგრეთვე მეტად საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს. მისი მონაცემებით, 1920 წლის ივნისისათვის ზაქათალის ოლქში 23 000 ლეკია, 14 ათასი ინგილო და 11 ათასი თათარი. ლეკები და ინგილოები, ყოველთვის ქართველებთან კარგ განწყობილებაში იყვნენ. საქართველოსადმი მტრული განწყობილება ეტყობოდათ მხოლოდ თათრებს³⁹.

საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობამ XI არმიის სამხედრო ნაწილების დახმარებით ზაქათალაში მომხდარი აჯანყების ჩასახშობად გადამჭრელი ზომები მიიღო. როგორც ეს XI არმიის სარდალ ლევანდოვსკის ბრძანებებიდან ჩანს, ზაქათალის ოლქში შეყვანილ იქნა მრავალრიცხოვანი დამატებითი სამხედრო ძალები აღჭურვილი ძლიერი სამხედრო ტექნიკით. 16 ივნისს აღნიშნული ძალები იერიშზე გადავიდნენ და სასტიკი სისხლიანი ღონისძიებებით დაიწყეს აჯანყების ჩახშობა, განიარაღებული იქნა მთელი ოლქის მოსახლეობა. XI არმიის მონიხავე რაზმები აზერბაიჯან-

³⁹ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 15 ივნისი, № 132.

საქართველოს საზღვრებამდე ჩავიდნენ და დაიწყეს მისი გაძლიერებული დაცვა. 18 ივნისისათვის აჯანყება ზაქათალის ოლქში საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა. დანესდა მკაცრი კონტროლი სიღნაღ-კოვახჩელისა და ბელაქან-ლაგოდეხისაკენ მიმავალ გზებზე. სარდალ ლევანდოვსკის 1920 წლის 7 ივლისის ბრძანებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ხანისათვის აზერბაიჯანის საზღვრებზე საქართველოსთან, ზაქათალის რაიონსა და აგრეთვე წითელი და ფოილოს ხიდების რაიონში, სიმშვიდე სუფევდა⁴⁰.

ზაქათალის მხარეში მომხდარმა გადატრიალებამ, მისი ხასიათისა და არსის გარკვევამ გარკვეული ასახვა ჰპოვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული სტატია. მისი ავტორი წერდა: „უეჭველია კომუნისტები დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ზაქათალაში კონტრრევოლუცია გაჩნდა და შეეცდებიან ისევე მოექცნენ ხალხს, როგორც განჯაში მოექცნენ. რა არის მიზეზი ზაქათალის ამბოხებისა? აქ, რასაკვირველია, მარტო კონტრრევოლუციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. შეიძლება უკვე მომხდარ აჯანყებას მიემატნენ ბეგები და ხანები, მაგრამ თვით მოძრაობა იყო უეჭველად მასიური და არსებითად ნაციონალური... ამის გამო, საქართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს ზაქათალის მცხოვრებთა ხმას. თვით იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც რუსეთთან დავდეთ, ზაქათალა საქართველოს ტერიტორიაა და, როდესაც თვით ხალხი ამას ხმა-მალა აცხადებს, ამის სანინააღმდეგოდ ვერაფერს ვერ შეუძლიან საბუთიანი სიტყვა სთქვას. ეს მხედველობაში უნდა მიიღონ როგორც ჩვენმა მთავრობამ, ისე იმ დელეგაციამ, აზერბაიჯანთან რომ აქვს მოლაპარაკება“⁴¹.

როგორც ზემოთ ვნახეთ, 1920 წ. 12 ივნისს აქსტაფაში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ ვერ გადაწყვიტა საინგილოს ტერიტორიული კუთვნილების საკითხი და მისი შემოერთება კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო. წარუმატებლად დამთავრდა იგი სწორედ ამავე ხანებში ზაქათალის მხარეში მომხდარი გადატრიალების დროსაც, როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობას, რომ მან ზაქათალა დაიკავოს. საბჭოთა აზერბაიჯანმა სისხლში ჩაახშო ეს აჯანყება და საინგილოში აზერბაიჯანისა და XI არმიის შეიარაღებული ძალები განლაგდნენ. ზაქათალის ოლქში ფაქტიურად აზერბაიჯანის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ზაქათალის ოლქში შექმნილი ასეთი არასახარბიელო მდგომარეობის გამო დიდ უკმაყოფილებას და შეშფოთებას გამოთქვამდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქართული მოსახლეობის ინტერესების დამცველი ზაქათალის ოლქიდან რაფიელ ივანიცკი. 1920 წლის 2 დეკემბერს გაზეთ „საქართველო“-ში მან დაბეჭდა წერილი სათაურით „განამებული მხარე“. წერილში სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია თუ რა დამოკიდებულებას იჩენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ზაქათალის ოლქის საკითხისადმი.

რ. ივანიცკი, უპირველეს ყოვლისა, გადაჭრით აცხადებდა, რომ „ზაქათალის ოლქის საკითხს, ქართული საზოგადოება ფუქსავატად მოექცა და თავისი საოცა-

⁴⁰ Интернациональная помощь XI армии в борьбе за победу советской власти в Азербайджане, стр. 67, 70-71, 77-78, 87.

⁴¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 12 ივნისი, № 848.

რი გულგრილობით მმართველ წრეებსაც არ აძლევდა საჭირო ფსიქოლოგიურ სტიმულს ამა თუ იმ საშუალების გამონახვისათვის ამ კუთხის შემოსაერთებლად. ქართულ პრესას, მცირეოდენის გამოკლებით, არ დაუსვამს ზაქათალის ოლქის საკითხი პრაქტიკულ პოლიტიკის რიგში. ჩვენდა სამარცხვინოდ, აღნიშნავდა რ. ივანიცკი, საქართველო-აზერბაიჯანის ომამდე ზოგიერთი მონინავე ინტელიგენტური წრეები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ზაქათალის ოლქი საქართველოს ხელში იმყოფება! ასეთ პირობებში კი, თქმა არ უნდა, ზაქათალის საკითხის პრაქტიკულად დასმავერ გამოიწვევდა შესაფერ პოლიტიკურ ეფექტს და ვერც დააინტერესებდა ფართო მასას. როგორ გინდათ, რომ ზაქათალის ოლქის შემოერთების საკითხი პოპულარულად გვექცია, როდესაც განსაზღვრულ წრეებში ამ განზრახვას იმპერიალისტურ აქტად ჰსახავენ⁴².

ასეთი განცხადების შემდეგ, რ. ივანიცკი გადადის მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის 1920 წ. 12 ივნისს აქსტაფაში დადებული ზავის პირობების განხილვაზე და შეფასებაზე. იგი აღნიშნავს: „როგორც იყო, ზაქათალის საკითხი მოსკოვში დაისვა და 7 მაისის ხელშეკრულების ძალით აღიარებულ იქნა მთელი ოლქი საქართველოს განუყოფელ ნაწილად საზღვრების დეტალური ჩვენებით! როგორც ვიცით, 7 მაისის ხელშეკრულებას დაერთო 12 მაისის „კორექტივი“, რომელმაც სრულიად შეაყირავა უკვე გამოკეთებული ჩვენს სასარგებლოდ საკითხი: ეს მოხდა ბაქოს კარნახით! „კომუნისტურმა“ და „ინტერნაციონალურმა“, „წითელ“ აზერბაიჯანმა შეუთვალა მოსკოვის ამხანაგებს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია მაჰმადიანი მცხოვრებლებით დასახლებული პროვინციის (კურსივი ჩვენია – თ. პ.) საქართველოსთვის გადაცემა! ამისდა მიხედვით მოსკოვმა ზაქათალის საკითხი შეატრიალა და დაადგინა: ზაქათალის ოლქში ზოგიერთი სადავო კუთხეების გამოსარკვევად, დაარსდეს საარბიტრაჟო კომისია მოსკოვის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. მე ხაზგასმით აღვნიშნავ ხელშეკრულების ამ მომენტს, რადგანაც აქსტაფის საზავო მოლაპარაკების დროს სწორედ მოსკოვ-ბაქოს „ქართველი“ რწმუნებულები დაჟინებით „ამტკიცებდნენ“, რომ „ინტერპრეტაცია“ ხსენებული მუხლისა ჰგულისხმობს სადავოდ ზაქათალის ოლქის არა რომელიმე კუთხეს, არამედ მთელს მინა-წყალს! ჩვენმა დელეგატებმა, რასაკვირველია, ვერ გადააჯერეს კომუნისტები თავის „ღრმა რწმენაში“⁴³.

წერილში რ. ივანიცკი საუბრობს აგრეთვე ზაქათალის ოლქში ოსმალური ორიენტაციის არსებობის შესახებაც. იგი წერს: „კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენი დაუდევრობის გამო ზაქათალის ოლქში მაგრად მოიკიდეს ფეხი ოსმალეთის ემისრებმა და ასკერებმა, რომელთა მეოხებით ოლქი სულ ადვილად მიეძღვნა მაშინ მუსავატელ აზერბაიჯანს, – ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი საქართველოს მფლობელობას ნდომობდა, ვინაიდან სამართლიანად სჯიდა, რომ საქართველოსაგან მოწყვეტა ამ დოვლათიან კუთხეს ერთიანად მოჰქონავდა ეკონომიკურად... და როდესაც ზაქათალის ოლქი ნამდვილად გატიილდა აზერბაიჯანის გამგებლობის ორი წლის მანძილზე, მაშინ უკიდურესი

⁴² გაზ. „საქართველო“, 1920, ქრისტეშობისთვე, 2, № 163.

⁴³ იქვე.

პანისლამისტებიც გადაჭრით დაადგინენ საქართველოს ორიენტაციას... დღეს მთელი ზაქათალის ოლქი მოტრფიალდა საქართველოსთან შეერთებისა, მცხოვრებლები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოითხოვენ საქართველოს ხელმწიფების დამკვიდრებას ოლქში მისთვის ავტონომიის მინიჭებით. ასეთი სურვილი ოფიციალურად გამოცხადებულია და გამაგრებულია უეჭვო საბუთებით⁴⁴.

ამის შემდეგ, რ. ივანიცკი ეხება საქართველო-აზერბაიჯანის ომის დროს ზაქათალის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ამბობს: „აზერბაიჯანთან ომის დროს საქართველოს ჯარი ყველა მხრივ შეტევაზე გადავიდა და გადარეკა მტერი; მხოლოდ ზაქათალის ფრონტი აქაც გამონაკლისს წარმოადგენდა და განცვიფრებული ჯარი მთელი ორი თვე გაქვევებული იდგა ლაგოდების პირში მდინარე მაზიმ-ჩაისთან. რათ მოხდა ასე? რომელმა მოტივებმა აიძულა თავდაცვის საბჭო გაეჩერებინა ჯარები?... ვერცერთი სპეციალისტი ვერ დამარწმუნებს, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იყო მისი ჯარების შეჯგუფება მაზიმ-ჩაისთან და არა ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ ნაპირზე – ლელე ყანუ-ყობთან!... მოსკოვის ხელშეკრულება და მისი დამატებითი მუხლები ზაქათალის ოლქს სცნობენ საქართველოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ მიუხედავად ამისა, აი ეხლაც, ამ სტრუქტურების დანერის დროსაც ამ ღვთისა და ხალხისაგან მივიწყებულ მხარეში დაუსჯელად თარეშობენ გაცოფებულ ნითელარმიელები“.

ზაქათალის ოლქის საკითხის ირგვლივ შექმნილი ვითარების დახასიათების შემდეგ რ. ივანიცკი ასეთ კითხვას აყენებს: „რა კეთდება მაინც ზაქათალის ოლქის საკითხის საბოლოო გამორკვევისათვის? სად არის დაპირებული საარბიტრაჟო კომისია მოსკოვის ხელშეკრულებისა? ან აქსტაფის სამშვიდობო მოლაპარაკების საკონტროლო კომისია? ყველა ესენი დავინყებას მიეცა... ოლქის სიმდიდრე კი მიდის და მიდის ნუხა-ველახის ტრაქტით ბაქოსა და მოსკოვის გაუმაძღარ სტომაქში... აქ აღარ გავიმეორებ იმას, თუ რა უამრავი შეცდომები ჩაუდენიათ საქართველოს ხელმძღვანელებს ზაქათალის ოლქის საკითხში და რამდენი საუკეთესო შემთხვევებით არ უსარგებლიათ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ უდიდეს საკითხის გადასაჭრელად... ზაქათალა საყვედურს გვითვლის და სრულიად სამართლიანადაც! ხალხი იძახის: „საქართველომ გაჭირვებაში ყური არ გვათხოვა და არ შეეცადა ჩვენი წყლის დაამებას! ეხლა ჰარაქათ გამოცლილებს აღარაფერი გვაინტერესებს, რაც იქნება, იქნება“⁴⁵.

სტატიის დასასრულს რ. ივანიცკი აღწერს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც საინგილო იყო ჩავარდნილი: „მდიდარ კუთხეს დღეს ველარ იცნობთ: ყველაფერი გაზიდულია და აოხრებული ბოლშევიკებისაგან! ხალხი ნახევრად ამოუღეტილი, გადარჩენილები ილაჯგანყვეტილნი სიკვდილს იხმობენ თავის სახსნელად. საქართველოსკენ ცქერით თვალები დასწყდა ხალხს და ბოლოს იგრძნეს, რომ იმედს არავინ მისცემს მათ“⁴⁶.

როგორც ცნობილია, 1920 წლის ბოლოს დამფუძნებელი კრება შეუდგა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას. საქართველოს დემოკრატიული

⁴⁴ გაზ. „საქართველო“, 1920, ქრისტეშობისთვე, 2, № 163.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე.

რესპუბლიკის ძირითად კანონებში (თავი 11 – ავტონომიური მმართველობა, მუხ-ლი 107) აღნიშნული იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს, სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას, ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმარ-თველობა. ეს კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებში – 1921 წლის 21 თე-ბერვალს⁴⁷. და აი, ამასთან დაკავშირებით, რ. ივანიცკი შენიშნავდა: „მე არ ვიცი, როგორა ჰგრძნობს თავს დამფუძნებელი კრების წევრი ბატონი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც დავალებული აქვს საკონსტიტუციო კომისიის მიერ ამ პარაგრაფის და-საბუთება და დაცვა კრების პლენუმში! არა მგონია კარგი იყოს თვით დამფუძნე-ბელი კრების პრესტიჟისათვის, რომ ის საქართველოს ხელმწიფებას ავრცელებდეს საქართველოსთვის მიუკუთვნებელ ტერიტორიაზე! ორში ერთი: ზაქათალის ოლქი ან ეკუთვნის საქართველოს, ან არ ეკუთვნის“⁴⁸.

მიმოიხილავდა რა იმ ობიექტურ პირობებს და გარდაუვალ გარემოებებს, რომ-ლებზედაც დამოკიდებული იყო საინგილოს, ამ განამებული კუთხის ბედი, რ. ივა-ნიცკი დაასკენდა: „სახელმწიფო უფლების მეცნიერება გვეუბნება: სახელმწიფოს ეკუთვნის ის მიწა-წყალი, რაზედაც ვრცელდება მისი ხელმწიფება! საქართველო ალ-ბათ მოკლე ხანში ცნობილი იქნება ევროპის მიერ იურიდიულად. მე ვშიშობ, რომ იქვე გადასწყდება რესპუბლიკის ტერიტორიის საკითხი და მას მიუჭრიან იმდენ მი-წას, რამდენის დაპატრონება და მოვლა მან შესძლო. შემდგომ წუწუნს საქართვე-ლოს ისტორიულსა და ტერიტორიულ უფლებებზე ყურადღებას აღარავინ მიაქცევს! მაშასადამე, მთელი წყება ფაქტებისა და კარზე აღმართული საფრთხეც ერთთავად ჩაგვიჩინებენ, რომ მიუცილებლად საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ კატეგორიული გადაჭრა ზაქათალის საკითხისა საქართველოს სასარგებლოდ. ახირებულ მდგომარე-ობაში ვართ: ჩვენ ველით, როდის ინებებენ მოსკოვი და ბაქო კომისიების დანიშვ-ნას ზაქათალის ოლქისათვის! ველით მოთმინებით და ისიც ვერ გავგიგია, რომ არც მოსკოვი და არც მით უმეტეს ბაქო არ აჩქარდებიან ამისათვის! განა აზერბაიჯანის კომუნისტები იმდენად სულელნიც არიან რომ ნებაყოფლობით ხელი მოანერონ თა-ვის სასიკვდილო განაჩენს? მაშ, სადღაა გამოსავალი? აზერბაიჯანი არა ჩქარობს, ან რა აქვს ასაჩქარებელი? არ ჩქარობს საქართველოც. მას კი ასაჩქარებელი მოტი-ვები საკმაო გამოენახება“⁴⁹.

1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთე-ულებად. პროექტში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მასში საინგილო ნაგულისხმევია როგორც საქართველოს ტერიტორიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული, მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ზაქათალის ოლქი მოხსენიებულია შემოუერთებელ ტერიტორიად⁵⁰. აღსანიშნავია ისიც, რომ

⁴⁷ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990, გვ. 458-484.

⁴⁸ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., ქრისტეშობისთვე, 2, № 163.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 10.

პროექტი ზოგან ზაქათალის ოლქი აზერბაიჯანის ოკუპაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიად ითვლება⁵¹, ზოგან კი იგი საქართველო-აზერბაიჯანის ნეიტრალურ ზონად არის დასახლებული⁵². პროექტი შეიცავს მეტად უზვ ცნობებს XX ს-ის დასაწყისისა და ათიანი წლების საინგილოს (ზაქათალის ოლქის) ისტორიის შესახებ. აი, რას ვკითხულობთ მასში ზაქათალის ოლქის როგორც ერთ-ერთი ახალი ცალკე სამაზრო ერთეულის შესახებ: „ზაქათალის ოლქი. საქართველოს ოლქიდან შესდგება ცალკე სამაზრო ერთეულისა (ზაქათალისა), გარდა პატარა სექტორის – „ნინამინდორისა“, რომელიც შეუერთდება სილნალის მაზრას. ტერიტორიით და მოსახლეობით ზაქათალის მაზრა შედარებით პატარა ერთეულს წარმოადგენს (ტერიტორია 4000 კილომეტრამდე: მოსახლეობა ადმინისტრაციის ცნობებით ნაჩვენებია 80 000-მდე სული. მაგრამ ნამდვილად აქ მოსახლეობა გაცილებით მეტი უნდა იყოს: ამ ოცდასამი წლის წინად, 1897 წლის საყოველთაო აღწერის დროს, აქ ითვლებოდა 84224 სული; ხოლო ამ 23 წლის განმავლობაში რომ ვივარაუდოთ მინიმალური მომატება, სულ ცოტა 20%, მოსახლეობა აქ 100000 სულს მაინც უნდა სჭარბობდეს).

ყოველ შემთხვევაში ზაქათალის ოლქის სხვანაირად მოწყობა შეუძლებელია მისი განცალკევებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ზაქათალის მაზრა ეკონომიკურად შემძლე ერთეულს წარმოადგენს და მიუხედავად შედარებით სიპატარავისა, თავისუფლად შესძლებს საერობო მეურნეობის გაძლოლას⁵³.

პროექტი გვანდის საყურადღებო ინფორმაციას აღნიშნული ხანის ზაქათალის ოლქის მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ. ამ მიმართებით მასში მოტანილია მეტად საგულისხმო ფაქტები. აი, ეს მონაცემებიც: „ზაქათალის ოლქში ვიდრე იმ ხაზამდე, სადაც უნდა დაიდოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (მდ. ყაშყა-ჩაის ხეობამდე) 1908 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით ითვლება 69825 სული მცხოვრები; 1917 წლისთვის უნდა ვივარაუდოთ (+10%) 76808 სული. მოსახლეობს ოთხი ხალხი: 1) ჭარელები (ლეკის ცალკე ტომია, ენით ნათესაობა აქვთ ავარიელებთან); 2) ნეხურელები (ესენიც ლეკის ტომთა ჯგუფს ეკუთვნიან, ცალკე ენა აქვთ); 3) მულალები (გათურქებული მონგოლები) და ქართველები-ქრისტიანები და მუსლიმანები (ინგილოები).

ეთნოგრაფიული კლასიფიკაცია მოსახლეობისა ადმინისტრაციის 1908 წლის სტატისტიკით ვერ არის სისწორით წარმოდგენილი (ლეკის ტომები ნაჩვენებია ერთად, ქართველი მუსლიმანები მითვლილია მულალებთან და ლეკებთან და სხვ.). 1908 წლის სტატისტიკით ნაჩვენებია თითოეული სოფლის მოსახლეობის რიცხვი ცალკე. ამიტომ შესაძლო ხდება თითოეული ეროვნების რიცხვის ზედმინევენით გამოანგარიშება. კერძოდ, ქართველებით დასახლებულია 29 სოფელი; ქრისტიანი ქართველების სოფლებია: კაკი, მეშაბაში, დიდი ალათემური, პატარა ალათემური, ბაზართალა, საკანი, ყარამეშა, ქემ-გუთანი, ხარაბ-თალა, ალიბეგლო, ქოთუქლო, ყორალანი (ამ უკანასკნელში ნახევარი მოსახლეობისა მუსლიმანი ქართველებია);

⁵¹ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), გვ. 76, 92.

⁵² იქვე, გვ. 98, 102.

⁵³ იქვე, გვ. 44.

მუსლიმანი ქართველების სოფლებია: ალიაბათი (ანუ ელისენი), სოსკანი, მარსანი, ლალა-ფაშა, ჩუდულო, ძაგამი, თასმალო (რამდენიმე კომლი ქრისტიანი ქართველიც ურევია), შოთაყარი, ბაბალო, ვერხვიანი, ჰენგვიანი, მოსული, ფადარი, ყანდარი, ყაფა-ნახჩი, ითი-თალა (ძაღლის ხევი).

ამ სიის მიხედვით ზაქათალის ოლქში ქართველობა ითვლება: ქრისტიანი ქართველები 4689 სული. მუსლიმანი ქართველები 14178 სული, ხოლო სულ 19.178, რაც შეადგენს მთელი ოლქის მოსახლეობის სრულს 25%-ს;

დანარჩენი ეთნოგრაფიული ჯგუფები ითვლება: ქარელები 32764 სული (42,6% მთელი მოსახლეობისა); ნეხურელები 12633 სული (16,5%); მულალები 12.233 სული (15,9%)⁵⁴.

პროექტში ცალკეა წარმოდგენილი ზაქათალის ოლქის, როგორც საქართველოს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის (მაზრის) ეთნოგრაფიული შემადგენლობა 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით. ამ მხრივ ჩვენს წინ ასეთი სურათი იშლება: „ზაქათალის ოლქი. სივრცე (კვადრატ. კილომეტრებით) – 3946; მკვიდრი მოსახლეობა 1917 წ. სოფლებში 76808, ქ. ზაქათალაში 1508. სულ ოლქში 78316. ქართველები – სოფლებში 19178, ქ. ზაქათალაში 204, სულ ოლქში 19382; სომხები ქ. ზაქათალაში 571; თურქები – სოფლებში 12233; რუსები ქ. ზაქათალაში 204; სხვადასხვა პატარა ჯგუფები (ლექები) – სოფლებში 45327; ქ. ზაქათალაში 529⁵⁵.

1920 წლის დეკემბრის ბოლოს ზაქათალის ოლქში კვლავ ადგილი ჰქონდა საბჭოთა ჯარების გაძლიერებას, გადაჯგუფებას და საერთოდ დამატებითი სამხედრო შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის ფაქტებს. ამის თაობაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. საბახტარიშვილმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ჰუსეინოვს. მასში აღნიშნული იყო, რომ ზაქათალის ოლქში ხდება საბჭოთა ჯარების გაძლიერება, რის გამოც ირღვევა აქსტაფის ხელშეკრულების მე-6 მუხლი. ანალოგიური შინაარსის საპროტესტო ნოტა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის სფსრ სრულუფლებიან წარმომადგენელს თბილისში, ბ-ნ შეიმაწს 1920 წლის 24 დეკემბერს. მასში ნათქვამი იყო შემდეგი: „მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის ძალით რუსეთმა იკისრა ვალდებულება ეცნო საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში სხვა ადგილთა შორის აგრეთვე ზაქათალის ოლქიც. ამავე ხელშეკრულების 12 მაისის დამატებითი შეთანხმების 1 და 2 მუხლისა და 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე, აგრეთვე ზაქათალის ოლქშიაც, სადაო ადგილთა საკითხი, უნდა გადაიჭრას ცალკე შერეული კომისიის მიერ, ხოლო ვიდრე ეს კომისია ამ საკითხს გადაწყვეტს, ორთავე მხარემ მიიღო საურთიერთო მოვალეობა არ გააძლიეროს ამ ოლქში თავისი სამხედრო ნაწილები ახალი რაზმების შეყვანით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ცნობებით ზაქათალის ოლქის საზღვრებში, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა აშკარა დარღვევით, გრძელდება გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია

⁵⁴ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), თბ., 1920, გვ. 58-59.

⁵⁵ იქვე, გვ. 72-73.

საბჭოთა ჯარების და ამავე დროს იმავე ოლქის სოფ. ბელაქნის რაიონში სწარმოებს ტოპოგრაფიული ზომვა. კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნა პირველ იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა. ყველა ეს ცნობა ძირითადად განსხვავდება თქვენს მიერ რსფსრ მთავრობის სახელით მრავალჯერ განცხადებული რწმუნებისაგან, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი მთავრობა მიისწრაფვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებისკენ და რომ საქართველოს საზღვრებთან სამხედრო ძალის თავმოყრისა და კონცენტრაციის შესახებ ყველა ცნობა საფუძველს მოკლებულია. ამის გამო, ვაცხადებ, რა გადაჭრით პროტესტს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა ასეთი დარღვევისა და იმ ზომების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან ადგილობრივ მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობას. ვინაიდან მათი არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს საქონელი და ჭირნახული; ჩემის მთავრობის დავალებით მოვითხოვ აღნიშნულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ გაუქმებას და გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ შედეგი ამ მომართვისა ჩემის მთავრობისათვის მოსახსენებლად". ნოტას ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ კ. საბახტარიშვილი⁵⁶.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის კ. საბახტარიშვილის ნოტას აზერბაიჯანის მთავრობისადმი მალე მოჰყვა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ჰუსეინოვის პასუხი (ბაქო, 1921 წ. 4 იანვარი). აი, რას აცნობებდა ს. ჰუსეინოვი კ. საბახტარიშვილს: „თქვენი ნოტის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ შეკრებილი დანვრილებითი ცნობების თანახმად ყოველგვარ ფაქტიურს საფუძველს არის მოკლებული თქვენი ცნობა იმის შესახებ, ვითომ ზაქათალის ოლქში საბჭოთა ჯარების გაძლიერება და გადაჯგუფება ხდებოდეს და დარღვეული იყოს აქსტაფის ხელშეკრულების მე-6 მუხლი. ხსენებულ ოლქში ამ უამად ჩვენი ჯარის რიცხვი პირიქით იმაზე ცოტაა, რამდენის ყოლაც შეგვიძლიან მოსკოვისა და აქსტაფის ხელშეკრულების ძალით. რაც შეეხება იმ მზრუნველობას, რომელსაც თქვენი მთავრობა იჩენს ზაქათალის ოლქისადმი, სადაც თითქოს ჩვენ მიერ წარდგენილი იყოს ისეთი მოთხოვნები, რომელიც მათ კეთილდღეობას არყევდეს, ამას ჩემი მთავრობა სთვლის ყოვლად დაუშვებელ ჩარევად ადერბეიჯანის შინაურ საქმეებში. ადერბეიჯანის მუშები და გლეხები, რომელთა ხელშიაც არის სრული ძალაუფლება მთელის რესპუბლიკის საზღვრებში არ საჭიროებენ უცხოელ დამცველთ. ადერბეიჯანის სარეგულაციო კომიტეტი, რომელიც თავისი ქვეყნის ყველა მშრომელთა ნდობითაა მოხილი, დარაჯად უდგას თავის მოქალაქეთა ინტერესებს და მოვალედ სთვლის თავის თავს, განაცხადოს მკაცრი პროტესტი იმ განზრახვების გამო, რომელსაც შეუძლიან ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის არასასურველი გართულების გამოწვევა. ამგვარი საქციელი თქვენის მთავრობისა მხოლოდ ერთს განცვიფრებას იწვევს აზერბაიჯანის მმართველობის სათავეში მყოფ მუშებსა და გლეხებს შორის". პასუხს ხელს აწერს საგარეო კომისარი ჰუსეინოვი⁵⁷.

როგორც ვხედავთ, ჰუსეინოვის პასუხში მთლიანად უგულვებელყოფილი და უარყოფილია საქართველოს მთავრობის საპროტესტო ნოტაში მოტანილი ყველა ფაქტი.

⁵⁶ გაზ. „საქართველო“, 1920 წ. ქრისტეშობის თვეს 28, № 277.

⁵⁷ „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ. 7 იანვარი, № 5.

ამის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იძულებული შეიქმნა 1921 წ. 12 იანვარს ხელმეორე საპროტესტო ნოტა გაეგზავნა აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა კომისარ ს. ჰუსეინოვისათვის. აი, ამ ნოტის შინაარსი: „პასუხად №1094 თქვენი ნოტისა, რომლითაც თქვენ უარყოფთ ზაქათალის ოლქში საბჭოთა ჯარის კონცენტრაციის ფაქტს, მე საჭიროდ მიმაჩნია, თანახმად შემონმებული ცნობებისა, ერთხელ კიდევ დავადასტურო, რომ ზაქათალის ოლქის ფარგლებში აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლის აშკარა დარღვევით უკანასკნელ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქო-ლიაქის გზით შეყვანილ იქნა ჯარის ახალი ნაწილები, გარდა იქ უკვე მყოფ მე-11 ლაშქრის მე-20 დივიზიის ნაწილებისა. რაც შეეხება თქვენს განცხადებას თითქოს სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს ცნობები ამ ოლქის მცხოვრებთადმი მათი კეთილდღეობის დამრღვევ მოთხოვნილებათა წამოყენების შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნო, რომ ხელმეორედ შემონმებული ფაქტები ადასტურებენ ჩემ მიერ №11258 ნოტაში მოყვანილ ცნობებს. თქვენ განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩემი მთავრობის მიერ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა წარმოადგენს აზერბაიჯანის სსრ შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევას, ჩემი მთავრობა სთვლის ისეთ განცხადებად, რომელიც ეწინააღმდეგება აქსტაფისა და მოსკოვის ხელშეკრულებათა აზრს. აქსტაფის ხელშეკრულების მე-6 მუხლი ითვალისწინებს ზაქათალის კითხვის გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიის დაარსებას. თანახმად მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების პირველი მუხლისა, ამავე დროს თანახმად მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირდაპირი აზრისა, კითხვა ზაქათალის ოლქის კუთვნილების შესახებ არავითარ ეჭვებს არ იწვევს და მხოლოდ ამ ოლქის ფარგლებში სადავო ადგილთა კითხვა უნდა გადაეცეს გადასაწყვეტად შერეულ კომისიას თანახმად მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების პირველი მუხლისა, რომელსაც გულისხმობს აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, ხოლო ამ კითხვის გადაწყვეტამდე ზაქათალის ოლქის საზღვრებში დატოვებულ იქნა, როგორც აზერბაიჯანის, აგრეთვე საქართველოს ჯარის ნაწილები. ამიტომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ მზრუნველობის გამოჩენით საქართველოს მთავრობა ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სხვის საქმეებში ჩარევად და არ უნდა იწვევდეს არავისი მხრით გაუგებრობას. დასასრულ, ჩემს მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანის სსრ მთავრობის ყველა ზემო აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს შორის დადებულ აქსტაფის ხელშეკრულების თვალსაჩინო დარღვევას და ძირიანად ეწინააღმდეგება კეთილმეზობლობისა და მეგობრობის პრინციპებს, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ხელშეკრულებას“. ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ საბახტარიშვილი⁵⁸. სწორედ ამავე ხანებში (1921 წ. იანვარი), როდესაც საქართველოს მთავრობამ საბჭოთა აზერბაიჯანს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1921 წლის 19 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის წერილი სათაურით „ვისია ზაქათალა?“ იგი იწყებოდა ასეთი სიტყვებით: „ზაქათალის თემს ადერბეიჯანის თათრები გვედავებიან. ამ დავას ქართველი ბოლშევიკებიც იწყებენ; გაზ. „კომუნისტის“ მუხანათებმა ამ საკითხის გარშემო გან-

⁵⁸ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ. 14 იანვარი, № 9.

გაში ასტეხეს; ისინი ისეთ ყალბ ცნობებს ავრცელებენ, რომლებიც სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს". ამის შემდეგ, ზ. ჭიჭინაძეს მოაქვს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები საინგილოს ისტორიული წარსულის შესახებ, რომელნიც აშკარად მოწმობდნენ და მიუთითებდნენ იმაზე, რომ ზაქათალის მხარე წარმოადგენდა საქართველოს ორგანულ და განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ამ უტყუარ ცნობებზე დაყრდნობით ზ. ჭიჭინაძე დაასკვნია: „ზაქათალა არის კახეთის თემი... ქართველების საკუთრება, აქ არის დაშენილი ქართული ძველი ეკლესიები, რომლებიც ნაშენებია ქრისტიანობის მიღების პირველივე საუკუნეებში, აქ სოფლებს, მთებს, ტყეებს და ყოველივე კუთხეს ეწოდება ქართული სახელები. ბოლშევიკებმა უნდა იცოდნენ ისტორია და ჰქონდეთ გაგება იმისა, რასაც სჩემობენ... და დღეს თუ საქართველოს მთავრობა ადერბეიჯანის მთავრობას ზაქათალას და მის თემს ართმევს, ესენი ართმევენ თავიანთ მამა-პაპეულის საკუთრებას, თავიანთ სამშობლო საქართველოს ტერიტორიას და არა ადერბეიჯანის საკუთრებას“⁵⁹.

როგორც მოსალოდნელი იყო, იმდროინდელმა ქართულმა გაზეთებმა მრავალი წერილი უძღვნეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას აზერბაიჯანისა და რუსეთის მიმართ ზაქათალის ოლქის მდგომარეობის შესახებ. გაზეთები აღნიშნავდნენ ზაქათალის ოლქის მნიშვნელობას საქართველოსთვის, აზერბაიჯანის სრულიად გაუგებარ პრეტენზიებს ამ ოლქზე, ოლქის მცხოვრებლების კატეგორიულ სურვილს საქართველოს ფარგლებში შემოსვლისათვის და რუსეთის გადაწყვეტილებას ზაქათალის ოლქის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ. ასე მაგალითად, გაზეთ „სახალხო საქმის“ მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: „ზაქათალის ოლქი ერთის მხრივ საქართველოს ტერიტორიად ითვლება, ხოლო მეორე მხრივ სადაოდაა გამოცხადებული. აქ შეიძლებაოდა საკითხის იმ მეთოდით გადაწყვეტა, რომელიც ყველა სოციალისტისათვის მისაღებია – რეფერენდუმით. მაგრამ კომუნისტებმა ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამით თავიდანვე აღიარეს, რომ ეშინიათ თვით ოლქის მცხოვრებთა მსჯავრისა. ეს კუთხე ეკონომიკურად, გეოგრაფიულად და ისტორიულად ყოველთვის საქართველოსი იყო და არის დღესაც. ზაქათალას უსაქართველოდ ცხოვრება არ შეუძლია და მიუხედავად ამისა იგი ხელოვნურად დაუშორებიათ დედა ქვეყნისათვის და სხვადასხვა პერტურბაციას განაცდევინებენ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ზაქათალის ბედი მალე გამოირკვეს. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აზერბაიჯანის და რუსეთის მთავრობა არღვევენ შეთანხმებას და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით აკრძალულია, აძლიერებენ თავიანთ ჯარს ამ კუთხეში, განაგებენ როგორც თავის უდაო ტერიტორიას... საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაისვას ეს საკითხი და ზაქათალის ოლქის ბედი საბოლოოდ გადასწყდეს თანახმად რუსეთთან დადებული ხელშეკრულების პირვანდელი ტექსტისა, ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისა – იგი უნდა შევიდეს, როგორც უდაო ნაწილი, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში“⁶⁰.

ამავე საკითხების შესახებ გაზეთ „ერთობის“ მეთაურ სტატიაში დაბეჭდილია: „საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის შეიკრა ზავი, რომ-

⁵⁹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ. 19 იანვარი, № 13.

⁶⁰ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 29 აპრილი, № 813, გვ. 2.

ლის ერთი მუხლის ძალითაც ზაქათალაში არცერთმა მხარემ არ უნდა გააძლიეროს სამხედრო ნაწილები. საქართველო პირნათლად ასრულებს ამ პირობას მაგრამ სამ-
ნუხაროდ, აზერბაიჯანის მთავრობის მხრით სრულიად არ ვხედავთ ამ პირნათლო-
ბას. პირიქით, იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს დადებულ ხელშეკრულებას.
იგი ზაქათალაში აძლიერებს ძალებს, ახდენს კონფისკაციას, რეკვიზიციას, მცხოვ-
რებთ ადებს კონტრიბუციებს და ქონებრივად აჩანაგებს მათ, არავისთვის საიდუმ-
ლოებას არ შეადგენს, რომ საბჭოთა რუსეთთან დადებულ 7 მაისის ხელშეკრულე-
ბის თანახმად ზაქათალა საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდეს, ამიტომ არავის
არ უნდა უკვირდეს, თუ აზერბაიჯანის ჯარების მიერ ზაქათალის მოსახლეობის აკ-
ლება საქართველოს მხრით იწვევს ენერგიულ პროტესტებს... ჩვენი რესპუბლიკის
მთავრობამ საპროტესტო ნოტა აღნიშნულ გარემოების გამო მოსკოვის მთავრობა-
საც გაუგზავნა და ჩვენ სრული საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მოსკოვის
მთავრობა სწორ გზას უჩვენებს თავის უმცროს მოკავშირე რესპუბლიკას – აზერ-
ბაიჯანს“⁶¹.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას აზერბაიჯანისა და რუსეთის
მთავრობების მიმართ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი
კომიტეტის ორგანო გაზეთი „საქართველოც“ გამოეხმაურა. 1920 წ. 29 დეკემბრის
ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ნოტა ზაქათალისათვის“. მასში ნათქვა-
მია: „მთავრობამ მეტის მეტი დაგვიანებით ხმა ამოიღო ზაქათალის ოლქში რუს-აზერ-
ბაიჯანელ ბოლშევიკების მიერ შექმნილ ჯოჯოხეთურ მდგომარეობის წინააღმდეგ.
ის რაც ითქვა გუშინ გამოქვეყნებულ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
ნოტაში რუსეთისა და აზერბაიჯანის სახელზე, უნდა თქმულიყო და დაწერილიყო
ყოველ დღე მაისიდან დაწყებული, რადგან იმ დღიდან დაწყებული დღევანდლამდე
ზაქათალის ოლქში ყოველ წამს ითელეობდა ხალხის ინტერესები და საქართველოს
სახელმწიფოს ღირსება... ყოველად შეუძლებელია აღნუსხვა იმ უამრავ ბოროტმოქ-
მედებათა, რომელნიც რუს-აზერბაიჯანის უზურპატორებმა სხვადასხვა დროს და
სხვადასხვა სახით ჩაიდინეს ზაქათალის ოლქში! ვერავინ მოსთვლის მსხვერპლს ამ
ავაზაკებისათვის შეწირულს! ვერც დაითვლება ის ზარალი, რომელიც მათგან მიე-
ყენა ოლქის მცხოვრებლებს: მთელს კავკასიაში ყველაზე მდიდარი და მოსავლიანი
ქვეყანა დღეს მათხოვრებითა და სულმიხდილ ადამიანებით არის დასახლებული!
უხვი და დოვლათიანი მხარე დღეს უდაბნოდ არის ქცეული. მოსკოვისა და ბაქოს
გამგებლების კისრები უნდა იზნიქებოდეს იმ აურაცხელი ცოდვებით, რაც რუსეთსა
და აზერბაიჯანს მიუძღვით განამებულ საინგილოს მიმართ.

ბოლშევიკურ რუსეთმა ზაქათალის მაგალითით ბრწყინვალედ დაამტკიცა თა-
ვისი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მხარე: უპირობა და ფლიდობა! სხვანაირად
როგორ უნდა გავიგოთ იმ ადამიანების მოქმედება, რომელნიც ხელს გინერენ დოკუ-
მენტებზე, ოფიციალურად აღგითქვამენ ტერიტორიის ხელუხლებლობას, თვითონ
„გეხმარებიან“ მიწა-წყლის ამოხაზვაში და რომელნიც იმავე დროს სულ ერთიანად
ანიავებენ თავის ნათქვამს, ნაწერს და გატყუილებენ თვალდათვალ?!... ჩვენს მთავ-
რობას წინადაც აურიცხველი საბუთები ჰქონდა ბოლშევიკების აშკარა მოღალატურ
მოქმედების შესახებ ზაქათალის ოლქში და აქამდისაც უნდა აღემალლებინა საქართ-

⁶¹ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 27 ივნისი, № 243, გვ. 2.

ველოს საპროტესტო ხმა! საქართველოს მმართველი წრეები, იქნებ იმის მოლოდინში იყვნენ ამ ხნობამდე, რომ ზაქათალის ოლქის მძარცველნი „ერთ მშვენიერ დღეს“ „მორჯულებდებოდნენ“ და შეიგნებდნენ თავის მოქმედების საზიზღრობას! ჩვენი მთავრობა „ითმენდა“ და სულგრძელად ელოდებოდა, როდის ინებებენ მოსკოვი და ბაქო ვალდებულების შესრულებას, როდის დანიშნავდნენ საკონტროლო ან საარბიტრაჟო კომისიებს, როდის გასწმენდნენ ზაქათალის ოლქს თანახმად მოსკოვ-აქსტაფის ხელშეკრულებისა წითელი ურდოებისაგან და ბოლოს როდის იცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებებს ალაზნის გაღმა მხარეზე?! ამაო ლოდინში სულ ერთიანად გატიალდა ოდესლაც აყვავებული სიუხვით სავსე ქვეყანა, ადგილობრივ მკვიდრთა ნაშრომი გადავიდა ბაქო- მოსკოვში.

დადგა ახალი პერიოდი: ბოლშევიკების ჯარები გარს უვლიან საქართველოს სანაპიროებს! საქართველოს ირგვლივ ცა იკუმშება! ჩამონვა შავბნელი ნისლი. ახმაურდნენ წითელ არმიელები: ყაზახის მაზრა რუსეთის ჯარების ნამდვილ ბანაკად გადაიქცა! ზაქათალის ოლქის მტაცებლებსაც საქმე აღმოუჩინეს! ზაქათალის გლეხის ნაოფლარით გამძღარი რუსი-ბოლშევიკი ეხლა სამხედრო ოპერაციებში ჩააბეს: ჯერ-ჯერობით ის სასანგრე და ტოპოგრაფიულ მუშაობას ეწევა და იცით სად? სწორედ საქართველოს ეხლანდელი მიჯნის „ცხვირწინ“... ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი პროტესტს უთვლის მოსკოვ-ბაქოს მთავრობებს ყველა ამ უცნაური ამბების გამო... მაგრამ რა გამოვა ამ პროტესტიდან? მოსკოვმაც და ბაქომაც დიდი ხანია ყური მოიმძიმეს საქართველოს მხრისკენ. მოსკოვი და ბაქო საქართველოს კონფლიქტში ინვევენ: ბელაქანში წერაქვის ჩახუნნი ასე გვესმის ჩვენ...“⁶².

ზემოთ მოტანილ წინასწარმეტყველურ სიტყვებს გაზეთი „საქართველო“ 1920 წლის 29 დეკემბერს წერდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ამ პერიოდისათვის აშკარად ჩანდა, რომ საინგილოს საკითხის ირგვლივ მეტად არასახარბიელო ვითარება იყო შექმნილი. საქართველოს მთავრობის ბრძოლას ზაქათალის ოლქის შემოერთებისათვის წარმატების პირი არ უჩანდა. როგორც ვნახეთ, 1920 წ. 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა ბოლშევიკ-პოლიტიკოსებმა, ბუნებრივია, არ აწყენინეს თავიანთ ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი კი ის იყო, რომ იმავე წლის 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმებისა და 12 ივნისს საქართველო-აზერბაიჯანს შორის აქსტაფაში დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ზაქათალის ოლქი სადავო ტერიტორიად ჩაითვალა. ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადანყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ჯარების ახალი კონტინგენტი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც 12 მაისს და 12 ივნისს იქ იმყოფებოდა. ასეთი შეთანხმება ერთობ ნამგებიანი იყო საქართველოსთვის, რადგანაც ზაქათალაში ამ დროს მხოლოდ

⁶² გაზ. „საქართველო“, ქრისტეშობისთვის 29, 1920 წ. № 178.

XI არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და საქართველოს აღარ შეეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. გარდა ამისა, თუ კომისია საკითხს განიხილავდა, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, რადგან იგი უთუოდ აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით საქმე საქართველოსთვის საზიანოდ გადაწყდებოდა. აი, ასე წარუმატებლად დამთავრდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა ძირძველი ქართული ისტორიული მიწა-წყლის კაკ-ელისენის (საინგილოს) შემოერთებისათვის. ამის შემდეგ კი, სულ მალე, ახდა გაზეთ „საქართველოს“ წინასწარმეტყველება. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აქციის შედეგად საქართველოს თავისუფლება მოესწრაფა. აღნიშნულ ფაქტს თუ მივცემთ სამართლებრივ შეფასებას ეს იყო შეიარაღებული ინტერვენცია, ოკუპაცია და ანექსია⁶³.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა. ამ მხრივ სომხეთი და აზერბაიჯანი განსაკუთრებით აქტიურობდნენ. საქართველოს მიმართ ორთავენი პრეტენზიებს აცხადებდნენ და გარკვეული ტერიტორიების დათმობას მოითხოვდნენ. ამას ხელს მცდარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებაც უწყობდა, რომელსაც ბოლშევიკები რესპუბლიკების საზღვრების მიმართ ახორციელებდნენ. საქართველოს კომუნისტები ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხს ე. წ. „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პრინციპის თვალსაზრისით წყვეტენ. ისინი თითქმის ივინყებდნენ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ პრინციპს და წინა პლანზე აყენებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ხალხებს შორის ვითომდა „მეგობრული თანამშრომლობის“ განმტკიცების მიზნებს, ამ „ხალხთა ინტერესების“ დაცვის იდეას. იმ ეტაპზე ფაქტობრივად რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად ნაიშალა. ეს მომენტი შესანიშნავად გამოიყენა აზერბაიჯანმა და ამ მხრივ მან სათანადო ნიადაგის მოსინჯვაც კი დაიწყო. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1921 წ. 1 მარტს აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის სახალხო კომისარმა და ამავდროულად აზერბაიჯანის საგანგებო წარმომადგენელმა მოსკოვში, ბეიბუდ შახტახტინსკიმ, რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ლენინს წერილი გაუგზავნა. წერილში ბეიბუდ შახტახტინსკი ლენინს მოახსენებდა, რომ მთელს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობების შექმნა და მათ შორის სადავო ტერიტორიული საკითხების გადაჭრა, რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების მოგვარება განსაკუთრებით დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იმ ტერიტორიებზე, სადაც შერეული მოსახლეობა იყო. აქ ბ. შახტახტინსკის აზრით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარება თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ზოგიერთი რესპუბლიკისათვის უფრო ხელსაყრელი იყო სხვა, ახალი, „პრინციპების“ გამოყენება: ისტორიული უფლებები, ეკონომიკური პირობები, სახელმწიფო საზღვრების დაცვა, ბუნებრივი საზღვრების პრინციპი და

⁶³ შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.), თბ., 1998, გვ. 16.

სხვ. მაგრამ, ბ. შახტახტინსკი იქვე დასძენდა, რომ ამ პრინციპების პრაქტიკულად განხორციელებამ შეიძლება რომელიმე ამ რესპუბლიკათაგანის დაჩაგვრა, უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვიოს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ამ სადავო ტერიტორიული საკითხების გადანყვეტისათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ და მისაღებ ფორმად ბ. შახტახტინსკის მიაჩნდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ, კავკასიის რესპუბლიკად გაერთიანება და მისი შესვლა რუსეთის ფედერაციაში. წერილს თანდართული ჰქონდა ცნობები ამიერკავკასიის სადავო ტერიტორიების შესახებ. ერთი მხრივ ეს იყო: ზაქათალის ოლქი, სიღნაღის მაზრა, ყარაიაზის ველი, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრები, რომლებიც წარმოადგენდნენ დავის საგანს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. ხოლო მეორე მხრივ ეს იყო: ყოფილი ელიზავეტოპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრა, ყარაბაღი, ნახიჩევანის და ზანგეზურის მაზრები, რომლებიც წარმოადგენდნენ დავის საგანს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის⁶⁴. როგორც ვხედავთ, ბ. შახტახტინსკი სადავო სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებს განიხილავდა ამიერკავკასიის ხალხების „ინტერნაციონალური სოლიდარობის“ პრინციპის თვალსაზრისით. არსებითად იგი გვთავაზობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებულ სადავო ტერიტორიული საკითხების არა გადაჭრას, არამედ მათ ხელოვნურ ლიკვიდაციას თვით რესპუბლიკებთან ერთად.

ბ. შახტახტინსკიზე უფრო შორს წავიდა იმავე აზერბაიჯანის სსრ რევკომის თავმჯდომარე ნარიმან ნარიმანოვი. 1921 წლის მაისში ერთ-ერთ კრებაზე ნარიმანოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კომუნიზმის დროს საზღვრები წაიშლება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორისო.

ამ ანტიეროვნულ შეხედულებას დასაბუთებული პასუხი გასცა შ. ნუცუბიძემ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „საზღვრების წაშლა“. იგი წერდა: ამხ. ნარიმანოვს განუცხადებია ერთ-ერთ კრებაზე, რომ კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორისო. ეს განცხადება პირდაპირ გაუგებარია. რას ნიშნავს საზღვრების წაშლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის? სად წერია, ან ვინ დაამტკიცა, რომ კომუნიზმი და სახელმწიფოების საზღვრების წაშლა ერთი და იგივეა. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორც ასეთს მას აქვს და მომავალშიც უნდა ჰქონდეს ყოველივე ნიშანი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. ენა, ტერიტორია და საზღვრები და სხვ. რას ნიშნავს სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არ აქვს... როდესაც საზღვრების მოშლაზე ლაპარაკი, გაურკვეველია რომელ საზღვრების გაუქმებას უკავშირებს კომუნიზმს ამხ. ნარიმანოვი... რა კავშირია კომუნიზმსა და საზღვრების წაშლის შუა. სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული ხომ არაა, ის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობს და სხვაგვარად არც შეიძლება არსებობდეს. ამიერკავკასიაში საზღვრების წაშლას დიდი ხანია დამცველები ჰყავს, მაგრამ ისინი რეაქციონერ და კონტრრევოლუციური წრებიდან გამოდიოდნენ. ერთის მხრივ რუსიფიკატორი მოხელეები იბრძოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების წაშლაზე, მეორე მხრივ სომხის ბურჟუაზია ოცნებობდა მთლიანად ამიერკავკასიის აღდგენაზე, რომ ტფილისი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოეცხადებინათ და იქ კვლავ

⁶⁴ С. В. Хармаидарян, Ленин и становление Закавказской федерации (1921-1923), Ерван, 1969, стр. 96-97.

შოვინისტური პოლიტიკის შტაბი გაემართა... ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების არსებობა ეროვნული თვით გამორკვევის სიმბოლოა, საზღვრების წაშლა თვითგამორკვევის წაშლაცაა... შ. ნუცუბიძის აზრით, კომუნისტური მოძრაობა სახელმწიფო საზღვრების წაშლას არ ნიშნავდა, რადგან ეს მოძრაობა „რუსეთში უფრო მძლავრია და განა აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრები უნდა წაიშალოს?... რუსეთმა დიდი ძალი შეაღია თავისი საზღვრების დაცვას და ეს ბრძოლა კომუნიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობდა...“⁶⁵.

მეორე წერილში „პრესის მაგიერ“ შ. ნუცუბიძემ ნარიმანოვის შეხედულების პარალელურად განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ პოზიცია. წერილი ასე იწყებოდა: „გაზეთ კომუნისტს“ გარკვეული კითხვა დავუსვით: გამოეთქვა თავისი შეხედულება საზოგადოდ ა/კ-ის რესპუბლიკებისა და კერძოდ საქართველოს საზღვრების შესახებ. ამ საკითხის დასმა აუცილებელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგონეთ კომუნისტების წრიდან გამოსული ლოზუნგი – საზღვრები უნდა წაიშალოსო... ჩვენთვის ბოლოს და ბოლოს იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სთქვა მოქალაქე ნარიმანოვმა, არა, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კომუნისტების შეხედულებას საზღვრების საკითხზე. რა სთქვა „კომუნისტმა“ საზღვრების საკითხზე? პასუხი ასეთია: „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი“. ასეთია პრინციპული შეხედულება კომუნისტებისა“. ამასთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე წერდა: „კომუნისტის პოზიცია რომ მართალი იყოს, მაშინ შეგვიძლია თავისუფლად გავიყვანოთ საქართველოს საზღვარი გორთან, ტფილისთან და სხვ. რადგან სულ ერთია, საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ამას მნიშვნელობა არა აქვს“⁶⁶. ჩვენს მიერ ზემოთ მოთხრობილი წერილებიდან კარგად ჩანს, რომ შ. ნუცუბიძე ქართველ ბოლშევიკებს და საერთოდ ახლად დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს სავსებით სამართლიანად შეახსენებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების და ჩამოცილებული ისტორიული ტერიტორიების შემომტკიცების საკითხების განხილვისას ეროვნული ინტერესებით ეხელმძღვანელათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად ერკვეოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების არსში, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა სწორად შეეფასებინათ ბოლშევიკების დამოკიდებულება საქართველოს ისტორიული საზღვრებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხებისადმი. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სტატია – „ტფილისი, ზუთშაბათი, მარტის 17“. ეხება რა საქართველოს ტერიტორიის საკითხს, გაზეთი წერს: „ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა, რათა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მიწა-წყალი სხვებს არ წაეგლიჯათ და შეექმნათ პირობები ერის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ ტერიტორიის საკითხიც, ისე როგორც მრავალი სხვა, მენშევიკური მთავრობის დროს ვერ იქნა სავსებით გადაჭრილი: საქართველოს გარეშე დარჩა ნაწილი მისი ტერიტორიისა“.


⁶⁵ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის“, 1921, 4 მაისი, № 52.

⁶⁶ იქვე, 11 მაისი, № 58.


გაზეთი საგანგებოდ აფრთხილებდა საქართველოში ახლად დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს: „ახალმა მთავრობამ ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს და ფიზიკურად სდარაჯობდეს ქართველთა ტერიტორიის მთლიანობას. არაფერი ისე არ დასცემს ახალ ხელისუფალთა ავტორიტეტს ხალხის თვალში, როგორც ერთი გოჯის ოდენაც კი საქართველოს მიწა-წყლისა სხვისთვის დათმობა; თანამედროვე ქართველობა, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, არ შეურიგდება თავის სამშობლოს დაკუნვას. მომავალი თაობაც წყევლა-კრულვით მოიხსენიებს საქართველოს ყოველგვარ მთავრობას, რომელიც მისი მთლიანობისათვის თავგამოდებით არ იბრძოლებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობა არამც თუ დაიცავს საქართველოს თავის დღევანდელ საზღვრებში, არამედ შეეცდება დაუბრუნოს მას მისი განუყოფელი ნაწილები, რაც ვერ მოახერხა მენშევიკურმა მთავრობამ“. ხოლო იმისათვის, რომ საქართველოს დაებრუნებინა მისი განუყოფელი ისტორიული ტერიტორიები, ამ მიზნით, ახალი საბჭოთა მთავრობა უნდა დაყრდნობოდა საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას და „ამ ფარგლებში ახლავე შემოხაზოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია; დანარჩენი მიწა-წყლის შემოერთება კი მთავრობის მორიგი საკითხები იქნება. ტერიტორიის საკითხის ასე მოგვარებით საბჭოთა მთავრობა თავის მიზანს შეასრულებს, ქართველი ხალხის ეროვნულ საჭიროებას დააკმაყოფილებს და თავის მდგომარეობასაც განამტკიცებს⁶⁷.

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილების განხილვის შედეგად, აშკარად დავინახეთ, რომ იმდროინდელი საღად მოაზროვნე ქართველი პოლიტიკოსების აზრით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი დანიშნულება უნდა ყოფილიყო, თუ იგი ეროვნული ინტერესებით იხელმძღვანელებდა, საქართველოს საზღვრების განმტკიცება და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს, დაუგზავნა დირექტივები, რომლის თანახმადაც, საზღვრების რეგულირების საკითხის განხილვისას უნდა გაეთვალისწინებინათ „მშრომელი მასების ინტერესები“, რომ არ უნდა ეღალატნათ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პრინციპებისათვის და არ დაეშვათ „ნაციონალიზმის გამოვლინებები“. ვეცნობით რა კავკასიის ბიუროს ზემოთ მოტანილ დირექტივების შინაარსს, ჩვენთვის უკვე სავსებით ნათელი ხდება, თუ როგორ გადაწყვეტდა ზაქათალის ოლქის საკითხს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც 1921 წელს უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა. 1921 წლის 5 ივლისს საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დელეგაციათა კონფერენციამ განიხილა საკითხი სასაზღვრო ხაზის შესახებ და მიიღო დადგენილება ორ რესპუბლიკას შორის შიგა საზღვრების რეგულირების თაობაზე. დადგენილების მე-4-ე პუნქტში ნათქვამი იყო: „ზაქათალის ოლქის საკითხის შესახებ კონფერენცია ადგენს: საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ,

⁶⁷ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, 17 მარტი, № 15.



საინჟინროს რუკა



საინჟინროს რუკის სიმასშტაბი



რაზეც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას⁶⁸. ამ წინასწარ დადგენილება-შეთანხმებას ხელი მონაწიერს საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ რევკომთა თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა. საბოლოოდ, ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის სსრ-სადმი მიკუთვნება იურიდიულად გაფორმდა 1921 წლის 15 ნოემბერს, როდესაც დაიდო შეთანხმება ორ რესპუბლიკას შორის შიგა საზღვრების მოწესრიგების თაობაზე. ამ შეთანხმების მე-3-ე პუნქტში აღნიშნული იყო: „ზაქათალის ოლქის საკითხზე ძალაში რჩება ამიერკავკასიის რესპუბლიკების შიგა საზღვრების რეგულირების კონფერენციის 1921 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-4-ე პარაგრაფი“⁶⁹. ამ შეთანხმებას ხელს აწერდნენ: საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარე ბუდუ მდივანი და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მუხტარ გაჯიევი. აი, ასე დააკანონა საქართველოს რევკომმა საინგილოს ტერიტორიის სრულიად უსამართლოდ მიტაცება და გადაცემა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის. ამ შეთანხმების შედეგად საქართველომ, ბოლშევიკების წყალობით, თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ზაქათალის ოლქის გადაცემით აზერბაიჯანმა საქართველოს ხარჯზე მიიღო 3993,89 კვ. კმ-ი, რომლის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 92608⁷⁰. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიული მინა-წყალი კაკ-ელისენი (საინგილო) მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკას თითქმის უმტკივნეულოდ დაუთმო. როგორც უცხოეთში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ალ. მანველიშვილი აღნიშნავდა „ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 3,564 კვ. კილომეტრი“⁷¹. ქართველმა ბოლშევიკებმა ზემოაღნიშნული ქმედებისას, სავსებით უგულვებელყვეს თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები, მათ დაივიწყეს, უპირველეს ყოვლისა, ის ურყევი ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფო საზღვრების დაცვა ყოველგვარ პოლიტიკაზე, იდეოლოგიაზე, პარტიულ აზროვნებაზე და ე. წ. „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პრინციპებზე უფრო მაღლა დგას.

⁶⁸ საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი (სუისა), ფონდი 607, აღწ. 1, საქ. 206, ფურც. 1, 1 მე-2 გვ., ასლი.

⁶⁹ იქვე, ფურც. 25, 25 მე-2 გვ. ასლი.

⁷⁰ ლ. თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, თბ., 1990, გვ. 27.

⁷¹ ალ. მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938, გვ. 18.

STUDIES IN HISTORY OF SAINGILO

Kak-Eliseni Battle for the Resurrection and Liberation of Georgia

Summary

